ISSN 0182—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

9

1987

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 63-ე № 9 სექტემბერი, 1987 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი

### პროზა, პოეზია


ირაკლი აბაშიძე — ჰიმნი ბუნებრივ სიკვდილს. ლექსი . . . 3
ნუგზარ შატაიძე — ორი მოთხრობა . . . 6
კოლაუ ნადირაძე — ლექსები . . . 16
ალექსანდრე ქუთათელი — ლექსები . . . 19
ლალი თოთაძე — ლექსები . . . 22
თინა დონჟაშვილი — ბონჯაურა. რომანი . . . 26
ტაბუ ეჟუოიშვილი — ლექსები . . . 67
ლია ასათიანი — ლექსები . . . 70
ნუნუ ქადაგიძე — ერთი ცხოვრების ქრონიკა. მოთხრობა . . . 72
თენგიზ კაკუშაძე — ლექსები . . . 78
მერაბ აგაშიძე — ლექსები . . . 80
ალექსანდრე გიგიტაშვილი — ლექსები . . . 82
ალენ-ფურნიე — დიდი მოლნი. რომანი. დასასრული. ფრანგულიდან თარგმნეს ირაკლი და გივი გეგეჭკორებმა . . . 84


### 70 — დიდი ოქტომბერი — 70


მარლენ კორალოვი — გუდაუთა — 1. ვეტერანები. თარგმნა მირონ ხერგიანმა 124


### კრიტიკა, პუბლიცისტიკა


ლია არჩვაძე — რომანის სამყარო . . . 134
სულხან ჟორდანია — „მე გადმოვდივარ შენთან ალავერდს" . . . 138


### 150 — ილია ჭავჭავაძე — 150


გივი ახვლედიანი — ილია ჭავჭავაძე ხალხური ტრადიციების შესახებ . . . 145


### მეცნიერება


ილია ტაბაღუა — ფარნავაზ მეფემ „გააუმჯობესა დამწერლობა" . . . 150



(იხ. მეორე გვერდი)



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

დავით აბაშიძე — ქართლის (იბერიის) პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი . . . . . . . . . . 154
მათე ციხესაშვილი — საქართველოსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის პოლიტიკური ურთიერთობა X–XV სს. . . . . . . 162

## ფაქტები, მოგონებანი

სერგი დურმიშიძე — ძმები. . . . . . . . . . . . 167

## წიგნების მიმოხილვა

ალექსი რობაქიძე, ანზორ ქალდანი — საყურადღებო ნაშრომი დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხებზე . . 170
ილია ფეიქრიშვილი — სიმართლის ხმა — ლექსად გამხელილი . . . . . . 174

მთავარი რედაქტორი **არჩილ სულაკაური**

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

# ციკლიდან:

## „ჰიმნი სიცოცხლეს დედამიწაზე"

## ჰიმნი ბუნებრივ სიკვდილს

„ჩვენ გავაკეთეთ სატანის საქმე"
**ოპენჰაიმერი**

როგორც ეტყობა,
მე მოვასწრებ ბუნებრივ სიკვდილს,
მე ჩემი წლები გავათრიე
ავად თუ კარგად.
ჩვენ, ტოლთა ძველთა
ჩვენ ჩვენი ვთქვათ
საქმით და სიტყვით,
ჩვენ ახლა უკვე
დასაკარგავს არაფერს ვკარგავთ.

როგორც ეტყობა,
მე მივდივარ მხოლოდ ხანდაზმით,
რასაც სახელად ეძახიან
წასვლას ბუნებრივს,
წასვლას მშვიდობით,
ყვავილებით და ფიანდაზით,
ადამიანურს, ქრისტიანულს, საუკუნებრივს.

გამჩენს დიდება!
ბედმა ჩემმა, ნაირ-ნაირმა
დღემდე არ მითხრა,
დღემდე ჩემთვის
არ თქვა შაბაში, —
დაბადების დღის,
დაბადების წუთის ჰაერმა
ოთხმოც წელიწადს იტრიალა
ჩემს არსებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების ჯილდოდ
სხვა რამ არ მსურს,
        სხვა რამ არ მინდა —
ამ ცოდვილ მიწას
        თავის ზურგზე
                მე არ ვემძიმე;
დიდება გამჩენს!
        მე დამზოგა, მე ამარიდა
ბუნების რისხვებს,
        ქერჩის ტყვიას
                და ოსვენციმებს.

ჰიმნი სიცოცხლეს,
ჰიმნი სიკვდილს,
        სიკვდილს ბუნებრივს —
ადამიანურს, ქრისტიანულს, საუკუნებრივს!

სიბერის ჭირზე მე არ ვჩივი,
        არც მიფიქრია,
გადავილალე,
        მხოლოდ ულვთოდ გადავილალე...
კაცმა რომ მკითხოს
        დღეს ვერც ვიტყვი როგორც რიგია
სად გავითენე ეს ზღვა წლები,
        სად დავიღამე.

დიდება გამჩენს!
    მუდამ ხვალით,
        მუდამ მყობადით
მე აწმყოს წლებში ძვირად ვღირდი,
        ძვირად ვფასობდი —
ბრმად სიკვდილს მუდამ
        ჩემკენ ზიზღით
                გზას ვულობავდი,
მაშინაც, როცა
        მამულს მსხვერპლად
                თავს ვთავაზობდი.

ყველა შავდღეშიც,
        ყველა ჭირშიც
                მე მზეს ვხედავდი;
მწამდა — შენშია
        ყველა ხსნაც და
                ძალიც შენშია;
ბრმად სიკვდილს მუდამ
        ჩემკენ ზიზღით გზას ვუკეტავდი,
მაშინაც, როცა
        მე აქ ყოფნას
                წასვლა მერჩია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეყვარებული,
მე სიცოცხლის ეშხით დამთვრალი,
ქება აპრილთა,
ცის და მიწის
ქებათდიდება...
ზედ კარზე მადგას,
კარზე მადგას მე ის ზამთარი,
რომელიც უკვე არასოდეს გააპრილდება.

ახლა დიდ სურვილს
თვითონ სულიც
ბევრს არ ამჟღავნებს,
ახლა დიდ სათქმელს,
დიდ საფიქრალს
გულიც არ ფიქრობს,
გული ამთავრებს,
სული ითვლის,
სული აჯამებს —
ვით შორეთისკენ
თვითმფრინავმა შასი აკრიფოს .

ჰიმნი სიცოცხლეს,
ჰიმნი წასვლას,
წასვლას ბუნებრივს —
ადამიანურს, ქრისტიანულს, საუკუნებრივს!

როგორც ეტყობა,
მე მოვასწრებ ბუნებრივ სიკვდილს
და მეც არ ვითხოვ;
მეც არ ვეძებ გზას დაბრუნების —
თქვენ მიეშველეთ,
მიეშველეთ საქმით და სიტყვით
წასვლას ბუნებრივს, ქრისტიანულს, საუკუნებრივს!

მისი ღვიძლი ვართ.
მისი ცვლა ვართ დაუსრულებრივ,
მისი ხვედრი ვართ,
მისი ცდა ვართ
მისი მონა ვართ...
მაშ, მიეშველეთ,
მიეშველეთ წასვლას ბუნებრივს,
მაშ, მიეშველეთ,
მიეშველეთ ჩვენს შთამომავალთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ შატაიძე

ორი მოთხრობა

# ელიქარი

ჩემს ძმაკაცს ხო იცნობ — დომბურს, წინა კვირას ბიჭი ჩამოუვიდა ჯარიდან შვებულებით.

წავედით ელიქარზე.

ამან, ამ დომბურმა წამოიყვანა ერთი დიდი ჵედილი, კარგი ღვინო, კარგი პურ-მარილი — როგორც წესია, საგროთოდ... ეგ ხომ ყოველ წელიწადს მზვარას აყენებს საელიქროდ: ავიყვანთ, დავკლავთ, ვიქეიფებთ გუბიზე და წამოვალთ.

ვაპირებთ ეხლაც ეგრე.

მე ვარ, ეს ჩვენი ცქმუნაა, ნოქარი, ვირაბრამა, თვითონ დომბურია და კიდევ, აბა, უიმათოდ რა იქნებოდა, დომბურის ბიჭია თავისი ამხანაგებით.

წავედით ცქმუნას სამხიდიანი მანქანით.

ჯერ აბა, გოსტიბემდე რა გზებია და იმის იქით ხომ ხვლიკი უტორმუზოდ ვერ ივლის. ავედით ავჯაყჯაყდით დიდ წიფლებთან, იმის იქით, შენც ხომ იცი, გზა აღარ არი, იქით დიდი, წიფლიანი ტყე იწყება და სწორედ იმ ტყეში, გორაზე ელიქარის ნიშია მიყუჟული.

გადმოვედით მანქანიდან, გადმოვიტანეთ ყველაფერი. ჵედილა რომ გადმოგვყავდა, რქა გატყდა, კაცო, ნოქარს! კიდევ კარგი, თვალი არ გამოსთხარა, სულ ერთი ბეწოთი აუცდა.

წასკდა სისხლი.

ჰაი, წყალი!

ჰაი, თუთუნი!

ჰაი, პაპიროზის ფერფლი!

შევუწყვიტეთ, როგორც იყო...

„აბა, შვილოთ, — დომბურმა, — აიყვანეთ, აეს მარილი აჭამეთო, დაუნთეთ სანთლები, მოსწერით თავი და ჩამოიტანეთო. მე ხო მიყურებ, რო დავბერდი, მუხლი აღარ მივარგაო“.

მართალიც იყო. ჩვენ იქ რაღა აგვიყვანდა, ჩვენი ლოპების პატრონებს...

დომბურის ბიჭმა და იმისმა ამხანაგებმა წაავეს ჵედილას რქებში თოკი, წაიღეს დანა, მარილი, სანთლები და წავიდნენ... დომბური ქვემოდან მისძახოდა, — ნიშს სამჯერ შემოატარეთო, სამჯერაო!

დავიწყეთ სუფრის გაშლა: ამოვალაგეთ კარგი, დამტკიცული პურები, კარგი ყველი, მწვანილი, ცივად მოხარშული დედლები, ქადები, ნაზუქები... ერთი სიტყვითა და ორი პასუხით გაიშალა ხენწიფის საკადრისი სუფრა!

დავანთეთ ცეცხლიც.

გავიხედოთ და მოდიან ეს გაგზავნილი ბიჭები ლაპარაკ-ლაპარაკით, თავმოჭრილი ცხვარი მოაქვთ — ორ კაცს უჭირავს აქეთ-იქიდან ფეხებით.

„რა ქენით, ბიჭოთ, — დომბურმა, — იყავითო?“

„ვიყავითო“.

ცოტა მეც არ დამიჯდა ჭკუაში იმათი ეგრე მალე მობრუნება.

„დაუნთეთ სანთლებიო?“

„დავუნთეთო“.

„სამჯერ შემოატარეთო?“

„შემოვატარეთო“.

„გიშველოთ ღმერთმაო!“ — გააძრო მასათი და დაიწყო დანის ლესვა...

ამასობაში, მე და ვირაბრამამ დავკიდეთ ცხვარი უკანა ფეხით წიფლის ტოტზე და დომბურმაც ხელდახელ ჩამოატყავა, გამოფაშვა, ჩამოკაფა და ჩაყარა ქვაბში.

სანამ ხორცი მოიხარშება, მივწექი იქვე, ცეცხლის შორიახლო, ბალახზე. იქით, ჩემს უკან ბიჭები ლლაბუცობენ, იცინიან რაღაცას, ფხუკუნებენ. მივუგდე ყური:

„მა რა ეგონაო, იქ ასვლით გავიგდებინებდი ჯიგარსაო!“ — ამბობს დომბურის ბიჭი.

მივუბრუნდი და ისე ვეკითხები, რომ დომბურმა არ გაიგონოს:

„რას ამბობ, ვერან, არ ახვედით მაღლა-მეთქი?!“

„მაღლა არაო! — იცინის, — აი, ექვე, ტყეშივე მოვათალეთ თავიო“.

მეც გამეცინა, გადმოვბრუნდი და გავხედე საწყალ დომბურს — ქვაბისთვის სახურავი აუხდია და ოხშივარავარდნილ ხორცს დიდი ჩამჩით ურევს, თან, ბოლმა რომ თვალები არ დასწვას, ზედ მეორე ხელის ზურგს იფარებს.

მოვიდა, საიდანღაც მოსუნსულდა ერთი შავი, ყბათეთრი ძაღლი — გამხდარი, გამხდარი, რო ლანდი გასდის. წამოუარა, და კინაღამ მთელი დედალი არ აგვტაცა სუფრიდან!

გაესროლა ვირაბრამამ კეტი და გააგდო, თან ჰკვირობს:

„ნეტა ვისია ეს ძაღლიო?!“

„აგე, გოსტიბელებისა იქნება-მეთქი“.

„არაო, იმათში ეგეთი ძაღლი არავისა ჰყავსო“.

ამასობაში ხორციც მოიხარშა. ამოილო დომბურმა ორჯამიანებზე და შემოვუსხედით სუფრას. ამირჩიეს თამადად და, მართალი გითხრა, აღარც მე გავნაზებულვარ. ან რად უნდა გავნაზებულიყავ: კარგი ღვინო, კარგი პურმარილი, კარგი ხალხი. ამინდიც მშვენიერი, სწორედ რომ საჩვენო — ცაზე მაისის მზე ლუღლუღებს, თბილა.

ორ-ორი ჭიქა რომ ჩამოვატარეთ, მოვიდა ისევ ის წელანდელი ძაღლი, ჩაწვა მოშორებით გვიმრებში და დაგვიწყო თვალთვალი.

„ცუგა, ცუგაო“, — დომბურის ბიჭმა და გადაუგდო ერთი გასვლეპილი ძვალი.

იმისმა ამხანაგმაც, — შალიკოს ბიჭი როა, გუჯა, — იმანაც მეორე ძვალი გადაუგდო.

ძაღლი როგორც იწვა, ეგრევე ხოხვით წამოვიდა, დასტაცა პირი დომბურის ბიჭის გადაგდებულ ძვალს, წაიღო, შეიტანა გვიმრებში და დაუწყო ღრღნა.

ხელში გალიპლიპებული ჭიქა მიჭირავს, ჩვენი წითელი ლობისას ვამბობ — დომბურის ბიჭის იქ დარჩენილ ამხანაგებს ვადღეგრძელებ, მაგრამ რატომღაც თვალი მაინც იმ შავი ძაღლისკენ გამირბის, თან ამ ჩვენი ბიჭების ჩურჩულ-ტუტუნი მესმის:

„მაიტა, ბიჯო, ცოტა ბენზინი ჩამოგვისხიო, — ცქმუნას ეუბნებიან, — შენ კიდევ, გუჯაო, აგ ტელეგრეიკა აიღე და იქიდან წამოუარე, ტყის მხრიდანო“...

ვცქვიტე ყურები!

ვხედავ: დაფეხვილი შალიკოს ბიჭმა აილო ტელეგრეიკა და წაკუზული მიდის ტყისკენ.

„გრიშა-მეთქი, — ვირაბრამას ვეუბნები, — ესენი ფინთათ არიან ასეულები, იცოდე, აქ არა მოახდინონ-რა, ღვთის კარზე ვართ მოსულები-მეთქი!“

წამოავლო ვირაბრამამ კეტს ხელი, წამოუხტა, გაიფრინა ის შავი ძაღლი და სულ დაკარგა იმ არემარედან.

წითელი ლობისა რომ ჩამოტარდა, ახლა ომში დაღუპულები ვახსენეთ — მოვიგონეთ დომბურისა და ნოქრის ძმები, ცქმუნას მამა — საწყალი იაკოფა, ბოლოს, ცალკე — ულვაშებიანი და გადავვედით პირად სადღეგრძელოე-

ბზე. ვილოცებით, სულ თაფლი და შაქარი გადმოგვდის პირიდან...

ჩაცხრნენ, ჩაწყნარდნენ ესენიც, მაგრამ გავიხედოთ და კიდევ არ გამოჩნდა ის ვერანი ძაღლი! მოვიდა, იპოვა გვიმრებში თავისი ნაჯიჯგნი ძვალი, გაითრია, წაიღო, შეიტანა ტყეში, ჩაწვა და ახლა იქ დაუწყო ღოღნა.

იმის დანახვა იყო და ატეხეს ისევ ამათ — ცუგა, ცუგაო!

გუჯამ ტელეგრეიკას დასტაცა ხელი და ტყისკენ მიიპარება, დომბურის ბიჭი დაჭეჭყილ ვედროს მიარბენინებს მანქანისკენ, დანარჩენები კი ძაღლს ეხლა უკვე ხორცის ნაჭრებს უყრიან.

წასძლია იმასაც, იმ საცოდავსაც სულმა, მიანება ძვალს თავი და გამოვიდა კუდის ქიცინით ტყიდან — დასუნსულებს, ბალახებში ხორცის ნაჭრებს დაეძებს.

ღმერთმა უშველოს, წამოხტა ისევ ვირაბრამა, გაიფრინა ისევ ძაღლი, ერთი-ორი ქვაც მიაყოლა ზურგში და ახლა ამ ბიჭებს ჩამოუარა ალალივით:

„რა იყოთ, ბიჭო, რა ნახეთ, რა მოგივიდათ, ხალხი არა ხართ? გვაჭამეთ რა, პურიო!“

რაღას იზამდნენ, წამოვიდნენ სიცილით, კბილების კრეჭით, შემოუსხდნენ ისევ სუფრას და:

„ჩვენაო თქვენი გამხიარულება გვინდოდაო, თორემ რაც არ გინდათ, ღმერთმა ნუ მოგცეთო“, — დომბურის ბიჭმა.

მოდი ეხლა და ელაპარაკე ამისთანა მაიმუნს, მაგრამ მაინც არ მომითმინა გულმა — ავიღე, გავავსე ჭიქა და ვადღეგრძელე ჩვენი დიდი წინაპრები. გავიხსენე ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, ცოტნე დადიანი, თევდორე მღვდელი, გიორგი სააკაძე... — ეხლა იმდენი აღარ მაგონდება, იქ უფრო მეტი ჩამოვთვალე, — მოვიგონე იმათი გმირობა, ვაჟკაცობა, სამშობლოსათვის თავდადება. ენად გავიკრიფე. არ ვიცი, გინდა დაიჯერე, გინდა — არა, ისე ლამაზად ვლაპარაკობ, რომ მევე მომწონს ჩემი ნათქვამი სიტყვები. ეს დომბური, ნოქარი და ვირაბრამა ხომ სახეგანათებულები მისმენენ, თავებს მიკანტურებენ, მხრებში იშლებიან და მამალი ინდაურებივით დაფხორილები დანარჩენებს ისე ათვალიერებენ, თითქოს იმ ჩვენი წინაპრების გმირობა სულ თვითონ ჩაედინოთ.

მივუბრუნდი ბოლოს მეც დომბურის ბიჭსა და იმის ამხანაგებს და ვეუბნები:

— აი, შვილო, როგორი ხალხი ცხოვრობდა ჩვენს მიწა-წყალზე, რანაირი წინაპრები გვყავდა-მეთქი. თქვენც იმიტომა ხართ ეგეთი ლამაზები და ლონივრები, რომ იმათი სისხლი გიდგათ ძარღვებში, იმათი ჩამომავლები ხართ და რა მოგივიდათ, თქვე კაი ხალხო, რა საქმე გამოგელიათ, რომ იმ ერთ ქეციან ძაღლს ასდევნებიხართ და დასდევთ, აბა, იმან რა შეგიჭამათ, რა დაგილიათ-მეთქი.

შევატყე, რომ ჩემს სიტყვებზე ამ ბიჭებმა რაღაცნაირად დაირცხვინეს, თავები ჩაქინდრეს, ხელში შერჩენილ ღვინის ჭიქებს ჩააჩერდნენ, თვალს ვეღარ მისწორებენ და მეც, ცოტა არ იყოს, შემეცოდნენ, კაცო... მაგრამ რაღას ვიზამ — სათქმელი ითქვა, გამგებმა გაიგო. მორჩა და გათავდა!

წამოვყარე გაციებული ხაშლამა ერთი ორჯამიანიდან მეორეში, გამოვასუფთავე, ჩავანთქრიელე შიგ ღვინო, გავალიცლიცე და დომბურის ბიჭის, იმისი ჩამოსვლის და ჩვენი დახვედრისა დავლიე.

დავცალე და გადავედი დომბურთან.

დაცალა იმანაც.

დალია ვირაბრამამაც. მარტო ნოქარმა აირიდა და როცა ბიჭებზე მიდგა ჯერი, — არაო, მაგითი არა, ჭიქებით დავლევთო, — და მეც აღარ დამიძალებია. გამიხარდა კი, — აგე, გასჭრა თუ არა ჩემმა სიტყვამ-მეთქი! — გავიფიქრე.

გამომიკეთდა გუნება, გადავხვიე ხელი ამ ნოქარს, — ხო იცი, როგორი სიმღერაც იცის, — და შემოვძახეთ „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, მერე „გაფრინდი, შავო მერცხალო“ და ჯერ

ჩამთავრებული არა გვაქვს, რომ — „ცუგა, ცუგაო“, — შემომესმა...

თითქოს თავში კეტი დამკრესო, ჩამივარდა ენა. მივიხედ-მოვიხედე — ეს დომბურის ბიჭი და იმისი ამხანაგები სუფრაზე აღარა სხედან... თურმე, ნუ იტყვი, მოსულა, მოშავჭირებულა ის ჩემი ცოდვით სავსე ძაღლი, დასუნსულებს ტყის პირში, ძვლებსა და ხორცის ნაჭრებს დაეძებს, თან გარსშემოხვეულ ბიჭებს კუდის ქიცინით შესცინებს თვალებში.

ისინი კი ხელებგაშლილები, წაკუზულები უახლოვდებიან, ალყაში აქცევენ და სადაც არის, დაიჭერენ კიდეც.

იქვე ახლოს ტუჩებზე ღიმილგაგლესილი დგას დომბურის ბიჭი, ცალ ხელში ბენზინით სავსე ვედრო უჭირავს, მეორეთი ასანთის კოლოფს აჩხაკუნებს...

ვირაბრამა წამოდგა, მაგრამ მაჯაში წავავლე ხელი და დავსვი.

გაკვირვებით შემომხედა.

დავაღე პირი, მინდა ვუთხრა, რომ თავი გაანებონ, რაც უნდათ, ისა ჰქნან, ჩვენ მაინც ვეღარაფერს გავაგებინებთ ამათ, მაგრამ ხმა აღარ ამომდის ყელიდან, თევზივითლა ვაღამუნებ ტუჩებს. წამოვიწიე, წამოვდექი და იქით აღარ გამიხედია, ისე შევბარგანავდი ტყეში.

ერთხანს მწვანედ ჩამობურული წიფლის ქვეშ ვიდექი, მერე წაველი.

აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვიარე. მივდიოდი, აღმართზე მივბორძიკობდი, ერთხელ, მგონი წავიქეცი კიდეც, მაგრამ წამოვდექი და გზა განვაგრძე.

მალე ტყე გათავდა, გათავდა ბუჩქნარიც და მაღლა, გორის თხემზე გამოჩნდა ელიქარის ნიში. ავუჩქარე ნაბიჯს, ავედი, მივუახლოვდი და გავჩერდი.

ვდგავარ ეგრე, დავცქერი სანთლის ნალვენთით დახორხლილ გამურულ ქვებს, ნიშის სიღრმეში დაყრილ გამწვანებულ ხურდა ფულს, ჯამის ნატეხარს, ვგრძნობ, როგორ მაწვება ყელში რაღაც თბილი, ცომივით გაფუებული გორგალი და ვცდილობ, ისევ უკან ჩავიბრუნო, მაგრამ რაკი ვეღარ ვახერხებ, სულელივით გაღიმებულს თვალებიდან ცრემლები მცვივა...

ნაბიჯის ხმამ გამომაფხიზლა. თვალებში ცერა თითი ამოვისვი და მივიხედე.

დომბურია...

მოვიდა, ჩაახველა, ნიში ჩუმად შეათვალიერა, მერე უბიდან ერთი ცალი შუაზე გადატეხილი სანთელი ამოიღო და ჯიბეები მოიჩხრიკა.

მე წაველი, ცოტა მოშორებით ქვაზე ჩამოვჯექი და იქიდან დავუწყე თვალთვალი.

ჯიბეებში რომ ვერაფერი იპოვა, დომბურმა მე გადმომხედა და — ასანთი არა გაქვსო? — მკითხა.

არა-მეთქი. პაპიროზს მე არ ვეწევი და ასანთი საიდან მექნებოდა.

იდგა ერთხანს ეგრე, მერე ის შუაზე გადატეხილი სანთელი ნიშში ფრთხილად შედო, წამოვიდა და გვერდით მომიჯდა.

„გრიშა სად არი, კოლა-მეთქი?“

„იქ არიო“, — და გავჩუმდით.

თბილა. მზე ზურგებს გვითბობს. მიწაზე ჭიანჭველები დაფუსფუსებენ, შორიდან ტოროლას წკრიალი ისმის...

„ჩემი ბრალიაო“, — როგორც იყო ხმა ამოიღო დომბურმა.

„რა არი შენი ბრალი-მეთქი“.

„ყველაფერიო“, — და ისევ გავჩუმდით.

ვსხედვართ, ხმას არ ვიღებთ. ქვემოდან რამდენჯერმე მოგვესმა ძახილი, მაგრამ არ გავპასუხებივართ.

საღამომდე ეგრე ვისხედით.

მზე რომ დანახვისის სერს გადაეფარა, მაშინღა წამოვედით და უკვე კარგად იყო შეღამებული, ქურდებივით უჩუმრად რომ შევედით სოფელში.

# სოფლის ძველი სახლი

მაისში სულ წვიმდა. ივნისის დასაწყისშიც. დღე არაფერი, მზე ჩახჩახებდა ხოლმე, საღამოობით დაუბერავდა ნიავი, მოიტანდა კუნაპეტ ღრუბელს, ქალაქს ჩამოაბნელებდა და დაიწყებოდა... გოგიას ცუდ გუნებაზე აყენებდა ავდარი. წვიმა როდი ეჯავრებოდა, პირიქით, უყვარდა კიდეც, მაგრამ ახლა სოფლის ძველი სახლის დარდი ჰქონდა და ის უგუნებობაც იმისი იყო.

ზამთარში ათასი საქმე გამოუჩნდებოდა და სოფელში ჩასვლას ვერ ახერხებდა. არა, ზოგჯერ ჩადიოდა, როგორ არა, მაგრამ ჩადიოდა ბოლოჭებთან — დაჰკლავდნენ დიდ ღორს, გაჰფუფქავდნენ, გამოფაშვამდნენ და მწვადითა და არყებით რომ დაიწყებდნენ, ყაურმითა და ღვინით ამთავრებდნენ მეორე დღეს. წამოსვლის წინა ავიდოდა, აბარგანავდებოდა გადათოვლილ ბილიკზე, მიადგებოდა საკუთარი ეზოს მესერს, გადააწყობდა ზედ მკლავებს და უყურებდა ძველ სახლს — თოვლის სიმძიმისაგან სახურავდაზნექილს, გაპარტახებულ, დათოვლილ ბაღში საცოდავად ჩაყუჟულს. მთვრალს, ორი დღის გამოუფხიზლებელს ამოუჯდებოდა გული, მოუვიდოდა თვალზე ცრემლი და ტიროდა, თითქოს სახლთან კი არა, საფლავთან იდგა.

გაზაფხულზე, როცა ქალაქში მერცხლები მოფრინდებოდნენ და კოჯრის მხრიდან თბილი, ამოდ სურნელოვანი ნიავი დაუბერავდა, გოგიას რაღაც უცნაური ჟია შეუჯდებოდა ტანში, აჰქავდებოდა ხელები, დასჩემდებოდა უძილობა — სოფლისაკენ მიუწევდა გული. დღეს-ხვალეობაში გადიოდა დრო, სწორედ მაშინ გამოუტყვრებოდა ათასი უსაქმო საქმე, დარბოდა სახლიდან სამსახურში, სამსახურიდან — სტამბაში, სტამბიდან — ალმასკომში, ალმასკომიდან სტუდიაში. გზადაგზა შეირბენდა რკინა-კავეულობის მაღაზიაში, ყიდულობდა ბარის პირს, ფოცხს, სახლავ მაკრატელს და როდის, როდის მობამდა თავს: შეაწვევინებდა ცოლს ექვსიოდ კატლეტს, გაიხვევდა პერგამენტის ქაღალდში ერთ ნაჭერ ყველს, არაყნის ქილაში ჩაგლესავდა ცოტა კარაქს, ჩაალაგებდა ამას ყველაფერს თავის ნაცრისფერ ჩანთაში და დილის მატარებელს გაჰყვებოდა.

წავიდა წელსაც, ოცდამვიდ აპრილსღა მოახერხა წასვლა. ჯერ წვიმები არ დაწყებულიყო, ცხელოდა, სოფელში ხეხილი ყვაოდა. ბოლოჭებს რომ არ დაენახათ, ავტობუსი მოშორებით გააჩერებინა, წყაროს მხრიდან მოუარა და შინ ისე მივიდა. შორიდანვე დაინახა თავისი სახლი და ელდა ეცა — ძველი, დახავსებულკრამიტიანი სახურავი უფრო მეტად დაზნექილიყო, გვერდზე გადაფერდებულიყო, ეტყობა დიდი თოვლი ედო მთელ ზამთარს. მივიდა, გააღო კარი, შევიდა და გული შეუქანდა — ჭერიდან თოვლის ნაჟურს ედინა, კედლებზე, ორ ადგილას გაჯი დასველებულიყო. წავიდა, ბაღში იპოვა ძველი, დაფუტუროებული კიბე, ავიდა სხვენში, დაბრეცილ კოჭებზე ფრთხილად დადიოდა, ფრთხილად ადგამდა ფეხს, — სახურავს შიგნიდან ათვალიერებდა, მაგრამ გატეხილი კრამიტი ვერსად იპოვა. ჩამოვიდა ისევ უკან, ისაუზმა, მერე ვაზი გასხლა, გასხლა ვარდებიც და ხეხილიც. ამ საქმეს საღამომდე მოუნდა. საღამოს ჩამოიარა დიდმა ბოლოჭამ, გაუხარდათ ერთმანეთის დანახვა. იმ ღამით ორის ნახევრამდე სვამდნენ, სულ ბოლომდე სცლიდნენ ჭიქებს.

მეორე დილით ადრიანად დაიწყო ნაფუზრის ბარვა. ნამთვრალევს ხელები უკანკალებდა, თავიც სტკიოდა და სულ მალე ოფლში გაილვარა, მაგრამ მაინც არ მოეშვა. ამოვიდნენ, ამოეშველნენ პატარა ბოლოჭა და იმისი დისშვილი გია, თექვსმეტი წლის ბიჭი. ყოჩაღად იმუშავეს — დაბარეს თითქმის მთელი ნაფუზარი, სულ ცოტაღა დარჩათ.

საღამოს დიდმა ბოლოჭამ მოიყვანა ბატკანი: დაკლა, გაატყავა, ჩაკაფა ქვაბში, დააყარა ზემოდან ბლომად დაჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილი ტარხუნა და მწვანე ხახვი, შედგა ცეცხლზე. ხორცი რომ მოიხარშა, შეაგემოვნა მარილითა და ტყემლით, მოაპკურა ნახევარი ჭიქა თეთრი ღვინოც და გამოვიდა შესანიშნავი ჩაქაფული. ახლა უკვე სამ საათამდე სვამდნენ...

მეორე დილით ადრე გაეღვიძა. ადგა, ნაბარავი გათოხნა, დათესა გოგრა, მზესუმზირა, სარის ლობიო, ქინძი და წიწმატი. ერთ მოზრდილ კვალში გადარგო ხენდროც. საქმეს მორჩა თუ არა, ქვემოდან მოესმა — „გოგი, გოგიო!“ — პატარა ბოლოჭა ეძახდა. „მოვდივარო“, — ამანაც, ამოიბანა რუში ხელები, გამოიცვალა ტანისამოსი და ჩავიდა. გუშინდელი ჩაქაფული გაეცხელებინათ, სუფრა გაეშალათ. დაიწყეს სმა ისევ გუშინდელ და გუშინწინდელ სადღეგრძელოებს ამბობდნენ. საღამომდე, თითქმის ექვს საათამდე სვამდნენ. ექვსსაათიან ავტობუსს წამოჰყვა და გზაში მთვრალი სულ იმას ფიქრობდა, ნეტავი სახლის კარი დავკეტე, თუ — არაო...

ორ მაისს დაიწყო წვიმები. ღამით წვიმდა, დილისით მზე გამოანათებდა ხოლმე. თავიდან უხაროდა — ჩემს დათესილებს მოუხდებაო, მერე და მერე დარდი გაუჩნდა — სახურავში ჩაატანსო და ეგრე დარდიანი დადიოდა სახლიდან სამსახურში, სამსახურიდან აფთიაქში, აფთიაქიდან — მუზეუმში, მუზეუმიდან — კომისარიატში.

საღამოობით, ბავშვები რომ დაიძინებდნენ, გოგია და იმისი ცოლი აიდუღებდნენ ჩაის, დასხდებოდნენ სამზარეულოში და ზაფხულის გეგმებს აწყობდნენ: გოგიას, რა თქმა უნდა, სოფლისკენ მიუწევდა გული, — ტელევიზორი წავიღოთო, — ამბობდა, — მაცივარიო, ძველი გაზის ქურაც ხომ გვაქვს სარდაფში, მშვენივრად ვიქნებითო, — მაგრამ გოგიას ცოლს, ქალაქელ ქალს, ერთხელ, ამ ხუთიოდ წლის წინათ უკვე ეწვნია იქაური ცხოვრების სიმძიმე და ახლა უარზე იდგა — მაშინაც წყლის ზიდვით ჩავიწყვიტე წელიო (წყაროს მოშორებით ჰქონდათ სახლიდან), მეყოფა ეგ სიამოვნებაო. შენ იმიტომ მიიკლავ სოფლ[illegible], რომ მთელი დღე ბოლო[illegible] ვართალალო იძახო, ხან ალმა იყო ხან — დალმა, ეს ბავშვები კი მე შემომახვიო თავზეო. „მაშ რა ვქნათ, ქალოო, იბოღმებოდა გოგია, — სულ გავანებოთ თავიო?“

„რად უნდა გავანებოთო, წყალი გამოიყვანე, საპირფარეშო გამართე, ეზოში ასფალტი დააგე, რომ ტალახში არ ვჭყოპოთ, შხაპი მოაწყვე და მაშინ კიდევ ჰოოვო“.

გოგია ჩუმდებოდა, სიგარეტს ეძალებოდა, იცოდა, მაინც არაფერი გამოუვიდოდა ცარიელი ლაპარაკით. მერე წვებოდნენ. ქალი დაუტკბებოდა, დაუტკბებოდა — სულ თაფლი და შაქარი წამოუვიდოდა პირიდან: „შარშან, ხომ გახსოვს, რა კარგად ვიყავით წყნეთში, ბაზარი, მაღაზია, ყველაფერი ახლოს გვქონდაო. თანაც, ნინიკო შემპირდა, წელს ზონის მაღაზიიდან გამოგატანინებთ ყველაფერსო. რა არის ხუთასი მანეთიო“.

„კარგი, ჰო, კარგიო, — ბურდღუნებდა ტკბილ ბურუსში წასული გოგია, — როგორც შენ გინდაო...“ და მოდიოდა ღამე, დიდი ღამე...

მაისის ოცში გამოიდარა, მაგრამ სულ ერთი კვირით. ერთი კვირის შემდეგ ისევ გაავდარდა. კილოგრამი ხენდრო ბაზარში შვიდი მანეთი ღირდა, ბალი — ხუთი მანეთი. გოგია ის დღეები სულ სტუდიაში იყო, დილიდან საღამომდე მიკშერთან იჯდა. საღამოობით დაღლილი, ერთიანად გამოფიტული ბრუნდებოდა შინ, გაზეთებსაც კი ველარ კითხულობდა. ღამღამობით წვიმდა, წვიმამ დაალბო ქალაქი. ტელევიზორში ყოველ საღამოს გადმოსცემდნენ „ექსპრესინფორმაციას“ იმის შესახებ, თუ სად რომელი სოფელი დამეწყრა, სად რამდენი სახლი დაანგრია ღვარცოფმა. დილით გამოვიდოდა მზე, ნაწვიმარ ასფალტს გააშრობდა, ბუღს დააყენებდა, საღამოს ისევ გაავდარდებოდა.

და აი, ერთ ღამით გოგიას დაესიზმ-

რა, ვითომ, მოდიოდა დიდი, შავი წყალი, შავად ჩაბოროტებულ ტალღებს მოაქანებდა და იმისი სოფლის ძველ სახლს საძირკველს აცლიდა, ქვეშ გასდიოდა. კედლები ქანაობდნენ, ძირს ცვიოდა დამბალი გაჯი და ცემენტი, სახურავი ჭრიალებდა, ქანაობდა.

გამოეღვიძა გაოფლილს, დაღლილს, გასავათებულს. შაბათი გათენებულიყო, გარეთ აღარ წვიმდა. შეხედა საათს — რვას ხუთი წუთი აკლდა. მატარებელი ცხრაზე გადიოდა. ადგა, ჩაიცვა, გააღვიძა ცოლი და უთხრა, სოფელში მივდივარო. მერე ჩაალაგა ნაცრისფერ ჩანთაში ცოტა ყველი, მწვანილი, ორი ცალი კიტრი, ცოლს ხუთი მანეთი გამოართვა და გამოვიდა გარეთ. პურის მაღაზიაში იყიდა ერთი ოცდაათკაპიკიანი პური, ჩაჯდა № 2 ტროლეიბუსში და წავიდა სადგურზე.

მატარებლის გასვლამდე ოცი წუთით ადრე მივიდა, კიოსკში აიღო დილის გაზეთები, ბაქანზე ტკბილი კვერი იყიდა და იქვე შეჭამა, დააყოლა შადრევნის ცივი წყალი. ვაგონებში დასაჯდომი ადგილი არ იყო, ამიტომ დადგა ტამბურში, სიგარეტს მოუკიდა და გაზეთები გადაათვალიერა. გაზეთებშიც სტიქიური უბედურებების შესახებ იტყობინებოდნენ, მაგრამ რატომღაც დამშვიდდა, თითქოს წუხანდელი სიზმარიც დაავიწყდა.

ვაგონს ყოველ გაჩერებაზე ემატებოდა ხალხი. ავჭალაში ტამბურიც გაიჭედა, ფეხის დასადგომი ადგილიც აღარ დარჩა. ცხელოდა. ხალხი ყაყანებდა, ბავშვები ღნაოდნენ. შემოვიდა რევიზორი — მაღალი, წარმოსადეგი უნიფორმიანი კაცი, — უბილეთოებს ჯარიმა გადაახდევინა, საკვირველი იყო, იმდენ ხალხში როგორ იკვლევდა გზას.

ყველა გაზეთი ბოლომდე წაიკითხა და მივიდნენ კიდეც. ჩამოვიდა მატარებლიდან და გადაჯდა სხვა სოფლის ავტობუსზე, რადგან თავისი სოფლისა მხოლოდ ერთი საათის მერე იქნებოდა. ბედმა გაუღიმა და უკანა სკამზე, ფანჯარასთან ადგილი იშოვა. იჯდა და ჩუმად გაჰყურებდა მზის შუქით გაჩახჩახებულ ნაწვიმარ მინდვრებს, ბაღებს, ვენახებს.

ავტობუსის ბოლო გაჩერებიდან ორი კილომეტრი ფეხით ჰქონდა გასავლელი, თან სულ აღმართი. ჩანთა მხარილივ გადაიკიდა და დაადგა გზას. მიდიოდა და ნატრობდა: ნეტავ არავინ წამომეწიოს, არავინ გამიჩეროს მანქანა — სიამოვნებდა გრილი, ფშატის სურნელით გაჯერებული ჰაერი, ფეხით სიარული.

ორგორეებში მაინც წამოეწია მოტოციკლეტი. მძღოლი ნათესავი გამოდგა — ბებიის დის შვილიშვილი. შემოისვა უკან და სამ წუთში ბოლოჭების სახლს მიაყენა. ერთი კი გაუძალიანდა — „აქ ნუ, აქ ნუ-უო“, მაგრამ აივნიდან უკვე იცქირებოდნენ დიდი და პატარა ბოლოჭა — თვალებგაბრწყინებულნი, გაღიმებულნი, ხელებმაღლაშემართულნი და — „ვინც მოვიდა, გაუმარჯოსო!“ — ყვიროდნენ. გამოეგება ძალუა, ისიც გახარებული, სახეგაცისკროვნებული. შეუძღვა ეზოში. ნოდარამ, გოგიას მომყვანმა, დაქოქა მოტოციკლეტი და გააფრინა სოფლის ორღობეში საშინელი ტრახტრახითა და ფრუტუნით.

ჩამოვიდნენ, ჩამოიზაყნენ ბოლოჭები ძირს, გადაკოცნეს, ზურგზე ხელები დაუტყაპუნეს, — „სადა ხარ, კაცო, ეგრე უნდაო?! — და მერე — აი, აქვე, ეზოშივე გავშალოთ სუფრაო!“ — დაიძახეს.

„მოიცათ, ხალხო, მოიცათო... — დაბნეული ღიმილით ამბობდა გოგია, — მიმახედ-მომახედეთ ჯეროო“, მაგრამ ბოლოჭები უკვე მოარბენინებდნენ მაგიდას, სკამებს, პურებს, ღვინის ჭიქებს.

ასეთი სითბოსაგან, ასეთი სიყვარულისაგან გოგიას სასიამოვნოდ სტკიოდა შიგნით რაღაცა.

ხელდახელ გაიშალა სუფრა. თამადობაცა და მერიქიფეობაც, როგორც ყოველთვის, დიდმა ბოლოჭამ ითავა. დალიეს გოგიას ჩამოსვლისა და თავიანთი დახვედრისა, ადღეგრძელეს მშობლები, შვილები, და-ძმები, წინაპრები, მერე ისინი, ვისაც ჩვენ ვუყვარვართ და ვინც ჩვენ გვიყვარს. ადღეგრძელეს

მშვიდობაც. დიდი ბოლოჭა დალევდა, დასცლიდა და გააგორებდა ჭიქას მაგიდაზე, დასცლიდნენ გოგია და პატარა ბოლოჭა და გააგორებდნენ ისინიც.

„ეგრეო, ეგრე, თქვენ გენაცვალეთო!“ — აქებდა იმათ დიდი ბოლოჭა.

მერე, საქართველოს სადღეგრძელოს შემდეგ, მოიყვანეს ძალით დიასახლისი, მისცეს ხელში ძველი, ნამზითვი გიტარა და ამღერეს „ციხევ, ტიალო, მაგარო“. დიდმა ბოლოჭამ ამ სიმღერაზე იტირა, იტირა პატარა ბოლოჭამაც და გოგიამაც იტირა. მერე დალიეს დიდი ბოლოჭას ომში დაკარგული ძმის — ილუშას სადღეგრძელო, გაიხსენეს გოგიასი და პატარა ბოლოჭას კარგი, ტკბილი მამიდა, ოცდაერთი წლისა ჭლექით რომ მოკვდა ათასცხრაასორმოცდახუთში. დაითვრნენ.

დიდი ბოლოჭა ადგა, დაბარგანავდა და სკამის საზურგეს მოეჭიდა. პატარა ბოლოჭასა და გოგიას გაეცინათ — დათვერი, ძველოო?“

„ვინაო, ვინ დათვრაო!“ — და წავიდა, შებარგანავდა მარანში, გამოიტანა იქიდან ერთი შავფერა ჩაფი, ჩაასხა შიგ ღვინო, გამოავლო, გადააქცია, მერე გაავსო და — „ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოსო!“ — დალია. დალია და გადავარდა უკან, ოღონდ ჩაფი ისე ჩაიხუტა გულში, რომ არ გასტეხია.

ააყენეს, შეუდგნენ იღლიებში, აიყვანეს მაღლა და ისევე, გაუხდელივე მიაწვინეს საწოლზე. იმისი დედაკაცი ვიშვიშებდა, ქმარს ქოქოლას აყრიდა, დაბერდა და ჭკუა ვერ ისწავლაო, მაგრამ მაინც ღიმილი ეპარებოდა თვალებიდან.

წამოვიდნენ პატარა ბოლოჭა და გოგია, ჩამოვიდნენ ისევ ქვემოთ, მივიდნენ სუფრასთან, დასხდნენ და გოგიას მაშინღა გაახსენდა წუხანდელი სიზმარი, აფორიაქდა, აწრიალდა: „მოდი, ჯიგარო, ნუღარ დავლევთო“, — შეეხვეწა პატარა ბოლოჭას, მაგრამ ის გაფითრებული, რაღაცნაირად გაღიმებული წავიდა, წატორტმანდა, აიღო ძირს გაგორებული, გატალახიანებული ჩაფი, მოიტანა, გაავსო — „ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოსო!“ — მიიყუდა, ნელა, სვენებ-სვენებით გამოცალა, [illegible] მაგიდაზე და — „უჰო!“ — [illegible] რე კარგა ხანს იჯდა და ქანაობდა სკამზე, სლოკინს უძალიანდებოდა. ბოლოს ისევ გაავსო ჩაფი და გოგიას მიაწოდა.

„ბიჯო, კრიშაზე ვარ ასასვლელი, ნუ დამალევინებო“, — ისევ შეეხვეწა გოგია, მაგრამ იმას აღარაფერი ესმოდა, მარტო ამასღა იმეორებდა სლოკინით — „ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოსო“.

რაღას იზამდა?! აიღო გოგიამ ჩაფი — „გაუმარჯოს ჩვენს სიყვარულს, სულ ეგრე გვყვარებოდეს ერთმანეთიო“, — და დაიწყო სმა... აღარ ჩასდიოდა ღვინო, ყელზე ადგებოდა, გულს აზიდებდა, მაგრამ მაინც დაცალა, დადგა და სუფრას გამოციებული თვალებით ჩააჩერდა.

„ჰა, რა იყოო?“ — ეკითხებოდა მოყოჩაღებული პატარა ბოლოჭა, — რა მოგივიდაო?“ — მაგრამ გოგიას პასუხის გაცემა არ უნდოდა, პირი რომ დაეღო, შერცხვებოდა სუფრაზე. ისევე, პირუჩუმრადვე ადგა და წავიდა ბილიკისკენ.

„თითოცა, თითოცაო!“ — ეძახდა პატარა ბოლოჭა, მაგრამ ყურს აღარ უგდებდა იმის ხვეწნას, მოლიჭყულ ბილიკზე მიბარგანაობდა, ძლივას მიჰქონდა ტალახაკრული, დამძიმებული ფეხსაცმელები და რომ არ წაქცეულიყო, ვაშლისა და ქლიავის გადმოზნექილ ტოტებს ებღაუჭებოდა.

ეგრე წვალებითა და ვაინაჩრობით ავიდა ბილიკის თავში, მივიდა თავისი ეზოს მესერთან, გადააწყო ზედ მკლავები და სახლს გაჰხედა. ვერა, ვეღარაფერს ხედავდა. სახლი იდგა, ბალახგადავლილ ბაღში იდგნენ ხეებიც, მაგრამ ყველაფერი სქელ ბურუსში გახვეულიყო და გამორჩევით არაფერი ჩანდა. უეცრად, გულისრევა იგრძნო, მესერს მოსცილდა, რომ არ წაქცეულიყო, ცალი ხელი კომშს შემოჰხვია და წინ წაიხარა. ნაფუზარი ნელა დაიძრა, აყირავდა, მაღლა აცურდა, კედე-

ლივით ვერტიკალურად დადგა და იქაურობა ჩამოაბნელა.

წინწვავარდნილი, წონადაკარგული, კომშის პრიალა ქერქზე ლოყამიდებული თითქოს ამ ქვეყნისა აღარ იყო, თითქოს ეს ქვეყანაც გამქრალიყო და ფეხქვეშ საყრდენგამოცლილი ლოყითღა გრძნობდა ხმელეთის სიმყარეს. ახლა ეს კომში მაშველი რგოლის მაგივრობას უწევდა და ისიც თავგანწირვით ებღაუჭებოდა, ხელს არ უშვებდა, ზედ მიხუტებული უსასოოდ ტივტივებდა შავბნელ სივრცეში და როცა ნაფუზარი ისევ შექანდა, ძირს დაეშვა, გასწორდა და იქაურობაც ისევ განათდა, გოგიამ შვება იგრძნო — კვლავ ფეხზე იდგა, გონებაც თანდათანობით ეწმინდებოდა, მაგრამ ერთხანს მაინც ვერ ბედავდა მხსნელი კომშისთვის ხელის გაშვებას, მარტო ლოყა მოაცილა და ირგვლივ ფრთხილად მიმოიხედა: არავინ იყო, კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

კომშს გაეცალა, წავიდა, რუსთან ჩაცუცქდა და პირზე წყალი შეისხა. ყური მიუგდო ნაკადულის მხიარულ ლიკლიკს — გარკვევით ესმოდა მისი ყოველი ჭავლის ჩუხჩუხი, ციცქნა მორევების ბუტბუტი. თითქოს გარემომ ახლაღა ჩაიდგა სული, მოესმა კაკლის დაბურულ ფოთლებში შემალული შაშვის სტვენაც. ქვემოდან, საიდანღაც გუგული იძახდა. იქვე, წყლისპირა ბალახებში დიდი, მწვანე კალია ფეხებით ფრთებს ისწორებდა და თითქოს იმ ფრთების ჩუმი შრაშუნიც კი გაიგონა.

ნელა წამოდგა, სველი ხელები შარვლის ტოტებზე ჩაისვა, კუტიკარი შეაღო და ეზოში შევიდა. წელანდელი ჯანღი გამქრალიყო, ახლა უკვე საოცრად მკაფიოდ ხედავდა ყოველივეს: ბალახებში გამკრთალ ცვარს, სათონის სახურავზე გაბმულ ობლობუდას, ჰაერში მობორიალე ქინქლების გუნდსა და სამყურას ფოთოლზე გაყუჩებულ, მზეს მიფიცხებულ ჭიამაიას. ხედავდა გამხმარ-გაშავებულ, ტოტებდაფშეკილ ქლიავებსაც, კაკალს, წელამდე ბალახში ჩაკარგულ ვაზებსაც.

კანთიელად მოჩანდა სახლიც — იმისი დაზნექილი სახურავი, წვიმის წყლით ჩამოსველებული, დაბზარული კედლები. ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და შუა ეზოში დაგდებულ მორზე ჩამოჯდა.

იჯდა, ეწეოდა და თან სახლს შესცქეროდა.

გაახსენდა, როგორ აშენებდნენ ამ ორმოცი წლის წინათ... კედელზე მუშაობდა ქიტი — დიდულვაშა, განიერი კაცი და ხარახოდან წამდაუწუმ უყვიროდა მუშებს: ჰა, მოვიდა კირი, მოვიდა ქვაო! მუშებად იყვნენ: მამა, მამის ბიძაშვილები, დედის ძმები, მაშინ სულ ჯეელი ბიჭები. დიდი ბოლოჭა ახლოს არ ეკარებოდა იმათ, ნაწყენი იყო, რადგან ეს ადგილი თავისთვის უნდოდა საკარმიდამოვედ, მედიატორებს კი იმისი უფროსი ძმისთვის, ე. ი. გოგიას მამისთვის ერგუნებინათ. სახლის კედლები დღითიდღე მაღლდებოდა, მაღლა იწევდა. ახლა უკვე ზემოდან იძახდა ქიტი: მოვიდა ქვა! მოვიდა კირიო! მუშებს ეხმარებოდა გოგიაც, მაშინ სულ ხუთი-ექვსი წლის ბალღი, ვედროში მოაგროვებდა ხურდა ქვასა და ჭოჭყს, მიიტანდა იმ ვედროს, ხარახოს ძირში მისდგამდა და ახლა მეორეს მიაჩერებდნენ — ესეც გაამსეო.

ორი-სამი დღით მუშაობას სწყვეტდნენ, რომ კირი შეკრულიყო, მერე ისევ განაგრძობდნენ შენებას. ასეთი შესვენებების დროს გოგია მაინც მიდიოდა ხოლმე სახლის სანახავად. დადგებოდა და სიამაყის გრძნობით ასცქეროდა ამაღლებულ კედლებს — ნაქირავები ბინიდან მალე აქ გადმოვიდოდნენ საცხოვრებლად, მალე ექნებოდათ საკუთარი სახლი და ეს ძალიან ახარებდა.

ერთ დღეს ჩვეულებისამებრ მიდიოდა სახლის სანახავად, როცა შორიდან ვილაცის გინება და ყვირილი შემოესმა. ნაბიჯს აუჩქარა, მივიდა და დაინახა, რომ დიდი ბოლოჭა ხარახოზე ასულიყო, ახლადაშენებულ კედელს ძალაყინით ანგრევდა და თან ხმამაღლა იგინებოდა. ზემოდან იმ გინების სიტყვებივით მძიმედ ცვიოდნენ დიდი ქვები და ძირს დაცემისას მიწას აზან-

ზარებდნენ. გოგია თავზარდაცემული, ხელფეხგახევებული იდგა და ტირილსაც კი ვერ ახერხებდა. კიდევ კარგი, მოცვივდნენ მეზობლები, ბოლოჭა ხარაჩოდან ჩამოათრიეს და შინ წაიყვანეს.

გოგია მთელი ცხოვრება ცდილობდა ამ უსიამოვნო ამბის დავიწყებას და ფაქტიურად დავიწყებულიც ჰქონდა. თუ კი ვინმე გაახსენებდა, უკმაყოფილოდ შეიჭმუხნიდა ხოლმე შუბლს და ამბობდა: მაშინ ახალგაზრდა იყო, უქროდა, ცხვირი პირიდან არ მოიჭრებაო. ახლაც თავი გაიქნია, თითქოს აბეზარი ბუზი მოიშორაო, წამოდგა, ცემენტის კიბეზე ავიდა, კარი გააღო და ოთახში შევიდა.

უკანა კედელი სულ ერთიანად წვიმის წყლით იყო ჩამორეცხილი. გოგია გაშრა, მკლავები ჩამოუცვივდა. გამობრუნდა უკან, გავიდა გარეთ, სახლს შემოუარა, გადგა განზე და სახურავი შეათვალიერა. შორიდან ისეთი არაფერი ეტყობოდა, მარტო ერთი კრამიტი იყო დაცურებული. წავიდა, ღობესთან ბალახებში ჩამალული ხის ძველი, დაფუტუროებული კიბე იპოვა, წამოიღო, კედელზე მიაყუდა, ხელნებს დააწვა, შეაქანა, სიმაგრე გაუსინჯა. მერე ნელა, ფრთხილად ავიდა. საფეხურები ჭრიალებდნენ, მაგრამ მაინც უძლებდნენ იმის სიმძიმეს.

ავიდა სულ ზემოთ, ბოლო საფეხურზე დადგა, ხელებით კრამიტებს დაებჯინა, ტანი შეიმსუბუქა, მკლავებზე აიწია და მუხლით თუნუქის წყლისსაწრეტ ღარს დაებჯინა. ღარი დაიწია, მაგრამ მოასწრო სახურავზე გადაბობღება. ერთი, ერთადერთი კრამიტი იყო გატეხილი.

გოგია სახურავზე გახოხდა, მერე გადაგორდა, ფეხებით საყრდენი იპოვა და წამოჯდა. აქედან ხელისგულივით მოჩანდა გაველურებული ბაღი. ზემოდან შეამჩნია, რომ თუთასაც შეპარვოდა ხმობა, ჭანჭურები ხომ სულ დამხმარიყვნენ — გაფშეკილი, გაშავებული წვეროკინები ხელებივით აეშვირათ ზეცისკენ. ახლა სახურავი მოათვალიერა. „მოიცათ, ჯერ მოიცათ, — ამბობდა გუნებაში დაქადნებით, — ამ სახურავს სულ მოვხდი, ბეტონს დავასხამ, მაღლიდან თალარივით გადავხურავ, ზედ ვაზს ავიყვან... ჯერ დამაცადეთ“...

თვითონაც არ იცოდა, ვის ექადნებოდა.

წაიღო მარჯვენა ხელი, წაიღო, ძლივს მისწვდა იმ გატეხილ კრამიტს, დაეჯაჯგურა და ის იყო, ბუდიდან ამოაგდო, რომ, უეცრად, ტალახიანი ფეხსაცმელი გალიპულ სახურავზე გაუსხლტა და ქვემოთ დაცურდა. გულგადაქანებული ფრჩხილებით დაებღაუჭა კრამიტებს, მაგრამ ვერ დაიმაგრა თავი, წამოვიდა, წამოვიდა და ახლა წყლის საწრეტ ღარს გამოსდო ფრჩხილები — ისიც სველი იყო, ხელიდან გაუსხლტა... მიწაზე მძიმედ დაეცა და რაღაც უცხო, შემზარავი ხმა გამოსცა იმისმა სხეულმა. „დამაცადეთ... ჯერ დამაცადეთ“, — გაიფიქრა, მაგრამ უმალ გონს მოეგო, შიგანში რაღაც ბლანტი, თბილი სითხე ელვენთებოდა და ხელ-ფეხს უბუჟებდა, უეცრად მაღლა, ვარდისფრად განათებულ ბურუსში მამის გალიმებული ლანდი დაინახა, იმას გვერდით ედგა ცხრა წლის წინათ გარდაცვლილი დედა, ისიც გაღიმებული, ხელებგამოწვდილი.

— ვკვდები... — გაიფიქრა გაკვირვებულმა, ტუჩები შეცბუნებულმა ღიმილმა დაუგრიხა, მერე ერთი ღონივრად გაიძაგრა, გაიჭიმა, მარცხენა ფეხი გაასავსავა და გაყუჩდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

# ჟამს გაჭირვების, ჟამს უბედობის არ მეცინება, არ მემღერება

გასაუბრება მკითხველთან

არ მეცინება,
როს გაჭირვება
თავს დაატყდება
ნამდვილ გმირსა და
ჭეშმარიტ ვაჟკაცს,
(მორეულს თუნდაც!)
და იგი ყველას
სასოწარკვეთით
თხოვს დახმარებას
ხსნასა და შველას!
არ მეცინება,
მკითხველო, მაშინ!

არ მეცინება,
მეზობელს ჩემსას
როს გაჭირვება
კარს მიადგება,
როს მის ოჯახში
სიმშვიდე ქრება
და ვისმენ იმის,
საბედისწერო
ოხვრას და კვნესას!
მეც ვარ მწუხარე,
ვლონდები გულით,
მეც ქრუანტელი
გამივლის ტანში!..
რა გამაცინებს,
ჩემო მკითხველო,
ძვირფასო, მაშინ:!

როს ჩვენს ქვეყანას,
სამშობლოს ჩემსას
რისხვა ბუნების
თავს დაატყდება
და სტიქიონის
მოულოდნელი
და უეცარი
აბობოქრება,
თავზარდამცემი
და შემზარავი,
უძლურხდის ყველას,
უძლურხდის ძალას
ადამიანთა.
როს ლონე ჩვენი,
სიმტკიცე, ნება,
თითქოს წამიერ
ბრმა სტიქიონის
მორჩილი ხდება,
და იგი, ვითომ
მას მისდევს კვალში, —
ამ საშინელ დროს
მე, თავდახრილი,
ჩვენს ბედს დავსტირი,
გული მიკვდება,
და რა მამღერებს,
რა გამაცინებს,
ჩემებრ მწუხარე
და სევდიანო
მკითხველო, მაშინ?!

როცა ქართველი,
ერის დიდებას,
მის საამაყო
და გმირულ წარსულს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის სისხლს და ცრემლებს,
თითქოს გარეშე
ვინმე ოხერი,
ვით ვიგინდარა
და გარეწარი,
რაღაც გასართობ
ამბავად აქცევს,
და... ისე, გავლით,
ქუჩურ ხუმრობით,
ხულიგნურ გრეხით,
უგნურთა წრეში
სიცილსაც ალწევს, —
მე ვკარგავ მაშინ
სულიერ ძალას!
რა გამაცინებს,
რა მემღერება!!
მეც შენთან ერთად
ჩემო მკითხველო,
დავტირი ამას!!

მაგრამ, როდესაც
ვალმოხდილ გმირებს,
თავგანწირულთა
ჩვენი ხალხისთვის,
თავდადებულთა და წამებულთა
სამშობლოსათვის
გულდვარძლიანი
მოძულე ჩვენი,
გესლიან ენით,
მოურიდებლად
მოიხსენიებს, —
ჯავრი შემიპყრობს
ძლიერი წამში,
კვლავ ქრუანტელი
ისე, ვით ცეცხლი,
გამივლის ტანში,
და სწორედ მაშინ
მე გულით მინდა
რომ ვაჟკაცურად,
(რაც ჩვენ შეგვშვენის)
დამიდგე მხარში,
ჩემო მკითხველო!!
რომ შენთან ერთად,
შესაფერისად და საკადრისად
გავცე პასუხი
ვაჟბატონსა თუ
ქალბატონს ასეთს!!
არ მეცინება
არც მაშინ, როცა
ვინმე „მგოსანი“
ან „კრიტიკოსი“
ახალმოდურად
ქართულის მცოდნე
თავგამოდებით
მარცხნივ მიცოცავს
და ფიქრობს ამით,
რომ ჩვენს მწერლობას
იგი უმაგრებს
მოცვეთილ ფესვებს!..
მას, თანაც, სჯერა,
რომ ახალ ფორმებს,
სულ ახალ წესებს
ჰქმნისა და ავლენს!
დღეს, სავალალოდ
ლექსთსამყაროში
უკვე ბევრია
ასეთი მავნე!
გარდა ამისა,
კიდევ ბევრია,
ვინც რომ წარსულზე
წერს აბდა-უბდებს,
სიცრუეს ურევს,
სიმართლეს კეტავს
და დიდ ილიას
დაღუპვაშიაც
ჯერ „ამოუხსნელ“
მიზეზებს ხედავს!!
არც მე, არც მკითხველს
მაინცდამაინც
ეს არ გვაღონებს,
არ გვამწუხარებს: —
ყველაფერს ამას
დრო მოინელებს,
დრო გადაკარგავს,
ამაზე ნერვებს
ჩვენ ნუ ავიშლით!
ოდესღაც მახსოვს,
პასუხს საკადრისს
ვაძლევდით ხოლმე
ამგვარ ყალიბის
ჩვენს „რაინდებსა“
და ვაჟბატონებს
უხელთათმანო
მარცხენა ხელით,
„მაგრამ სადღაა
ახლა ეს ლხენა!“
დროს თავის მიაქვს,
თან შეუმჩნევლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუძლეველად!..
„არვის ძალუც ხორციელსა
განგებისა გარდავლენა!“
ამას რუსთველი
ჩვენ გვეუბნება.
ამ კანონს იცავს,
მკაცრად ბუნებაც!!
დრო ჩვენც მოგვძებნის
და ჩვენც ნელ-ნელა,
უკლებლივ თანაც,
ამ წუთისოფელს
დავტოვებთ ყველა,
და ისე, როგორც
ბრძანებს აკაკი,
სიმების ქლერით
უტკბეს ჩანგისა:
„ვის შერჩენია,
მე შემჩრეს
გადახდა
სოფლის ვალისა?!“
ჩვენც ,ერს მშობლიურს
ჩემო მკითხველო,
ვუსურვოთ გულით
და მუხლის მოხრით
ცას შევევედროთ,
რომ განვლილ ზამთარს
და გაზაფხულზე
გადატანილი
საშინელების
და უბედობის
რისხვა ეკმაროს,
და მის წარსულში
ყველა ჩადენილ
მძიმე ცოდვათა
მონანიებად
და, მასთან ერთად
სასჯელის მოხდად
ეს ჩაეთვალოს!!

## ტიციან ტაბიძეს

იყავ სპეტაკი, ბავშვივით წმინდა,
არამიწიერ არსების მსგავსი...
ამ მძიმე ღამით, ტიციან, მინდა
შენს მოსაგონრად ავწიო თასი!

ავავსო თასი, რომ, როგორც წინათ,
კიდევ გავათბო დაღლილი გული
რომ კვლავ გაცოცხლდეს, აჟღერდეს
სიმად
ჩვენი ძმობა და ჩვენი წარსული!

დე, თასი იყოს სავსე პირამდე,
რომ შევსვა კრძალვით, ვით ზიარება...
მგოსნებს გზირავდნენ, დევნიდნენ,
კლავდნენ,
ეგ ცოდვა ხალხს ხომ არ დაბრალდება!!

ვერავინ დასძლევს ბედის განაჩენს,
პოეტი ყველგან იყო ბედკრული...
განგება პოეტს ხალხისთვის აჩენს,
რომ მისთვის გახდეს, თუნდაც,
ჯვარცმული!

სიყვარულს ჩვენსას, ცრემლებს და
ლოცვებს,
რომელთაც ერის სუნთქვა თან ახლავს,
დროთა დინება კვლავ გააცოცხლებს:—
მათ ხალხის გულის სიღრმე ინახავს!!

იყავ სპეტაკი, ბავშვივით წმინდა,
არამიწიერ არსების მსგავსი...
ამ ბედშავ ღამეს, ტიციან, მინდა
შენს მოსაგონრად შევსვა ეს თასი!!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ალექსანდრე ქუთათელი**

# ბარათაშვილი

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს
განწირულის სულის კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო
ჩემო, მაინც დარჩება".

ნ. ბარათაშვილი.

ნეტა ვინ მისცა ჭაბუკს ამგვარი
სწრაფვა, გონება, გრძნობა და ნება,
რომ გადალახა ბედის საზღვარი
და დაუტოვა ქართლს ათი მცნება!

უგულო ტრფობის დაჰგმო შაირი,
მდარე სპარსელი მგოსნის ნაირი,
კაცთა კაცობის, ზნის შემხუთავი
და აზეიმა სული უკვდავი.

სირცხვილის ჭირი მოგვხადა ყველას,
როსააჟღერა ჩანგი გრძნეული,
სად ობოლ სულის ხატება ელავს,
სატრფოს თვალებზე ცრემლად ქცეული.

თუმცა არ ზრდიდა ბედი აზიზად, —
ის დარჩა მაინც გაუბაწრავი,
რადგან ჰხიბლავდა ჯვარი ვაზისა,
ვაზი, დამცხრალი ნინოს ნაწნავით.

ის იყო კაცი მიწის და ცისა,
ჩათვლილი ორთავ სამყაროს ღირსად,
იგი ღვთისმშობელს ტანჯვით
გაჰყურებს,
თან აჯადოებს სატრფოს საყურე.

ბუნსა და ღამეს ძლევდა ვაჟკაცი
დილის ნათელით და მზის კაშკაშით.
მთაში მიფრინავს დალალაშლილი
უცხო მხედარი — ბარათაშვილი.

ჩამოიტოვა მთანი ტყიანი,
შემოეყარა გუდამაყარი.
მთაში არაგვის მისწვდა გრიალი
და თქვა სიმღერა მუდამ ახალი.

მისი ქართულის მხიბლავს იერი,
ჰანგი წარმტაცი და მშვენიერი,
ვით რუსთაველის სიტყვის თილისმა
და ლალადისი ავთანდილისა.

ლალადი იგი არ მომწყინდება,
რადგან შესძინა მამულს დიდება,
რადგან მსოფლიო მგოსანთა შორის
ისიც ვიხილე მხარდამხარ მსრბოლი.

მხიბლავს ჭაბუკი მგოსნის ჩვენება,
როცა შევსცქერი ცაში ორიონს
და მესმის შმაგი მერნის ჭენება,
ჰანგი ქართული, საკაცობრიო.

## გალაკტიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გუგუნებდა გელათის ზარი,
იკუპრებოდა კავკასიონი
და როცა ალვებს მიაწყდა ქარი, —
გზაზე გამოჩნდა გალაკტიონი.
გამოეარა ჭაბუკს ქვიტირი,
გეგუთს — თამარის სახლი, ქვითკირი,
ქვაზე ჩამოჯდა ობოლ გვრიტივით
და გულსაკლავად იწყო ქვითინი.
ნანგრევზე იჯდა მაღლა ასული,
სალამურივით იწყო ღუღუნი,
აგონდებოდა ქართლის წარსული,
გელათის ზართა ჰანგი, გუგუნი.
კარგი რამ იყო გელათის ზართა
ჰანგი ქართული, ხმა, სიმფონია
და ვინც იმ ზართა ხმამ, კილომ ზარდა,—
ის ბედნიერი კაცი მგონია.
მგოსანს, შემოქმედს ჭეშმარიტს,
შფოთარს
არ ასვენებდა ერი დაშლილი
ნარნარ, ტკბილ ქართულს უწრთობდა
შოთა,
აღამაღლებდა ბარათაშვილი.
მარად ხიბლავდა მტკვარი, რიონი,
კლდე, ნიკორწმინდა, ქართლის
ცხოვრება,
სატროფოს წამწამზე თოვლის ფიორი
საიქიოშიც ემახსოვრება.
სძულდა სიმდიდრე, ოქრო, ქონება,
მოჩვენებითი ეშხი გოგოთა.
სხვაგან გარბოდა მისი გონება,
ვერ აშინებდა მგოსანს გოლგოთა.
მორბის მოღელავს რიონი, მტკვარი.
არ იკუპრება კავკასიონი.
ხეთა მწვერვალებს ედება ქარი
და მაგონდება გალაკტიონი.

## ისევ დაეძებ

(პავლე ინგოროყვას)

ისევ დაეძებ წინაპართ მიწას,
შუამდინარით გსურს ჰპოვო კვალი,
კვლავ წინაპართა ფუძე-ფესვს ჰფიცავ
და ევფრატისკენ გაგირბის თვალი.
დამთავრდა მგზავრთა მზადება, შფოთი
და ნავთსადგურში გაისმის გონგი.
ჩამოიტოვე კოლხეთი, ფოთი,
ველი და მთები, ირმების ჯოგი.
ნოეს ვეება კიდობნის ტოლი,
ირხევა გემი სამოგზაურო,
უკვე შორს არის პალიასტომი
და გულმოდგინედ ძრავა ხმაურობს.
შენზედ იტყვიან: წარსულს გადაჰყვა,
ჭაღარა ჟამზე დასდოო თავი,
შენ განა მარტო გხიბლავს მალთაყვა,—
იეროგლიფებსაც გამოსდე კავი.
ვერ აიტანე უთვისტომობა,
გსურს მოუძებნო ოჯახი ენას.
გინდა გაჰგლიჯო ქსელი ობობას,
მოსძებნო ენის ხეთური ფენა.
ისევ დაეძებ წინაპართ მიწას,
შუამდინარით გსურს ჰპოვო კვალი.
კვლავ წინაპართა ფუძე-ფესვს იცავ
და ურარტუსკენ გაგირბის თვალი.

## პასტერნაკი

სწრაფ მატარებლის ჰქროდა ვაგონი,
როცა აიღო ლიხის აღმართი.
მგოსანს ჰხიბლავდა კვლავ არაგონი,
აპოლინერი... ატყდა კამათი.
ვუკიჟინებდით: რადა ხარ დენდი,
ფრანგ პოეტებთან რად გიდევს წილი?!
თუმც მასთან ერთად ვიმეორებდით:
ვერლენი, რემბო, ლეკონტ-დე-ლილი...

ბორბლების გრიალს, სარკმელთან
მდგარი,
რიტმის გრიგალის აქცევდა სარკედ.
ძოწეულ ჰალსტუხს ართმევდა ქარი,
როს განთიადი მოადგა სარკმელს.

სარკმლის ჩარჩოში ჩანდა ჩასმული
მუნჯი მყინვარი, თვალით ხილული,
მთაში ტაძარი ცამდე ასული,
თამარ, დემონი ფრთადაცხრილული.

მიჰქროდა მცხეთა, სვეტიცხოველი,
ქართლის დიდება სადაც მარხია.
რევოლუციამ მტერი ყოველი
მოსპო, ნიღაბი ჩამოახია.

სიტყვას ქარგავდა სულ სხვა ქარაგმა,
ვით ყალყზე მდგარი ტალღის ფაფარი
და თუმც მოხიბლა მშობელ ალაგმა, —
დარჩა მგოსანი მიუსაფარი.

კაცი საქვეყნოდ ყველგან ქებული
არყების ტევრში ვლიდა მწირადა,
ადგილი თვისი დამკვიდრებული
რუსეთში არვის არ უწილადა.

სად არის ახლა სხვა ჯადოსანი,
სიტყვის, ვით ნიშნის რომ იყოს მცველი
და ახალ ეშხით კრთოდეს სოსანი,
ვარდი, ყაყაჩო და მინდორ-ველი!?

მან გამოიცნო მშობლიურ ენის
ხმა იდუმალი, სიტყვის მაშხალა
და მყის შაირმა ცისაკენ ფრენით
ზღაპრულ ფრინველის ფრთები გაშალა.

ხან დიდი ბავშვი, ხან გრძნობით
მთვრალი,
გამძლე ჭირისა და ფათერაკის,
ბრძენთა წინასწარ მხედველი თვალით
კვლავ ჩვენს წინაშე დგას პასტერნაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეტიკა

ფერწერა, ძერწვა და პოეზია
სასწაულია, მართლაც, ნამდვილი.
მშვენიერს ბევრი შემოესია
და ვერ აჰხადა კდემის მანდილი.

არას ეტყოდა ბევრს ლეონარდო,
არც რაფაელი, მიქელანჯელო...
განგებამ ჯადო რუსთველსაც ანდო,
თუმცა მოსთხოვა დრომ გასამრჯელო.

თითქო შეჩერდა ჟამის მსვლელობა,
ხალხს სასოება გაუტყიურდა,
როს საიდუმლო ნახეს სერობა,
ქრისტე-მაცხოვრის გვერდით იუდა,

მოსეს თვალებში ჩამდგარი სიბრძნე,
იელვეს რისხვა, უდაბნოს ხვატი.
მაგრამ უმალვე სიკეთე იგრძნეს,
როცა მაცხოვრის იხილეს ხატი.

კაცს ჩაეღვარა გულში სინაზე
და მოეკიდა მაცხოვარს მოყვრად,
მყისვე დაიწყო ჯვარცმის წინაშე
ქვითინი, გლოვა და მუხლის მოყრა.

ხალხი შეესწრო ატომურ ხანას,
ხანძრის მოლოდინს და „სულთათანას“,
მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გვიან
კაცთა მოდგმის ხსნა, თუ კაცნი გვქვიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლალი თოთაძე

## ისე კარგია

მე აღარ მინდა ჩემს თავთან დავრჩე,
გავუმასპინძლდე ტკივილს და ვარამს,
ვერც შევსახლდები ვერაფრით სხვაში,
სხვისთვის ადგილი არავის არ აქვს.

ზღვა ბორგავს დილით, ბორგავს ღამითაც,
მთავაზობს თავის ძალას და სითბოს,
დაბლა ვეშვები ჩემი თავიდან,
სირინოზების ხმა მესმის თითქოს.

ზღვის ბულბულია, ხმა რომ აქვს მწველი,
ამღერდება და თვალებს მინაბავს,
არ შემკრას არვინ, საკუთარ ძვლებზე
ჩემი ძარღვებით არვინ მიმაბას.

ზღვაც ალბათ იმედს ალერსით უვლის,
აქვს ველ-მინდვრები, ლილო და ჭრილო
და მაინც დიდი და მარტოსული
ისიც ნაპირზე გადმოღვრას ცდილობს.

ერთი ვარსკვლავი და ერთი ცრემლი
ერთი სიკვდილი და ერთი შვება,
უეცრად მთელი სამყარო ვრცელი
პატარავდება და იკუმშება.

ცასა და მიწას რაც აბადია,
ეტევა ღმერთის უხილავ პეშვში
და ერთმანეთთან ისე კარგია,
თითქოს ვსახლობდეთ პატარა მზეში.

## ისე სახლდება

ჩემს ცრემლს ვიღაცის ცრემლები ერთვის,
ჩემს ყურს ვიღაცის გოდება ესმის,
როგორც ღვთისმშობლის სხეულში ღმერთი,
სიკვდილი ისე სახლდება ჩემში.

მადლობა სიკვდილს, ყველას რომ ეტრფის,
ყველას ატყვევებს იდუმალ ხმებით,
არის ნუგეში; ვიქნები ფერფლი,
ჩამოვირღვევი ძვლებიდან შვებით.

ღმერთო, მომკალი ჩემს შვილზე ადრე,
ჩემს მცირე სისხლზე არ მინდა ცრემლი,
შვება არგუნე წინაპარს დაღლილს,
წარსულში ისიც შვილია ჩემი.

სხვა რაღა მინდა ამაზე მეტი,
ამაზე უფრო სხვა რაღა შემშლის,
როგორც ღვთისმშობლის სხეულში ღმერთი,
სიკვდილი ისე სახლდება ჩემში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნუ გაგონდებათ

რად გინდათ ჩემთან ეს სიმკაცრე, რად გაგონდებათ
ჩემი თვალები შეწირული წარღვნის ამინდებს,
გემუდარებით, ნუ მიწყრებით, მომეცით ნება,
ჩემი ძვლებიდან არსად წავიდე.

დავძრწივარ ისევ, ალტაცება სადაც მეგულვის,
სადაც ხელახლა მერამდენედ ისევ ვიწყებ.
გადარჩენილი სიყვარულით გალაღებული
ქრისტეს გარღვეულ სამარეზე ბოლავს სიტყვები.

ხოლო სიკვდილი წამებულის რაკია ჩვენი,
იქნებ ჩვენც მოვკვდეთ ერთმანეთის მსგავსად და ერთად,
ვგავარ კიდობნის და იმედის გარეთ დარჩენილს
და ზეთისხილის მწვანე ტოტი არ მოაქვთ ჩემთან.

წაიყვანს ღმერთის კიდობანი ბოროტს და კეთილს,
თქვენ გადაგარჩენთ, მე შემმოსავს წყლის მწვანე ფარჩით,
თითქოს თქვენა ხართ ნახევარი, მე რომ მომკვეთეს
და ნახევარი სასიკვდილოდ ტალღებში დავრჩი.

იცოდეთ მაინც, მაგ სიცოცხლის ნაწილი მეც ვარ
და, როცა მზე სულს გადამიქცევს პატარა ქარვად,
წამილებს ტალღა, მიმასრისავს კმაყოფილ ზეცას,
რომ წარღვნის შემდეგ ერთადერთმა გიხილოთ მკვდარმა.

ნუ გაგონდებათ დაწყევლილი თვალების ჩრდილი,
ჩემს გრილ ცრემლებში არეული ზეცა და ხომლი,
ბედნიერი ვარ თქვენს გარეშეც, რადგან სიკვდილი
გაყინულ ტანზე მთვარესავით ამომდის ხოლმე.

## და, როგორც ხოხობს

სულ სხვანაირი შეხვდები აისს,
მზეც სხვანაირი ზოგჯერ ამოვა,
ისეთი არის ზოგი დღე მაინც,
როგორც უეცრად ღმერთის წყალობა.

მოგოგმანდება ხანდახან წელიც,
არც ტანჯვას ეძებს და არცა მშველელს
და, როგორც ხოხობს ელვარე ყელი,
ულამაზესი თვე დაამშვენებს.

მაგრამ ის წელიც გეწვევა რისხვის,
რომელსაც მალავ და ზრუნვით უვლი
და დაიღვრება სისხლივით ნისლში
შენი სახელი, რბილი და კრული.

მოვა დრო რისხვის, ტანჯვის და შიშის,
აილოკება სიმწრის მარილი
და შენი წლების უცნაურ მწკრივში,
როგორც დასჯილი, ისე ჩაივლი.

ბოლოს ეს წლები, ზეცა რომ დამზერს,
დაქანცულები შენთან ჭიდილით,
შენი ძვლებიდან პატარა ქვამდე
გაიდებიან ბეწვის ხიდივით,

და ზედ გაივლის ის ღმერთის წელი,
არ დაუძახებს ცასა და მშველელს
და, როგორც ხოხობს ელვარე ყელი,
ულამაზესი თვე დაამშვენებს.

ეროვნული

## მე მახსოვს

მე სიკვდილამდე სიკვდილი მაკრთობს,
სიცოცხლეც, თავის კეკლუცი სახით
და, როცა გვტოვებს ორგული სატრფო,
ცარიელდება პატარა სახლი.

კედელზე მკვდარი სიტყვების ხავსი,
ჩვენი ძარღვების ბრჭყვიალა ქსელი,
სახლი თბილი და სახლი ძვირფასი,
სახლი უცნობი და მაინც ჩვენი.

მე მახსოვს მშობლის პატარა სახლიც,
სადაც სიზმრადაც აღარ ვბრუნდები,
ჩამოპარული მზის სხივი სხვენში,
ობობას ოქროს აბლაბუდები.

მე ვხედავ თავის პატარა ჩრდილით,
კუთხეში დამჯდარს და წელში
მოხრილს, —
ასეთი მახსოვს ჩემი სიკვდილი,
წყნარი ზუზუნით და წყნარი ოხვრით.

მიქსოვდა ჩემი ძარღვებით ჰერანგს,
აწერდა ლოცვას და თავის წყევლას
და მშობლის მზეში ჩაქცეულ მზერას
ხელს უჩრდილავდა და მავიწყებდა.

ვინ იცის, არც კი მყავდა მშობელი.
ობოლი მოველ დაღვრემილ სახით,
და ლოკოკინას ნიჟარა ძველი —
დამქონდა ძვლებით პატარა სახლი.

გზა იყო თეთრი, ფართო და სწორი,
მზე იცინოდა და ცრემლს აშრობდა,
იძახდა ვიღაც ჩემს სახელს ძრწოლით,
მკვდრის სიზმარივით ვნახე ბავშვობა.

მე მახსოვს სახლი, თბილი და ძველი,
სიზმრის, ზღაპრის თუ არყოფნის
მსგავსი,
ჩემი ძარღვების ბრჭყვიალა ქსელი
და არშობილი სიტყვების ხავსი.

## მათამამებს

იწყება ფიქრი და ტკივილი დილაადრიან,
ვეძებ მზერაში არყოფნის ცას და მართალთ მფარველს.
მე მეხმარება ჩემი ჩრდილი, როცა დავდივარ,
როცა მზე არის, წინ მიმიძღვის და მათამამებს.

საიდან გაჩნდი, ჩემო ჩრდილო, რით გამოგძერწეს,
მზის თამაშიდან, თუ პირველი თიხის ჩრდილიდან,
ვინ იყო შენი მეგობარი და შენი შემწე,
ვინ გპატრონობდა, ვინ გხიბლავდა და ვინ გივლიდა.

თავად შენ ვიღას ათამამებ, ვისი ჩრდილი ხარ,
შენ ჩემო თავო, ვისი ხარ, ვინ ხარ,
ვის წინ მიდიხარ, უჩინარი შენი ტკივილით,
როცა ატირებს სახემკვდარი უფალი თიხას.

ვის წინ მიდიხარ, ვისი მზერა მოგდევს კეთილი,
ვის უფრთხი ნეტავ, ცრემლიანი საითკენ გარბი,
ან თიხა რაა, უთვალავჯერ სახეშეცვლილი,
საკუთარ სახედაკარგული, უხვი და ხარბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოფიტული, გამომშრალი ისიც ლანდია,
ჩემი მზერიდან ევედრება კვლავ ცათა მფარველს,
ამიტომ, როცა ბორძიკით და ტანჯვით დავდივარ,
მე მეხმარება ჩემი ჩრდილი და მათამამებს.

## მითვალთვალებენ

ივსება ზეცა მკვდარი ჩრდილებით,
ნათდება წუთით და როდი თბება,
მცხრალ მთვარესავით როცა ილევი,
ჩემო იმედო და მოთმინებავ.

მანამდე, სანამ ღმერთი დამსჯიდა,
ჩემს ძვლებზე ჩემი ნებით დავები,
ამიტომ ყველა ბნელი ფანჯრიდან
მითვალთვალებენ ჩემი თვალები.

ჩემი იმედი — მნათობი ძველი
ჩემში გაღნა და ჩემში ჩავიდა,
ახლა კარებთან მდარაჯობს მკვლელი
გაძევებული ჩემი თავიდან.

ვირღვევი შვებით და ისე ვქრები,
რომ ველარა ვთქვა ვერასდროს: მე ვარ,
და ჩემი ცაში ჩაყრილი ხმები
მაცხოვრის სავალს ანწავლის მდევარს.

ღმერთო, შენამდე ნეტავ რა მრჯიდა,
საკუთარ ძვლებზე რატომ დავები,
ყველა საეჭვო ბნელი ფანჯრიდან
მითვალთვალებენ ჩემი თვალები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინა დონჟაშვილი

# გონჯაურა

## რომანი

### ნაწილი პირველი

კარი მორიდებული ჭრიალით გაიღო. უთენიის სუსხი მოლილისფრო ტალღებად მიეძალა ოთახიდან ფეხაკრეფით გამოსულ კაცს. მან ღრმად ჩაისუნთქა გრილი ჰაერი და შავი სატინის ხალათი სარტყელსავით შემოეკრა მის განიერ გულ-მკერდს. თავი თალიანი აივნის სვეტს მიანდო და ვიწრო, ღრმადჩამჯდარი თვალები დასავლეთს მიაპყრო. იქ ჯერ ისევ ღამე იყო, მაგრამ ის ხედავდა ერთმანეთზე მიჯრით მილაგებული მთების ქარგას, უფრო ბნელშიც დაინახავდა. ძალიან ნაცნობი იყო ის ქარგა.

მთების გამოლმა ხელისგულივით გაშლილ, თვალუწვდენელ ველზე ალავერდი ილანდებოდა, და მისი სითეთრით შემკრთალი ბინდი ულმობლად ეურჩებოდა გათენებას, ფერწასული ედებოდა ღობე-ყორეს, სახლებს, ხეებს, ბუჩქებს.

სადღაცა მჭახედ იყივლა მამალმა. ხმადაუმდგარი მამლაყინწები ძილღვიძილში გაეხმიანენ გათენების სულწასულ მაცნეს და ისევ წასთვლიმეს.

სადღაცა ძაღლმა წამოიყეფა, მაგრამ ბურანს თავი ვერ გაართვა და უწყინარი ღრენით ჩაყუჩდა.

ალვის ხეზე ყვავმა წამოიჩხავლა, მასაც ეადრევა და ისევ ჩაძვრა თავის გაწეწილ ბუდეში.

საკვამურები უსაქმურად ისხდნენ სახურავებზე — ადამიანებსაც ეძინათ ჯერ.

ჰო, ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო — თვალმისაწვდომი სამყარო მშვიდობიან ღამეს ითევდა და კაცმა აუჩქარებლად ჩაიარა კიბე, ტანშიშველა ვაზებშუა შავად მბზინავ ბილიკს დაადგა. ბილიკზე დავარდნილ უსიცოცხლო ფოთოლს შეასწრო თვალი, დასწვდა და აიღო, ის ხომ ქადრის ტოტზე მოშრიალე უნახავს... მაგრამ ამ ფიქრს ველარ გაჰყვა, ჩურჩული მოესმა. ჩურჩულს წკრიალი და კისკისიც შეერია. კაცმა ნაბიჯი ააჩქარა. არ შემცდარა — წყაროს გაღვიძებოდა. გასიფრიფანებული ყინულის ნაზზარებში ამოხეთქილი წვრილი ნაკადები, ბროლის ციგებზე შემდგარი ეშმაკუნებივით მისრიალებდნენ ქვევით, ქვიდან ქვაზე, ქვიდან-ქვაზე და მოსახვევში უჩინარდებოდნენ. წყაროს უბეებში შერჩენილი თოვლის ჩამუქებულ ქუფთებზე ენძელები ციალებდნენ, უმანკო, საყვარელი ენძელები...

კაცმა ჩაიმუხლა, ქვიშით მოიხეხა დიდრონი ძარღვიანი ხელები, პეშვით შეისხა სახეზე წყალი, სველი ხელი გა-

დაისვა საფეთქლებთან შეთეთრებულ თმაზე, კისერზე, საკინძეშეხსნილ მკერდზე და წელში გასწორდა. შეიცადა სანამ სიო შეუშრობდა აწითლებულახორკლილ კანს და მერე განაგრძო გზა.

მალე გვერდი უქცია თემშარას, ფერდობს აჰყვა — დრო დაზოგა და მანძილი დაიმოკლა. იცოდა: სხვა არავინ და არაფერი, მხოლოდ დრო იყო სიკვდილ-სიცოცხლის მომრიგებელი, და სიკვდილისთვის ენანებოდა სიცოცხლის ყოველი წამი. ფერდობის ქიმზე წამომდგარ ნამეხარ მუხას რომ მიაღწია, მაშინ შედგა და პირი იბრუნა.

გარიყრაჟი ოქროს ხაზებით დატიხრული ფერადი მინანქრის ხატივით ეკიდა სივრცეში და თეთრი კელაპტარივით იწვოდა ალავერდი. ის უძირო და უკიდეგანო, ის ხელთუქმნელი ხატი აღიარებას მოითხოვდა, და ეს კაცი ალბათ წარმართი იყო, ალბათ შორადშორეულ წინაპრებმა დაანათლეს თავისი წარმართული რელიგია, — აღქმის უნარის საწყისიდანვე ბავშვი — ბავშვურად, ჭაბუკი — ჭაბუკურად, კაცი — კაცურად, უჩინრად და უთქმელად აღიარებდა ამ რელიგიას.

და ახლა, მუხასთან უძრავად მდგომს, გულგონებით გაშუქებული თვალები სათაყვანებელი ხატისათვის მიეპყრო, და ყოფიერებას მოწყვეტილი მთელი მისი არსება მიისწრაფოდა იქით, სადაც დიად იდუმალებაში იბადებოდა ახალი დღე...

## თავი პირველი

ეს დიდი ხნის წინათ იყო. სოფლის ნებამოდუნებულ, თითქოს ერთიანად დაყრუებულ-დამუნჯებულ კრებაზე ალექსანდრე რჩეულიშვილიც შავ სიაში შეიტანეს და ირმისიდან აყრა დაუდგინეს.

ოჯახი ქალაქს იხიზნებოდა.

— მე არ წამოვალ, მამი, — თქვა ცამეტიოდე წლის ბიჭმა.

ხმადაბლა თქვა, მაგრამ მისი ნათქვამი მეხივით დაატყდა მამას და სოფელთან გაყრის ტკივილი დაავიწყა. ის თავის თავთანაც არასდროს გამოტეხილა, რომ ვერ იქნა, გული ვერ მოუერია, ვერ აპატია ბიჭს, დაბადებით დედა რომ შეიწირა. ჩასახვიდანვე კი ეტრფოდა ამ პირველას. ჯერ დაუბადებელს ყოველდღე დაბადებას ულოცავდა. მის სადღეგრძელოდ ყოველდღე პირსავსე ჯამს სცლიდა. მის სახელობაზე ხეხილებს რგავდა, და როგორც თოთოს უალერსებდა მათ. იმ საათს კი ბავშვი რომ იბადებოდა, მელოგინის სასთუმალთან ატუზულმა სიკვდილმა უდიერად წამოსდო ცელი მის სიხარულს და ნანატრი შვილის შეყვარება გაუძნელდა.

გლეხკაცის ოჯახი უდედაკაცოდ რას ივარგებდა, და მამამ მალე მეორე ცოლი შეირთო. მეორე ცოლთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მასთან შეძენილი ქალ-ვაჟიც თანაბრად უყვარდა, ეს პირველა კი მუწუკივით შერჩა გულს, უკურნებელი სენივით დაურჩა.

ახლა კი, როცა ოჯახი სოფელს ეყრებოდა, როცა ირმისში რჩებოდა ბაღ-ვენახი, კარ-მიდამო, როცა უხეშად იგლიჯებოდნენ ნალოლიავებ მამულში გადგმული ფესვები, და ამ უკანასკნელ წუთს მამამ გაიგო, რომ აქ რჩებოდა მისი პირველაც — მუწუკის მოულოდნელად აწიწკნამ არარად მოაჩვენა ყველა სხვა ტკივილი.

— რას მიჰქარავ? — შეაკვნესა წარბშეკვრით, ხორხთან გაჩხირული სამსალასავით მწარე ნერწყვი რომ გადაყლაპა.

— ვერ წავალ აქედან, — ჩუმად გაიმეორა ბიჭმა. თავდახრილი იდგა. წინ წამოწეული კოპებიანი შუბლი სახეს უჩრდილავდა. წლოვანებასთან ქუსაბამოდ ბეჭგანიერი, უშნოდ მოჭრილ მორგვს ჰგავდა.

სიმწრისაგან თვალდაბინდული მამა ვერ ამჩნევდა, რომ ბიჭს, მამის მიალერსების მწველი სურვილის დასამორჩილებლად, თითებით მაგრად შეებოჭა ძირს დაშვებული მკლავები.

— ვერ წამოვალ... — თქვა ისევ და ნელა ასწია თავი.

მის ვიწრო, წენგოსფერ თვალებში მამა გაუტეხავ ურჩობას შეხვდა. სოფლის სასტიკი განაჩენით გაყინული კაცი ამ ანაზდეულმა ტკივილმა გაალხო, ხმელ ლოყაზე ნამი გადმოადინა.

ბიჭს მოეჩვენა, რომ სიბრალული გულს უგლეჯდა და ისევ დახარა თავი.

მამამ გამეტებით აჰკრა თითი ლოყაზე დაგორებულ ცხელ კურცხალს, თითქოს ხიდი აჰყარა, აჰყარა თავისსა და თავისგარე სამყაროსშუა, გამოცარიელებულ ცისქვეშეთს შეავლო თვალი და ბიჭს გულგრილად ჰკითხა.

— აქ რა ჭირმა უნდა გარჩინოს?

ბიჭმა ეგ არ იცოდა და თავდახრილი უხმოდ იდგა.

— ეგდე, მე რა, კოლექტივს მოჯამაგირედ დაუდგები, — გამოსცრა მამამ კბილებში, არაფრის თქმას აღარ აპირებდა, მაგრამ ენის წვერს თავისთავად მოწყვეტილი სიტყვა სილასავით გაეწნა ბიჭს სახეში:

— გონჯაურავ!

ღმერთმა იცის, მამაშვილის ამ მოკლე შესიტყვებას ვინ მოჰკრა ყური, ვინ გაიმეორა „გონჯაურა“, ბიჭს ეს სახელი ისე სწრაფად მიეწება, თითქოს ნათლობის ქაღალდი და შიგ ჩაწერილი „ალექსი“ სულაც არ არსებულაო. ბიჭმა იმ დღესვე გაიგონა, კოლექტივის თავმჯდომარემ დიტო ხირსელმა თქვა:

— იმ კულაკმა ალექსანდრე რჩეულიშვილმა თავისი გონჯაურა განზრახ დაარჩინა აქ, რა არი, ჩამორთმეულ კარ-მიდამოს უთვალთვალოსო!

ეს გაიგონა ბიჭმა და მამისეულ სახლს ხელუკულმა ქვა მიაგდო, მოხუც მეზვრეს, სანდრა-პაპას შეეკედლა.

სხვის გულში ჩამხედი ვინ არი, ისიც ჯერ პატარა ადამიანის დაუდეგებელ გულში? ვინ გაიგებდა, იმ ბიჭს რა იზიდავდა, სიმარტოვეში ლაპარაკსაც კი გადაჩვეულ მეზვრის ქოხისკენ?! არც თვითონ ბიჭმა იცოდა, სანდრა-პაპას ქოხში რა უზღავდა ნაკლულ ალერსს და სითბოს, მის გვერდით ბუხართან უხმოდ მჯდომს გულს რად უჩქროლებდნენ მოგიზგიზე ცეცხლით დახატული სურათები, ან ქოხის კედელთან მიდგმულ მერხზე უხმოდ მსხდომნი რომ უცდიდნენ შორეული მთების თავზე ცისკრის აკიაფებას... საიდან ეცოდინებოდა, რომ დედის ხორციელი მშვენიერება მისმა სულმა იმკვიდრა და სილამაზის სამუდამო მონად აქცია...

იმ დღეს სანდრა-პაპა ქალაქისაკენ მიმავალ, ბოხჩააკიდებულ ხალხს რომ წააწყდა, სირცხვილმა ალი დაუნთო ჩამიჩივით მიმჭკნარ ლოყებზე. თანასოფლელებს თვალი აარიდა, გულდახურული წამოვიდა შინისკენ. „რა ქნეს, ეს რა ჰქნეს... რაც კაი გლეხი იყო, ისინი აჰყარეს სოფლიდან... ეს რა ჩაიდინეს კაცოო...“ — მიბუტბუტებდა ბოღმით აღვსილი.

ბიჭი ქოხთან რომ დახვდა, არ გაუკვირდა, არც არაფერი ჰკითხა. უხმოდ მოიშველია, მზეზე ნაფიცხი სურნელოვანი ნამჯა სუფთა ჭილობში ამოუკერა და ლეიბად დაუგო ტახტზე, ზედ ფერადი ნაკუწებისაგან შეკერილი საბანი დააფარა. მერე ჩვეულებრივი საქმეც ერთად ჩაათავეს და გარეთ, მერხზე ჩამოსხდნენ. ისხდნენ ვიდრე რძისფერი ორთქლი შეიწოვდა გრძნებით შეკრულ თანავარსკვლავედს, ვიდრე ხელისგულივით გაშლილ ველზე კელაპტარივით აინთებოდა თეთრი ალავერდი, ვიდრე მზე ნაცნობი ტაატით წამოვიდოდა ქოხისკენ...

მალე პირველი სექტემბერი ჩამოდგა.

ბიჭმა მზის ამოსვლამდე გაიხეხა ტანი ირმისხევში, აფშიკულ ქოჩორს თუშური ქუდი დაატკეპნა, გაპრიალებულ მესტებს ნაბდის ნაგლეჯი გადაუსვა და წიგნებით გატენილი ჩანთით გაჰკურცხლა სკოლისკენ, თავის მერვე კლასს მიაშურა.

ქოხის ზღურბლზე გამოსულმა სანდრა-პაპამ ბიჭის გზას ჯვარი გადასახა და სიამით გააქნია თავი: „ჰეი-ი, როგორ გარბის! ამ დილაბნელზე სკოლის კარს ვინ გაუღებს?!“

ნეტა ასე არ აჩქარებულიყო ის ბიჭი, ეგებ იმ არგასაშვებ, იმ ეშმაკის

ფეხს, იმ ენატარტარა გოგოს არ შეჰყროდა. სახსენებელიც არ იყო ის ერთი ციდა გოგო ხატულა, შარშან ამ ბიჭმა ხელჩაკიდებული რომ მიიყვანა პირველად სკოლაში. ან ის რაღამ აახტუნა ასე ადრე? ეგებ დიდი ხნის უნახავი მეზობლის ნახვა ენატრებოდა, თავის რაინდთან და ქომაგთან შეხვედრა ეჩქარებოდა? მაშ მის დანახვაზე შუბლი რადად შეიკრა? ეგებ იფიქრა, ბიჭი მიუხვდა ნატვრას და იმიტომ იღიმება? ვინ იცის, რა მოეჩვენა, ან რა იფიქრა ხატულამ, შუბლი კი შეიკრა და ქვეყნის მბრძანებელივით ამპარტავნად ჰკითხა:

— შენ აქ რა გინდა? ეხლაც გაიპრანჭები შენი ხუთიანებით?

ბიჭს გაეცინა. ენძელას ჰგავდა ის პატარა, ფაქიზი გოგონა.

— რას იცინი?

ბიჭი ისევ იცინოდა. ხომ ვერ ეტყოდა, რომ სკოლის კართან ენძელებივით გაბნეულიყვნენ პატარა თეთრი კაბები, თეთრი ბაფთები, ქურციკის ტყავის პატარა თეთრი მესტები...

— რა გაცინებს-მეთქი? — კაპასად შეაყვირა გოგომ. — შენ ხო კულაკი ხარ! არ იცი, კულაკებს სკოლაში აღარ შეუშვებენო?!

გოგომ პაწია ცხვირი აბზიკა, თითებით კაბის კალთა შემოიკრიფა, და ბაფთების ცანცარით, კალიასავით გადახტა კუტიკარს და ეზოში შეჩერდა, პასუხს დაუცადა. მაგრამ პასუხი იგვიანებდა. პატარა გოგომ ეს ბიჭის უყურადღებობად მიიჩნია და იწყინა. გაჯავრებული შემოტრიალდა.

ბიჭი აღარ იცინოდა. არც პასუხის თქმას აპირებდა.

— ჰი, ხო ჩაგივარდა ენა! — ნიშნის მოგებით უთხრა გოგომ და ვერ მიხვდა, უცებ რამ შეაშინა. ეგონა, მისმა ნათქვამმა ბიჭს მართლა ჩაუგდო ენა. ხატულა სულაც ვერ ერკვეოდა სოფელში მომხდარ ამბებში, გაგონილი ჰქონდა, ალექსის მამაც კულაკებში ჩარიცხესო, ჰოდა, გაგონილი გაიმეორა. მერე რა? დიდებმა სადაც უნდა იქ ჩარიცხონ ერთმანეთი, ალექსიმ კი, როგორც ყოველთვის, ეხლაც უნდა დაამშვიდოს ხატულა, ხელი მოჰკიდოს, მოეფეროს, ნახოს ხატულას... შესრულებული საზაფხულო დავალება...

მაგრამ ბიჭი გაუნძრევლად იდგა და ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუმული. გოგოს უცებ ისიც მოეჩვენა, რომ ვიღაცამ ანთებული სანთელივით ჩააქრო ბიჭი. შეშინებულმა ცრემლები ველარ შეიკავა, და რადგანაც ბიჭი ისევ ტუჩებმოკუმული, თვალებჩამქრალი, გაუნძრევლად იდგა, აწჩხლად მიაძახა:

— უუ, მუნჯო! გონჯა! გონჯაურა!..

მიაძახა და გაიქცა.

შებინდებული იყო, ბიჭი შინ რომ დაბრუნდა.

„დაილოცოს სწავლა-განათლების მადლი და ძალი! ბიჭი ერთ დღეში ქაბუკად აქცია. ისწავლის და ერთ დღესაც ჭაბუკი ეგრე ერთბაშად დავაჟკაცდება?“ — ისევ სიამით გაიგლო გულში სანდრა-პაპამ და უჩვეულოდ აფუსფუსდა. მერხზე ჩამომჯდარ ბიჭს ჯამით ცივ-ცივი ლელვი მიუდგა და თვითონ შინ შევიდა, გაკვეთილების მოსამზადებლად მაგიდა მოუცალა, ლამპა ნავთით აავსო, მესტები დაუპრიალა, დილაზე სკოლაში წასაღებად პური და ყველი შეუხვია და წინადამენათევი, სიხარულით დაღლილი, ადრიანად მიწვა დასაძინებლად.

დილით კი საუზმეც ხელუხლებელი ნახა, მესტებიც თაროზე ელაგა, წიგნების ჩანთაც კედელზე ეკიდა. გული გადაუქანდა მოხუცს. აქეთ ეცა იქით ეცა, ეძახა და ეძება. ბოლოს შორეულ ზვარში მიაგნო, სადაც კვირისთვის ჰქონდა დაბარვა ნავარაუდევი.

ბიჭი საქმეს ისე შებმოდა, როგორც ადიდებულ ირმისხევში გადავარდნილი კაცი შეებმებოდა ზვირთებს. შუბლიდან წურწურით ოფლი სდიოდა, ნარმის პერანგი ბეჭებზე დაჰკროდა. ბარის თითო დარტყმაზე სამი ბელტისოდენა მიწას აწვენდა გულაღმა. მისი ყურადღება ისე დაეპყრო იმ ამობრუნებულ მსუყე შავმიწას, რომ მეზვრის მოსვლა არ გაუგია, სანამ მისი ჩრდილი ბარის ტარს არ დაეცა. მაშინ კი წელში გას-

წორდა. ხელით მოიწურა შუბლიდან ოფლი და თვალებით გაუღიმა, გაამხნევა დაძმარებული მოხუცი. პირი კი თითქოს ამოუქოლესო, და სანდრა-პაპასაც კითხვა ენაზე შეაცივდა. მიხვდა ბიჭს კვლავ უსამართლო სიტყვა წამოეწია...

იმ დროს სოფელში ვინ დაეძებდა, რამდენი გოგო და ბიჭი დადის სკოლაში, ან რამდენი მოწაფე გამოაკლდა კლასს. მუშახელის ქესატობა იყო, და თუმცა გონჯაურა მეკომურთა სათვალავში არც ირიცხებოდა, მისი ადრიანად მომძლავრებული მარჯვენა ღვთისწყალობა გახდა სოფლისათვის. სანდრა-პაპას წელმრავალი შრომით გაცვეთილ ძვალ-რბილსაც ეამებოდა მისი მხარი. მაგრამ ხანმა სხეული დაუძაბუნა, გონებას კი ჩინი და გულისყურიც გაუმახვილა. ამიტომ მან ყველაზე ადრე დაინახა, რომ უსამართლობა ვერ ჟანგავდა ალექსის გულს, რომ თავისი განცდების თავშესაფარს ის შრომაში პოულობდა, ალოოს მიჰყავდა იმ თავშესაფართან, და მოხუც მეზვრეს თავათ ჰქონდა გამოცდილი იმ თავშესაფარის უბადლო სანდოობა. და სანდრა-პაპამ ყველაზე ადრე იგრძნო, რომ შრომა ალექსისათვის ჩვეულებრივი შრომა კი არა, სიმღერაა — ქართველი მევენახის სისხლში ოდითვე ამღერებული სიმღერა, რომელსაც სიტყვაძვირი ჭაბუკი უხმოდ გამოხატავდა თავისი ძალოვანი მარჯვენით...

...ცხოვრება შეუპოვრად მიიკვლევდა გზას ეკლიან ბარდებში.

ალაზნისპირა სოფლები წელს იმაგრებდნენ. ტრაქტორების ხმაური თანდათან გაუტკბა უნდობლად განზე გამდგარ გლეხკაცს. სადღაცა ჩაიძირა გუშინდელი წყენაც, უკმაყოფილებაც. თვალდათვალ იცვლიდა სახეს და იერს მინდორ-მთა-ველი. იცვლებოდნენ ადამიანები, — იცვლებოდა მათი ხასიათი.

მეტი ცვლილება რა იქნებოდა, ტრიბუნაზე სანდრა-პაპა ავიდა! მისი ხმა ვილას ახსოვდა, ბევრს ეგონა, სიკვდილს მივიწყებულ მოხუცს აღარც ყურთ ესმის, აღარც ამ ქვეყნისა გაეგება რაო. სანდრა-პაპამ კი მათ თვალწინ, თავიდან მოხდილ ნაბდის ქუდთან ერთად, თითქოს ორმოციოდე წელიც გაწია განზე და მიმხმარი გულმკერდიდან წამოსული მოულოდნელად ომახიანი ხმით დაიწყო:

— უწინა, სიყმედაბნელებული ბატონი მეზვრეს რო დაიყენებდა, ის მეზვრე ყმებს იქირავებდის ხოლმე, ისინი იდგამდნენ წელებზე ფეხს, იმათა სძვრებოდათ სული ბატონისეული ზვრების მოვლაში. უწინ იყო-მეთქი ეგრე! მერე ბატონობამაც ჭირი მოგვჭამა, ბურჟუობაც გათავდა, კოლექტიობამ მოგვისწრო...

ხალხი გაინაბა. დიტო ხირსელმა ბეჭებშუა სიცივე იგრძნო: ამ გადაყრუებულს პოლიტიკას ვინ აკითხებს, ემანდ არა შეეშალოს რა, თავში ქვისსახლელი საქმე არ გაგვიხადოსო.

სანდრა-პაპა კი თავისას განაგრძობდა:

— ბნელსა და კაცთაგან საძრახისს საყოველთაოდ ბოლო დაადგა, მარტოკა ჩვენ მივდევთ ძველ გზასა...

— აბა რას ამბობ? — გააწყვეტინა სიტყვა ხირსელმა, — რომელ „ძველ გზას“ ახსენებ? ყველას ერთი გზა გვაქვს ნაჩვენები და ჩვენც იმ გზით მივდივართ, არც არსაით გადაგვიხვევია ,არც არავის ჩამოვრჩენილვართ!

სანდრა-პაპამ დაცინვით მოჭუტა თვალები და ისევ განაგრძო:

— საით უნდა გადაუხვიოთ, ძლივ სწორ გზაზე გამოვედით?! არცა ჩამორჩენასთანა მაქვს ეხლა საქმე, მოთმენა და გაგება უნდა იქონიოთ! ძალიანაც უარზე დასდგე, ჩვენო თავმჯდომარევ, მაინც ვიტყვი, რო ზოგ რაღაცეებს ძველ ყაიდაზე ვჩარხავთ! თავდაპირველად არტელი რო შევკარით და ზვრები გავაერთიანეთ, დაგავიწყდა რა იყო? გულგრილობამ, მოუვლელობამ და ერთმანეთის წამხედვარობამ ვაზი ლამის მთლად გაგვიჩანაგა, ეგრე არ იყო? ეხლა კარგა დაფიქრდით და მოიგონევით, როდიდან ითვლით ამ ჩვენი საკოლექტიო ვენახების სიკეთეს? თქვენ თუ ვერ გაგონდებათ, მე გეტ-

ყვით: სწორედ იმ წლიდან, რა წლიდანაც ალექსი თავისი ნება-სურვილით დაგიდგათ მეზვრეთ. სახელათ „გონჯაურა“ რომ მიაკარით, იმას აქეთა პირზე გაკეერიათ, გონჯაურას მარჯვენა დალოცა ღმერთმაო, ღმერთმა დიდი დღე მისცესო, ღმერთმა მისცეს სიკეთე და ლხენაო, ეგრე მიაჩვიეთ ყური და დღემდე ღმერთის ხარჯზე გასდიხართ ფონსა! იქნება იმედი გაქვთ, შრომადღეების ანგარიშსაც ღმერთი გაუსწორებსო?

ხალხში მითქმა-მოთქმა ატყდა. თავმჯდომარეს შიშმა გადაუარა და ახლა უხერხულობისაგან დასცხა. თავისი წინდაუხედავი სიტყვა ახსოვდა, ცუდუბრალოდ აწყენინა ბიჭს. იმ ძველს ახლა ეს ახალი დანაშაულიც მიემატა! თავის თავზე გაჯავრებული ხირსელი სანდრა-პაპას წამოუდგა შუბლშეკრული:

— შენ იმის ადვაკატად ვინ დაგაყენა?

— სვინდის-ნამუსმა! — მოუჭრა მოხუცმა, — რაო, ეს ხილი ხო არ გაგძვირებიათ? მაშა, თუ გლეხკაცი თავისი ოფლით აპოხიერებდა მიწას და სანდროს მოჯამაგირესაც მოიშველიებდის ხოლმე, იმას კულაკი დაარქვით და სოფლიდან ავყარეთ, და თუ კოლექტივსა ჰყავს მუქთი მოჯამაგირე, ეგ არაფერიაო? აბა რომელ ახალ კანონში სწერია ეგრე, მაჩვენე!

— რას ურევ, სანდრა-პაპავ, ხალხს გააცინებ! აბა ვინ არის მოჯამაგირე? — გულში უყოყმანოდ იღებდა მოხუცის სამართლიან საყვედურს და თან ჯავრობდა თავმჯდომარე.

— ვითამ არ იცი, ვინც არი! ეს რამდენი წელიწადია მე თითიც არ გამინძრევია, ისა მუშაობს. ის ერთი ბიჭი ათი მოჯამაგირის საქმეს ასდის, არ იცი? შენც კარგად იცი და მთელმა სოფელმაც, მაგრამ ძალათ იყრუებთ თავსა! ჩვენი გამგეობა კიდე ძალიან რო წუწურაქობს, განა დიდი ჰკუით მოსდით, რო ალექსი რჩეულიშვილი დღევანდლამდე კოლექტივში არ ჩაურიცხიათ!

— თითონ სად არი? რას გაგვირბის, არ გვეკარება? — ჰკითხა ნირწამხდარმა ხირსელმა.

სანდრა-პაპა ერთხანს დადუმებული ჩასჩერებოდა რაღაც წერტილს და მერე ჩუმად დაილაპარაკა:

— დაბადებითვე ბევრი ცუდი შეხვდა, მაგრამ ძალიან უყვარხართ და ალბათ იმიტომ გერიდებათ, არ უნდა სიყვარული დაიზარალოს. იგრეც მოკვდება, ხალხის სიყვარულს და რწმენას არ გაიცუდებს...

ხალხი ახმაურდა. ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა, ზოგი ბოლომდე ვერც მიუხვდა სანდრა-პაპას სიტყვას, მაგრამ ერთხმად კი დაადგინეს: ალექსი კოლმეურნეობის წევრად ჩაირიცხოს და რაც ერგება, პირწმინდად აუნაზღაურდესო.

ბუღალტერმა სანდრა-პაპას თანდასწრებით საანგარიშო კაკლები აახმაურა, გაჩოთქა და გამოჩოთქა. ალექსის იმოდენა სარჩო-საბადებელი ერგო, მთელი ქარავანი დასჭირდებოდა იმის შინ მიტანას.

— სვავებად ხო არ იქცევით შენა და შენი გონჯაურა, — უთხრა ბუღალტერმა სანდრა-პაპას, — ამოდენა ნატურას რა მუცელში ჩაიყუდებთ, სჯობია ყველაფერი ფულად გაინაღდოთო.

მოხუცს რჩევა ჭკუაში დაუჯდა. ბუღალტერი არ დაზარდა, ახლად გაჩოთქა და გამოჩოთქა, პაპას ქვითრებზე ხელი მოაწერინა და უთხრა, დღეისწორს მოდით ფულის მისაღებათო.

გახარებულმა სანდრა-პაპამ ღვთისნიერ ბუღალტერს მადლობა და მადარიჩიც გადაუხადა. ნამუსიანი, სამართლიანი და კეთილი ადამიანების სადიდებლად თითო ბოთლი ღვინო გამოცალეს.

შექეიფიანებული მოხუცი ურემს შინისაკენ ისე მიარახრახებდა, რომ ცხენის ნალებიდან გამომკრთალი ნაპერწკლები ციცინათელებივით მისდევდნენ მის გამხიარებულ ფიქრებს.

„მა რა გეგონა, ბიჭო, შენ ამოდენა ხალხის სამსახურს შეეჭიდე და მე ერთ პატარა საქმეს ვერ მოვერეოდი? ან რა

ძნელი საქმეა ხალხთან გულგანდობილი ლაპარაკი? მეც ჩემი სათქმელი ვთქვი, იმათაც ვალი მოიგდებინეს თავიდან... ეხლა გულარხეინად დავადგები ჩემ შორ გზას—სოფლის თავიდათავი საქმე ალექსის ჩავაბარე და ვიცი სანამ ეს ორპირად ნაკერი კაცი ივლის ქვეყანაზე, ირმისის ვენახებს მუდამ სიხარული ექნებათ!.. ეჰეი-ი, ბიჭო ლექსო, ისე კი ნუ დამმარხავ, რო შენმა პატარძალმა არ დამიტიროს! შენი სადარი თუ იქნება, ის ჩემთვის ცრემლს არ დაიშურებს...“

ეს სიკეთე კი არ დასცალდა სანდრაპაპას, ამბავი წამოეწია: ბულალტერმა სოფლის ქონება გაიტაცა და უგზოუკვლოდ გაქრაო.

კინაღამ გადარია მოხუცი იმ არაკაცის მუხანათობამ. ერთბაშად დადნა და დაილია, „შორი გზა“ ძალზე დაუმოკლდა. ერთი კვირა უსმელ-უჭმელი, თვალებდახუჭული იწვა და კვირის სწორზე ალექსის მკლავებზე მისვენებულმა დალია სული...

ისევ კრება იყო და სიტყვით გამოსულმა ხირსელმა თქვა:

— კაცის დაფასება ვერა და ვერ ვისწავლეთ! ავილოთ ალექსი რჩეულიშვილი. ცხონებული სანდრა-პაპას თქმისა არ იყოს, ეს ერთი — ათი კაცის საქმეს უსწორდება. მოდით და მევენახე-ბრიგადირად დავნიშნოთ. ისიც ხალხთან უფრო ახლო იქნება და ჩვენც მოგებული დავრჩებით, ჰა, რას იტყვით?

— სწორე ხარ, ჩვენო თავმჯდომარეო! — ერთსულოვნად დაიძახეს დარბაზიდან და ახალ ბრიგადირს ისე მიეძალნენ, რომ ხნიერ ბრიგადირებს ჯავრიც კი მოერიათ, „ამ ახალს რას ეტმასნებიან, რა ხეირს დააყრით, ჯერ პირზე რძე არ შეშრობიაო!“

მაგრამ ეს ისე, გულცხელზე თქვეს, განსჯით კი სამართლიანად განსაჯეს: „ვენახები მართლაც ისეა მოვლილი, ავ თვალს არ ენახვებაო. რა გასაკვირია ყველას უნდოდეს კაი საქმის მონაწილეობაო? კაი საქმე შემოსავლის გარდა, თვალსაც ახარებს და გულსაცაო! სხვა რა ჩარაა, ჩვენც უნდა შევყვეთ, მაშ ემაგ ჯეელს ხო არ უნდა ჩამოვრჩეთო?!“

ისევ დაედევნა ზამთარ-ზაფხული ერთმანეთს.

ალაზნის ველი თვალდათვალ ფართოვდებოდა, თითქოს საზღვარს ეცილებოდა კავკასიონის კალთებს. ალაზნისპირა სოფლები თამამად ქარგავდნენ ველზე ყანების, ბაღების, ვენახების თარგს. უჩრდილო სიხარული ლაღად მოლივლივე ალაზანივით უნდა მოსდებოდა კახეთს... აი, როგორი სიხარულით შეხვდა დიდო ხირსელი მეზობელი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნიკო ხელაშვილს:

— მილიონერებში ჩამდგარხართ, მომილოცნია, ძმაო!

და ვერ მიხვდა, მუხიანელების თავმჯდომარემ უგულოდ რად გადაუხადა მადლობა, რად შეეკრა მაღალი, გადატკეცილი შუბლი. ხელაშვილმა კი ალაზნის ველის საამო თარგში თალხად ჩაგვირისტებულ სოფლებს გახედა და მოგვიანებით დაილაპარაკა:

— ყველასთვის უნდა იყოს ეს სიკეთე, გასახარი და მისალოცი მაშინ იქნებოდა. აი იმათ ყოველწლიურად უმცირდებათ შრომადღის საფასური, ძალლუმადურად შავშავებენ...

„ჰოო, ეგ მართალია, ჩვენ რაიონში ზოგმა ჯერაც ვერ მოითქვა სული, მაგრამ ჩვენ რა გაგვეწყობა? ნათქვამია, ყველამ თავისი მიცვალებული იტიროსო“, — გაიფიქრა ხირსელმა და ნუგეშივით უთხრა ნიკოს:

— მაგათზე რაიონის ხელმძღვანელობამ იტეხონ თავი, ჩვენ ჩვენი საზრუნავიც არ გვაკლია!

ნიკომ ბეჯითად შეათვალიერა მეზობელი და გულდაწყვეტით თქვა:

— მე სხვა სიტყვა მინდოდა გამეგონა შენგან. ვიცი, წრფელი გულით მილოცავ, მაგრამ გაიგე, მეც მინდა ირმისელებს მოგილოცოთ გამარჯვება.

— ოჰ, რას ამბობ, ნიკო, შენ ვინ გაგიტოლდება?!

— ხო არ გიცდია, თავს რად იჯაბნი? — უნებურად ჩაეცინა ნიკოს. მოსწონდა დიტოს სიწრფელე, ხშირად მიამიტობას რომ ესაზღვრებოდა, მაგრამ ირმისელები ენანებოდა. ხირსელის მიამიტობა საქმეშიც, ჭარბი ნდობა მეურნეობაში შემთხვევითი ადამიანებისადმი, მისი გულარხეინობა საგრძნობლად აზარალებდა გამრჯე ირმისელებს. მათ მეურნეობას შეეძლო მოწინავე გამხდარიყო, მაგრამ დიდი ხანია ერთ ადგილს სტკეპნიდა.

მეზობლებმა ცოტაც ილაპარაკეს და დაშორდნენ ერთმანეთს.

ხირსელს ირმისელების საერთო კრებაზე ეჩქარებოდა. იმ დღეს გადასაწყვეტ საკითხებზე უნდა ეფიქრა, მაგრამ ნიკოს ნათქვამმა ააფორიაქა. ეგებ მართლაც ღირს ამაზე დაფიქრება? ეგებ კრებაზე გაიმეოროს ნიკოს ნათქვამი? ნეტა რას იტყვიან ირმისელები? იქნება ძალიანაც გაუხარდეთ? ღირს, ნამდვილად ღირს. ვეტყვი, დაე იმათაც იფიქრონ...

მაგრამ ხირსელმა ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო. კრებიდან გაიხმეს. ის იყო და ის, დიტო ხირსელი სოფელში აღარავის უნახავს. ვერც ვერავინ გაიგო, ის კაცი ალს მისცეს თუ ქაჯს.

ორი დღის მერე შეკრიბეს ხალხი და ის დაუმთავრებელი კრება განაგრძეს. ტრიბუნაზე ვიღაცა უცხო კაცი გამოვიდა და თქვა:

— თქვენ ყველას თვალები ჯიბეში გქონიათ, ვერა ხედავდით, რომ თქვენი თავმჯდომარე ხალხის მტერი და ქვეყნის ამომგდები ყოფილა!

გლეხებმა შეიცხადეს: ჩვენ თუ ვერა ვხედავდით, ამ უცხო კაცმა შორიდან რა ჯანაბა დაინახაო. გულში შეიცხადეს, თქმით კი ვერაფერი თქვეს და ერთმანეთსაც შეხედეს.

ჩამოსული კი ჰაერში გამეტებით ატრიალებდა მუშტებს და ისეთი გაალმასებით ლაპარაკობდა, რომ სულ ნაქაშურები გადმოსდიოდა. მერე თითო-ოროლა კაცი ხელდადებით წამოაყენა და ათქმევინა:

— ჰო, ჩვენ მართლაც ბრუციანები ვყოფილვართ, მაგრამ ეს ერთი გვეპატიოს და სხვა დროს აღარ დავბრუციანდებით, ძილშიც კი ფხიზლად ვიქნებით და მტრებსაც ყველანაირ ნიღაბში კარგად დავინახავთო.

ჩამოსულმა თავისი დავალება შესრულებულად ჩასთვალა, კმაყოფილი ჩაჯდა მანქანაში და წავიდა. რაიონის ხელმძღვანელებიც მას გაჰყვნენ, კრებას კი დაუბარეს, ახალი თავმჯდომარე აირჩიეთო.

ხალხს ლაპარაკი ესიკვდილებოდა. სიჩუმე გახანგრძლივდა. თანდათან ულელივით დამძიმდა. მერე ისე დამძიმდა, რომ ვიღაცამ ველარ გაუძლო, ქეჩოში ხელი დაირტყა და მჭახედ იკითხა:

— ეხლა ვილა გავიმეტოთ თავმჯდომარედ, ჰაა?

შესაფერისი კაცის ამოსარჩევად ხალხმა დარბაზი შეათვალიერა, მაგრამ მეზობელმა მეზობელს, მეგობარმა მეგობარს, ნათესავმა ნათესავს თვალი აარიდა. ღმერთმა უშველოს, ვიღაცამ გონჯაურა ახსენა. ის დარბაზში არ აღმოჩნდა. ვიღაცამ თქვა, ჩამოსული კაცი სიტყვას რომ ამბობდა, ის მაშინ ადგა და წავიდაო. ჰოდა, კარგია აქ რომ არ არისო, — თქვეს და ბევრიც აღარ უკამათიათ, უცებვე დაადგინეს: ალექსისთანა შესაფერისი მეორე არ იქნებაო. უცოლშვილოა, მარტოხელა კაციაო. აფსუსია ბრიგადირობაზე რომ სცდებაო. კოლექტივს რომ გაუძღვება, მარტო ბრიგადაში კი არა, მთელ მეურნეობაში მოისპობიან უქნარები და მცონარებიო. რა დასამალია, ჯერ არ მოლეულან ისეთები, უშრომლად რომ მკიან საამურ ცხოვრებასო, გონჯაურა იმათ არ აბოგინებს, ყალთაბანდებს არ გაახარებს, ჩვენ ნაოფლარს არავის დაატაცებინებსო...

დაადგინეს და ოქმიც დაწერეს.

ალექსი კი ამ დროს მხარზე თოხგადებული ირმისხევისაკენ მიდიოდა.

ღამეში უხმოდ იკარგებოდა გამშრალი ხევის გაღმა ნაპირი. მხოლოდ სოფლის მომიჯნავე ნაპირთან ჩაღრმავებულ კალაპოტში ყრუდ მოჩანჩქარებ-

და მდინარე და ფერდობის ძირზე მიკრული წისქვილის სარეკელას დაუდეგარი რაკა-რუკი გაჰქონდა.

იქ წამოეწივნენ ირმისელი თავკაცები. უთხრეს:

— ერთობლივ დავადგინეთ, დღეიდან ჩვენი თავმჯდომარე უნდა იყო!

ხალხის ნება-სურვილს ალექსი ყოველთვის აღიქვამდა, როგორც რაღაც მოვლენას, ძლიერსა და გარდუვალს, თითქმის ისევე, როგორც სტიქიას. მაგრამ სტიქია გასაგები იყო მისთვის. მეტწილად ღია ცისქვეშ თავისუფლად გაზრდილი, ის ხშირად შეხვედრია ბუნების დაუმორჩილებელ ძალთა ბობოქრობას, კარგად იცნობდა მის დამანგრეველ ჟინსა და ბოროტებას. იცნობდა, იცოდა, მაგრამ პირისპირ შეყრილი სტიქიონის სილამაზე ატყვევებდა, აჯადოებდა,ავიწყებდა უბედურებას, რომელსაც ის თავს ატეხდა ყველაფერს ცოცხალს. იქნებ მთლად ვერ ავიწყებდა, მაგრამ ალექსი სიხარულით ემონებოდა მის სილამაზეს.

და ავდრით ტკბობისათვის, მერე, გამოდარებისას ისჯებოდა. კრიჭაშეკრული დასტრიალებდა დასეტყვილ ვაზს და ხეხილებს, უსიტყვოდ ახმარებდა ხელს წყალდიდობით დაზარალებულ ხალხს. ნაპარავად უალერსებდა ატირებულ ბალღებს და სიბრალული ქორივით უწიწკნიდა გულს...

ახლა იდგა ხევისპირს, თითქოს აღარ ახსოვდა მასთან მოსული თავკაცები, არც მათი მოტანილი ამბავი. სწვდებოდა ცისა და მიწის შეერთების ზოლს. მის ფერხთით თვინიერად მიგორავდა ირმისხევი, ვითომ ის არ იყო, ცოფიან ღვარად მოვარდნილი ჭერს რომ სტაცებდა ადამიანს. მსუბუქი ღრუბლის თეთრი ქულები აფრენილი მტრედებივით დაცურავდნენ ცაში, თითქოს მათ არაფერი ჰქონდათ საერთო იმ შავლეგა ღრუბლებთან, ტყვიასავით გამანადგურებელ სეტყვას რომ აყრიდნენ ადამიანის ნაჯაფარს.

იმ წუთებში, იმ მყუდრო ვარსკვლავიან ღამეში სტიქიონს ჯადოსაგან დახსნილმა ალექსიმ თითქოს პირველად შეიგრძნო მისი მრისხანების დამღუპველი ძალა და ბოროტებას შეურიგებელმა მისმა გულ-გონებამ მძაფრად აგრძნობინა, რომ სოფლის გადაწყვეტილება საშუალებას აძლევდა მთელი არსებით ჩაბმულიყო ადამიანთა დარდის და ცრემლის მომგვრელ ძალასთან ბრძოლაში. მოწინააღმდეგესთან გადაუდებლად შერკინების სურვილმა აუფორიაქა სული. გარეგნულად კი მშვიდი, უმოძრაოდ მდგომი გაჰყურებდა ცისა და მიწის შეერთების ზოლს.

როდის-როდის გამოეგო ფიქრებს, თვალი მოსწყვიტა საოცარი სიცხადით დანახულ სურათებს და ნელა წამოვიდა მისი პასუხის მოლოდინში მეწისქვილესთან მოსაუბრე კაცებთან. ახლო მივიდა და მოკლედ მოსჭრა:

— თანახმა ვარ.

იმათაც ველარა თქვეს რა. ალექსის სიტყვაძვირობა ცნობილი იყო, მაგრამ ამ მნიშვნელოვან საათს საჭირო სათქმელის უთქმელობამ, მისმა ძუნწმა პასუხმა და მეტისმეტმა სიმშვიდემ მათ ეჭვი დაუბადა: „ხომ არ აჩქარდნენ? ძალზე ახალგაზრდა კაცი აირჩიეს, ვაითუ შეცდნენ ამ გულცხელზე?!“ თავისი ეჭვი ერთმანეთსაც არ გაუმხილეს. ესმოდათ რომ ახლა მსჯელობა უკვე დაგვიანებულიც იყო და ჯერ ნაადრევიც იქნებოდა. რჩევა-დარიგებაც უადგილოდ მიიჩნიეს: სხვისი კარნახით არ იმკვიდრებდა გონჯაურა თავის ადგილს ცხოვრებაში!

მათი წასვლის შემდეგ ალექსიმ ტანთ გაიძრო და მდინარეში შევიდა, დილით ჩახერგილი გზა გაუხსნა წყალს ზვრებისაკენ. უცნაური იყო ამ დროს მისი სახე. რა კარგად იცნობდა მიუვალ მთებში დაბადებულ ირმისხევს, იცნობდა მის თვისებებს და ადვილად ეუფლებოდა, თავის ნებაზე ჰყოფდა, ანაწილებდა, გზას უცვლიდა, აიძულებდა ადამიანისათვის სამსახური გაეწია და გულში მადლობას უხდიდა კეთილი სამსახურისათვის. ადამიანების ზრახვათა გაგება კი ხშირად უჭირდა, მათი მოქმედება ხშირად აკვირვებდა. ისე, როგორც ახლა...

— ამოდი, ამო, ადამიანო, ემაგ ყინულივით წყალში როდემდე უნდა იდგე? — გამოსძახა მეწისქვილე ტიტიკომ.

კარებში ჩამდგარი მეწისქვილის დანახვაზე ალექსის გაეცინა, სანდრა-პაპას ნათქვამი მოაგონდა: „ის ღმერთძალლი ტიტიკო ჩემზე დიდი თუ არა, არც პატარაა, სიჯეილითვე ფქვილში სტუცა თავი, სიბერეში ჭაღარა არ შემემჩნევაო. ეგრე დარჩა და დარჩა! მართლაც ვერ გაუგებ, ფქვილშია ამოგანგლული თუ სიბერემ დაათოვა, ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი ადამიანიო!“

წისქვილის შინასვეტზე დამაგრებული ჭრაქი ტიტიკოს ზურგიდან ანათებდა, და ფქვილში იყო ამოგანგლული თუ სიბერემ უწია, სულერთია, თავით ფეხამდე თეთრად მოქათქათე — კეთილ სულსა ჰგავდა.

— ბარემ აქვე გამათენებინე — სთხოვა ალექსიმ.

— ეგე ლოგინი, დაისვენე.

— შენა?

— მეწისქვილე — ღამის ყვავიაო, არ იცი? დაძინებამდე კი ეს ხავიწი მიირთვი. წელან გავაკეთე, ჯერ თავმჯდომარე არ იყავი, თორემ ეხლა არ გაკადრებდი.

— ხავიწი ერეკლე მეფესაც ჰყვარებია თურმე.

— ეჰ, ჩემო ლექსავ, ეხლა სხვა დროა, სხვა ხალხია. ეხლა კაცმა უფროსებს შემწვარ-მოხრაკულით თუ არ აამა, არ იცი, რა ნაცილს გამოუგდებენ, — სევდიანი დაცინვით თქვა მუდამ მხიარულმა მეწისქვილემ. დიტო ხირსელის მეგობარი იყო და ვერ შერიგებოდა მის უეცარ დაკარგვას.

ალექსი ხავიწით სავსე პირმოტეხილ თეფშს ჩააშტერდა, მოგვიანებით თქვა:

— მტერ-მოყვარის მაგისთანა გროშებით გაზომვა დიდი შეცდომა იქნებოდა.

— გროშები განა მარტო ზარაფხანაში იჭრება? გული თუ დახურდავდა, იმაზე წვრილ გროშებს ვერა ზარაფხანა ვერ მოსჭრის.

— ეგრე დაუნდობლად ვის გულს აწვრილმანებ, ძია ტიტიკო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნეტა ეგ ვიცოდე...

— მე მეგონა ხირსელზე ხარ ნაწყენი...

— თუ ის მართლაც რამე ბრალშია, ჰარამი იყოს იმაზე ჩემი ძმობა და მეგობრობა, თუ არა და, ცეცხლად ედინოს ჩვენი ნდობა და სიყვარული იმას, ვინც ალალ-მართალ კაცს დასაღუპად გაიმეტებს! — თქვა ტიტიკომ და გარეთ გავიდა.

მან თითქოს განზრახ დააბრუნა ალექსი იმ ფიქრებთან წელანდელი დაძახებით რომ შეუწყვიტა. მაგრამ ფიქრები ადამიანთა გაუგებარ ზრახვებზე, განსჯაზე და მოქმედებაზე ყოველთვის უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს უბადებდნენ, და იგრძნო, ახლაც ის კითხვები გაიტაცებდნენ, მას კი თავის ხვალინდელ დღეზე უნდოდა ფიქრი. თავისთავისთვისაც შეუმჩნევლად მოცარიელებული თეფში გადადგა და მიწვა, შეეცადა მოესაზრებინა, რით დაეწყო ის ხვალინდელი დღე, მაგრამ სარეკელას რაკა-რუკმა უმალვე ჩააძინა.

სიჩუმემ გამოაღვიძა. მაშინვე წამოდგა და გარეთ გამოვიდა. პირველი სხივი ახასხასებდა ნამიან ბალახს. თვალებს იფშვნეტდნენ ყვავილები. გამხარებელი ჭიკჭიკით დასრიალებდნენ მერცხლები.

მეწისქვილეს შარვლის ტოტები აეკეცა და სარწყავს ხერგავდა. ალექსი აღარ შეეხმიანა, ფერდობზე შეღმართებულ ბილიკს აჰყვა.

ბილიკი მეზობელი ნატაძრელების გაკვალული იყო. საფქვავით აღმა-დაღმა სიარული ძნელი იყო და თითქოს იმ სიძნელის შუა გამყოფად ფერდობის ქიმზე მუხა დამდგარიყო, მუხის ძირთან კი ვეება ლოდი იდო, ვინ იცის, როდის და როგორ ამოტანილი, ზედ ჯდომისაგან გასიპულ-გარანდული.

ფერდობის ქიმიდან ირგვლივ შორამდე ისინჯებოდა არე-მარე.

რაიონულ ქალაქ დარიანიდან წამოსული შარაგზა ირმისხევზე გადმოდიოდა და მოსახვევში იკარგებოდა. გზის

პირზე გაწოლილ სოფელ ირმისს თავი ხევის რიყეზე მიედო, ბოლოს კი ნარ-ექლით შეჭმულ მინდვრისაკენ, „ნაბა-ლისკენ“ იზრდიდა. ნაბალზე განმარტო-ებით იდგა მეზვრის ქოხი და მის წინ კენტად აწოწილი, ტოტებგაფარჩხული ნაძვი გუშაგივით გაჰყურებდა ირმისე-ლების ზვრებს.

დაჩქლეთილი შარაგზიდან განტოტე-ბული ვიწრო, ოლრო-ჩოლრო შუკები ერთმანეთზე გადაბმულ სოფლებისაკენ უხვევდნენ. სოფლები მოაჯირივით მისდევდნენ თვალუწვდენელ ველს, და ველის გაღმა ნაწიბური იკარგებოდა შორს, ჩამოთოვლილი მთების კალთე-ბში.

„უყურე, ლექსავ, უყურე შენს მშო-ბლიურ მხარეს, — ჩაესმა ახალზედა თავმჯდომარეს სანდრა-პაპას ალერსი-ანი ხმა. — ხედავ, როგორია? ეყო, რაც ტანჯვა უნახავს, რაც შავი დღე დას-თენებია, ეხლა შენისთანებმა უნდა მოუარონ და გაახარონ, ორსავ თვალის ჩინივით გაუფრთხილდნენ. კარგად უყურე, საზრიანად და დაიხსომე. ფე-რიც, სურნელიც, ხმაც დაიხსომე. კარ-გად თუ გეხსომება, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქითაც რო გადაგაგდონ, იქაც დაინახავ. რაც უნდა გასაჭირი და-გადგეს, ეს შენი მშობელი მხარე მო-გაგონდება, დაინახავ და გულიც გა-გინათდება, ძალაც შეგემატება...“

## თავი მეორე

თოვლი ათეთრებდა უმთვარო ღა-მეს. მსხვილი ფიფქები ფარფატით ედებოდნენ გაუკვალავი ბილიკით მი-მავალ ქალაქის ვიწრო ნაფეხურებს.

ნაფეხურების მკვეთრი ნახაზი თან-დათან აირია. ქალს მუხლი ეკვეთებო-და. რაღაცა აზრი, ან შეიძლება სრუ-ლი უაზრობა აძალებდა მისულიყო იქ, სადაც მიდიოდა. უკან შეჯავრებუ-ლი სოფელი დარჩა და წინაც მტერი ეგულებოდა. დროდადრო ბილიკს აც-დენილს კარგა მანძილზე უხდებოდა უკან დაბრუნება. დაღლილს და გათო-შილს გაბოროტება ჰმატებდა ღონეს. მარტო და მიუსაფარი — უმწეობის სიჯიუტით მიიწევდა წინ, [illegible] მის გზას დასასრული დაეკარგა [illegible] მო-სახვევში, კენტად ნაზარდი ნაძვის ტო-ტებშუა გამომკრთალი შუქი რომ და-ინახა, მიზნის მოულოდნელმა სიახლო-ვემ შეაკრთო, ნამძინარევივით მიიხედ-მოიხედა.

მსხვილად ბარდნიდა. ქოხის სარკმე-ლიდან მშვიდად ილვრებოდა შუქის ზოლი და განათებულ ზოლში ფერად-ფერადად ელვარებდნენ შარიშურით მოფარფატე მხიარული ფანტელები. ქალს თვალები აუჭრელდა. მოეჩვენა, რომ მთელი სამყარო ირხეოდა მოცის-ფრო ნისლში, და გამთანგავი გულზი-დილი მოადგა ყელთან. მან ხარბად ჩაისუნთქა სუსხიანი ჰაერი, ხორკლიან ნაძვს მიეყრდნო და უცებ ვერ მიხვდა რა დაემართა: გაქრა შუქის ზოლიც, მოცისფრო ნისლიც, სამყაროც, ყვე-ლაფერი გაქრა, დარჩა მხოლოდ მის შიგნით, სადღაც გულისფიცარს ქვევით უცნაური მოძრაობის შეგრძნება...

გაოგნებული ქალი მუხლებმა ველარ შეიკავეს, მძიმედ ჩაიკეცა ხის ძირში მიყრილ წიწვზე და თვალები დახუჭა. მაშინვე სინამდვილემ აიწყვიტა სადა-ვე და ახლო წარსულის სურათები და-ედევნენ ერთმანეთს.

...საზამთრო საძოვრებიდან საზაფ-ხულო იალაღებზე წამოსულ ცხვარს მოჰყვა ტანსარო, პირიმზე მწყემსი. თუში იყო, ვაჟკაცობისა და ნამუსის სარკესავით იყო. ცოდნასაც უხვად იყო ზიარებული, მაგრამ ცხვარს დასდევდა — გრძელი გზა ჭკუა-გონების სალესა-ვიაო. სოფელში ფეხი აიტკია. გოგომ კი იგრძნო მისი დარჩენის მიზეზი.

მიწის ზურმუხტით, თეთრ-ვარდისფე-რად მიბნედილი ხეხილების სურნელე-ბით, ტოროლების სალხინობელით გა-გიჟებული გაზაფხული დაუკითხავად თარეშობდა სისხლში. მიამიტ და გულ-წმინდა გოგოს ვერ გაეგო, რად ირჩევ-და თუში მასთან შეხვედრის მალულ გზებს, როცა მთლად ცისქვეშეთი ხა-რობდა მათი სიყვარულით. ჰკითხავდა ხოლმე, მაგრამ ოჰ, რას არ უპასუხებდა

ენამზიანი თუში! სულელ გოგოს ყველაფერი სჯეროდა, ისიც კი სჯეროდა, რომ სატრფოს ნატერფალზე ია და ვარდი ჰყვაოდა...

ერთ დაუვიწყარ, ზღაპარივით ლამაზ, ეშხით დაბანგულ ღამეს მწყემსმა უთხრა:

— მთაში მიბარებენ, ცხვარს უნდა ავხედო, ერთ კვირაზე ჩამოვბრუნდები და პირდაპირ თქვენებს ვეახლები.

უთხრა და წავიდა.

ირმისში კი ერთი ახმახი, ტარუღანა დედაკაცი გამოჩნდა კასპიისპირეთიდან მოვდივართო. ქმრის გზა-კვალი გამოიძია და თუშს მთაში გაედევნა...

მაგრამ ეს არ იყო ამბის დასასრული. ეს იმ უეცარი, მალული სიხარულის დასასრული იყო. აქედან იწყებოდა გოგოს წამების გზა. სოფელში მითქმა-მოთქმა ატყდა. წინათ იმედგაცრუებული საქორწილო ბიჭები ჯავრს იყრიდნენ, ქარაგმულად და აშკარადაც იკვეხნიდნენ თავის „გამარჯვებას". სხვისი აუგის მოყვარულთ თავგამოდებით გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ურცხვად წამოსროლილი ტყუილი. ენიდან ენამდე ნაქსოვ ქსელში გაბმული გოგო აღარც უცხომ დაინდო, არც თავისიანმა. შინ საყვედურებით ახრჩობდნენ და მკვდარივით დასტიროდნენ. ეჩვენებოდა თუ მართლაც ასე იყო — ტოლ-ამხანაგები მოერიდნენ. ეჩვენებოდა თუ მართლაც ასე იყო — ყველა ცდილობდა მარჯვეთ ესროლა მისთვის ქვა. და იმ ქვებმა ჩაუქოლეს ყველა სხვა გრძნობები სიმარტოვისა და გაბოროტების მეტი აღარაფერი დაუტოვეს გულში.

რამაზ მელითაურს კი, „ვაჟკაცობისა და ნამუსის სარკეს" არავინ რას ერჩოდა. ის იალაღებზე ლაღობდა. მას სულაც არ ეხებოდა ბარში დარჩენილი გოგოს ხვედრი. იმ გოგოს კი ყოველი დღე სიკვდილის ნატვრაში უთენდებოდა, მაგრამ მწარე დღეები შავად ღამდებოდნენ და ის კი ცოცხალი რჩებოდა. მერე კომკავშირის კრება იყო. იქიდან გამოქცეულმა თავის მოკვლა დააპირა, მაგრამ ძალა არ ეყო. მერე? მერე დღეს იყო, ამ საღამოს. ახლახან დედის მოთქმა-ტირილს ვეღარ გაუძლო და გარეთ გამოვარდა. [illegible] კლუბის ეზოსთან როგორ გაჩნდა. სიცილ-ხარხარით მოგუნდავე თანატოლებს წააწყდა. ვერც დამალვა მოახერხა, ვერც გულგრილად აუარა მათ გვერდი. დადგა და გაასპიტებით დაიძახა:

— ჰეი, კაჭკაჭებო და მაიმუნებო, ჭირსაც წაუღიხართ! მძაგხართ ყველანი, მძულხართ! ხომ არ გგონიათ თქვენ დაგეჭლექებით? წავალ, რაც შეიძლება შორს წავალ თქვენგან! სადაც წავალ, მე ყველგან თქვენზე უკეთ ვიქნები, თქვენ კი ერთმანეთზე ჭორაობის მეტი საქმე ნურც გამოგჩენიათ თქვენი დღე დღე და მოსწრება! ჭირსაც წაუღიხართ, მეჯავრებით, მძულხართ, ყველანი!

ასე მიაძახა და გამოიქცა. აღარც ნათქვამის წაშლა შეიძლებოდა, აღარც უკან დაბრუნება. შინიდან შილიფად გამოვარდნილი პირდაპირ აქეთ წამოვიდა, თავმჯდომარესთან. შრომადღეები ბლომად გამოიმუშავა და ანგარიშის გასწორება უნდა მოითხოვოს. ახლავე გაუსწორონ ანგარიში. მიიღებს კუთვნილს და მოშორდება, გაეცლება აქაურობას. არც ერთი წუთიც არ უნდა ირმისში ყოფნა, წავა. წავა? სად?.. იმ მოცისფრო ნისლში გაუჩინარდება...

ქალმა თავს ძალა დაატანა, თვალები გაახილა.

ისევ ბარდნიდა. ისევ მშვიდად ირხეოდა სამყარო. სარკმლიდან ისევ ილვრებოდა შუქი და შუქის ზოლში ისევ ელვარებდნენ მხიარული ფანტელები. თოვლზე დაგებული ქოხის სილუეტიც, საკვამურიდან ამოსული მტრედისფერი ბოლიც, სარკმელიც და შუქის სვეტიც სალამივით იყვნენ. ისინი ალბათ ალერსივით ხვდებოდნენ ყველას. და მას? მას კი აქაც დაცინვა და აუგი დახვდება, ან რაც უფრო საზარელია — უშნო გაღლაბუცება დახვდება.

წამით შერბილებული გული ახალი ძალით გაუბოროტდა. დახვდეს! რაც უნდა დახვდეს, მერე რა? თითონ დაასწრებს და მწარე სათქმელს ეტყვის.

დიახ, ეტყვის: „ეი, გონჯაურავ, მე სიმახინჯის საყურებლად კი არ მოვსულვარ! ანგარიში გამისწორე, მეჩქარება, მივდივარ ირმისიდან, მძულხართ ყველანი, მძულხართ!...“

გარეთ თოვლი ათეთრებდა უმთვარო ღამეს და ქოხში ბუხარი გიზგიზებდა. დათვის ტყავზე ჩამუხლული ალექსი რაღაც მანქანის მაკეტს უკირკიტებდა.

გარეთ ვიღაცამ კალთა შემოიბერტყა, კარს მოუთათუნა და შინ შემოსულმა ქალმა თავშალი გადაიგდო, თამამად დაიძახა:

— სალამო მშვიდობისა!

ალექსი გაშრა. საკინძის შესაკრავად აწეული ხელი ყელთან შერჩა, დამძიმებული თავი ზედ დააყრდნო.

უპასუხოდ დარჩენილმა სალამმა ქალს ერთბაშად აჰყარა იარაღივით მომარჯვებული სითამამე.

— ველარ მიცანი? — ჰკითხა ჩუმად.

„ხატულა!“ — ცხრა მთას გადასძახა მდუმარედ და გაუნძრევლად მდგომმა ალექსიმ.

— საჩქარო საქმე მქონდა, მაშ სად მენახე? — უფრო ჩუმად იმართლა თავი ხატულამ და ნაძალადევად გაიღიმა.

ალექსი ისევ სდუმდა. შინ შემოსული მზე თვალებს სტკენდა, უწვავდა სახეს, მხრებს, ხელებს, გულმკერდს.

ქალი ვერ ჩასწვდა მის დუმილს, მაგრამ მწვავედ იგრძნო, რომ ის არ იყო უბრალო გაჩუმება, და უცებ საოცარი სიცხადით მოაგონდა სკოლის ჭიშკართან მდგომი ტუჩებმოკუმული ბიჭი, ანთებული სანთელივით რომ ჩააქრო ვიღაცამ.

ხატულა შემკრთალი იდგა, არ იცოდა, რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო. იდგა და უხერხულობისაგან ცრემლს ძლივს იმაგრებდა. ცდილობდა დამშვიდებულიყო, რომ შესძლებოდა იმ მწარე სათქმელის თქმა და ოთახი შეათვალიერა. ამბობენ, გონჯაურას წაუკითხავი არა რჩება რაო, მართალი ყოფილა — თაროები სავსეა წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით. ამბობენ, იმ მანქანებსაც კი იცნობს, ჯერ სოფელში რომ არ გამოჩენილაო, ეგეც მართალი ყოფილა — განჯინა გაჭედილია მანქანების მაკეტებით და ნახაზებით. ამბობენ, იმ ქოხში შემსვლელს დარდი უნახევრდებაო... ალბათ იმიტომ რომ, თეთრად ქათქათებენ კედლები, თაროები, ჭერი, ნარნარებს აქაურობა და ამ პატარა სარკმლიდან სალმიანი შუქი ილვრება ღამეში...

დამშვიდების ნაცვლად, მწვავე დარდმა წელში მოღუნა, სახე გაუქვავა ხატულას. მხოლოდ ტუჩებმა თქვეს:

— ბავშვობის წყენა არ დაგვიწყებია, აქამდე მიჯავრდები...

წყვეტილი სიტყვები ხიდივით ეგებოდნენ ოდესღაც მათ უნებურად გაღმა-გამოღმა ნაპირზე დარჩენილ ქალვაჟს.

ალექსიმ ღრმად ამოისუნთქა და დაბალი სამფეხა ბუხართან მისწია.

— დაბრძანდი, — უთხრა და ხელი შეაშველა.

ალექსის გაგონილი ჰქონდა, რომ სოფელში ხმა დადის: ხატულამ თავი ვერ დაიჭირა, ღვთით მიმადლებული სილამაზე დაუზოგველად დაანიავაო. ახლა კი იცოდა: მართალი მხოლოდ ის იყო, რაც ხატულამ უამბო.

ბუხართან ისხდნენ. ცეცხლის გიზგიზი ალექსისათვის ძველთაძველი მეგობრის ხმა იყო, და იმ ხმას სანდრაპაპას ბუბუნიც ერთვოდა და ენძელასავით თეთრი, ფაქიზი გოგოს ტიკტიკიც.

ის გოგო კი გლოვით დაღლილი ჭირისუფალივით იჯდა. შავი თავშალიდან, თალხი სამოსიდან სევდა ეღვრებოდა მუხლებზე უმწეოდ დაყრილ პატარა თეთრ ხელებზე. იჯდა და ფიქრობდა, რომ წასვლის დროა, რომ ახლა, როცა სისულელე ჩაიდინა და ამ კაცს გული გადაუშალა, ანგარიშზე ველარაფერს ეტყვის. რისთვის მოვიდა აქ? ალსარებისათვის? მოწყალებისათვის? ცოდვის მოსანანიებლად მოსული მათხოვარი ეგონება. იმათაც ასე ეგონათ, იმ კომკავშირის კრებაზე. ეგონათ, მონანიებას და პატიებას ითხოვ-

და. სწორედაც მოიქცა დღეს რომ ისე მიაძახა, მეტიც ეკუთვნითო. წასვლის დროა. ჭირსაც წაუღია ის შრომადღეები, იჩუქონ. ხატულა ისეც მონახავს თავის გზას. მონახავს სადმე. იქ სადმე, იმ მოცისფრო ნისლში...

და უცებ წამოდგა.

— სად მიხვალ? დარჩი, — ხმადაბლა თქვა ალექსიმ.

და ხატულას ისეთი სახე გაუხდა, თითქოს მტრადქცეული ქვეყანა დაუდგა პირისპირ. განრისხებულმა დაიხია კარისკენ.

— დარჩი, — ისევ ხმადაბლა თქვა ალექსიმ. — ერთად ვიფიქროთ. თითონ გადაწყვიტე. როგორც შენ იტყვი, ისე იქნება...

ხატულა შეჩერდა. რაღაცა დაბრკოლება იგრძნო და შეჩერდა. ფიზიკურ დაბრკოლებასავით წააწყდა ალექსის ღიმილს — სკოლის ჭიშკართან მდგომი ბიჭის ნათელ ღიმილს. იმ ღიმილის გრძნეული სითბო სასწაულივით მოხვდა მის გაბოროტებულ სულს. სასწაულად მოეჩვენა, რომ ბედმა მწირსა და უნიათო წუთისოფლიდან უცებ ზღაპრულად მდიდარ ქვეყანაში მოიყვანა, და ბედი ეს იყო — მის წინ მოწიწებით თავდახრილი ვაჟკაცი. მის ხმაში არც თხოვნა იყო, არც ბრძანება. თანასწორს ეუბნებოდა „დარჩიო".

ხატულას გაფითრებულ სახეს ჯერ ნელა მოადგა ფერი, მერე უცებ დაჰკრა მწველმა მეწამულმა. ტანჯვით გამახვილებული ალღოთი იგრძნო: ადამიანის პირადი ღირსება იმდენი იყო ამ კაცში, რომ მასაც ეყო, ხატულასაც... და პირადი ღირსების უეცარმა შეგრძნებამ უცებვე უკარნახა, რომ ენამზიანი თუშის ვერაგობამ კი არ დააბეჩავა, თავისმა სისუსტემ მიიყვანა საკუთარი პიროვნების უარყოფამდე. პირველსავე აუგ სიტყვას გაათელინა ღირსება, თვითონვე დაისვა გარიყულის დამღა, და მართალი იყო სოფელი, ასეთს რომ არ უთანაგრძნობდა, აღარც პატივსა სცემდა.

„რა იქნებოდა, გაბოროტებული და ჩინდაკარგული რომ ავცდენოდი ამ კერას", — შეაშინა გაელვებულმა ფიქრმა, და ხატულამ კრთომით შეხედა მასპინძელს. სიხარულით გასხივოსნებული მის თვალებს შეხვდა, და ისევ იმ ღიმილს — ახლა უკვე იცოდა ხატულამ, — ადამიანის დაუშრეტელი სიყვარულის, უსაზომო სიკეთის გამომხატველ ღიმილს. ცისა და მიწის სილამაზე მოჰფენოდა კაცს, რომელსაც „გონჯაურას" ეძახდნენ.

განცვიფრებული შეჰყურებდა ხატულა მის თვალებს, მის ღიმილს, საიდუმლოსავით რომ ხსნიდნენ სულის ზეიმს. უნდოდა იმავე წამს, მაშინვე გაენდო ირმისელებისათვის ის, რაც ახლახან გაიგო თვითონ, მაგრამ მიხვდა, რომ ირმისელებმა დიდი ხანია იცოდნენ ეს საიდუმლო. ალბათ იმიტომ უხდიდნენ სიყვარულით, ალბათ იმიტომ ვერ ბოგინობდნენ ირმისში უღირსნი. ალბათ იმიტომ მომძლავრდა ირმისი ასე სწრაფად. ალბათ იმიტომ ამბობდნენ: „ვინც ამ კაცს გაეცნო, ყველას მოუნდა რაც იყო, იმაზე უკეთესი გამხდარიყო". განა ხატულაც არ გახდა იმაზე უკეთესი, ვიდრე აქ მოსვლამდე იყო?

ქალს ცრემლი დაეკიდა წამწამზე. შუბლიდან ბეჭებზე დაცურებული თავშალი შეისწორა და თავი დახარა.

ბუხარში ცეცხლი ჩაიფერფლა. ლამპაში ნავთი დაილია. სარკმელიდან შემოსული სითეთრე აშუქებდა მათ სახეებს. ხმადაბლა ლაპარაკობდა ხატულა და მდუმარედ უსმენდა მას ალექსი. ეგებ არც უსმენდა. უხმოდ შესტრფოდა შინ შემოსულ მზეს, პატარას და თეთრს, ენძელასავით ფაქიზ გოგოს. და მისი ტრფობის ძალასთან არარა იყო ხატულას სახეზე ჩამუქებული ლაქები, როგორც არარა იყვნენ ლაქები ცაში გადალებულ მზეზე...

* * *

სოფელმა თავმჯდომარეს სახლი აუშენა — სართულნახევრიანი, მხიარული კარ-ფანჯრიანი, ფართო აივნიანი, ღალანა კრამიტით დახურული.

— კანტორაში ჯდომა შენ არ გიყ-

ვარს, ბინა შორსა გაქვს და საჩქაროდ რომ დაგვჭირდე, სად გეძებოთო, — უთხრეს.

— სადაც საჩქარო საქმეა, ჩემი ადგილი იქ არი. მე რა საძებნელი ვარო?! — გაიცინა თავმჯდომარემ.

— ეგეც არ იყოს, — ცოლ-შვილი იმ ქოხში როდემდე უნდა ამყოფო?

— ჩემი შვილი თქვენ შვილებთან ერთად მთელი დღე ამ სახლში იქნება, ცოლი კი თქვენთან ერთად მთელი დღე ღია ცისქვეშაა, — თქვა ალექსიმ და ხელადას პირი გადაუწმინდა, მშენებლები დალოცა. მერე შინიდან წამოღებული ფუთა ჩამოართვა ხატულას და სახტად დარჩენილი ხალხის თვალწინ ჭიშკარს ლამაზი აბრა მიაჭედა. წარწერით: „საბავშვო ბაღი“.

თავისთვის ისევ სანდრა-პაპას ქოხი უნდოდა. ეგონა, პატარა სანდრას სხვა ბუხართან ისე მშვიდად არ დაეძინებოდა. ეგონა, სხვა სახლიდან ბიჭი ისე კარგად ვერ დაინახავდა გათენების სილამაზეს, ეგონა რომ მერე, როცა ბიჭი გაიზრდებოდა, მისთვისაც აუცილებელი იქნებოდა გათენებისას იმ ქოხიდან გამოსვლა ვენახების შემოვლაზე, როგორც ეს აუცილებელი იყო ახლა მისთვის, ალექსისათვის.

ზამთარსა და ზაფხულს, გათენების ადრიან საათს, ქვეყანა რომ ჯერ დილისძილში იყო, ალექსი ვენახების შემოვლაზე გამოდიოდა. ეს მისთვის ლოცვასავით იყო, ახალი დღის შესწრების, სიხარულის, ბედნიერების სამადლობელო ლოცვასავით. ამ საათს ლოცვის საგალობელივით ჟღერდა მის სულში, სისხლში, სხეულში „შენ ხარ ვენახი...“ და თითოეული ვაზი ულიმოდა ხატულას ღიმილით, თვითეული ვაზი შეჰყურებდა სანდრას კვამლისფერი თვალებით. ბედნიერებით აღვსილი უვლიდა ვენახს და ნატრობდა, რომ მშობლიური მიწის წიაღს მარად ეტარებინა ვაზის ფესვი, რომ სამადლობელი ლოცვა მარად სმენოდა მის მიწას.

და ალექსის არ შეეძლო თავისი ლოცვის საათში არავის შეზიარება...

* * *

დგას ლალანასახურავიანი ფართო-აივნიანი საბავშვო ბაღ[illegible] ფანჯრებით გაჰყურებს ქვეყანას. ოთახები და ეზო-ყურე სავსეა ბავშვებით, აივანზე მერცხლები ბინადრობენ, ეზოში ხეხილი მრავლდება. ფინინსპექტორი ვასილა გარაყანიძე კი ჯიუტად გაიძახის „თავმჯდომარის სახლიაო“. დადის და დადის ირმისში, მთელი დღე კანტორაში ზის, საბუთებს ადორბლიანებს, ქექავს, ეძებს და ვერ უპოვნია ამ სახლის აგების დანაშაულებრივი კვალი. არა სჯერა, რომ თავმჯდომარისათვის აგებული სახლი თავმჯდომარეს არ ეკუთვნის. ვერ დაუჯერებია, რომ ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს, სულერთია, ის კოლმეურნეთა საკუთარი დანაზოგით არის აშენებული.

მთანგარიშე გოგონა, ჯაფარაანთ ლიზიკო სალამოობით ირმისელებს უყვება ფინინსპექტორის გაჭირვებას და ხალხს გულიანად აცინებს.

ბოლოს ალექსის შეეცოდა ვასილა გარაყანიძე — კაცი წვალობდა, ხალხს კი სასაცილოდ არა ჰყოფნიდა! კანტორაში მივიდა, დაღვრემილ ფინინსპექტორს უთხრა:

— სხვა შენს ადგილზე ამდენხანს კამეჩს მოინაგრებდა.

— კამეჩი რად მინდა, — იუარა დაიმედებულმა ვასილამ.

— მართალი ხარ, კამეჩი რად გინდა, გოჭს მოგართმევდით...

— ნუ შეწუხდები, პატივცემულო ალექსი! -- შეაწყვეტინა გახარებულმა ვასილამ.

— ეგ ჩვენ არ შეგვაწუხებდა, მაგრამ გვეჩოთირება. ამდენი დრო და ენერგია დაგვახარჯე და ვაითუ მადლობის მაგიერ, ჩრდილი მივაყენოთ შენს ავტორიტეტს. იტყვიან, გარაყანიძემ ერთი ქეციანი გოჭის ფასად ირმისელების ცოდვები დაფარაო...

უთხრა ალექსიმ და კანტორიდან გავიდა.

ენის მოტრიალება რომ შესძლო, გარაყანიძემ ლიზიკოს უყვირა და უწივლა. მერე დაემუქრა, ჩემი ფეხი აღარ

იქნება ირმისშიო, კარი გაიხურა და გავარდა. დარიანში მისულმა ასევე შეიჯახუნა „კაბინეტის“ კარი.

— მე თქვენ გაყურებინებთ სეირს! მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა კაცის გაბიაბრუება! თვალებს მიხვევთ? გინდათ დამარწმუნოთ, რომ გონჯაურას იმ ქოხში ურჩევნია ცხოვრება? თუ ურჩევნია და, მეტი სიკეთე არ ალირსოს გამჩენმა! მაინც სარაოდ იბადებიან ყველასთვის ურგები ადამიანები, არც თავისთვის ემეტებათ სიკეთე, არც სხვისთვის! — ზაფრამორეული ბუტბუტებდა გარაყანიძე და უჯრაში ჰყრიდა ჯიბეებიდან ამოლაგებულ ცარიელ პარკებს.

გულგანდობილ საუბარში ირმისელები მათთვის ჩვეული იუმორით ჰყვებოდნენ, რა მალე და რა იოლად გადააჩვია მათმა ახალგაზრდა თავმჯდომარემ გარაყანიძის მსგავსი „ბეჯითი“ ჩინოვნიკები, არამკითხე „მეურვეები“ და სხვა დაუპატიჟებელი სტუმრები ირმისში „საბალახოდ“ წვევას. ისინი ხშირადახსენებდნენ ჯიბო ჭიმიაშვილსაც. ჯიბო რაიკომის ინსტრუქტორია. თავის უპირველეს მოვალეობად ყველას ჭკუის სწავლება მიაჩნია. ნაცნობ, არც თუ ისე ნაცნობ, და სრულიად უცნობ თემაზეც ლექციების კითხვას — თავის ფასდაუდებელ ღვაწლად თვლის. აი ეს ჯიბო სურვილმა შეიპყრო პირადი კავშირით და რჩევა-დარიგებით გაემდიდრებინა ირმისის ახალი თავმჯდომარე.

ალექსი იცნობდა ჭიმიაშვილს და ერიდებოდა მასთან შეხვედრას, მაგრამ ერთხელ ჯიბომ კანტორაში მიუსწრო, მისალმებისთანავე რაღაცა საბაბს წამოედო და მსოფლიო რევოლუციაში პროლეტარიატის როლის შესახებ ლექცია წამოიწყო.

— პატივცემულო ჯიბო, — რბილად შეაწყვეტინა ალექსიმ, — ჩვენ ყოველ ორშაბათს პოლიტმეცადინეობა გვაქვს.

ჯიბომ შეცვალა თემა, ახლა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის აუცილებლობაზე დაიწყო ლაპარაკი.

— მავნებლები ჩვენთან ვერ მრავლდებიან, პატივცემულო ჯიბო, პროფილაქტიკას დროზე ვატარებთ, — [illegible] რბილად შეაწყვეტინა [illegible]

ჯიბომ არ გაიკარა აშკარა ნართაული, იხტიბარი არ გაიტეხა და ორიოდე დღის შემდეგ კვლავ ეწვია ირმისს.

ალექსიმ საფუტკრეში შეიტყო მისი ჩამოსვლა და სიკო ადამაშვილი იხმო სასწრაფოდ. სოფლის ახალგაზრდებმა სიკოს „ციცერო“ შეარქვეს — მას ლაპარაკის ჟინი რომ მოუვლიდა, მტრისას! დაოსებული მსმენელი თუ გაექცეოდა, სიკო ბარს, ნიჩაბს, ხეს, ტრაქტორს ელაპარაკებოდა ხოლმე.

— სტუმარია ჩამოსული, — უთხრა ალექსიმ, „ციცერო“ რომ დაინახა. — მე არა მცალია და შენ მიდი კანტორაში, თუ ძმა ხარ, გაართე ის კაცი.

თავმჯდომარის ხათრით სიკომ ისე იმარჯვა, რომ მისი ლაპარაკისაგან დაოსებულმა ჯიბომ ლაჩრულად დაიხია, თავმჯდომარის მტვრიან მაგიდაზე თითით მოხაზული თავისი ინიციალები დატოვა და გაიქცა. გულში დაიფიცა, რომ ყველაფერს, ძველსაც და ამ ახალ წყენასაც მწარედ გადაუხდიდა გონჯაურას, იმ ყბედ სიკო ადამაშვილსაც და საერთოდ, მთელ ირმისს.

დარიანში დაბრუნებულმა მან რაისაბჭოს თავმჯდომარის როსტომ ბიბილურის კაბინეტის კარი შეაღო და აღშფოთებულმა დაიძახა:

— რა თავმჯდომარეა ის გონჯაურა, თავის დღეში ადგილზე ვერ ნახავ, საქმისათვის ვერ იცლის!

— რჩეულიშვილს საქმე არ უყვარსო, მაგას ვინ დაგიჯერებს, ჩემო კარგო? — გააქნია თავი ბიბილურმა და კმაყოფილებით გაიფიქრა, „ეტყობა გამოგაპანჩურეს ირმისელებმა, მამა ვაცხონე მათი!“.

— როგორ თუ ვინ დაიჯერებს?! კანტორაში მაგიდებზე და სკამებზე ერთი აღლი მტვერი დევს! მე ვადასტურებ, რომ ის საქმით თავს არ იწუხებს!

— მტვერი დაგიდასტურებს? — ჩაიცინა ბიბილურმა.

— შენ იცინე, დიახ! საქმისთვის ვერ იცლიან-მეთქი, ვერა! დილიდან საღა-

მომდე ქაქანსა და ყბედობას უნდებიან!

— უყურე შენ! მაშ რჩეულიშვილი იმიტომ გვედავება ჩაბარების განაწილებაზე? — ჩაუკრა სიტყვა ბიბილურმა ირმისელების პროტესტზე, რომელსაც ისინი აცხადებდნენ გადიდებული გეგმების გამო.

—ეხლა მიხვდი?! ძალიან მხარს კი უჭერდი იმ კლიაუზნიკებს! მორჩა, მე იქ ფეხის მიმდგმელი აღარა ვარ!

„დაგიჩოქებენ, შეგეხვეწებიან, მოპატიჟეს გაახლებენ“, — გაივლო გუნებაში როსტომმა და ჯიბოს მშვიდად უთხრა:

— გულს ნუ იბრუნებ, ჩემო კარგო, თავს გაუფრთხილდი, შენ მთელ რაიონს სჭირდები.

— მე რომელ ერთს გავწვდე, ამდენ უსაქმურებს როგორ მოვუარო? — ბობოქრობდა ჯიბო ჭიმიაშვილი.

მილიციის უფროსი კი, სარდიონ მალალაშვილი სულ სხვა აზრისაა ირმისელებზე. სარდიონი მაღალი, ჩაფსკვნილი და ეშხიანი კაცია, ქალების მუსუსი და სალვინე ყურძნის ჯიშების ზედმიწევნით მცოდნე. მას საკმაო სწორი წარმოდგენა აქვს რაიონის კოლმეურნეობების ქონებრივ მდგომარეობაზე და პურმარილიან თავმჯდომარეებთან მეგობრობას ეტანება.

— იტყვი რაღა! — ეკამათება ის ჯიბოს, — შენ თითონ არა გჯერა შენი ნათქვამისა. გონჯაურა თითონაც წელს იწყვეტავს მუშაობით და სხვებსაც სიქას აცლის! შენ სხვა თქვი: ის რჩეულიშვილი ისეთი ძუნწი და წუწურაქია, ცალი არა ჰყავს! წყურვილით რომ იხრჩობოდე, წყალი რა არი, ჭიქა წყალს ვერ გამოსდნები!

— ჩემო კარგო, ასე შორს წყალზე რა გატარებს? — უწყინარი ღიმილით ეუბნება ბიბილური, — ასე რად იწუხებ თავს?

— ოჰ, შენ არ შეწუხდე, თითონ არ მოიტანონ, ეგ რა გამოვა, ჰა? — წრფელად უკვირს სარდიონს — ყველანი გონჯაურასავით რომ იქცეოდნენ, მაშ მე რა ვქნა, წმინდა მამების არტელი გავხსნა? შენც ერთი, როსტომ, გულკეთილი კაცი ხარ და ქრისტეს ჰგავხარ!

— ჰო, ჰო, ყოვლისშემძლე ქრისტეს! — წაუსისინა ჯიბომ.

— ე, ე, მაიცათ, ხუმრობა იქით იყოს, ყური მიგდეთ, რა გიამბოთ! ამწინაზე ირმისში მოვხვდი. აქეთ ვიარე, იქით ვიარე, თავმჯდომარე ვერა ვნახე...

— აკი ვამბობ, საქმეს ემალება-მეთქი! — ისევ წაუსისინა ჯიბომ.

— დამაცა, კაცო, ნუ მიშლი! ჰოდა, მინდოდა მენახა, მეკითხა, ხელმრუდობაში ან მრუშობაში ხო არავინა გყავთ კოლექტივში შემჩნეული-მეთქი. დავადე თავი და შინ მივაკითხე. ცოლი მეუბნება, შინ არ არიო. მე კიდე ვდგევარ, ადგილიდან ფეხს ვერ ვიცვლი, რეტდასხმულივით გავხდი, მე და ჩემმა ღმერთმა, თვალს ვერ ვაშორებ! კაცოო, რა მზეთუნახავი ყოფილა ის ქალი! ბოლოს ვეუბნები, დავუცდი-მეთქი. დაცდას რა აზრი აქვს, გვიან მოვაო. ვეუბნები, მაინც დავუცდი, ძაან საჭირო საქმეა-მეთქი. თქვენი ნებააო, მითხრა და შინ შეტრიალდა, სკამი გამომიტანა, დაბრძანდით და დაუცადეთო. გაიგეთ, ხალხო, როგორ მოგწონთ, ჰა?

— ბარაქალა! — შეებით ამოისუნთქა ბიბილურმა.

— ნამდვილი აშალლარაა, — გამოსცრა კბილებიდან ჯიბომ.

— შენა, ჩემო როსტომ, ნამდვილი იესო-ქრისტე ხარ, ქრისტეს მადლმა! — გადაიხარხარა სარდიონმა, — თუმცა, ბიჭო, უცოდველი არც ის იყო, მარტო ერთი მარია-მაგდალინელი რო ავიღოთ...

— გეყოთ ლაყბობა, მიშლით! — ვითომ ხუმრობით აწყვეტინებს მათ ბიბილური და კაბინეტიდან ერეკება.

„ო-ო, რომ იცოდეთ, როგორა მძულხართ, მაგრამ რა გამეწყობა? რომ ავჯახირდე, პროკოფი გულვარდიშვილი ალარ დამაყენებს, ოჯახს ულუკმაპუროდ დამირჩენს, — დალონებული ფიქრობს როსტომ ბიბილური. პატიოსანი კაცია, მაგრამ ოჯახის გამწარების შიში აიძულებს თავის შეკავებას. — აგერა, ანდრო დეკანოსიძე პირდაპირ თქმას

არ იშლიდა და რა გამოვიდა? გულვარდმა სხვა რომ ვერაფერი გააწყო, ავადმყოფობა დასდო კაცს ბრალად, ლამის გიჟად გამოაცხადოს... ცა უწითლდება, ვიდრე თავიდან მოიშორებს იმ კაცს..."

თუმცა ირმისელები სიცილით ჰყვებოდნენ „ულბლო სტუმრების" ამბებს, მაგრამ მათ გაცილებით ესიამოვნებოდათ ლაპარაკი იმათზე, ვინც მათთან დამეგობრება შესძლო. ეს კარგი ადამიანები იყვნენ, ავ-კარგის გამგები, საქმის გულშემატკივარნი. აი, როგორიც ანდრო დეკანოსიძეა — რაიკომის მეორე მდივანი. შარაგზიდან რომ გადმოუხვევს ხოლმე, ანდრო აუჩქარებლად მოდის ირმისისაკენ. შემხვედრი სალამს ვერ დაასწრებს. გლეხს — ოჯახის, სოფლის, ქვეყნის ამბებს გამოჰკითხავს, თავის აზრსაც გაუზიარებს. თავმჯდომარეს ვენახში, მინდორში, სანერგეში თუ მშენებლობაზე მიაგნებს, მასთან ერთად დაივლის მეურნეობას, კეთილისმდომის თვალით დახედავს, დაინახავს, რაც გაკეთდა სოფელში, რაც კეთდება და რის გაკეთებაც თავის ჯერს უცდის.

სასტუმრო ჯერ არ იყო ირმისში და შთაბეჭდილებებით სავსე, დაღლილი დეკანოსიძე სანდრა-პაპას ქოხში ითევდა. მასპინძელთან გულგანდობილ საუბარში იადვილებდა სოფელში დანახული ჩრდილ-ნათელის გარკვევას. ხარობდა ნათელის თვალსაჩინო სიჭარბით. უხაროდა, რომ ირმისის მეურნეობა საიმედო მარჯვენას ებარა, რომ ახალგაზრდა თავმჯდომარე მიზნების ერთიანობით იტაცებდა შრომისმოყვარე ირმისელებს, რომ მათ ჭეშმარიტ კოლექტიურობას დუღაბივით ჰკრავდა სითბო სიკეთისა. ხანდახან ის ბეჯითად აკვირდებოდა რჩეულიშვილს, თითქოს უნდოდა ამოეცნო, წინაპართა რამდენმა თაობამ აკინძა მის სულში გულქართული მარცვლები, და რამ აამძლავრა ეს მადლიანი მემკვიდრეობა ისეთნაირად, რომ ქვეყნაზრახვებით შეპყრობილთ — გზას და გასაქანს უხშობდა.

და საქმეში ჩახედული კაცი, პატიოსანი კაცი გულში ამაყობდა იმ მიწით, რომელიც ჰბადებდა ასეთ — გონჯაურებს;

ამაყობდა იმ გარემოთი, რომელიც ზრდიდა ასეთებს;

ლოცავდა ეპოქას, რომელიც გზას უხსნიდა ხალხისათვის სიკეთის მომტან ადამიანებს.

„ჰო, ასეთები ქმნიან ერის ისტორიას..." — თითქმის ყოველთვის ასე ასკვნიდა თავის ფიქრს ანდრო დეკანოსიძე.

და ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს ორი ადამიანი, ანდრო და ალექსი, ერთმანეთთან მეგობრულ საუბარშიც დათქმულებივით ერიდებოდნენ გულვარდიშვილის ხსენებას?!

ერიდებოდნენ.

პროკოფი გულვარდიშვილის საზღვარდაუდებელი თვითნებობა, აშკარა უჯიათობამდე მისული თავდაჯერებულობა, სხვისი სიტყვის, აზრის თუ რჩევის სრული იგნორირება ხშირად საგრძნობ ზიანს აყენებდა. დარიანის რაიონის მეორე მდივნის საქმიანი და სასარგებლო წინადადება მას შეურაცხყოფად, მის წინააღმდეგ გამოხდომად, და რაც ყველაზე უარესი იყო — მეტოქეობად მიაჩნდა. დეკანოსიძეს ვერაფერი გაეწყო მასთან და თავის გულს ასკდებოდა. განუწყვეტელმა ნერვიულობამ, უძილობამ, უმადობამ დაასუსტა და დაასნეულა კაცი. ირმისში, ალექსი რჩეულიშვილთან რისთვისღა ეხსენებინა პროკოფი გულვარდიშვილი — კარგს მასზე ვერაფერს იტყოდა, ზურგსუკან აუგის თქმას კი ვერ იკადრებდა...

ალექსიმ კი იცოდა, რომ გულვარდიშვილთან უთანხოება დარიანშიც უწამლავდა სიცოცხლეს დეკანოსიძეს და იმიტომ ერიდებოდა მის ხსენებას. უნდოდა, რომ ანდროს აქ, ირმისში მაინც დაესვენა, ცოტახნით მაინც დავიწყებოდა პირველი მდივნის სახეც და სახელიც...

იმ ერთ საღამოსაც სანდრა-პაპას ქოხში ისვენებდა ანდრო დეკანოსიძე. ბუხართან იჯდა და უყურებდა ალექ-

სის. „დიახ, ასეთები ქმნიან ერის ისტორიას..." — ისევ გაივლო გუნებაში და მდუმარედ მჯდომ მასპინძელს უთხრა:

— ალექსი, მართალია, პრაქტიკული ცოდნა შენ არ გაკლია, მაგრამ, მაგრამ... შეწყვეტილი სწავლის გაგრძელებაზე არ გიფიქრია?

ალექსი სდუმდა.

ანდრომ იცოდა, რომ რჩეულიშვილის მტკივან ადგილს შეეხო, მაგრამ არ დაიხია, უფრო დაბეჯითებით განაგრძო:

— შენ გამოცდილებას იძენ, თვალდათვალ იზრდები, მაგრამ ხომ იცი, განათლება თუ არ გექნება, ზრდა ცალმხრივი გამოვა, არა? შენ ძალგიძს, დაკარგული დრო უნდა აანაზღაურო. მომავალში შენ ამ პატარა მეურნეობას არ გაკმარებენ და...

— ხვალ აღარც პატარა მეურნეობა იკმარებს უსწავლელსა და გაუნათლებელ ხელმძღვანელს, — თქვა ალექსიმ იმ ხვალინდელი დღის წრფელი მოწონებით.

— ჰოდა, ისწავლე, რა გიშლის ხელს? შარის მოსადები საბაბიც ნაკლები ექნებათ ავისმქმნელთ...

დილაუთენია წასულმა დეკანოსიძემ ალექსის განცხადება თან წაიღო და საშუალო სკოლის კურსის ექსტერნად ჩაბარების ნებართვაც არ დაუგვიანა.

იმ ზამთრის ღამეები ალექსიმ სკოლის სახელმძღვანელოებს შეალია. მთელი დღის მუხლჩაუხრელი კაცისთვის იქნებ საძნელო ყოფილიყო გათენებამდე წიგნების კირკიტი, მაგრამ კაციც არის და კაციც. ეს კაცი სოფლის სიამ-სიმწრით გაჯედილ ყოველდღიურობას ზურგზე მოკიდებული ტვირთივით სტოვებდა სახლის ზღურბლთან, და შინ, როგორც დღესასწაულზე ისე შედიოდა. რას არ შესძლებდა, რა სიძნელეს არ დასძლევდა ცოლ-შვილის გასახარებლად?!

გაზაფხულზე ალექსი თბილისში წავიდა გამოცდების ჩასაბარებლად. ატესტატი რომ მიიღო, თავისი და ხატულას საბუთები ერთად შეიტანა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ სექტორზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თავი მესამე

დრო შეუფერხებლად განაგრძნობს თავის სვლას.

დღეები შორეული მიზნებისაკენ მიიჩქარიან. ძნელია გზა იმ მიზნებამდე. ახალ-ახალი საზრუნავი, დაბრკოლება და თავსატეხი ჯაჭვის რგოლებივით ებმიან ერთმანეთს, მაგრამ ყოველი დღე აახლოებს იმ მიზნებს და მომავლის რწმენა აადვილებს წინსვლას.

თუმცა დარიანის რაიონის ყველა სოფელი ვერ ხვდებოდა ახალ დღეს სიხარულით. გათენება რას მოუტანდა იმ სოფლებს, თუკი ისინი თალხად ჩაგვირისტებული რჩებოდნენ ალაზნის ველის წარმტაც ქარგაში. სასიხარულო რა ჰქონდათ, თუ მათი ბეღლები გამოცარიელებული იყო, თუ შრომადღეზე მიღებული კაპიკებით ოჯახი ახალწლამდე ძლივს შავშავებდა, მერე კი მარჩენალი დღიური სამუშაოს საძებნელად უნდა წასულიყო შინიდან.

მათ სიდუხჭირეს თითქოს სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა.

აი მაგალითად, კირიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დათა მღებრიშვილი განთქმულია დარდიმანდობით და ხელგაშლილობით, მაგრამ მის შორსგავარდნილ სახელს გლეხის შრომა ასაზრდოებს.

თაფლაურას კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოსე ლაბაძე უძილობით იტანჯება. დღეღამ იმის ფიქრშია, უფროსებს როგორ აამოს, რით ამაგროს აზაბრებული მეურნეობის კეთილდღეობაზე ყალბი წარმოდგენა.

ნატაძრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაბო ნაცვლიშვილი სულაც არ უქნია ღმერთს. თვითონ — რაიონის ხელმძღვანელების მორჩილი მსახურია და ნატაძრელების მეურნეობას ჯიბის ფულად აწყალებინებს გამვლელ-გამომვლელს.

ჰოდა, სინამდვილეში გამოდის, რომ

იმ სოფლების სიდუხჭირის მიზეზებს ერთი სათავე აქვს, და რა თქმა უნდა, ვისაც სხვისი გაჭირვება საკუთარ სიხარულს უწამლავს, ის გულგრილად ვერ უყურებს მეზობლის დაღონებას.

— დიტო ხირსელი იტყოდა ხოლმე „იმათზე ხელმძღვანელებმა აიტკიონ თავიო", — გადმოულაპარაკა ალექსის ნიკო ხელაშვილმა.

ხე-ტყის სახერხი ქარხნიდან ბრუნდებოდნენ. შარაგზის გასწვრივ დაკლაკნილ ბილიკზე მისდევდნენ ერთმანეთს.

ალექსიმ არ უპასუხა. გზადაგზა ეკლიანი ღობის გადაღმა იხედებოდა. დაუდევრად შეწამლულ ვენახებს ათვალიერებდა.

— ჩვენი რაიონის ხელმძღვანელებს კი, — განაგრძო ნიკომ, — თავის ტკივილი არა სჩვევიათ.

— მაგისთვის თავი უნდა ჰქონდეს კაცს, — ბოლმიანად ჩაიბუზღუნა ალექსიმ.

— რაც მართალია მართალია, თავი საჭირო ნივთია! — გაიცინა ნიკომ. მიხვდა, რომ ალექსის გულს უწუხებდა ნატამრელების ხელმიშვებული ვენახების ხილვა, ისევე როგორც თვითონ ნიკოს. მაგრამ ნიკო ბევრად უფროსი იყო ალექსიზე და ცხოვრებაში გაცილებით მძიმე საწუხარს შესწრებია, ისწავლა ამით გულისტკივილის დანელება, მოვლენების მშვიდი გონებით განსჯა.

მტვრის კორიანტელში გახვეული, ყურწამღები გრიხინით მომავალი მანქანა გამოჩნდა. თაფლაურას კოლმეურნეობის თავმჯდომარის, უძილობით დატანჯული მოსე ლაბაძის მინგრეულ-მონგრეული „მ-1" წამოეწიათ და გაჩერდა. შოფერმა უმეტყველო თვალებით გადმოხედა ქვეით მგზავრებს და ისევ საჭეს ჩააშტერდა. გვერდით თვითონ ლაბაძე იჯდა. შუახნის კაცი იყო, გრძელცხვირა და გაცრეცილი გრძელი სახიანი. ტილოს მაღალი ქუდი სასაცილოდ უგრძელებდა ცხვირსაც და სახესაც.

ლაბაძე მანქანის კარს დაეჭიდა, მაგრამ ვერ გაალო, ხელი ჩაიქნია და მინახატეხილ სარკმელში გამოყო თავი.

— სახლიკაცებს ვახლავარ! [illegible]? დაბრძანდით, მიგიყვანთ!

— ნუ სწუხდები, მოსე, ჩვენ სხვა გზა გვაქვს, — უთხრა ნიკომ.

— სხვა გზა რას მიქვიან? გულის საამო ადამიანებთან ჩვენ ყველა გზა გვაწყობს!

— ნუ იტყვი. შენ გარკვეული გეზი გაქვს აღებული, რა აზრია იმის გამოცვლა, — მოჭუტა ჭკვიანი თვალები და ვითომ ხუმრობით უთხრა ნიკომ.

— ეეჰ, ძვირფასებო, მიწა მრგვალია, რა გეზითაც არ უნდა იარო, სულერთია, მაინც ცენტრში მიხვალ! — ჩაიხითხითა მოსემ თავის ქარაგმულზე.

აქამდე განზე უხმოდ მდგომ ალექსის მოსეს ხითხითმა სახე დაუმანჭა.

— შენი ხალხი ვნახეთ ხე-ტყის ქარხანაში, ქირით სამუშაოს იხვეწებოდნენ, — უთხრა საყვედურით.

— სამუშაოს! იმათთანა მუნიან ნაცარქექიებს იქიდანაც მალე გამოაპანღურებენ, მამიჩემის ცხონებამ! თითის განძრევა ემკვლელებათ იმ სახეძაღლებს!

ალექსი მანქანას მიუახლოვდა, თითქოს უნდოდა ხელი წაეკრა, რომ წასულიყო, აღარ დაენახა ლაბაძის საძულველი სახე.

— შენ აიძულებ გარე-გარე სიარულს და ცილს მაინც აღარა სწამებდე! — უთხრა აღშფოთებით.

მოსემ სწრაფად გადახედა შოფერს და მერე ნაძალადევად გაიღიმა.

— ეშმაკმა იცის, რა ილაშლაშეს, და შენც დაიჯერე?! ვისაც სირბილი ეხალისება, ირბინოს, გზა მშვიდობისა, ჩვენ კი მადლობა ღმერთს, სილარიბეს არ ვუჩივით!

— პირიქით, არ იცი, იმდენ სარჩოსაბადებელს როგორ მოუარო, ისლაა გასაკვირი, თქვენ დავალიანებას სხვა რად უხდის სახელმწიფოს.

— მაგას, ჩემო ალექსი, მე და შენ არ გვეკითხებიან, უფროსებს არაფერი შეეშლებათ!

— სხვისი სიბეცით სარგებლობა — უსვინდისობაა!

— შენა გგონია, ჩვენს უფროსებს სიბეცე სჭირთ? — ტუჩის კუთხეებში ქაფი მოადგა მოსეს, თავი მანქანაში შემალა და შოფერს წასვლა უბრძანა.

შოფერი ისეთივე უმეტყველო თვალებით გადმოვიდა მანქანის დასაქოქად.

ნიკომ და ალექსიმ გზა განაგრძეს. კარგა ხანს იარეს ხმაამოუღებლად, გზის გასაყართან კი ნიკო ერთბაშად მოუტრიალდა ალექსის.

— სიტყვას ვერ ამოგაძრობს კაცი და იმ ნაძირალას რას გაუბი ლაპარაკი?

— ეგ ნაძირალები ქვეზსაც ააყვირებენ.

— არ იცი, როგორ მოაჩუქურთმებს, რას ჩაუკაკლავს პროკოფი გულავარდიშვილს?

— ჰოდა, კარგია, ეგებ შევეშველოთ ამხანაგს, თავის ტკივილი დაეწყოს, — გაუღიმა ალექსიმ და მაგრად ჩამოართვა ნიკოს ხელი.

* * *

სოფელი ქირნახულს აბინავებდა და მომავალი წლის ბარაქაზე ზრუნავდა. ირმისელები საქმეს ვერ ასდიოდნენ, თავმჯდომარე კი მაინც ახერხებდა, ყოველ გამთენიისას ხევგალმა ნაპირს ზვერავდა. უყვარდა მთებიდან წვრილ-ზვირთიან მდინარესავით მოდენილი ფარების დახვედრა და საზამთრო საძოვრებისაკენ მათი გაცილება.

მაგრამ არ ჩანდა ცხვარი და ველარ ისვენებდა ალექსი. ძალზე ადრე ჩამოთოვა მთაში და ო, რა კარგად იცნობდა ის ზამთრის ადრეულა იერიშს მთაში! იცოდა, რომ კუთვნილ დროზე ადრე, არც მზე დასთმობდა ტახტს უბრძოლველად. ასეთ თავგუნება შემოდგომას ცხვარი ადრე უნდა აშლილიყო მთიდან, უნდა გამოესწრო ბუნების მზაკვრულ ილეთისათვის, გამოესწრო, ვიდრე ზამთარ-ზაფხულის ორთაბრძოლაში უცებ ჩამდნარი ლბილი თოვლი მოულოდნელ დიდროად ჩამოასკდებოდა ბარს, წალეკავდა გზას, საფარს, ცალ-ცირე ბონდს, ხიდებს...

ალექსის ელდასავით სცემს მაღლიდან გამოქროლილი სიოს სუსხი და თეთრად ამოქარგული მთვრის ტეხილი ხაზი. იგვიანებს ცხვ[illegible]ვს ადამიანი. ამბის გასაგებად კაცები გაგზავნა მთისკენ და თვითონ რაიონის ხელმძღვანელებს მიაკითხა: ეგებ დაავიწყდათ, რამდენა ზარალი მოჰყვება ხოლმე სექტემბრის თავნებობის არად ჩაგდებას?!

ღელავს ალექსი და ბრაზობენ უფროსები: რას აგვიკლო ამ გონჯაურამ, ცხვარს ვინ აკითხებს, თავის საქმეს მოუაროსო.

ამასობაში დრო წაგებული აღმოჩნდა. დაგვიანებული ნებართვით წამოსულ მეცხვარეებს გზაში ქარაშოტმა, სეტყვამ, თოვლმა, წვიმამ, წყალდიდობამ უწია. ნესტგამჯდარი, შეციებული ცხვარი საბრალისის ბღავილით მოადგა ადიდებულ ირმისხევს, რის ვაი-ვაგლახით გადმორეკეს ფარები მოფანფალებულ, უშნოდ გაწელილ ხიდზე. პირუტყვს ფეხზე დგომის ღონე აღარ ჰქონდა, რა სული და ხორცი შერჩებოდა წინმდებარე შორ სავალზე?!

— ხალხო!... — მიუბრუნდა ალექსი თანასოფლელებს და სათქმელი ველარა თქვა. ვის გაუგონია? ათასობით ცხვარს სოფელში ვინ შეუშვებს? მოულეველ საშემოდგომო საქმეს ზედმეტ თავსახლელს რაღას მიამატებენ? ეს საცოდავი ნატაძრალები ზოოტექნიკოსს დასევიან, ლამის გაგლიჯონ ვაჟა კვერენჯაძე:

— მაშ ეს საქმეა? — უყვირიან ისინი ვაჟას, — ჩვენ შვილებს უკანასკნელ ლუკმას ვუყოფდით, შენ გეხმარებოდით, გვინდოდა გესწავლა და გამოგვდგომოდი, შენ კი იმის ცოდნა და მარიფათიც ვერ გამოიჩინე, რომ დროზე წამოსულიყავით! ორიოდე ცხვარი გაგვაჩნდა და ისიც დაღუპვამდე მიიყვანე! ბრძანებას რას უცდიდი, არ იცი, დარიაჩში ჩვენთვის თავს არავინ გაიცხელებდა?!

— ხალხო!.. — ველარ მოითმინა, ისევ დაიძახა ალექსიმ და ისევ გაუწყდა სათქმელი სიტყვა.

მაგრამ მისი დაძახება ყრუ კედელს

კი არ შეჰხეთქებია, მიუხვდნენ ირმისელები თავის თავმჯდომარეს, დაიძრნენ, კედლად დადგნენ შარაზე, ცხვარს სოფლისკენ უბრუნეს პირი.

ქუჩებს, შუკებს, ორღობეებს, ეზოებს მოედო პირუტყვი. სოფლის სუნი რომ იკრეს, უარესად აბღავლდნენ, მათი საცოდაობით ქვა გასკდებოდა. ადგნენ ირმისელები და სადაც ბოსელი, ფარდული, ჯიხური, ბაკი, გომური იყო — ყველაფერი დაუთმეს, მაგრამ ვერ დაეტია ცხვარი. „თუ მადლია, მარილიც მოვაყაროთო“ — თქვეს ირმისელებმა და მარნებში, აივნებზე, მერე კანტორაშიც და კლუბშიც შერეკეს, ბატკნები კი საბავშვო ბაღის სახელდახელოდ დაცლილ ოთახებში დააბინავეს. ცას მისწვდა სასწრაფოდ დანთებული ბუხრების და ღუმელების ბოლი...

თბილად დაილამა და გაითენა პირუტყვმა, სული მოითქვა, გაშრა და გალაღდა. მეორე დღეს გვიან გათენდა. თითქოს მთაში ნამძარ მზეს ისრები დაუჩლუნგდათ. როდის-როდის გაარღვია მოქუშული ცა და ვინ იცის, სასიხარულოს რას შეასწრო თვალი, ღრუბლები უცებ მიყარ-მოყარა, აელვარებული დაეკიდა კაბადონს და მცინარე ათინათებით მოფინა დედამიწა.

მოსულიერებული ცხვარი შარაზე გაიყვანეს. ისევ ჩვეული მედიდურობით მიაბიჯებდნენ ვაცები და რქებდაგრეხილი ყოჩები. ისევ მარჯვედ მისდევდნენ მათ ერკემლები, მიიქნევდნენ დუმას შიგაკები, ქევქევით მიდიოდნენ კოხტაპრუწა თოხლები, მიაბაკუნებდნენ თეთრხუჭუჭა ბატკნები.

ფარა ფარას მიჰყვა. წავიდა ცხვარი. გაუჩინარდნენ ბოლომცველი ნაგაზებიც, მხარზე გირგილგადებული მწყემსებიც, მოჩარდახებული ცხენურმებიც.

— ისეც ირმისელების წყალობით ვარსებობთ და ეხლაც მაგათ გადაგვირჩინეს ცხვარი დალუპვას, ღმერთმა დიდი დღე მისცეს იმათ ღვთისნიერ თავმჯდომარეს! — ეუბნებიან ნატაძრელები კვერენჯაძეს.

— ჩემო ნატაძრელებო, ჩემო ძვირფასებო, — იცინის ვაჟა, — დიპლომი ინსტიტუტმა მომცა, ჭკუას თქვენგან ვსწავლობ, გამოცდილებას შეცდომებიდან მივიღებ! ერთი-ორი წელიც მაცალეთ და მეცხვარეობაში პირველ ადგილზე თუ არ გამოგიყვანეთ, ბიჭი არ ვიყო! — იცინის ვაჟა და ისეთი გადამდები სიცილი აქვს, რომ გულჩათხრობილი ნატაძრელები ვერ უძალიანდებიან. ერთი-ორი წელი მაცალეთო! ნატაძრელებს მოთმენის უკეთ სხვა რა სჩვევიათ? დაიცდიან. ვაჟას სიტყვას განა არ დაიჯერებენ? ვაჟა მაინც ვაჟაა, მათი გაზრდილი, გულთბილი და პატიოსანი ბიჭი!

ვაჟა სირბილით გაეკიდა წასულებს. გამცილებლები ირმისს მიუბრუნდნენ და სოფლის დასუფთავება-მოწესრიგებას შეუდგნენ.

რაიონის ხელმძღვანელებმა თავის მცნევარებისაგან ყველაფერი იცოდნენ. ირმისში მისვლა არ ინდომეს, დანაშაულის აღიარებად არავინ ჩაგვითვალოსო, და ფარებს სოფლებიდან მოშორებით, მინდორში დაეწივნენ. ცხვარს დაზარალებისა არა ეტყობოდა რა, და გული რომ დაიარხეინეს, აქეთ გამოედავნენ მეცხვარეებს, ვინ მოგცათ ნება პირუტყვი სოფელში შეგეყვანათო. ოჰ, ისევ გონჯაურა?! საზღვარი აღარ უნდა დაედოს იმ კაცის თავნებობას? ცხვარს სოფელი აკლებინა, საბავშვო ბაღი აოხრებინა, გაგონილა? ნამდვილად პასუხისგებაშია მისაცემი!

ბობოქრობით გამოგრიალდნენ ირმისში და პირკატა ეცათ — სოფელში „აკლება-აოხრების“ კვალი ვერსად დაინახეს. ხალხს საბავშვო ბაღის ეზოში მოეყარა თავი დასასვენებლად. აბა ასე საჯაროდ რა ეთქმოდათ, წინა კბილებით მადლობა გადაიხადეს, ბავშვების სიმღერა-ლექსებსაც მოუსმინეს და ოთახებიც დაიარეს. ერთგან კედელზე მირჩენილი ბოლომოკორტნილი სურათის გამო ერთმანეთს აზრი გაუზიარეს, ჯიბომ კი სურათი ჩამოხსნა, ბეჯითად დაახვია და „ყოველ შემთხვევისათვის“ ხელს გააყოლა.

ბოლოს სტუმრები აივანზე გამოდ-

გნენ, რაიონის მიღწევებზე, მეცხოველეობის აღმავლობაზე, თავდადებულ შრომაზე და მომჭირნეობაზე ლაპარაკით გული იჯერეს და წავიდნენ.

* * *

ყველამ იცოდა, რომ რჩეულიშვილს თვალის დასანახავად ეჯავრებოდა და დაუნდობლად ჰგმობდა მათ, ვინც ხალხს ცხოვრებას უჭირვებდა. ამიტომ უკვირდათ, რომ ალექსი არ იზიარებდა საერთო აზრს გაბო ნაცვლიშვილზე.

„უხეირო, წყალწაღებული კაციაო", — ამბობდნენ ნატრის კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე ისინიც, ვინც ურცხვად სარგებლობდნენ მისი უტყვი მომსახურებით და ისინიც ვინც იჩაგრებოდნენ მისი სიბეჩავით. ასე ამბობდნენ იომისელებიც, და ნატაძრელების ბავშვებს სამადლოდ ზრდიდნენ ბაგაშიც და საბავშვო ბაღშიც.

ალექსის კი რატომღაც ეცოდებოდა ის კაცი, თითქოს ვერ იმეტებდა აუგისათვის. ეგებ იმიტომ, რომ თვითონ ნატაძრელები თავისი ხელმოკლეობისა და დუხჭირის გამო ნაცვლიშვილს კი არა, ბედს ემდუროდნენ, გაბოს ძვირს რომ გაიგონებდნენ, ამოიოხრებდნენ ხოლმე, „ეჰ, თვალი დაუდგა ზოგი კაცის ყისმათსო!"

ერთხელ გამთენიისას ვენახების შემოვლის დროს, ალექსიმ ნატაძრელების ნაკვეთიდან განგაშის მსგავსი ყროყინი გაიგონა. სწრაფად გასწია იქითკენ და დაინახა: ხის ყუთებით დატვირთულ ორთვალაში შებმულ ვირს გაბო ხან ემუდარება, ხან გამეტებით ურტყამს, მაგრამ სახედარი ადგილიდან ფეხს არ იცვლის და უსაშველოდ ყვირის.

მიხვდა ალექსი: გაბოს საკოლმეურნეო ბაღი გაუძარცვავს და ვილაცასთან მიაქვს ნატაძრელების ერთადერთი სიკეთე და სიამაყე — სანაქებო ჯიშის ადრეული ვაშლი.

აღშფოთებული ალექსი მივარდა ორთვალასთან.

— ჰხედავ, პირუტყვი შენზე პატიოსანი ყოფილა! — დასჭექა გაბოს მოულოდნელად.

ნაცვლიშვილი აწრიალდა, [illegible] მეაწყდა, თავის აწევა ვერ გაბედა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაილაპარაკა:

— მაშ რა მექნა? რა ვქნა, რა? მითხრეს. ეხლა ნებავთ. ვიდრე იშვიათიაო. მერე რაღათ გვინდაო...

ალექსი დროზე მოვიდა გონს, უნებლიედ აწეული ხელი დაუშვა და ზედ ისე დახედა, თითქოს სხვისიაო, სული შეუგუბდა.

— გასწი, დამეკარგე თვალიდან, მასხარავ, — ამოისუნთქა მოგვიანებით.

გაბო ჯერ მორჩილად გატრიალდა, ფეხათრევით წავიდა, მაგრამ უცებ ისევ შემოტრიალდა, სწრაფი ნაბიჯით დაბრუნდა, ალექსის წინ დადგა და თვალი გაუსწორა:

— მოგეკალი, შე მადლიანო, მოვრჩებოდი, მოვისვენებდი.

„რა მოსდის, რა ემართება ამ კაცს? — მწვავედ გაჰკრა ფიქრმა ალექსის. მარწუხივით ჩაავლო ხელი გაბოს მაჯას.

— მოსვენება თუ გინდა, მოეშვი ნატაძრელებს, შენც მოისვენებ და აღარც ისინი დაიტანჯებიან.

— ჩემზე არ არის ეგ დამოკიდებული.

— გგონია ნატაძრელები ვერ შეგელევიან?

— არა, იმათ არა ჰკითხავენ, ყურსაც არ უგდებენ.

— რას ამბობ, ვერ გავიგეო.

— დიდი ხანია ნათხოვნი მაქვს. ასჯერ ვითხოვე და არა, არ მიშვებენ...

ალექსიმ ხელი შეუშვა გაბოს მაჯას.

— არ მიშვებენო, და ნაპარევი ვაშლებით კი მხარდაჭერას ჰყიდულობ?! სხვები რომ ეგეთ რაღაცეებს აკეთებენ, გასაგებია, გამორჩენა აქვთ, და შენა? ბაღლები სამოწყალოდ გეზრდებიან, სახლი თავზე გენგრევა, თითონ კაცი იყავი და ქალაღადა ხარ ნაქცევი. რისთვის აკეთებ ამას, რისთვის?

გაბომ წამით ჩამოაფარა თვალებს გათხელებული ქუთუთოები და მერე ისევ პირდაპირ შეხედა ალექსის.

— დამიჯერებ? ნურაფერს კი ნუ შემეკითხები, ისე დაიჯერე, რასაც გეტყვი. მე შენზე უკეთესი თავმჯდომარე ვიქნებოდი, მაგრამ არ მინდა, არ არი საჭირო, არ შეიძლება, გესმის? არ მინდა, გჯერა?

ალექსის უნდოდა ეთქვა, მჯერაო, მაგრამ ხმას ვერ იღებდა. ის, რაც უცებვე დაიჯერა, საოცარი რაღაცა იყო, და გაოცებული, აუხსნელი თანაგრძნობით შეჰყურებდა გაბოს. ის აღარ იყო წელანდელი აწრიალებული „უხეირო". სულ სხვა იყო, სხვანაირი და თითქოს უცნობი.

— ვთხოვ და არ მიშვებენ, — განაგრძობდა ის, — ჩემ ნებაზე მოქცევა კი არ შემიძლია. იყო ისეთი რაღაც ჩემს ცხოვრებაში, რის გამოც, შენ მართალი სთქვი, ტალახად ვარ ნაქცევი. დამნაშავე კი არაფერში არა ვარ. დამიჯერე, არაფერში არა ვარ დამნაშავე. ნურაფერს მკითხავ, მეტს ვერაფერს გეტყვი. შენთვისაც არ არი საჭირო, სჯობია არ იცოდე. ბუზი რომ გაებმება ობობას ქსელში, ისე ვარ. მოსვენება კი შენატრება, სამუდამო მოსვენება ისე მენატრება... მაგრამ ცოლ-შვილი მეცოდება. ან იქნებ მართლაც ტალახი ვარ, სიბრალულს იმიტომ ვებღაუჭები...

ალექსი გაჩუმებული უყურებდა. გაბოს უყურებდა და უსასრულო შორეთიდან მომავალ, უზომოდ დაღლილ-დამაშვრალ მგზავრს ხედავდა. თვალები ეტკინა და სთხოვა:

— წამოდი, გაბო, წამო, ძმაო, აქვე ფარდულში დავწეროთ განცხადება, პასუხი ითხოვე, ოფიციალური პასუხი მოითხოვე, გესმის? გიპასუხებენ თუ არ გიპასუხებენ, მერე მოვიფიქროთ, ვნახოთ...

და მზე შუბის ტარზე იყო, ალექსი გაბოს რომ აცილებდა.

— ამას, ამ ტიალ ყუთებს რა ვუყო?

— ჰკითხა გაბომ ალექსის და თითქოს მადლობით მოუთათუნა ისევ ისე ჯიუტად მდგომ სახედარს.

საბავშვო ბაღში წაიღებენ. შენ წადი, გზა მშვიდობისა!



* * *

გავიდა ერთი დღე, მეორე, მესამე, და გაბო არ გამოჩენილა, არც არავინ იცოდა მისი გზა-კვალი. ალექსი განზრახ ახანგრძლივებდა ზვრების შემოვლას, ეგებ გაბო აქ მოვიდესო, მაგრამ ის კაცი არ ჩანდა და ალექსის მის ბედზე წუხილი უძლიერდებოდა.

მეოთხე დღეს ირმისს პროკოფი გულვარდიშვილი ეწვია. ის ყოველ მოსვლაზე ამბობდა, „გზად შემოვიარე და ძალიან მეჩქარებაო". თავმჯდომარე კაბინეტში თუ არ იყო, რაიკომის მდივანი არც მის დაძახებას ბრძანებდა, არც სათქმელს იტყოდა, ისე გაბრუნდებოდა და თუ შეხვდებოდა რჩეულიშვილს, მაშინვე ჩივილს იწყებდა: „ისე ვარ გადატვირთული, წუთით მოცლა არა მაქვს ,თორემ ირმისში ყოფნას და დასვენებას რა სჯობია? ზოგიერთი ჩვენი ამხანაგივით მე ვერ ავყვები პირად სიამოვნებასო".

ათასში ერთხელ გულვარდიშვილი ალექსისთან ერთად, მანქანიდან გადმოუსვლელად დაუვლიდა მეურნეობას, სიტყვასაც არ იტყოდა, რა მოეწონა, რა არ მოეწონა, ისევ გაქცევაზე ეჭირა თვალი.

ამჯერადაც მდივნის მანქანაზე სქლად დადებული მტვერი ადასტურებდა ამხანაგ გულვარდიშვილის უზომო გადატვირთულობას.

ჯაფარაანთ ლიზამ შორიდანვე დაინახა მისი მანქანა, ბიჭები აფრინა თავმჯდომარესთან, თვითონ კი მის კაბინეტში შევარდა, ქოთნით ყვავილები შეიტანა, მაგიდიდან და სკამებიდან მტვერი გადაწმინდა.

— რას აუტეხიათ, მტვერიაო? — ბუტბუტებდა თან, — მაგათი მტვერი საქმიანობის მაჩვენებელია და აქაური მტვერი — უსაქმურობისა? ზამთრობით დამლაგებელი გვყავს და მტვერიც არ არის, ზაფხულში, გარეთ როცა თითო მარჯვენა ოქროს ფასია, კანტორაში ასი წლის დედაბერსაც ვერ დააბამ, ესეც თუ არ ესმით და...

„სტუმრის საამებლად" ლიზიკომ გარუჯულ ცხვირზე პუდრიც კი მიიყარა.

მაგრამ თავდადება არ დაუფასდა, უფროსი აშკარად ცუდ გუნებაზე იყო. თავმჯდომარის მაგიდაზე ყვავილების ქოთანი რომ დაინახა, ირონიით მოკუმა თხელი ტუჩები და ბოლთისცემა დაიწყო, თან მწითური ბეწვსუსებით დაფარული თხელი მაჯა წარამარა მიჰქონდა თვალებთან. საათს დაჰყურებდა და ილუშებოდა.

ის რომ ილუშებოდა, ლიზიკო სიცილს ძლივს იკავებდა. სტუმარი ხმელხმელი კაცი იყო და საშუალოზე ოდნავ დაბალი ჩანდა. წვრილი და მოხდენილი ხელ-ფეხი ჰქონდა. სახეც ლამაზი ექნებოდა, მაგრამ კანი ჰქონდა ისეთი ფერმკრთალი და მოდუნებული, რომ როცა ილუშებოდა, ლიზას ეჩვენებოდა, შუბლი გახუნებული ნარმასავით ეკეცება.

მაგრამ აი, გულვარდიშვილმა კვლავ მიიტანა მაჯა თვალებთან და ლიზიკოს სახეზე ღიმილი გაქრა. მოეჩვენა, რომ სტუმარს რისხვამ ჩაუთალხა კანიც, ცისფერი თვალებიც, ხასხასა ჰალსტუხსაც კი დაუკარგა პეწი და ლაზათი.

„ასე რა აბრაზებს ამ დალოცვილს, — შეშფოთებით გაივლო გულში მოანგარიშემ და ფანჯრიდან გახედა გზას. — სულ ათი წუთია, რაც ცდის, ამ გაგანია მუშაობის დროს თავმჯდომარე აქ ხომ არ იჯდებოდა? ოჰ, მოდის ალექსი, მადლობა ღმერთს, მოდის!“

— შენ მართლაც არასდროს არა ხარ კაბინეტში, — უთხრა გულვარდიშვილმა ალექსის, — ხელი რომ ჩამოართვა.

— დიახ, იშვიათადა ვარ.

— მაშ, მიმდინარე საკითხებს როდის არჩევ?

— საკითხები ყოველ ნაბიჯზე ჩნდებიან და იქვე გვიხდება მათი გადაწყვეტა. თუ სასწრაფო არ არის, სალამოთი ვიხილავთ გამგეობაზე.

— მაგრამ კანტორაშიც ხომ უნდა იყოს ვინმე?

— დიახ, პატივცემულო ამხანაგო პროკოფი, გამგეობის წევრები მორიგეობენ, მაგრამ ყოველთვის ვერ ხერხდება...

— არა, არა, არ შეიძლება, ეგ დაუშვებელია! აქ ყოველთვის უნდა იყოს ვინმე. ვინმე კი არა, უფლებამოსილი, პასუხისმგებელი პირი. რა იცით, ეგებ ჩამოდის ვინმე, ან მოხდეს რამე ეგეც არ იყოს, კოლმეურნეებზე უნდა ზრუნავდეთ ,თქვენ უნდა ემსახურებოდეთ, იმათ ხომ არ უნდა გდიონ? შემოსასვლელთან დაფა მიაკარით, მიღების საათები დააწესეთ და მიიღეთ ხალხი, მოუსმინეთ, გამოიჩინეთ ყურადღება, ეს დიდი ხანია უნდა გაკეთებულიყო!

— გავაკეთებ, ამხანაგო პროკოფი, კალოზე ხომ არ წამობრძანდებოდით?

— სამწუხაროდ, არა მცალია, ვერ წამოვალ. აქეთ ვიყავი და ერთი წუთით შემოვიარე. ჰო, მართლა! ამხანაგო ალექსი, კირიანელებს მანქანა რატომ არ ათხოვე? ჩემი ბარათი მიიღე?

— მივიღე.

— მერე?

— მანქანა სახერხი ქარხნიდან მასალას ეზიდება, ბეღლის გაფართოება გვეჩქარება.

— შენ ხო იცოდი, რა სამწუხარო ამბავის გამო დასჭირდათ კირიანელებს მანქანა?

— ამბავი სამწუხაროა, მაგრამ ვიფიქრე, კირიანს სასაფლაო ზედვე აქვს, მიცვალებულს ხელით წაასვენებენ-მეთქი.

— კიდევ რა იფიქრე? — სერიოზულად ჰკითხა მდივანმა.

— თავმჯდომარის სიდედრის დამარხვა და ქელეხი კირიანელებს გაუხდათ თავშისახლელი და ირმისელები რაღად უნდა დაზარალდნენ-მეთქი.

— შენ ყოვლთვის განსაკუთრებული მოსაზრება გაქვს, — ისევ სერიოზულად თქვა გულვარდიშვილმა.

— დარწმუნებული ვარ, თქვენც გექნებოდათ ეს მოსაზრება, მაგრამ მღებრიშვილის დახმარება და გამხნევება გსურდათ. რაკი ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა, ამაზე თქვენი ყურადღების შეჩერება აღარა ღირს.

ვერც მის სიტყვებს, ვერც დინჯ კილოს კაცი ვერ შეედრებოდა, მაგრამ რაღაცა იყო ალექსის სიტყვებშიც და

კილოშიც ისეთი, რაც გულვარდიშვილს გაუგებარი დარჩა, ისეთი, რამაც მას თავისი თავი უცებ პატარად, ფიზიკურად ძალზე დაპატარავებულად მოაჩვენა და ისეთი საძაგელი გრძნობა განაცდევინა, რომ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. მერე შეეშინდა, რჩეულიშვილი არ მიმიხვდეს უცნაურ განწყობასო, ყალბი გულითადობა მიატოვა და ზემდგომის ძალაუფლებიანობით ისარგებლა:

— ამხანაგო, ალექსი, მე ბევრჯერ გავუჩუმდი შენს თავნებობას და ეტყობა, ამან ზიანი მოგიტანა, ჩვენი ტრადიციების უპატივცემულობა, ან მეზობლის მწუხარებას გაიზიარებ თუ არა — ეგ პირადი ამბავია, შენი ნებაა, მაგრამ ლაპარაკი გეგმებზე, გადასახადების ვითომდა არასწორ განაწილებაზე და სხვა ამისთანებზე კი — უკაცრავად! იქნებ იმასაც ფიქრობ, რომ სახელმწიფო გეგმებიც, დამზადებაც, განაწილებაც და ყველა სხვა საკითხებიც შენი ნება-სურვილით უნდა წყდებოდეს?!

— არა, უბრალოდ, მე არ მინდა, რომ შრომისუნარიანი ხალხი აიძულონ სხვის ხელში შემყურე იყოს, სხვის კმაყოფაზე ცხოვრებას მიეჩვიონ.

— მე ვხედავ, ჩემო კარგო, ამგვარი ლაპარაკი ჩიხში მოგვამწყვდევს და მე მომიხდება შენთვის გამოსავალის ძებნა.

— ეგ ადვილი საქმეა, ძნელი — ჩამორჩენილი მეურნეობისათვის გამოსავლის მოძებნაა.

— გავიგე, შენ ნატაძრელებისათვის გიპოვნია გამოსავალი!

ალექსის არ დაუნახია გულვარდიშვილის დამცინავი ღიმილი. ნატაძრის ხსენებაზე მის თვალწინ უსასრულო შორეთიდან მომავალი, დაღლილი მგზავრის სახემ გაიკრთომა. წარბებშუა ნაოჭი დააჩნდა, ღრმად ჩამჯდარი თვალები აენთო და თითქოს მისმა გულმა ამოიოხრაო:

— რა დაემართა იმ ადამიანს, რა?

გულვარდიშვილი სწორად მიხვდა, ვისზე წუხდა ალექსი და ამ უმისამართო, უნებურად აღმომხდარმა კითხვამ ისე გააკვირვა, რომ თვითონაც უნებურად შეეცვალა კილო.

— ეგ შენ უნდა იცოდე, შენ ყოფილხარ იმისი გულშემატკივარი.

ალექსიმ იგრძნო, რომ მდივანმა ნამდვილად არაფერი იცოდა გაბოს შესახებ. დაიჯერა, რომ ნაცვლიშვილის ბედის უკუღმართობაში მთავარი ბრალი მას არ მიუძღვის და ამისათვის იმ წამს ბევრი რამ აპატია, რაც შეეძლო მშვიდად თქვა:

— არა ჩანს, მეგონა, თქვენ გეცოდინებოდათ, სად არი.

— მე უსაქმურებისათვის არა მცალია, არც მათი გზა-კვალი მაინტერესებს, შენ კი არ გირჩევ სხვის საზრუნავში წილის ჩადებას, სჯობია საკუთარი პოზიციები გადასინჯო. ახალგაზრდა კაცი ხარ, მოასწრებ შეცდომების გამოსწორებას. ჩვენც ანგარიშს გაგიწევთ, ვეცდებით დაგივიწყოთ, რომ ზედმეტი ლაპარაკით ჩრდილს აყენებდი პარტიის რაიონული კომიტეტის ავტორიტეტს. ჩანს, შენ არა ზრუნავ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე, სწორედ აქედან მოდის შენი კერძო მესაკუთრული ტენდენციები, „მანქანა ჩემია და არავის ვათხოვებ“, „სალეწი მე მჭირდება“, და სხვა ამისთანები. მალე საკუთარი ტრაქტორიც მოგინდება!

— სწორედ მაგის თაობაზე ვაპირებდი თქვენთან მოსვლას!

— რის თაობაზე?

— ჩვენმა საერთო კრებამ დაადგინა, ტრაქტორი შევიძინოთო, — ისე მშვიდად მიუგო ალექსიმ, თითქოს მანამდე არავითარი უსიამოვნო სიტყვა არ თქმულა მათ შორისო.

გულვარდიშვილმა უცებ დაბუჟებული თითების ბოლოები დაიზილა და გაოცებით აჩეჩა მხრები. მერე უსიტყვოდ დაუქნია თავი ალექსის, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

იმავე ღამეს მდივანს ჩვეულებრივად გაგრძელებული, მრავალსიტყვიანი თათბირი ჰქონდა დარბაზში. სხვადასხვა საკითხებზე დაბარებული ხალხი რომ

გაისტუმრა, სავარძლის საზურგეს მიესვენა, კაბინეტში დარჩენილნი შეათვალიერა, შემთხვევით თუ განზრახ მზერა მეორე მდივანზე შეაჩერა, თითი საფეთქელთან მიიტანა და დაიწყო:

— გულახდილად უნდა გითხრათ, ამხანაგებო, უკმაყოფილო ვარ თქვენით. არ იჭრებით ცხოვრების სიღრმეში, ადამიანების ფსიქიკაში. მე ერთი — ყველაფერს ვერ გავწვდები, ეს ფიზიკურად შეუძლებელია და რა გამოდის? უკვე ფესვებგამდგარი მოვლენები, უცებ მოულოდნელ ამბად გვევლინება...

ჯიბო ჭამიაშვილმა ყურები ცქვიტა. ვის დაატყდება პროკოფი ილარიონიჩის რისხვა? ალბათ, ისევ დეკანოსიძეს, იმას უყურებს...

— აი, ავიღოთ თუნდაც ირმისი და ირმისელები, — პათეტიკურად განაგრძობდა გულვარდიშვილი. — თავის დროზე ჩვენ მივეცით ირმისელებს საშუალება თვითონ აერჩიათ თავმჯდომარე. იმიტომ, რომ მაშინ სხვა პერიოდი იყო, ჩვენ სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეებით ვიყავით გადატვირთული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მხედველობიდან მაინც არ უნდა გამოგვრჩენოდა, რომ იმათი წინანდელი თავმჯდომარე დიტო ხირსელი ამორალური ტიპი, ხალხის მტერი და სამშობლოს მოღალატე გამოდგა და ირმისელები დიდხანს იყვნენ მისი მავნე გავლენის ქვეშ. არც ახალი თავმჯდომარის არჩევაში ჩავერიეთ, არც მერე წავმართეთ იმათი მუშაობა სწორი გეზით. მართალია, ისიც კი უნდა ითქვას, რომ რჩეულიშვილმა ჩვენ ძაან ოსტატურად შეგვიყვანა შეცდომაში, თავდაპირველად თვალები აგვიხვია კარგი მუშაობით, და რას ვხედავთ დღეს?

— ვხედავთ, რომ დღესაც შევყავართ მაგ სასიამოვნო „შეცდომაში", — კეთილი ღიმილით თქვა ანდრო დეკანოსიძემ.

— ჰო, ისეც ვიცოდი, რჩეულიშვილის დასაცავად სიტყვას გამაწყვეტინებდი! — იწყინა გულვარდიშვილმა.

— რჩეულიშვილისთანებს ჩემი დაცვა არ სჭირდებათ, მაჩვენებლები და მუშაობის შედეგები [illegible] მათ ავ-კარგიანობაზე.

— მე ცალკე, კონკრეტულ მაგალითს მოგახსენებთ და შენ კი რატომღაც სცდილობ განაზოგადო ჩემი ნათქვამი. კარგ თავმჯდომარეებს ჩემგან დასაცავად აქვთ ვითომ საქმე? — აჭიმა წარბები გულვარდიშვილმა და შუბლი საოცრად დაუნაოჭდა.

დეკანოსიძე არ დაჰყვა გამოწვევას და მისმა გაჩუმებამ უარესად გააღიზიანა პირველი მდივანი.

— სოფელ-სოფელ სიარული საქმეს არას არგებს, თუ, ვიმეორებ, ცხოვრებაში, ღრმად არ შეიჭერით, ადამიანების ფსიქიკას არ ჩასწვდებით! შენ, ჩემო ანდრო, ირმისში ხშირად ჩაივლი ხოლმე, სწორედ შენა გმართებდა დაგენახა, რომ ის რჩეულიშვილი მთლიანად გაჟღენთილია უცხო იდეებით და კერძომესაკუთრული ტენდენციებით!

— კვიცი გვარზე ხტის! — წამოისროლა ჭიმიაშვილმა.

— ამხანაგო ჯიბო, შენ დიდ-პატარობა უნდა იცოდე, მეტი თავდაჭერილობა გმართებს, — შენიშნა მას დეკანოსიძემ. ის აშკარად ვერ იტანდა, გულვარდიშვილის მფარველობით გათავხედებულ, უმეცარსა და უქნარა წინმასწარას.

— ბოდიში, — წაიდუდღუნა ჯიბომ.

— საბოდიშო არაფერია, — გამოესარჩლა გულვარდიშვილი, — ჩვენ აქ შინაპარტიულ დემოკრატიას ვიცავთ და თავისი აზრის გამოთქმის უფლება ყველასა აქვს, მით უმეტეს, როცა ამხანაგი, ბევრისაგან განსხვავებით საღად მსჯელობს.

— რაღა დროს მაგაზე მსჯელობაა, ამხანაგო პროკოფი, — შეესიტყვა ანდრო. — თავის დროზე პარტიამ გაგვისწორა დაშვებული შეცდომები, ალექსანდრე რჩეულიშვილის შავ სიაში შეტანა უხეში შეცდომა იყო და დაგვიანებით მაინც გამოვასწორეთ...

— რჩეულიშვილი თავისი ბუნებით, მთელი თავისი არსით რომ არ ყოფი-

ლიყო კულაკი, — შეაწყვეტინა უფრო გაღიზიანებულმა გულვარდიშვილმა, ჩვენთვის სავსებით უცხო ელემენტი, რომ არ ყოფილიყო, კუდს ყავარზე არ გასდებდა, თავპატიჟს არ დაიდებდა და ნება რომ დართეს, დაბრუნდებოდა!

— დაბრუნება-არდაბრუნება უკვე მისი საქმე და სურვილი იყო! საერთოდ, მე მიმაჩნია, რომ უსაფუძვლო მტკიცება არა ღირს, უხერხულია.

„სწორედ კაი მომენტია უფროსს მხარი გაუმაგრო, იმ გონჯაურას ვაყურებინებ სეირს!“ — გადაწყვიტა გულში ჭიმიაშვილმა და დისტანციის ხაზგასმული დაცვით, წამოდგა.

— თუ შეიძლება, ცნობისათვის ორიოდე წუთი! პროკოფი ილარიონიჩ, პირადად მე ათასჯერ ვყოფილვარ ირმისის კოლმეურნეობაში. ბევრი ვეცადე იმ რჩეულიშვილთან საქმიანი კონტაქტის დამყარება, მაგრამ აბა, რას გახდები, თუ კაცი თავს გარიდებს, გემალება, პირდაპირ რომ ვთქვათ, გაგირბის?

— აქამდე ვერ გაიგე, რომ შენ ყველა გაგირბის? — შუბლი შეეკრა დეკანოსიძეს, — ამხანაგო პროკოფი, ამას წინაზეც შეგახსენეთ მშრომელთა საჩივრების შესახებ. ზოგიერთი ჩვენი მუშაკის მოუმზადებელი, არა კვალიფიციური ჩარევა სპეციალისტებისა და თავისი საქმის ოსტატების ფუნქციებში ,უკმაყოფილებას იწვევს და ჩრდილს აყენებს რაიკომის ავტორიტეტს.

— მე დიდი ხანია შევამჩნიე, რომ შენ ათვალისწუნებული გყავს პრინციპული და მზარდი ახალგაზრდობა.

— მაგრამ დემაგოგიურ განცხადებას მე არ ვლებულობ, — ძალიან სერიოზულად თქვა დეკანოსიძემ, — ხოლო თქვენი აუხსნელი სიმპათია-ანტიპათიები მშრომელებისადმი და თანამშრომლებისადმი ხალხში მითქმა-მოთქმას იწვევს. საერთოდ, მე აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია, რომ ხელმძღვანელმა ორგანოებმა შეისწავლონ ჩვენი რაიკომის საქმიანობა.

— შენი აზრით, რა ან ვინ უნდა შეისწავლონ? — ქედმაღლური ღიმილით ჰკითხა გულვარდიშვილმა.

— ჩვენი მუშაობა შეისწავლონ და სწორად შეაფასონ. უკონტროლობამ თვითნებობის განვითარება იცის და საქმისათვის დიდად საზიანოა. ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვაქვს გამოსასწორებელი.

— მაინც რა გაქვს მხედველობაში?

— ჩვენ არაერთხელ და ორჯერ გვქონია ამაზე ლაპარაკი.

— მე შენთან სასაიდუმლო არასდროს არაფერი მქონია, რაცა გვაქვს გულში, ამათთანაც შეგიძლიან გადმოშალო! — აგდებულად უთხრა გულვარდიშვილმა და გულღია მასპინძელივით გადახედა თავის მიყუჩებულ შინაკაცებს.

დეკანოსიძეს ყვრიმალებზე მეწამული ლაქები დააჩნდა. ატეხილი ხველა როგორღაც დაიმორჩილა და თავდაჭერით თქვა:

— კაი, ბატონო, თუკი ამას რაიმე აზრი აქვს... აი, რა ახსნა, რა გამართლება უნდა ჰქონდეს თქვენს არათანაბარ, არანორმალურ დამოკიდებულებას რაიონში საუკეთესო მშრომელებისადმი? საქმესაც რომ თავი დავანებოთ, თქვენთვის პირადად თქვენთვის რა აზრი აქვს ამას? თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ დღეს ჩვენი რაიონი თუ კარგ შეფასებას იმსახურებს, ეს სწორედ იმ კოლმეურნეობების დამსახურებაა, რომლებსაც თქვენ არა სწყალობთ და არა კირიანისა და თაფლაურას მსგავსთა, რომლებსაც თქვენ მფარველობთ და მხარს უჭერთ...

— სუსტსა და ჩამორჩენილ მეურნეობებს დახმარება სჭირდება და არა თავში ჩარტყმა და დაბრიყვება! — გააწყვეტინა გულვარდიშვილმა.

— მეურნეობა, მოგეხსენებათ, ხალხია! ხალხის, მშრომელთა კოლექტივების დაბრიყვება გახლავთ მათ ხელმძღვანელებად მლებრიშვილებისა და ლაბაძეების თავს მოხვევა!

— ამხანაგო ანდრო, თქმის უფლება სულაც არ ნიშნავს მაგ უფლების ბო-

როტად გამოყენებას! — ხმა აიმაღლა პროკოფი ილარიონიჩმა.

— არა, აშკარაა, ჩვენ საერთო ენას ვერ გამოვნახავთ, — წამოდგა დეკანოსიძე, — თქვენ თითქოს საკუთარ საფეოდალოს განაგებთ და არა პარტიის რაიონულ კომიტეტს. გონივრულ სიტყვას, თქმა-არ თქმას თქვენთვის არა აქვს ფასი. ამ მდგომარეობას მხოლოდ უფროსი ამხანაგების ჩარევა გამოასწორებს.

— შენდა სამწუხაროდ ,უფროსი ამხანაგები შენ არ გიბარებენ და არავინ გეკითხება, თქვენ რომ ბრძანდებოდეთ გულვარდიშვილის ადგილზე, როგორ დაალაგებდით საქმესო, აი შენ ეს განერვიულებს, სხვა კი, არაფერი, ამიტომ აბამ ინტრიგების ქსელს.

— ოო, თქვენ შეგიძლიათ სიგიჟემდე მიიყვანოთ ადამიანი!

— ზოგს მიყვანა არა სჭირდება, თითონ არის მისული! — ბოროტად დააკვესა თვალები გულვარდიშვილმა.

დეკანოსიძე უსიტყვოდ შეტრიალდა კარისკენ.

— ისე, ამხანაგო ანდრო, ვიდრე პირველი მდივანი არა ხარ, თბილისში წასვლას არ გირჩევ, — დააწია გულვარდიშვილმა.

დეკანოსიძემ კარი გაიხურა.

ბიბილურმა დახურულ კარს გახედა და სკამიდან წამოიწია, მაგრამ მდივანმა, ვითომ ვერ მიუხვდა განზრახვას, ღიმილით შეაჩერა:

— რა იყო, როსტომ, გული ხომ არ აგიჩუყდა? თათბირი ჯერ არ დაგვიმთავრებია.

— ცუდად არ გახდეს-მეთქი, — შეკავებულმა აღშფოთებამ აუკანკალა ხმა ბიბილურს.

— დაჯექი, დაჯე, ფიქრი ნუ გაქვს. მაგ დალოცვილს რა ძალა ადგია, კამათის შნო თუ არა აქვს, რას გამოიდებს ხოლმე თავს?! — ჩაიცინა გულვარდიშვილმა, თუმცა შინაკაცებმა იგრძნეს — ვაი იმ ჩაცინებას...

— ჰო, შენ რას ამბობდი? — ჰკითხა მდივანმა ჯიბოს, მთელი ბოთლი ბორჯომი რომ გამოცალა.

— რჩეულიშვილზე მოგახსენებდით, — თითქოს დაუყვავაო, ვერემმაკა ქიმიაშვილმა.

— გამიჭირეთ საქმე იმ თქვენი რჩეულიშვილით, სხვა აღარაფერი გაქვთ სათქმელი?

— სათქმელი როგორ არა გვაქვს, მაგრამ მე მაინც ის მინდოდა მეთქვა რომ დიდი ხანია დავინახე იმისი იდეურ-პოლიტიკურ-მორალური სახე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა არც საზოგადოებრივ აზრს, არც ჩემს შეგონებას, არაფერს და არავის ანგარიშში არ გაუწია და კოლექტივის ხელმძღვანელმა კაცმა საქვეყნოდ სახელგატეხილი ქალი დაისვა შინ!..

— ეგ რა საკადრისია! — ახლა კი ველარ მოითმინა, ველარ მოერია ჯავრსა და ნაღველს ბიბილური, — მართლაც სადა გგონია შენი თავი? აქ რა, საჭორაოდა ვართ შეკრებილი?

— უკაცრავად, უკაცრავად! — წამოხტა ნაწყენი ჯიბო, — ჭორი მოგონილ ამბავსა ჰქვია, მე კი საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს მოგახსენებთ, ამას საქმისთვისა აქვს მნიშვნელობა! თქვენ გგონიათ მე მეადვილება ამის თქმა მაგრამ...

გაცხარებული ჯიბო სიტყვის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ სარდიონ მაღალაშვილმა აღარ აცალა. მას არც ახლახან მომხდარი ამბავი აღელვებდა, არც ამ ამბის გამომწვევი მიზეზები. დეკანოსიძეს ის თავისებურად პატივსა სცემდა, მაგრამ როცა მის, პარტიის წევრის და მილიციის უფროსის სიტყვას შესაძლოა რაიმე მნიშვნელობა ჰქონოდა, მაშინ ძალაუფლებიან გულვარდიშვილს უჭერდა მხარს. მას მობეზრდა გაჭიანურებულ თათბირზე გასუსული ჯდომა და, უსმინა ღმერთმა, სალაყბო მიეცა. ჯიბოს ტუჩებზე ხელისგული ააფარა და ახოხრობდა, ახარხარდა.

— ნეტა რაზე კამათობთ ან რასა კინკლაობთ? ეგრე თქვი, იგრე თქვი, ის ქალი ძაან ყოჩაღი ყოფილა, მე და ჩემმა ღმერთმა! ვერ უყურებთ, რა მარჯვედ წამოუგია ანკესზე თავმჯდო-

მარე? საწყალ გონჯაურას ის ბალღი თურმე თავისი მარიფათი ჰგონებია, აზრზე ხართ, ხალხო? — ხა-ხა-ხა!

თათბირი მხიარულად დამთავრდა.

ანდრო დეკანოსიძე ნებისყოფის დაძაბვამ აწყობილი ნაბიჯით კი გამოიყვანა გულვარდიშვილის კაბინეტიდან, მაგრამ ჰაერზე. გამოსულს ხველა აუტყდა და ნაბიჯიც აერია...

თათბირის მონაწილენი რომ დაიშალნენ და წავიდ-წამოვიდნენ, როსტომ ბიბილურმა დეკანოსიძის სახლს ჩაუარა. მის ოთახში შუქი და თეთრხალათიანები შენიშნა და აღარ დაირიდა, შეშფოთებულმა შეაღო კარი.

* * *

გულვარდიშვილი ირმისიდან რომ წავიდა, ალექსი ფერდობიდან, მოკლე გზით დაეშვა ნატამრალში.

ნაცვლიშვილების დაფაცხავებული სახლი უკაცრიელი ჩანდა. ეზოში დაბმული ქოფაკის ყეფაზე მარანიდან გაბოს ცოლმა, ციალამ გამოიხედა. ალექსი რომ დაინახა, მკლავზე გადაწვენილი თოთო იქვე შიშველ ფიცრებზე დააგორა, რაღაც ფლასი მიახურა და თითონ აცახცახებული მივარდა მოსულს.

— გაბოსი შეიტყეთ რამე?

— მე შენთან მოვედი ამბის გასაგებად...

ციალამ თავი დახარა და ნელ-ნელა დაიხია უკან.

„სულ ხუთიოდე წელია, რაც გაბომ ეს ახალგაზრდა ქალი მოიყვანა, ასე უცებ რამ დააბერა? რა ემართება ამ ოჯახს, რა?“ — აუწრიალდა ალექსის ფიქრი, იმ დღეებში რომ არ ასვენებდა. გაჩუმებული იდგა. არ იცოდა რით დაემშვიდებინა ქალი, აკანკალებული ხელებით რომ ცდილობდა ძველმანში გახვეული ბავშვი მოხერხებულად მოეთავსებინა ფიცრებზე.

— ბაგაში რატომ არა გყავს? — ჰკითხა.

— უფროსი დადის თქვენს საბავშვო ბაღში, არა კმარა? — ცრემლებს ძლივსღა იკავებდა ციალა, — სირცხვილით ხალხს პირს ვარიდებ, არ ვიცი სით დავიკარგო, რა წყალში ჩავვარდე... ჰგონიათ, გაბო ეჭიდება თავმჯდომარეობასო...

— შინიდან როდის წავიდა?

— კვირა ხდება...

— არა თქვა, სად მივდივარო?

— თბილისში წავიდა...

— ჰოო... მაშ ეგრე რათა სწუხარ? თბილისში ჩასულ კაცს ბევრი საქმე გამოუჩნდებოდა, არ იცი?

— სხვა ვერაფერ საქმეს გულს ვეღარ უდებს. ერთი აქვს საქმე. „ეხლაც თუ ვერ მივაღწიე მიზანს, ჩემი საშველი აღარა ყოფილაო“. უნდა მიაღწიოს. ვეღარ ვუყურებ, თვალწინ მიდნება, ჩემი მიზეზით დნება კაცი... — ჩქარ-ჩქარა ამბობდა, თითქოს ისროდა სიტყვებს ციალა და არ ესმოდა თავისი ნათქვამი, მაგრამ წამით რომ შეჩერდა, უცებვე იგრძნო, რაღაცა წამოსცდა, ზედმეტი თქვა. ცრემლები უცებ შეაშრა, სახეც უცებ დაუმკვეთრდა, სხეული მშვილდივით მოზიდა. ერთი-ორი წუთი უმოძრაოდ იდგა, მერე ბავშვი აიტაცა და სწრაფად შევიდა მარანში.

ალექსი დაბნეული შეჰყურებდა მარნის მოღრეცილ კარს და ადგილზე უხერხულად ინაცვლებდა ფეხს.

ციალა მალე გამოვიდა. თითქოს სრულიად დამშვიდებული, დამცხრალი იყო, მხოლოდ გამშრალი თვალები უელვარებდნენ, და როცა დაილაპარაკა, ხმაც მშრალი ჰქონდა, უსიამოვნოდ მჩხვლეტავი.

— ვინ იცის, ჩემი სიგიჟით რა არ გაფიქრებინეთ, ისეთი კი არაფერია. ცოტა წავლაპარაკდით, მე ვაწყენინე და იმაზე ვწუხდი. ეს ყველა ოჯახში ხდება ხოლმე, მე კი უშნოდ გავაზვიადე .სხვაფრივ ჩვენ ძალიან კარგად ვცხოვრობთ, მშვიდად და კარგად. გაბო დღეს-ხვალ დაბრუნდება, მე ბოდიშს მოვუხდი და ყველაფერი დაავიწყდება. ყველაფერი კარგად იქნება.

— ჰო, რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად იქნება. დაბრუნდება და მაშინ გამოვივლი, მაპატიე, უდროოდ შეგაწუხე... — არეულად უთხრა ალექსიმ

და მორღვეულ ჭიშკარს მიაშურა.

„ეგებ მართლაც ოჯახური ამბავია. ჩემი მოსვლაც ალბათ იმიტომ არ ესიამოვნა, ცნობისმოყვარეობას მიაწერა. ოჯახური ამბავი თუა, მაშინ გასაგებია მისი მდგომარეობაც, საქციელიც...“ — თავს იმშვიდებდა ალექსი, მაგრამ ვერ მშვიდდებოდა, ნაცვლიშვილზე და მის ოჯახზე წუხილი არ უნელდებოდა.

* * *

საძაგელ გუნებაზე დაბრუნდა ირმისში და ამას ჭიმიაშვილის ჩამოსვლაც დაერთო. ირმისელებს გაუკვირდათ დიდი ხნის უნახავი ჯიბოს დანახვა. უფრო მეტად ის გაუკვირდათ, რომ ჯიბომ იკადრა თავმჯდომარის ძებნა, კითხვა-კითხვით მიაგნო სანერგეში.

ალექსის თავი ხელთ არა ჰქონდა, ჯიბომ კი ნაღველა დაუსია მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკით, და ბოლოს, როგორც იქნა, გამოთქვა:

— დოლი ჩინებულად ჩაგიტარებიათ, ძალიან გიმარჯვნიათ, სამაღარიჩოთა გქონიათ საქმე!

რჩეულიშვილის ცივმა გამოხედვამ უცებ გაუყინა აღფრთოვანება, მაგრამ ჯიბო საქმეზე იყო ჩამოსული და საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა. ქეჩო მოიფხანა და თქვა:

— ქალაქიდან უფროსები მობრძანდებიან, თათბირი გვექნება.

— ჰოო, კარგია.

— მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობაზე, და საერთოდ, სოფლის მეურნეობის პერსპექტიულ განვითარებაზე გვექნება თათბირი.

— ჰოო? ძალიან კარგია.

— ჩამოსულების მასპინძლობა კი ყოველთვის ჩემი თავსახეთქი ხდება ხოლმე.

— მაშ, ქრისტიანი კაცი სტუმრებს ხომ არ აშიმშილებს?!

ალექსის ნერგების გადარჩევა არ შეუწყვეტია, კვალს მისდევდა, ჯიბო იძულებული იყო ფეხდაფეხ მიჰყოლოდა. უყურადღებობით დაბოლმილმა, თავდაპირველად ნავარაუდევ ორ ცხვარს ერთიც მიუმატა და ომახით თქვა:

— შენც უნდა დაგვეხმარო, თათბირისათვის სამი ცხვარი უნდა გამოგვიგზავნო.

— ოჰ, ადრე ვერა [illegible] ახლა რაღა იქნება? ცხვარი მთაშია, თათბირს ველარ ჩამოუსწრებენ.

„მაგას ჰგონია, დავიჯერე, რომ სოფელში სამი ცხვარი არ მოიძებნება! — გულზე ერღვეოდა დარიანისაკენ მიმავალი, პირშიჩალაგამოვლებული ჭიმიაშვილი. — მიქარვაა! მიჰქარავს, ვინც ამბობს, გონჯაურა ჰკვიანიაო. აბა ჰკუა? კაცმა იცოდეს, ისეც ბეწვზე ჰკიდია და ქეციანი ცხვრის გულისთვის გასწირის თავისი მდგომარეობა? შე მართლა გონჯაურავ, ბედნიერი შემთხვევა მოგეცა უფროსების გული მოგეგო, არ ინდომე და შენ დიდ ჰკუას დაემდური. იცოცხლე, ძალიანაც ინანო, მაგრამ რაღა დროს...“

დარიანში უარესად დაიბოლმა ჯიბო. ქალაქიდან ჩამომსვლელნი უკვე ჩამოსულიყვნენ და საზეიმო შეხვედრის შემდეგ, რაიონის ხელმძღვანელის კაბინეტში ისხდნენ. დაუბარებლად შესვლა ჯიბომ ვერ გაბედა. არადა, როგორ შერიგებოდა აზრს, რომ ირმისში უშედეგო წასვლა-მოსვლაში ასეთი საჭირო და სასიამოვნო აქტს გამოაკლდა. თავის ოთახში შეკეტილი, გაგულისებული იკვნეტდა ფრჩხილებს, როცა მიაკითხეს, პროკოფი ილარიონიჩი გიხმობსო.

— ვინ არის მასთან კაბინეტში? — ვითომ ძალზე ეზარებოდა ადგომა ჯიბოს.

— ჩამოსულებში ყველაზე უფროსი და ჩვენები. დანარჩენები ბიბილურმა გაატარა პლანტაციებისაკენ.

— კეთილი, მოვდივარ!

სიხარულისაგან ნერწყვგამშრალმა ჯიბომ ბორჯომით გაისველა პირი, სწრაფად გაიარა დერეფანი, კაბინეტთან ქოჩორი გადაივარცხნა და კარი შეაღო. მოკრძალებული, თავაზიანი მისალმების შემდეგ ღრმად შეფიქრიანებულმა, დაგვიანება მოიბოდიშა:

— ლამის გადავყევით იმ მეურნეობას, აუარებელ დროს და ენერგიას ვალევთ. მაგრამ...

გულვარდიშვილი ვერ მიხვდა, რომელი მეურნეობა ჰქონდა ჭიმიაშვილს მხედველობაში. ეწყინა, ნუთუ ჯიბო მასთან შეუთანხმებლად წამოიწყებს ვიზედმე ლაპარაკსო. მაინც თავის შეკავება ირჩია, მხოლოდ თითი მიიტანა საფეთქელთან.

— რომელ მეურნეობაში იყავით? — დაინტერესდა სარაიონო თათბირის ჩასატარებლად ჩამოსული, ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, ლადო ნემსაძე.

— ირმისში, — ამოიოხრა ჭიმიაშვილმა.

— როგორ? ჩვენ არაერთხელ გვსმენია მაგ კოლმეურნეობის ქება?!

— დიახ, ვაქებდით. ჩვენ გამიზნულად დავარხიეთ ქების ხმა. ირმისი მთელ რაიონში გამოირჩევა თავისი ბუნებრივი მონაცემებით, შესაძლებლობით, პერსპექტივებით. ის დიდი ხანია რესპუბლიკის საამაყო უნდა გამხდარიყო. ჩვენ ამისი იმედი გვქონდა, დარწმუნებული ვიყავით, რომ ასე იქნებოდა, მზრუნველობას, დახმარებას, თბილ სიტყვას არ ვაკლებდით, ქებაც სტიმულირების ერთ-ერთ საშუალებად მივიჩინეთ ,მაგრამ... ამაოდ დაშვრა ჩვენი იმედიც და ზრუნვაც!..

— რა უშლით ხელს? — უფრო მეტად დაინტერესდა ნემსაძე.

მრავლისმთქმელი სიჩუმე ჩამოდგა. ადვილი იყო მიზეზების ჩამოთვლა?

— იქნებ, თავმჯდომარე ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე? — იკითხა ისევ ნემსაძემ.

— მოწოდების სიმაღლეზე... — ისე სევდიანად გაიმეორა ჯიბომ, კაცი იფიქრებდა, კეთილშობილ ახალგაზრდას ესიკვდილება მკაცრი განაჩენის გამოტანაო. მან გულვარდიშვილს შეხედა, თითქოს უსიტყვოდ შეევედრა, მე ნუ გამხვევთ მაგ ცოდვაში, ეს მძიმე მოვალეობა ხელმძღვანელის ხვედრიაო.

და ხელმძღვანელმა იკისრა მძიმე ხვედრი:

— მე ბოლშევიკური პირდაპირობით უნდა ვაღიარო ჩვენი შეცდომა. ეგ კაცი ირმისელებმა თვითონ აირჩიეს, ჩვენ არც მთლად მოვიწონეთ მათი არჩევანი, მაგრამ ვუხათრეთ, რა ვუყოთ რომ საეჭვო წარსული აქვს, [illegible]რდაა, ენერგიული, შეიგნებს დღევანდელ ვითარებას, გადახალისდება...

პროკოფის გაჭირვებამ ტანისამოსიანად დასწვა ჯიბო. საყვარელი ხელმძღვანელის ესოდენ გამწარებისათვის, რჩეულიშვილზე ჯავრისყრის სურვილმა აადუღა და ამიტომ მისი ხმა მეტად მგრძნობიარედ აჟღერდა, როცა მდივანს სიტყვა ჩამოართვა და პირდაპირ ნემსაძეს მიმართა:

— არა, ეს შეცდომა კი არ არის, საქმე იმაში გახლავთ ,რომ პატივცემული ამხანაგი პროკოფი, თავისი უსაზღვრო ჰუმანურობის გამო, ყოველთვის ირჩევს კეთილგანწყობით, მეგობრული შეგონებით მოახდინოს ადამიანზე გავლენა. ამხანაგი პროკოფი ეხლაც ვერ იმეტებს იმ კაცს, მე კი მგონია, რაც არ უნდა საძნელო იყოს, დროა საკითხი პირდაპირ დაისვას, თუნდაც მხოლოდ იმ მატერიალური ზარალისათვის, რომელიც მან საზოგადოებრივ დოვლათს მიაყენა!

— ამხანაგო პროკოფი, თქვენ ამ შემთხვევაშიც მეგობრული შეგონებით განისაზღვრეთ? — გაუკვირდა ნემსაძეს.

ამგვარმა მკრეხელობამ მძიმედ დაახრევინა თავი მდივანს. მდგომარეობა აშკარად გართულდა. ჯიბომ გვიან იგრძნო, რომ ღრმად შეტოპა, მაგრამ უკანდახევა გვიან-ღა იყო და უფროსის უკანასკნელ შეკითხვაზე პასუხიც თვითონ ითავა:

— არა, მთელი რიგი ღონისძიებები იქნა ჩატარებული. თათბირის შემდეგ დრო თუ გექნებათ, დარღვევების შესახებ ჩვენი ფინგანის უფროსი მოგახსენებთ დაწვრილებით და ირმისიდან წამოღებულ ნივთიერ საბუთებსაც წარმოგიდგენთ...

ფინგანის უფროსს — ყოფილ ფინინსპექტორს ვასილა გარაყანიძეს ფერი ეცვალა. „გიჟია ეს შობელძაღლი? თითონ ლაქლაქის სალერღელი აეშალა და მე რა შუაში ვარ. რის მომხსენებელი

ვარ? მაგ მუტრუკსა ჰგონია, ირმისიდან მოპარვით წამოღებული ბოლომოკორტნილი სურათი „ნივთიერ საბუთად“ გამოდგება. საქმე საქმეზე რო მიდგეს, რჩეულიშვილს ვინ რა ფეხებს მოსჭამს? საბუთები რო ამოსწიონ, აქეთ შემოგვედავებიან და იქნება ჩაგვაყუდონ კიდეც. საქმისა არა გაეგება რა, და მეცამეტე გოჭივით გამოტყვრება ხოლმე“.

ჭიმიაშვილი ხედავდა, რომ გარაყანიძე ჭირის ოფლში ცურავდა და მდივანსაც თითი ისევ საფეთქელთან ჰქონდა მიტანილი. ახლაც თვითონ თუ არ იმარჯვებდა, ასე კარგად დაწყებული საქმე თავმოუბმელი დარჩებოდა, და ამიტომ საკუთარი შემოქმედების ფანტაზიას ფართო გასაქანი მისცა. ისევ ნემსაძეს მიმართა:

— უნდა მოგახსენოთ, რომ ეგ არ გახლავთ მთავარი. ის მატერიალური ზარალი სახსენებელი არც იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ჩვენ შევძელით მისი სწრაფი და სრული ლიკვიდაცია. მთავარი სხვა რამ გახლავთ. ეგებ ვცდები, მაგრამ მე ღრმად მწამს, რომ ყოველ მოვლენაში მთავარია იდეურ-პოლიტიკური მხარე, და თუ ჩვენ ამ საზომით ვიხელმძღვანელებთ, დავინახავთ რჩეულიშვილის პოლიტიკურ-მორალურ დაკნინებას, მისი იდეური მრწამსის მანკიერებას. მაგალითისათვის რაღა შორს წავიდეთ? აი დღეს მე თითქმის ნახევარი დღე ირმისს მოვანდომე, დაჟინებით ვთხოვდი რჩეულიშვილს წამოსულიყო თათბირზე და მან კი ჩვენს საქმიან შეკრებას „ცხვრების თათბირი“ უწოდა!..

ჭიმიაშვილი უცებ შეცბა და გაჩუმდა. ნავარაუდევი სასურველი შთაბეჭდილების საწინააღმდეგოდ — უფროსმა გულიანად გაიცინა.

— „ცხვრების თათბირიო?“ ენამახვილი კაცი ყოფილა, — თქვა და ფანჯრიდან მოედანს მიაჩერდა. „ცხვრების თათბირიო... უმიზეზოდ არ იტყოდა ასეთ რამეს. ეს ყმაწვილიც, ენათ რომ გაიკრიფა... აქ სხვა რაღაცა უნდა იყოს...“ — იცით რა? — შემოტრიალდა უცებ, — რაკი იმ ადამიანმა არ ისურვა აქ მოსვლა, მოდით და ჩვენ ვეწვიოთ!

გულგახეთქილმა ჯიბომ ვერ აიტანა გულვარდიშვილის დამბუგავი გამოხედვა და თავი ჩაქინდრა.

— გავიაროთ ირმისში, კარგი იქნება, არა? — აღუშფოთველად განაგრძო ნემსაძემ. — ოღონდ, იქ წასვლამდე ცოტაოდენი მასალა მომამზადეთ, გადავხედავდი.

ახლა კინაღამ გარაყანიძეს დაეცა დამბლა. თვალწინ აუფართფატდა თავისი სურვილით გადაკეთებულ-გადმოკეთებული მაჩვენებლები.

სარდიონ მაღალაშვილი თავისი ძმაკაცების საცოდაობას რომ უყურებდა, გუნებაში სიცილით კვდებოდა.

მდივანმა ბორჯომის დახმარებით გულისფრიალი დაიცხრო, ჭიმიაშვილს და გარაყანიძეს სათანადო მითითებანი ჩამოუწერა და ნება დართო დავალების შესასრულებლად გასულიყვნენ კაბინეტიდან. დანარჩენებიც რაღაც-რაღაცა საქმეებზე გაისტუმრა, თვითონ კი ქანცგამოლეული მიესვენა სავარძელს და ნემსაძეს მიაჩერდა.

ის დივანზე შინაურულად, მყუდროდ მოკალათდა და ღიმილითა თქვა:

— შენ, ჩემო პროკოფი, ეტყობა, კადრების შერჩევა გემარჯვება.

გულვარდიშვილი გასუსული მისჩერებოდა, ნეტა რა მოჰყვება ამ საამო შესავალსო.

— მაგალითად, შენი ალტურიზმი მე მხოლოდ მაკვირვებს, იმ ახალგაზრდა ჭიმიაშვილის ცხარე, ქმედითი პროტესტი კი ძალიან მომწონს. და საერთოდ, ის ფრიად ენერგიული ყმაწვილი ჩანს...

უფროსის განწყობილების სასიკეთო ცვლილებით გამხნევებულმა პროკოფიმ ჩაახველა. მან ვერ იგრძნო ნემსაძის ნათქვამის ნიუანსი, სიტყვები კი საამოდ სწვდებოდნენ ყურს.

— ეგეც ჩემი სისუსტეა, — თქვა მან, — მიყვარს ნიჭიერი, პერსპექტივიანი ახალგაზრდები, ბევრს ეს არ მოსწონს, მისაყვედურებენ.

— უმართებულო საყვედურს არა აქვს მნიშვნელობა.

— სამწუხაროდ, აქვს ხოლმე. ხშირად მე იძულებული ვხდები გავუწიო მათ ანგარიში. აი, თქვენ უცებვე შენიშნეთ ჭიმიაშვილის ღირსებები, ის ხომ სავსებით იმსახურებს დაწინაურებას?..

— გარკვეული რაიმე გაქვთ მხედველობაში?

— როგორ გითხრათ? — შეყოყმანდა გულვარდიშვილი, — თქმაც კი მეძნელება... მე ამას წინაზეც გაგიზიარეთ ჩემი გულისწუხილი ანდრო დეკანოსიძის მძიმე მდგომარეობის გამო...

— საბოლოოდ რა დაასკვნეს ექიმებმა, როგორ არის საქმე?

— ისე ვერ არის, მე და თქვენ რომ გაგვახარებდა, — თითქოს გული ამოაყოლა ოხვრას მდივანმა და ხმა დაადაბლა, — ჩვენ შორის დარჩეს, ხანგრძლივმა ავადმყოფობამ მის ფსიქიკაზეც იმოქმედაო...

— ოჰ, ეგ რა მითხარით? — შეწუხდა ნემსაძე, წამოდგა, აღელვებულმა გაიარ-გამოიარა: — ნუთუ ასე დაჯაბნა ავადმყოფობამ? არ შეიძლება ვინახულო?

ესღა აკლდა პროკოფის?! შიშისაგან გული ჩაელია, მაგრამ ეს აღელვებაც ბუნებრივად ჟღერდა, როცა ოხვრით თქვა:

— ჩვენ კატეგორიულად გვიკრძალავენ, მაგრამ თქვენ...

— არა, არა, ნუ შევაწუხებთ! ოო, როგორ მენანება... ანდრო შესანიშნავი პიროვნებაა, სამაგალითო კომუნისტი, პრინციპული...

— მეც სწორედ მაგ თვისებების გამო ვერ შევლევივარ, თუმცა რა ხანია იგი მხოლოდ ნომინალურად-ღა ირიცხება თანამდებობაზე...

— მე მაინც არ ვკარგავ იმედს, რომ ანდრო იყოჩაღებს, ისევ ჩადგება მწყობრში...

— ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას!

— თქვენი მდგომარეობა კი ძნელია, — თქვენ, ასე ვთქვათ, მხარი გაკლიათ...

მდივანმა მიზანი მიღწეულად მიიჩნია და უკვე უშიშრად გამოიდო თავი:

— თქვენ არ გეგონოთ, ამხანაგო ლადო, რომ მე მიმძიმს ანდროს გასაკეთებელი საქმის კეთება! ოღონც ის გამოჯანსაღდეს და მე...

რა თქმა უნდა, გულვარდიშვილი ვერ მიხვდებოდა, რას ფიქრობდა ლადო ნემსაძე მანამდე, სანამ შეაწყვეტინებდა:

— თბილისში დაბრუნებისთანავე მოვახსენებ უფროსებს თქვენი ძნელი მდგომარეობის შესახებ და ალბათ ჩვენ დაგეხმარებით შესაფერისი ამხანაგის შერჩევაში. დამიჯერეთ, ამხანაგო პროკოფი, ჭიმიაშვილი ვერ შეცვლის ანდროს...

...დარიანში თათბირი გრძელდებოდა. ნემსაძე მოთმინებით უსმენდა ერთფეროვან, გაშალაშინებულ გამოსვლებს და ფიქრობდა, რომ აუცილებლად უნდა ჩავიდეს ირმისში. ფიქრობდა, რომ ექიმები უნდა ინახულოს და თუ ნებას დართავენ, მივიდეს ანდრო დეკანოსიძესთანაც. და ბოლოს გადაწყვიტა ამისთვის კვირადღე გამოეყენებინა.

ირმისში კი ამ დროს ხალისიანი შრომით და იმედებით სავსე ცხოვრება ჩვეული კალაპოტით მიედინებოდა. ირმისელები თავისი დიდიხნის წადილსაც ისრულებდნენ: კვირადღეს აპირებდნენ სანდრა-პაპისეული ქოხის გვერდით თავისი თავმჯდომარის სახლისთვის საძირკვლის გათხრას.

მაგრამ იმ კვირადღეს ყველა კეთილი და უკეთური განზრახვის შესრულება განუსაზღვრელი ვადით გადადო სამშობლოს საზღვრებზე ატეხილმა ომმა.

იმ კვირისსწორს კი ალექსი რჩეულიშვილი ფრონტზე წავიდა.

## თავი მეოთხე

მშვიდობიან სამყაროსთან განუყოფლად შემდნარმა კაცმა ჯარისკაცის მაზარა ჩაიცვა და თითქოს მეომრად იყო გაჩენილი. განსაცდელში ჩავარდნილი მიწის ხმობა მამა-პაპათა ძახილად სისხლში ისე გაუხმიანდა, რომ მძიმე ლაშ-

ქრობაში ამტანობის ზღვარი წაუშალა და ახალ-ახალი ჭრილობაც შეჩვეული ჭირივით გაუხადა.

საბრძოლო წრთობის პირველივე დღეებში ნახა, რომ ამტანობა და გამძლეობა იყო უთვალავ რუხმაზარიანთა საერთო თვისება, მას ბრძოლისუნარიანობა ერქვა, უფრო ქართულად კი — ვაჟკაცობა. და ალაზნისპირა სოფლიდან მისულმა სიტყვაძვირმა, მოკრძალებულმა ჯარისკაცმა, ძმასავით ჩამდგარმა სამშობლოს სიყვარულით შეკრულ ძმათა შორის, იმ პირველივე დღეებში ირწმუნა, რომ ცოცხალთა ღირებულებაც და დაღუპულთა ხსოვნაც ამ საზომით იზომებოდა.

ომის პირველსავე წელს კაპიტან ნეჩაევს შეეყარა. პერეკოპთან ერთდროულად დაჭრილნი, მედსანბატში შეხვდნენ ერთმანეთს. ჯარისკაცს ჭურვის ნატეხით ბარძაყის კუნთები ჰქონდა დაგლეჯილი, კაპიტნისათვის კი სასკდომ ტყვიას ჩაელეწა იდაყვის ძვალი. ჭრილობათა სიმძიმე თითქმის ერთნაირი იყო და სახელდახელოდ შეკრულ ნარებზე გვერდიგვერდ მოხვდნენ.

ოლეგ ნეჩაევი პროფესიით პედაგოგი იყო, პროფესია მოწოდებით ჰქონდა არჩეული. მისი ნიჭიერება ხანდახან გულთამხილაობას ჰგავდა. მოსაუბრეს ისე უსმენდა, თითქოს მის ყოველ სიტყვას, აზროვნებაში წარმოშვიდან ენის წვერამდე მოჰყვებოდა და დუმილში განაგრძობდა ართქმულ სიტყვათა თანდევნას. სულ ოცდაათი წლისა კი იყო, ლამაზი და ისეთი გულმარიხიანი, თითქოს ცხოვრებასთან ერთხელ და სამუდამოდ დასიამტკბილებულიყო.

ერთმანეთისადმი განწყობა მარტივად გამოხატეს. ჯარისკაცმა წეკოს ნახევი გაუკეთა მკლავზე თაბაშირდადებულ კაპიტანს, კაპიტანს კი ცალი ხელიც ეყო მწოლარე ჯარისკაცთან ფაფით გავსებული ქვაბურის მოსატანად. ქვაბურა ერთი იყო, მოხერხებულად ჩაიდგა მათ ლოგინებს შუა. მერე ნეჩაევმა საველე ჩანთიდან ალუმინის კოვზჩანგალი ამოიღო.

— შენ არა გაქვს ამისთანა? — ჰკითხა მეზობელს.

— ალბათ ჩექმას გაჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აფსუს! ნეტა ვიცოდე, ეს ჩანგალი რის მაქნისია, არა სჯობდა, სათადარიგო კოვზი მიემაგრებინათ?

— პირიქით, მე სწორედ უჩანგლობა მაწუხებდა, — ჩაიცინა ჯარისკაცმა, ჯაყვა მოიმველია და უმალვე მოხსნა კოვზის ტარზე ჩანგლის დასამაგრებელი ხრახნი.

ფაფა ორივეს ეგემრიელა. კაპიტანმა არყის ულუფის ნახევარი გადაჰკრა და ტოლჩა ჯარისკაცს გაუწოდა:

— დალიე, ღმერთმა შეგარგოს, მაგრამ გახსოვდეს, თითო ამ წვეთს თითო ლიტრა ჭაჭით გაზღვევინებ.

— მაშ იმ სანატრელ დღეს გაუმარჯოს! — გადაჰკრა არაყი ჯარისკაცმა.

კაპიტანმა წეკო გააბოლა და ასანთის კოლოფზე დადებულ, მძივივით წვრილ ხრახნს დააცქერდა.

— შესახედავად კი ხელები ტოპოჩა გაქვს, მოუქნელი, — ისე ჩაილაპარაკა, თითქოს სინაზე და სინატიფე შეუქო მეზობელს.

— საწნეხელს ვწევდი. ათიოდე ოლლია თივით კარგა მოზრდილ ზვინს ვდგამდი... — ხმადაბლა თქვა ჯარისკაცმა. ხმა და სახე ისეთი გაუხდა, რომ ნეჩაევმა იგრძნო, ის ახლა აყვავებულ ვაზს, მოშრიალე ყანას, აფრენილ ხოხობს ხედავდა.

მათი შეხვედრა შემთხვევა იყო, მაგრამ რაკი შეხვდნენ, აუცილებლად დამეგობრდნენ. ორივეს უკვე საკმაოდ მძიმე ლაშქრობა ჰქონდა გამოვლილი, და ორივეს ისევ მძიმე გზა ჰქონდა გასავლელი. სათქმელი ძალიანაც ბევრი ჰქონდათ, მაგრამ ომმა ალექსი ლაპარაკს ვერ დააჩვია, ნეჩაევს კი მისი ართქმული სიტყვის მიგნება გაუადვილდა. ამიტომ მეტწილს სდუმდნენ. მაგრამ მათ დუმილს გაჩუმება არ ეთქმოდა. ერთმანეთის უხმოდ გაგებას ეჩვეოდნენ, ჭეშმარიტი მეგობრობის მომჭირნე ენას ახალასებდნენ.

კაპიტნის მოკლე ნაამბობმა ალექსი სრულად აზიარა იმ „სიამსიტკბოს".

რაც ცხოვრებას ერგუნებინა მისთვის. ალექსიმ იცოდა, რომ სამოქალაქო ომის დროს უპატრონოდ დარჩენილი ოლეგი საბავშვო სახლებში იზრდებოდა, რომ ქალი, რომელიც ოლეგმა სიყვარულით შეირთო, ცრუ და ცბიერი აღმოჩნდა, რომ შორეულ ტაიგაში შრატმა დაიგვიანა და ხუნაგმა დაახრჩო მისი შვილი...

ჯარისკაცის თითო-ოროლა სიტყვით ნეჩაევმა იგრძნო, როგორ ენატრებოდა მას ცოლ-შვილი, როგორ უყვარდა ვაზი. იცოდა, რომ იმისის კოლმეურნეობას ახლა ისეთი კაცი განაგებდა, რომელსაც ვაზისა არა გაეგება რა, რომ დარიანის რაიონს ჭიაჭამელა ღრღნიდა, რომ ალექსის უთანხმოება ჰქონდა რაიონის ხელმძღვანელებთან...

ფრონტი კი წინ მიიწევდა.

და ერთხელ ღამით, უძილობით შებეზრებული ალექსი თავის დაზიანებულ ფეხს რომ ავარჯიშებდა, ნეჩაევი ლოგინიდან წამოხტა:

— ყოჩაღ, ალექსი, წუხანდელზე უკეთ ამოძრავებ ფეხს?

— ნორმალური ფეხია, მე ზოგიერთივით ძვალი ხომ არა მაქვს დაზიანებული?!

— იტყვი რაღაცას! იდაყვის ძვალი ძვლებში ჩასათვლელია?

— მაშ, დამბლადაცემულებივით რას დავეკარით საწოლს?

— არ ვიცი, ღმერთმანი! ხელი სიარულს არ უშლის.

— ფეხმა კი თუ არ იარა, შეშად იქცევა.

და დილით, ექიმებთან დავიდარაბის შემდეგ, შენილბული ნახვევებით დასტოვეს მედსანბატი. მის მერე აღარც გაყრილან. ჭრილობას ან კონტუზიას დროდადრო მწყობრიდან გამოჰყავდა ხან ერთი, ხან მეორე, მაგრამ მათ მეგობრობას ბედი სწყალობდა, თუმცა ბედს არ ენდობოდნენ, თვითონ ჩალიჩობდნენ თავის ნაწილში დაბრუნებაზე.

ასე იარეს ომის გზებზე, როგორც იარეს მილიონებმა იმ მძიმე განსაცდელის ჟამს. ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკუთარი სისხლით სწყვეტდნენ. და როცა წინახაზმა მკვეთრად იბრუნა პირი დასავლეთისაკენ, იცოდნენ — ამაში მათი წვლილიც სრულიად [illegible]ტანილი.

თანდათან გამძვინვარებულ ცეცხლში იწვოდა მესამე წელიც. პოლტავასთან ცხარე ბრძოლის დროს ნეჩაევმა თვალი შეასწრო: ზემდეგი ალექსი რჩეულიშვილი საკაცით გაატარეს. წუთი იხელთა და საკაცეს დაეწია. — უგონოდაა, — მოახსენეს სანიტრებმა. „ნუთუ დავკარგე?“ — შესცივდა კაპიტანს, მაგრამ დაჭრილის თავ-პირზე დადებული ნახვევი თვალდათვალ იჟღინთებოდა სისხლით და ნეჩაევმა იგრძნო — ალექსის გული ფეთქავს, მაშ ცოცხალია!

— იჩქარეთ! — სთხოვა სანიტრებს და გამოტრიალდა. „რომ დაბრუნდება, ცოტა ხანს დავასვენებ. ცოლ-შვილს კი ვერ ინახულებს, შორს არიან. უნდა დავასვენო. აუცილებლად დავასვენებ. უფროსებს შევუთანხმებ და დავასვენებ...“ — უტრიალებდა ეს ფიქრი და თვითონვე უკვირდა: რა იმედიანად არის, რატომ არის დარწმუნებული, რომ თავში დაჭრილი, უგონოდ მყოფი კაცი განიკურნება, ნაწილში დაბრუნდება...

დაბრუნდა რჩეულიშვილი. მარცხენა საფეთქელთან ღრმა ნაჭდევზე დადებული მსუბუქი ნახვევით. მიაგნო ნეჩაევს — უკვე მაიორს და ქვეითი პოლკის ცალკე ბატალიონის მეთაურს, ოლეგ ნეჩაევს.

ბატალიონი ბელორუსიის სამხრეთ ნაწილში, გაუვალი ჭაობებითა და ჭაობიანი ტყეებით დაფარულ რაიონში იდგა. დროზე მიუსწრო ზემდეგმა. ბატალიონი მეორე დღეს იერიშზე მიდიოდა. საბრძოლო მზადების ცხელებაში ველარ მოასწრო, ნეჩაევს ველარ გაესაუბრა.

წინანდელთან ძალზე განსხვავებულ გარემოში და პირობებში უხდებოდათ ბრძოლა, ალბათ ალექსის იმიტომ ეჩვენებოდა, რომ მანამდე ომი და ბრძოლა არ უნახავს, არც რა სიძნელე შეხვედრია. სიკვდილისათვის მოუხელთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი ეგონა თავისი თავიც და მხარში მდგომნიც. ქაჯებად ეჩვენებოდნენ ბიჭები, ჭანჭრობების შხამიან ანაორთქლში, დანალმულ სილახვავებში, ცეცხლოვან წარღვნაში რომ მიიგლიჯებოდნენ წინ. ოცდაერთი დღეღამე სდევდნენ მტერს და რა დააიწყებდა ნეჩაევის ბატალიონიდან ცოცხლად დარჩენილთ იმ დღეღამეებს და იმ ოცდამეერთე დღეს?!

— გეხვეწებით მიამბოთ, რა მოხდა იმ დღეს, გამაგებინეთ, რა მოხდა? — მიმართავს ხან ერთს, ხან მეორეს არმიის გაზეთის კორესპონდენტი.

— აზრზე არა ვართ, — ამბობს ტრომკა ველიჩკო, ბრძოლებში ნაწრთობ-გამობრძმედილი ოცდასამი წლის ჯარისკაცი. — ვიბრძოდით ჩვეულებრივად. ლხენა მოგეცათ, ჩვენ დღე ვაყარეთ ჰიტლერის შვილობილებს! არა, კამფეტებით არც ისინი გვიმასპინძლდებოდნენ, მაგრამ ბოლოს გზას ბოლი აადინეს, თუმცა გზა, გზა სად იყო? იმ უკვლოდ მშთანთქავ ჭანჭრობს ერთი ვიწრო ბილიკი გასდევდა და თავს უშველეს, გაასწრეს, გაიქცნენ, მაგრამ... ქოქძალლებმა ჭანჭრობის გაღმა საცეცხლე წერტი დატოვეს. ერთია, მაგრამ ოსტატურად შენიღბული გვიკეტავს გზას, არხეინად სცელავს და სცელავს ჩვენს ბიჭებს. ახლოა, არტილერიას ვერ მოიშველიებ. შამბნარს ცეცხლი წავუკიდეთ და ისიც იმ ძუკნას სასარგებლო აღმოჩნდა. გესმით სიტუაცია?.. უმოძრაოდ ვყრივართ და ვილრინებით. ვისაც მოთმინება ელევა და თავს წამოჰყოფს, ადგილზევე მიკერებული რჩება... ჰოდა, მერე ჩვენმა ზემდეგმა იმარჯვა... რამ ამარჯვა, როგორ იმარჯვა — იმასა ჰკითხეთ...

ტრომკა გაჩუმდა. დანარჩენებიც სდუმან. ყველა თავისთვის იგონებს თავისებურად დამახსოვრებულ იმ დღის ამბავს, კორესპონდენტი კი ღელავს, ეჩქარება იმ გახმაურებული ამბის აღწერა...

...იმ დღეს ზემდეგიც დანარჩენებივით გართხმული იყო მიწაზე. ხელყუმბარების ასხმა ჰქონდა ჩაბღუჯული და თვალმოუშორებლად გაჰყურებდა ჭანჭრობის გაღმიდან დაუსჯელად ცეცხლისმლველფვავ წერტს „ნუთუ ვერსაიდან მოევლება იმ რჯულძაღლს?“ — იმეორებდა გულში, გრძნობდა, მოთმინება ეკარგებოდა, ველარ იტანდა ისეც დაცოტავებული ბიჭების კლებას სათვალავში. ისეთი დაძაბული იყურებოდა გაღმა და იმ უხილავი წერტის დახშობის სურვილი თანდათან ისე გაუძლიერდა, რომ სურვილს ველარ იმორჩილებდა. ბოლოს, სულ ბოლო წუთს თუ წამს, როცა ის შინაგანად უკვე ამოქმედებული იყო და ქვეცნობიერად ემშვიდობებოდა სიცოცხლეს — იმ წერტის მიღმა აღმოდებული ჰორიზონტი თალივით აიზიდა და კაბადონზე არეკლილ შუქში ღვთიშობელ დედასავით გამოიკვეთა ხატულა, ხელში აყვანილი ბიჭით... „ესვრის!“, გაუკრთა გონებაში და ერთბაშად გაქრა ომიც და ცეცხლიც, დაიკარგა გონიც და განსჯაც, ხელყუმბარების ასხმა მაღლა აწია, ადგილს მოსწყდა და ჭანჭრობში შეტოპა...

ნაპირზე დარჩენილთ სუნთქვა შეეკრა. ნეჩაევმა თვალები დახუჭა: ასეა ყოველთვის, ვინც უყვარს, იმას კარგავს. ოლეგი ალექსის დაკარგვასაც შეურიგდება, სიცოცხლესთან ისევ „დასიამტკბილებული“ იქნება, მაგრამ ახლა შხამიანი მწვანე ჭანჭრობი რომ ჩაითრევს, გადასანსლავს ზემდეგს — ამის დანახვა არ შეუძლია!..

ხელმიშვებული ჭოგრიტი თასმით ჩამოეკიდა ნეჩაევის კისერს.

ხავსურაში ამოვლებული ზემდეგი კი, მხრჩოლავად აბოლებული შამბნარის საფარქვეშ რის ვაივაგლახით აბობღდა ლორწომოდებულ გაღმა ნაპირზე და ზუსტად იმ ცეცხლის წერტის პირისპირ აღმოჩნდა.

— იიზუს-მარია, მიშველე, მაჯლაჯუნა! — დაიბღავლა თავზარდაცემულმა სნაიპერმა, და ვიდრე ის გონსმოსული მიზანში ამოიღებდა „მაჯლაჯუნას“, ზემდეგმა ხელყუმბარების ასხმა დაახალა.

წვიმის ლევა ფარდა ჩამოეფარა სნაიპერის ამობრუნებულ ბუდეს, ალმოკიდებულ ჰორიზონტს, კაბადონზე გამოკვეთილ სახეებს. ჰაერის ცხელმა ტალღამ წააქცია, დაფარა ზემდეგი, თითქოს გასრისა თავისი სიმძიმით და ცოცხალ-მკვდარი მიაგდო სილახვავს...

...სანიტარმა ვესელოვსკიმ დაამთავრა ზემდეგის დაზელვა წყალგარეული სპირტით, აყრილი ბლინდაჟის ძელზე პირდაღმა მწოლიარე მტკაველით გაუზომა აჭარხლებული ბეჭები და უიმედოდ ჩაუსტვინა: ბიჭებმა ზედნაცვამი ხალათების, შარვლების, ჩექმების ზვინი დადგეს, მაგრამ რისთვის? ამ კაცს ვისი რა მოერგება? ან ამისთანა ზემდეგს ეს დაგლეჯილი და ამოგანგლული ტანსაცმელი ეკადრება?

ზემდეგმა თვალები გაახილა, თავი ოდნავ წამოსწია და სანიტარი დაინახა. მაღალი და მხრებწაყრილი იდგა, ტანისამოსის გროვას დაჰყურებდა, გამხდარ სახეს დაუფლებული გრძელი და თხელი ცხვირით რაღაცას ყნოსავდა და ნაწიბურივით თხელ ტუჩებს აცმაცუნებდა.

„დიდება შენდა ღმერთო, გონჯზე გონჯი არ დაილევა ქვეყანაზე“, — გაეფიქრა ალექსის თანაგრძნობით, და რადგან თვითონ ცუდად ესმოდა, დაუყვირა: — ვესელოვსკი, მოიტა ჩავიცვა რამე!

— ჩაიცვა რამე? ეგ სათქმელადაა ადვილი, — წაიბუტბუტა სანიტარმა.

ზემდეგმა იქვე დაგდებული სანიტრის თეთრი ხალათი შემოიხვია შიშველ ტანზე და აკოკოლავებულ ტანსაცმელთან მივიდა.

— ეს რა გიქნია, შე ღმერთგამწყრალო, ბიჭები დაატიტვლე?

— დავატიტვლე თორემ წითელ მოედანზე საალლუმოდ იყვნენ გამოწყობილი! მაშ დივიზიის მეთაურს ეგრე ადამივით ხომ არ გამოეცხადები?

— დივიზიის მეთაურს ჩემთვის თვალები დასიებია! ჩემი ტანისამოსი გაგევლო წყალში, რა იქნებოდა?

— აბა წყალი? წინ ერთი ქვეყანი მდინარეა, ისიც ჯერ ფრიცებისაა!

— წვიმა მაინც ვერ გამოიყენე?

— მე რო წვიმა დამჭირდა, მაშინ მზემ დააჭირა.

— რა უილბლო ჰყოფილხარ, შე ოჯახაშენებულო! მოიტა, როგორიც არის, ისეთს ჩავიცვამ.

— შენი ტანისამოსი ისეა გაფშეკილი, გეგონება, კამეჩის ტყავიაო!

— კამეჩი გინახავს?

— ერთი კაცი ყველაფერის ნახვას ვერ მოასწრებს, ამისთვის ფანტაზიის უნარი მოუცია ღმერთს!

— დაუჩაგრიხარ ღმერთს, ჩემო ძმაო, ცოტა გაუმეტებია შენთვის. რაც შენ ტყავს აუტანია, კამეჩი იმის მეასედსაც ვერ გაუძლებდა! — გაეცინა ზემდეგს. რიაზანელი ფერშალიც ომის პირველივე დღიდან ან წინახაზზე იყო, ან ჰოსპიტალში იწვა დაჭრილი.

ალექსი თავის გაფშიკულ შარვალს დასწვდა, სანიტარმაც მაშინვე წაატანა ხელი იმ შარვალს.

— არ იქნება! ამით ვერ ეჩვენებიმეთქი დივიზიის მეთაურს!

— კაცო, რას აიტეხე, დივიზიის მეთაურიო? სულაც არ ვეჩვენები, თვალში დავაკლდები, თუ რა?

— დააკლდები, დიახ! ჩემ სანახავად კი არ მოდის. ჰო, რას მიკუსავ თვალებს? მთვარეზე ჯერ არავინ აფრენილა, სხვებსაც მაგისთანებზე აჯილდოებენ. ყოჩაღ, ზემდეგო, ჩვენს ბატალიონს კიდევ ერთი მოემატა საბრძოლო ორდენის კავალერი!

— შენ სიცხე გაქვს, იცი? ჩვენები სად არიან?

— შენი წყალობით ჩვენები ათიოდე კილომეტრზე გაშვენ. შენი ოცეული კი ფეხს ითრევდა, გეგონება, კუკლა ხარო, ისე უნდოდა შენი ცქერა. ნეჩაევმა ძლივს გალალა ისინი აქედან.

— ეხლა სად იქნება ნეჩაევი?

— შენ რო არხეინად ხვრინავდი, ნეჩაევი ოფლში იწურებოდა შენზე რაპორტის შედგენაში. ისე დაგხატა, იქნება ორდენიც აღარ გაკმარონ!

ზემდეგი უჩვეულოდ აწრიალდა,

აღარ დაეძებდა, რაც ხელში ხვდებოდა, იმას იცვამდა.

— ეხლა გეცოდინება განსხვავება ორდენის კავალერსა და უბრალო მოკვდავს შორის: უბრალო მოკვდავს დღესასწაულზე თითო ყლუპს ზიარებისავით უბოძებენ ხოლმე, შენ კი—ანატომიური პრეპარატივით ჩაგაბუყბუყე სპირტში?

ველესოვსკი ყბედობას განაგრძობდა. ზემდეგს კი აღარ ესმოდა. ის თავისიანებისაკენ გარბოდა და მოულოდნელად ნეჩაევს წააწყდა.

— შენ მართლაც მაჯლაჯუნა ეგონები კაცს! — გადაიხარხარა ნეჩაევმა. ზემდეგის აკაზმულობამ კი არა, მისმა უვნებლად დანახვის სიხარულმა გააცინა.

— ამხანაგო კომბატო, თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ მე რაღაცა განსაკუთრებული გავაკეთე? — არც გაუღიმია ზემდეგს.

ნეჩაევი კიდევ უფრო გაახარა უზომო საყვედურმა ალექსის ხმაში და გამოხედვაში. დიახ, ასეთი იყო მისი მეგობარი!

— ამიხსენი, ალექსი, ის რა იყო, რა მოხდა? რამ გაგაბედვინა იმ ჭანჭრობში შევარდნა?

— რაამ?.. — გაიმეორა ზემდეგმა და ჩაჩუმდა. ვერ იტყოდა, ჯერ ოლეგსაც ვერ ეტყოდა, იმ უკანასკნელ წუთს რამ და ვინ შეაგდო ჭანჭრობში. მეტი ალარაფერი იყო. დანარჩენი — შემთხვევა იყო. ოლეგმა იცის, რომ ომში ისეთი შემთხვევა ბევრია, მშვიდობიან ცხოვრებაში რომ დაუჯერებელია. ბედნიერი შემთხვევა იყო. ჭანჭრობში რომ შესტოპა, ფეხით მორს წააწყდა, ალბათ კორპის მორს, რომელიც წყალში, სითხეში არ იძირებოდა...

ჩუმად იდგა ალექსი.

სდუმდა ნეჩაევიც. „რად ვეკითხები, რა იყო, რამ გადაარჩინა? — ფიქრობდა ის. — მთავარი ის არის, რომ ხალასი კაცი განსაცდელშიც აკეთებს იმას, რის არგაკეთება არ შეუძლია...“

იერიშიანი დღეღამეების სათვალავი არ გამწყდარა. როგორც იქნა, მოითქვეს სული. განთავისუფლებულ ქალაქ პინსკთან იყვნენ. ზემდეგს კი სულის მოთქმაც არ დასცალდა — ჯერ ოცეულის შევსება ჩაიბარა, მერე თავისი ოცეულით აბანო, სურსათ-ტანსაცმლის საწყობები დაიარა და ჭამის თავიც აღარა ჰქონდა, თვალები ეხუჭებოდა. ის იყო მიწვა, ნეჩაევთან რომ იხმეს, სრული აკაზმულობით გამოცხადდით.

— აფსუს, — დაინანა ბატალიონის მეთაურმა, თავით ფეხამდე ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი ზემდეგი რომ შეათვალიერა. — ფრიცებს რომ შეეყარო, არც მაჯლაჯუნა ეგონები, არც საფრთხობელა! ეგეც კარგია, სამხრეებზე ნიშნების დამაგრება რომ ვერ მოგისწრია.

„მივდივარ სადღაცა“, — გაიფიქრა ზემდეგმა.

— ჩვენი დივიზია ბრესტზე მიდის, — თქვა ნეჩაევმა.

„გამარჯვებით ატაროს ღმერთმა. ცოტა წამეძინა და უფრო გავიხარებდი“, — გაიფიქრა ზემდეგმა.

— ჩვენმა ბატალიონმა კი მანამდე ერთ პატარა საქმეს უნდა გამოუყვანოს წირვა, — თქვა ნეჩაევმა.

„იმ წირვის დაყენებამდე მძინებოდა, რას მერჩოდი?“ — გაიფიქრა გულში ზემდეგმა.

— ამ მიდამოებში ესესელების მოტომექანიზებული პოლკი ჩარჩენილა, გესმის? — თქვა ნეჩაევმა.

„არაფერიც არ მესმის, მძინავს, ვერა ხედავ?“ — უხმოდ მიუგო ზეზეულად ბურანში წასულმა ზემდეგმა.

— ადგილობრივი პარტიზანები დაგვეხმარებიან, იმათ იქაურობა თავისი ხუთი თითივით იციან. — განაგრძო ნეჩაევმა.

„მაგ „ახალ ამბავს“ ვერ მეტყოდი?“ — გაუკვირდა ძილღვიძილში მყოფ ზემდეგს.

— მაგრამ საქმე ის არის, რომ ოპერაციის დაწყების დრო ახლახან დაგვიზუსტეს, გესმის? ჰოდა, ჩვენ უნდა ვაცნობოთ პარტიზანებს, ალექსი, გესმის?

— ეხლავე უნდა წავიდე? — ზედმე-

ტად ხმამაღალი გამოუვიდა კითხვა ზემდეგს.

— მადლობა ღმერთს! მეგონა, სალოთას ძილმა შეგიპყრო. რა თქმა უნდა, ეხლავე. დაჯექი! — უთხრა ნეჩაევმა და მაგიდაზე რუკა გადაუშალა. — ამ ფერად ზოლებს ხედავ? პარტიზანების მეკავშირეებთან მისასვლელი გზებია. აი ეს ლურჯი ზოლი უმოკლესი გზაა, მაგრამ ამბობენ, გაუვალიაო. ეს წითელი და ეს ყვითელი ზოლები...

— წითელ-ყვითელი არ არის საინტერესო, მე მოკლეზე მიყვარს სიარული.

— ვიცი. მაშ ეს ლურჯად აღნიშნული ორიენტირები დაისწავლე. კარგად უნდა დაისწავლო. ეს პაროლიც და ეს რიცხვებიც დაიზეპირე. მე ხელს არ შეგიშლი.

ნეჩაევმა მაგიდას ზურგი შეაქცია და ზემდეგის ჩანთას პირი შეხსნა, თავისი ხელუხლები მშრალი ულუფა ჩატენა შიგ. მერე მისი გაკრიალებული ავტომატი გასინჯა და გულში პატრონს გამოელაპარაკა: „ალექსი, ძმაო, კარგად დაიხსომე ეგ ორიენტირები. თუ ერთს მაინც ასცდა, დაიღუპებაო. რომ დაიღუპო, შენ მე ძალიან დამაკლდები. არ იცი, როგორ დამაკლდები. უშენოდ მე ვერ წავალ ირმისში და ვერ ვნახავ შენს სანდრას, შენს ხატულას, შენს მეზობლებს, შენს ვენახებს. შენ თუ იქ არ იქნები, მე იქ ვერ მივალ და ვერასდროს ვერ დავისვენებ შენს ბუხართან, შენი სახლიდან ვერ დავინახავ გათენებას. ხედავ, როგორ დავზარალდები? ამიტომ გთხოვ კარგად დაიხსომო ეგ ორიენტირები. გთხოვ, გესმის?“

ზემდეგი წამოდგა. ნეჩაევი მაგიდასთან მივიდა, ისევ რუკაზე აჩვენა:

— უკან წამოსვლა არ გაგიჭირდება. აი ასე ივლი, ამ გზით. აქ სულ სოფლებია, ხედავ, ჩვენი განთავისუფლებული სოფლებია. ამ გზით მოხვალ აი აქ, შტაბში.

— შტაბში რა მინდა?

— ბატალიონი სად იქნება, ვინ იცის.

— მე მოგნახავთ.

— შენ შტაბში მოხვალ!.. ამხანაგო ზემდეგო, ერთხელ მაინც გაიხსენე წესდება, დისციპლინა, სუბორდინაცია! შტაბში ათიოდე დღე დარჩები, ჩვენ მოგაკითხავთ.

„დასვენება შემომაჩეჩა. მე ერთი დღე მეყოფოდა გამოსაძინებლად. დანარჩენი დღეები რა უნდა ვაკეთო?“ — უკმაყოფილო სახით იდგა ზემდეგი.

— მერე ერთად განვაგრძობთ გზას და მალე პოლონელი ქალიშვილები ყვავილებით დაგვხვდებიან, თაიგულებს მოგვართმევენ! რა კუშტად იყურები, შენც ხომ გიყვარს ყვავილები?!

ზემდეგმა გაურკვევლად აჩეჩა მხრები.

— ძალზე ჯიუტი ხარ, არ დამიჯერე, კურსებზე რომ წასულიყავი, ახლა ოფიცერი იქნებოდი. ფათერაკი თუ შეგემთხვა, ოჯახს კარგი პენსია ექნებოდა.

— ხატულა ჯანმრთელობას არ უჩივის, ქმრის პენსიას იუკადრისებს.

— ცხადია, შენი აუტანელი სიჯიუტე გადაედებოდა! მერე რა, ცოლს თუ არა, შვილს მაინც გამოადგებოდა შენი ოფიცრობა.

— ჩემგან რა ოფიცერი გამოვიდოდა, მიწას ვაზივით ვებღაუჭები... წაიდუდუნა ზემდეგმა და წასვლა დააპირა. ჩანთა ემძიმა, მაგრამ მის ყურადღებას ახლა ამისთვის არ ეცალა. „ნახვამდისო“, უნდოდა ეთქვა და ჩუმად იდგა.

„ოლეგ სტეპანოვიჩ, რა პენსიაზე მელაპარაკები, გგონია არ დავბრუნდები? უკვდავების წყალზეც რომ გამგზავნონ, მაინც დავბრუნდები. შენ იცი, სანდრას და ხატულას უნახავად მე ვერ მოვკვდები. ჩემი სახლიდან ამსიშორეზე მიწა არ მიმიღებს. შტაბიდან გავგზავნი შინ წერილს. თუ ვერ გავგზავნე, შენ მისწერ, ამხანაგო მაიორო, მე ვეცდები აგაცდინო ეგ არასასიამოვნო მოვალეობა. თუ ვერ აგაცდინე, მაპატიებ, მკვდარს რა მოეკითხება?.. — უხმოდ იდგა ზემდეგი და თითქოს იმ სამწუხარო წერილის წერისას ხედავდა ოლეგ ნეჩაევს, გული თანაგრძნობით ევსებოდა.

„რა ვქნათ, ალექსი, — ფიქრობდა ამ დროს ნეჩაევი, — შენ ხომ იცი, რა ძვირი ჯდება ომში მეგობრობა... თვლა არა აქვს სასწაულმა რამდენჯერ გადაგვარჩინა მე და შენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ადამიანები მოკვდავნი არიან. შესაძლოა ამ ოპერაციაში მე დავიღუპო, შესაძლოა შენ ასცდე ორიენტირს და ფაშისტებს გადაეყარო, რა ვუყოთ, თუკი ეს საჭიროა? ხშირად ჯარისკაცის სახელიც არა რჩება, ხან კვალიც არა რჩება მისი, დაიღუპა და აღარ არის. შენ კი უკვე დაზღვეული ხარ დავიწყებისაგან. შენი სახე ფრონტის გაზეთმა აღბეჭდა, „უშიშარი ზემდეგი ალექსი რჩეულიშვილი!" აი, ხომ ხედავ, შენ შესული ხარ დიდი სამამულო ომის ისტორიაში".

ნეჩაევი გულიანმა სიცილმა გამოარკვია ფიქრებიდან. თვალებს არ დაუჯერა: ჩანთააკიდებული ზემდეგი იდგა და სიცილით კვდებოდა.

— რა დაგემართა, ალექსი? ეგებ... ეგებ სხვა გამეგზავნა?!

— არა, მე სრულ ჭკუაზე ვარ, ოლეგ სტეპანოვიჩ, თქვენ სახე გქონდათ ისეთი სასაცილო, მეგონა, ჩემს დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვას ვუსმენდი.

— ააა... მოგეწონა?

— ოჰ, ძალიან!

— ჰოდა, გეცოდინება როგორ შეგამკობ.

-- მადლობელი ვიქნები.

ნეჩაევმა ასანთი მოუკიდა ქაღალდს, რომელზეც პაროლი და ოპერაციის დაწყების დრო ეწერა, მერე ზემდეგს საველე წიგნაკი გამოართვა.

— ჩემთან იყო, სამაგიეროდ, ჯიბეში ეს გქონდეს, ერზაცია, მაგრამ მაინც შოკოლადი ჰქვია, გამოგადგება... გზა მშვიდობისა!..

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაგუ მეგურიშვილი

## სიხარულის ბალადა

მე ახლა ვფიქრობ
უზარმაზარ იმ სიხარულზე,
რომ მომიტანა
დღეს პაწია
ჭინჭრაქას ხილვამ,
ნიშნი მოვუგე,
მწუხარებას თვალი დავუვსე
და დაძმარებულ გუნებაში
იელვა სხივმა.

მაინც რა იყო,
ეგრერიგად რით გამახარა,
რა გამახსენა,
იმისთანა რა მომალანდა,
როგორ იფრინა,
მწუხარებას რა დღე აყარა,
თან რომ მაჩუქა
სიხარულის ა ეს ბალადა?!

• • •

ამ სურათის მაცქერალ
უფალს გული უტირის,
აქეთ იქით დამათრევს
ფიქრის კატა კნუტივით.

ამ წუთში რომ ალთას ვარ,
იმ წუთში ვარ ბალთაში —
რეტდასხმული დარდით და
სიხარულით ათასით.

მუდამ თან მდევს: ახლობელ
თუ შორეულ მხარეში
უცხადესი სიზმარი,
ცხადი-უსიზმარესი.

მაგრამ სინამდვილეში
ვზივარ ამ ოთხ კედელში,
ეგ ორიდან ერთია:
ცუდი ან უკეთესი.

• • •

ჩვენ ბავშვები ვართ
და ღმერთკაცებმა
გადაგვიმალონ
უნდა ასანთი,
რომ ეს სიცოცხლე
არ გადავბუგოთ

სიმწრით ნაშობი,
სიმწრით ნაზარდი.
ხსნა იმათზეა
ისევ და ისევ,
ცეცხლთა თამაში
რომ აგვიკრძალონ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ლილინებდეს
ყოველი ერი
თავის ლილეს და
თავის წინწყაროს.
ჩვენმა სულებმა
რომ იგრძნოს კვლავაც
შვება ნამდვილი
და ჭეშმარიტი,
მსუბუქი, როგორც
ბაბუაწვერას
ბეწვი
მაისის
თბილი
ქარისთვის.

## რა ადვილად მიცანი

ქალბატონო, გაქვთ ალღო
და გუმანი მისანის;
ოცდაათი წლის მერე
რა ადვილად მიცანით.

თანაც თურმე თვალებით
შემიცანით — მომცრონით,
ძლივს ფერფლი რომ შემორჩათ
მაშინდელი კოცონის.

სადღაც გზაში წყაროსთან
თურმე გაგეარშიყეთ
და ის დრო მომაგონეთ
მაღრიბელმა მაშრიყელს.

როგორ დამიახლოეთ
ის დრო და ის სიშორე,
თან უგრძელეს ამ გზაზე
სასაუბრო ვიშოვნეთ.

* * *

იყო ცრემლი ბევრზე ბევრი,
ცოდვის სიცხე,
სიცხის ბოდვა...
ი არგასათენებელი
ღამე მაინც თენდებოდა.

ღმერთგამწყრალი მეგობრობდი
ხან ეშმასთან,
ხან დემონთან...
ი არ დასაღამებელი
დღე კი ჩქარა ღამდებოდა.

არც სიკვდილი,
არც სიცოცხლე,
არც ნათელი,
არც წკვარამი
არ გინდოდა...
გსურდა უფალს
დაესაჯე სულ სხვა რამით.

შენი თხოვნა შეისმინა,
შეისმინა შენი აჯა —
გარჯად,
ტანჯვად, გაწელილი
არსებობა მოგისაჯა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

კი ბატონო, ღამდება,
კი ბატონო, თენდება,
კი ბატონო, აკლდება
კი ბატონო მრთელდება.

მაგრამ ჩვენი კი არა:
ჩემი შენი და მისი...

ისევ რჩება იარად
ის იარა, ღმანისის.

კი ბატონო დამისხი,
თუ დარდისგან დამიხსნის...
ვადღეგრძელო საწუთრო
ევას და ადამისხნის.

* * *

ასე მალე,
ასე ჩქარა
მივუსხედით ზამთარს გვერდით,
გუშინდელი ჭაბუკები
ერთურთის თვალწინ დავუბერდით.
ზედ სახეზე გვაწერია,
თანაც დიდი ასოებით, —
რომ ცხოვრება
ჩვენს თავზე ხელს
არ გვისვამდა სასოებით.
სხვა ვართ თითქოს,
საკუთარ თავს
ვგავართ კიდეც
და არც ვგავართ,

რომ არ ჩაწყდეს
რაღაც სულში,
ისე ერთი
ღლეც არ გავა.
შევურიგდით, მოთმინების
პალოებზე და-ცა-ვებით,
დავუზავდით, მოხუცობის
ასაკს სიმწრის დაზავებით.
გუშინდელი ჭაბუკები
მივუსხედით ზამთარს გვერდით...
და უგრძელეს ღამეებთან,
ძილ-მღვიძარე ღამეებთან
და მცივანა ღამეებთან
გადავედით ალავერდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ლია ასათიანი**

## აღმოსავლური მოტივი

გული თუ გტკივა,
რა მიზეზითაც არ უნდა იყოს,
ღამით თუ დღისით,
იცოდე, ძილი არ გექნება
სრული და მშვიდი.
თუ დარდიც იცი,
მისტირი წარსულს
და აწმყოს არ სცნობ
და არც მომავლის იმედით იწვი,
ჰგევხარ უბედო მონადირეს,
რომელმაც თოფი გაისროლა
თურმე უტყვიოდ და
დაუთმია სამიზნე სხვისთვის.
თუკი გკლავს შური,
მშვიდ ნავთსაყუდელს
ველარ იშოვი,
ყველას და თვითონ სამყაროსაც
საყვედურს უთვლი:
„არც შენ ყოფილხარ ისე სრული,
როგორიც მსურდი".
მაგრამ თუ კაცი არის გულგრილი
და არცერთ დილით,
არ გაიღვიძებს შეწუხებული
მეზობლის ჭირით...
იგი ვერასდროს ვერ გაიგებს,
რომ სიხარული ყველაზე დიდი
მოაქვს სიცოცხლის და სიკვდილის
ურთიერთ ჭიდილს.
გვითხარი, ღმერთო!
როგორ გაყავი, ვით დღე და ღამე
ორგვარი სახე და ბუნება ადამიანის,
მობრუნებული ზოგი აქეთ
და ზოგი იქეთ,
ან, რომელი სჯობს, გაგვაგებინე
და მასვე გიქებთ!

## საუბარი ხსოვნის დღეს

მამა, შენ სურათს შევხედავ და
მით უფრო მიმძიმს,
რომ ცოცხალ სახეს
აღარა აქვს ღიმილი მისი
და არც წუხილი,
და არც ღელვა
განსჯა და ფიქრი,
დღეს რომ მრავალი სიაწლით და
ცვლილებით მიდის.
ჩემი პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშენობის, მაისი დადგა
და ვხვდები ახლა —
მოგონება ძლიერ გავს ლოდინს;
გავიდა წელი;
ნგრევით, სეტყვით,
ფეთქებით, შფოთით;
სევდა და ცრემლი ჩემი, შენსკენ
წვეთს მდნარი თოვლით.
რა დამავიწყებს
ფეხით როგორ შემომატარე:
ოთხივე კუთხე, მთა და ბარი
საქართველოსი,
მიწის ყოველ გოჯს,
მის ყოველ ქვას აკვირდებოდი,
სამშობლოს სახე, წარუშლელი,
შენ მისახსოვრე.

## სულის ტაძარი

ზღვები ივსება მზის ნიაღვრებით,
მათში შორეულ სიცოცხლეს სძინავს,
მიწას კი თხრიან რქებით, ხარები,
რომ დაეწაფონ ძირტკბილას ძირებს.
მალე ილევა მანძილი შორი
მოგონებიდან ახალ ნდომამდე.
სადაც სირინოზთ გაჰკივის ქორი,
იქ ეხეთქება რიფებს ხომალდი.
როგორ ვამხილო ურჩი იმედი,
რომ სხვას ვეძებდი და სხვა მაგნებდა
და ვით ველური ბარდი ხიმეზე
გადმოდიოდა ბაღში ბაღიდან.
ვწნავდი გვირგვინებს ეკლის ტოტებით
და დაფნასავით ვიდგამდი თავზე,
თან ვღიღინებდი უცხო მოტივებს,
მონატრებული სიმღერის მსგავსებს.
უკვე, დავცალე ეს ერთი სურაც
და ფიქრი, მაინც, კერპია კიდევ,
და ფერგადამშლილ წარსულის სურათს
სულის ტაძარში ხატივით ვკიდებ.
და ამ საოცარ სამლოცველოდან
ისევ, იმედი უსაზღვრო მადლით,
ახალ განაჩენს რომ დაელოდოს,
მოდის, იკავებს განკუთვნილ ადგილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუნუ ძადაგიძე

# ერთი ცხოვრების ქრონიკა

მოთხრობა

ახალშობილს არ ადირსეს სულ პირველი საბუთი; გარდიგარდმო არ გადაუჭრიეს მუშამბის პატარა ნაჭერი, რომელზეც მისი მშობლების გენეალოგია იქნებოდა აღნიშნული. ექთან ქალს სწორედ იმ დროს დაურეკეს ტელეფონზე, როდესაც ეს მოვალეობა უნდა აღესრულებინა. იმანაც იქვე, სარეცხის ფუთებთან დადო მუთაქასავით გამოკრული ახალშობილი. დაახლოებით თხუთმეტი წუთი იქაქანა, პამიდორის დამწნილების სამი სხვადასხვა ვარიანტი უკარნახა ვიღაცას და ამასობაში სრულებით გადაავიწყდა სარეცხის ფუთებთან მიგდებული პაწია. თურმე ორი დღე გაუტარებია იქ, რაღაც სასწაულით გადარჩა დახრჩობას. მერე დიდი წვალებით დაადგინეს, ვის ეკუთვნოდა უსაბუთოდ დარჩენილი ბავშვი. გამორიცხვის წესი მოიშველიეს ამისთვის. დედას კი ცრემლების ფრქვევით რომ მოიკითხა, „სად არის ჩემი პატარა ალეკო...“ სულ სხვა მიზეზებს ეუბნებოდნენ.

— რას გაჩუმებულხარ, შე უბედურო, — როცა იპოვნა ასე მიაყვირა მაშინ პატარა ალეკოს ექთანმა ქალმა, — ამოიღე ხმა, იტირე, გაგვაგებინე, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი.

ეს იყო პირველი ფათერაკი, რაც სანდროს (იგივე ალეკო ანუ ალექსანდრე) შეემთხვა ამქვეყნად მოვლინების დღიდან. მიუხედავად იმისა, რომ ეს არც თუ უხიფათო ფათერაკი მისი ცნობიერების მიღმა იდგა და მხოლოდ გადმოცემით უწყოდა, მაინც ისეთი გაცხარებით, ისეთი მონდომებით და დაწვრილებით გაიხსენებდა ხოლმე, თითქოს ყველაფერი საკუთარი თვალით უნახავსო. აღწერდა მზის სხივს, რომელიც ირიბად იჭრებოდა ორმაგმინებიან სარკმელში და სამედიცინო ინსტრუმენტებს დამაბრმავებლად აბრჭყვიალებდა... აღწერდა მაღალჭერიან თეთრ პალატას, რომლის ფონზეც თეთრხალათიანი ექიმები მიმოდიოდნენ. თვით იმ ექთანი ქალის გარეგნობასაც უდიდესი სიზუსტით გადმოსცემდა: შუბლზე მოწითალო ხალი ჰქონდაო, ხალზე ქლალი ფერის ბეწვიო..

ამ სიცხარეს და მონდომებას, ეჭვი არაა, თავისი მიზეზი და საფუძველი ჰქონდა. რასაც თავის დროზე მივაკვლევთ, ჯერჯერობით კი სანდრო-ალეკოს დანარჩენ, მომდევნო ფათერაკებს მივყვეთ.

ყოველი ახალშობილი, ეს ხომ სუფთა, ჯერაც დაუწერელი ქაღალდის ფურცელია... თეთრი და ქათქათა, როგორც თოვლი ახლადმოსული... როგორც ალუბლის ყვავილი ახლადგაფურჩქვნილი... როგორც ნისლი ცის კაბადონზე... შემდგომში ცხოვრება თანდათან აღბეჭდავს მასზე ათასნაირ იდუმალ ნიშნებს და იეროგლიფებს, დაახლოებით ისე, კანცელარიის მოხელე

რომ აღნიშნავს ხოლმე, „...ამა და ამ დავთარში, ამა და ამ გვერდზე შავით თეთრზე სწერია, რომ...“

ამ შავ-თეთრ ბილიკზე ყველას ათასნაირი ხიფათი და ფათერაკი უდარაჯებს, ცხადია ვერც სანდრო-ალეკო ასცდებოდა ამ ხვედრს... აკი დაბადებიდანვე ჰგავდა კიდეც სათავგადასავლო ლიტერატურის პერსონაჟს... ოღონდ სანდრო-ალეკოს ფათერაკები, იმ პირველისა არ იყოს, ყოველთვის ოფიციალურ ქაღალდებთან ანუ საბუთებთან იყო დაკავშირებული. ანუ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქაღალდის ჭინკა“ ყოველთვის კრიჭაში ედგა და გასაქანს არ აძლევდა... ასე მონათლა თავმოძულებულმა სანდრომ ყველა ოფიციალური საბუთი ერთად აღებული. ამ „ჭინკაზე“ ლაპარაკით და ჩივილით არასდროს იღლებოდა სანდრო-ალეკო. ისე, როგორც ავადმყოფს დაუსრულებლად შეუძლია ილაპარაკოს თავის სატკივარზე, ოღონდ კი ყური უგდოს ვინმემ: „ჭინკაა, აბა რა? ზომით ასეთი პატარა და ამდენის შემძლე... თუ მოახერხებ მასთან დაძმაკაცებას, ყოვლისშემძლედ გაგხდის, თუ გინდა, მთელი სამყაროს საუნჯეს ჩაგიგდებს ხელში. თუ არადა, მტრისას...“

ისიც უნდა ითქვას, ბავშვობის ნათელ ხანაში იმდენი ვერაფერი დააკლო იმ „ჭინკამ“, თუმცა ნიშანი თავისი უეჭველი არსებობის შესახებ უკვე იქედანვე მისცა. ნიშნების ფურცელი სახლში არასოდეს მიმიტანია, სულ მეკარგებოდაო, გაიხსენა ერთხელ სანდრო-ალეკომ. რამდენჯერმე მისი გვარიც გამქრალა სიიდან ფრიად გამოუცნობ ვითარებაში. ერთხელ კიდევ, როცა ქების სიგელით დააჯილდოვეს კარგი სწავლისა და სანიმუშო ყოფაქცევისთვის, მასზე დიდმა და ღონიერმა ბიჭმა ჩანთა წყალში გადაუგდო. ქების სიგელიც და წიგნებიც გადასაყრელი გახდა.

სამაგიეროდ, მერე გაუმწარდა სიცოცხლე. რაც ბავშვობაში დააკლო, „ჭინკამ“ მოწიფულობაში აუნაზღაურა ერთი ასად. ვერსად ფეხი ვერ მოიკიდა, ვერცერთი საქმე ვერ დაასრულა. თითქოს მართლა ჭინკა უდგას კვალშიო, შეეხებოდა თუ არა მისი ხელი საბუთებს, მაშინვე რაღაც უცნაური უნდა დამართოდათ. ან უკვალოდ იკარგებოდნენ და მერე, რამდენიც არ უნდა ეძებნა, მათი ასავალ-დასავალიც აღარ ჩანდა, ან ისე გადასხვაფერდებოდნენ, ისე იცვლიდნენ იერს, რომ სულერთია, მაინც აღარაფერში იყვნენ გამოსადეგნი. ხელფასი სრულად არასოდეს არ აუღიაო, ჩიოდა სანდრო-ალეკო და სახე სიმწრით ელმიჭებოდა. ან საერთოდ იკარგებოდა ჩემი გვარი უწყისიდან, ან სადმე სხვაგან მოხვდებოდა... იქ, სადაც წესით არ უნდა ყოფილიყო. ამის გარკვევას ორი კვირა მაინც ვუნდებოდი. ამასობაში ახალი ხელფასის დრო მოდიოდა და ვიყავი ასეთ ჭაპანწყვეტაშიო. წამახალისებელი პრემია ანდა მეცამეტე ხელფასი?.. რას ბრძანებთ, მაგაზე არც კი მიოცნებია. ვერც სამუშაო სტაჟს მოვუყარე თავი. ხან რადიატორის მილი გასკდებოდა და მაინცდამაინც ჩემს პირად საქმეს აქცევდა ფაფად, ხან კიდევ ხანძარი გაჩნდებოდა და პირველ რიგში ჩემს საბუთებს უნდა წაკიდებოდა ცეცხლიო.

ბოლოს, იმ ზომამდე მისულა სანდრო-ალეკო, ისე დამფრთხალა მთელი სიცოცხლე იმ ჭინკასთან უთანასწორო ბრძოლაში, იმ თაგვისა არ იყოს, კატა რომ ეჩვენება ყველაზე საშიშ ცხოველად, იმასაც ასე ეგონა, საბუთებზე საშიში მტერი მე აღარ მყავსო. საკმარისი იყო ერთი მოეკრა თვალი შტამპებით აჭრელებული ბეჭდიანი ქაღალდის ფურცლისთვის, რომ კუჭში გაურკვეველი წვა ეგრძნო და პირი სამი დღის მწყურვალივით გაშრობოდა. ანკეტის შევსების დროს თვალები უბნელდებოდა და არაფერს თავის ადგილას არ წერდა. ბინის ქირის გადახდაც ამის გამო შეჯავრდა... თვითონ ფულის გადახდის პროცესი, რაც თავისთავად არასოდეს არაა ნეტარი განცდა, სახსენებელიც არ იყო ქვითრის შევსებით გამოწვეულ უარყოფით ემოციებთან შედარებით. ჟურნალ-გაზეთების გამო-

წერაზე ხომ ერთხელ და სამუდამოდ აილო ხელი, ერთიც არ მიუღია თავის სიცოცხლეში.

გამუდმებით საბუთებზე ფიქრით თავგამოტენილს, ირგვლივ მყოფი ადამიანებიც უკვე საბუთებს აგონებდნენ უნებურად... ნოტარიუსის მიერ დამოწმებულ, ნაღდ საიმედო საბუთებს. ზომა და წონა თითოეულს სხვადასხვა ჰქონდა, მაგრამ შტამპი და ბეჭედი ყველას ერთნაირი ესვა. ამათ გვერდით სანდრო-ალეკოს საკუთარი თავი აწ ვადაგასულ, ძალადაკარგულ და ყოვლად უსარგებლო საბუთად წარმოუდგებოდა... ვერ იყო მაინცდამაინც საამური განცდა, ამიტომაც დასცდენია სვეგამწარებულ მცენარის დანახვისას: „უჯობდა სულაც არ ამოსულიყო მიწიდან, თუ მისი მერქნისგან იმ შტამპიან ქაღალდებს დაამზადებდნენო“. ასეთი მწარე სიტყვებით ამკობდა ყოველთვის თვალმახარა, აყვავებულ მცენარეებს, იმის ნაცვლად, რომ მათი ცქერით დამტკბარიყო და გული გაეხარებინა. სხვა დროს ცოტათი სხვანაირადაც გამოუთქვამს იგივე აზრი: „ამ მცენარეს რომ სცოდნოდა, რომ მისი მერქნისგან შტამპიან ქაღალდებს დაამზადებდნენ, თვითონვე არ ამოვიდოდა მიწიდანო“.

მეტისმეტად მკაცრად სჯიდა სანდრო-ალეკო. გასაკვირი არ იქნება, ვინმე რომ შეედავოს, უცნაურ აკვიატებად ჩაუთვალოს შტამპიანი ქაღალდების ეს ყბადაღებული შიში და სიძულვილი... „ქაღალდის ჭინკა“ ხომ არ არსებობს და ცხადია, არც შეიძლებოდა ჩასაფრებოდა.

ოღონდ წამოსცდენოდა ვინმეს ასეთი ბრალდება! მაშინვე ერთიანად აინთებოდა სანდრო-ალეკო და ეშხში შესული მსახიობივით დაწვრილებით მოყვებოდა იმ პირველ ფათერაკს, ქვეყნად ახალმოვლინებულს რომ შეემთხვა. მაშინ ხომ წარმოდგენაც არ ჰქონდა საბუთების არსებობის შესახებ. სიძულვილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. განა მართლა მაშინვე არ ჩაუდგა კვალში „ქაღალდის ჭინკა“? ის პირველი საბუთიც არ აღირსა, მუშამბის პატარა ნაჭერი.

ამით იყო გამოწვეული ის სიცხარე და გულმოდგინება, რითაც იმ პირველ ფათერაკს იხსენებდა სანდრო-ალეკო. ამისთანა არგუმენტს, ისიც ასეთი ფერადოვნებით გადმოცემულს, ძნელია რაიმე დაუპირისპირო... ლამის ირწმუნო, თითქოს მართლა ჩასაფრებია ბედშავ სანდრო-ალეკოს „ქაღალდის ჭინკა“... თანაც ისე უსაშველოდ, რომ მისგან თავის დაღწევის ყოველი ცდა ამაოა. რა გზასაც არ უნდა დაადგეს, ყველგან ეს „ჭინკა“ უხვდება. ყველგან რაღაც უნდა უხიმანკლოს, ნაცარტუტად აქციოს ყველა მისი იმედი და ოცნება... ვერც ოჯახს მოეკიდა, მისი გადამკიდე. სიყვარულისთვის დიდაც რომ უთქვამდა გული, მაგრამ აბა, რომელი გასათხოვარი ქალი დაუჯერებს საქმროს, თუ ეს უკანასკნელი ეტყვის, პასპორტი დამეკარგა განაცვალე და ხელს ვერ მოვაწერთო... დარჩა მთელი ცხოვრება ეულად, თავის პატარა ბინაში. ნელნელა ჭაღარაც შეეპარა და ის უცნაური შიში შტამპიანი ქაღალდების მიმართ არა თუ გაუქრა, პირიქით, ასაკის მომატების კვალობაზე უფრო გაუძლიერდა. თუ შემთხვევით მოხვდებოდა საკანცელარიო ოთახში (ვთქვათ, თუ წყალი ჩამოვიდოდა ჭერიდან და სანდრო-ალეკოს მის შესაკეთებლად დაუძახებდნენ) ცდილობდა რაც შეიძლება შორიდან შემოევლო საბუთებით დაზვინული მაგიდებისათვის. თუ ამის საშუალება არ იყო, ფეხაკრეფით ჩაუვლიდა გვერდზე.

მერე ბინაც ცხვირწინ ააცალა „ქაღალდის ჭინკამ“. ეს სასეირო ამბავი მართლაც ღირს საამბობლად... სანდრო-ალეკოს მეზობლად ცხვირების ოჯახი ცხოვრობდა. გუნებაში ასე ეძახდა მათ სანდრო-ალეკო. ყველას, დიდიან-პატარიანად რაღაც უზომოდ ბარაქიანი, გრძელი ცხვირი ამშვენებდა. მნახველს შეიძლებოდა ეფიქრა, თითქოს ცხვირს მათთვის სუნთქვის გარდა რაღაც სხვა, დამატებითი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. ცხვირები ჯერ

საერთოდ არც კი ცნობდნენ სანდრო-ალეკოს არსებობას. მასთან შეხვედრისას ცხვირს ქედმაღლურად აიშვერდნენ სადღაც მაღლა. მაგრამ ბოლო დროს რაღაც არაჩვეულებრივად დაუტკბნენ. განსაკუთრებით ცხვირა დიასახლისი იხევდა ისედაც მოხეულ პირს დაშაქრული ღიმილით, ცოდვა ხარ, მარტოხელა კაცი. ხან ცხელ სადილს შემოუტანდა, ხან რაიმე ნუგბარს. ხშირად თავისთან მიიპატიჟებდნენ ხოლმე ცხვირები. სულში იძვრენდნენ, ანებივრებდნენ. სულით და გულით მადლობელი იყო სანდრო-ალეკო. ეს რა ხალხი მყავს მეზობლადო, თავს ბედნიერად გრძნობდა.

ერთხელ, გაშლილ სუფრასთან ჭუკჭუკისას ცხვირამ შეაპარა:

— ბიჭს ვაქორწინებ, ბინაში კი ჩვენც ძლივს ვეტევით. დროებით დაგვითმე შენი ოთახი. ერთ წელიწადში ახალ ბინას მივიღებთ და ისევ დავცლით...

სანდრო-ალეკოს გაუხარდა, ამდენი პატივისცემის სანაცვლოდ რაიმეს გაკეთება რომ შეეძლო.

— ადვილი სამსახურია, ცოტა ხნით საკუჭნაოში ვიცხოვრებ, — თქვა სახეგაბადრულმა.

— მაგრამ... — აქ ცხვირამ ხმა უფრო დაიტკბო, თვალებიც სულ ჩაუშაქრდა, — ხომ იცი, ათასი ჭორიკანა და ენაგრძელი დადის. ვინმემ არ იჩივლოს, ჩაუწერლად ცხოვრობენო... დროებით ჩაწერე, შენი თანხმობაა საჭირო...

ამ სიტყვებით რაღაც საბუთი შეაჩეჩა... სანდრომ მაშინვე მოაწერა ხელი მითითებულ გრაფაზე და... როგორც არ უნდა აერიდებინა თვალი მისთვის საძულველი შტამპიანი ქაღალდისთვის, მაინც ნათლად ამოიკითხა სიტყვა „დროებით“. ცხვირამ საბუთი სასწრაფოდ იკრა ჯიბეში. და ორივე ლოყა დაუკოცნა თავის უძვირფასეს მეზობელს.

— ბედნიერად იცხოვრონ ახალგაზრდებმა, — თქვა გულაჩუყებულმა სანდრომ.

მეორე დღესვე გადაბარგდა საკუჭნაოში, ოთახი თავის ავეჯიანად ცხვირებს დაუთმო.

გავიდა დაპირებული ერთი წელიწადი, მეორე,... მესამე. ცხვირებმა ახალი ბინა ვერა და ვერ მიიღეს. მაინცდამაინც არ უკვირდა, ეს ამბავი სანდროს. კარგად იცოდა, თუ რა სახათაბალო საქმეა ახალი ბინის მიღება, მაგრამ სანამდე უნდა ეცხოვრა საკუჭნაოში... და ერთხელ შემთხვევით ყური მოჰკრა, მეზობლები ლაპარაკობდნენ ცხვირების შესახებ, თვითონ აქ იკუნჭებიან, ახალი ბინა კი გაქირავებული აქვთო. გაუკვირდა სანდროს და იმავე საღამოს ასე უთხრა ცხვირა დიასახლისს:

— ახალი ბინა მიგიღიათ, დროა დამიცალოთ ჩემი ოთახი.

ძლივს მოასწრო ბოლო სიტყვის წარმოთქმა, ისეთი ყურისწამღები ჭყვირილი მორთო ცხვირა დიასახლისმა, ნასუქმა ღორმა რომ იცის, როცა დანას გაუყრიან კისერში. ამ ჭყვირილში სიტყვა „საბუთი“ გამოირჩეოდა, თან გაოგნებულ სანდროს რაღაც ქაღალდს უფრიალებდა ცხვირწინ. იცნო სანდრომ ის ქაღალდი, ეს იყო მისივე ხელმოწერილი შტამპიანი ქაღალდი, სადაც ადრე სიტყვა „დროებითი“ ეწერა, ახლა მის ადგილას სულ სხვა სიტყვა „მუდმივად“ იკითხებოდა.

— ...ამდენი წელიწადია სამადლოდ გინახავთ, თურმე რა ღირსი ყოფილხარ... ახლა აქედანაც მიგაბრძანებთ, — ჭყვიროდა ცხვირა დიასახლისი. მისი ცხვირა თანამეცხედრე ოთახიდან იჭვრიტებოდა.

იგრძნო სანდრომ, რაღაც ვერ უნდა იყოს საქმე კარგადო. ერთი პირობა იფიქრა, მოდი ვუჩივლებ ამ უნამუსოებსო, მაგრამ როცა ჩაუფიქრდა, რამდენი შტამპიანი ქაღალდი დასჭირდებოდა ამ საქმეს... ქაღალდები, რომლებიც ასე უცნაურად იცვლიდნენ შინაარსს. იქ, სასამართლოში, ვინ იცის, როგორ შეიცვლიდნენ სახეს საბუთები. იქნებ ისეთი დანაშაული მიაწერონ, რომ... არა, უიმედო საქმეა. უსაბუთებოდ რომ შეიძლებოდეს სადმე ჩივი-

ლი, მაშინ კიდევ ექნებოდა რაიმე იმედი.

უბრძოლველად დასტოვა ბრძოლის ველი. იქნებ არ მოქცეულიყო ასე, იმის შიშით მაინც, უხერხულობა არ დამწამონო, მიწის ერთი პატარა ნაკვეთი რომ არ გახსენებოდა. ოდესღაც, ბავშვობაში დააბიჯებდა იმ ნაკვეთზე, როდესაც ბებიას ესტუმრებოდა ხოლმე ზაფხულობით. რაც არ უნდა იყოს, იმ მიწაზე მის წინაპრებს უცხოვრიათ. იქნებ მისცენ მასზე ფეხის დაბიჯების უფლება.

ამ ფიქრებმა სანდროს შვება მოჰგვარეს, კიდევ კარგი, ეს დალოცვილი მიწაც ქალაქდისა არ არისო. საკარმიდამო ნაკვეთი ნაღდად ყველაფერს აჯობებს, ადრე რატომ ვერ მოისაზრა... ეეჰ, მართლა კარგი ვინმე ხარ. — უსაყვედურა თავის თავს. — მანამდე არ გაგახსენდა შენი გამზრდელი მიწა, სანამ სულთამხუთავივით კისერში არ ჩაგავლო ბრჭყალები „ქალაქდის ჭინკამ“. სამაგიეროდ, ახლა ეცდება როგორმე აანაზღაუროს უაზროდ გაფლანგული დრო. ხეხილს ჩაყრის, ბოსტნეულს მოიყვანს... მახსოვს, პატარა სახლი გვედგა, ალბათ კარგად შელანძღული იქნება... კი მაგრამ, სადღაა... წესით აქ უნდა იყოს...

ეს ბოლო ფრაზა სანდრომ იქ წარმოთქვა, სადაც წესით მისი სამემკვიდრეო ნაკვეთი და პატარა სახლი უნდა ყოფილიყო. ახლა არაფერი ამის მსგავსი არ ჩანდა, რკინაბეტონის ღობეები მჭიდროდ ესაზღვრებოდნენ ერთმანეთს.

იქნებ მხარი ექცა? უფრო შორს გადაინაცვლა, მთელი უბანი მოიარა... ისევ აქ უნდა იყოს და არ არის, სადღაც გამქრალა.

ჰკითხა უახლოეს მეზობლებს, აქ ადამიძეების ოჯახი არ ცხოვრობდაო? რას ბრძანებთ, რომელი ადამიძე, მაგისთანა გვარი პირველად გვესმის“, — მიიღო პასუხად.

მერე ერთმა, უფრო მოშორებით მცხოვრებმა მეზობელმა იხელთა დრო და აუხსნა, რაშიც იყო საქმე. ჯერ გზა გაუყვანიათ და ნახევარი ეზო იმას წაულია. რაც დარჩა, სამმა უახლოესმა მეზობელმა გაინაწილა. მაგრამ სანდროს შეუძლია ნაკვეთის დაბრუნება, თუ მიაკითხავს სადაც ჯერ არს... იქ ინახება საბუთები, სადაც შავით თეთრზე სწერია რომ ეს ნაკვეთი ადამიძეების ოჯახს ეკუთვნოდა ოდითგანვე.

სიტყვა „საბუთებმა“ საგანგაშო გონგივით დაჰკრა, მაგრამ სხვა გამოსავალიც რომ არ არსებობდა... სადმე ხომ უნდა დაებიჯებინა ფეხი. და სანდრომაც იწყო ხეტიალი კანცელარიიდან კანცელარიამდე. არქივიდან არქივამდე. ახდა ის, რისიც ასე ეშინოდა. არსად არ აღმოჩნდა მისთვის საჭირო დავთარი. სადაც არ მიაკითხა, ყველგან ერთი და იგივე პასუხი ესმოდა: „ჩვენთან არ არის, ალბათ იქ გადააგზავნეს...“ იქ მივიდოდა, ისევ აქეთ აგზავნიდნენ. ერთგან ასეთი რამეც კი უთხრეს: „აქ ქ-ნი დომნა მუშაობდა, ერთი თვე იქნება, რაც გათხოვდა, სხვა ქალაქში გადავიდა და შენი საბუთებიც ალბათ თან წაიღოო. გაკვირდა სანდრო, ჩემი საბუთები მზითევში რად უნდა წაეღო ქ-ნ დომნასო. არ ჰქონდა მაინცდამაინც იმედი, დიდი შეჭირვების გამო მაინც მიაკითხა ქ-ნ დომნას. აქაც ამაოდ ჩაუარა ჭაპანწყვეტამ. არ აღმოჩნდა ქ-ნ დომნასთან მისი საბუთები.

ამ დაუსრულებელ ხეტიალში მიაღწია ყველაზე უფრო უდიდეს არქივამდე, სადაც ყოველგვარი საბუთი ინახებოდა, რაც კი ადამის მოდგმას გაუჭაჭანებია დედამიწის ზურგზე. აქ, უზარმაზარ დარბაზში, შტამპიანი ქაღალდების ნამდვილი მთები იყო აღმართული. ამ მთებს დარაჯობდა ქურუმის ანაფორასავით განიერ ხალათში გამოწყობილი არქივარიუსი... ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს ჩაყვითლებული დავთრები ოდესმე თეთრად ქათქათებდნენ... ყოველგვარი საბუთი ორი მკვეთრად განსხვავებული ფერისაგან, უმეტეს შემთხვევაში თეთრისა და შავისაგან შედგება. ორი უკიდურესობა დიდხანს ვერ ძლებს ერთად. განუწყვეტლივ ისწრაფვიან, რათა ერთმანეთში აითქვიფონ. დროის გასვლის

კვალობაზე შავი ფერი სულ უფრო მკრთალდება, იცრიცება, თეთრი პირიქით, მუქდება .ასე გაგრძელდება მანამდე, ვიდრე ყველა ეს შავ-თეთრი დავთარი გაურკვეველი თალხი ფერის გროვად არ გადაიქცევა.

ეს თალხი, გაურკვეველი ფერი ედო ირგვლივ ყველაფერს, მაღალ ჭერს, კედლებს. ასეთივე ფერის შუქი ილვრებოდა მკრქალმინებიანი სარკმლიდან და დავთრების მთების ირგვლივ მტვერივით თანაბრად ნაწილდებოდა. თალხი ფერი ედო ქურუმსაც და მის ფართო ხალათსაც, შუბლსაც თალხი ფერის ხალი უმშვენებდა, უფერული ბეწვით მთელ დარბაზში გამეფებულ სპეციფიკურ სუნსაც თითქოს იგივე ფერი ედო. ამ სუნისგან კინაღამ წაიქცა სანდრო. მაგრამ უდიდესი ძალდატანებით შეძლო თავის შემაგრება. ოღონდ ხმამაღლა, ძლივს წაილუღლუღა საკუთარი გვარი და სახელი.

— ადამიძე? — მკრთალსახიანი ქურუმი დაფიქრდა, შუბლი მოისრისა — დიახ, ასეთი გვარიც არსებობს, აი, იქ მოძებნე, ასომთავრულ „ა"-სთან. — სადღაც მაღლა მიუთითა.

იქნებ სადმე სხვაგან, მზის გულზე ან სულაც ლამპის შუქზე შეემჩნია მკრთალსახიან ქურუმს, რა ფერი დაედო სანდროს მის სიტყვებზე, მაგრამ აქ, თალხი ფერის მეუფებაში შეუძლებელი იყო ამის შემჩნევა.

ერთი-ორჯერ ღრმად ჩაისუნთქა სანდრომ, ათიოდე ნაბიჯი ადგილზე გადაადგა სპორტსმენივით, ხელი ჩაავლო ვიწრო კიბეს და შეუდგა გზას მთის მწვერვალისკენ... რა იყო მისთვის ეს გზა... ეს იყო ერთი იმ უსახელო გმირობათაგანი, რომელთაც არასოდეს არ გაანათებს იუპიტერების შუქი და არცერთი პოეტის კალამი არ დაშვრება მისთვის ხოტბის შესასხმელად. მიაბიჯებდა და ყოველ წამს ეჩვენებოდა, აგერ-აგერ მართლა ჭინკის მსგავსი საშინელება გამოლოლდება ამ წყეული დავთრებიდანო. ან კიბეს გამომაცლის ფეხქვეშ, ანდა რაიმე უფრო უარესს ხათაბალაში გამხვევსო. ეს შიში მძიმე ტვირთივით ეკიდა ზურგზე. ნაბიჯს უბორკავდა და სუნთქვას უხშობდა. მთელი ძალღონის დაძაბვა დასჭირდა, რათა როგორმე გადაედგა მომდევნო ნაბიჯები. როგორმე უნდა გაუძლო... — იმხნევებდა თავის თავს. — რამდენი რამ გადაგხდენია თავს, ამ საბუთების წყალობით. ახლა, როცა ასე ახლოს ხარ მიზანთან, უკან ხომ არ დაიხევ?... კიდევ ცოტაც... სულ ბოლო, ყველაზე ძნელი ნაბიჯიც უნდა გადაადგა...

მთის ძირას დარჩენილი ქურუმი უხმოდ ადევნებდა თვალყურს ამ ალმასვლას. მეტისმეტად მოუქნელად, ნელა მილოლავდა სანდრო. თანდათან რომ არ დაპატარავებულიყო მისი ფიგურა, იფიქრებდი, სულაც არ მიიწევს წინო, ამ მომაბეზრებელ თვალთვალში ქურუმს თვალღიას ჩაეძინა...

გამოფხიზლებისას საბუთების მთა იხილა მხოლოდ, აღარსად ჩანდა მასზე წვალებით მფორთხავი ფიგურა.

და ერთხელ კიდევ გახმიანდა სანდროსთვის კარგად ცნობილი ფრაზა: „ხმა ამოიღე, შე უბედურო... გაგვაგებინე, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი". საკმაოდ მაღალი მჭექარე ხმით დასძახა ეს სიტყვები ქურუმმა. ალბათ, ამ მაღალ თაღებქვეშ კიდევ დიდხანს იხმიანებდა მისი ექო, მაგრამ იმწამსვე შეისრუტეს დავთრების მთებმა. შეუვალი სიჩუმე გამეფდა ისევ, სასაფლაოზე რომ იცის, ისეთი...

რაკი არავინ გამოეხმაურა, იძულებული გახდა ქურუმი, ხელდახელ მოეჩხრიკა იქაურობა. ბევრი ეძება, ბოლომდე გადააქოთა დავთრების მთა, ძე-ხორციელის ნიშანწყალიც ვერ ჰპოვა მასში. მხოლოდ სულ ბოლოს, უკანასკნელი სულ ჩაყვითლებული დავთრების ქვემოდან ქაღალდის ფურცელი გადმოფრიალდა. სუფთა, დაუწერელი... ერთი წერტილიც კი არსად ეტყობოდა. თეთრი და ქათქათა იყო, როგორც ახლადმოსული თოვლი,.. როგორც ალუბლის ყვავილი ახლადგაფურჩქნილი... როგორც ნისლი ცის კაბადონზე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თენგიზ კაკუშაძე

* * *

აქა დევს ჩემი ქვა საჯილდაო,
სათავეც არის აქ ჩემი ლექსის,
ნეტარ წუთებთან ვზივარ და ვდაობ
და მადლმოსხმული გუგუნი მესმის.

ჩემთვის სამოთხის გადასახედო,
რა ტვირთი მაწევს ათასი ამბით,
ძირს მეზმანება ქალაქის ხედი,
მძიმე სუნთქვით და თვალების ნაბვით.

* * *

ახლა რაღა ვქნა ცათა მეუფევ,
თავდახრილია ჩემი იფნები,
ეს შენგან მოდის სიტყვა „ეუფლე“,
ვერ ვეუფლე და ჭაობს ვიფლები.

სიცოცხლეც მხოლოდ ერთი წამია.
თუ გინდა იყოს გველის ნაკბენიც,
შენ შემოგწირე — გვერდს ნუ ამიარ—
მოთმინება და ისიც ამდენი.

* * *

ბებერი მთვარე ქალაქს დაჰყურებს,
და თითქოს ნელა დაბლა ჩამოდის,
ხეებს აასხა შუქის საყურე
და სულში ძვრება ვნების კალომდის.
მიბნედილო და ცაო მაღალო,
მთვარემ დააცხრო შუქით ხეები,
შეფუთვნილია დრო და სამყარო
და ჰამილკარის სასახლეები.
განათებულა მარაბდის ველი.
პომპეუსს ხვდება მცხეთასთან მთვარე,

დაგადგეს ფეხი, საზღაურს ელი,
ოკეანეში ჩავარდი ბარემ.
თუ ხარ მომწყდარი ძუძუ ან კალთა,
შენი შუქის რძე წოვა ამ მიწამ —
აღმოსავლეთი მზემ გაანათა,
ღამის ჩრდილები გადამავიწყა. —
ის მთვარე გაჰყვა მტკვარსა და რიონს,
ზღვამდე ჩავიდა შუბების წვერზე,
ალიონები არ ამერიოს,
ეს რა უცნაურ კავშირებს ვეძებ.

* * *

სხვა რა ვინატრო, მომნუსხავ ამბად,
უფრო ლამაზი და სანუკვარი,
ჩამოცვენილი ფოთლებით კაბას
თუ შეგიკერავს ოქტომბრის ქარი.
ელვის თითები თუ დაგილამბავს,
ნათელ თვალებში შუქს და ჩუქურთმას.
და ნაზ სხეულზე ფოთლოვან კაბას,
ნამდვილი ხატის სიზმრად უკუთქმას.
დრო ამერია, ნეტავ რა დროა,
იყო რიცხვები, აღარ არიან,
ჩემი სიზმარი ისევ მარტოა,
ისევ მარტო და წარმავალია,
ტყეში ხეებს რომ ამოეფარა,
მინდვრების ნაზი დედოფალია.

* * *

არ ნებდებოდა გული სიკვდილს და
და მაგრამ მაინც დამარცხდა მასთან,
ეჭიბრებოდა მდინარე ტალღებს,
მაგრამ ის მაინც დამარცხდა ზღვასთან.
ვეჭიბრებოდი შურსა და ნაღველს,
თავი მართალი მეგონა ცასთან,
არავინ უწყის ხვალ რა მოხდება,
არავინ ვიცით, რა მივა რასთან.

* * *

გაბრაზებულზე არ გხვდება მტერი,
კარგ გუნებაზე შეგხვდება უცებ,
როცა ცა გიყვარს და როცა მღერი
და შენს სისუსტეს ანგარიშს უწევ.
როგორც წესია, კარგს ცუდი მოჰყვა,
ზეცას და ლაჟვარდს ეცვალა ფერი,
შემოგიჩნდება ბრაზი და ბოღმა,
მაგრამ არა ჩანს, სად არის მტერი.
ეს სიკეთეა თუ უმწეობა,
ეჭვები ზღუდავს ფიქრთა მოედანს,
ხან მზე არის და ხან უმზეობა,
ნეტავ რომელმა გამაპოეტა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მერაბ აბაშიძე

* * *

ხშირად აღარ იკაწრება შეუცნობლის კედელი...
ცოტა დარჩა ჭეშმარიტი სილამაზის მჭვრეტელი.

ხოლო სისხლი — ძარღვებიდან ფურცლებისკენ დაძრული,
აღარ ფიცხობს, მოსწონს თითქოს, მყუდროება ტაძრული...

ჰო, დაწყნარდა ჩემი სისხლი, გული ჩადგა საგულეს
და ისე ვწერ, ისე, თითქოს — ტბაში გედებს ვაპურებ.

მაგრამ იქნებ ვცდები კიდეც, ვბითურდები, ვრიტორობ!
აბა, ერთი აგრიალდი, ჩემი სულის ლითონო!

მაგრამ მახსოვს მცნება ერთი, ვარ ამ მცნების მცნობელი,
ყვირილით არ შეიცნობა, ყრუა წუთისოფელი!

ამიტომაც დაცხრა სისხლი, გული ჩადგა საგულეს
და ისე ვწერ, ისე, თითქოს, — ტბაში გედებს ვაპურებ!

### სოფელი

კვამლით შავად შეღებილი ქოხი,
დილის ბინდი გადაღვრია სხვენს,
კედელს ფრთხილად მიყრდნობილი
თოხი
ყანას ხედავს სიზმარში და თვლემს.

გარეთ ქარი სალამურზე უკრავს,
მოციქული მიწისა და ცის...
და ღვთისმშობლის ოქროსფერი ნუკრი
შუაცეცხლთან მოწყენილი ზის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ჩვენ ვართ მიწა,
ჩვენ ვართ ზეცა,
ჩვენ თქვენს სულში ვიფოთლებით...
ჩვენ ვართ გმინვა,
ჩვენ ვართ ფეთქვა,
ჩვენ ვართ ლექსის სტრიქონები!

* * *

ერთმაც დაკარგა, მეორემაც, —
მიწად საბჯენი,
ორივემ იგრძნო — ამიერით
სხვისი ბარგია,
მეფისთვის კვერთხი,
თუ ბრმისათვის ხის ყავარჯენი,
ნეტა რომელი უფრო მძიმე
დანაკარგია?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ალექსანდრე გიგიტაშვილი

### ზღვა

იქ, ვარსკვლავების მიღმა მდებარე,
თვალთაგან მრავალ ცრემლის მდენელი,
სულ მზე და მთვარე აუმყეფარე
და გაგახარებს აუხდენელი.

შენ გინდა, ზღვაში სევდა დაძირო,
ის კი გამხდარა სიზმრის დობილი,
ზღვა გაუხდია მას უნაპირო,
ზღვა გაუხდია კეთილშობილი.

თქვენ საოცრებას დაჰყურებთ, მთებო,
თქვენ ძალგიძთ სულზე სიზმრის
ძგერება,
თქვენ ჩამიხუტეთ, თრობის ტალღებო,
და მაპოვნინეთ მშვენიერება.

### გალაკტიონს

გენატრებოდა გამუდმებით ჭყვიში,
რიონი,
შენი ფეხის ხმა ენატრებათ დღეს
ქვაფენილებს,
ეგონეთ უკვე უწყინარი გალაკტიონი —
გაჰყევი ვარდებს პალატიდან
გადაცვენილებს.

მოვა მაისი, აიშლება სურნელი ვარდთა
და ათქვირდება სიყვარული, ყვავილთ
ამქარი,
თბილისში ტრფობის მწუხარებით
შეპყრობილ ლანდთა
წარმოჩინდება საკვირველი შენი
ლაშქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გავწვიმს იისფრად და ჩემში შუქად
შენი სხეული ცას დაუპყრია,
შენ მე მეძახი ისე მსუბუქად,
მახსენებ რაზეც გვისაუბრია.

მეძახი უკვე დიდი ხანია
და ამ ძახილში სული გეღლება,
ახლა ჩემს თვალზე დილის ნამია
და სხვა თვალებში არ შეგეშლება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალენ-ფურნიე

# დიდი მოლნი

რომანი

## თავი მეთერთმეტე

### მე ვღალატობ...

„რა გავაკეთო?“

ცოტათი გამოიდარა. თითქოს მზე ან ახლა გამოიხედავს ან ახლაო.

დიდ სახლში კარი გაჯახუნდებოდა ხოლმე. მერე ისევ სიჩუმე დგებოდა. დროდადრო მამაჩემი ეზოს გაივლიდა, რომ ვედრო აევსო ნახშირით, რომლითაც ღუმელს ახურებდა. თოკებზე გაფენილი თეთრეული დავინახე და ალარავითარი სურვილი აღარ მქონდა, დავბრუნებოდი ნალვლიან, სარეცხის გასაშრობად გადაქცეულ შენობას, სადაც სკოლის დამამთავრებელი გამოცდების პირისპირ უნდა დავრჩენილიყავი და აგრეთვე უნდა მოვმზადებულიყავი „ეკოლ ნორმალის“ კონკურსისათვის, რომელიც ამიერიდან ჩემი ფიქრის ერთადერთ საგნად უნდა ქცეულიყო.

სალცარი იყო, იმ კაეშანს, მე რომ მღრღნიდა, თავისუფლების გაურკვეველი განცდაც ერეოდა, მოლნი წავიდა. მთელი ეს თავგადასავალი დასრულდა და ყველაფერმა ჩაიარა. თითქოს თავი დავაღწიე იმ იდუმალ ფუსფუსსა და საქმიანობას, რომელიც ხელს მიშლიდა ისე მეცხოვრა, როგორც სხვები ცხოვრობენ ამ ქვეყნად. მოლნი წავიდა. მე აღარ ვიყავი მისი თავგადასავლის მონაწილე და ძმობილი იმ ყმაწვილისა, რომელიც ფათერაკებს დაეძებდა. მე კვლავ სხვა ქალაქელ ბიჭებს დავემსგავსე. ასეთი ცხოვრება უფრო ადვილი იყო და ახლა ისლა დამრჩენოდა, რომ ყური ჩემი ბუნებრივი მიდრეკილებებისათვის დამეგდო.

ატალახებულ გზაზე რუაების უმცროსმა ბიჭმა ჩაიარა; კანაფის წვერზე სამი წაბლი გამოება, იმას ატრიალებდა და ხელს რომ გაუშვებდა, სკოლის ეზოში ეცემოდა. ისე უსაქმური ვიყავი, რომ დიდი სიამოვნება მომანიჭა, როცა ორჯერ თუ სამჯერ მეც იგივე გავიმეორე და მისი წაბლები ეზოდან უკან ვესროლე.

მაგრამ უცებ დავინახე, ეს ბავშვური თამაში მიატოვა და ვიე-პლანშის გზაზე მიმავალ კაბრიოლეტს გამოეკიდა. იგი ეტლს ზურგიდან შეახტა. დელუშის პატარა კაბრიოლეტი და მისი ცხენი ვიცანი. მეეტლე ჟასმენი იყო, ეტლში სქელი ბუჟარდონი იდგა ფეხზე. ყანიდან ბრუნდებოდნენ.

„ფრანსუა, წამო ჩვენთან!“ დამიყვირა ჟასმენმა, რომელმაც მოლნის წასვლის ამბავი ალბათ უკვე იცოდა.

დიახ! ჩვენიანები არ გამიფრთხილებია. დანჯღრეულ ეტლზე ისე ავძვერი და მათსავით ფეხზე მდგომი კაბრიოლეტის კიდეს დავებჯინე. ჩვენ ქვრივ დელუშისკენ გავწიეთ...

ფარდულის უკანა ოთახში ვზივართ კეთილ ქალთან, რომელის სასტუმროს დიასახლისიცაა და ამავე დროს საბაყლოც აქვს. დაბალ ფანჯარაში შემოჭრილი მზის მოციმციმე სხივი თუნუქის ყუთებზე და ძმრის კასრებზე ეცემა. ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი სქელი ბუჟარდონი ჩვენკენ შემობრუნებულა და გრძელ ნამცხვრებს მსუქანი კაცის გაბადრული ღიმილით სანსლავს. კასრზე დადგმულ თავახდილ ყუთში ხელს ყოფს და ნამცხვრები ამოაქვს. პატარა რუა სიამოვნებით კისკისებს. ჩვენს შორის უკვე დამყარდა ფამილარული ურთიერთობა. როგორც ეტყობა, ახლა ჩემი ამხანაგები ჟასმენი და ბუჟარდონი იქნებიან. ჩემი ცხოვრება ხელის ერთი დაკვრით შეიცვალა. ასე მგონია, მოლნი დიდიხანია რაც წავიდა და მისი თავგადასავალი ძველი ნაღვლიანი ამბავია, რომელიც უკვე დავიწყებას მიეცა.

პატარა რუამ ფიცარი გადასწია და ლიქიო-

---

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 8.

რის ბოთლი ამოაძვრინა. დელუშმა შემოგვთავაზა, თითო ყლუპი მოვსვათო და რადგან მხოლოდ ერთი შუშის ჭიქა იყო, სმა იმ ერთი ჭიქით დავიწყეთ .პირველად მე მისხამენ, რაკი იმათ გლეხურ და მონადირულ ჩვეულებებს შეჩვეული არა ვარ, შემწყნარებლურად მექცევიან... ეს მე ცოტა არ იყოს, მეჩოთირება. და რახან ლაპარაკი მოლნზე ჩამოვარდა, სურვილმა ამიტანა, შებოჭილობა გადამელახა და მათთვის მეგრძნობინებინა, რომ მოლნის თავგადასავალს განდობილი ვიყავი და ცოტა რამ კიდეც მომეყოლა. განა ჩემი მონაყოლი იმას ზიანს მოუტანდა? განა მისი თავგადასავალი უკვე წასული ამბავი არ იყო?..

. . . . .

მოლნის ამბავს იქნებ კარგად ვერ ვყვები? მისი თავგადასავალი იმათზე ისე არ მოქმედებს, მე რომ მოველოდი.

ჩემს ამხანაგებს სხვა სოფლელებივით არაფერი უკვირთ და ჩემი მონათხრობით ოდნავადაც კი არ არიან შეძრულნი.

„დიდი ამბავი, ქორწილი გადაუხდიათ!“ თქვა ბუჟარდონმა.

დელუშს პრევერანჟში ერთხელ ქორწილი რომ ენახა, ის უფრო საინტერესო ეჩვენებოდა.

ციხე-კოშკი? დასახლებაში ნამდვილად იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ამ ციხე-კოშკზე რაღაც გაგონილი ჰქონდათ.

ქალიშვილი? როგორც კი მოლნი სამხედრო ვალდებულებას მოიხდის, ამ ქალიშვილზე დაქორწინდება.

„რაღა ვიღაც მაწანწალას გაენდო, ჩვენთვის ეთქვა და გეგმაც ჩვენთვის ენახვებინა“, თქვა ერთმა.

ჩემი ხელმოცარულობით გაწბილებულმა ვცადე, შემთხვევით მესარგებლა და მათი ცნობისმოყვარეობა გამეღვიძებინა; გადავწყვიტე ამეხსნა თუ ვინ იყო მაწანწალა, საიდან მოვიდა და რა უცნაური ბედი ხვდა წილად... ბუჟარდონსა და დელუშს არაფრის გაგონება არ უნდოდათ: „ყველაფერი მისი ბრალი იყო; ის რომ არა, მოლნი ყველას ასე ზურგს არ შეუბრუნებდა, ადრე მოლნი ყველასთან ამხანაგობდა! მან განახორციელა ყველა ის სულელური აბორდაჟი და ღამის თავდასხმა, ყველანი რომ მოსწავლეების ბატალიონივით გაგვაერთიანა...“

„შენ თუ იცი, — მეუბნება ჟასმენი და ბუჟარდონს თავის ნელი ქიცინით უყურებს — რა სწორედ მოვქცეულვარ, ჟანდარმებს იმაზე რომ შევატყობინე, რამდენი ცოლდვა ადევს და მე რომ არა, კისერზე კიდევ რამდენ ცოდვას დაიდებდა!..“

მე მათ თითქმის უკვე ვეთანხმები. ყველაფერი უთუოდ სხვანაირად იქნებოდა, ჩვენ რომ თავიდან ეს თავგადასავალი ასე იდუმალი და ტრაგიკუ[illegible] არ მოგვჩვენებოდა; ახე კი სწორედ ამ ფრანცმა მოგვაჩვენა, რომელსაც საქმე ასე ცუდად წაუვიდა...

მე ჩემი ფიქრით ვიყავ გართული, ფარდულში უცებ ხმები რომ გაისმა, ჟასმენ დელუშმა ლიქიორიანი ჭიქა კარს მოაფარა, ბუჟარდონი ფანჯრის რაფიდან გადმოგორდა, ფეხი ცარიელ მტვრიან ბოთლს დაადგა, ბოთლი გაგორდა და მან ორჯერ წონასწორობის შენარჩუნება სცადა; პატარა რუამ კი, რომელიც სიცილით იგუდებოდა, კართან ორივეს ხელი ჰკრა, რომ გარეთ იმათზე ადრე გავარდნილიყო.

ისე რომ, არც ვიცოდი, რა ხდებოდა, მეც იმათთან ერთად გარეთ გავვარდი; ეზო გადავსერეთ, კიბით სათივეში ავძვერით და ამ დროს ქალის ხმაც გავიგონეთ, ჩვენ რომ გვთათხავდა!..

„არ მეგონა, ასე მალე თუ დაბრუნდებოდა“, გვითხრა ჟასმენმა ჩურჩულით.

ახლაღა მივხვდი, რომ ფარდულში ქურდულად ვიყავით შესულნი, მოპარულ ნამცხვარს ვჭამდით და ლიქიორს ვსვამდით. მე ისე ვიყავი მოტყუებული, როგორც ჩაძირული ხომალდიდან გადარჩენილი ის ადამიანი, რომელსაც ჰგონია, კაცს ველაპარაკებიო და უცებ მიხვდება, რომ კაცს კი არა, მაიმუნს ელაპარაკება. ახლა მხოლოდ იმაზეღა ვფიქრობდი, ეს სხვენი როგორმე მიმეტოვებინა, რადგან აქ ყოფნა აღარ მსიამოვნებდა. თან კიდეც ჩამობნელდა... უკანა მხრიდან, ისე რომ გუბურასაც გავუარეთ, სხვის ბაღებზე გადამატარეს, ბოლოს აღმოვჩნდი სველ, ტალახიან ქუჩაში, სადაც დანიელის კაფედან გამომავალი შუქი ეცემოდა.

ამ საღამოთი მაინცდამაინც ვერ დავიტრაბახებდი. აი, მე ოთხი გზის მიედანზე ვარ. ჩემს წინ, მოსახვევში, თითქოს უეცრად ვხედავ მკაცრ და მეგობრულ სახეს, რომელიც მიღიმის; მერე უკანასკნელად ხელს მიქნევს და ფორანი თვალს ეფარება...

ცივი ქარი ბლუზას მიფრიალებს და ეს ქარი გასული ზამთრის, ტრაგიკული მშვენიერი ზამთრის ქარსა ჰგავს, ახლა ყველაფერი უფრო გაძნელებული მეჩვენება. დიდ კლასში, სადაც ვახშამზე მელოდებოდნენ, ჰაერის ცივი ნაკადი უეცრად ოთახში იჭრებოდა და ღუმელიდან გამოსული მცირეოდენი სითბოც მიჰქონდა .აძაგძაგებული ვუსმენდი, ნაშუადღევიდან ჩემი ალმა-დალმა ხეტიალისათვის როგორ მტუქსავდნენ. მე მიჭირს, ცხოვრების ძველებურ კალაპოტს დავუბრუნდე; ისიც კი ვერ მანუგეშებს, რომ ჩემი ადგილი დავიკავო და სასადილო მაგიდას მივუჯდე. ამ საღამოს მაგიდასთან არც დავმჯდარვართ — ყველას თეფში მუხლებზე უდევს და ჩაბნელებულ კლასში ვისაც სად უნდა, იქა ზის. უხმოდ შევიქცევი ღუმელზე გამომცხვარ კვერს, რომელიც გავარვარებულ ღუმელზე დამწვარა და, როგორც

ეტყობა, სკოლაში გატარებული ხუთშაბათის ჭილდოთა.

საღამოს, ჩემს ოთახში განმარტოებული, ლოგინში სწრაფად ჩავწექი, რომ ჩამეკლა სინიდისის ქენჯნა, რომელიც ჩემი ნაღვლიანი სულის სიღრმიდან ამოდიოდა. შუაღამისას ორჯერ გამომეღვიძა; პირველად მომეჩვენა, რომ მეზობლად მდგარი საწოლი, რომელზეც აქამდე მოლნი იწვა, ისე აჭრიალდა, როგორც მაშინ, როცა მოლნი გვერდს შეიცვლიდა ხოლმე; მეორედ კი მომეჩვენა, თითქოს მონადირის მსუბუქი ნაბიჯით იგი ხსვენში ფეხაკრეფით დადიოდა...

## თავი მეთორმეტე

## მოლნის სამი ბარათი

მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მოლნის მხოლოდ სამი ბარათი მაქვს მიღებული. ეს ბარათები ახლაც კამოდის უჯრაში მიწყვია და ხელთ რომ მომხვდება და გადავიკითხავ, კვლავინდებური მჭმუნვარება მეუფლება.

პირველი ბარათი მისი გამგზავრებიდან მეორე დღეს მოვიდა.

„ჩემო ძვირფასო ფრანსუა,

დღესვე, პარიზში ჩამოვედი თუ არა, იმ სახლთან მივედი, ფრანცმა რომ მიგვანიშნა, მაგრამ ვერავინ ვერა ვნახე. არავინ იყო და არც არასოდეს არავინ იქნება.

ფრანცმა რომ გვითხრა, ის სახლი ორსართულიანი პატარა სახლია. ქალბატონ დე გალეს ფანჯარა ზემოთ უნდა იყოს. ზემო სართულის ფანჯრები ხეებით უფრო დაფარულია, მაგრამ ქვემოდან ძალიან კარგად მოჩანს, ყველა ფარდა ჩამოფარებულია და მეტისმეტად უგუნური უნდა იყო, რომ იმის იმედი გქონდეს, ამ ჩამოფარებულ ფარდებში ივონ დე გალეს სახე გამოჩნდებათ.

ეს სახლი ბულვარს გადაჰყურებს... უკვე ამწვანებულ ხეებში წვიმა სცრიდა. ისმოდა ზარების წკრიალი ტრამვაებისა, რომლებიც განუწყვეტლივ ერთმანეთს მისდევდნენ.

იმ სახლის ფანჯრებქვეშ თითქმის ორი საათი ვიარე. ხალხს ცუდი განზრახვით მისული ქურდი რომ არ ვგონებოდი, გამყიდველთან ღვინის დასალევად შევჩერდი, მერე კი უიმედო ხეტიალი განვაგრძე.

ჩამოღამდა. ამ სახლის გარდა ყველა სახლის ფანჯრები განათდა. იქ ნამდვილად არავინ იყო და აღდგომა კი ახლოვდებოდა.

უკვე წამოსვლა დავაპირე, რომ ამ დროს, ვიღაც ქალი თუ ქალიშვილი მოვიდა და წვიმით დასველებულ ერთ სკამზე ჩამოჯდა. მას ეცვა შავი კაბა, რომელსაც პატარა თეთრი საყელო ჰქონდა. მე რომ იქაურობას მოვშორდი, ის ისევ იქ იჯდა გაუნძრევლად, იმის მიუხედავად, რომ საღამო იყო და გრილოდა. არ ვიცი, რას ან ვის უცდიდა. როგორც ეტყობა, პარიზი ჩემნაირი უბედურებით არის სავსე.

ოგიუსტენი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო მიდიოდა. ორშაბათ აღდგომა დღეს ოგიუსტენისაგან თუნდაც ერთ სიტყვას ამაოდ ველოდი; ბარათი არ მოსულა არც მომდევნო დღეებში, როცა აღდგომის მღელვარების შემდეგ მომეჩვენა, რომ მეტისმეტმა სიმშვიდემ დაისადგურა და ვიფიქრე, ახლა მხოლოდ ზაფხულის იმედილა უნდა მქონდეს-მეთქი. ივნისს მოჰყვა გამოცდები და აუტანელი სიცხე, რომელიც სულისშემხუთველი ბურუსით არემარეს დააწვა; ნიავიც კი აღარ იძვროდა. სიგრილე ვერც ღამემ მოიტანა და დღის ტანჯვა სიბნელეშიც გრძელდებოდა. ივნისის თვის იმ აუტანელ სიცხეში დიდი მოლნის მეორე ბარათი მივიღე.

„189... წლის ივნისი

„ჩემო ძვირფასო მეგობარო,

ახლა უკვე ალარავითარი იმედი აღარ არის. ამას გუშინ საღამოს მივხვდი. ის ტკივილი, რომელიც მაშინ ვერ ვიგრძენი, ახლა მტანჯავს.

ყოველ საღამოს მივდიოდი, რომ იმ სკამზე დავმჯდარიყავი და მიუხედავად ყველაფრისა, ვდარაჯობდი, ვფიქრობდი, ვიმედოვნებდი, გუშინ, ნავახშმევს საღამო იყო ბნელი და სულისშემხუთველი. ტროტუარზე, ხეებქვეშ ხალხი იდგა და ლაპარაკობდა. ჩაბნელებული ხეების ფოთლებს მეორე და მესამე სართულის განათებული ფანჯრებიდან შუქი ეცემოდა და მწვანედ ღებავდა. აქა-იქ ზაფხულს ფანჯრები მთლად გაეღნიოშებინა... მაგიდაზე მოჩანდა ანთებული ლამპა, რომელიც მის გარშემო ჩამოწოლილ ივნისის სიბნელეს ძლივს ფანტავდა და კაცის მზერა მხოლოდ ოთახის შუამდე აღწევდა... ო, ივონ დე გალეს ოთახშიც უცებ სინათლე რომ აციმციმებულიყო, ალბათ, გავბედავდი, კიბეზე ავიდოდი, დავაკაკუნებდი, შევიდოდი...

ქალიშვილი, რომელზედაც გწერდი, ისევ იქ იჯდა, ჩემსავით ვიღაცას უცდიდა, ვიფიქრე, ამან უნდა იცოდეს, ამ სახლში ვინ ცხოვრობს-მეთქი და შევეკითხე.

„მე ვიცი, — მიპასუხა მან, — რომ ადრე ამ სახლში ერთი ქალიშვილი და მისი ძმა არდადეგებზე ჩამოდიოდნენ. მაგრამ გავიგე, რომ ძმა მშობლების ციხე-კოშკიდან გაქცეულა და არ იციან, ახლა სად უნდა იყოს და სად ეძებონ; ქალიშვილი კი გათხოვილა და ეს სახლი სწორედ ამიტომ არის გამოკეტილი.

ქალიშვილს მოვშორდი. ათი ნაბიჯი არ გამივლია, რომ ფეხი ტროტუარზე წამოვკარი და კინაღამ დავეცი. წუხელ, როცა ბავშვები და ქალები ეზოში ბოლოს და ბოლოს მიჩუმდნენ და ის იყო უნდა ჩამძინებოდა, ქუჩაში ჩავლილი

ფიაკრების ხმა გავიგონე. ფიაკრები ერთიმეორეს მალიმალ მისდევდნენ, ერთი ჩაივლიდა თუ არა, ჩემდაუნებურად მეორის ჩავლას ველოდი. აი, ზანზალაკი აჟღარუნდა, აი, ასფალტზე ცხენის ფლოქვების თქარათქური გაისმა... მერე ისევ თავიდან განმეორდა: უდაბური ქალაქი, შენი დაკარგული სიყვარული, დაუსრულებელი ღამე, ზაფხული, ციებ-ცხელება...

სერელ, ჩემო მეგობარო, მე უკიდურესად სასოწარკვეთილი ვარ.

ოგიუსტენი".

რა მცირე რამ იყო გამჟღავნებული ამ ბარათებში! მოლნი არ მიმხელდა, ასე დიდხანს რატომ სდუმდა ან ახლა რას აპირებდა. ეტყობა, ჩემთან კავშირის გაწყვეტა გადაეწყვიტა, რადგან რაკი მის თავგადასავალს წერტილი დაესვა, ამით თავის წარსულთანაც კავშირს წყვეტდა. რამდენჯერმე მივწერე, მაგრამ არ მიპასუხა. მხოლოდ სიმწიფის ატესტატი რომ ავიღე, ის მომილოცა, ეგ იყო და ეგ. სექტემბერში სკოლის ამხანაგისაგან გავიგე, არდადეგებზე დედამისთან ლა ფერტე-დონჟიონში ჩამოსულა. მაგრამ იმ წელს არდადეგებზე ბიძაჩემმა ფლორანტენმა მიგვიწვია ვიე-ნანსეიში და იქ ვიყავით. მოლნი პარიზში ისე გაემგზავრა, რომ მისი ნახვა ვერ მოვახერხე.

სწავლა რომ დაიწყო, უფრო სწორედ, ნოემბრის თვის მიწურულში, როცა უმაღლესი სკოლის გამოცდებისათვის მეცადინეობას ულიმღამოდ შევუდექი იმ იმედით, რომ, ბურჟეს „ეკოლ ნორმალის" გაუვლელად მომავალ წელს წოდებას მივიღებდი, ოგიუსტენისაგან მესამე უკანასკნელი ბარათი მივიღე:

„მე ისევ ამ ფანჯრებქვეშ დავდივარ, ისევ ვიცდი უაზროდ, უიმედოდ. შემოდგომის ცივ კვირა დღეებში, როცა უნდა ჩამოღამდეს, არ შემიძლია, ჩემს ოთახში დავბრუნდე, დარაბები მივხურო და იქ, იმ გაყინულ ქუჩაში არ ვიდგე.

მე იმ სენტ-აგატელ სულელ ქალს ვგავარ, რომელიც ყოველ წუთს კარის ზღურბლზე გამოდიოდა და ხელმოჩრდილული ლა გარისაკენ იყურებოდა, რომ დაენახა, მისი გარდაცვლილი შვილი მოდიოდა თუ არა.

სკამზე ვზივარ, აკანკალებული, სასოწარკვეთილი და ასე მგონია, ახლა ვიღაც მომიახლოვდება და ხელს ნაზად მომკიდებს... შემოვბრუნდები და ის იქნება, „ცოტა შემაგვიანდა", იტყვის ის უბრალოდ და მთელი წუხილი და უგუნურება უცებ გაქრება. აი, ჩვენ შევდივართ ჩვენს სახლში. მისი ქურქი მთლად გაყინულია, მისი ვუალი სველია, მან გარედან ბურუსი შემოიტანა; და სანამ ცეცხლს უახლოვდება, მე ვხედავ მის შეჭირხლულ ქერა თმას, მის მშვენიერ, დახატულ პროფილს, ცეცხლისაკენ ასე ნაზად გადახრილს...

არა! ფანჯარა ჩამოფარებული ფარდით არის გათეთრებული და ამ ფარდას დაკარგული სამფლობელოს ქალიშვილი მაშინღა გადასწევს, როცა მისთვის აღარაფერი მექნება სათქმელი.

ჩვენი თავგადასავალი დასრულდა. ეს ზამთარი სამარესავით ცივია. ჩვენ როცა მოვკვდებით, ალბათ გასაღებს მხოლოდ სიკვდილი მოგვცემს, ამ შეწყვეტილ თავგადასავალს მხოლოდ სიკვდილი გააგრძელებს და სიკვდილივე დაასრულებს.

სერელ, მე ადრე გთხოვე ჩემზე იფიქრე-მეთქი. ახლა პირიქით გემუდარები, კარგს იზამ, თუ დამივიწყებ, უკეთესი იქნება თუ ყველაფერს დაივიწყებ.

. . . . . . . . . . . . . . . . . .

ო. მ.

და ისევ დადგა ზამთარი. მაგრამ ახლა ზამთარი უსიცოცხლო იყო და არა ჰგავდა წინა ზამთარს, იდუმალი ცხოვრებით აღსავსეს: აღარ იყვნენ მაწანწალები ეკლესიის მოედანზე, ახლა ბიჭები ოთხ საათზე უჩინარდებოდნენ სკოლის ეზოდან... საკლასო ოთახში მარტო ვიჯექ და თავში არაფერი ჩამდიოდა... თებერვალში, პირველად ამ ზამთრის განმავლობაში, თოვლი მოვიდა და გასული წლის ჩვენი რომანტიკული თავგადასავლები საბოლოოდ დამარხა, კვალი გააქრო, უკანასკნელი ბილიკები წაშალა და მე ვცდილობდი, როგორც ეს ბარათში მოლნმა მირჩია, ყველაფერი დავიწყებისათვის მიმეცა.

## მესამე ნაწილი

### თავი პირველი

### საბანაოზე

სიგარეტის გაბოლება, დასახუჭუჭებლად შაქრიანი წყლით თმის დასველება, დამატებითი კლასის გოგოებთან გზაზე ხელგადახვეული სიარული, ღობის უკან დამალვა და იქიდან მონაზვნების გასაღიზიანებლად „ჩაჩიანოს" ყვირილი — აქაური ცუღლუტი ბიჭუნების საყვარელი გართობა იყო. აქვე უნდა ითქვას, რომ ამისთანა ცუღლუტ ბიჭბუჭებს ოცი წელი რომ შეუსრულდებათ, გამოსწორდებიან ხოლმე და მეტად რიგიანი ყმაწვილები დგებიან. ცუდი ის არის, რომ ასეთ ყმაწვილებს სახე გაეცრიცებათ, თავის ასაკზე უფრო დიდი ხნისანი ჩანან, თავიანთ მეზობლების ცოლებზე ჭორებს იმეორებენ და სხვები რომ გააცინონ, ჟილბერტ პოკლენზე ათასგვარ სისულელეს ლაპარაკობენ. მაგრამ საბოლოოდ კაცმა ალბათ ხელი არც ამ შემთხვევაში უნდა ჩაიქნიოს...

ჟასმენ დელუშიც სწორედ ამისთანა იყო. სკოლაში რად დადიოდა, ეგ არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ გამოცდების ჩაბარების არა-

ვითარი სურვილი არა ჰქონდა და უფროს კლასებში სიარულს მაინც განაგრძობდა, თუმცა ყველას კი ის უნდოდა, რომ სკოლა მიეტოვებინა. დროდადრო თავის ბიძა დიუმასთან მებათქაშის ხელობას სწავლობდა. ეს ჟასმენ დელუში, ბუჟარდონი და კიდევ ერთი კეთილი ბიჭი, მასწავლებლის თანაშემწის ვაჟი, გვარად დენი, იქცნენ უფროსკლასელთაგან ჩემს განუყრელ ამხანაგებად მხოლოდ იმიტომ, რომ „მოლნის დროინდელები" ისინიღა დარჩნენ.

უნდა ითქვას, რომ დელუშს ჩემთან მეგობრობა გულწრფელად ეწადა, დიდი მოლნის დაუძინებელ მტერს ახლა მისი ადგილი უნდოდა დაეკავებინა და იქნებ იმასაც ნანობდა, რომ თავის დროზე მისი თანამებრძოლი არ იყო. რაკი ბუჟარდონზე გონებაგახსნილი გახლდათ, მგონი, იმასაც მიხვდა, მოლნმა ჩვენი ცხოვრება რა უჩვეულო გახადა, მისგან რამდენჯერ გამიგონია:

„დიდი მოლნი ასე ამბობდა..." ან „დიდმა მოლნმა თქვაო..."

გარდა იმისა, რომ ჟასმენი ჩვენზე უფრო დაკაცებული იყო, ეს თითქოსდა ხანდაზმული პატარა ბიჭი ჩვენზე თავის უპირატესობას იმითაც ამტკიცებდა, რომ გასართობთა საგანძურს ფლობდა: მას ჰყავდა გაურკვეველი ჯიშის გრძელბეწვიანი თეთრი ძაღლი, რომელსაც ეყურებოდა, სულელურ სახელს „ბეკალს" რომ დაუძახებდნენ და შორს გადაგდებული ქვა პირით უკან მოჰქონდა, მაგრამ სპორტით მისი გატაცება მხოლოდ ამით თუ ამოიწურებოდა. ჟასმენს კიდევ ჰქონდა სადღაც შემთხვევით ნაყიდი ერთი ძველი ველოსიპედი, რომელზედაც საღამოს, გაკვეთილების შემდეგ რამდენჯერმე დაგვსვა კიდეც, მაგრამ იმას უფრო ამჯობინებდა ხოლმე, რომ აქაური ქალიშვილები ეტარებინა; და ბოლოს, რაც მთავარია, ერთი თეთრი ბრმა სახედარი ჰყავდა და იმას ყველანაირ საზიდარში აბამდა.

ეს სახედარი დიუმასი იყო და ჟასმენს მაშინ ათხოვებდა ხოლმე, როცა ზაფხულში მდინარე შერზე საბანაოდ მივდიოდით. ამ შემთხვევისათვის ჟასმენის დედა ერთ ბოთლ ლიმონათსაც გვატანდა; იმ ბოთლს ფორნის საჯდომქვეშ საბანაო ტრუსებთან ერთად ვდებდით და ჩვენ, რვა ან ათი უფროსკლასელი, ბატონი სერელის თანხლებით გზას გავუდგებოდით ერთნი ფეხით, მეორენი აცოცებულნი სახედარშებმულ ფორანზე, რომელსაც შემდეგ გრანფონის ფერმაში ვტოვებდით შერის გზაზე, როცა ეს გზა გაუვალი ხდებოდა.

ერთი ასეთი გასეირნება დაწვრილებით შემიძლია გავიხსენო. ჟასმენის სახედარი შერისაკენ ჩვენს ტრუსებს, სხვა ბარგიბარხანას, ლიმონათს და ბატონ სერელს მიაჩაქჩაქებდა, ჩვენ კი უკან ფეხით მივდევდით. აგვისტო იყო. გამოცდები ეს-ეს იყო ჩავაბარეთ და ამ მძიმე ტვირთისაგან თავდახსნილებს გვეჩვენებოდა, რომ მთელი ეს ზაფხულიცა და მთელი ქვეყნის ბედნიერებაც ჩვენ გვეკუთვნოდა; ამ ხუთშაბათის მშვენიერი შუადღის გულზე მივდიოდით და მივიმღეროდით, ის კი არ ვიცოდით, რისთვის ან რატომ ვმღეროდით.

ამ ნათელ დღეს მხოლოდ ერთმა ამბავმა მიაყენა ჩრდილი. ჩვენს წინ მიმავალი ჟილბერტ პოკლენი შევამჩნიეთ. წერწეტ ტანზე არცთუ ისე გრძელი ქვედაკაბა ეცვა, მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე იდგა და ნაზი და გამომწვევი გამომეტყველება ჰქონდა თამამი გოგონასი, რომელიც მალე ქალიშვილად უნდა იქცეს. მან გადაუხვია და განზე მიმავალ ბილიკს დაადგა; უთუოდ რძეზე მიდიოდა, პატარა კოფენმა ჟასმენს მაშინვე შესთავაზა, უკან გაჰყვევიო.

„პირველად ვაკოცებ თუ..." თქვა ამ უკანასკნელმა.

და ამ გოგონაზე და მის მეგობრებზე მრავალი ქარაფშუტული ამბის მოყოლა წამოიწყო, როცა ჩვენი ყოულოჩინების გუნდი გზას მისდევდა, ხოლო ჩვენგან მიტოვებულ ბატონ სერელს კი სახედარშებმული ფორანი მიაჩაქჩაქებდა. მაგრამ მალე ჯგუფი გზაზე გაიწელა, დელუშს, როგორც ეტყობოდა, ერიდებოდა, ჩვენს თვალწინ იერიში მიეტანა თამამ გოგონაზე, მას რომ გაურბოდა და დელუში კი ორმოცდაათი მეტრის დაშორებით მაინც მისდევდა. რამდენჯერმე მამალივით დავიყივლეთ, ქათამივით კრიახი ავტეხეთ, მოკლედაც დავუსტვინეთ და ჩვენი უკანდახევით ცოტათი დარცხვენილები ისევ მთავარ გზას დავადექით. ფორანს ამ პაპანაქებაში სირბილით უნდა დავწეოდით. ჩვენ აღარ ვმღეროდით.

ტანზე ვიძრობდით და ვიცვამდით შერის ნაპირებზე გახარებულ მშრალ ტირიფნარში. ტირიფები უცხო მზერისაგან გვიცავდა, მაგრამ მზისაგან ვერ გვიფარავდა. შიშველი ფეხებით ქვიშაზე და გამხმარ ტალახზე დავდიოდით და მხოლოდ დელუშის ქვრივის იმ ერთ ბოთლ ლიმონათზე ვფიქრობდით, ახლა რომ შერის ნაპირზე ამოთხრილ გრანფონის ჭაში იყო ჩაციებული. ჭის სიღრმეში მუდამ მოჩანდა მოლურჯო-მომწვანო ბალახი და ორი თუ სამი მწერი, მსგავსი ცხრაფეხასი, მაგრამ ჭა ისე წმინდა და გამჭვირვალე იყო, რომ დაჩოქილი მეთევზეები ხელებით ჭის კიდეებს ებჯინებოდნენ ხოლმე და წყალს ასე ეწაფებოდნენ...

მუდამ ასე ხდებოდა და იმედი ამჯერადაც უნდა გაგვცრუებოდა... როცა ჩავიცვით და ფეხმოკეცილები წრიულად დავჯექით, ჩაციებული ლიმონათი ორ დიდ ჩაის ჭიქაში ცოტ-ცოტა ჩამოვასხით და ასე გავინაწილეთ, ყოველ ჩვენგანს (წილში ბატონი სერელიც გავიდა) ერგო რამდენიმე ქაფიანი წვეთი, რომელიც მხოლოდ ყელს თუ სუსხავდა და წყურვილს უფრო გვიმძაფრებდა. მაშინ ჩვენ ჭას მივაშურეთ, ადრე რომ გვერდს ვუვლიდით და რიგრიგობით სახით ნელა დავიხარეთ კამკამა

წყალზე, მაგრამ ყველა ერთნაირად როდი იყო შეჩვეული სოფლურ ჩვევებს, ბევრმა ჩემხავით წუწუნი ვერ მოიკლა: ზოგს საერთოდ არ უყვარდა ქის წყალი, ზოგს კრიჭა შეეკრა იმის შიშით, რომ ცხრაფეხა არ გადაეყლაპა, ზოგი კამკამა უძრავმა წყალმა მოატყუა, ვერ მოზომა და ყინულივით ცივ წყალში, რომელიც თითქოს იკბინებოდა, სახე ჩაყო და წყალი ცხვირში შეუვიდა, ზოგი კი ყველაფერმა ამან შეაშინა და დააფრთხო... და მაინც ჩვენ გვეჩვენებოდა, რომ ამქვეყნიური სიგრილე მხოლოდ შერის ამ გამომშრალ ნაპირებზე სუფევდა! და ახლაც კი, სიტყვა „ქას" ახსენებენ თუ არა, თვალწინ მხოლოდ გრანფონის ის ქა დამიდგება ხოლმე.

დაბრუნება სალამოთი მოგვიხდა; თავდაპირველად დილანდელივით უდარდელად მივაბიჯებდით. გზა გრანფონიდან შარაგზამდე მიუყვებოდა დამშრალ კალაპოტს, რომელშიც ზამთარში ნაკადული მირბოდა, ახლა კი დაბზარული ხრამი იყო და ხშირი დაბურული ტევრის ფესვებს თავი გამოეჩინა. ნაწილი მობანავეებისა გასართობად იყო იმ ტევრში შესული. მე და ჟასმენი კი ბატონ სერელთან და სხვა ამხანაგებთან ერთად გავყევით ამ ხრამის პარალელურად მიმავალ ქვიშიან და რბილ ბილიკს, რომელიც მინდორს გვერდს უვლიდა. ჩვენ გვესმოდა აქვე, ჩვენს ქვემოთ ჩვენი ამხანაგები, რომლებიც ხიბნელეში არ ჩანდნენ, როგორ იცინოდნენ და ლაპარაკობდნენ, სანამ დელუში ჩვენ სხვადასხვა ამბებს მოგვითხრობდა... მესერივით ალმართული ხეების კენწეროებში ლამის მწერები ფაჩუნობდნენ და ნათელ ცაზე კარგად ჩანდა, ფოთლოვანი მაქმანების გარშემო როგორ დაფრინავდნენ, ზოგჯერ ადგილიდან რომელიმე უეცრად როგორ მოწყდებოდა ხოლმე და ბზუილით ქვევით როგორ მიექანებოდა!.. მშვიდი ზამთრის მშვენიერი სალამო!.. დაბრუნება სოფლის მოკრძალებულ, უიმედო და უმიზნო გასეირნებიდან... მისდაუნებურად ეს სიმშვიდე ისევ ჟასმენმა დაარღვია..

გორაკის წვერზე როცა მოვექეცით, იმ ადგილას, სადაც გდია ორი ვეებერთელა ხავსიანი ლოდი, გადმოცემით, ძველი ციხესიმაგრის ნაშთი, ჟასმენმა საუბარი წამოიწყო იმ ძველ სამფლობელოებზე, რომლებიც მას მოენახულებინა, და ახსენა თითქმის მიტოვებული ციხესიმაგრე საბლონიერების ადგილ-მამულში, ვიენანსეისთან ახლოს რომ იყო. ალოეს მკვიდრთა კილოთი, ზოგიერთ სიტყვას გაქიანურებულად რომ წარმოთქვამენ და ზოგს კი ბოლომდე არ ამთავრებენ, მან მოგვითხრო, რომ რამდენიმე წლის წინათ ამ ძველი ციხესიმაგრის სამლოცველოში ენახა საფლავის ქვა, რომელზედაც ამოკვეთილი ყოფილა ეს სიტყვები:

**აქ განისვენებს რაინდი გალუა**
**ერთგული თავისი უფლისა, თავისი მეფისა**
**და თავისი მიჯნურისა**

„აჰ! ვაჰ! ხედავ!" მხრები შეუმჩნევლად მაღლა-მაღლა მიჰქონდა და იმეორებდა ბატონი სერელი, ოდნავ შეცბუნებული ჩვენი საუბრის კილოთი, მაგრამ თან იმას ცდილობდა, ჩვენთვის ხელი არ შეეშალა, რომ მოწიფული ქალაკაცებივით გველაპარაკა.

ჟასმენმა თხრობა გააგრძელა და ციხესიმაგრე ისე აგვიწერა, თითქოს მთელი ცხოვრება იქ გაეტარებინოს.

ვიე-ნანსეიდან რომ ბრუნდებოდნენ ხოლმე, მასა და დიუმას თურმე ცნობისმოყვარეობით ბევრჯერ შეუვლიათ თვალი ნაცრისფერი კოშკისათვის, რომელიც ნაძვებს ზემოთ მოჩანდა. იქ, შუაგულ ტყეში იმალებოდა ძველი შენობების ლაბირინთი, რომელიც მაშინ შეგეძლოთ დაგეთვალიერებინათ, როცა პატრონები იქ არ იყვნენ. აქაურმა დარაჯმა, რომელიც ერთხელ ფორანზე დაისვეს, ისინი იმ უცნაურ სამფლობელოში მიიყვანა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში იქ ალბათ ყველაფერი ნელნელა დაინგრეოდა: როგორც ამბობდნენ, მხოლოდ ფერმა და პატარა საიგარაკო სახლიღა ყოფილა დარჩენილი. იქ თურმე ისევ სამსახურიდან გადამდგარ, დაბერებულ, თითქმის დავრდომილ ოფიცერსა და მის ასულს უცხოვრიათ.

იგი მოგვითხრობდა და მოგვითხრობდა... მე ყურადღებით ვუსმენდი და შეუცნობლად ვგრძნობდი, რომ საუბარი იმას ეხებოდა, რაც ჩემთვის დიდიხანია უკვე ნაცნობი იყო; ამ დროს ისე უბრალოდ, როგორც ხდება ხოლმე ყველაფერი საოცარი ამ ქვეყანაზე, ჟასმენი ჩემკენ შემობრუნდა, ხელზე შემეხო და მითხრა; თითქოს ამ აზრმა ახლა გაუელვა და აქამდე თავში არასოდეს მოსვლია:

„მოიცა, მოლნი, ეტყობა, სწორედ მაგ ციხესიმაგრეში მოხვდებოდა, გახსოვს დიდი მოლნი?"

„ახეა, ახე, — დასძინა მან, რაკი ხმა არ გავიღე, — მახსოვს, დარაჯი ლაპარაკობდა იმ ციხესიმაგრის მფლობელის ექსცენტრულ ვაჟზე, რომელსაც თავში თურმე უცნაური აზრები მოსდიოდა..."

მე დელუშს აღარ ვუსმენდი. მაგრამ პირველსავე სიტყვებიდანვე მივხვდი, რომ სწორად იყო მიხვედრილი და რომ ჩემს წინაშე მოლნისაგან და ყველანაირი იმედისაგან შორს გამოჩნდა უსახელო სამფლობელოსაკენ მიმავალი გზა, ისე ადვილი და ხელმისაწვდომი, როგორც ჩვენს ეზოსთან გაქცეული ბილიკი.

## თავი მეორე

### ფლორანტენთან

სიყმაწვილეში გულჩათხრობილი ბიჭი ვიყავი, მეოცნებე და უთქმელი, მაგრამ რაკი მივხვდი, რომ ამ მნიშვნელოვანი ამბის დაგვირგვინება მხოლოდ ჩემზე იყო დამოკიდებული, გამბედავ

ბიჭად ვიქეცი და, როგორც ჩვენში ამბობენ, ვირწმუნე, რომ წინ ვერაფერი დამიდგებოდა.

ისიც კი მგონია, რომ მუხლის ტკივილმა სწორედ იმ საღამოს გამიარა და იმას აქეთ აღარც შევუწუხებივარ.

ვიე-ნანსეიში, რომელიც იმ თემს ეკუთვნოდა, სადაც საბლონიერის სამფლობელოც შედიოდა, ბატონი სერელის მთელი ნათესაობა ცხოვრობდა, მათ შორის, ბიძაჩემი ფლორანტენიც, ვაჭარი კაცი, ვისთანაც ზოგჯერ სექტემბრის თვის მიწურულს ვატარებდი ხოლმე. რადგან გამოცდები მოშორებული მქონდა, აღარ მინდოდა მომეცადა და ჩემიანებს ვუთხარი, ახლავე ბიძაჩემის სანახავად უნდა წავიდე-მეთქი. გადავწყვიტე, მოლნისათვის არაფერი შემეტყობინებინა მანამდე, სანამ არ დავრწმუნდებოდი, ახლა კი შემიძლია კარგი ამბავი ვაუწყო-მეთქი. მისთვის იმედი რომ ტყუილად ჩამესახა, მერე უფრო უკიდურეს სასოწარკვეთილებას არ მიეცემოდა?

კარგახანს ვიე-ნანსეიზე უკეთესი ადგილი მე არსად მეგულებოდა. ის იყო არდადეგების უკანასკნელი დღეების ქვეყანა, სადაც იშვიათად მივდიოდი ხოლმე, რადგან ჩვენს იქ წასაყვანად ფორანს ადვილად ვერ ქირაობდნენ. ამას ისიც ემატებოდა, რომ იქაურ ნათესავებთან ძველთაგანვე უსიამოვნება გვქონდა და ალბათ სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი — მილი ჩვენთან ერთად ფორანში რომ ჩამჯდარიყო, მუდამ დიდი ხვეწნა-მუდარა გვჭირდებოდა ხოლმე. მაგრამ იმათი კინკლაობისა მე არა მეკითხებოდა რა!.. და მისვლისთანავე ჩემს ბიძებსა და ბიძაშვილებში ვიკარგებოდი. უამრავ გასართობს ვნახულობდი და საოცარი სიამოვნების ქვეყანაში დავნავარდობდი.

ბიძია ფლორანტენსა და დეიდა ჟიულის, ვისთანაც ჩვენ ჩავდიოდით ხოლმე, ერთი ჩემი ხნის ბიჭი ჰყავდათ — ფირმენი და რვა გოგონა, რომელთაგან უფროსები — მარი-ლუიზა და შარლოტა ალბათ ჩვიდმეტი და თხუთმეტი წლისანი იყვნენ. ბიძაჩემს დიდი მაღაზია ჰქონდა სოლონის იმ ქალაქის ერთ-ერთ კართან, ეკლესიის წინ და ეს უნივერსალური მაღაზია ამ უდაბურ ადგილზე ქალაქიდან ოცდაათი კილომეტრით დაშორებულ ამ მხარის ყველა მკვიდრსა და მონადირეს ყველაფრით ხელს უმართავდა.

ეს მაღაზია, რომლის დახლები საბაყლო საქონლითა და რუანის ჩითით იყო გავსებული, მრავალი ფანჯრით გზას გაჰყურებდა და შემინული კარით კი ეკლესიის დიდ მოედანზე გადიოდა. როგორც ამ მხარისათვის იყო დამახასიათებელი, მთელს ამ ფარდულს იატაკი დატკეპნილი მიწისა ჰქონდა.

მაღაზიის სიღრმეში ექვსი სხვადასხვა სახის საქონლის ოთახი იყო: ქუდებისა, მებაღეობის იარაღებისა, ლამპებისა და კიდევ რა ვიცი, რისა. როცა ბავშვი ვიყავი და ამ გასაყიდი ნივთების ლაბირინთში დავრბოდი, მეჩვენებოდა, რომ ამ საოცრების ხილვით ვერასოდეს გავძღებოდი და ამავე დროს, იმასაც მიხვედრილი ვიყავი, რომ ჩემი ნამდვილი არდადეგები მხოლოდ ის იყო, რომელსაც აი, აქ, ვიე-ნანსეიში ვატარებდი.

ბიძაჩემის ოჯახი ცხოვრობდა დიდ სამზარეულოში, რომლის კარიც მაღაზიაში გადიოდა; სექტემბრის მიწურულში სამზარეულოს ბუხარში დიდი ცეცხლი იყო ხოლმე გაჩაღებული და მონადირეები და ბრაკონიერები, რომლებიც ფლორანტენზე ნანადირევს ჰყიდნენ, სისხამ დილით მოდიოდნენ, სასმელი რომ დაელიათ; ხოლო ბიძაჩემის პატარა გოგონები, რომლებიც უკვე ფეხზე იყვნენ, ჟივილ-ხივილით დარბოდნენ და ერთმანეთს დავარცხნილ თმაზე ოდეკოლონს ასხამდნენ. კედლებზე ძველი ფოტოსურათები იყო გაკრული; ჯგუფურად გადაღებულ ძველ გადაყვითლებულ სურათებს დიდხანს უნდა დაჰკვირვებოდით, რომ „ეკოლ ნორმალის" ფორმიან მოსწავლეებში მამაჩემი ამოგეცნოთ...

დილიდან შუადღემდე დროს აი, აქ ვატარებდით და კიდევ ეზოში, სადაც ფლორანტენს გეორგინები გაეხარებინა და ციცრები მოეშრავლებინა; აქ საპნის ყუთებზე მსხდომნი ყავას ვხალავდით და ვხსნიდით სათუთად შეხვეულ ყუთებს, გავსებულს სხვადასხვა საგნებით, რომელთაც ხშირად არცკი ვიცოდით, რა ერქვა...

დილით მაღაზია გლეხებისა და მეზობელი სამფლობელოების მეეტლებისა იყო. შემინულ კართან ჩერდებოდნენ შორეული სოფლებიდან მოსული და სექტემბრის ნისლში დასველებული ფორნები. სამზარეულოში გვესმოდა, გლეხები რასაც უყვებოდნენ და ჩვენ და ქალები იმათ გაფაციცებულნი ყურს ვუგდებდით...

მაგრამ საღამოს რვა საათიდან, როცა უფროსები ფარნებით გზას ინათებდნენ, რომ თივა დაეყარათ ცხენებისათვის, რომლებსაც თავლაში ორთქლი ასდიოდა, მთელი მაღაზია ჩვენს განკარგულებაში რჩებოდა!

მარი-ლუიზას, ჩემს ბიძაშვილებში ყველაზე უფროსსა და ყველაზე ტანმორჩილს, მაუდის თოფები უნდა დაეხვია და დახლში ჩაეწყო; მარტო რომ არა ყოფილიყო და გაგვერთო, იგი ჩვენ გვეძახდა. მაშინ მე და ფირმენი სხვა გოგოებთან ერთად უზარმაზარ ფარდულში შევარდებოდით და სახტუმროში რომ არის ხოლმე, ისეთი ლამპების შუქზე, ყავის საფქვავებს ვატრიალებდით, დახლებზე ღონეს ვსინჯავდით, ზოგჯერ კი ფირმენი ძველი დაჟანგებული ტრომბონის მოსაძებნად სხვენში ადიოდა, რადგან მიწის დატკეპნილი იატაკი საცეკვაოდ გვიხმობდა...

მე ახლაც კი ვწითლდები იმის წარმოდგენაზე, რომ მადმუაზელ დე გალეს მაშინ შეეძლო

მოსულიყო და ამ დღეში ვენახეთ, როცა ბავშვები ასე ვერთობოდით... მაგრამ ეს დადამებამდე მოხდა აგვისტოს საღამო იყო, მარი-ლუიზასა და ფირმენს წყნარად ვესაუბრებოდი, როცა იგი პირველად დავინახე...

ვიე-ნანსეიში ჩამოვედი თუ არა, პირველსავე საღამოს ბიძაჩემ ფლორანტენს საბლონიერის სამფლობელოზე შევეკითხე.

„ეგ სამფლობელო აღარ არის, — მითხრა მან — ყველაფერი გაყიდეს და მყიდველებმა, მონადირეებმა ყველა ძველი შენობა დაანგრიეს, რომ სანადირო ფართობი გაეზარდათ; მთავარი შესასვლელი ახლა ეკალ-ბარდიან მინდვრად არის ქცეული. ძველმა მფლობელებმა მხოლოდ პატარა ორსართულიანი სახლი და ფერმა დაიტოვეს. შენ ალბათ საშუალება მოგეცემა და მადმუაზელ დე გალეს შეხვდები. ის აქ საყიდლებზე ხშირად მოდის ხოლმე, ხან ცხენით, ხან ფორნით, თუმცა ფორანშიც ის ცხენი უბია, ბებერი ბელიზერი... უცნაური ეკიპაჟია!“

მე ისე აღელვებული ვიყავი, უცებ ვერ მოვიფიქრე, კიდევ რა მეკითხა, რომ უფრო მეტი გამეგო.

„ადრე შეძლებულები იყვნენ?“

„იყვნენ. ბატონი დე გალე თავის უცნაურ ვაჟს, რომელსაც თავში უცნაური აზრები მოსდიოდა, გასართობად დიდ დღესასწაულებს უმართავდა ხოლმე. ყმაწვილს გული რომ გადაეყოლებინა, რაღას არ იგონებდა. პარიზელები ჩამოჰყავდა, პარიზელებიც იყვნენ და სხვა ქალაქების ყმაწვილებიც...

მთელი საბლონიერი დანგრეული იყო, მადამ დე გალეს დიდი დღე აღარ ჰქონდა, ისინი კი ისევ იმას ცდილობდნენ, რომ ყმაწვილი გაერთოთ და ყველა მისი სურვილი აესრულებინათ. ამ ზამთარში, არა, ეს იმ ზამთარში იყო, მათ დიდი თეატრალური დღესასწაული მოაწყეს. ნახევარი სტუმრები პარიზელები იყვნენ და ნახევარი — აქაურები. იყიდეს და იქირავეს ნაირ-ნაირი საუკეთესო ტანისამოსი, სათამაშოები, ცხენები, ნავები და ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, რომ ფრანც დე გალე გაერთოთ. ასე ამბობდნენ, ცოლი უნდა მოიყვანოსო, ჯერ ნიშნობა ექნებათ და იმას იდღესასწაულებენო. მაგრამ ის მთლად ყმაწვილი იყო და ყველაფერი ერთ წამში დაიმსხვრა: იგი გადაიკარგა და იმის მერე არც აღარავის უნახავს. მადმუაზელ დე გალე დედის გარდაცვალების მერე მარტოდმარტო დარჩა მამასთან, გემის ბებერ კაპიტანთან“.

„არ გათხოვილა?“ ვკითხე მე ბოლოს.

„არა, — მითხრა ბიძაჩემმა — მე არაფერი გამიგია. შენ ხომ არ გინდა, რომ ცოლად მოიყვანო?“

შეცბუნებულმა, როგორც შემეძლო, ისე მოკლედ და თავშეკავებულად გავაგებინე, რომ იგი მე კი არა, ჩემს მეგობარს ოგიუსტენ მოლნს უყვარდა.

„ოჰ! — თქვა ღიმილით ფლორანტენმა, — თუ იგი სიმდიდრეს არ არის დახარბებული, მშვენიერი პარტიაა... ბატონ დე გალეს მოველაპარაკოთ. ზოგჯერ აქ საფანტის შესაძენად მოდის, ჰიქით ჰაჰის არაყს ვასმევ ხოლმე“.

მაგრამ მე საჩქაროდ ვთხოვე, არავითარი ნაბიჯი არ გადაედგა და მოეცადა. მე კი გადავწყვიტე, არ ავჩქარებულიყავი და მოლნი ჯერ არ გამეფრთხილებინა. ამდენი ბედნიერი დამთხვევა ცოტათი მაფიქრებდა და მაიძულებდა, მოლნისათვის მანამდე არაფერი შემეტყობინებინა, სანამ ქალიშვილს არ ვნახავდი.

ცდა დიდხანს არ დამჭირვებია. მეორე დღეს ვახშმობამდე ჩამოღამდა. და ღამესთან ერთად ისეთი ცივი ნისლი ჩამოწვა, აგვისტოში კი არა, უფრო სექტემბრის თვეში რომ იცის ხოლმე. მე და ფირმენი მარი-ლუიზასა და შარლოტას სანახავად წავედით, რადგან ვიცოდით, რომ ამ დროს მაღაზიაში მუშტარი აღარ იქნებოდა. მე იმათ ადრე გავუმხილე, ვიე-ნანსეიში ჩვეულებრივზე ადრე რამაც მომიყვანა. ახლა დახლზე იდაყვდაყრდნობილნი ან დახლზე მსხდომნი და გაპრიალებულ ფიცარზე ხელისგულებით დაბჯენილნი ერთმანეთს მოვუთხრობდით, რაც კი ვიცოდით იმ უცნობ ქალიშვილზე, ცოდნით კი ძალიან ცოტა ვიცოდით. სწორედ ამ დროს ბორბლების ხმაურმა თავები მაღლა აგვაწევინა.

„აი, ისიც“, თქვეს ჩემმა ბიძაშვილებმა ჩურჩულით.

მალე შემინულ კართან გაჩერდა უჩვეულო ეკიპაჟი, ფერმის ძველი ფორანი, მრგვალპანელებიანი, მოჩუქურთმებულკარნიზებიანი; ასეთი ფორანი ამ მხარეში ჯერ არ გვენახა; ბებერი თეთრი ცხენი სიარულში თავს დაბლა ისე ხრიდა, თითქოს ყოველ წუთს ძირს ბალახს უნდა დასწოდებოდა, ხოლო კოფოზე — ამას იქნებ ჩემი გულუბრყვილობა მალაპარაკებდა, მაგრამ მე ვიცი, რასაც ვამბობ — ამ ქვეყნად ყველაზე ლამაზი ყმაწვილი ქალი იჯდა.

არასოდეს მინახავს ასეთი საოცარი ჰარმონია სინატიფისა და სიდარბაისლისა. სამოსი ისე ჰქონდა შემოტმასნული სხეულზე, რომ მეტისმეტად თხელი და სალუქი ჩანდა. განიერი ყავისფერი მოსასხამი, შემოსვლისას რომ გაიხადა, ახლა მხრებზე ჰქონდა მოხვეული. იგი იყო ქალიშვილებში ყველაზე დარბაისელი და ქალებში ყველაზე თხელი და სალუქი. მძიმე ქერა თმა შუბლზე და დახვეწილ, კალმით ნახატ, სინატიფით აღბეჭდილ სახეზე ჩამოშლოდა. მის რძისფერ კანზე ზაფხულს ორად ორი ჰორფლი დაეტოვებინა... ამ მშვენიერებას ნაკლი ვერ მოვუძებნე, მხოლოდ ეგ იყო: მოწყენილობის, იმედგაცრუების ან ღრმად ჩაფიქრების დროს უწმინდეს სახეზე ალისფერი ლაქები დააჩნდებოდა, როგორც მძიმე ავადმყოფს, რომელმაც ეჭვითაც არ იცის, რომ ასე ემართება. ამ

დროს მის მხილველს მოწიწება ისეთი ამაღელვებელი სიბრალულით ეცვლებოდა, რომ სახტად რჩებოდა.

აი, ამას მივხვდი იმ მცირე ხანში, სანამ იგი ფორნიდან ნელა ჩამოდიოდა. ბოლოს იმის დროც დადგა, რომ მარი-ლუიზას მასთან მივეყვანე, ჩემთვის ძალიან ბუნებრივად გაეცნო და ქალიშვილთან სასაუბროდ წავექეზებინე.

მას გაპრიალებული სკამი დაუდგეს, იგი დაჯდა და დახლს დაეყრდნო, ჩვენ კი ფეხზე ვიდექით. ეტყობოდა, აქაურობა კარგად იცოდა და კიდეც უყვარდა. ალბათ მისი მოსვლა დეიდაჩემ ჟიულის შეატყობინეს, რადგან იგი მაშინვე ჩვენთან გაჩნდა და მუცელზე ხელებდაწყობილი მოვაჟრე გლეხი ქალივით ნელა იქნევდა თეთრჩაჩიან თავს, წყნარად ლაპარაკობდა და ის დრო, მე რომ საუბარში უნდა ჩავრეულიყავი და ასე მაფრთხობდა, გაახანგრძლივა...

ყველაფერი ძალიან უბრალოდ მოხდა.

„მაშ, თქვენ მალე მასწავლებელი იქნებით?“ მკითხა მადმუაზელ დე გალემ.

დეიდაჩემმა ჩვენს ზემოთ აანთო ფაიფურის ლამპა, რომელიც მაღაზიას სუსტად ანათებდა. მე ვხედავდი ქალიშვილის მშვიდ ბავშვურ სახეს, მის ცისფერ გულუბრყვილო თვალებს და მით უფრო გაოცებული ვიყავი მისი წმინდა და დარბაისლური ხმით, როცა გეკითხებოდა, მზერას გარიდებდა, პასუხის მოლოდინში გაუნძრევლად იჯდა და მხოლოდ ტუჩს ოდნავ იკვნეტდა.

„მეც შემეძლო მესწავლებინა, — მითხრა მან — ბატონი გალე თუ ისურვებდა! დედათქვენივით ბიჭუნებს მეც ვასწავლიდი...“

მან გაიღიმა და ამით მაგრძნობინა, ჩემს დეიდაშვილებს მასთან ჩემზე რომ უკვე ესაუბრათ.

„სოფლელები ჩემთან მუდამ თავაზიანები, კეთილები და დაუზარებლები არიან, — განაგრძო მან — ისინი ძალიან მიყვარს, მაგრამ რა დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ეს შენი სიყვარული?

აი, მასწავლებლებთან კი ისინი ჭირვეულები და ხელმომჭერილები არიან, არა? სულ ერთიდაიგივე ამბავი მეორდება — კალამი სად დაკარგა, რვეული ასე ძვირი რად არის ან ბავშვები აზსნილ გაკვეთილს ასე ძნელად რატომ იგებენ... ეგ არაფერია! კიდეც შევედავებოდი და კიდეც ვეყვარებოდი. აი, ეს კი უფრო ძნელი იქნებოდა...“

და არ გაუღიმია, ბავშვურად ჩაფიქრებულმა ცისფერი თვალები სივრცეს მიაპყრო.

სამივენი შეცბუნებულები ვიყავით მისი უშუალო საუბრით ისეთ საჩოთირო, ამაღლებულ, იდუმალ ამბებზე, რომლებზედაც საერთოდ მხოლოდ წიგნებში თუ წაგვეკითხავს. ჯერ წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი საუბარი ნელნელა გაიბა...

მაშინ კი, თითქოს ნაღვლიანად და მტრულადაც კი იმისადმი, რაც ჩვენთვის გამოუცნობი იყო, ქალიშვილმა თქვა:

„ბიჭუნებს აგრეთვე კეთილგონიერებასაც ვასწავლიდი, მე ვიცი, რა კეთილგონიერებაზედაც ვლაპარაკობ. მე მათ მსოფლიოს შემოვლის სურვილს არ ჩავუნერგავდი, როგორც ამას ალბათ თქვენ იზამთ, ბატონო სერელ, როცა მასწავლებლის თანაშემწე იქნებით. მე მათ ვასწავლიდი დაენახათ ბედნიერება, რომელიც აქვთ, მათ გვერდით არის და ბედნიერებას არა ჰგავს“.

მარი-ლუიზა და ფირმენი ჩემსავით საგონებელში იყვნენ ჩავარდნილნი. სამივენი ვდუმდით. მან იგრძნო ჩვენი შეცბუნება, სიტყვა აღარ გააგრძელა, ტუჩი მოიკვნიტა, თავი დახარა და მერე ისე გაიღიმა, თითქოს დაგვცინოდა:

„აი, ასე, — თქვა მან — იქნებ დიდის ვიღაც გადარეული ყმაწვილი და ქვეყნის კიდეზე დამეძებს ახლა, როცა მე აქა ვარ, მადამ ფლორანტენის მაღაზიაში ამ ლამპის ქვეშ ვზივარ და ჩემი ბებერი ცხენი კართან მელოდება, იმ ყმაწვილს ახლა აქ რომ დავენახე, ალბათ თვალებს არ დაუჯერებდა, არა?“

მისი ღიმილი რომ დავინახე, სითამამე მომემატა, მივხვდი, საუბარში სწორედ ახლა უნდა ჩავრეულიყავი და გაღიმებულმა ვუთხარი:

„იქნებ მე ვიცნობ იმ გადარეულ ყმაწვილს?“

მან მაშინვე შემომხედა.

ამ დროს კარზე ზანზალაკმა გაიწკარუნა და კალათებიანი ორი ქალი შემოვიდა.

„სასადილო ოთახში“ შედით, იქ არავინ შეგაწუხებთ“, გვითხრა დეიდაჩემმა და სამზარეულოს კარი შეაღო.

და რადგან მადმუაზელ დე გალე უარზე იყო და მაშინვე წასვლა დააპირა, დეიდაჩემმა დასძინა:

„ბატონი დე გალეც იქ არის, ფლორანტენს ბუხართან ესაუბრება“.

თუმცა აგვისტო იყო, მაგრამ დიდ სამზარეულოში, როგორც ყოველთვის, ბუხარი ენთო და ნაძვის მორებს ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა. იქვე ფაიფურის ლამპა ციმციმებდა და ფლორანტენის გვერდით ორი ჭაჭის არყიანი ჭიქის წინ მდუმარედ იჯდა წლოვანებითა და მოგონებებით დამძიმებული, მთლიანად დაღარული და სუფთად წვერგაპარსული მოხუცი.

ფლორანტენი მოგვესალმა:

„ფრანსუა! — ბაზრის ვაჭარივით ისე დაიყვირა, თითქოს ერთმანეთთან მდინარე ან სახნავი მიწის რამდენიმე ჰექტარი გვაშორებდა — მომავალ ხუთშაბათს, ნაშუადღევს შერის ნაპირას პიკნიკს ვაწყობ, ზოგი ინადირებს, ზოგი ითევზავებს, ზოგი იცეკვებს, ზოგი იბანავებს!.. ქალბატონო, თქვენ ცხენით მობრძანდებით; მე და ბატონმა დე გალემ ასე გადავწყვიტეთ; ყველაფერი მოგვარებულია...

ფრანსუა! — დასძინა მან, თითქოს ეს აზლადა გაახსენდა — შენი მეგობარი ბატონი მოლნიც შეგიძლია წამოიყვანო... გვარად ნამდვილად მოლნია, არა?"

უცებ ქალბატონი დე გალე მეტისმეტად ფერდაკარგული ზეზე წამოიჭრა და მე გამახსენდა, რომ იმ უცნაურ სამფლობელოში, ტბის ნაპირას მოლნმა მას თავისი ვინაობა გაუმხილა...

როცა მან წასვლისას ხელი გამომიწოდა, მივხვდი, რომ ჩვენს შორის გაიბა იმაზე უფრო უხილავი ძაფი, ვიდრე საუბრით შეიძლებოდა გაბმულიყო და ძლიერ სიყვარულზე უფრო ამაღლებული მეგობრობა, რომელსაც მხოლოდ სიკვდილიღა შეიძლებოდა დამუქრებოდა.

...მეორე დილით, ოთხ საათზე ფირმენმა დააკაკუნა ჩემი პატარა ოთახის კარზე, რომელიც ციცრებიან ეზოში გადიოდა. ჯერ კიდევ ბნელოდა და მე ძლივძლივობით მოვნახე ჩემი ნივთები მაგიდაზე, რომელზედაც დახვავებული იყო სპილენძის შანდლები და წმინდანების ახალთახალი ქანდაკებები, ჩემი ჩამოსვლის წინა დღით მაღაზიაში ამორჩეული ჩემი ადგილსამყოფელის დასამშვენებლად. მესმოდა, ფირმენი ეზოში ჩემი ველოსიპედის საბურავებს როგორ ბერავდა, ხოლო დეიდაჩემი სამზარეულოში ცეცხლს როგორ აჩაღებდა, მზე ოდნავ იყო ამოწვერილი, გზას რომ გავუდექი. მაგრამ წინ გრძელი დღე მელოდა: ჯერ სენტ-აგატში უნდა მესაუზმა და ჩემს მშობლებთან თავი მემართლებინა, ასე რომ შემაგვიანდა, მერე გზა გამეგრძელებინა, რომ საღამომდე ჩემს მეგობარ მოლნთან ლა ფერტე-დანჟიიონში ჩავსულიყავი.

## თავი მესამე

## გამოცხადება

მე ველოსიპედით ჯერ ამდენი არ მივლია. ასე შორს პირველად გავისეირნე. მართალია, მუხლი ნატკენი მქონდა, მაგრამ ჟასმენი უკვე კარგა ხანია ველოსიპედის ტარებას მალულად მასწავლიდა. ყმაწვილისათვის ველოსიპედზე კარგი გასართობი რა არის და თქვენ წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა ჩემნაირი საცოდავი ბიჭისათვის, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ფეხს უმწეოდ მიათრევდა. და უკვე მეოთხე კილომეტრზე ოფლში იწურებოდა!.. ბორცვებიდან ძირს დაეშვებით და ჭალებში შეიჭრებით, თითქოს ფრთაშესხმული მიჭქრით, ერთი მოსახვევიდან მეორე მოსახვევამდე რომ მიხვალთ ,უეცრად ყველაფერი თვალწინ გადაგეშლებათ და ყველაფერი მჭყავის: თვალის დახამხამებაში სოფლის ერთი თავიდან მეორეში გადიხართ და ყველაფერს თვალის ერთი გადავლებით იმახსოვრებთ... აქამდე მხოლოდ სიზმარში თუ განმიცდია ასეთი მომაჯადოებელი და მსუბუქი სრბოლის სიხარული. აღმართზე ასვლაც კი სიამოვნებას მანიჭებდა, რადგან, დასამალი აბა, რა არის, მე ხომ მოლნის მშობლიურ ადგილებს ვნახულობდი...

„შორიახლოს, ქალაქში შესასვლელამდე, — მეუბნებოდა მოლნი, როცა თავის მხარეს ამიწერდა ხოლმე — მოჩანს დიდი ნიჩბებიანი ბორბალი, რომელსაც ქარი ატრიალებს..." მან არ იცოდა, ქარი ბორბალს რატომ ატრიალებდა ან ჩემი ცნობისმოყვარეობა რომ გაეღიზიანებინა, თავი ისე ეჭირა, ვითომ არ იცოდა.

აგვისტოს მიწურული იყო, დღე თავდებოდა, როცა ბოლოს დავინახე ვრცელი მინდვრის შუაში ქარზე დატრიალებული დიდი ბორბალი, რომელიც ალბათ მეზობელი ფერმისათვის წყალს ქაჩავდა. მინდორში, ჩინარების მიღმა უკვე მოჩანდა პირველი დასახლებები, მერე კი, ნაკადულისათვის რომ შემოგევლოთ, გზა კარგად უხვევდა და რაც უფრო წინ მივდიოდი ,პეიზაჟი თანდათან ფართოვდებოდა და იშლებოდა... ხიდი რომ გადავიარე, თავი სოფლის დიდ შარაგზაზე ამოვყავი.

დაბლობის ლელიანში ძროხები მიდიოდნენ; არა ჩანდნენ, მაგრამ მესმოდა მათი ზანზალაკების ჟღარუნი. ველოსიპედიდან ძირს ჩამოსული და ორივე ხელით საჭეზე დაყრდნობილი ვათვალიერებდი იმ არემარეს, სადაც მნიშვნელოვანი ამბავი უნდა მიმეტანა. პატარა ხიდზე გადასვლისთანავე, თხრილის კიდეზე, ქუჩას რომ მიუყვებოდა, ერთიმეორის მიყოლებით სახლები იდგა და ეს სახლები საღამოს მდუმარებაში იმ აფრებდაშვებულ ხომალდებს გვანდნენ, ნაპირთან რომ ჩამომდგარიყვნენ. ეს ის დრო იყო, როცა ყველა სახლის სამზარეულოში ცეცხლს აჩაღებდნენ.

და შიშმა თუ გაურკვეველმა სინანულმა — ეს მდუმარება ვაითუ მე დავარღვიო-მეთქი, — ნელნელა გამბედაობა წამართვა და ჩემს უეცარ სულმოკლეობას რომ შევბრძოლებოდი, გავიხსენე, ლა ფერტე-დანჟიიონის პატარა მოედანზე რომ დეიდა მუანელი ცხოვრობდა.

იგი ჩემი ბებიდა იყო. ყველა შვილი გარდაცვლილი ჰყავდა. მე კარგად ვიცნობდი ერნესტს, იმათში ყველაზე უმცროსს, მაღალ ბიჭს, რომელიც მასწავლებელი უნდა გამხდარიყო. ის მოკვდა და იმას გაჰყვა პაპაჩემი მუანელი, ძველი მოხუცი იურისტი. ბებიდაჩემი მარტოდმარტო დარჩა თავის უცნაურ პატარა სახლში, სადაც ნაჭრის ნაკუწებით შეკერილი ფარდაგები ეფინა, მაგიდები ქაღალდის მამლებით, ქათმებით და კატებით იყო დაფარული, ხოლო კედლებზე ეკიდა ძველი დიპლომები, გარდაცვლილთა პორტრეტები და მედალიონები, რომელშიც მიცვალებულთა კულულები იდო.

ამდენი მწუხარებისა და გლოვის მიუხედავად უცნაური და კეთილი ბუნების ქალი იყო. პატარა მოედანს რომ მივაკვლიე, სადაც მისი

სახლი იდგა, ნახევრად გამოღებულ კართან მივედი და ხმამაღლა დავუძახე: იმავე წამს ერთიმეორის მიყოლებით განლაგებული სამი ოთახის სიღრმიდან წვრილი წიკვინა ხმა გავიგონე:

„ამას ვის ვხედავ! ღმერთო ჩემო!“

მან ყავა ცეცხლში გადააქცია — რატომ ადუღებდა იგი ყავას ამ დროს? — და გარეთ გამომეგება... ისე გამართული იდგა, თითქოს ოდნავ უკან გადაწეულიც კი იყო. ქუდ-კაპორჩაჩივით რაღაც, თავზე რომ ედო და უზარმაზარი დაღარული შუბლი მონღოლსა თუ ჰოტენტოტ ქალს ამსგავსებდა; ნაწყვეტ-ნაწყვეტ იცინოდა და შერჩენილ წვრილ კბილებს აჩენდა.

როცა მოვეხვიე, ნაჩქარევად და უხერხულად მომკიდა ხელი ხელზე, რომელიც ზურგსუკან მედო და სრულიად ზედმეტი საიდუმლოებით, რადგან ჩვენს მეტი აქ არავინ იყო, ჩამიდო ფული, რომელსაც ვერ გავბედე და ვერ დავხედე და რომელიც ალბათ ერთფრანკიანი უნდა ყოფილიყო... მერე, რაკი ეტყობა, სახეზე შემატყო, რომ უარი ან მადლობა უნდა მეთქვა, მუჯლუგუნი მკრა და დამიტატანა:

„აბა, აქედან მოუსვი! მე ვიცი, რასაც ვაკეთებ!“

იგი მუდამ ღარიბულად ცხოვრობდა, მუდამ ვალებში იყო და მუდამ ფულს აქეთ-იქით ფანტავდა.

„მუდამ სულელი და მუდამ უბედური ვიყავი“, ამბობდა გულგრილად და წიკვინით.

დარწმუნებული, რომ მეც ისევე მაკლდა ფული, როგორც მას, ეს კეთილი ქალი არ ამომასუნთქებდა, თავის დღიურ დანაზოგს ხელში ისე ჩამიდებდა და ყოველი ჩვენი შეხვედრა ამ რიტუალით იწყებოდა ხოლმე.

ვახშამიც, რომლითაც იგი გამიმასპინძლდა, შეხვედრაზე არანაკლებ უცნაური იყო — ერთსადაიმავე დროს ნაღვლიანიც და ღიმილის მომგვრელიც. როცა ოთახიდან გადიოდა, ხან სანთელსაც თან მიჰქონდა და სიბნელეში მტოვებდა, ხან კი სანთელს კიდეებჩამოტეხილი და დაბზარული ლანგრებითა და ლარნაკებით გავსებულ მაგიდაზე დგამდა.

„აი, ამას, — ამბობდა იგი — რაკი თან ვერ წაიღეს, სამოცდაათ წელს პრუსიელებმა სახელურები მოამტვრიეს“.

და ტრაგიკულთავგადასავლიანი ეს დიდი ლარნაკი როცა დავინახე, მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ ჩვენ ამ სახლში ოდესღაც კიდეც გვისადილია და კიდეც გვძინებია. მუხლი მაწუხებდა და მამაჩემს ივონში ექიმთან მივყავდი, სწრაფ მატარებელში უნდა ჩავმჯდარიყავით, ალიონზე რომ გადიოდა... გამახსენდა მაშინდელი ნაღვლიანი ვახშამი, ის ამბები, რომელსაც სასამართლოს მოხუცი მდივანი ჰყვებოდა, ვარდისფერ ღვინის ბოთლთან იდაყვდაყრდნობილი.

გამახსენდა მაშინდელი ჩემი შიში... ნავახშმევს ბუხართან მჯდომმა ხებიდაჩემმა მამაჩემი ხელში ჩაიგდო და მოჩვენებებზე სიტყვა ჩამოუგდო: „შემოვბრუნდი და... ოჰ! ჩემო ძვირფასო ლუი, ვხედავ ჩემს წინ ნაცრისფერი პატარა ქალია...“ თავი აი, ასეთი სისულელეებით ჰქონდა გამოტენილი.

ახლაც, ამ საღამოსაც, ნავახშმევს, როცა ველოსიპედით სიარულით დაქანცულმა ბიძია მუანელის ღამის პერანგი გადავიცვი და დიდ ოთახში დავწექი, იგი თავთან დამიჯდა და თავისი იდუმალი და წიკვინა ხმით წამოიწყო:

„ჩემო ძვირფასო ფრანსუა, მე ის ამბავი მინდა მოგითხრო, რომელიც ჯერ არავისთვის მომიყოლია...“

მე გავიფიქრე:

„ჩემი საქმე წასულია, მთელი ღამე ისე უნდა დავიტანჯო, როგორც ამ ათი წლის წინ დავიტანჯე...“

და ყური დავუგდე.

ის თავს აქიცინებდა და წინ ისე იყურებოდა, თითქოს ამ ამბავს თავის თავს უყვებოდა.

„მე და მუანელი დღესასწაულიდან ვბრუნდებოდით. ჩვენი საცოდავი ერნესტის სიკვდილის შემდეგ ეს იყო პირველი ქორწილი, სადაც ორივენი ერთად წავედით. იქ შევხვდი ჩემს დას ადელს, რომელიც ოთხი წელი იყო, არ მენახა! მუანელის ერთმა ძველმა ძალიან მდიდარმა მეგობარმა იგი თავისი შვილის ნათლობაში დაპატიჟა საბლონიერის ადგილ-მამულში. ძვირი კი დაგვიჯდა, მაგრამ ფორანი დავიქირავეთ. ვბრუნდებოდით, დილის შვიდი საათი იქნებოდა, შუა ზამთარი იყო. მზე ამოდიოდა. ირგვლივ არავინ ჩანდა, უცებ ჩვენს წინ, იცი, რას ვხედავ? ყმაწვილ კაცს, ერთ ადგილზე მდგომ ყმაწვილ კაცს, დღესავით მშვენიერს, რომელიც არ ინძრევა და გვიყურებს, როგორ ვუახლოვდებით; ვუახლოვდებით და უფრო კარგად ვარჩევთ იმის სახეს, ისე თეთრსა და ისე ლამაზს, რომ შიში მიპყრობს!..

მე მუანელს მკლავში ხელი ჩავავლე; ფოთოლივით ვცახცახებ და ვფიქრობ, ღმერთი ხომ არ არის-მეთქი!.. და ვეუბნები:

„შეხედე, ეს ხომ გამოცხადება არის-მეთქი!“

ის გაცოფებული ხმადაბლა მეუბნება:

„ვხედავ, ძალიან კარგად ვხედავ! გაჩუმდი, შე ბებერო ენაჭარტალავ“...

არც იმან იცოდა, რა ექნა.. ცხენი კი შეჩერდა. ახლა ძალიან ახლოს ჩანს გაფითრებული სახე, ოფლით დაცვარული შუბლი, ტალახიანი ბერეტი და გრძელი შარვალი. ჩვენ გვესმის მისი ნაზი ხმა:

„მე მამაკაცი არა ვარ, ქალიშვილი ვარ. სახლიდან გამოვიქეცი და ძალა გამომელია. ფორანით ვერ წამიყვანთ, ბატონო და ქალბატონო?“

ჩვენ მაშინვე ფორანში ჩავსვით. დაჯდა თუ არა, გონება წაერთვა. და მერე იცი, ვინ აღ-

მოჩნდა? ჩვენ რომ ნიშნობაში ვიყავით დაპატიჟებულნი, იმ საბლონიერელი ყმაწვილის — ფრანც დე გალეს საცოლე!“

„მაგრამ ნიშნობა რომ არა ყოფილა, — ვუთხარი მე — საცოლე თუკი გაიქცა!“

„რა თქმა უნდა, — მითხრა მან შეცბუნებულმა და თან თვალს არ მაშორებდა — ქორწილი არა ყოფილა, რადგან ამ საცოდავმა უგუნურმა ათასგვარი სისულელე ჩაიდო თავში. მან აგვიხსნა, იგი ღარიბი ფეიქრის გოგო იყო; იფიქრა, ასეთი ბედნიერების ღირსი არა ვარო; იგი ჩემთვის მეტისმეტად ყმაწვილი არისო; ყველა ის საოცრება, მან რომ დამიხატა, ზღაპარიაო და როცა ბოლოს ფრანცი მის წასაყვანად მოვიდა, ვალენტინა შიშმა აიტანა. ციოდა და დიდი ქარიც იყო, მაგრამ ფრანცი მასთან და მის დასთან ბურჟის არქიეპისკოპოსის ბაღში სეირნობდა. ყმაწვილი, თავაზიანობის გამო, რაკი უმცროსი უყვარდა, უფროსი დისადმი უფრო მეტ ყურადღებას ამჟღავნებდა: და აი, უგუნურმა, ვალენტინამ, ღმერთმა უწყის, რა არ წარმოიდგინა; მოიმიზეზა, სახლიდან თავსაფარს მოვიტანო; თუ დაედევნებოდნენ, რომ ვერ შეეცნოთ, კაცის ტანისამოსი გადაიცვა და პარიზში გაიქცა.

საქმროს კი წერილი მისწერა, ვითომ იმ ახალგაზრდა კაცთან მიდიოდა, რომელიც მას უყვარდა. ეს კი მართალი არ იყო...

„თავი რომ მსხვერპლად მივიტანე, — მეუბნებოდა იგი — ამან უფრო მეტი ბედნიერება მომანიჭა, ვიდრე იმას რომ ცოლად გავყოლოდი“. აი, ასეთი უგუნურია ეს ჩემი გოგონა. იმას კი, ამას შენც მიხვდები, მის დაზე დაქორწინება სულაც არ უფიქრია და შუბლში ტყვია მიირტყა. ტყეში დაქცეული სისხლი ნახეს და მისი სხეული კი არსად იყო“.

„იმ საცოდავ გოგოს რა უქენით?“

„ჯერ ცოტა ღვინო დავალევინეთ. შინ რომ დავბრუნდით, ვაჭამეთ და ბუხართან ჩაეძინა. ნახევარ ზამთარს ჩვენთან დარჩა. მთელი დღის განმავლობაში, ინათებდა თუ არა, ჰრიდა, კაზებსა და ქუდებს კერავდა. ერთს არ შეისვენებდა, ოთახებს ისე ალაგებდა. აი, ამ შპალერს რომ ხედავ, კედლებზე იმან გააკრა. იმის მოსვლის მერეა, მერცხლები გარეთ ბუდეებს რომ იკეთებენ. საღამოს კი, ჩამობნელდებოდა თუ არა, ფუსფუსს მორჩებოდა, უთუოდ მიზეზს მონახავდა, რომ ეზოში ან ბაღში ჩასულიყო, ანდა ჭიშკართან დამდგარიყო, თუგინდ აუტანელი ყინვაც ყოფილიყო. იდგა იქ და გულამომჯდარს თვალებზე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

„ისევ იცრემლებით? რა არის?“

„არაფერი, ქალბატონო მუანელ“.

და შინ შემოდიოდა.

მეზობლები მეუბნებოდნენ:

„რა კარგი და ლამაზი მოსამსახურე იშოვეთ, ქალბატონო მუანელ“.

ბევრი ვემუდარეთ, მაგრამ მარტის თვეში ჩვენთან აღარ გაჩერდა და პარიზის გზას დაადგა. მე ჩემი კაბები მივეცი და თავისთვის გადაიკეთა. მუანელმა სადგურში ბილეთი აუღო და საგზაოდ ცოტა ფულიც მისცა.

იგი არ გვივიწყებს, მკერავია პარიზში, ნოტრ-დამის ახლოს. წერილიც მოგვწერა კიდევ, გვეკითხებოდა, საბლონიერზე რაიმე ახალი ხომ არ გაგიგიათო. ეს აკვიატებული ფიქრი თავიდან რომ მოეშორებინა, მივწერე, სამფლობელო გაიყიდა და დაინგრა, ახალგაზრდა კაცი საერთოდ გაქრა, ყმაწვილი ქალი — მისი და კი გათხოვდა-მეთქი. მე ვფიქრობ, ნამდვილად ასეც არის. იმის მერე ჩემი ვალენტინა უფრო იშვიათად იწერება...“

არა, ეს მოჩვენების ამბავი არ იყო, ბებიდა მუანელი რომ მიყვებოდა ხოლმე თავისი წიკვინა ხმით, რომელიც ასეთი ამბის მოსაყოლად სწორედ შესაფერისი იყო. მისმა მონაყოლმა ამაფორიაქა. მოხეტიალე ფრანცს ჩვენ ხომ შევფიცეთ, რომ ძმებივით მივეხმარებოდით და აი, შემთხვევა მომეცა...

მაგრამ ხვალ დილით მოლნისათვის სიხარული როგორ ჩამეშხამებინა და როგორ მეთქვა ეს ამბავი, მე რომ დღეს შევიტყე? ხელახლა როგორ დამეყენებინა საძებნად იმ გზაზე, რომელიც ახლა ათასჯერ უფრო ძნელი იყო? მართალია, ჩვენ ქალიშვილის მისამართი გვაქვს, მაგრამ სად უნდა მოგვეძებნა მაწანწალა, რომელიც ვინ იცის, სად არ დაეხეტებოდა?.. დაე, გადარეულები თავისთვის გადაირიონ, ვფიქრობდი მე. დელუში და ბუჟარდონი არ ტყუოდნენ. რამდენი ზიანი მოგვაყენა ჩვენ ამ რომანტიკოსმა ფრანცმა! გადავწყვიტე არაფერი გამემხილა მანამდე, სანამ ოგიუსტენ მოლნსა და მადმუაზელ დე გალეს დაქორწინებულს არ დავინახავდი.

ეს გადაწყვეტილება კი მივიღე, მაგრამ მაინც მღრღნიდა მძიმე წინათგრძნობა, რომ თითქოს საფრთხე გვემუქრებოდა — უაზრო წინათგრძნობა, რომელიც სწრაფად თავიდან მოვიშორე.

სანთელი თითქმის ძირამდე დასულიყო; კოღო ბზუოდა: ხავერდის კაპორიან (ამ კაპორს დასაძინებლად როცა წვებოდა, მხოლოდ მაშინ იშორებდა ხოლმე) და მუხლებზე იდაყვდაყრდნობილ ბებიდა მუანელს თავი ექინდრებოდა, მაგრამ ამ ამბის მოყოლას ისევ თავიდან იწყებდა... ზოგჯერ თავს წამოსწევდა და შემომხედავდა, რომ დაენახა, მისი მონაყოლი როგორ მოქმედებდა ჩემზე და შეემოწმებინა, ხო არ დამეძინა. ბოლოს გადავწყვიტე, თავი მომემძინარებინა, ბალიშში თავი ჩავრგე და თვალები დავხუჭე.

„დაგძინებია...“ თქვა მან ყრუდ ცოტათი განაწყენებულმა.

მე შემეცოდა და წინააღმდეგობა გავუწიე:

„არა, არა, ბებიდა, მე თქვენ გარწმუნებთ...“

„როგორ არა! — თქვა მან — მე ძალიან კარგად მესმის, რომ შენ ეს ამბავი საერთოდ არ გაინტერესებს. იმ ადამიანებზე გელაპარაკები, რომლებსაც შენ არ იცნობდი...“

მე ამჯერად უკვე ვერაგული დუმილი ვამჯობინე.

## თავი მეოთხე

## სასიხარულო ამბავი

დილით, მთავარ ქუჩაზე როცა გამოვედი, ისეთი კარგი საარდადეგებო ამინდი იდგა, ისეთი სიმშვიდე სუფევდა, მთელ დაბას ისეთი ნაზი, შინაურული ხმები ეფინებოდა, რომ კვლავ დამიბრუნდა მხიარული თვითდაჯერება იმ ადამიანისა, რომელსაც კარგი ამბავი მოაქვს...

ოგიუსტენი და დედამისი სკოლის ძველ შენობაში ცხოვრობდნენ. მამამისმა მდიდარი მემკვიდრეობა მიიღო, სამსახურიდან დიდი ხნის წინათ გადადგა და მისი სიკვდილის შემდეგ მოლნმა მოისურვა, რომ ეყიდათ ეს სახლი, სადაც მოხუცი ოცი წლის განმავლობაში მასწავლებლობდა და სადაც წერა-კითხვა ისწავლა თვით მოლნმაც. სკოლა მაინცდამაინც სასიამოვნო შესახედავი არ იყო: დიდი ოთხკუთხედი შენობა ჰგავდა მერიას, რომელიც ადრე სწორედ აქ ყოფილა მოთავსებული; პირველ სართულზე ფანჯრები ქუჩას გადმოსცქეროდა და ისე მაღლა იყო განლაგებული, რომ ქუჩაში მიმავალი კაცი ვერაფერს დაინახავდა; ხოლო უკანა ეზო, სადაც არცერთი ხე არ იდგა და სადაც მაღალი მოედანი ფარავდა სოფლის გადასახედს, იყო ყველაზე უდაბური და ნაღვლიანი მიტოვებული სკოლის ეზო, რომელიც კი მე ოდესმე მინახავს...

დახლართულ დერეფანში, სადაც ოთხი კარი გამოდიოდა, მოლნის დედას შევხვდი; ბაღიდან გამოჰქონდა თეთრეულის დიდი ბოღჩა, რომელიც მან ალბათ გასაშრობად გაფინა არდადეგების პირველსავე ალიონზე. ქაღარა თმა ნახევრად ჩამოშლოდა; ძველმოდური ვარცხნილობის კულულები სახეზე ეცემოდა, პროპორციული სწორნაკვთოვანი სახე შესიებული და დაქანცული უჩანდა, თითქოს უძილო ღამე გაეტარებინოსო. თავი ნაღვლიანად დაეხარა და ჩაფიქრებული იყო.

მაგრამ უცებ შემამჩნია, მიცნო და გამიღიმა.

„დროზე მოხვედით, — მითხრა მან, — ხედავთ, თეთრეული მომაქვს, ოგიუსტენის გასამგზავრებლად გავაშრე, მთელი ღამე ბარგს ვულაგებდი, მატარებელი ხუთ საათზე გადის, სწორედ დროზე მივალთ...“

ისეთი დაჯერებით ლაპარაკობდა, იფიქრებდით, შვილის გამგზავრება მისი გადაწყვეტილიაო, მაშინ, როცა ალბათ ისიც კი არ იცოდა, შვილი საით მიემგზავრებოდა...

„ზევით ამოდით, — მითხრა მან, — ოგიუსტენი მერიაში ზის და რაღაცას წერს“.

კიბე სწრაფად ავირბინე, მარჯვნივ შევაღე კარი, რომელზეც ისევ შერჩენილი იყო წარწერა „მერია“. ოთხფანჯრიან დიდ ოთახში აღმოვჩნდი: ორი ფანჯარა დაბას გასცქეროდა, ორი — მინდვრებს. კედლებს ამშვენებდა პრეზიდენტების გრევისა და კარნოს გაყვითლებული პორტრეტები. გრძელ ესტრადაზე, დარბაზის სიღრმეში მწვანემაუდგადაფარებული გრძელი მაგიდის წინ მუნიციპალური მრჩევლების სკამები იდგა. სკამების შუაში, ძველ სავარძელზე, რომელიც ადრე მერს ეკუთვნოდა, მოლნი იჯდა და წერდა. იგი კალამს აწობდა ფაიფურის მოდიდან გამოსულ სამელნეში, რომელსაც გულის ფორმა ჰქონდა. ხანგრძლივი არდადეგების განმავლობაში მოლნი აქ განმარტოვდებოდა ხოლმე, ამ ადგილას, რომელიც რომელიმე სოფლელ რანტიეს უფრო შეეფერებოდა...

რომ შემიცნო, წამოდგა, მაგრამ ისე მკვირცხლად არა, როგორც წინასწარ მქონდა წარმოდგენილი.

„სერელ!“ მეტისმეტად გაკვირვებულმა მხოლოდ ეს წამოიძახა.

ჩემს წინ იგივე მაღალი თავგადაპარსული, სახეგამხდარი ბიჭი იდგა. ბაგეზე ღინღლი ამოსვლოდა. ისევ ნათელი მზერა ჰქონდა... მაგრამ გასული წლების სიფიცხე ნისლის საბურველით იყო დაფარული და მხოლოდ ზოგჯერ გამოანათებდა ხოლმე უწინდელი ვნებათაღელვა...

შევატყვე, რომ ჩემმა დანახვამ ააღელვა. ერთი ნახტომით ესტრადაზე აღმოვჩნდი. უცნაურია, მაგრამ ხელის გამოწოდება არც უფიქრია. ჩემკენ შემობრუნდა ზურგზე ხელებდაწყობილი, მაგიდას მიყრდნობილი, უკან გადახრილი და შეცბუნებული. მიყურებდა და ვერ მხედავდა. ის ალბათ იმაზე ფიქრობდა, რაც ჩემთვის უნდა ეთქვა. საუბრის დაწყება ადრეც მუდამ ასე ეძნელებოდა, როგორც ეს განდეგილებს, მონადირეებს და თავგადასავლების მაძიებლებს ემართებათ; ბოლოსდაბოლოს, გადაწყვეტდა ხოლმე, არ დაფიქრებულიყო იმაზე, სათქმელი რა სიტყვებით გამოეხატა. და ახლა, როცა მე მის წინ ვიდექი, ემზადებოდა, რომ აუცილებელი სიტყვები ძლივძლივობით ამოეღერღა.

ამასობაში, მე მხიარულად მოვუთხრობდი თუ აქამდე როგორ მოვაღწიე, ღამე სად გავათიე და როგორ გამიკვირდა, როცა დავინახე, ქალბატონი მოლნი რომ შვილს გასამგზავრებლად ამზადებდა...

„აჰ! გითხრა?..“ მკითხა მან.

„კი. ალბათ ხანგრძლივ მოგზაურობაში არ უნდა მიემგზავრებოდე?“

„პირიქით. ხანგრძლივ მოგზაურობაში მივდივარ“.

წამით დავიბენი, მივხვდი, რომ ერთი სიტ-

ყვით შემეძლო ძირიანფესვიანად ახლავე დამერღვია ეს გადაწყვეტილება, რომელიც ჩემთვის გაუგებარი იყო. მეტის თქმას ვერ ვბედავდი და არ ვიცოდი, ჩემი მისიის განხორციელება საიდან დამეწყო.

მაგრამ ბოლოს სიჩუმე თვითონ დაარღვია, როგორც ადამიანმა, რომელსაც თავი უნდა რომ იმართლოს.

„სერელ! — მითხრა მან — შენ იცი, რა იყო ჩემთვის ის უცნაური თავგადასავალი, რომელიც სენტ-აგატში გადამხდა. მთელი ჩემი არსებობის აზრსა და იმედს ის წარმოადგენდა. ეს იმედი გამიცრუვდა და რაღა უნდა ვქნა?.. სხვები რომ ცხოვრობენ, ისე როგორ ვიცხოვრო!

ასე ვცადე მეცხოვრა იქ, პარიზში, იმის მერე, როცა მივხვდი, რომ ყველაფერი გათავდა და დაკარგული სამფლობელოს ძებნა აღარ ღირდა... მაგრამ თუ კაცმა სამოთხეში ერთხელ მაინც ფეხი შედგა, იმას როგორ შეეგუება, სხვები როგორც ცხოვრობენ? რაც სხვებისთვის ბედნიერებაა, მე დაცინვად მეჩვენება, და იმ დღიდან, როცა წრფელი გულით, ჩემის ნებით გადავწყვიტე, სხვებივით ვიცხოვრებ-მეთქი, სწორედ იმ დღიდან სინიდისი მქენჯნის".

ესტრადაზე მდგარ სკამზე ჩამომჯდარი, არ ვუყურებდი, თავჩაქინდრული ყურს ვუგდებდი და არ ვიცოდი, მის ბუნდოვან ახსნა-განმარტებას როგორ მოვკიდებოდი.

„ბოლოს და ბოლოს,— ვუთხარი მე — ამიხსენი ყოველივე უფრო ნათლად! რა საჭიროა ეს ხანგრძლივი მოგზაურობა? რაიმე შეცდომა გაქვს გამოსასწორებელი? ვალდებულება გაქვს შესასრულებელი?"

„დიახ, დიახ, — მიპასუხა მან — გახსოვს ის პირობა, ფრანცს რომ მივეცი?"

„აჰ! შვებით არ ამოვისუნთქე, მაშ, მხოლოდ ამაზეა ლაპარაკი?.."

„ამაზეა და ალბათ იმ შეცდომაზედაც, რომელიც უნდა გამოსწორდეს. ერთდროულად ორ შეცდომაზე..."

ამას სიჩუმე მოჰყვა. ამ სიჩუმეში მე მოვიფიქრე თუ ლაპარაკი როგორ დამეწყო და რა მეთქვა...

„მე მჯერა, რომ ერთადერთი ახსნა არსებობს, — დასძინა მან — რა თქმა უნდა, მე ვისურვებდი, რომ მადმუაზელ დე გალე ერთხელ კიდევ მენახა, მხოლოდ მენახა... ახლა დარწმუნებული ვარ, რომ როცა უსახელო სამფლობელო აღმოვაჩინე, მე ისე ამაღლებული ვიყავი, ისე სრულქმნილი და სიწმინდის ისეთ საფეხურზე ვიდექი, რომელსაც ვერასოდეს მივაღწევ; ალბათ მხოლოდ სიკვდილში, — ამაზე წერილში ერთხელ უკვე გელაპარაკე — შეიძლება კვლავ ვპოვო იმ დღეების მშვენიერება..."

მან უცებ ტონი შეიცვალა, მომიახლოვდა და უცნაურად აღგზნებულმა დაიწყო:

„მაგრამ ყური დამიგდე, სერელ! ის უცნაური ახალი ურთიერთობა, დიდი მოგზაურობა და ის შეცდომა, მე რომ დავუშვი და უნდა გამოსწორდეს, რაღაც აზრით, ჩემი ძველი თავგადასავალია, რომელიც კვლავ გრძელდება..."

ახლახან, როცა მან გაჭირვებით სცადა თავისი მოგონებები გაეცოცხლებინა, მე ხელიდან ხელსაყრელი შემთხვევა გავუშვი, ახლა ქვეყანაზე აღარაფრის გულისათვის აღარ მინდოდა ხელიდან ეს შემთხვევაც გამეშვა და ლაპარაკი დავიწყე, მაგრამ აშკერად ავჩქარდი, რადგან შემდგომში ბევრჯერ ვინანე, რომ არ შევიცადე და აღსარება ბოლომდე არ ვათქმევინე.

ამრიგად მე წარმოვთქვი ის წინადადება, რომელიც წამის წინ მოვიფიქრე და ახლა უადგილო აღმოჩნდა. არ შევრხეულვარ, თავი ოდნავ წამოვწიე და ვუთხარი:

„თუკი შენთან იმის სათქმელად მოვსულვარ, რომ იმედი დაკარგული არ არის?.."

მან შემომხედა, მერე მზერა ამარიდა და ისე გაწითლდა, რომ ასე გაწითლებული არასოდეს არავინ მინახავს. ალბათ თავში აასხა და მთელი სისხლი საფეთქლებს მიაწვა.

„რა გინდა, რომ თქვა?" მკითხა ბოლოს ძლივს გასაგონად.

მაშინ მე სულმოუთქმელად მოვუყევი, რაც ვიცოდი, რის გაკეთებაც შევძელი, თუ საქმე როგორ შემოტრიალდა და ამ ჩემი მონაყოლით ისე გამოდიოდა, რომ მასთან ლამის ივონ დე გალეს გამოგზავნილიც კი ვიყავი.

ახლა იგი სასტიკად გაფითრებული იყო.

სანამ ამბავს ვუყვებოდი, ჩუმად მისმენდა, მხრებში ოდნავ თავჩარგული, იმ კაცივით, რომელსაც მოულოდნელად თავს დაესხნენ და არ იცის, თავი როგორ დაიცვას, დაიმალოს თუ გაიქცეს. მახსოვს, მხოლოდ ერთხელ შემაწყვეტინა, გაკვრით ვუთხარი, მთელი საბლონიერი დანგრეულია და უწინდელი სამფლობელო აღარ არსებობს-მეთქი:

„აჰ, — თქვა მან — აი, ხომ ხედავ... — თითქოს ამ შემთხვევას ელოდა, რომ გაემართლებინა თავისი საქციელი და თავისი უნუგეშობა, რომელმაც იგი შეიპყრო — ხომ ხედავ: აღარაფერი აღარ არსებობს..."

დარწმუნებულმა, რომ მის წუხილს ახლა კი ბოლო მოეღებოდა, რაკი მიხვდებოდა, რომ ყველაფერი მარტივად შეიძლებოდა მოგვარებულიყო, დასასრულ ვაცნობე, რომ ბიძაჩემი ფლორანტენი აწყობდა გასეირნებას, რომ იქ თავისი ცხენით მადმუაზელ დე გალეც მოვიდოდა და რომ მოლნიც იქ იყო მიწვეული... მაგრამ იგი მეტისმეტად დაბნეული იყო და დუმილს განაგრძობდა.

„შენი მოგზაურობა ახლავე უნდა გადაიდოს, — ვუთხარი მოუთმენლად, — წავიდეთ, დედაშენი გავაფრთხილოთ..."

და როცა უკვე ორივენი კიბეზე ჩამოვდიოდით, მან გაუბედავად მკითხა:

„გასეირნებაა?.. მე უნდა წამოვიდე?..“

„რა თქმა უნდა! — წამოვიძახე მე — ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“.

ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მხრებში ხელი მაგრად უბიძგესო.

ქვევით რომ ჩამოვედით, ოგიუსტენმა ქალბატონი მოლნი გააფრთხილა, რომ მასთან ერთად ვისადილებდი, ვივახშმებდი, დავიძინებდი, ხვალ ველოსიპედს თვითონ დაიქირავებდა და ვიე-ნანსეიში გამომყვებოდა.

„აჰ! ძალიან კარგი“, წამოიძახა მან თავის ცანცარით ისე, თითქოს სწორედ ამ ამბავს ელოდა.

მე ვიჯექი პატარა სასადილო ოთახში, რომლის კედლებზეც ეკიდა ილუსტრირებული კალენდრები, მოსევადებული ხანჯლები და სუდანური ტიკები, შორეული მოგზაურობიდან რომ ჩამოეტანა მოლნის ძმას, რომელიც ადრე საზღვაო ქვევით ჯარში მსახურობდა.

ოგიუსტენმა აქ წამით დამტოვა, სანამ საუზმეზე დაგვიძახებდნენ და მეზობელი ოთახიდან, სადაც დედამისი ბარგს ულაგებდა, გავიგონე, ხმადაბლა როგორ ეუბნებოდა, რომ მისი ჩემოდანი ჯერ არ ამოელაგებინა, რადგან მოგზაურობა შეიძლებოდა მხოლოდ დროებით გადადებულიყო.

## თავი მეხუთე

## გასეირნება

ძლივსძლივობით მივდევდი ოგიუსტენს ვიენანსეის გზაზე. ველომრბოლივით მიჰქროდა. აღმართზედაც კი არ ჩამოდიოდა. წინადღის აუხსნელი გაუბედაობა შეეცვალა აღგზნებით, ნერვიულობით, რაც შეიძლება სწრაფად მისვლის სურვილით და ეს მე ცოტათი მაშინებდა კიდეც. იგივე მოუთმენლობა გამოამჟღავნა მან ბიძაჩემთანაც. ეტყობოდა, რომ იგი ვერაფერს ხედავდა ირგვლივ მანამდე, სანამ მეორე დილის ათი საათისთვის ყველანი ფორანში არ ჩავჯექით, რომ მდინარისაკენ წავსულიყავით.

აგვისტოს თვის ბოლო დღეები იყო, ზაფხულის მიწურული. თეთრ გზებს უკვე ეფინებოდა გაყვითლებული წაბლის ხეებიდან ჩამოცვენილი ცარიელი ჩენჩო. წინ დიდი გზა არ გვედო; ობიეს ფერმა, სადაც მივდიოდით, მდინარე შერის მახლობლად იყო, საბლონიერის სამფლობელოდან ორი კილომეტრის დაშორებით. თანდათან სხვა სტუმრების ფორნებიც შემოგვხვდა და აგრეთვე ცხენებზე ამხედრებული ახალგაზრდებიც, რომლებიც ფლორანტენმა გაბედულად დაპატიჟა ბატონ დე გალეს სახელით... როგორც ძველად იცოდნენ ხოლმე, ახლაც ისევე სცადეს ერთად მოეყარათ თავი მდიდრისა და ღარიბისათვის, მემამულისა და გლეხისათვის. მოწვეულებში დავინახეთ ველოსიპედით მომავალი ჟასმენ დელუში, რომელიც ბიძაჩემს დარაჯმა ბალადიემ გააცნო.

„აი, ისიც, — თქვა მის დანახვაზე მოლნმა — ვისაც ჩვენი საიდუმლოების გასაღები სულ მუდამ ხელთ ეპყრა, ჩვენ კი იმისმა ძებნამ პარიზში ჩაგვიყვანა. სასოწარკვეთილებამ როგორ არ უნდა შეგიპყროს!“

დელუშის ყოველ დანახვაზე მოლნს თანდათან ბრაზი უფრო ერეოდა, დელუში კი, პირიქით, რადგან ფიქრობდა, რომ ჩვენი კეთილგანწყობილება დამსახურებული ჰქონდა, ჩვენს ფორანს სულ მუდამ შორიახლო მოსდევდა. ეტყობოდა, ამ ბედოვლათს თავისი ტანისამოსის გასაახლებლად ფული არ დაეშურებინა, მაგრამ ამაოდ, მისი გაცვეთილი სერთუკის კალთები ველოსიპედის ფრთებს ეხახუნებოდა...

მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდა თავაზიანი ყოფილიყო, მისი ბებრული სახე თვალში არავის მოსდიოდა. ჩემში იგი თითქოს სიბრალულს იწვევდა, მაგრამ იმ დღეს სიბრალულს განა მხოლოდ მისდამი ვგრძნობდი?..

როცა ამ გასეირნებას ვიხსენებ, მუდამ გული მეკუმშება და თითქოს სულიც მეხუთება. ამ დღეს რა სიხარულით ველოდი! თითქოს ყველაფერი ბედნიერებას გვიქადდა. მაგრამ როგორ გაგვიცრუვდა იმედი!..

რა ლამაზი იყო შერის ნაპირები! ის ადგილი, სადაც გავჩერდით, წარმოადგენდა ბორცვს, რომელიც ლამაზი ფერდობით თავდებოდა და მიწა დაყოფილი იყო პატარა ამწვანებულ მდელოებად და ტირიფის პაწაწინა ქალებად, რომლებიც პატარა ბალებივით ღობეებით იყო შემოკავებული. მეორე მხარეზე მდინარის ნაპირს მიუყვებოდა ნაცრისფერი გორაკები, ქვიანი ფლატეები: შორს კი, ნაძვებს შორის, მოჩანდა პატარა რომანტიკული ციხესიმაგრეები თავისი კოშკით. დროდადრო პრევერანჟის ციხესიმაგრიდან ძაღლების ყეფა ისმოდა.

ამ ადგილამდე რომ მოვსულიყავით, გამოვიარეთ ვიწრო გზების ლაბირინთი, მოფენილი თეთრი კენჭებითა და ქვიშით; ამომჩქეფარე წყაროების მოქმედებით მდინარესთან მისული ეს გზა ნაკადულად გადაიქცეოდა ხოლმე. გავლისას ველური მოცხარის ტოტები სახელოებზე გვებღაუჭებოდა; ზოგჯერ ვიძირებოდით უძირო ღრანტეების გრილ წყვდიადში, ზოგჯერ კი, პირიქით, გამოვდიოდით ტრიალ ადგილზე და ვბანაობდით მთელს დაბლობზე დაღვრილ ნათელში. მდინარეს რომ მივუახლოვდით, შორს, მეორე ნაპირზე დავინახეთ კლდეს მიყრდნობილი კაცი, რომელიც ანკესის თოკს ნელა ასწორებდა. რა ლამაზი იყო ყველაფერი, ღმერთო ჩემო!

ჩვენ მოვიწყეთ მდელოზე, რომელიც გარშემორტყმული იყო წვრილი არყით. განიერი და მოსწორებული მდელო თითქოს ჩვენ გველო-

და, რომ იქ დაუსრულებლად დრო გვეტარებინა.

ცხენები ფორნებიდან გამოხსნეს და ობიეს ფერმაში წაასხეს. ხეების ძირში საგზლის და მდელოზე ბიძაჩემის მოტანილი დასაკეცი მაგიდების გაშლას შეუდგნენ.

ამ დროს მოხალისეები დასჭირდათ; ისინი მეზობელი დიდი გზის დასაწყისში უნდა მისულიყვნენ, დაგვიანებულ მომსვლელებს დახვედროდნენ და ჩვენი სამყოფელი ეჩვენებინათ. მაშინვე შევთავაზე, მე წავალ-მეთქი; მოლნი ამყვა და ჩავედით, რომ ხალხს დაკიდულ ხიდთან დავლოდებოდით, საბლონიერიდან მომავალი მრავალი ბილიკისა და შარაგზის გზაჯვარედინზე.

მოლოდინში წინ და უკან დავდიოდით, წარსულს ვიგონებდით და რომ ცუდი ფიქრები თავიდან მოგვეშორებინა, მხოლოდ იმაზე ვლაპარაკობდით, რაც ტკბილად გვახსენდებოდა. ვიე-ნანსიდან კიდევ ერთი ფორანი მოვიდა, ზედ უცნობი გლეხები ისხდნენ და კიდევ მათი გოგონა იჯდა, დიდბაფთებიანი, მერე არავინ გამოჩენილა. თუმცა, როგორ არა, აი, კიდევ სახედარშებმული ფორანი და ზედ სამი ბავშვი საბლონიერელი მოხუცი მებაღისა.

„მგონი, შევიცანი-თქვა მოლნმა — დარწმუნებული ვარ, ის ბავშვები არიან, დღესასწაულის პირველ საღამოს ხელი რომ ჩამკიდეს და სავახშმოდ წამიყვანეს...“

მაგრამ სწორედ ამ დროს გაკერპებულ სახედარს ბავშვებმა ფეხი ველარ გადაადგმევინეს, გადმოხტნენ, რომ როგორც შესძლებდნენ, ისე მოსწოლოდნენ, მათრახი გადაეჭირათ და მუჯლუგუნი ეთავაზებინათ, მოლნმა მაშინ კი აღიარა, შევეშალაო...

ბავშვებს ვკითხე, გზაზე მესიე და მადმუაზელ დე გალე ხომ არ შეგხვედრიათ-მეთქი. ერთმა მიპასუხა, არ ვიციო. მეორემ თქვა: „მგონი შემოგვხვდნენ, ბატონო!“ იმათგან სხვა ვერაფერი გავიგეთ. ბავშვები მდელოზე დაეშვნენ, ერთი სახედრის ალვირს ეწეოდა, სხვები ფორანს ზურგიდან აწვებოდნენ. ჩვენ ლოდინი განვაგრძეთ. მოლნი თვალს არ აშორებდა იმ ადგილს, სადაც გზა საბლონიერისაკენ უხვევდა და იმ ყმაწვილი ქალის გამოჩენას შიშით ელოდა, რომელსაც იგი ამდენხანს დაეძებდა. მერე შეიპყრო უცნაურმა, თითქმის კომიკურმა გაფთრებამ ისევ იმავე ჟასმენის გამო. მცირე ამაღლებული ადგილიდან, სადაც ჩვენ ავბობლდით, რომ გზა კიდევ უფრო კარგად დაგვენახა, მდელოზე შევამჩნიეთ სტუმრების ჯგუფი და ჟასმენი, რომელიც ცდილობდა მათი ყურადღება მიექცია.

„შეხედე, ეს სულელი რა დღეშია“, მითხრა მოლნმა.

მე ვუთხარი:

„თავი დაანებე, ეგ ხაცოდავი იმას აკეთებს, რაც შეუძლია“.

ოგიუსტენი არ ცხრებოდა. ამ დროს ტყიდან კურდღელი თუ ციყვი გამოხტა, ჟასმენს, რომ დაემტკიცებინა, ყველაფერი მეხერხებაო, ვითომ გამოკიდება დააპირა.

„შეხედე ერთი! ახლა გარბის...“ თქვა მოლნმა ისე, თითქოს დუელში გმირობას სჩადიოდა!

ამჯერად სიცილი ველარ შევიკავე და მოლნსაც გაეცინა, მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი განათება იყო.

თხუთმეტი წუთი რომ გავიდა, მან მკითხა: „რომ არ მოვიდეს?..“

მე ვუპასუხე:

„რახან შემპირდა, მოვა, მოთმინება იქონიე!“

მან კვლავ ლოდინი განაგრძო, მაგრამ ბოლოს ამ გულისგამაწყალებელ მოლოდინს ველარ გაუძლო:

„ყური დამიგდე, — მითხრა მან — სხვებთან ერთად ქვევით ჩავალ. თითქოს ყველა ჩემს წინააღმდეგ არის ამხედრებული. ასე მგონია, აქ რომ დავრჩე, არასოდეს აღარ მოვა-მეთქი, რომ შეუძლებელია აი, ახლა, ამ წუთში გზის მოსახვევში გამოჩნდეს“.

და მინდვრისაკენ წავიდა და მარტო დამტოვა. დრო რომ მომეკლა, გზაზე ასიოდე მეტრი გავიარე და პირველსავე მოსახვევში ივონ დე გალე დავინახე; ის იჯდა დაბერებულ თეთრ ცხენზე, რომელიც ამ დილით მეტისმეტ სიფიცხეს იჩენდა და ქალიშვილი იძულებული იყო, ალვირით შეეკავებინა, რომ არ გაჭენებულიყო. წინ ძლივძლივობით მოაბიჯებდა დადუმებული ბატონი დე გალე. ეტყობა, გზაში მამა-შვილი ერთმანეთს ცვლიდნენ და ბებერ პირუტყვზე რიგრიგობით ჯდებოდნენ.

ყმაწვილმა ქალმა მარტო რომ დამინახა, გაიღიმა, ცხენიდან მკვირცხლად ჩამოხტა, ალვირი მამას შეაჩეჩა და ჩემკენ გამოეშურა, მე კი მისკენ გავიქეცი.

„მიხარია, მარტოს რომ გხედავთ, რადგან არ მინდა თქვენს გარდა ბებერი ბელიზერი ვინმემ ნახოს ან სხვა ცხენებთან დავაბა. ჯერ ერთი, მეტისმეტად მახინჯი და დაბერებულია, მეორეც ერთი, სულ იმისი მეშინია, სხვა ცხენმა არაფერი დაუშავოს“.

მივხვდი, რომ ივონ დე გალეს ამ მომხიბლავ, ნაზ გარეგნულ ბუნებრიობაში იმალებოდა მოლნის მოუთმენლობა და თითქმის შეშფოთებაც კი. ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად ლაპარაკობდა; ლაწვები ვარდისფრად ჰქონდა შეფაკლული, მაგრამ თვალების გარშემო და შუბლზე უეცარი სიფერმკრთალე მის დაბნეულობას ამჟღავნებდა.

გადავწყვიტეთ, ბელიზერი ხეზე მიგვება, გზასთან ახლოს, პატარა ტყეში. მოხუცმა ბატონმა დე გალემ ახლაც უსიტყვოდ ამოიღო უნაგირის ჩანთიდან საბელი და მუ[illegible], პირუტყვი იმაზე უფრო დაბლა მიაბა, [illegible] უნდა

მიება. შევპირდი, ფერმიდან თივას, შვრიას და ჩალას ახლავე გამოვაგზავნი-მეთქი...

და მე გავიფიქრე: მადმუაზელ დე გალე ახლა ისე მივიდა მდელოზე, როგორც ოდესღაც ჩავიდა ტბის ნაპირზე, სადაც მან მოლნი პირველად დაინახა-მეთქი.

ცალი ხელი მამის ხელზე ეკიდა, ხოლო მეორე ხელით თხელი განიერი პალტოს კალთა ეჭირა და ერთსადაიმავე დროს სერიოზული და ბავშვური გამომეტყველებით სტუმრებს უახლოვდებოდა. მე გვერდით მივდევდი. დაპატიჟებულნი, რომლებიც აქამდე მინდორში გაფანტულიყვნენ და ერთობოდნენ, ახლა მას რომ მისალმებოდნენ, აქეთ გამოემართნენ; რამდენიმე წამს ისინი მდუმარედ შეჰყურებდნენ, როცა იგი მათ უახლოვდებოდა.

მოლნი ყმაწვილკაცების ჯგუფს შეერია და ყმაწვილკაცებში მხოლოდ სიმაღლით თუ გამოირჩეოდა, თუმცა იმათში თითქმის მისი სიმაღლისანიც იყვნენ. თავისი დაძაბულობა არაფრით გამოუმჟღავნებია, არც განძრეულა, არც წინ ნაბიჯი გადმოუდგამს, ვხედავდი ნაცრისფერ ტანისამოსში გამოწყობილს, უძრავს, სხვებივით გაშტერებული რომ შეჰყურებდა მათკენ მიმავალ ქალს. ბოლოს შეუგნებლად და მორცხვად მხოლოდ ხელი გადაისვა შიშველ თავზე, თითქოს ირგვლივ მყოფ ამ კარგად დავარცხნილ ყმაწვილებში თავისი გლეხურად გაპარსული თავი უნდოდა დაემალა.

შემდეგ ყმაწვილები მადმუაზელ დე გალეს შემოეხვივნენ. რიგრიგობით აცნობდნენ ყმაწვილ ქალებსა და ყმაწვილ კაცებს, რომელთაც ის არ იცნობდა... ჯერი ჩემს მეგობარზე მიდგა. მოლნზე უფრო მეტად მე ვღელავდი, რადგან აქამდე იმედი მქონდა, რომ იმათ ერთმანეთს მე შევახვედრებდი.

მაგრამ სანამ რამეს ვიტყოდი, ყმაწვილმა ქალმა მისკენ ნაბიჯი არაჩვეულებრივი გამბედაობითა და სერიოზულობით გადადგა.

„მე ვიცნობ ოგიუსტენ მოლნს“, თქვა მან. და ხელი გაუწოდა.

## თავი მეექვსე

### გასეირნება

(დასასრული)

ამ დროს ახლადმოსულები მისასალმებლად ივონ დე გალესთან მივიდნენ და ორი ახალგაზრდა ერთმანეთს დააშორეს. განგებამ ისე მოისურვა, რომ საუზმეზედაც სხვადასხვა მაგიდასთან უნდა აღმოჩენილიყვნენ, მაგრამ, ეტყობა, მოლნს უწინდებური იმედი და სითამამე დაუბრუნდა, დელუშსა და ბატონ დე გალეს შორის მომწყვდეულმა დავინახე, ჩემმა მეგობარმა რამდენჯერმე ხელი როგორ დამიქნია.

მხოლოდ საღამოს მიწურულისათვის, როცა თანდათან გაჩაღდა თამაშობანი, სჯა-ბაასი და მეზობელ გუბურაში ბანაობა და გემით სეირნობა დაიწყეს, აღმოჩნდა მოლნი ყმაწვილი ქალის გვერდით. ჩვენ ვიჯექით ბაღის სკამებზე, აქ თან რომ მოვიტანეთ, და დელუშს ველაპარაკებოდით, როცა მადმუაზელ დე გალე, რომელსაც ყმაწვილი კაცები მიეტოვებინა, რადგან, ეტყობა, იქ მეტისმეტად მოიწყინა, მოგვიახლოვდა და, როგორც მახსოვს, გვკითხა: სხვებივით ნავებით ობიეს ტბაზე რატომ არ სეირნობთო.

„შუადღის მერე რამდენიმე წრე უკვე შემოვიარეთ, — ვუპასუხე მე, — მაგრამ ერთფეროვანი საქმიანობა გამოდგა და ძალიან მალე დავიღალეთ“.

„მაშინ მდინარეზე ხომ არ წავსულიყავით?“ იკითხა მან.

„მეტისმეტად სწრაფი დინებაა,ვაითუ წაგვიღოს“.

„მოტორიანი ნავი დაგვჭირდებოდა, — თქვა მოლნმა, — ან ორთქლის გემი, აი, ისეთი, ადრე რომ იყო“.

„ორთქლის გემი ჩვენ აღარა გვაქვს, — თქვა ქალიშვილმა თითქმის ჩურჩულით, — გავყიდეთ“.

და უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

ჟასმენმა დრო იხელთა, რომ ეთქვა, წავალ, დე გალეს მოვნახავო.

„მე ძალიან კარგად ვიცი, სად უნდა მოვნახო“.

ბედის დაცინვა არ არის! ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავებულ ამ ორ პიროვნებას ერთმანეთი ისე მოეწონათ, რომ დილიდან ერთმანეთს არ დაშორებიან. საღამოს დასაწყისშივე ბატონმა დე გალემ გვერდზე გამიყვანა, რომ ჩემთვის ეთქვა, შენი მეგობარი დელუში ტაქტიანი, თავაზიანი და ღირსეული ადამიანიაო. მე მგონი, ბელიზერის არსებობის საიდუმლოება და ის ადგილი, სადაც ცხენი იყო დამალული, დელუშს სწორედ მან შეატყობინა.

ვიფიქრე, ორივეს ახლა მეც მოვშორდები-მეთქი, მაგრამ ვატყობდი, მადმუაზელ დე გალე და მოლნი ერთმანეთის პირისპირ ისე უხერხულად გრძნობდნენ თავს და ისე აღელვებულები იყვნენ, რომ უფრო კეთილგონივრულად მომეჩვენა, მარტონი არ დამეტოვებინა.

მაგრამ ჟასმენის თავაზიანი წასვლა და ჩემი მხრიდან ასეთი სიფრთხილე ცოტათი ზედმეტიც კი იყო. მათ საუბარი გააბეს. მოლნი ჯიუტად, ისე რომ თავისთავს ანგარიშს არ აძლევდა, კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა წარსულის იმ სასწაულებრივ ამბებს, მან რომ ამ სამფლობელოში იხილა. ყმაწვილი ქალი კი, რომლისთვისაც ამის გახსენება ტანჯვა იყო, თავაზიანად უმეორებდა, ყველაფერი გაქრა, ძველი შენობა, ასე უცნაური და გაუგებარი, დაინგრა; დიდი ტბა დაშრა და მიწით ამოივ-

სო; მშვენიერსამოსიანი ბავშვები აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენო...

„აჰ!“ მხოლოდ ამასღა ამბობდა მოლნი ისე ნაღვლიანად, თითქოს ყოველი იმედის გაცრუება მადმუაზელ დე გალესა ან ჩემი ბრალი ყოფილიყოს...

ჩვენ ერთმანეთის გვერდით მივაბიჯებდით... ამაოდ ვცდილობდი გამეფანტა ის ნაღველი, რომელიც სამივეს გულს გვისერავდა, რადგან მოლნი უადგილო შეკითხვებით კვლავ თავის აკვიატებულ ფიქრს უბრუნდებოდა. იგი ეკითხებოდა და მოითხოვდა მისთვის გაერკვიათ ყველაფერი, რაც თავის დროზე სამფლობელოში იხილა: პაწაწინა გოგონები, ძველი ბერლინის ეკიპაჟის მეეტლე, პონები, რბოლაში რომ მონაწილეობდნენ.

ქალიშვილმა უპასუხა, აღარ არისო. ბელიზერი კი არ უხსენებია.

ახლა მოლნმა გაიხსენა ის საგნები, მის ოთახში რომ იყო. კანდელაბრები, დიდი სარკე, გატეხილი ძველი ბარბითი... ამ საგნებზე ისეთი მღელვარებით ლაპარაკობდა, თითქოს კიდევ ერთხელ უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მისი მშვენიერი თავგადასავლიდან აღარაფერი იყო გადარჩენილი და რომ ქალიშვილი ვერ უჩვენებდა ჩაძირული ხომალდის ნამსხვრევებსაც კი იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ მათ ორივეს ეს არ დასიზმრებიათ; ასე ამოაქვს მყვინთავს წყლის სიღრმიდან კენჭები და წყალმცენარეები.

მადმუაზელ დე გალე და მე ნაღვლიან ღიმილს ვიკავებდით; მან გადაწყვიტა მოლნისათვის ყველაფერი განემარტა:

„თქვენ ვერასოდეს ვეღარ იხილავთ მშვენიერ ციხესიმაგრეს, რომელიც მე და ბატონმა დე გალემ მაშინ საცოდავი ფრანცისათვის მოვაწესრიგეთ.

მთელი ჩვენი ცხოვრება იმას შევწირეთ, რომ მისი სურვილები აგვესრულებინა. იგი ისეთი უცნაური და მომხიბლავი პიროვნება იყო! მაგრამ ყველაფერი მასთან ერთად იმ ჩაშლილი ქორწილის საღამოს გაქრა.

იმ დროისათვის ბატონი დე გალე გალატაკებული იყო, მაგრამ ჩვენ ეს არ ვიცოდით — ფრანცი ვალებში ჩავარდა. მისი გაუჩინარების ამბავი რომ შეიტყვეს, მისმა ამხანაგებმა ვალების ნუსხა წარმოადგინეს. ჩვენ გავღატაკდით; ქალბატონი დე გალე გარდაიცვალა და რამდენიმე დღეში ჩვენ ყველა მეგობარი დავკარგეთ.

ხომ შეიძლება, რომ ფრანცი დაბრუნდეს, თუკი მკვდარი არ არის; ხომ შეიძლება, რომ თავისი მეგობრები და საცოლე კვლავ მონახოს; რომ შეწყვეტილი ქორწილი განახლდეს და ყველაფერი კვლავ ისე იყოს, როგორც ადრე იყო?.. მაგრამ წარსულის გაცოცხლება განა შესაძლებელია?“

„ვინ იცის!“ თქვა დაფიქრებულმა მოლნმა და აღარაფერი უკითხავს.

სამივენი უხმოდ მივაბიჯებდით დაბალ და უკვე შეყვითლებულ ბალახზე, ოგიუსტენს მხარმარჯვნივ მისდევდა ყმაწვილი ქალი, რომელიც სამუდამოდ დაკარგული ეგონა. როცა მოლნი უმოწყალო შეკითხვებს აძლევდა, ქალიშვილი მისკენ აბრუნებდა თავის მომაჯადოებელ შეშფოთებულ სახეს, რომ პასუხი გაეცა; ერთხელ ლაპარაკში თავისი ხელით იგი ნაზად შეეხო მის ხელს მიმნდობი და უმწეო მოძრაობით... რატომ იქცეოდა დიდი მოლნი უცხოსავით, იმ ადამიანივით, რომელმაც ვერ იპოვა ის, რასაც ეძებდა და ახლაც სხვა აღარაფერი აინტერესებდა? ეს ბედნიერება სამი წლით ადრე რომ ეწვეოდა, ალბათ სიხარულით შეიშლებოდა! რა იყო მიზეზი ამ განდგომილებისა, ამ უძლურებისა, რატომ არ შეეძლო, რომ ბედნიერი ყოფილიყო, რა ემართებოდა?

ჩვენ ვუახლოვდებოდით პატარა ტყეს, სადაც დილით ბატონმა დე გალემ ბელიზერი დააბა. ჩამავალი მზე ჩვენს ჩრდილებს ბალახზე აგრძელებდა, იქიდან, სადაც მინდორი თავდებოდა, ჩვენამდე ყრუდ აღწევდა მოთამაშეებისა და გოგონების მხიარული ჟრიამული; ჩვენ ვდუმდით, საღამოს სიმშვიდით მოხიბლულნი, როცა უეცრად ტყის ბოლოში მდინარის ნაპირზე მდგარი ობიეს ფერმის მხრიდან სიმღერა გავიგონეთ. ეს იყო ახალგაზრდული და შორეული ხმა ადამიანისა, რომელმაც წყლის დასალევად საქონელი მორეკა. სიმღერას ჰქონდა საცეკვაო მელოდიის რიტმი, მაგრამ მომღერალი ნაღვლიან ბალადასავით აგრძელებდა:

წითელო ფეხსაცმელებო...
ნახვამდის, ჩემო გშორდები...
წითელო ფეხსაცმელებო...
შენ აღარ მოგაგონდები...

მოლნმა თავი ასწია და ყური მიუგდო, ეს იმ ერთი სიმღერათაგანი იყო, რომელსაც ნაქეიფარი გლეხები უსახელო სამფლობელოში მღეროდნენ დღესასწაულის ბოლო დღეს, როცა ყველაფერი დამთავრებული იყო... კიდევ ერთი მოგონება — ყველაზე ნაღვლიანი — იმ ლამაზი დღეებისა, რომელიც აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

„გესმით? — თქვა მოლნმა ხმადაბლა — ოჰ! წავალ, ვნახავ, ვინ მღერის“. და მაშინვე პატარა ტყეში შევიდა. სიმღერა თითქმის მაშინვე შეწყდა. ერთ წამს კიდევ ისმოდა, კაცი, იქაურობას რომ შორდებოდა, საქონელს როგორ უსტვენდა, შემდეგ სიჩუმე ჩამოწვა...

ყმაწვილ ქალს შევხედე. ჩაფიქრებული და დაღონებული შეჰყურებდა ბუჩქნარს, სადაც მოლნი თვალს მიეფარა. ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ გახედავს იგი ასე დაფიქრებული იმ

გზას, რომელსაც სამუდამოდ გაჰყვება მოლნი!

ის მომიბრუნდა:

„იგი ბედნიერი არ არის!“ თქვა ნაღვლიანად.

და დასძინა:

„და ალბათ არც მე შემიძლია, დავეხმარო...“

პასუხი დავაყოვნე. მეშინოდა, მოლნს, რომელიც ერთი ნახტომით ფერმაში გაჩნდებოდა და ახლა ალბათ უკვე ტყით ბრუნდებოდა, ჩვენი საუბრისათვის ყური არ მოეკრა. ამავე დროს, მინდოდა ქალიშვილი გამემხნევებინა, მეთქვა, რომ ნუ შეშინდებოდა და ყმაწვილი დაეტუქსა, რომ მოლნს, ეტყობა, რაღაც გაუმხელელი ღრღნიდა და თავის ნებით ამას არავის, თვით მასაც კი არ გაანდობდა. მაგრამ ამ დროს ტყის სიღრმეში უცებ ყვირილი მოისმა. შემდეგ თითქოს გაჭენებული ცხენის თქარა-თქური და მოჩხუბართა ხმამაღალი ლაპარაკი გავიგონეთ... მაშინვე მივხვდი, რომ ბებერ ბელიზერს რაღაც უბედურება თავს დაატყდა და იქით გავიქეცი, საიდანაც ხმაური ისმოდა. მადმუაზელ დე გალე უკან დამედევნა. ალბათ მინდვრის ბოლოში დაინახეს, ჩვენ რომ მივრბოდით, რადგან ბუჩქნარს როცა შევერიეთ, უკან დადევნებული ხალხის ყვირილი შემოგვესმა.

ბებერ ბელიზერს, მეტისმეტად დაბლა რომ იყო მიბმული, წინა ფეხი საბელში გახლართვოდა; ცხენი მანამდე არ განძრეულა, სანამ ხეირნობით მიმავალი ბატონი დე გალე და დელუში არ მიახლოვებიან: მაშინ დამფრთხალს, ბევრი შვრიით აღგზნებულსა და გაცოფებულს, ტლინკები უყრია; მისი გამოხსნა ორთავეს უცდია, მაგრამ ეს ისე მოუხერხებლად უქნიათ, რომ უფრო გახლართულა და თან ყოველწუთს თურმე იმის ეშინოდათ, ცხენმა ტლინკები არ გვითავაზოსო. სწორედ ამ დროს შემთხვევით თავს წასდგომოდათ მოლნი, რომელიც ობიედან ბრუნდებოდა. მათი ასეთი მოუხერხებლობით გაცოფებულს, ორივესთვის ხელი ისე უკრავს, რომ კინაღამ ძირს დაუგორებია, ფრთხილად, ერთი მოძრაობით, მოხერხებულად გაუთავისუფლებია ბელიზერი. მაგრამ უკვე გვიან იყო, მოსახდენი უკვე მომხდარიყო: ცხენს, ეტყობა, მუესი დაზიანებოდა, იქნებ რაღაც გადაუტყდა კიდეც, რადგან თავჩაქინდრული საცოდავად იდგა, უნაგირი სანახევროდ გვერდზე მოჰქცეოდა, აკანკალებული ფეხი მაღლა აეწია. დაღუნული მოლნი ხმისამოუღებლად ხელს უსვამდა და სინჯავდა.

თავი რომ ასწია, თითქმის ყველანი იქ ვიყავით შეგროვილნი, არავინ დაუნახავს, ისე იყო გაცოფებული.

„ვერ გამიგია, — დაიყვირა მან, — ვის მოუვიდა თავში, ცხენი ასე დაება და მთელი დღე უნაგირი არ მოეხადა. საერთოდ ვინ შეკაზმა ეს ბებერი ცხენი, რომელიც მხოლოდ ორადგილიან ეტლში თუ შეიძლება რომ შეაბას კაცმა“.

დელუშს, ეტყობა, რაღაც უნდოდა ეთქვა, ალბათ თავისი თავი უნდოდა დაედანაშაულებინა.

„გაჩუმდი! შენი ბრალიც არის. დავინახე, გამოსახსნელად საბელს რა სულელურად ეწეოდი“.

იგი ხელახლა ჩაიხარა და ხელისგულით ცხენს სახსარს უზილავდა.

ბატონმა დე გალემ, რომელიც აქამდე ჩუმად იდგა, გადაწყვიტა, ჩარეულიყო და დიდი შეცდომა დაუშვა. მან წაიბურტყუნა:

„ზღვის ოფიცრებს ჩვეულებად აქვთ... ჩემი ცხენი...“

—აჰ! თქვენია?“ თქვა მოხუცისაკენ შებრუნებულმა მოლნმა, რომელიც ცოტათი უკვე დამშვიდებულიყო, მაგრამ სახე ჯერ ისევ წამოწითლებული ჰქონდა.

მე ვიფიქრე, მოლნი ახლა ტონს შეიცვლის და ბოდიშს მოიხდის-მეთქი. მან წამით სული მოითქვა, მერე, ეტყობა, სურვილი გაუჩნდა, მდგომარეობა გაემძაფრებინა, ყველაფერი საბოლოოდ დაემსხვრია და უკმეხად უთხრა:

„ძალიან კარგი! საქმე მაინცდამაინც მოსალოცად არა გაქვთ“.

ვიღაცამ ჩაილაპარაკა.

„იქნებ ცივმა წყალმა... ფონზე ხომ არ დაგვებანა...“

„ეს ცხენი, სანამ სიარული კიდევ შეუძლია, — თქვა მოლნმა ისე, თითქოს ნათქვამი არც გაეგონოს — ახლავე უნდა წაიყვანოთ, დასაკარგავი დრო სად არის! თავლაში შეიყვანოთ და იქიდან ფეხი აღარასოდეს გამოადგმევინოთ“.

რამდენიმე ყმაწვილმა მაშინვე თავისი სამსახური შესთავაზა მადმუაზელ დე გალეს, მაგრამ მან სწრაფად მადლობა გადაუხადა და უარი უთხრა: სახეაწითლებული და ასატირებლად გამზადებული ყველას გამოეთხოვა, დარცხვენილ მოლნსაც კი, რომელმაც ვერ გაბედა, მისთვის თვალი გაესწორებინა. ცხენს აღვირში ხელი ისე მოჰკიდა, როგორც ხელს უწვდიან ადამიანს, იმისათვის კი არა, რომ წინ გასძღოლოდა, არამედ უფრო ახლოს მისულიყო... ზაფხულის მიწურულში საბლონიერის გზაზე ისეთი თბილი ქარი უბერავდა, კაცს მაისის თვე ეგონებოდა და ხეების ფოთლებს სამხრეთის ნიავი აცახცახებდა... მიმავალ ქალიშვილს მოსასხამიდან ნახევრად გამოჩენილ წვრილ ხელში ტყავის სქელი აღვირი ეჭირა, გვერდით კი ძლივძლივობით მამა მისდევდა...

ასეთი იყო იმ საღამოს ნაღვლიანი დასასრული! ყველამ ნელ-ნელა თავი მოუყარა თავის ფუთებს, ჯამ-ჭურჭელს, დაკეცეს სკამები, დაშალეს მაგიდები; ბარგით დატვირთული ფურნები და ხალხი ერთიმეორის მიყოლებით ნელ-ნელა გზას გაუდგა. ქუდებს იხდიდნენ და ხელსახოცებს იქნევდნენ, ბოლოს მინდორში ჩვენღა დავრჩით — მე, მოლნი და ბიძია ფლორანტენი, რომელიც თავის წუხილსა და იმედის

გაცრუებას ხმისამოუღებლად ჩვენსავით გულში იკლავდა.

აი, ბოლოს ჩვენც გზას დავადექით. ჩვენი ჩინებული ქლალი ცხენის წყალობით რბილი რესორებიანი ფორანი სწრაფად მირბოდა; მოსახვევებში ქვიშაზე ბორბლები ღრჭიალებდა და მე და მოლნი, უკანა სკამზე რომ ვიჯექით, გავყურებდით თუ როგორ ქრებოდა შორს შარაგზა, რომელსაც ბებერი ბელიზერი და მისი პატრონები გაჰყვნენ...

და მაშინ ჩემი მეგობარი, რომელიც მუდამ ის კაცი მეგონა, რომელმაც ცრემლი რა იყო, არ იცოდა, უეცრად არეული სახით ჩემკენ შემობრუნდა და მის თვალებში მოწოლილი ცრემლი დავინახე.

„შეიძლება, რომ გააჩეროთ? — ჰკითხა მან ფლორანტენს და მხარზე ხელი დაადო — ჩემი დარდი ნუ გექნებათ. ფეხით მოვალ".

ფორნის ფრთაზე ხელით დაებჯინა და ერთი ნახტომით მიწაზე აღმოჩნდა. ჩვენდა გასაკვირად, გზას სირბილით უკან გაჰყვა და იმ შარაგზამდე, შაბლონიერის შარაგზამდე ირბინა, ჩვენ რომ ახლახან გამოვიარეთ.

სამფლობელოში, ეტყობა, იმ ნაძვების ხეივნით შევიდა, რომელიც ერთხელ უკვე გაიარა და მან, ბუჩქებში დამალულმა მაწანწალამ, უცნობი მშვენიერი ბავშვების საიდუმლო საუბარი გაიგონა...

იმავე საღამოს ატირებულმა მოლნმა მადმუაზელ დე გალეს ხელი ითხოვა.

## თავი მეშვიდე

## ქორწინების დღე

თებერვლის დასაწყისია, ხუთშაბათის მშვენიერი ყინვიანი საღამო, ძლიერი ქარი უბერავს, ოთხის ნახევარია... ოთხი საათია... დასახლების გარშემო შუადღიდან ლობეებზე გაკიდულია სარეცხი და ქარზე შრება. ყოველ სახლში სასადილო ოთახის ლუმელში გაჩაღებული ცეცხლი აკიაფებულ სათამაშოებზე ირეკლება. თამაშით დაღლილი ბავშვი დედას გვერდით უზის და მისი ქორწინების დღის ამბავს აყოლებს...

ვისაც არ უნდა ბედნიერი იყოს, ისლა დარჩენია, სხვენში ავიდეს და იქ საღამომდე ყური დაუგდოს ქარიშხლის სტვენასა და ზუზუნს, რომელიც ალბათ ახლა სადღაც ხომალდს ჩაძირვით ემუქრება; ანდა გზაზე გავიდეს, სადაც ქარით აფრიალებული ყელსახვევი ისე დააცხრება ტუჩზე, როგორც მოულოდნელი ცხელი კოცნა, რომელმაც შეიძლება აატიროს კიდეც. მაგრამ იმისთვის, ვისთვისაც ძვირფასია ბედნიერება, ატალახებული გზის პირას არსებობს შაბლონიერის სახლი, სადაც ჩემი მეგობარი მოლნი შევიდა ივონ დე გალესთან ერთად, რომელიც შუადღის მერე მისი მეუღლეა.

ნიშნობის დღიდან ხუთმა თვემ გაიარა. ეს თვეები იყო მშვიდი, იმდენად მშვიდი, რამდენადაც ბობოქარი იყო მათი პირველი შეხვედრა. მოლნი ძალიან ხშირად ჩამოდიოდა საბლონიერში ველოსიპედით ან ფორნით. კვირაში ორჯერ ან სამჯერ მადმუაზელ დე გალე საკერავზე ან წიგნზე დახრილი დიდ ფანჯარასთან, რომელიც დაბლობსა და ნაძვნარს გაჰყურებდა, უცებ ფარდის მიღმა დაინახავდა ხოლმე სწრაფად მომავალ მის მაღალ ჩრდილს, რადგან მოლნი მუდამ მოდიოდა შემოვლითი გზით — ხეივნით, აქ პირველად რა გზითაც მოვიდა, და მისი მხრიდან ეს იყო ერთადერთი უსიტყვო ნიშანი, რომელიც წარსულს აცოცხლებდა, ბედნიერებამ მისი უცნაური შიში თითქოს მიაძინა.

ეს მშვიდი ხუთი თვე რამდენიმე უმნიშვნელო მოვლენით აღინიშნა. მე სენ-ბენუა-დეშანში მასწავლებლად დამნიშნეს. სენ-ბენუას სოფელი არ ეთქმის, მინდვრებში დაფანტული ფერმებია და სკოლის შენობა მთლად განცალკევებულად დგას გზის პირა ბორცვზე. მე განდეგილის ცხოვრებით ვცხოვრობ, მაგრამ მინდვრებს თუ გადაივლი, სამ მეოთხედ საათში პირდაპირ საბლონიერში მიხვალ.

დელუში ახლა ცხოვრობს ბიძაჩემთან, რომელიც კალატოზების მოიჯარადრეა ვიე-ნანსეიში. მალე ჟასმენი თვითონ იქნება მეპატრონე. ჩემს სანახავად ხშირად მოდის და მადმუაზელ დე გალეს ხათრით მოლნი მას ახლა ძალიან მეგობრულად ექცევა.

აი, რითი აიხსნება, რომ უკვე ოთხი საათი სრულდება, ქორწილის ხალხი რა ხანი დაიშალა და ჩვენ ისევ ამ მიდამოებში დავეხეტებით.

ჯვარი შუადღისას დაიწერეს მეტისმეტად მოკრძალებულად საბლონიერის ძველ სამლოცველოში, რომელიც არ დაენგრიათ და მახლობელი გორაკის ფერდობზე სანახევროდ ნაძვებით იყო დაფარული. სახელდახელო საუზმის მერე მოლნის დედა, ბატონი სერელი, მილი, ფლორანტენი და სხვები ფორანში ჩასხდნენ და წავიდნენ. მხოლოდ ჟასმენი და მე დავრჩით.

ჩვენ დავეხეტებოდით იმ ტყის პირას, საბლონიერის სახლის უკან ვეებერთელა უხნავ მიწას რომ ეკვრის, სადაც აწ უკვე დანგრეული ძველი სამფლობელო იყო. არ ვიცით, რად შეგვიპყრო მოუსვენრობამ და არც გვინდა ამაში თავს რომ გამოვუტყდეთ. ამაოდ ვცდილობთ, ცუდი ფიქრები თავიდან მოვიშოროთ და შეშფოთება არ გავამჟღავნოთ იმით, რომ ერთმანეთს გზაში კურდღლის ორმოებს, ბოცვრების ახლახან ნათხარ ქვიშის გროვას, დადგმულ ხაფანგს და ბრაკონიერის კვალს ვუჩვენებთ... ბოლოს მაინც ვუბრუნდებით ამ ადგილს ბუჩქნარის კიდეზე, სადაც გამოკეტილი მდუმარე სახლი მოჩანს...

დიდი ფანჯრის ქვეშ, ნაძვნარს რომ გადამყურებს, ხის აივანია, ბალახმოდებული, და იმ ბალახს ქარი ძირს აწვენს. ფანჯრის მინებზე ბუხარში გაჩაღებული ცეცხლის ანარეკლი ეცემა, დროდადრო ჩრდილი გაკრთება. ირგვლივ კი, ახლომახლო მინდვრებში, ბოსტანში, ერთადერთ ფერმაში, რომელიც ძველი შენობებიდან შემორჩა, — სიჩუმეა და უდაბურება. მოიჯარადრეები წავიდნენ დაბაში, რომ თავისი პატრონების სადღეგრძელო შესვან.

ზოგჯერ ნოტიო ქარს, რომელიც მალე წვიმად უნდა გადმოიქცეს და სახეს გვისველებს, ჩვენამდე მოაქვს პიანინოზე დარხეული აკორდები, იქ, გამოკეტილ სახლში ვიღაც უკრავს. ერთ წამს ვჩერდები, სიჩუმეში ყური რომ მივუგდო. თითქოს შორიდან მოღწეული ათრთოლებული ხმა ცდილობს თავისი სიხარული სიმღერით გამოხატოს... თითქოს იმ პაწაწინა გოგონას სიცილი ისმის, რომელმაც ოთახში თავისი ყველა სათამაშო მოზიდა და მეგობარს წინ დაულაგა... მე ვფიქრობ იმ ყმაწვილი ქალის შიშნარევ სიხარულზე, რომელმაც ლამაზი კაბა ჩაიცვა, იმით პირველად უნდა გამოვიდეს გარეთ, მაგრამ არ იცის, უხდება თუ არა... ეს ჩემთვის დღემდე უცნობი მელოდია ლოცვაა, თითქოს ვიღაც მუხლმოყრილი დგას ბედნიერების წინაშე და ევედრება, მეტისმეტად შეუბრალებელი ნუ იქნება...

მე ვფიქრობ: „ბოლოსდაბოლოს ისინი ბედნიერები არიან. მოლნი იქ, მის გვერდით არისმეთქი..."

მხოლოდ ის მინდა ვიცოდე, მხოლოდ ამაში მინდა დარწმუნებული ვიყო და ჩემისთანა კეთილი ბიჭის ბედნიერებისათვის მხოლოდ ესეც კმარა.

ამ დროს ჩაფიქრებულმა და რადგან დაბლობიდან ნოტიო ქარი უბერავდა, თითქოს ზღვის შხეფებისაგან სახედასველებულმა მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი:

„ყური დაუგდე!" მითხრა ძალიან ჩუმად ჟასმენმა.

შევხედე. მანიშნა, არ გაინძრეო, თავდახრილი და წარბშეკრული თვითონაც ყურს უგდებდა.

## თავი მერვე

## ფრანცის ძახილი

„უუ-უ!"

ამჯერად მეც გავიგონე ეს სიგნალი, ორი, დაბალი და მაღალი ბგერისაგან შემდგარი ეს ძახილი, ადრეც რომ გამეგონა. ა!! გამახსენდა, ეს იმ აყლაყუდა მოხეტიალე მსახიობის ძახილია, თავის ყმაწვილ მეგობარს სკოლის ჭიშკართან რომ ელოდებოდა. ჩვენ ხომ ფრანცს სიტყვა მივეცით, რომ ამ ძახილს, სადაც და როცა არ უნდა გაგვეგონა, ყველგან გამოვეხმაურებოდით, მაგრამ რატომ ისმის ეს ძახილი დღეს აქ?

„ეს ხმა ნაძვნარში მარცხენა მხრიდან ისმოდა, — ვამბობ ხმადაბლა — ბედნიერი იქნება".

ჟასმენმა თავი გააქნია.

„შენც იცი, რომ ასე არ არის", ამბობს ის. და მერე უფრო ხმადაბლა დასძენს:

„დილიდან აქ დაეხეტებიან. ასე თერთმეტი საათი იქნებოდა, განაში რომ დავინახე, სამლოცველოს ახლოს იდგა მინდორში და ვიღაცას უთვალთვალებდა. როგორც კი დამინახა, გაიქცა. შორიდან არიან მოსულები, ალბათ ველოსიპედით იარეს, თავით ფეხამდე ტალახში არიან ამოგანგლულები..."

„რას დაეძებენ?"

„რა ვიცი, როგორმე აქაურობას უნდა მოვაშოროთ. ამ არემარეზე არ უნდა დაეხეტებოდნენ. ისევ ძველი არეულ-დარეულობა დაიწყება..."

ხმა არ გამიღია, რადგან მართალს ამბობდა.

„აჯობებდა, — ვთქვი მე — მათთან მივსულიყავით, გვენახა, გაგვეგო, რა უნდათ და როგორმე დაგვეყოლიებინა..."

და აი, მოხრილები ჩვენ ნელა მივრბივართ ბუჩქნარში ნაძვების დიდ კორომამდე, საიდანაც თანაბარი ინტერვალებით ისმოდა ეს გრძელი ძახილი, რომელიც თავისთავად ალბათ სხვა შეძახილზე ნაღვლიანი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ კი, ორივეს, ავისმომასწავებლად გვეჩვენებოდა.

ამ ნაძვნარში, სადაც სწორად ჩარიგებულ ხეებში თვალი ველარაფერს არჩევს, ძნელია, კაცს შეუმჩნევლად მიუახლოვდე და თავს წაადგე. ეს ჩვენ არც გვიცდია. მე ნაძვნარის ერთ მხარეს დავდექი, ჟასმენი მოპირდაპირე მხარეზე დადგა იმგვარად, რომ იქიდან ორივე მხარე კარგად დაგვენახა და არცერთი მაწანწალა ხელიდან ისე არ გაგვსხლტომოდა, რომ არ შევხმიანებოდით. პოზიცია დავიკავეთ თუ არა, გადავწყვიტე, მშვიდობიანი მოლაპარაკება დამეწყო და დავიძახე:

„ფრანც!...

...ფრანც! ნურაფრისა გეშინია. მე ვარ, სერელი. თქვენთან ლაპარაკი მინდა...."

სიჩუმე ჩამოვარდა. ვიფიქრე, კიდევ დავიყვირებ-მეთქი, როცა შუა ნაძვნარიდან, რომელსაც ჩემი მზერა თითქმის არა სწვდებოდა, ვიღაცამ ბრძანება გასცა:

„ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოთ: იგი თქვენთან თვითონ მოვა".

ნელნელა ნაძვებში, რომლებიც ისე ჩანდა, თითქოს ერთიმეორის გვერდით იდგნენ, გავარჩიე ახალგაზრდა კაცის ჩრდილი, რომელიც მიახლოვდებოდა; იგი ტალახში ამოგანგლული და ცუდად ჩაცმული იყო; ველოსიპედის კბილანებს მისი შარვლის ტოტები დაეჭმუჭნა, ძველი ლუზიანი ქუდი ჩამოფხატული ჰქონდა

ჩამოგრძელებულ თმაზე; ახლა მისი გამხდარი პირისახეც დავინახე... თითქოს ნამტირალევი ჩანდა.

იგი მტკიცე ნაბიჯით მომიახლოვდა:

„რა გნებავთ?“ მკითხა ძალიან გამომწვევად.

„თქვენ თვითონ აქ რას აკეთებთ, ფრანც? რატომ მოხვედით და რატომ უნდა დაურღვიოთ იმათ მყუდროება, ვინც ბედნიერები არიან? რა გსურთ, მითხარით“.

ასეთმა პირდაპირმა შეკითხვამ იგი ცოტათი გააწითლა და ჩურჩულით მხოლოდ ესღა მიპასუხა:

„მე უბედური ვარ, უბედური“.

და ხეზე მიყუდებული, ხელებში თავჩარგული გულსაკლავად აქვითინდა. ჩვენ ნაძვნარში რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით. ეს ადგილი საოცრად წყნარია, რადგან ტყის პირზე მდგარი ნაძვების გამო აქამდე ქარის ხმაც კი ვერ აღწევს, ახოვან ხეებში ექოდ ისმის და შორს წყდება ყმაწვილი კაცის ყრუ ქვითინი. მე ველოდები, როდის დაწყნარდება, მხარზე ხელს ვადებ და ვეუბნები:

„ფრანც, წამომყევით, მე იმათთან მიგიყვანთ. ისე მიგიღებენ, როგორც დაკარგულ ბავშვს, რომელიც გამოჩნდა და ყველაფერს ბოლო მოეღება“.

მაგრამ არაფრის გაგონება არ უნდა, ცრემლგარეული ხმით უბედური, ჯიუტი და გაბრაზებული მაინც თავისას განაგრძობს:

„მაშ, მოლნი ჩემზე აღარა ფიქრობს? რატომ არ მეპასუხება, როცა ვეძახი? თავის დაპირებას რატომ არ ასრულებს?“

„იცი, რა, ფრანც, — ვეუბნები — ფანტასმაგორიისა და ბავშვობის დრო წავიდა. თქვენი უგუნურებით ბედნიერებას ნუ დაურღვევთ იმათ, ვინც გიყვართ — თქვენს დასა და ოგიუსტენ მოლნს“.

„მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ მხოლოდ მას შეუძლია მიშველოს. მხოლოდ მას შეუძლია იპოვოს ის კვალი, რომელსაც მე ვეძებ. აი, უკვე თითქმის სამი წელიწადია, რაც მე და განაში მთელს საფრანგეთში უაზროდ დავეხეტებით. მე მხოლოდ თქვენი მეგობრის იმედიღა მაქვს, ის კი აღარ მეპასუხება, მან ხომ იპოვა თავისი სიყვარული, ჩემზე რატომ აღარ ფიქრობს? უნდა გზას გაუდგეს. ივონა ხელს არ შეუშლის... ივონას ჩემთვის წინააღმდეგობა არასოდეს გაუწევია“.

მე ვხედავ მის სახეს, მტვრიანსა და ტალახიანს, რომელზედაც ცრემლებმა ჭუჭყიანი კვალი დატოვეს; გატანჯული და ნაადრევად დაბერებული ყმაწვილის სახეს; თვალებს ქვევით ჭორფლს, გაუპარსავ ნიკაპს, გაჭუჭყიანებულ საყელოზე დაფენილ გრძელ თმას; ჯიბეებში ხელებჩაყოფილი სიცივით კანკალებს. ის აღარ არის უწინდელი მეფური გარეგნობის ძონძებიანი უფლისწული. გულით უთუოდ უფრო ბავშვურია, ვიდრე ადრე იყო: მედიდური, ნებიერი, სასოწარკვეთილებაში რომ ადვილადვარდება, მაგრამ ეს ბავშვურობა ნაადრევად დაბერებულ ყმაწვილში უკვე მძიმე ასატანი იყო... ადრე ისეთი ახალგაზრდული სიამაყე ჰქონდა, რომ მისთვის ამ ქვეყანაზე ყოველგვარი უგუნურება ნებადართული იყო. ახლა მაშინვე გეუფლებოდა სურვილი, შეგცოდებოდა, როგორც ცხოვრებაში ხელმოცარული; მერე კი გინდოდა დაგეტუქსა — იმდენად აბსურდული იყო როლი რომანტიკული გმირისა, რომელსაც იგი ასე თავდავიწყებით ებღაუჭებოდა... და ბოლოს, ვერც ის დამევიწყებინა, ჩვენი კეთილი ფრანცი თავისი ამაღლებული სიყვარულის მიუხედავად, შიმშილით სული რომ არ გასძვრომოდა, მისი მეგობარი განაშივით არც ქურდობას თაკილობდა... ამაყი სული ასე როგორ დაეცა!

„მე თუ შემპირდებით, — ვუთხარი ბოლოს მცირეოდენი დაფიქრების მერე — რომ რამდენიმე დღეში მოლნი მხოლოდ თქვენი გულისთვის გზას დაადგება-მეთქი?“

„და იგი მიზანს მიაღწევს, არა? თქვენ დარწმუნებული ხართ?“ მკითხა მან ისე, რომ სიცივით კბილს კბილზე აცემინებდა.

„მე მგონი მისთვის არაფერია შეუძლებელი!“

„მე ამას როგორ შევიტყობ? ვინ მეტყვის?“

„თქვენ აქ ზუსტად ერთი წლის შემდეგ დაბრუნდებით ამავე დროს და თქვენთვის ესოდენ ძვირფასი ყმაწვილი ქალი აქ დაგხვდებათ“.

ამას რომ ვამბობდი, სულაც არ ვაპირებდი, ახალშეუღლებულთა მყუდროება დამერღვია, მინდოდა ყოველივე დეიდა მუანელთან გამერკვია და ყმაწვილი ქალი თვითონ მომეძებნა.

მაწანწალა ნამდვილად საოცარი რწმენის წყურვილით შემომყურებდა. იგი ისევ თხუთმეტი წლისა იყო! — იმ ასაკისა, რა ასაკისანიც ვიყავით სენტ-აგატში იმ საღამოს, კლასს რომ ვალაგებდით და სამივემ ეს საშინელი ბავშვური ფიცი დავდეთ.

მაგრამ აი, იგი ისევ სასოწარკვეთილებამ მოიცვა, როცა იძულებული შეიქნა, ეთქვა:

„მაშ, კარგი, ჩვენ წავალთ“.

და ნამდვილად გული შეეკუმშა, როცა თვალი მოავლო იმ არემარეს, რომელიც ისევ უნდა დაეტოვებინა.

„სამ დღეში, — თქვა მან — ჩვენ უკვე გერმანიისაკენ მიმავალ გზაზე ვიქნებით. ფორნები შორს დავტოვეთ. ოცდაათი საათი ფეხით ვიარეთ და არსად შევჩერებულვართ. გვეგონა, აქ მოსვლას ქორწინებამდე მოვასწრებდით და მოლნს წავიყვანდით, რომ ჩემი დანიშნული ერთად ისე მოგვეძებნა, როგორც მან საბლონიერის სამფლობელო მოძებნა“.

შემდეგ ისევ ბავშვური გულუბრყვილობა დაეუფლა:

„თქვენს დელუშს უხმეთ, — თქვა მან წასვ-

ლისას — თორემ გზაში თუ შემხვდა, საშინელება მოხდება".

დავინახე, ნაძვებში ნელნელა თვალს როგორ მოეფარა მისი ნაცრისფერი ლანდი. მე ყასმენს დავუძახე, სეირნობა რომ ისევ გაგვეგრძელებინა. მაგრამ შორს თითქმის მაშინვე დავინახე ოგიუსტენ მოლნი, რომელიც სახლის დარაბებს ხურავდა და ჩვენ შეგვაშფოთა მისმა უცნაურმა ქცევამ.

## თავი მეცხრე

## ბედნიერი ადამიანები

მოგვიანებით უფრო დაწვრილებით გავიგე, რაც იქ მოხდა...

ნაშუადღევს მოლნი და მისი ცოლი, რომელსაც კვლავინდებურად ისევ მადმუაზელ დე გალეს ვეძახი, საბლონაერის სახლის მისაღებ ოთახში სრულიად მარტონი დარჩნენ. სტუმრები რომ წავიდ-წამოვიდნენ, მოხუცმა ბატონმა დე გალემ წამით კარი გააღო და სახლში ქარი ზუზუნით შემოიჭრა. შემდეგ იგი ვიე-ნანსეიში წავიდა, რომ იქ სადილობამდე დარჩენილიყო, ფერმაში ყველა კარი გასაღებით დაეკეტა და განკარგულებები გაეცა. ახლა გარედან აღარავითარი ხმაური აღარ აღწევდა; მხოლოდ შიშველი ასკილის ტოტი ეხლებოდა იმ ფანჯარას, რომელიც მინდორს გაჰყურებდა. ორი შეყვარებული თავის ბედნიერებაში ისე იყვნენ განმარტოებულნი, როგორც ორი მგზავრი ზამთრის ძლიერ ქარში, დინებას მინდობილ ხომალდზე.

„ცეცხლი საცაა ჩაქრება", თქვა მადმუაზელ დე გალემ და ყუთიდან შეშის ნაპობის ამოღება დააპირა.

მაგრამ მოლნმა დაასწრო და ბუხარში შეშა თვითონ შეუკეთა.

შემდეგ მან ხელი მოჰკიდა ყმაწვილი ქალის გამოწვდილ ხელს და ორივენი ასე დარჩნენ აქ ფეხზე მდგომნი, ერთმანეთის პირისპირ სულშეგუბებულნი და გაოგნებულნი იმ ახალი ამბით, რომელიც სიტყვით ვერ გამოიხატებოდა.

ქარი ადიდებულ და კლაპოტიდან გადმოსულ მდინარესავით გრიალებდა. დროდადრო წვიმის წვეთი მინას ისე დიაგონალურად ხაზავდა, როგორც მატარებლის ფანჯარას.

ყმაწვილმა ქალმა ოგიუსტენს ხელი წაართვა და გაიქცა. დერეფნის კარი გააღო და იდუმალი ღიმილით გაქრა. წამით ოგიუსტენი ოთახის ბინდში მარტო დარჩა... კედლის პატარა საათის წიკწიკი სენტ-აგატის სასადილო ოთახს ახსენებდა... მან უთუოდ გაიფიქრა: „აი, ის სახლი, რომელსაც ამდენხანს ვეძებდი; აი, დერეფანი, ოდესღაც სავსე ჩურჩულითა და უცნაური გასასვლელებით..."

ეტყობა, სწორედ ამ დროს გაიგონა მან — მადმუაზელ დე გალემ მითხრა მერე, რომ მანაც გაიგონა, — ფრანცის პირველი ძახილი, სახლთან ძალიან ახლოს რომ გაისმა.

ყმაწვილი ქალი ახლა მას უჩვენებდა საოცარ ნივთებს, რომლებიც მან ოთახში შემოიტანა: მისი ბავშვობის სათამაშოებს, პატარაობის ფოტოსურათებს — მარკიტანი ქალის ტანისამოსი ეცვა და ფრანცთან ერთად მუხლებზე ეჯდა დედას, რომელიც ასე ლამაზი იყო... ყველა იმ პაწაწინა ძვირფას კაბას, რაც დროს გადაურჩა... „აი, ამას, მგონი, თქვენს გაცნობამდე ვატარებდი, ალბათ, სწორედ მაშინ, როცა თქვენ სენტ-აგატის სასწავლებელში მოხვედით..." მაგრამ მოლნი უკვე ვეღარაფერს ხედავდა და აღარაფერი ესმოდა.

მერე ერთ წამს თითქოს სინამდვილეს დაუბრუნდა და გაიხსენა, რომ არაჩვეულებრივად ბედნიერი იყო:

„თქვენ აქ ხართ, — თქვა მან ისე ყრუდ, თითქოს ამ სიტყვებს რომ წარმოსთქვამდა, თავბრუ ესხმოდა — ამ მაგიდასთან დადიხართ და წამით თქვენი ხელით ეხებით..."

და კიდევ:

„დედაჩემი ახალგაზრდობაში აი, სწორედ ასე იხრებოდა, როცა მე მელაპარაკებოდა ხოლმე... და როცა პიანინოსთან ჯდებოდა.."

მაშინ მადმუაზელ დე გალემ მოინდომა, სანამ დაღამდებოდა, მანამდე დაეკრა, მაგრამ ოთახის ამ კუნჭულში ბნელოდა და იძულებულნი გახდნენ, სანთელი აენთოთ. ვარდისფერი აბაჟურის შუქზე ყმაწვილ ქალს ყვრიმალები უფრო მეტად შეფაკლული ჰქონდა, რაც მის მღელვარებას ამჟღავნებდა.

აი, სწორედ ამ დროს შემომესმა იქ, ტყის პირზე აკანკალებული სიმღერა, რომელიც ქარს ჩვენამდე მოჰქონდა. ეს სიმღერა იმ ორი უგუნურის ყვირილმა შეწყვიტა, ჩვენ რომ ნაძვნარში მოგვიახლოვდნენ.

მოლნი დიდხანს უსმენდა ყმაწვილი ქალის დაკვრას და თან ფანჯარაში უსიტყვოდ იყურებოდა. რამდენჯერმე შებრუნდა და დააკვირდა ქალიშვილის უნაზეს სახეს, დაქანცულსა და შეშფოთებულს. მერე ივონნას მიუახლოვდა და ხელი მხარზე ნაზად დაადო. ივონნამ იგრძნო ყელთან ეს ალერსიანი შეხება, მაგრამ მან არ იცოდა, როგორ უნდა ეპასუხა.

„ბნელდება, — თქვა მოლნმა ბოლოს, — დარაბებს მივხურავ, დაკვრა არ შეწყვიტოთ..."

რა ხდებოდა მის გაუგებარ და მიუკარებელ სულში? ამას ჩემს თავს ხშირად ვეკითხებოდი, მაგრამ პასუხი მაშინ გავიგე, როცა უკვე გვიან იყო. გაურკვეველი სინდისის ქენჯნა იყო? შეუცნობელი სინანული? ხელში რომ ასე მაგრად ეპყრა, ის არნახული ბედნიერება როგორ გაუქრებოდა, იმისი ხილვის შიში? ამასთან, საშინელი ცთუნება, მიწაზე ახლავე დაენარცხებინა და სამუდამოდ დაემსხვრია ის საოცრება, მას რომ ბედმა არგუნა?

მან ერთხელ კიდევ შეხედა თავის ახალგა-

ზრდა ცოლს და მერე ოთახიდან დინჯად და უსიტყვოდ გავიდა. მე და ქასმენმა ტყის პირიდან დავინახეთ, ჯერ ერთი დარაბა გაუბედავად რომ მიხურა, მერე დაბნეულმა ჩვენკენ გამოიხედა, ჩვენი მიმართულებით გამოიქცა. ჩვენამდე მანამდე მოირბინა, სანამ მოვიფიქრებდით და მივიმალებოდით. ჩვენ მაშინღა შეგვამჩნია, როცა იმ დაბალ ღობეზე აპირებდა გადმოხტომას, მინდორს გარს ახლახან რომ შემოავლეს. იგი უცებ შებრუნდა, მახსენდება მისი დაბნეული, ალყაში მოქცეული ნადირის გამომეტყველება... ისე მოგვაჩვენა, თითქოს უკან ბრუნდებოდა, რომ პატარა ნაკადულთან ღობეზე გადმომძვრალიყო.

მე დავუძახე:

„მოლნ!.. ოგიუსტენ!..“

მაგრამ არც მოუხედავს. მაშინ დარწმუნებულმა, რომ მხოლოდ ესღა შეაჩერებდა, დავუყვირე:

„ფრანცი აქ არის, შეჩერდი!“

იგი დადგა. აქოშინებულმა არც კი დამაცადა, რომ მომეფიქრებინა, რა მეთქვა, მაშინვე მკითხა:

„აქ არის! რა უნდა?“

„ის უბედურია, — ვუთხარი მე — შენთან დახმარების სათხოვნელად მოვიდა, დაკარგულის ძებნაში რომ მოეხმარო“.

„აჰ! — თქვა მან თავდახრილმა — ასეც ვიფიქრე. ბევრი ვეცადე, რომ ეს ფიქრი თავიდან მომეშორებინა... სად არის? ახლავე მითხარი“.

ვუთხარი, ფრანცი წავიდა და ახლა უკვე ველარ დაეწევი-მეთქი, მოლნს ელდა ეცა. დაიბნა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა. თითქოს დარდსა და ნაღველს მისი გული ველარ იტევდა. მე ვუთხარი, მისი სახელით ყმაწვილ კაცს რაც დავპირდი და რომ წლის თავზე ერთმანეთს იმავე ადგილზე უნდა შევხვედროდით.

ჩვეულებრივად მშვიდი ოგიუსტენი ახლა უჩვეულოდ განერვიულდა და მოთმინება დაკარგა:

„აჰ! ეს რა გიქნია! კი, რა თქმა უნდა, შემიძლია ვუშველო, მაგრამ ეს ახლავე უნდა გაკეთდეს. უნდა ვნახო, დაველაპარაკო, რომ მომიტევოს და ყველაფერი გამოვასწორო... სხვანაირად მე იქ ვერ გამოვჩნდები...“

და საბლონიერის სახლისაკენ შებრუნდა.

„ესე იგი, იმ რაღაც ბავშვური პირობის შესასრულებლად, შენ რომ დადე, მზადა ხარ, შენი ბედნიერება დაანგრიო?“

„აჰ, საქმე მხოლოდ პირობას რომ ეხებოდეს“, თქვა მან.

და ასე გავიგე, რომ მიცემული პირობის გარდა, ამ ორ ყმაწვილს თურმე სხვა რაღაც კიდევ აკავშირებდა, მაგრამ რა, ამას კი ვერ მივმხვდარიყავი.

„ყოველ შემთხვევაში, — ვთქვი მე — დევნების დრო აღარ არის, ისინი ახლა უკვე გერმანიისაკენ მიმავალ გზაზე დგანან“.

მას უნდოდა რაღაც ეპასუხა, მაგრამ ამ დროს ჩვენ შორის ჩადგა თმაგაწეწილი, არეული მადმუაზელ დე გალე, ერბინა, სახე ოფლს დაეცვარა, ეტყობა დაცემულიყო და თავი დაერტყა, რადგან შუბლი მარცხენა თვალთან გახეთქილი ჰქონდა და თმაზე სისხლი შეხმობოდა.

ერთხელ პარიზის ღარიბული კვარტალის ერთ ქუჩაზე ვნახე, პოლიციელები რომ აშველებდნენ წაკიდებულ ცოლ-ქმარს, რომლებიც აქამდე ეგონათ, რომ მეგობრულად, თანხმობით და ბედნიერად ცხოვრობდნენ. ჩხუბი უცებ ამტყდარა, როცა მაგიდასთან ჯდებოდნენ ან კვირა დღე რახან იყო, გასასეირნებლად სახლიდან სანამ გამოვიდოდნენ, ანდა თავიანთ პატარა ბიჭს დღეობას რომ ულოცავდნენ, მაშინ. და აი, ახლა ყველაფერი დავიწყებას მიეცა, ყველაფერი გაქელილი იყო. ქალი და კაცი ჩხუბში ორ გააფთრებულ დემონს დამსგავსებოდა და ატირებული ბავშვები ფეხებში უვარდებოდნენ, ტანზე ეხვეოდნენ, ევედრებოდნენ, დაშოშმინებულიყვნენ და ჩხუბი გაეთავებინათ.

მადმუაზელ დე გალე რომ მოლნთან მოვიდა, სწორედ ერთი ასეთი საწყალი, გადარეული ბავშვი გამახსენდა; მე მგონი, ყველა მის მეგობარს, მთელს სოფელს, მთელ ქვეყნიერებას რომ დაენახა, მაინც ასე გამოიქცეოდა და ასე დაეცემოდა, გაწეწილი, ატირებული, ტალახში ამოსვრილი.

მაგრამ როცა გაიგო, რომ მოლნი აქ იყო და დღეს მაინც არ მიატოვებდა, ხელი გამოხდო და ჯერ თვალცრემლიანმა პატარა ბავშვივით სიცილი ველარ შეიკავა. არცერთს ხმა არ გაუღია, მაგრამ როცა მან ცხვირსახოცი ამოიღო, მოლნმა ნაზად ხელი დაუჭირა ყმაწვილ ქალს და თმაზე შემხმარი სისხლი სიფრთხილითა და რუდუნებით მოაშორა.

„ახლა კი შინ უნდა მივბრუნდეთ“, თქვა მან.

ზამთრის საღამოს ძლიერ ქარში, რომელიც მათ სახეში სცემდა, უკან გაბრუნდნენ წამით მიტოვებული მათი სახლისაკენ: ძნელი გადასავალი საცა იყო, მოლნი ეხმარებოდა, ივონა კი იღიმებოდა და ჩქარობდა.

## თავი მეათე

## „ფრანცის სახლი“

შეპყრობილს წინათგრძნობითა და ფარული მოუსვენრობით, რაც გუშინდელი მღელვარების მშვიდობიანმა დასასრულმა ვერ გაფანტა, მეორე დღე იძულებული ვიყავი დილიდან საღამომდე სკოლაში გამეტარებინა. საღამოს კლასის გაკვეთილების დამთავრებისთანავე საბლონიერის გზას დავადექი. ღამდებოდა, სახლისკენ მიმავალ ნაძვების ხეივანთან რომ მივედი, ყველა დარაბა უკვე დახურული იყო. შემეშინდა, ქორწინების მეორე დღეს აბეზარი სტუმარივით უდროო დროს არ გამოვცხადებულიყავი და

ბაღის გარშემო და მომიჯნავე ნაკვეთებში ძალიან დიდხანს დავეხეტებოდი, დაკეტილი სახლიდან გამოსული იქნებ ვინმე დავინახო მეთქი... მაგრამ ჩემი იმედი ტყუილი გამოდგა, მეზობელ ფერმაშიც კი არავინ გაჭაჭანებულა და მეტისმეტი ნაღვლიანი ფიქრებით მოცული იძულებული გავხდი, შინ მივბრუნებულიყავი.

მეორე დღეს, შაბათს, ისევ არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი, საღამოს საჩქაროდ ხელი დავავლე ჩემს მოსასხამს, ჯოხს, პურის ნაჭერს, რომ წამეხემსა, და უკვე ღამდებოდა, საბლონიერში რომ მივედი, მაგრამ როგორც წინა დღით, ყველაფერი ჩაკეტილი დამხვდა... მეორე სართულის ფანჯრიდან სუსტი სინათლე გამოდიოდა, მაგრამ ისევ სიჩუმე იყო და არაფერი მოძრაობდა... თუმცა ის კი შევამჩნიე, რომ ფერმის კარი ღია იყო, დიდ სამზარეულოში ცეცხლი ენთო და იქიდან თითქოს ნაბიჯებისა და საუბრის ის ნაცნობი ხმებიც გამოდიოდა, რომელიც სადილობის დროს ისმის ხოლმე, ამან თითქოს რამდენადმე დამამშვიდა, მაგრამ ვერაფერი გამაგებინა. სხვას ვერაფერს ვერც ვეტყოდი და ვერც შევეკითხებოდი, ამიტომ ისევ ხეტიალი დავიწყე და იმის იმედიც კი არა მქონდა, რომ კარი აი, ახლა კი გაიღებოდა და ბოლოს და ბოლოს ოგიუსტენის გრძელ ლანდს დავინახავდი.

მხოლოდ კვირას, ნაშუადღევს გავბედე, საბლონიერის სახლის კარზე რომ დამერეკა. შიშველ ბორცვებზე ბობღვა-ბობღვით მივდიოდი, როცა შორიდან ზამთრის მწუხრის ზარების ხმა შემომესმა. ვიგრძენი, რომ ამ ქვეყანაზე მარტო ვიყავი და უნუგეშო. უსიამოვნო წინათგრძნობამ შემიპყრო და ძალიან არ გამკვირვებია, როცა ჩემი ზარის დარეკვაზე კარებში ბატონი დე გალე გამოჩნდა და ხმადაბლა მითხრა: ივონ დე გალე სიცხიანი საწოლში წევს, მოლნი პარასკევ დილით შორეულ მოგზაურობაში წავიდა და არ ვიცით, როდის დაბრუნდებაო...

და რადგან დაბნეული და დანაღვლიანებული მოხუცი შინ არ მეპატიჟებოდა, მაშინვე გამოვეთხოვე, კარი რომ მოიხურა, წამით ზღურბლთან შევჩერდი გულშეკუმშული, აფორიაქებული და მეც არ ვიცი, რატომ შევყურებდი მზის სხივებით განათებულ გლიცინიის გამხმარ ტოტს, რომელსაც ქარი ნაღვლიანად აქანავებდა. დიახ, იმ იდუმალ სინდისის ქენჯნას, რომელიც პარიზიდან დაბრუნების შემდეგ მოლნს აწვალებდა, თავისი გაეტანა და ჩემი მეგობარი თავის ბედნიერებას ბოლოს მაინც გაექცეოდა...

ყოველ ხუთშაბათს და ყოველ კვირა დღეს მივდიოდი ივონ დე გალეს ამბავი რომ მეკითხა, სანამ ბოლოს, ერთ საღამოს გამომჯობინებულმა შინ არ შემიპატიჟა. ბუხართან იჯდა იმ ოთახში, რომლის დიდი დაბალი ფანჯარა მინდორსა და ტყეს გაჰყურებდა. სრულებით არ იყო ფერდაკარგული, როგორც მოველოდი, პირიქით, თითქოს ცეცხლი ეკიდა, ყვრიმალებზე წითელი ლაქები აჩნდა და მეტისმეტად აღგზნებული ჩანდა. ეტყობოდა, რომ ჯერ კიდევ ძალიან სუსტად იყო, მაგრამ ისე ჩაეცვა, თითქოს შინიდან გარეთ გასვლას აპირებდა. ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ ყოველ წინადადებას ისეთი უჩვეულო სიმკვირცხლით წარმოსთქვამდა, თითქოს თავი უნდოდა დაერწმუნებინა, რომ ბედნიერება ჯერ კიდევ დაკარგული არ იყო... რაზე ვილაპარაკეთ, არ დამახსომდა, მაგრამ ის კი მახსოვს, ყოყმანის მერე ვკითხე, მოლნის დაბრუნებას როდის ელი-მეთქი.

„არ ვიცი, როდის დაბრუნდებაო“, მიპასუხა მან მკვირცხლად.

მის თვალებში ჩუმი მუდარა ამოვიკითხე და ვიფიქრე, აღარაფერს შევეკითხები-მეთქი.

მის სანახავად ხშირად დავდიოდი. ხშირად ვესაუბრებოდი ბუხართან იმ დაბალჭერიან სასტუმრო ოთახში. სადაც სხვა ოთახებზე უფრო მალე ღამდებოდა. არასოდეს არ ლაპარაკობდა არც თავისთავზე და არც გულში ჩამარხულ თავის დარდზე. მაგრამ სენტ-აგატის მოწაფური ცხოვრების ამბებს კი დაწვრილებით და გაუთავებლად მაყოლინებდა.

სერიოზული, ალერსიანი და ლამის დედობრივი ყურადღებითაც კი უგდებდა ყურს ჩემს მონათხრობს იმდროინდელ საწუხარზე, როცა ჩვენ დიდი ბავშვები ვიყავით. მას თითქოს არასოდეს აოცებდა ჩვენი ყველაზე სახიფათო და თავხედური გამოხდომები. ის ალერსიანი მზრუნველობა, რომლითაც იგი ბატონ დე გალეს ეპყრობოდა, ისევე არ ამძიმებდა მას, როგორც ძმის სამწუხარო თავგადასავლები. როცა წარსულზე ფიქრობდა, მხოლოდ იმაზე ნანობდა, რომ ვერ შეძლო და ძმასთან კიდევ უფრო მეტად სასურველი გულწრფელი ურთიერთობა ვერ დაამყარა, რადგან სასოწარკვეთილების ჟამს ძმამ გული ვერც მას და ვერც სხვას ვერ გადაუშალა და გადაწყვიტა, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდიო. მე მხოლოდ ახლა მივხვდი, ამ ყმაწვილ ქალს ცხოვრებამ აუტანელი ტვირთით მხრები როგორ დაუმძიმა; დამლუპველი ტვირთით — განებივრებული ძმის უგუნურებისათვის ხელი შეეწყო; წელში გამდრეკი ტვირთით — ჩემი მეგობრის, დიდი მოლნის უმამაცესი გულის ჭირვარამი გაეზიარებინა.

ერთ დღეს მან მომცა ყველაზე ამაღელვებელი და, მე ვიტყოდი, თითქმის ყველაზე ფარული დასტური იმისა, რომ მას დღემდე კვლავინდებურად სჯეროდა თავისი ძმის ბავშვური ოცნებებისა და ისწრაფვოდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გადაერჩინა ნამცეცები მაინც იმ სიზმრებისა, რომლებისთვისაც მის ძმას ლამის ოცი წლის ასაკშიც კი თავი ვერ დაეღწია.

აპრილის ისეთი მოღრუბლული დღე იყო, შემოდგომის მიწურულში რომ იცის. თვე იწურებოდა. გაზაფხულის თბილი დღეები იდგა და ყმაწვილმა ქალმა ბატონ დე გალესთან ერთად წამოიწყო ხანგრძლივი სეირნობები, რომელიც მას ასე უყვარდა. მაგრამ ამ დღეს მოხუცი დაღლილი ჩანდა, მე კი თავისუფალი ვიყავი და ავდრის მომასწავებელი ამინდის მიუხედავად მთხოვა, გავყოლოდი. საბლონიერს ნახევარი მილით დავშორდით და გუბურის ნაპირს მივუყვებოდით, როცა ჰექა-ქუილი, წვიმა და სეტყვა თავს დაგვატყდა. გადაულებელ თავსხმაში გადახურულს შევაფარეთ თავი, მაგრამ ყინულივით ცივი ქარი უბერავდა. ერთიმეორის გვერდით ჩაფიქრებულები ვიდექით ჩაშავებული ბუნების წინაშე. სადა კაბა ეცვა და ვამჩნევდი, გაფითრებული და შეშფოთებული იყო.

„უნდა დავბრუნდეთ, — მითხრა მან — შორიდან დიდიხნის წამოსულები ვართ. ხომ შეიძლება, რაიმე მომხდარიყო?"

მაგრამ როცა შესაძლებელი გახდა, რომ თავშესაფარი მიგვეტოვებინა, ჩემდა გასაკვირად ყმაწვილმა ქალმა საბლონიერში დაბრუნების ნაცვლად გზა განაგრძო და მთხოვა, მეც თან გავყოლოდი. კარგა ხანს ვიარეთ და ჩემთვის აქამდე უცნობ სახლთან აღმოვჩნდით; სახლი განმარტოებით იდგა იმ ოღროჩოღრო გზის პირზე, რომელიც ალბათ პრევერანჟისაკენ მიდიოდა. შიფერით დახურული ქალაქური ტიპის სახლი იყო და ამ ადგილებში აშენებული სახლებისაგან არაფრით განსხვავდებოდა, მხოლოდ ეგ იყო, მოშორებით და განცალკევებით იდგა.

ივონ დე გალესათვის რომ შეგეხედათ, შეიძლებოდა, გეფიქრათ, ეს სახლი ჩვენ გვეკუთვნოდა და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ისევ დავუბრუნდითო. იგი დაიხარა, პატარა ჭიშკარი გაალო, შეშფოთებულმა განმარტოებულ არემარეს თვალი მიმოავლო, ბალახით დაფარული დიდი ეზო, სადაც ალბათ ზამთრის გრძელ საღამოებში ბავშვები მოდიოდნენ და თამაშობდნენ, ავდარს დაეთხარა. სერსო წყლის გუბეში სველდებოდა: ყვავილის კვლებში, სადაც ბავშვებს ყვავილები და ბარდა ჩაერგათ, თავსხმას მხოლოდ თეთრი ხრეშის კვალი დაეტოვებინა. და ბოლოს, დასველებული კარის ზღურბლთან ავდრით გალუმპული წიწილების გაუუუული ოჯახი ეფინა კრუხის გაფიჩხულ ფრთებსა და აღუფხულ ბუმბულქვეშ.

ამ საცოდაობის დანახვაზე ყმაწვილ ქალს გმინვა აღმოხდა. წვიმის წყალსა და ტალახს არ დაერიდა, დაიხარა ცოცხალ-მკვდარ წიწილებს გამორჩევა დაუწყო და თან მოსასხამის კალთაში ილაგებდა, შემდეგ შევედით სახლში, რომლის გასაღებიც მას ჰქონდა. ოთახის კარი გამოდიოდა დერეფანში, სადაც ქარი ზუზუნით შეიჭრა. ივონ დე გალემ გაალო მარჯვენა პირველი კარი და შემიშვა ჩაბნელებულ ოთახში, სადაც, თვალი სიბნელეს როცა შევაჩვიე, გავარჩიე დიდი სარკე და პატარა საწოლი, რომელზედაც სოფლურად წითელი ფერის ხრუ-შუმის გადასაფარებელი ეფარა. ამასობაში, ყმაწვილი ქალი, სხვა ოთახებში რომ რაღაცას ეძებდა, დაბრუნდა და ბუმბულჩაფენილი პატარა კალათით ცოცხალ-მკვდარი წიწილები გადასაფარებლის ქვეშ ფრთხილად შეაცურა. და სანამ დაბინდული მზის პირველი და უკანასკნელი სხივი ჩვენს სახეებს უფრო გააფერმკრთალებდა, ხოლო საღამოს უფრო დაღვრემილს გამოაჩენდა, ასე ვიდექით ფეხზე ამ უცნაურ სახლში გაყინულნი და აღელვებულნი!

დროდადრო იგი მოუსვენარ კალათაში იყურებოდა, კიდევ ერთი უსულო წიწილა ამოჰქონდა, რომ სხვები გადაერჩინა და ამ დროს ჩვენ გვესმოდა რაღაც ჩუმი ვედრება, როგორც სხვენის ჩამტვრეულ ფანჯარაში ქარის კვნესა, როგორც იდუმალი ნაღველით უცნობი ბავშვების ჩუმი გოდება.

„აქ — მითხრა ბოლოს ჩემმა თანმხლებმა — ფრანცის სახლი იყო. ძალიან პატარამ მოინდომა ყველასაგან მოშორებით საკუთარი სახლი ჰქონოდა, რომ, როგორც მას სურდა, ისე ეთამაშა, გართობილიყო და ეცხოვრა. მამაჩემს ეს სურვილი ისე უჩვეულო და უცნაური მოეჩვენა, რომ არ შეწინააღმდეგებია. და ფრანცი, როცა კი მოისურვებდა, ხუთშაბათი იქნებოდა თუ კვირა დღე, ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა, ამ სახლში ისე ცხოვრობდა, როგორც დიდი კაცი. ახლომახლო ფერმების ბავშვები მასთან სათამაშოდ მოდიოდნენ, მეურნეობის მოწესრიგებაში ეხმარებოდნენ, ბაღში მუშაობდნენ. საოცარი თამაში იყო! რომ ღამდებოდა, მარტო დაძინებისა არ ეშინოდა. ჩვენ კი მისით აღტაცებულები ვიყავით და მისი ფიქრი აღარ გვქონდა.

მაგრამ უკვე კარგახანია, — ამოიოხრა და მერე განაგრძო მან — სახლი დაცარიელებულია. ბატონი დე გალე სიბერემ და დარდმა დააბეჩავა და არა ილონა რა, ჩემი ძმა რომ მოენახა, ან რა უნდა ექნა?

აქ ხშირად მოვდივარ. მეზობელი ფერმების გლეხების ბავშვები ეზოში სათამაშოდ უწინდებურად მოდიან. მე ეს მსიამოვნებს და როცა ვფიქრობ, ისინი ფრანცის ძველი მეგობრები არიან-მეთქი, თითქოს ფრანციც ისევ ბავშვია და თავის ამორჩეულ საცოლესთან ერთად მალე დაბრუნდება.

ბავშვები კარგად მიცნობენ, ვეთამაშები და ეს გამოჩეკილი პაწაწინა წიწილებიც ჩვენი იყო..."

მხოლოდ ამ თავსხმაში და ბავშვური განსაცდელის ჟამს გამიმხილა მან მის მიერ გალმერთებული ძმის, იმ მომაჯადოებელი და უგუნური ძმის დაკარგვით გამოწვეული დიდი ნაღველი, რომელზედაც მას ჩემთან არასოდეს

ულაპარაკია. უხმოდ ვუსმენდი და გული ტკივილით მეკუმშებოდა...

კარებები და პატარა ჭიშკარი გამოიხურა. წიწილები სახლის უკან აშენებულ ფიცრულში დააბინავა, მერე ხელზე ნაღვლიანად დამეყრდნო და საბლონიერამდე გავაცილე.

გაიარეს კვირეებმა და დღეებმა. ო, გარდასულო ჟამო! ო, დაკარგულო ბედნიერებავ! იმისთვის, ვინც ჩვენი ფერია, ჩვენი დედოფალი და ჩვენი ყმაწვილკაცობის ფარული სიყვარული იყო, წილად მე მხვდა, ხელი შემეშველებინა და მეთქვა ის სიტყვები, რომლებიც ნაღველს გაუქარვებდა. იმ გარდასულ ჟამზე, იმ საუბრებზე, იმ საღამოებზე, რომელსაც გაკვეთილების მერე სენ-ბენუა-დე-შანის გორაკზე ვატარებდით, იმ გასეირნებებზე, რომლის დროსაც საუბარი მხოლოდ იმაზე გვსურდა, რასაც გავურბოდით და ვდუმდით. ახლა რა შემიძლია ვთქვა? ჩემს მეხსიერებას შემორჩა სანახევროდ წაშლილი ლამაზი გამხდარი სახე და თვალები, რომლებიც მე შემომყურებენ და როცა ქუთუთოებს დაბლა ხრიან, მხოლოდ სულში იმზირებიან.

მე მისი ერთგული მეგობარი ვიყავი — მეგობარი მოლოდინისა, რომელზედაც საუბარს მუდამ გავურბოდით — მთელი გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში — და ეს მეგობრობა აღარასოდეს განმეორდება. საღამოობით ჩვენ ხშირად მივსულვართ ფრანცის სახლში. ივონა კარს აღებდა, რომ ოთახები გაენიავებინა და არაფერი დანესტიანებულიყო მანამდე, სანამ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი თავის ჭერს დაუბრუნდებოდა. იგი უვლიდა გაგარეულებულ ქათმებს, რომლებიც უკანა ეზოში დაფუსფუსებდნენ. ხოლო ხუთშაბათობით და კვირაობით ჩვენ ვუერთდებოდით ახლომახლო სოფლების ბავშვების თამაშობებს, რომელთა სიცილში და ჟრიამულში განმარტოებით მდგარი პატარა მიტოვებული სახლი კაცს შეიძლებოდა უფრო უდაბური და გამოცარიელებული მოსჩვენებოდა.

## თავი მეთერთმეტე

### საუბარი წვიმაში

აგვისტოს თვემ, არდადეგებმა დამაშორა საბლონიერსა და ყმაწვილ ქალს. შვებულების ორი თვე სენტ-აგატში გავატარე. ისევ ვიხილე დიდი მშრალი ეზო, სათამაშო მოედანი, დაცარიელებული კლასი... აქ ყველაფერი დიდ მოლნს მახსენებდა. ყველაფერი აწ უკვე ჩვენს გაფრენილ სიყმაწვილეს აცოცხლებდა. ამ დაუსრულებელი ულიმღამო დღეების განმავლობაში მე, როგორც ადრე, მოლნის გამოჩენამდე, მერიის არქივის ოთახში ან უკაცრიელ ოთახებში ვიკეტებოდი. ვკითხულობდი, ვწერდი, ვიხსენებდი... მამაჩემი შორს იყო წასული სათევზაოდ, მილი სასტუმრო ოთახში, როგორც ჩემს ბავშვობაში, ან საკერავს უჯდა, ან პიანინოს უკრავდა... და საკლასო ოთახის სამარისებური სიჩუმე, მწვანე ქაღალდის დახეული გვირგვინები, ძვირფასი წიგნების ყდები და გაკრიალებული დაფები იმაზე მეტყველებდა, რომ სასწავლო წელი დამთავრებული და ჯილდოები განაწილებული იყო. ყველაფერი შემოდგომას ელოდა, ოქტომბერს, ახალ დაძაბულობას — მე ვფიქრობდი, ჩვენი ყრმობა დასრულდა და ბედნიერება ხელიდან გაგვისხლტა-მეთქი; მაგრამ მაინც ველოდი, ველოდი, რომ საბლონიერში დავბრუნდებოდი და იქ დაბრუნდებოდა მოლნიც, რომელიც, ვინ იცის, იქნებ არც არასოდეს აღარ დაბრუნებულიყო...

მაგრამ როცა მილიმ ახლადდაქორწინებულებზე ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა, ერთი სასიხარულო ამბავი მაინც ვაცნობე. მისი შეკითხვებისა მუდამ მეშინოდა, რადგან უეცარი თითქოს გულუბრყვილო და ამავე დროს ეშმაკური შეკითხვით ხშირად დავუბნევივარ. იგი თითქოს თითს ადებდა შენს სანუკვარ ფიქრს და ამიტომ მოკლედ მოვუჭერი: ჩემი მეგობრის ცოლი ოქტომბრის თვეში დედა გახდება-მეთქი.

კარგად მახსოვს ის დღე, როცა ივონ დე გალემ ეს ამბავი გამიმხილა. სიჩუმე ჩამოვარდა; ყმაწვილური უხერხულობა დამეუფლა და ყურადღება რომ გადამეტანა, მაშინვე დაუფიქრებლად ვუთხარი და მხოლოდ გვიან მივხვდი თუ ეს ჩემი კითხვა რა ტკივილს მიაყენებდა:

„თქვენ, ალბათ, ძალიან ბედნიერი ხართ?“

მაგრამ მან ისე, რომ მის სიტყვებში არც სინანული, არც ტკივილი და არც ღვარძლი არ იგრძნობოდა, ბედნიერი ქალის მშვენიერი ღიმილით მიპასუხა:

„დიახ, ძალიან ბედნიერი ვარ“.

არდადეგების უკანასკნელი კვირა ნამდვილად ყველაზე ლამაზი და რომანტიკული დროა; იგი დიდი წვიმების კვირაა, ბუხრებს აჩაღებენ და მე ამ დროს ჩვეულებრივად ვიე-ნანსეიში ვატარებდი ხოლმე; სველ, გაშავებულ ნაძვნარში სანადიროდ დავდიოდი, მაგრამ ახლა გადავწყვიტე, პირდაპირ სენ-ბენუა-დე-შანში დავბრუნებულიყავი. ფირმენი, დეიდაჩემი ჟიული და ჩემი ვიე-ნანსეიელი ბიძაშვილები დაუსრულებლივ ხან რას მეკითხებოდნენ და ხან რას და ახლა პასუხის გაცემა მაინცდამაინც არ მეხალისებოდა. ამჯერად რვა დღის თავბრუდამხვევ მონადირულ ცხოვრებაზე უარი ვთქვი და ჩემი სკოლის შენობაში სწავლის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე დავბრუნდი.

უკვე გაყვითლებული ფოთლებით დაფარულ ეზოში დაღამებამდე შევედი. მეეტლე რომ წავიდა, დაყრუებულ და აშმორებულ სასადილო ოთახში ნაღვლიანად ამოვალაგე პარკიდან

საჭმელი, რომელიც დედაჩემმა მომიმზადა... სახელდახელოდ წავიხემსე, აღელვებულმა წამოსასხამი მოვიხურე და საბლონიერს მღელვარებით მივაშურე.

არ მინდოდა ჩამოსვლის პირველსავე საღამოს დაუპატიჟებლად შევჭრილიყავი, მაგრამ ახლა უფრო გათამამებულმა, ვიდრე თებერვალში, შემოვუარე მთელს სამფლობელოს, სადაც განათებული მხოლოდ ყმაწვილი ქალის ფანჯარა იყო; მერე სახლის უკან ბაღის ღობეზე გადავძვერი და ცოცხალი ღობის პირდაპირ სკამზე ჩამოვჯექი ჩამოწოლილ ბინდში ბედნიერი იმით, რომ აქ ვიყავი, იმასთან ძალიან ახლოს, ვისი ბედიღბალიც ახლა ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად მაფიქრებდა და მაღელვებდა.

ღამდებოდა. ქინძლავდა. თავდახრილი ვუყურებდი, ნელნელა როგორ სველდებოდა და ლაპლაპს როგორ იწყებდა ჩემი ფეხსაცმელი, მაგრამ მე ამაზე არა ვფიქრობდი. სიბნელე შეუმჩნევლად მოდიოდა და სიგრილე ისე მეხვეოდა, რომ ფიქრს არ მირღვევდა. ნაღვლიანი სინაზით ვოცნებობდი ამ სექტემბრის საღამოს სენტ-აგატის ატალახებულ გზებზე; წარმოვიდგინე დანისლული მოედანი, საქაჩავისაკენ სტვენა-სტვენით მიმავალი ყასბის ბიჭი, განათებული კაფე და არდადეგების მიწურულში ბიძია ფლორანტენის სახლთან მოსული მხიარული ფორანი, დაფარული გაშლილი ქოლგების ტყით... და მე ნაღვლიანად ჩემს თავს ვეუბნებოდი: „რად მინდა ასეთი ბედნიერება, თუკი ჩემი მეგობარი და მისი ახალგაზრდა ცოლი ბედნიერები არ იქნებიან"...

სწორედ ამ დროს, თავი რომ ავწიე, ჩემგან ორ ნაბიჯზე იგი დავინახე. ქვიშაზე მისი ფეხსაცმლის მსუბუქი შრიალი ცოცხალ ღობეზე წყლის წვეთების ხმაურად მომეჩვენა. თავზე და მხრებზე დიდი შავი შალი მოეხვია და წვრილი წვიმის წვეთებს მისი შუბლი და თმა დაენამა. ეტყობა, თავისი ოთახის ფანჯრიდან, ბაღს რომ გადმოჰყურებდა, დამინახა და ჩემთან გამოვიდა. ასე, ჩემს ბავშვობაში, დედაჩემი წუხდა ხოლმე ჩემზე და მეძებდა, რომ ეთქვა: „დროა, შინ შემოხვიდე!" მაგრამ წვიმასა და ღამეში სეირნობა რომ გაუტკბებოდა, ალერსით მხოლოდ ამას მეუბნებოდა: „გაცივდები!" და სალაპარაკოდ ჩემთან დიდხანს რჩებოდა...

ივონ დე გალემ გახურებული ხელი გამომიწოდა, მერე, ეტყობა, შინ შებრუნება გადაიფიქრა და დაძველებული ხავსიანი სკამის ნაკლებად დასველებულ კიდეზე ჩამოჯდა. ფეხზე მდგომი, ცალი მუხლით სკამს დაყრდნობილი, მისკენ ვიხრებოდი, რომ ყური დამეგდო.

თავდაპირველად მეგობრულად დამტუქსა, ჩემი არდადეგები რომ ასე შევკვეცე.

„უფრო ადრეც უნდა დავბრუნებულიყავი, — ვუთხარი მე — თქვენთვის მარტოობა რომ არ მეგრძნობინებინა".

„დიახ, ასეა, — თქვა მან თითქმის ჩურჩულით და ამოიოხრა — მე ისევ მარტო ვარ, ოგიუსტენი არ დაბრუნებულა..."

მისი ამოოხვრა უთქმელ საყვედურად მომეჩვენა და წყნარად ვუთხარი:

„რაოდენი უგუნურებაა ამ კეთილშობილ ადამიანში! ეტყობა, თავგადასავლიანი ცხოვრებით გატაცებამ ყველაფერს აჯობა..."

მაგრამ ყმაწვილმა ქალმა სიტყვა შემაწყვეტინა. და აქ, ამ საღამოს მან პირველად და უკანასკნელად გამიბა საუბარი მოლნზე.

„ასე ნუ იტყვით, — მითხრა მან ალერსიანად — ფრანსუა სერელ, ჩემო მეგობარო, მხოლოდ ჩვენა ვართ — მხოლოდ მე ვარ დამნაშავე. გაიხსენეთ, რა ჩავიდინეთ...

ჩვენ ვუთხარით: „აი, ბედნიერება, აი, ის, ვისაც მთელი შენი სიჭაბუკე ეძებდი, აი, ყმაწვილი ქალი, რომელიც შენი პირველი ოცნება იყო!"

რაკი ასე ვუბიძგებდით, ჯერ ყოყმანი, მერე შიში როგორ არ შეიპყრობდა და ბოლოს, გაქცევის ცთუნებას როგორღა გაუძლებდა!"

„ივონ, — ვუთხარი მე ჩუმად — თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ მისი ბედნიერება და ის ყმაწვილი ქალი თქვენ იყავით".

„აჰ! — ამოიოხრა მან — როგორ შეიძლებოდა ასეთი ქედმაღლური ფიქრი რომ თავში მომსვლოდა, სწორედ ეს ფიქრია ყველაფრის მიზეზი.

მე თქვენ გეუბნებოდით: „იქნებ ძალა არ შემწევს, დავეხმარო-მეთქი". გულში კი ვფიქრობდი: რადგან ამდენხანს მეძებდა და რადგან მეც მიყვარს, უნდა გავაბედნიერო-მეთქი, მაგრამ როცა ის ჩემს გვერდით დავინახე აღგზნებული, მოუსვენარი, გაუმხელელი სინანულით დატანჯული, მივხვდი, რომ მეც სხვა ქალებივით საცოდავი ვიყავი...

„თქვენი ღირსი არა ვარ", იმეორებდა ის, როცა ჩვენი ქორწინების დილა თენდებოდა.

ვცდილობდი დამემშვიდებინა, დამერწმუნებინა, მაგრამ მისი დამშვიდება შეუძლებელი იყო. მაშინ ვუთხარი: „თუ უთუოდ უნდა წახვიდეთ, თუ თქვენთან იმ დროს მოვედი, რომ თქვენი გაბედნიერება არავის შეუძლია, თუ საჭიროა, ერთხანს დროებით მიმატოვოთ, რომ მერე დამშვიდებული ისევ დამიბრუნდეთ, მაშინ მე თვითონ გთხოვთ, წახვიდეთ..."

სიბნელეში დავინახე, როგორ ამომხედა. ეს მისი აღსარება იყო, მან გამანდო და ახლა შიშით ელოდა, მოვუწონებდი თუ დავძრახავდი, მაგრამ რა შემეძლო, მეთქვა? მე თვალწინ დამიდგა მაშინდელი მოლნი, მოუქნელი და მიუკარებელი, რომელიც მზად იყო, დაესაჯათ, ვიდრე ვინმესთვის ბოდიში მოეხადა და იმისი ნებართვა ეთხოვა, რაზედაც უეჭველად ნებას დართავდნენ... ივონ დე გალე უთუოდ უკეთ მოიქცეოდა, ძალა რომ ეხმარა, მოლნს კისერზე ხელებით შემოხვდობოდა და ეთქვა: „ახლა ჩემ-

თვის რა მნიშვნელობა აქვს, დღემდე რა გაგიკეთებიათ, მე თქვენ მიყვარხართ; რომელი კაცია უცოდველი?" რა თქმა უნდა, მან დიდი შეცდომა დაუშვა, როცა კეთილშობილებით მსხვერპლი გაიღო და მოლნი თავგადასავლების გზაზე დააყენა... მაგრამ როგორ შემეძლო ასეთი სიკეთე და ასეთი სიყვარული განმესაჯა!..

დიდხანს ვდუმდით გულის სიღრმემდე შეძრულები და ყურს ვუგდებდით, წვიმის წვეთები ლობეებს და ხეების ტოტებს როგორ ეცემოდა.

„იგი დილით წავიდა, — განაგრძო მან, — ამიერიდან ჩვენ ალარაფერი გვაშორებდა და ისე უბრალოდ მომეხვია, როგორც ქმარი, რომელიც ახალგაზრდა ცოლს ხანგრძლივი მოგზაურობის წინ ემშვიდობებოდა..."

იგი წამოდგა. მის ხელს დავწვდი, იდაყვში ხელი მოვკიდე და წყვდიადში ხეივანს გავყევით.

„მერე თქვენთვის ერთხელაც ალარ მოუწერია?" ვკითხე მე.

„არცერთხელ", მიპასუხა მან.

და მაშინ ორივემ წარმოვიდგინეთ ის თავგადასავლებით სავსე ცხოვრება, რომელსაც ახლა იგი საფრანგეთისა და გერმანიის გზებზე ეწეოდა. ჩვენ მოლნზე ისე ვილაპარაკეთ, როგორც არასოდეს გვილაპარაკია. სანამ სახლს ნელნელა ვუახლოვდებოდით, ვიხსენებდით დავიწყებულ წვრილმანებს, უწინდელ შთაბეჭდილებებს. თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვისვენებდით, რომ ერთმანეთისათვის ჩვენი მოგონებები უფრო კარგად გაგვეზიარებინა... დიდხანს, ბაღის ლობემდე მესმოდა წყვდიადში ყმაწვილი ქალის ძვირფასი და ალერსიანი ხმა; და მეც უწინდებურად აღელვებული მეგობრული გულითადობით შეუჩერებლად ვესაუბრებოდი იმ ადამიანზე, რომელმაც ჩვენ ასე მიგვატოვა...

## თავი მეთორმეტე

### მძიმე ტვირთი

მეცადინეობა სკოლაში ორშაბათს უნდა დაწყებულიყო, შაბათ საღამოს, ხუთი საათი იქნებოდა, როცა სკოლის ეზოში, სადაც ზამთრისათვის შეშას ვჩეხავდი, სამფლობელოდან მოსული ქალი შემოვიდა, მან შემატყობინა, საბლონიერში გოგონა დაიბადაო. მშობიარობა მძიმე ყოფილა. წინა საღამოს ცხრა საათისათვის პრეველანჟიდან ბებია-ქალი მოუყვანიათ. შუაღამისას ვიერზონიდან ექიმის მოსაყვანად ცხენი ხელახლა შეუბამთ. ექიმი იძულებული გამხდარა ქალი მაშების დახმარებით მოეშორებინა. პაწია გოგონას თავი დაზიანებია, თურმე გამუდმებით ჩხავის, მაგრამ მის სიცოცხლეს თითქოს არა ემუქრება რა. ივონ დე გალე თურმე მეტისმეტად დასუსტებულია, მაგრამ უჩვეულო მოთმინება და სიმამაცე გამოუჩენია.

სამუშაო მივატოვე, შინ გავიქეცი, ტანისამოსი გამოვიცვალე და ამ ახალი ამბით გახარებული კეთილ ქალს საბლონიერში გავყევი. დედას ან ბავშვს არ ეძინოთ-მეთქი, ვიწრო ხის კიბით მეორე სართულზე ფეხაკრეფით ავედი. იქ დაქანცული, მაგრამ ბედნიერი ბატონი დე გალე დამხვდა და იმ ოთახში შემომყვა, სადაც დროებით ირგვლივ ფარდებჩამოფარებული აკვანი დაედგათ.

აქამდე არასოდეს შევსულვარ იმ ოთახში, სადაც ბავშვი ეს-ეს არის დაიბადა. ყველაფერი როგორი უჩვეულო, იდუმალი და მშვენიერი მეჩვენებოდა! ისეთი კარგი საღამო იყო, ნამდვილი ზაფხულის საღამო, რომ ბატონი დე გალე არ შეუშინდა და გაალო ის ფანჯარა, რომელიც ეზოში გადიოდა. ჩემს გვერდით რაფაზე იდაყვდაყრდნობილი, დაქანცული და ბედნიერი იგი მიყვებოდა წუხანდელი ღამის დრამატულ ამბებს; ვუსმენდი და გამუდმებით ვგრძნობდი, რომ ჩვენთან ერთად ამ ოთახში ვილაც უცხო კიდევ იყო...

ფარდების მილმა ყვირილი გაისმა, ჰირველი და გაგრძელებული... მაშინ ბატონმა დე გალემ ჩუმი ხმით მითხრა:

„დაზიანებული თავი აყვირებს".

და დაუფიქრებლად — იგრძნობოდა, რომ იგი ამას დილიდან აკეთებდა და უკვე ჩვეულებად ჰქცეოდა — ფარდების მილმა პატარა ფუთას რწევა დაუწყო.

„ეგ არაფერია, — თქვა ბატონმა დე გალემ — ექიმმა დამაიმედა, ყველაფერი თავისით გაივლისო; აბა, თითი გაუშვირეთ, ხელი როგორ ჩასჭიდოს".

უეცრად უცნობ სამყაროში ამოვყავი თავი, ვგრძნობდი, რომ გული აქამდე, განუცდელი უცნაური სიხარულით მევსებოდა...

ბატონმა დე გალემ ახალგაზრდა ქალის ოთახის კარი ფრთხილად შეაღო. ქალს არ ეძინა.

„თქვენც შეგიძლიათ, შემოხვიდეთ", მითხრა მან.

იგი იწვა, გაშლილ ქერა თმაში მოქცეულ სახეზე ალმური ასდიოდა. მან ხელი გამომიწოდა და დაქანცული სახით გამიღიმა. მშვენიერი გოგონას დაბადება მივულოცე. ოდნავ ხრინწიანი ხმით და უჩვეულო სიმკაცრით, ისეთი ადამიანის სიმკაცრით, რომელიც ბრძოლის ველიდან გამოვიდა, მითხრა:

„კი, მაგრამ დამიმახინჯეს", და გამიღიმა.

რომ არ დამეღალა, მალე წამოვედი.

მეორე დღეს, კვირას, ნაშუადღევს, საბლონიერისაკენ მხიარულად გავეშურე. ხელი ზართან მივიტანე და უნდა დამერეკა, რომ კარზე ქინძისთავებით მიკრულმა წარწერამ შემაჩერა:

გთხოვთ, არ დარეკოთ.

მე ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. საკმაოდ მაგ-

რად დავაკაკუნე, შიგნიდან აჩქარებული ნაბიჯების ყრუ ხმა მოისმა. კარი უცნობმა კაცმა — ვიერზონელმა ექიმმა გამიღო.

„რა მოხდა?“ ვკითხე სწრაფად.

„ჩუ! ჩუ! — მითხრა ხმადაბლა გაჯავრებულმა — გოგონა ღამით კინაღამ მოგვიკვდა. დედაც ძალიან ცუდად არის“.

მთლად გუნებაწამხდარი ფეხაკრეფით მეორე სართულზე ავყევი. პაწაწინა გოგონას აკვანში ეძინა, მიცვალებული ბავშვივით მთლად გაფითრებულსა და გათეთრებულს. ექიმმა მითხრა, ბავშვი გადარჩებაო, დედას რაც შეეხება, დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვიო... როგორც ოჯახის ერთადერთ მეგობარს, ვრცელი ახსნა-განმარტება მომცა, ილაპარაკა ფილტვების ანთებაზე, სისხლძარღვების დაცობაზე. იგი ყოყმანობდა, დარწმუნებული არ იყო... შემოვიდა ბატონი დე გალე, ამ ორ დღეში ძალიან დაბერებული, დაბნეული, აკანკალებული.

მან სხვა ოთახში გამიყვანა, თვითონაც არ იცოდა, რას აკეთებდა:

„არ უნდა შეშინდეს, — მითხრა მან ჩურჩულით — ექიმმა უნდა დაარწმუნოს, რომ ყველაფერი კარგადაა“.

სახეზე სისხლმოწოლილი ივონ დე გალე იწვა და თავი წინანდებურად უკან ჰქონდა გადაგდებული. ლაწვებზე და შუბლზე მუქი წითელი ფერი ედო, თვალები დროდარო ებლიტებოდა, თითქოს ვიღაც ახრჩობდა. იგი სიკვდილს ენითაუწერელი სიმამაცითა და სიმშვიდით ებრძოდა.

რაკი ლაპარაკის თავი არა ჰქონდა, ხელი ისე მეგობრულად გამომიწოდა, კინაღამ ავტირდი.

„კარგი, კარგი, — მეტისმეტად ხმამაღლა თქვა ბატონმა დე გალემ ისეთი აუტანელი მხიარულებით, რომ სიგიჟეს უფრო ჰგავდა — ხომ ხედავთ, ისეთი შესახედაობა არა აქვს, როგორც ავადმყოფს უნდა ჰქონდეს!“

არ ვიცოდი, რა მეპასუხა, და ხელში მეჭირა მისი ცხელი ხელი, ხელი სულთმობრძავი ყმაწვილი ქალისა...

იგი ცდილობდა, ჩემთვის რაღაც ეთხოვა: ჯერ მე შემომხედავდა, მერე თვალებს ფანჯარას მიაპყრობდა, თითქოს მანიშნებდა, გარეთ გადი და აქ შემომიყვანეო... მაგრამ ამ დროს სული შეუგუბდა; მშვენიერი ცისფერი თვალები, ახლახან ასე ტრაგიკულად რომ მიხმობდნენ, გადაუტრიალდა, ლაწვები და შუბლი გაუშავდა, ათრთოლებული ცდილობდა თავისი შიში და სასოწარკვეთილება ბოლომდე შეეკავებინა; მოცვივდნენ ექიმი და ქალები ჟანგბადის ბალონით, ხელსახოცებით, ფლაკონებით; მოხუცი კი, ზედ რომ დახრილიყო, აკანკალებული და ჩახლეჩილი ხმით ისე უყვიროდა, თითქოს ივონა მისგან უკვე ძალიან შორს იყო:

„არ შეშინდე, ივონა, ეგ არაფერია. შენ არაფრისა არ უნდა გეშინოდეს!“

მერე შეტევამ გაუარა. სული მოითქვა, მაგრამ სუნთქვა მაინც უჭირდა, თვალები ჩასთეთრებოდა, თავი გადაეგდო, კვლავ სიკვდილს ებრძოდა და ვერ მოეხერხებინა, ჩემთვის ერთი წამით მაინც შემოეხედა, ერთი სიტყვა მაინც ეთქვა და იმ უფსკრულისათვის თავი დაეღწია, რომელიც სულ უფრო და უფრო ითრევდა.

...რაკი მივხვდი, რომ აქ ალარაფერში გამოვდგებოდი, გადავწყვიტე, აქაურობას გავცლოდი. რა თქმა უნდა, შემეძლო ცოტა ხანს კიდევ მომეცადა და ახლა ეს რომ გამახსენდება ხოლმე, მუდამ მწარე სინანული მიპყრობს, რატომ წამოვედი? ალბათ იმიტომ, რომ კიდევ მქონდა იმედი, თავს ვირწმუნებდი, დასასრული ასე ახლოს არ არის-მეთქი!

სახლის უკან რომ იყო, იმ ნაძვნარის მიჯნასთან მისული, ფანჯრისაკენ მიბრუნებული ახალგაზრდა ქალის მზერაზე ვფიქრობდი და გუშაგისა თუ გამომძიებლის გულმოდგინებით ვსინჯავდი ტყის სიღრმეს, საიდანაც ოგიუსტენი აქ პირველად მოვიდა და საიდანაც გასულ ზამთარს შინიდან გაიქცა. ეჰ! არაფერი მოძრაობდა. არცერთი საეჭვო ჩრდილი, არცერთი ტოტი არ ირხეოდა. მხოლოდ შორს, პრევერანჟისაკენ მიმავალი ხეივნის მხრიდან ისმოდა ზანზალაკის მეტისმეტად სუსტი ხმა; მართლაც, მალე მოსახვევში ბილიკზე გამოჩნდა ბავშვი, რომელსაც წითელი არახჩინი და მოსწავლის ბლუზა ეცვა და მღვდელს მოსდევდა.. მე გზას გავყევი და თან ცრემლებს ვულაპავდი.

მეორე დღე სწავლის დაწყების დღე იყო. დილის შვიდი საათისათვის ორი თუ სამი ბიჭი უკვე გამოჩნდა სკოლის ეზოში. დიდხანს ვიყოყმანე, ჩავსულიყავი და გამოვჩენილიყავი თუ არა და როცა ბოლოს ჩავედი, რომ გამეღო დანესტიანებული კლასი, რომელიც ორი თვე გამოკეტილი იყო, სწორედ ის მოხდა, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა: დავინახე, რომ მოედანზე მოთამაშეებს გამოეყო ყველაზე დიდი ბიჭი და ჩემთან მოვიდა. მან მითხრა, რომ „საბლონიერელი ახალგაზრდა ქალბატონი გუშინ საღამოს გარდაიცვალა“.

თითქოს თვალთ დამიბნელდა. ყველაფერი ტკივილმა შთანთქა. მომეჩვენა, რომ ჩემს სიცოცხლეში იმისი გამბედაობა აღარ მეყოფოდა, გაკვეთილზე შევსულიყავი. სკოლის მოშიშვლებული ეზოს გადავლაც კი ისე ძნელი გამოდგა, რომ მუხლები მეკეცებოდა. ყველაფერი აუტანელი და უსიხარულო იყო, რადგან იგი გარდაიცვალა. ქვეყანა დაცარიელდა. არდადეგები გათავდა; გათავდა ფორნით ხანგრძლივი უგზო-უკვლო მოგზაურობა: გათავდა იდუმალი დღესასწაული... ყველაფერი მწუხარებად გადაიქცა.

ბავშვებს ვუთხარი, დილის გაკვეთილები არ გექნებათ-მეთქი. ისინი ჯგუფ-ჯგუფად გზას გაუდგნენ, რომ სოფლებში ეს ახალი ამბავი სხვებისთვის ეთქვათ. მე კი ავიღე ჩემი შავი

ქუდი, არშიებიანი სერთუკი ჩავიცვი და სასოწარკვეთილი საბლონიერისაკენ გავემართე...

აი, ახლა იმ სახლის წინ ვდგავარ, რომელსაც ჩვენ სამი წელიწადი ვეძებდით! გუშინ საღამოს ამ სახლში ოგიუსტენ მოლნის ცოლი ივონ დე გალე გარდაიცვალა. უცხო კაცს ეს სახლი სამლოცველო ეგონებოდა, ისეთი მდუმარება დასადგურებულიყო გუშინდელს აქეთ ამ უდაბურ ადგილას.

აი, თურმე რას გვიმზადებდა სწავლის დაწყების ეს მშვენიერი დილა, ეს მუხთალი შემოდგომის მზე, რომელიც ხის ტოტებში ილვრებოდა, როგორ შევბრძოლებოდი სულის ამბოხებას, თვალებზე მომდგარ ცრემლს! ჩვენ ვიპოვეთ მშვენიერი ყმაწვილი ქალი და მისი გული დავიპყარით. ის იყო ჩემი მეგობრის ცოლი და იგი მიყვარდა ღრმა და იდუმალი მეგობრული სიყვარულით, რომელიც სიტყვით ვერ გამოიხატება. შევყურებდი და პატარა ბავშვივით მიხაროდა. ალბათ, ერთ მშვენიერ დღეს სხვა ქალიშვილზე რომ დავქორწინებულიყავი, ამ დიდ საიდუმლოს პირველად მას გავანდობდი...

კარის კუთხეში, ზართან გუშინდელი წარწერა დარჩენოდათ. ქვემოთ, ვესტიბიულში სასახლე უკვე მოეტანათ. მეორე სართულზე ოთახში ბავშვის ძიძა დამიხვდა და მითხრა თუ როგორი იყო სულთმობრძავის უკანასკნელი წუთები და კარი ფრთხილად შეაღო... აი, იგი. აღარც სიცხე აწუხებს, აღარც სიკვდილს ებრძვის, აღარც წითლად ღვივის, აღარც მოლოდინია. მხოლოდ დუმილია, უგრძნობელი, ბამბით გარშემორტყმული გაქვავებული სახეა, გაყინული შუბლია და თმა, სქელი და მძიმე.

ბატონი დე გალე წინდების ამარა, უფეხსაცმლოდ იჯდა კუთხეში, ჩვენსკენ ზურგშექცეული და კარიდან გამოღებულ, უწესრიგოდ დაყრილ უჯრებში საშინელი სიჯიუტით ხელებს ურევდა. დროდადრო მას ქვითინით ამოჰქონდა თავისი ქალიშვილის ძველი, უკვე გაყვითლებული ფოტოსურათი და მხრები თითქოს უხმო სიცილით უთახთახებდა.

დაკრძალვა შუადღისთვის იყო დანიშნული. ექიმი შიშობდა, ცხედარი სწრაფად არ წახდეს, რაც ზოგჯერ სისხლძარღვთა დაცობას თან სდევს. ამიტომ პირისახეზე ისევე, როგორც მთელ სხეულზე, ფენოლით გაჟღენთილი ბამბა ედო.

შემოსვლის შემდეგ, — მას ჩააცვეს მისი მუქი ლურჯი, ზოგან ვერცხლის ვარსკვლავებით დაფარული ხავერდის კაბა, ჩაცმის დროს ახლა უკვე მოდიდან გამოსული მშვენიერი ბუფიანი სახელოები რომ დაესრისა — როცა სასახლე უნდა ამოეტანათ, მიხვდნენ, რომ მეტისმეტად ვიწრო დერეფანში ვერ შემოაბრუნებდნენ, სხვა გზა არ იყო, ფანჯრიდან თოკებით უნდა ამოეტანათ და შემდეგ ძირს ასევე ჩაეშვებდნენ... მაგრამ ამ დროს ბატონმა დე გალემ, რომელიც აქამდე ძველმანებში იქექებოდა და ვინ იცის, რომელ დაკარგულ სამახსოვრო ნივთს ეძებდა, საშინელი გაგულისებით შემოგვიტია:

„მე ნებას არავის მივცემ, რომ ეს საშინელება ჩაიდინოს, — თქვა მან ცრემლითა და სიბრაზით ჩახრინწული ხმით, — ხელში ავიყვან და ძირს ისე ჩავიყვან...“

და მართლაც ასეც იზამდა, შუა გზაში რომ დაცემულიყო და თავის ტვირთიანად კიბეებზე კიდეც რომ დაგორებულიყო!

მაშინ მე ერთადერთი გადაწყვეტილება მივიღე: ექიმისა და ერთი ქალის დახმარებით ცალი ხელი დასვენებულ მიცვალებულს ზურგზე ამოვდე, მეორე ხელი — ფეხებზე. მერე ავწიე და მკერდზე მივიკარი. ჩემს მარცხენა მკლავზე მჯდომი, ჩემს მარჯვენა მკლავზე მხარმიყრდნობილი თავით ნიკაპზე მეხებოდა და მკერდზე არანორმალურად მაწვებოდა. ასე ნელნელა საფეხურიდან საფეხურზე ჩავდიოდი დაქანებულ გრძელ კიბეზე, სანამ ქვევით სასახლეს ამზადებდნენ.

ორივე ხელი დაღლილობისაგან მიბუუოდა. მკერდზე მიხუტებული ამ ტვირთით ნელნელა, ყოველ საფეხურზე ძალა მელეოდა. უმოძრაო და დამძიმებულ სხეულს ჩაბღაუჭებულმა ნიკაპი იმას დავადე თავზე, ვინც ჩამქონდა. ღრმად ვსუნთქავ და პირში მხვდება მისი ქერა თმის ღერები — მიცვალებულის თმები, რომელთაც მიწის გემო აქვთ. მიწისა და მკვდრის გემო, სიკვდილის გემო და მკერდზე მძიმე ტვირთი, აი, ყოველივე ის, რაც დამრჩა იმ დიდი თავგადასავლიდან და თქვენგან, ივონ დე გალე, ყმაწვილო ქალო, რომელსაც ასე გეძებდით და ასე გვიყვარდი...

### თავი მეცამეტე

## ყოველდღიური დავალებების რვეული

ნაღვლიანი მოგონებებით სავსე სახლში, სადაც ქალები მთელი დღე აკვანს არწევდნენ და ავადმყოფ ჩვილს თავს დასტრიალებდნენ, ბატონი დე გალე მალე ლოგინად ჩავარდა. ზამთრის ყინვები რომ დაიჭირა, მშვიდად ჩაქრა და მე ცრემლებს ვეღარ ვიკავებდი ამ მშვენიერი მოხუცი კაცის სასთუმალთან, ვისი სულგრძელობა და თავისი ბიჭის მსგავსი ფანტაზია მთელი ჩვენი თავგადასავლის მიზეზად იქცა. მას სული სამარისებურ სიჩუმეში აღმოხდა და საბედნიეროდ აღარაფერი ეყურებოდა, მის გარშემო რა ხდებოდა. რაკი მშობლები და მეგობრები დიდიხანია უკვე აღარ ჰყავდა საფრანგეთის ამ მხარეში, მან ანდერძით ერთერთ მემკვიდრედ დამნიშნა, სანამ დაბრუნდებოდა მოლნი, რომლისთვისაც, თუკი ის საერთოდ დაბრუნდებოდა, ყველაფერი უნდა ჩამებარებინა... საბლონიერში გადავსახლდი და სენ-

ბინუაში მხოლოდ გაკვეთილების ჩასატარებლად დავდიოდი; შინიდან დილით ადრე გავდიოდი, შუადღით სამფლობელოდან წამოღებულ სადილს ლუმელზე ვითბობდი და იმას გიახლებოდით, ბოლო საღამოს, გაკვეთილების შემდეგ, მაშინვე საბლონიერში ვბრუნდებოდი. ასე შემეძლო ჩემს გვერდით მყოლოდა ბავშვი, რომელსაც ფერმის ქალები უვლიდნენ, ახლა უფრო მეტი საშუალება მქონდა ოგიუსტენს შევხვედროდი, თუკი ერთ მშვენიერ დღეს იგი საბლონიერში დაბრუნდებოდა.

ამასთან, არც იმის იმედს ვკარგავდი, რომ სახლში ნივთებში ან კარადის უჯრებში რაღაც ქაღალდს ან ჩანაწერს აღმოვაჩენდი, რომელიც დამეხმარებოდა, გამერკვია, რას აკეთებდა მოლნი რამდენიმე ხნის განმავლობაში, როცა მისგან არაფერი მომსვლია, შემეტყო მიზეზი, რამაც აიძულა, საბლონიერიდან გაქცეულიყო და მისი კვალი მეპოვა... არ ვიცი, უშედეგოდ კედლის რამდენი კარადა და სერვანტი შევამოწმე, საკუჭნაოებში გადავაქოთე ძველი, ყველანაირი ფორმის უამრავი მუყაოს ყუთი, რომლებიც გავსებული იყო ძველი წერილებით, დე გალეების ოჯახის გაყვითლებული ფოტოსურათებით; გამოტენილი იყო ხელოვნური ყვავილებით, ბუმბულის ფრთებით, ჯილებით და მოდიდან გამოსული ჩიტებით. ამ ყუთებს ასდიოდა ჭკნობის სურნელება, ჩამქრალი არომატი, რომელიც უეცრად აცოცხლებდა მოგონებასა და ნაღველს და მთელი დღით მიკარგავდა ძიების ხალისს...

ბოლოს, დასვენების ერთ დღეს, სხვენში წავაწყდი პატარა, გრძელ, დაბალ სკივრს, რომელზეც გადაკრული იყო ღორის ნახევრადდალრღნილი ტყავი და ოგიუსტენის მოწაფეობის სკივრი ვიცანი. თავს ვუსაყვედურე, ძებნა აქედან როგორ არ დავიწყე-მეთქი, დაჟანგებული ბოქლომი ადვილად მოვაძრე. სკივრი პირამდე გავსებული იყო სენტ-აგატის წიგნებითა და რვეულებით. არითმეტიკა, ლიტერატურა, ამოცანების რვეული, რა ვიცი, რაღა არ იყო!.. უფრო გულაჩვილებულმა, ვიდრე ცნობისმოყვარეობით გაღიზიანებულმა, ყველაფერი გადავქექე; ვკითხულობდი კარნახებს, რომლებიც იმდენჯერ გვქონდა გადაწერილი რომ ზეპირად ვიცოდი! რუსოს „აკვედუკი“, პოლ-ლუი კურიეს „თავგადასავალი კალაბრიაში“, „ჟორჟ სანდის წერილები ვაჟისადმი“...

იქვე იდო აგრეთვე „ყოველთვიური დავალებების რვეულიც“. ამან გამაკვირვა, რადგან ეს რვეულები სკოლაში რჩებოდა და მოწაფეებს გარეთ არასოდეს გამქონდათ. ასოებით ეწერა მოსწავლის სახელი და გვარი „ოგიუსტენ მოლნი“. გადავშალე. დავალებები დათარიღებული იყო 189.. აპრილით. მივხვდი, რომ მოლნს ამ რვეულში წერა დაეწყო რამდენიმე დღით ადრე, ხანამ სენტ-აგატს დასტოვებდა. პირველი გვერდები შევსებული იყო განდეგილის გულმოდგინებით, რომელიც წმინდათაწმინდა იყო, თემების ამ რვეულში როცა ვმუშაობდით, მაგრამ მხოლოდ სამი გვერდი იყო დაწერილი, დანარჩენი სუფთა იყო, რადგან მოლნს რვეული თან წაეღო.

მიწაზე დაჩოქილი და ჩაფიქრებული სიყრმის იმ ტრადიციებსა და ჩვეულებებზე, რომელსაც ესოდენ დიდი ადგილი ეჭირა ჩვენს ბავშვობაში, ცერით დაუმთავრებელ რვეულს ვფურცლავდი და უცებ სხვა ფურცლებზე ნაწერი დავინახე. სუფთად დატოვებული ოთხი ფურცლის შემდეგ მას ისევ წერა დაეწყო.

ისევ მოლნის ნაწერი იყო, მაგრამ ნაჩქარევი, გაურკვეველი, ძლივს გასარჩევი; სხვადასხვა სიდიდის პატარა პარაგრაფები გაყოფილი იყო თეთრი შუალედებით; ზოგჯერ წინადადება დაუმთავრებელი იყო, ზოგჯერ — ჩანიშნული თარიღი. პირველივე სტრიქონიდან მივხვდი, რომ აქედან შევიტყობდი მოლნის პარიზში გატარებული დღეების ამბავს და იმ კვალს წავაწყდებოდი, რომელსაც ასე ვეძებდი. სასადილო ოთახში ჩავედი, რომ თავისუფალ დროს დღის სინათლეზე თვალი გადამევლო ამ უცნაური საბუთისათვის. ზამთრის ნათელი და მოუსვენარი დღე იყო. ხან მზე გამოიხედავდა და ფანჯრის თეთრ ფარდებზე ჩარჩოებს გადახატავდა, ხან კი ფანჯრის მინებს მოვარდნილი ქარი კოკისპირულ წვიმას უტყლაშუნებდა. ამ ფანჯარასთან, ბუხრის წინ ჩამჯდარმა წავიკითხე ეს სტრიქონები, ბევრ რამეს ფარდა რომ ახადა. და რაც აქ მეტისმეტი სიზუსტით მომყავს...

### თავი მეთოთხმეტე

### საიდუმლო

ფანჯრის ქვეშ კიდევ ერთხელ გავიარე. მტვრიანი ფანჯრების მიღმა ისევ თეთრად მოჩანს ჩამოშვებული ორმაგი ფარდები. ფანჯარა ივონ დე გალესაც რომ გამოეღო, სათქმელი არც მისთვის მქონდა არაფერი, ის ხომ გათხოვილია... რა ვუყო ახლა? როგორ ვიცხოვრო?

შაბათი, 18 თებერვალი. — სანაპიროზე შევხვდი იმ ყმაწვილ ქალს, რომელმაც ივნისში ყველაფერი ამიხსნა და ჩემსავით დაკეტილი სახლის წინ იცდიდა... გამოველაპარაკე, ერთად რომ მივდიოდით, გვერდიდან შევყურებდი და მის სახეზე ძლივს შესამჩნევ ნაკლს ვამჩნევდი: ტუჩების კუთხეებში პაწაწინა ნაოჭებს, ოდნავ ჩავარდნილ ლაწვებს, ცხვირის ნესტოებზე წასმულ პუდრს. უცებ თავი მოაბრუნა, პირდაპირ თვალებში შემომხედა — ალბათ, იცის, პირდაპირ რომ უფრო კარგი შესახედავია, ვიდრე გვერდიდან — და მკაცრი ხმით მითხრა:

„თქვენ ძალიან მართობთ. თქვენ მაგონებთ ერთ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ადრე ბურ-

უში მოვწონდი. იგი ჩემი საქმროც კი იყო..."

ღამის წყვდიადში, უკაცრიელ და სველ ტროტუარზე, რომელიც გაზის ფანრის შუქზე ბრწყინავდა, იგი უეცრად მომიახლოვდა, რომ ჩემთვის ეთხოვა, მე და ჩემს დას დღეს თეატრში წამოგვყევით. ახლაღა შევამჩნიე, რომ შავები ეცვა, რომ თავზე ეხურა დაძველებული ქუდი, ახალგაზრდა ქალისთვის მეტისმეტად შეუფერებელი, ხელში კი ეკავა გრძელტარიანი ქოლგა, რომელიც ხელჯოხს ჰგავდა. რადგან მასთან ძალიან ახლოს ვიდექი, უეცრად ხელი მომიხვდა და ფრჩხილი მისი კორსაჟის კრეპს გამოვდე... მე ათასგვარი სისულელე მოვიმიზეზე და ვუთხარი, დღეს თქვენი თხოვნის შესრულება გამიჭირდება-მეთქი. გაბრაზებულმა მაშინვე წასვლა დააპირა. ახლა მე ვაკავებდი და ვემუდარებოდი, წავიდეთ-მეთქი. მუშამ, ღამის სიბნელეში რომ ჩაიარა, ხმადაბლა იხუმრა:

„არ წაყვე, ჩემო პატარავ, გაწყენინებს!"
და ორივენი დამორცხვებულები შევდექით.

თეატრში. — ორივე ქალიშვილს, ჩემს მეგობარს ვალენტინ ბლონდოს და მის დას ღარიბული შარფები ჰქონდათ მოხვეული.

ვალენტინა ჩემს წინ დაჯდა. ვერ ისვენებს და ყოველ წუთს ჩემსკენ ბრუნდება, თითქოს მეკითხება, ჩემგან რა გინდაო. მე მის გვერდით ჩემი თავი ბედნიერი მგონია. მუდამ ღიმილით ვეპასუხები.

გარშემო ბევრი დეკოლტეიანი ქალი იყო და ჩვენ დავცინოდით: თავდაპირველად იღიმებოდა, მერე კი თქვა: „მე იმათ არ უნდა დავცინოდე, მეც მეტისმეტად მოშიშვლებული ვარო" და თავის შარფში გაეხვია. მართლაც, შარფის შავ მაქმანში ჩანდა, რომ როცა ტანსაცმელი გამოეცვალა, სადა, დახურული პერანგის გულისპირი სიჩქარეში ძირს დაეწია.

არ ვიცი, მაგრამ ამ ქალიშვილს აქვს რაღაც უმწეო და ბავშვური. მის გამოხედვაში არის რაღაც მოწამეობრივი და მამაცური, რომელიც მიზიდავს, როცა მის გვერდით ვარ, გამუდმებით ჩემს ადრინდელ უცნაურ თავგადასავალზე ვფიქრობ, რადგან იგი ამ ქვეყანაზე ერთადერთი არსებაა, რომელსაც სამფლობელოს ხალხზე შეეძლო ჩემთან ელაპარაკა. მინდოდა კიდევ გამომეკითხა იმ სახლზე, ბულვარზე რომ იყო, მაგრამ თავის მხრივ ისეთი საჩოთირო კითხვები მომცა, რომ პასუხი ვერ მოვახერხე. მივხვდი, რომ ამიერიდან ამ თემაზე საუბარს უნდა მოვრიდებოდით. და მაინც, ახლა დარწმუნებული ვარ, რომ მას ისევ შევხვდები. რისთვის? რატომ?.. ნუთუ მე წილად მხვდა, იმ კაცის კვალდაკვალაც კი ვიარო, ჩემი წარუმატებელი თავგადასავლის შორეულ სურნელებასაც რომ ატარებს?..

შუაღამისას, უდაბურ ქუჩაში დარჩენილმა ჩემს თავს ვკითხე: ეს ახალი და უცნაური ამბავი რას უნდა მოასწავებდეს-მეთქი? — მე მივყვები იმ სახლებს, რომლებიც მუყაოს ჩამწკრივებულ ყუთებს გვანან და ამდენს ხალხს სძინავს. და უეცრად მახსენდება ის გადაწყვეტილება, გასულ თვეში რომ მივიღე: წყვდიადში შუაღამისას მივსულიყავი, იმ სახლისათვის ირგვლივ შემომევლო, ბაღის კარი გამეღო, ქურდივით შევსულიყავი და მომეძებნა რაიმე ნიშანი, რომელიც დაკარგულ სამფლობელოს მომაძებნინებდა, რომ მხოლოდ ის მენახა, თუნდაც ერთხელ... მაგრამ მე დავიღალე, მშია. ამასთან, თეატრში წასვლამდე ტანისამოსის გამოცვლა მეჩქარება და არც მისადილია... აღელვებული და შეშფოთებული სანამ დავწვებოდი, დიდხანს ვიჯექ ჩემი საწოლის კიდეზე და სინდისი ოდნავ მქენჯნიდა. რატომ?

მინდა ისიც აღვნიშნო: მათ არ მოისურვეს, რომ გამეცილებინა. არც ის მითხრეს, სად ცხოვრობენ, მაგრამ უკან იმდენხანს გავყევი, რამდენხანსაც შევძელი. ახლა მე ვიცი, რომ ისინი იმ პატარა ქუჩაზე ცხოვრობენ, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ახლოს. მაგრამ რა ნომერია?..

დისგან ფარულად ვალენტინამ პაემანი დამინიშნა ხუთშაბათს, ოთხი საათისათვის იმავე თეატრის წინ, სადაც ჩვენ ვიყავით.

„თუ ხუთშაბათს ვერ მოვედი, — თქვა მან, — მელოდეთ პარასკევს იმავე დროს, მერე შაბათს და ასე მოიქეცით მანამდე, სანამ მე არ მოვალ".

ხუთშაბათი, 18 თებერვალი. — სახლიდან ძლიერ ქარში გამოვედი, რომ მას შევხვედროდი. ქარი წვიმის ღრუბლებს ერეკებოდა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, რომ გაწვიმდებოდა...

ნახევრადჩაბნელებულ ქუჩებით მივდიოდი, გულდამძიმებული. წვიმის წვეთი დამეცა. შემეშინდა, ვაი თუ წვიმას ხელი შეეშალა და აღარ მოსულიყო. მაგრამ ხელახლა ქარი ამოვარდა და ამჯერადაც არ გაწვიმებულა. მაღლა, ნაცრისფერ ცაში, ხან რომ მოიღრუბლებოდა და ხან განათდებოდა, ბოლოს ღრუბლებს ქარმა აჯობა. მე კი აქ მიჯაჭვული ვდგავარ, მოლოდინისათვის განწირული...

თეატრთან. — მეოთხედმა საათმა გაიარა, დარწმუნებული ვარ, რომ არ მოვა. სანაპიროზე ვდგავარ და იქიდან, შორს, ხიდზე, რომლითაც ის უნდა მოსულიყო, ვხედავ ჯგუფ-ჯგუფად მიმავალ ხალხს. მე თვალს ვაყოლებ შავებში ჩაცმულ ყველა ახალგაზრდა ქალს, აქეთ მომავალს და მადლიერებასაც კი ვგრძნობ იმისადმი, ვინც იმას სხვებზე უფრო დიდხანს

ჰგავს და იმედს დიდხანს მინარჩუნებს, რომ შეიძლება ის იყოს...

მოლოდინის ერთი საათი. — მე დავიქანცე. საღამო დადგა და პოლიციელი მიათრევს მეზობელ უბანში ვიგინდარას, რომელიც დაგუდული ხმით უხვად უმასპინძლდება იმ ლანძღვაგინებით, მან რომ იცის, პოლიციელს ფერი აქვს დაკარგული, გაცოფებულია, ენაჩავარდნილი... როგორც კი დერეფანში შემყავს, ურტყამს. მერე კარს ხურავს, რომ ეს საცოდავი გემოზე მიბეგვოს... ასე მგონია, სამოთხეზე უარი ვთქვი და ჯოჯოხეთის კარიბჭესთან მიწას ვტკეპნი-მეთქი.

მოლოდინით დაქანცული იმ ადგილს ვშორდები და ვიწრო ქუჩას მივყვები სენასა და პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს შორის, სადაც ის სახლი მეგულება. მარტოდმარტო წინ და უკან დავდივარ. დროდადრო მოსამსახურე ან დიასახლისი წვრილ წვიმაში, სანამ ლამე მოვიდოდეს, საყიდლებზე გამოდის... არა, აქ არაფერი მესაქმება და მივდივარ... ნათელ წვიმაში, რომელიც თითქოს ჩამოლამებას ხელს უშლის, ისევ იმ ადგილს ვუბრუნდები, სადაც ერთმანეთს უნდა შევხვედროდით. ახლა აქ უფრო მეტი ხალხია, შავი ბრბო, ვიდრე ცოტა ხნის წინ...

ვარაუდები — უიმედობა — დაქანცულობა. ფიქრით მხოლოდ ხვალინდელ დღეს ვებღაუჭები. ხვალ იმავე ადგილზე ისევ დავბრუნდები, რომ მას დაველოდო და ამიტომ ძალიან მინდა, რომ ხვალინდელი დღე მალე მოვიდეს. დაღონებულს თვალწინ დამიდგა დღევანდელი საღამო, მერე ხვალინდელი დილა, უსაქმოდ რომ უნდა გავატარო... მაგრამ ეს დღე ხომ თითქმის უკვე დამთავრებულია?.. შინ მობრუნებული ბუხართან ვჯდები და საღამოს გაზეთების გამყიდველების ყვირილი მესმის. ალბათ, მათი ყვირილი მასაც ესმის პარიზის ღვთისმშობლის ტაძართან დაკარგულ მის სახლში.

ის... მე მინდა ვთქვა: ვალენტინა.

ეს საღამო, რომელსაც მინდოდა ხელიდან დავსხლტომოდი, გულზე მძიმედ დამაწვა. სანამ დრო გადის, ეს დღე მალე გათავდება და ახლავე მინდა, რომ იგი გასული იყოს: ისეთებიც ხომ არიან, ამ დღეს რომ ანდეს მთელი თავისი იმედი, მთელი თავისი სიყვარული და უკანასკნელი ძალღონე. ახლა ვიღაც სულს ებრძვის, სხვას ვალის გადახდის ყავლი გაუდის და ოცნებობენ, რომ ხვალინდელი დღე არ მოვიდეს. არიან ისეთებიც, ვისთვისაც ხვალინდელი დღე სინდისის ქენჯნაა. სხვები კი ისე არიან დაქანცულები, რომ ხვალინდელი დღე მათთვის ისე ხანგრძლივი ვერ იქნება, რომ დაღლილი ძვლები ისე მოასვენონ, როგორც მათ უნდათ. მე კი, ვინც ჩემი დღე უაზროდ დავკარგე, ხვალინდელ დღეს რა უფლებით უნდა ვუხმობდე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევ საღამოს. — ვფიქრობდი, მერე ასე დამეწერა: „მე იგი არასოდეს აღარ მიხილავს“. და ყველაფერი გათავდებოდა.

მაგრამ ამ საღამოს, ოთხ საათზე რომ მივედი, თეატრის კუთხეში დავინახე ნაზი, სერიოზული, შავებში ჩაცმული, სახეგაპუდრული და იმ მაღალსაყელოიანი, მას რომ დამნაშავე პიეროს შესახედაობას ანიჭებს. ერთსადაიმავე დროს დატანჯული და ეშმაკური გამოხედვა ჰქონდა.

ის მხოლოდ იმიტომ მოვიდა, რომ ჩემთვის ეთქვა, ახლავე უნდა მიგატოვო და არასოდეს აღარ მოვალო...

მაგრამ ღამე დადგა და ორივენი კი ერთიმეორის გვერდით ნელა მივდევთ ტუილრის ბილიკებს. იგი თავის ამბავს მიყვება, მაგრამ ისე ბუნდოვნად, რომ ბევრი რამ ჩემთვის გაუგებარია. ის ამბობს: „ჩემი საყვარელი“, როცა ლაპარაკობს თავის საქმროზე, რომელსაც ცოლად არ წაჰყოლია. მე მგონი, ასე განზრახ იქცევა, რომ გული მატკინოს და თავიდან მომიცილოს.

ზოგიერთი მისი ნათქვამი ქაღალდზე უსიამოვნოდ გადმომაქვს:

„არავითარ შემთხვევაში არ მენდოთ, — მითხრა მან — მხოლოდ სისულელეები თუ ჩამიდენია“.

„გზებზე სულ მარტოდმარტო დავეხეტებოდი“.

„ჩემი საქმრო სასოწარკვეთილებამდე მივიყვანე; იმიტომ მივატოვე, რომ მეტისმეტად თაყვანს მცემდა; ისეთი ვეგონე, როგორიც წარმოდგენილი ვყავდი, მე ძალიან ბევრი ნაკლი მაქვს. ჩვენ მეტისმეტად უბედურები ვიქნებოდით“.

ვატყობ სულ იმის ცდაშია, თავი იმაზე უფრო ცუდად მომაჩვენოს, ვიდრე სინამდვილეშია. ჩემი აზრით, იგი ცდილობს, თავი დაირწმუნოს, რომ სწორად მოიქცა, როცა ის უგუნურება ჩაიდინა, რაზედაც მელაპარაკა; რომ თითქოს მას არაფერი აქვს სადარდებელი, „რადგან არ იყო ღირსი იმ ბედნიერებისა, რომელსაც მას სთავაზობდნენ“.

სხვა დროს:

„იცით, თქვენი რა მომწონს, — მითხრა მან ერთხელ ,როცა დიდხანს დამაცქერდა, — იცით, რა მომწონს, ალბათ, ის, რომ მოგონებებს მიცოცხლებთ...“

კიდევ სხვა დროს:

„მე ის კვლავინდებურად მიყვარს, — მითხრა მან — იმაზე უფრო მეტად, თქვენ რომ ფიქრობთ“.

და შემდეგ უეცრად, მოულოდნელად, უკმეხად, ნაღვლიანად:

„ბოლოსდაბოლოს, რა გინდათ ჩემგან? თქვენც ხომ არ გიყვარვართ? თქვენც ჩემი ხელის თხოვნას ხომ არ აპირებთ?..“

რაღაც წავილუღლუღე. მე თვითონ არ ვიცი ,რა ვუპასუხე. იქნებ „კი“-მეთქი, ვუთხარი.

ამ ადგილზე დღიური წყდებოდა. მერე შავად ნაწერი იწყებოდა, გაურკვეველი, არეულდარეული, გადაშლილი. უიმედო ნიშნობა! ახალგაზრდა ქალმა მოლნის თხოვნით სამსახური მიატოვა. მოლნი ქორწინებისათვის მზადებას შეუდგა, მაგრამ მას დროდადრო იმის სურვილი მოეძალებოდა ხოლმე, რომ კვლავ მოეძებნა და დაკარგული სიყვარულის კვალს გაჰყოლოდა. ეტყობა, რამდენჯერმე უკვალოდ გაქრა კიდეც, რადგან ამ წერილებში ტრაგიკულ, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი მოლნი ცდილობდა ვალენტინას წინაშე თავი ემართლებინა.

## თავი მეთხუთმეტე

### საიდუმლო

(გაგრძელება)

შემდეგ დღიური ისევ გრძელდებოდა.

მას მოგონებები ჩაეწერა იმ დღეებზე, მათ სოფელში რომ გაეტარებინათ, რომელ სოფელში, ეგ არ ვიცი. უცნაური ამბავია, მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული, ალბათ, ამის მიზეზი დაფარული სირცხვილის გრძნობა უნდა ყოფილიყო, დღიური ისე ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ისე დაუდევრად იყო ნაწერი, ისე ნაჩქარევად იყო მიჯღაბნილი, რომ იძულებული გავხდი, მისი ამბის ეს ნაწილი ჩემით აღმედგინა.

14 ივნისი. — დილით, ფერმის ოთახში რომ გაიღვიძა, მის ოთახში მზეს ფანჯრის შავი ფარდების წითელსახიანი ქსოვილისათვის ცეცხლი წაეკიდებინა. ქვევით, დარბაზში მოჯამაგირეები დილის ყავას სვამდნენ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ; უხეშად და აუღელვებლად ლანძღავდნენ რომელიღაც თავიანთ მეპატრონეს. მოლნს ეს მშვიდი ხმაური ძილში უთუოდ დიდიხანია ესმოდა, რადგან უცებ ვერ გამოერკვა. მზის ცეცხლწაკიდებული ყურძნის მტევნებიანი ფარდა, დილის ხმები, მყუდრო ოთახამდე რომ აღწევდა, ყველაფერი ერთმანეთს ერწყმოდა და კაცს აფიქრებინებდა, რომ სანატრელი არდადეგების წინ სოფელში გამოეღვიძა.

იგი წამოდგა, მეზობელ კარზე ფრთხილად დააკაკუნა და რადგან პასუხი არავინ გასცა, კარი უხმაუროდ შეაღო. მან ვალენტინა დაინახა და მიხვდა, უშფოთველი ბედნიერება რატომ დაეუფლა. ქალს სრულიად გაუნძრევლად და მშვიდად ეძინა, სუნთქვის ხმაც კი არ ისმოდა. ასე მხოლოდ ჩიტს შეეძლო სძინებოდა. იგი დიდხანს დაჰყურებდა ამ თვალებდახუჭულ ბავშვის სახეს, ისე მშვიდს, რომ არ უნდოდა გაეღვიძებინა და აეფორიაქებინა.

ისე გაიღვიძა, არ განძრეულა; რომ არ ეძინა, მხოლოდ იმით იყო მისახვედრი, თვალები გაახილა და მას შეხედა.

როცა ახალგაზრდა ქალმა ჩაიცვა, მოლნი მასთან დაბრუნდა.

„დაგვიანებულები ვართ“. თქვა ვალენტინამ.

და მაშინვე, როგორც დიასახლისი თავის სახლში, ისე მოიქცა.

ოთახები მიალაგ-მოალაგა. ჯაგრისი გაუსვა ტანისამოსს, რომელიც მოლნს წინა დღით ეცვა და ხელში შარვალი რომ აიღო, დაღონდა. შარვლის ორივე ტოტი ქვევით სქელი ტალახით იყო დაფარული. იგი წამით შეყოყმანდა, მერე კი, სანამ ჯაგრისს ფრთხილად გაუსვამდა, მანამდე დანით მიწის ზედა ფენის ჩამოფხეკა დაიწყო.

„ასე სენტ-აგატის ბიჭები იქცეოდნენ, — თქვა მოლნმა — როცა ტალახში ამოიგანგლებოდნენ“.

„მე კი ეს დედაჩემმა მასწავლა“, თქვა ვალენტინამ.

...თავის იდუმალ თავგადასავლამდე აი, ალბათ, სწორედ ცხოვრების ამგვარ თანამგზავრს ისურვებდა ისეთი მონადირე და გლეხი, როგორიც დიდი მოლნი იყო.

15 ივნისი. — სადილობაზე, ფერმაში რომ მიიყვანეს, მათდა სამწუხაროდ, მეგობრებმა ისინი ყველას ისე გააცნეს, როგორც ცოლ-ქმარი. ვალენტინა პატარძალივით მორცხვად იქცეოდა. თეთრი გადასაფარებლით დაფარული მაგიდის თავსა და ბოლოში ორ შანდალში სანთლები აანთეს, როგორც სოფლის მოკრძალებულ ქორწილში. ამ მკრთალ სინათლეზე, როცა თავები ძირს იხრებოდნენ, სიბნელეში იძირებოდნენ.

პატრისის (ფერმის შვილის) მხარმარჯვნივ ვალენტინა იჯდა, მერე მოლნი, რომელიც ბოლომდე ხმას არ იღებდა, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ მას მიმართავდნენ. მას შემდეგ, რაც გადაწყვიტა, ვალენტინა თავის ცოლად გაესაღებინა, რომ მითქმა-მოთქმას ადგილი არა ჰქონოდა, სინანულმა და სინდისის ქენჯნამ შეიპყრო. და სანამ პატრისი სოფლელი თავკაცივით სუფრას უძღვებოდა, მოლნი ფიქრობდა: „მეც ხომ შემეძლო აი, ასეთ დაბალჭერიან მშვენიერ დარბაზში, რომელიც ჩემთვის ესოდენ ნაცნობია, ამ საღამოს ჩემი ქორწილის პურმარილს გავძღოლოდი“.

მის გვერდით ვალენტინა, რასაც სთავაზობდნენ, ყველაფერზე მორცხვად უარს ამბობდა, გეგონებოდათ, გლეხის ყმაწვილი ქალიაო. ყო-

ველთვის, როცა მას მიმართავდნენ, თავის მეგობარს შეხედავდა ხოლმე, თითქოს ეუბნებოდა, დამიცავიო. ამ ხნის განმავლობაში პატრისი დაჟინებით ცდილობდა, მისთვის ჭიქით ღვინო დაელევინებინა, სანამ ბოლოს მოლნი არ დაიხარა ახალგაზრდა ქალისაკენ და არ ჩასჩურჩულა:

„უნდა დალიო, ჩემო პაწია ვალენტინა".

მაშინ მან ჭიქა მორჩილად დაცალა. და გაღიმებულმა პატრისმა ახალგაზრდა კაცს მიულოცა, რომ ასეთი დამყოლი ცოლი ჰყავდა.

მაგრამ ორივენი, ვალენტინაცა და მოლნიც კვლავინდებურად გაჩუმებულნი და დაფიქრებულნი ისხდნენ; ისინი დაქანცულები იყვნენ და თან ატალახებულ გზებზე გასეირნების მერე დასველებული ფეხები სამზარეულოს გარეცხილ კაფელზე ეყინებოდათ. იმავე დროს, ახალგაზრდა კაცი იძულებული იყო შიგადაშიგ გაემეორებინა:

„ჩემი ცოლი, ვალენტინა, ჩემი ცოლი..."

და როცა ამ სიტყვას უცნობ გლეხებთან ამ ბნელ ოთახში ყრუდ წარმოსთქვამდა, სულ ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ შეცდომას უშვებდა.

17 ივნისი. — ამ უკანასკნელი დღის მეორე ნახევარი ცუდად დაიწყო.

გასასეირნებლად რომ მიდიოდნენ, მათ პატრისი და მისი ცოლიც დაემგზავრათ. მანანის ბუჩქნარით დაფარულ უსწორმასწორო ფერდობზე ნელნელა ორი წყვილი ერთმანეთს დაშორდა, მოლნი და ვალენტინა წვრილიანში აღმოჩნდნენ და ღვიის ბუჩქნარში დასხდნენ.

მოღრუბლული იყო და ქარს წვიმის წვეთები მოჰქონდა. საღამოს თითქოს მწარე გემო ჰქონდა, ისეთი მჭმუნვარების გემო, რომლის გაფანტვას ვერც სიყვარული ვერ შესძლებდა. ამ სამალავში ტოტებს შეფარებულნი ისინი დიდხანს დარჩნენ, ხმას ძუნწად იღებდნენ, მერე გამოიდარა. კარგი ამინდი იდგა. ახლა მათ მოეჩვენათ, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა.

და მათ სიყვარულზე დაიწყეს საუბარი. ვალენტინა ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა...

„აი, — თქვა მან — რას მპირდებოდა ჩემი საქმრო, რომელიც ბავშვივით იყო: რომ თითქოს მაშინვე გვექნებოდა საკუთარი სახლი — სადღაც მინდვრებში განმარტოებული ქოხი; სახლი თითქმის მზად არისო, ამბობდა, ჩვენ იქ მივალთ, როგორც დიდი შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებულები, ჩვენი ქორწინების საღამოს, სწორედ იმ დროისთვის, როცა ღამდება და ყველგან, გზებზე და ეზოში, ბუჩქნარში დამალული უცნობი ბავშვები მხიარული შეძახილებით მოგვესალმებიან: „გაუმარჯოს ახლადდაქორწინებულებს!.. „რა სიგიჟეა! არა?"

მოლნი დაფიქრებული და შეშფოთებული უგდებდა ყურს. მას თითქოს ერთხელ უკვე გაგონილი ამბის გამოძახილი ესმოდა, ხოლო ამ ამბავს რომ მოუთხრობდა, იმ ახალგაზრდა ქალის ხმაში ნაღველი მჟღავნდებოდა.

მაგრამ ამ დროს ქალს უცებ შეეშინდა, გული ხომ არ ვატკინეო, მისკენ სწრაფად შებრუნდა და ალერსით უთხრა:

„მე მინდა თქვენ ყველაფერი მოგცეთ, რაც კი გამაჩნია: ისიც კი, რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი იყო... და თქვენ ცეცხლს წაუკიდებთ!"

და დაფიქრებულმა ისე, რომ მოლნისათვის თვალი არ მოუშორებია, ჯიბიდან ამოიღო წერილების, მისი საქმროს წერილების პატარა შეკვრა და მოლნს გაუწოდა.

„ამ!" მოლნმა მაშინვე იცნო მისი წვრილი ასოები. ეს აზრი აქამდე თავში ერთხელ მაინც როგორ არ მოუვიდა? ფრანცის ხელი იყო. ამ ხელით იყო ნაწერი ის სასოწარკვეთილი წერილი, რომელიც მან ადრე სამფლობელოს ოთახში ნახა დატოვებული მაგიდაზე...

ისინი ახლა პატარა ვიწრო გზაზე მიდიოდნენ, ზიზილებსა და ბალახებში, მზე ხუთ საათზე ალმაცერად რომ ანათებდა. მოლნი ისე გაოგნებული იყო, რომ ჯერ კიდევ არ ესმოდა, ეს ყველაფერი მისთვის რა კატასტროფას მოასწავებდა. ის მხოლოდ იმიტომ კითხულობდა, რომ მან თხოვა, წაეკითხა. ბავშვური, სენტიმენტალური, მაღალფარდოვანი წინადადებები... აი, უკანასკნელი წერილის ერთი ნაწყვეტი:

...ამ! თქვენ პატარა გული დაკარგეთ, შეუბრალებელო პაწია ვალენტინა! რა მოგველის? თუმცა ცრუმორწმუნე არა ვარ..."

მწუხარებითა და სიბრაზით თითქმის დაბრმავებულ მოლნს სახე გაჰქვავებოდა, მთლად გაფითრებულიყო და მხოლოდ თვალთან უთრთოდა ძარღვი. მისი ასეთი მდგომარეობით შეშინებულმა ვალენტინამ მოლნს ჩახედა, რომ დაენახა, რას კითხულობდა და ასე რა აშმაგებდა.

„ეს — აუხსნა მან სწრაფად — იმ სამკაულზეა ლაპარაკი, მან რომ მაჩუქა და თან დამაფიცა, არასოდეს მომეშორებინა, აი, ასეთი გიჟური იდეები ჰქონდა აკვიატებული".

„ გიჟური! — თქვა მოლნმა და წერილი ჯიბეში ჩაიდო — ამ სიტყვას რატომ იმეორებთ? ერთხელ მაინც რატომ არ მოისურვეთ, რომ მისთვის დაგეჯერებინათ? მე მას ვიცნობდი. იგი საუკეთესო ბიჭი იყო მთელს ქვეყანაზე!"

„თქვენ მას იცნობდით? — ჰკითხა მეტისმეტად აღელვებულმა ყმაწვილმა ქალმა — თქვენ იცნობდით ფრანც დე გალეს?

„იგი ჩემი ყველაზე საუკეთესო მეგობარი იყო და ჩემი თავგადასავლების თანაზიარი და აი, მე მას საცოლე წავართვი!

„ამ! — მიაყოლა მოლნმა სიბრაზით, — რამდენი ტკივილი მოგვაყენეთ თქვენ, ვისაც ამ ქვეყანაზე არაფრის დაჯერება არ გინდათ. თქვენ

ხართ ყველაფრის მიზეზი, ყველაფერი თქვენ დაღუპეთ! ყველაფერი!

ქალს უნდოდა დალაპარაკებოდა, ხელი მოეკიდა, მაგრამ მოლნმა უხეშად მოიცილა.

„წადით, დამტოვეთ“.

„მაშ, კარგით, თუკი ასეა, — თქვა სახეზე ალმოდებულმა და თითქმის ატირებულმა ქალმა, — მე მართლა წავალ. ჩვენთან, ბურჟში დავბრუნდები ჩემს დასთან ერთად. და თუ წამოსაყვანად არ ჩამომაკითხავთ, — თქვენ ხომ იცით, რომ მამაჩემი ძალიან გაჭირვებულია საიმისოდ, რომ მე შემინახოს — მაშინ სხვა გზა არა მაქვს! წავალ, დავბრუნდები პარიზში, ქუჩებში ისევ მარტო ვივლი, როგორც ადრე, ერთი პირობა დავდიოდი, და რახან სამსახური აღარა მაქვს, სულ ხელიდან წასული გოგო გავხდები...“

და თავისი ბარგის ასალებად გაემართა, რომ მატარებელზე დამჯდარიყო: მოლნს კი მისთვის თვალიც არ გაუყოლებია და აქეთ-იქით სიარულს უაზროდ განაგრძობდა.

აქ დღიური ისევ წყდებოდა.

ერთმანეთს მისდევდა კვლავ შავად ნაწერი წერილები, წერილები გაუბედავი და დაბნეული კაცისა. ლა ფერტე-დ'ანჟიიონში დაბრუნებულმა მოლნმა ვალენტინას კვლავ მისწერა წერილი, რომლითაც მხოლოდ ის უნდა ეცნობებინა, რომ მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე — მას აღარ შეხვედროდა და თუ რა იყო ამ გადაწყვეტილების მიზეზი. მაგრამ სინამდვილეში, მოლნი, ეტყობა, ელოდა, რომ ქალი უპასუხებდა. ერთერთ წერილში მოლნი ქალს თხოვდა, ეცნობებინა ის, რაც მღელვარებაში არ გახსენებია და ქალისათვის არ უკითხავს: იცოდა თუ არა სად იყო ის სამფლობელო, რომელსაც ამდენხანს დაეძებდნენ? მეორე წერილში ქალს ემუდარებოდა, შერიგებოდა ფრანც დე გალეს, თან პირდებოდა, მე დავივლებ და მოვნახავო... არცერთი წერილი, რომელთა შავი პირებიც მე ვნახე, ალბათ გაგზავნილი არცა ყოფილა. მაგრამ, ეტყობა, ორი თუ სამი წერილი მაინც გაუგზავნა, მაგრამ პასუხი არ მიუღია. მის ცხოვრებაში ეს იყო პერიოდი სასტიკი და განწირული შინაგანი ბრძოლისა და სრული სიმარტოვისა. იმის იმედი, რომ ოდესმე იხილავდა ივონ დე გალეს, საბოლოოდ გაუქრა და ეტყობა იგრძნო, მისი სიმტკიცე რომ ნელნელა სუსტდებოდა. და აი, მისი დღიურის მომდევნო გვერდები, მისი დღიურის უკანასკნელი გვერდები რომ წავიკითხე, მე წარმოვიდგინე, არდადეგების დასაწყისის ერთ მშვენიერ დღეს მან ველოსიპედი როგორ იქირავა, რომ ბურჟში ტაძრის დასათვალიერებლად წასულიყო.

დილის პირველ საათზე ის ტყეებში მიმავალ მშვენიერ სწორ გზას დაადგა და თან გზადაგზა ათას მიზეზს იგონებდა, რომ იქ როცა მივიდოდა, ღირსებაც შეენარჩუნებინა და არც პატიება ეთხოვა იმისთვის, ვინც მან თვითონ გააძევა.

ოთხ უკანასკნელ გვერდზე, რომლის აღდგენაც მე შევძელ, ამ მგზავრობაზე და ამ უკანასკნელ შეცდომაზეა საუბარი.

## თავი მეთექვსმეტე

### საიდუმლო

(დასასრული)

25 აგვისტო. — ბურჟის გარეუბანში, სადაც ახალი დასახლებები თავდებოდა, დიდხანს ეძება და ვალენტინა ბლონდოს სახლს ბოლოს ძლივს მიაგნო. კარის ზღურბლთან ქალი იდგა — ვალენტინა ბლონდოს დედა, რომელიც თითქოს მას ელოდა. ქალს ჰქონდა დიასახლისის კეთილი, ნაოჭებით დამძიმებული სახე, რომელიც სილამაზის კვალს ისევ ინარჩუნებდა. იგი მომავალ მოლნს ცნობისმოყვარეობით უყურებდა და როცა მოლნმა ჰკითხა: „მადმუაზელ ბლონდოები შინ არიან?“ მან მოლნს ალერსიანად აცნობა, ისინი თხუთმეტ აგვისტოს პარიზში დაბრუნდნენო.

„მათ ამიკრძალეს, მეთქვა, სად გაჩერდებოდნენ, — დასძინა მან — მაგრამ თუ წერილს ძველი მისამართით გაუგზავნით, მიუვათ“.

უკან რომ ბრუნდებოდა, მოლნს ბაღში ველოსიპედი ხელით მიჰყავდა და თან ფიქრობდა:

„იგი წავიდა... ყველაფერი, როგორც მე მინდოდა, ისე დასრულდა... მე ვაიძულე, რომ ასე მოქცეულიყო... „სულ ხელიდან წასული გოგო გავხდები“, თქვა მან, და ის, ვინც ამისკენ უბიძგა, მე ვარ, ფრანცის საცოლე მე დავღუპე!“

და გადარეული ჩურჩულით იმეორებდა: „მით უკეთესი! მით უკეთესი!“ დარწმუნებული, რომ ეს უფრო „მით უარესს“ ნიშნავდა და რომ სანამ ლობემდე მივიდოდა, ამ ქალის თვალწინ ორივე ფეხით წაიბორძიკებდა და მუხლებზე დაეცემოდა.

წასაუზმებაც არც უფიქრია, კაფეში ისე შევიდა და იქ დიდხანს წერდა წერილს ვალენტინას მხოლოდ იმიტომ, რომ საბოლოოდ აღმოსკდომოდა განწირული სულის კივილი, მას რომ ახრჩობდა, და განთავისუფლებულიყო. მის წერილში დაუსრულებლივ მეორდებოდა: „როგორ შეგეძლოთ! როგორ შეგეძლოთ! როგორ შეგეძლოთ, ეს ჩაგედინათ!.. როგორ შეგეძლოთ, თავი ასე დაგეღუპათ!“

გვერდით ოფიცრები სვამდნენ. ერთი სხვებს ქალის ამბავს უყვებოდა და მისი მონაყოლი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისმოდა: „...მე ვუთხარი: „თქვენ უნდა კარგად მიცნობდეთ... ყოველ საღამოს თქვენს ქმარს ვეთამაშები-მეთქი!“ სხვები იცინოდნენ, თავს აბრუნებდნენ და სკამებს უკან, იატაკზე აფურთხებდნენ. დაქანცული და მტვრიანი მოლნი მათ ისე შეჰყურებდა, რო-

გორც მათხოვარი და წარმოიდგინა, ვალენტინა რომ იმათ მუხლებზე ჰყავდათ დასმული.

მან ველოსიპედით ტაძრის გარშემო დიდხანს იტრიალა და თავისთვის ბუტბუტებდა: „ბოლოს და ბოლოს, ტაძრის სანახავად ვარ მოსული". ტაძარი კი ყველა ქუჩის შესაყართან, უკაცრიელ მოედანზე იდგა, უზარმაზარი და გულგრილი. ქუჩები ისე ვიწრო და ბინძური იყო, როგორც შუკები სოფლის საყდრის გარშემო. აქა-იქ მოჩანდა საროსკიპოების აბრები, წითელი ფარანი... მოლნმა იგრძნო, რომ ტკივილი გაუქრა ამ თითქოს შუასაუკუნეების დროინდელი ბინძური, გარყვნილი და განაპირებული უბნის ტაძრის თაღებში და გლეხური შიში და ზიზღი დაეუფლა ამ ქალაქის ტაძრისადმი, სადაც ყოველი კუნჭულიდან იმზირებოდა ბიწიერების ქანდაკება; იმ ტაძრისადმი, რომელიც აგებული იყო უწმინდურ ადგილზე და ამიტომ ვერ უწამლებდა სიყვარულის უწმინდეს ტკივილებსაც კი.

ორმა მეძავმა ჩაიარა, ხელიხელგადახვეულებმა და უტიფრად შეხედეს. თავი შეეზიზღა თუ თამაშმა ჩაითრია, ან იქნებ თავისი სიყვარულის გამო თავი უნდოდა რომ დაესაჯა, მოლნი ველოსიპედით მათ უკან მიჰყვა და ერთერთმა უბედურმა მეძავმა, რომელსაც თხელი ქერა თმა უკან ხელოვნური შინიონით შეეკრა, ექვსი საათისათვის პაემანი დაუნიშნა არქიეპისკოპოსის ბაღში, სწორედ იმ ბაღში, სადაც ფრანცი ერთერთ თავის წერილში საცოდავ ვალენტინას პაემანს უნიშნავდა.

მოლნს მისთვის უარი არ უთქვამს, რადგან იცოდა, რომ ამ დროისათვის იგი ამ ქალაქიდან უკვე დიდიხნის წასული იქნებოდა. ქალი კი დამრეცი ქუჩის დაბალი ფანჯრიდან დიდხანს გაურკვევლად რაღაცას ანიშნებდა.

მან გადაწყვიტა საჩქაროდ გზას გასდგომოდა.

წასვლის წინ ვერ გაუძლო მძაფრ სურვილს, ვალენტინას სახლთან უკანასკნელად კიდევ ჩაევლო. ის გაფაციცებული იყურებოდა და გული მწუხარებით ისე ევსებოდა, რომ ეს ჰმუნვარება ალბათ დიდხანს ეყოფოდა. ამ სახლთან, ამ დასახლების ერთერთ უკანასკნელ სახლთან ქუჩა თავდებოდა და ქუჩა ქუჩაც იყო და გზის დასაწყისიც... სახლის წინ პატარა მოედანივით მოცარიელებული ადგილი იყო. გზაში არავინ ჩანდა და არც ფანჯარაში იყო ვინმე გადმომდგარი მხოლოდ ბინძური გაპუდრული ქალი კედლის გაყოლებაზე ორ ჩამოკონკილ ბიჭს მიათრევდა.

აი, აქ გაიარა ვალენტინას ბავშვობამ, აქ შეხედა პირველად ამ ქვეყანას თავისი გულუბრყვილო და მშვიდი თვალებით. ამ ფანჯრებს მილმა შრომობდა, საკერავს უჯდა და გარეუბნის ამ ქუჩაზე მოდიოდა ფრანცი, რომ დაენახა და მისთვის გაეღიმა. მაგრამ ახლა არაფერი აღარ იყო, აღარაფერი... ნაღვლიანი საღამო გრძელდებოდა და მოლნმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ახლა ალბათ სადღაც დაკარგული ვალენტინა, იგონებდა ამ მოღუშულ მოედანს, სადაც იგი არასოდეს აღარ დაბრუნდებოდა.

მოლნს უკან დასაბრუნებლად ელოდა ხანგრძლივი მგზავრობა, რომელიც მწუხარებასთან მისი უკანასკნელი გაბრძოლება უნდა ყოფილიყო, მისი უკანასკნელი ნაძალადევი თავშესაქცევი, სანამ საბოლოოდ მთლიანად არ ჩაითრევდა.

იგი გზას გაუდგა. ხეობაში, გზის გასწვრივ, ხეებში, წყლის პირებზე ჩანდა ფერმერთა კოხტა სახლების ციგურიანი წვეტი მწვანედ შეღებილი რკინის მაქმანებით, ალბათ, იქ, პაწაწინა მდელოებზე გულისხმიერი ქალები სიყვარულზე ლაპარაკობენ. იქ, ალბათ, კეთილი ადამიანები, კეთილი გულის ადამიანები ცხოვრობენ...

მაგრამ ახლა მოლნისათვის მხოლოდ ერთადერთი სიყვარული არსებობდა და ეს უიღბლო სიყვარული სასტიკად იყო დამცირებული; ის ყმაწვილი ქალი კი ,ერთადერთი ყმაწვილი ქალი, რომელიც მას უნდა დაეფარა და დაეცვა, დასაღუპავად გზას თვითონ გაუყენა.

დღიურში ნაჩქარევად ჩაწერილმა რამდენიმე სტრიქონმა გამაგებინა, მას გადაუწყვეტია, სანამ დაგვიანებული არ იყო, რადაც არ უნდა დასჯდომოდა ვალენტინა მოეძებნა, ფურცლის კუთხეში დასმულმა თარიღმა კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ სწორედ ამ ხანგრძლივი მოგზაურობისათვის ამზადებდა თავის შვილს ქალბატონი მოლნი, როცა ლა ფერტე-დ' ანჟიონში მივედი და ყველა გეგმა წყალში ჩავუყარე. მიტოვებულ მერიაში მოლნს ქაღალდზე მოგონებები და გეგმები გადაჰქონდა, როცა აგვისტოს თვის მიწურულის იმ მშვენიერ დილით კარი შევუღე და მივუტანე დიდი ახალი ამბავი, რომელსაც ის აღარ ელოდა; ძველმა თავგადასავალმა მას კვლავ ხელფეხი შეუკრა და ველარც ვერაფერი აწამა და ველარც ვერაფერი აღიარა. იგი ხელახლა შეიპყრო სინდისის ქენჯნამ, სინანულმა და მწუხარებამ, ზოგჯერ გაყუჩებულმა და ზოგჯერ მოძალებულმა, სანამ ქორწილის დღეს ნაძვნარში მაწანწალის ყვირილმა სიყრმეში მაღალფარდოვანად მიცემული ფიცი არ მოაგონა.

თვიური დავალებების იმავე რვეულში, გათენებისას, სანამ მისივე ნებართვით სამუდამოდ მიატოვებდა ივონ დე გალეს, რომელიც წინადღით მისი ცოლი გახდა, მოლნს ნაჩქარევად რამდენიმე სიტყვა კიდევ ჩაუწერია:

„მე მივდივარ, უთუოდ უნდა მოვძებნო კვალი ორი მაწანწალისა, რომლებიც გუშინ ნაძვნარში მოვიდნენ და მერე ველოსიპედით აღმოსავლეთით გაემართნენ. მე ივონასთან ვერ

დავბრუნდები მანამდე, სანამ ჩემთან ერთად არ მოვიყვან ფრანცსა და ვალენტინას და დაქორწინებულებს „ფრანცის სახლში" არ დავაბინავებ.

- ეს ხელნაწერი, რომელიც როგორც საიდუმლო დღიური ისე დავიწყე და ჩემს აღსარებად იქცა, მე თუ ველარ დავბრუნდი, ჩემი მეგობრის ფრანსუა სერელის საკუთრება იქნება".

მან ალბათ, სიჩქარეში ეს რვეული სხვა რვეულებში შეურია, თავისი მოწაფური ძველი პატარა სკივრი გასაღებით დაკეტა და გაქრა.

## ეპილოგი

დრო გადიოდა. მე თანდათან იმედს ვკარგავდი, რომ ჩემს მეგობარს ოდესმე კიდევ ვნახავდი. ერთმანეთს მისდევდა პირქუში დღეები სოფლის სკოლაში და ნაღვლიანი დღეები გამოყრუებულ სახლში. ფრანცი იმ პაემანზე არ მოვიდა, მე რომ დავუნიშნე და ბებიდა მუანელმაც უკვე კარგახანია აღარ იცოდა, ახლა სად ცხოვრობდა ვალენტინა.

საბლონიერში ერთადერთი სიხარული იყო პატარა გოგონა, რომელიც შესძლეს და გადაარჩინეს. სექტემბრის მიწურულისათვის იგი უკვე ჯანმრთელი და მშვენიერი ბავშვი იყო. მალე ერთი წელი შეუსრულდებოდა. სკამის ზურგზე ხელჩაჭიდებული ცდილობდა დამოუკიდებლად გაევლო, თუ დაეცემოდა, აინუნში არ აგდებდა და მისი აურზაურის ექო დიდხანს ისმოდა მიტოვებულ სახლში. ხელში რომ ავიყვანდი, არ მიშვებდა, რომ მეკოცნა. მიუკარებელი და მომაჯადოებელი ჩემს ხელებში ფართხალებდა, პაწაწინა ხელისგულებით ჩემს სახეს იშორებდა და ხარხარებდა. ასე გეგონებოდათ, თავისი მხიარულებით, თავისი ბავშვური ანცობით შესძლებდა და შეებრძოლებოდა იმ ნაღველს, რომელიც ამ სახლში მისი დაბადებისთანავე დასადგურებულიყო. ზოგჯერ ჩემს თავს ვეუბნებოდი: „მიუკარებელი კი არის, მაგრამ ნაწილობრივ ის ხომ ჩემი ბავშვიც არის". მაგრამ ამჯერად განგებამ სულ სხვაგვარად ინება.

სექტემბრის მიწურული იყო, კვირა დილით ძალიან ადრე ავდექი, იმ გლეხის დედაკაცზე ადრეც კი, პაწია გოგონას რომ უვლიდა. მდინარე შერზე ორ სენ-ბენუელ კაცთან და ჟასმენ დელუშთან ერთად სათევზაოდ უნდა წავსულიყავი. ახლომახლო სოფლების გლეხები უმეტეს შემთხვევაში თანახმანი იყვნენ, რომ ბრაკონიერულად გაგვენავარდებინა: ღამით თევზი ხელით დაგვეჭირა ან აკრძალული მოწყობილობით გვეთევზავა... მთელი ზაფხულის განმავლობაში თავისუფალ დღეებში, ინათებდა თუ არა, გზას გავუდგებოდით და მხოლოდ შუადღით ვბრუნდებოდით, ეს ხალხი ამით პურსა ჭამდა, ჩემთვის კი ერთადერთი გასართობი იყო, ერთადერთი თავგადასავალი, რომელიც ადრინდელ ჩვენს გამოხდომებს მახსენებდა. ბოლოს და ბოლოს, ამ გასეირნებებს, მდინარის პირას ან ტბის ლერწმებში ამ ხანგრძლივ თევზაობას მეც გემო გავუგე.

იმ დილით, ექვსის ნახევარზე მე უკვე ფეხზე ვიდექი კედელთან, პატარა ფარდულში, რომელიც საბლონიერის ინგლისურ ბაღს ფერმის ბოსტნისაგან მიჯნავდა და სათევზაო ბადეებს ვშლიდი, რადგან გასულ ხუთშაბათს ისევე დავყარე.

სექტემბრის მშვენიერი დილა ჯერ არ გათენებულიყო და მიწაზე ისევ ბინდი იწვა; ფარდული, სადაც ბადეებს ფაციფუცით ვშლიდი, ჯერ ისევ ბნელში იყო ჩაფლული.

საქმით გართული ჩუმად ვიდექი, როცა გავიგონე, რომ ჭიშკარი გაიღო და ქვიშაზე ფეხსაცმელი აჭრიალდა.

„ოჰ, ოჰ! — ვუთხარი ჩემს თავს — აი, ჩემი ხალხიც მოვიდა იმაზე ადრე, ვიდრე მოველოდი. მე კი ჯერ მზად არა ვარ!.."

მაგრამ ეზოში შემოსული კაცი ჩემთვის უცნობი იყო. ბინდში გარჩევა გამიჭირდა, მაგრამ მივხვდი, რომ მაღალი, წვერიანი აყლაყუდა მონადირესავით ან მეთევზესავით იყო ჩაცმული, იმის ნაცვლად, რომ ჩემს სანახავად ფარდულისაკენ წამოსულიყო, სადაც ამ დროს ჩემს ამხანაგებს ვიგულებოდი ხოლმე, მან პირდაპირ სახლში შესასვლელ კარს მიაშურა.

„ჰო! — გავიფიქრე მე — ეტყობა, მათი მეგობარია, ისე მოიპატიჟეს, რომ მე არ გამაგებინეს და ახლა ჩემთან ამბის გასაგებად თუ გამოგზავნეს".

კაცმა ფრთხილად, უხმაუროდ შეანძრია კარის ურდული, შინიდან გამოსვლისას რომ დავკეტე. ასევე მოიქცა იგი სამზარეულოს კართან. მერე წამით შეყოყმანდა, ჩემკენ შემობრუნდა, ბინდბუნდში მისი შეშფოთებული სახე დავინახე და მხოლოდ ახლა ვიცანი დიდი მოლნი.

კარგახანს ვიდექი შეშინებული, დაბნეული, გულდასერილი უეცარი ტკივილით, რომელიც მისმა დაბრუნებამ გააცოცხლა. იგი კუთხეში თვალს მიეფარა, სახლს შემოუარა, ისევ გამოჩნდა და გაუბედავად შედგა.

მაშინ მე მასთან მივედი, უსიტყვოდ მოვეხვიე და ავქვითინდი. იგი მაშინვე ყველაფერს მიხვდა.

„აჰ! — თქვა მან მოკლედ — მოკვდა, არა?"

და ასე დარჩა ფეხზე მდგარი, დაყრუებული, უძრავი, საშინელი. ხელი ხელზე მოვკიდე და სახლისაკენ დინჯად წავიყვანე. უკვე თენდებოდა. უმძიმესი საქმე, რომ მაშინვე თავიდან მომეშორებინა, კიბეზე ავიყვანე და განსვენებულის ოთახში შევედით. შესვლისთანავე მის საწოლთან მუხლებზე დაეცა და ხელისგულებში თავჩარგული ასე დიდხანს იყო.

ბოლოს წამოდგა, თვალებამღვრეული, ატორტმანებული, თითქოს ვერ გაერკვია, სად იყო.

ისევ ხელზე ხელი ჩავავლე და იმ ოთახის კარი შევაღე, რომელიც ამ ოთახს პატარა გოგონას ოთახთან აკავშირებდა. გოგონას გაღვიძებოდა და რაკი ძიძა ქვევით იყო, თავის აკვანში მშვიდად იჯდა, თავი ჩვენკენ მოებრუნებინა და გაოცებული შემოგვცქეროდა.

„აი, შენი გოგონა“, ვუთხარი მე.

შეკრთა და შემომხედა.

მერე ხელი დაავლო და აიყვანა. თავიდან კარგად ვერც დაინახავდა, რადგან ტიროდა; მერე, ცოტათი რომ დამშვიდებულიყო და ცრემლები შეეკავებინა, თავდახრილი ჩემკენ შემობრუნდა, გოგონა მარჯვენა ხელზე დაისვა, გულზე მიიკრა და მითხრა:

„ორივენი მოვიყვანე... თავიანთ სახლში ნახავ“.

და მართლაც, იმ დილით, როცა დაფიქრებული და თითქმის ბედნიერი მივედი ფრანცის სახლთან, რომელიც ოდესღაც ივონ დე გალემ უკაცრიელი მაჩვენა, შორიდანვე დავინახე მაღალსაყელოიანი ახალგაზრდა დიასახლისი, რომელიც თავის კარის ზღურბლთან გვიდა და საკვირაოდ გამოწყობილ და წირვაზე მიმავალ მწყემს ბიჭებში ცნობისმოყვარეობასა და აღფრთოვანებას იწვევდა...

ამ დროს, პაწია გოგონას, გულზე მიკრული რომ ჰყავდა გვერდზე მიბრუნებულ მოლნს, რომელსაც თვალზე მომდგარი ცრემლი უნდოდა დაემალა და მას არ უყურებდა, მოსწყინდა და პაწაწინა ხელი დასველებულ წვერმოშვებულ სახეზე მაგრად გაჰკრა.

მაშინ მამამ თავისი გოგონა მაღლა აისროლა და გაუცინა. გახარებულმა გოგონამ ტაში შემოჰკრა...

მე უკან დავიხიე, რომ ისინი უკეთ დამენახა. ცოტათი დაღონებული და ამასთან გახარებული მივხვდი, რომ ბოლოს გოგონამ იპოვა მეგობარი, რომელსაც იგი შეუგნებლად ელოდა. ამავე დროს, ისიც ვიგრძენ, რომ ერთადერთი სიხარული, რომელიც დიდმა მოლნმა დამიტოვა, დაბრუნებულს ისევ უკან უნდა წაეღო და მე წარმოვიდგინე, იგი თავის გოგონას მოსახსამში როგორ ახვევდა, რომ ღამით მასთან ერთად ახალი თავგადასავლების შესახვედრად გზას გასდგომოდა.

ფრანგულიდან თარგმნეს
ირაკლი და გივი გეგეჭკორებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარლენ კორალოვი

# გუდაუთა—1. ვეტერანები...

(მემუარები ცხელ კვალზე)

დღეს შეინიშნება, რომ მკითხველი და დრო ადვილად მიუტევებენ მწერალს ჟანრული დეფინიციებისადმი უპატივცემულობის გამო, ოღონდ კი სიმართლეს ამბობდეს იგი. მაგრამ ხუმრობა საქმე ხომ არაა „სიმართლის თქმა". მთავარ სიძნელეს სწორედ სიმართლის მიღწევა შეადგენს. სიმართლე, კვლავ სიმართლე: სიმართლე სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური... თითოეული მათგანი შეიძლება იყოს ერთი ბეწო და მჟახე, როგორც ახლად გამონასკვული ვაშლის მწვანე ნაყოფი, მწარე, როგორც სელიტრით ჭარბად გამდიდრებულ მიწაზე მოწეული ნესვი, წყლიანი და ზედმეტად ბადაგიანი, როგორც გადამწიფებული საზამთრო. მწკლატე და მოტკბო, ვიტამინებით სავსე ,ბროწეულივით მხიარული და ლამაზი. ხან ბრტყელი, როგორც მერქან-ბურბუშელას ფილა, ხანაც ჭასავით ღრმა...

აფხაზეთის ზღვისპირეთსა და მთიანეთში ყოფნისას, უფრო ხშირად სალამოსპირზე რომელიმე თანამოსაუბრე განდობილი და საიდუმლო ხმით ცბიერად მეკითხებოდა:

— თქვენ სიმართლის წერას აპირებთ?

— დიახ, სიმართლის.

— მხოლოდ სიმართლის? — თვალს მიკრავდა ეშმაკურად.

— მხოლოდ სიმართლის. — მშრალად ვუდასტურებდი და ვცდილობდი, როგორმე გავცლოდი აბეზარ თანამოსაუბრეს.

— სრული სიმართლის? — არ ცხრებოდა კირკიტელა ხალხი. ისინი მიმტკიცებდნენ, რომ დაფიცების წესი, რასაც სხვადასხვა ქვეყნის მართლმსაჯულება მსჯავრდადებულისა და მოწმეებისაგან ითხოვდა, მათთვის კარგად ნაცნობი იყო.

მე კი გათვითცნობიერებულთაც და მიამიტებსაც, განათლებულებსაც და ეჭვიანებსაც ერთნაირად ვპასუხობ: „სრული სიმართლის თქმა არც იქნება და იმედიც არავის ჰქონდეს. ამისი პრეტენზიაც კი ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია და ამის შესახებ, საჭიროა ხმამაღლა ითქვას. მართლაც და „ხუმრობა იქით იყოს" და სრული სიმართლის მოთხოვნა საერთოდ აღუსრულებელი რამეა, თეორეტიკოსების პოზიციიდან კი — არაკორექტული საქციელი.

რას ნიშნავს „სრული სიმართლის წერა" მოსკოვზე, აფხაზეთსა და შორეულ აღმოსავლეთზე? იგი გულისხმობს „მთელ ისტორიას", „მთლიან კულტურას", ქალაქის ან მხარის კავშირურთიერთობებს ქვეყნისა და საზღვარგარეთის ყველა რეგიონთან. „სრული სიმართლე", უბრალოდ, დაუძლეველი რამეა, რის გამოც იგი შეზღუდვას ითხოვს სივრცის, დროისა და სიუჟეტურ-ფაბულური თვალსაზრისით. სხვათა შორის, ისიც უნდა ითქვას, რომ დიდად მაინცდამაინც არავის არ აღარდებს ეგ საკითხი. ჩვეულებრივად, ადამიანებს გულში ხვდებათ დიდი სიმართლის მხოლოდ მცირედი ნაწილი, ყველა „მართლის მთქმელი" ამ დიდ სიმართლეს თავისებურად უდგება, მისეული კუთხით აღიქვამს. გარეშე თვალით დანახული სიმართლე, რა თქმა უნდა, ასევე თავისებური სიმართლეა. ადგილობრივი ადამიანი ამ სიმართლით ვერ დაკმაყოფილდება, რადგანაც იგი ადგილობრივ ვითარებას ბევრად უკეთ იცნობს ვიდრე სხვა ვინმე. ნარკვევის მწერლისათვის ადვილი როდია ადგილობრივი ვითარების მთელი სისრულით წარმოჩენა, ამიტომაც იგი შეკრეჭილ-შელამაზებულად გვაცნობს აქაურ სინამდვილეს. დანიშნული ბანქოთი თამაში უკვე საუკუნეა რაც მიღებულია. ფოტოპორტრეტში რეტუში დაკანონდა, რა ხანია და ხშირად რეტუშირებული სახე უფრო სარწმუნოა ხოლმე, ვიდრე

ის, რომელსაც თვალით ხედავ და აღიქვამ. კეთილი ჭაბუკი ბერდება, სილამაზე წარმავალი ხდება, პორტრეტი კი ერთადერთ რეალობად შემოინახება.

ამის გამო ჩვენი ამოცანა მოკრძალებულია: ნარკვევში შესაძლებლობისამებრ შევამციროთ ცილისწამებისა და სიყალბის პროცენტი, გავზარდოთ სიმართლის წილი. ამ სიძნელეებთან დაკავშირებით კიდევ რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას (ნუთუ უკანასკნელად?) — ესაა იმ პუბლიცისტის წინაშე მდგარი სიძნელეები, მზიურ ამიერკავკასიაზე წერას რომ მიჰყო ხელი.

მაშ, ასე, კეთილსინდისიერად და დაუოკებელი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებ დაწკრიალებულ-დამარმარებულ ეზოს, მშვენიერ სახლს, რომელსაც იქვე ბაღი აკრავს. მერწმუნეთ, ნამდვილად დიდი ცოდვა იქნება, თუ მას გვერდზე აუვლი და უკან ერთხელაც არ მოხედავ. მაგრამ ლობესთან ფიქრის საშუალებას ვინ გაცლის — ვიდრე შენ პატივცემული მოგზაური ხარ და გვერდით სტუმარ-მასპინძლობაში გამობრძმედილი თანამგზავრები არიან, მეტი რა ჩარაა, ანგარიში უნდა გაუწიო იმათ, ნება-სურვილს, დროზე შეიმეცნო, რომ ახლა ურჩობა, მეტი რომ არა ვთქვათ, უზნეობაა. მართლაცდა, გული ხომ არ უნდა ატკინო მათ? შემდეგ კი რიტუალურ სადღეგრძელოებს შორის მშვიდობასა და ქვეყნიერებაზე, გვარის უფროსებზე, ოჯახის მასპინძლებზე და ბუნებრივია, სტუმრებზე, მოისმენ კიდევ ერთ მოკლე სადღეგრძელოს:

— ამ სახლში თქვენი პირველი მოსვლისა იყოს!

— დედის სადღეგრძელო იყოს, გულში რომ ჩვილი ჩაუკრავს.

— შვილის ფეხადგმით გახარებული მამის სადღეგრძელო იყოს...

— პირველი გაკვეთილისა და პირველი მასწავლებლისა იყოს...

— წარმატებით ჩაბარებული პირველი გამოცდისა...

— პირველი სიყვარულისა და ამბორისა...

— შრომითი ნათლობისა...

— პირველი ბრძოლისა და გამარჯვებისა...

— პირველი თანადგომისა... მეგობრობისა...

ბოლომდე კიდევ ბევრია, მკითხველო, დარჩენილი. რედაქტორმაც უნდა დაივიწყოს საავტორო ფორმების არსებობა. მჭევრმეტყველების კიდევ მრავალი ციცაბო საფეხურის დაძლევაა მოსალოდნელი. მაინც წაუბორძიკებლად უნდა იარო სულ წინ და ზევით, კედელი არ უნდა ინაბრო საყრდენად, წვეთი ღვინო არ უნდა დააქციო. და აი, ისიც, ალთქმული ბოლო საფეხურის მარში, უკანასკნელი ბაქანიც:

— რაიონის თავკაცის სადღეგრძელო!

— რესპუბლიკის ხელმძღვანელის სადღეგრძელო!

— ჩვენი დიდი ქვეყნის მეთაურის სადღეგრძელო!

მაინტერესებს შენ როგორ მოიქცეოდი ბოლო ბაქანზე, ძვირფასო მკითხველო? განსაკუთრებით 1985 წლის 17 მაისის დადგენილების შემდეგ? დამიწყებ ახსნას, რომ კანონს პატივს სცემ? ღმერთმანი, კანონის საწინააღმდეგო მეც არაფერი მაქვს, ალკოჰოლს მეც ვებრძვი და საერთოდ ვფიქრობ, რომ 17 მაისის კანონი ეს ხსნაა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ქარხნების დირექტორების, პროფკავშირებისა, პარტიული მუშაკების და საერთოდ ყველასი, ვინც თავის მოვალეობად რაცხდა მუდამ გულხვავიანად, ხელგაშლილი მიგებებოდა მეგობარსა თუ შორით მოვლენილ სტუმარს, ვაჭრობის რევიზორი იქნებოდა იგი თუ მთავრობა — სამინისტროთა მსხვილ-წვრილი წარმომადგენელი თავისი მცირერიცხოვანი თუ მრავალრიცხოვანი ამალითურთ, და ბარემ, მიმკერძოებლად რომ არავინ ჩამთვალოს, ამ სტუმართა რიცხვში უნდა ვიგულისხმოთ ასევე გაზეთის კორესპონდენტები, ტელევიზიის რეჟისორები, და ასევე, რაღა თქმა უნდა, მწერლები და პუბლიცისტებიც...

ეკონომია ნაციონალურ მასშტაბებში ქათმებსა და გოჭებზე, ღვინოსა და ლობიოზე — უკვე წვრილმანი როდია. სტუმრებისა და მასპინძლების დროის ეკონომია სახელმწიფო მასშტაბით უკვე რაღაცას წარმოადგენს! მაგრამ მთავარი ეკონომია ეს მაინც მრავალი ათასი პატიოსანი მშრომელის ჯანმრთელობაა, მათთან ერთად წყალწაღებული უსაქმურებისაც, რომლებიც ყოველ წუთში მზად არიან დალიონ და წაიხემსონ.

მხსნელი კანონი.

პირადად ჩემთვის სრულიად დროული. მაგრამ მე აქამდე, 1985 წლის 17 მაისამდე გამართულ პურმარილებზე მოგახსენებდით. და ახლა კი გეკითხები, ძვირფასო მკითხველო, რას იზამდი იმ უმაღლეს ბაქანზე მაშინ, როცა „მდე“ იყო და არა „შემდეგ“?

ნუთუ პირამდე გალიცლიცებულ ყანწს თანამოინახეს დაუჭაშნიკებლად გადააწოდებდი და დაუწყებდი ახსნა-განმარტებას, რომ ბებიაშენს ჯერ კიდევ რევოლუციამდე ამოუკერეს ნაწლავი, ხოლო შენ საყლაპავი მილი რატომღაც სტომაქის გარდიგარდმო გაქვს, გულის ცემა ხუთზე ზემოთ არ ადის და დანარჩენი ორგანოებიც მოქმედებაზე უარს ამბობენ? ადამიანები ასეთი უბედურების გამო, რა თქმა უნდა, გაპატიებენ, მაგრამ მე რატომღაც ჯიუტად მიკაკუნებდნენ, ერთი კარგი მეთევზისა არ იყოს, მიკაკუნებდნენ და ჩამაგონებდნენ, რომ კეთილზე კეთილი ვყოფილიყავი.

ქენი სიკეთე, მეტად ნუღარ გაირჯები, ამ გვერდზე დაასრულე და დახურე შენი ნარკვევი.

ახლა კი ბოლო სიძნელე იწყება — დავძლიოთ

უკანასკნელი გარბენი და დავსვა წერტილი. ამით დავასრულო გენერალური მოთელვა გრძელი მარათონის წინ, მარათონისა, რომელიც გუდაუთის, გაგრის, სოხუმისა და გალის პარალელებზე გაედინება.

## კურორტი, ქალაქი

შუა კი არა, უკვე ოქტომბრის მესამე დეკადაა, ხავერდოვანი სეზონის დასასრული. ამიტომაც არ გაჭირდა ღამით თავისუფალი ნომრის გამონახვა „ალაშარაში“, 80-იანი წლებისა და აგვისტო-სექტემბრის საზომებით საუკეთესო სასტუმროში; გვერდით კაფე და ფოსტაა, იქვე პარკი და საზღვაო მისადგომი, პლიაჟი! კიდევ რა არის საჭირო? მაგრამ, შემოდგომის პირობებში, როცა ჩამოსული სტუმარი წუნია და წვრილმანებისადმი ყურადღებიანია, პატარა ნომერს, პირდაპირ რომ ვთქვათ, არა უშავს. სადღაც თავსზემოთ მხიარულად და საზეიმოდ გუგუნებენ კურანტები.

— ღამითაც რეკენ?

— მაშ, როგორ...

— ალბათ იმიტომ, რომ სანუკვარ სტუმარს ჩააგონონ: გიხაროდეს, ძმაო, ღამით „ალაშარაში“ გამოძინების საშუალება არ მოგეცემა.

— როგორმე გამოიძინებთ — მამშვიდებს მორიგე ქალი.

ნომერში აბაზანა არაა. მაგრამ ეს, სხვათაშორის, წვრილმანია და არც კია ანგარიშში ჩასაგდები. ხომ არის შხაპი ტუალეტისა და პირისაბანის ზემოთ. შესანიშნავი იდეაა, გაიწოდე ხელი და საშხაპე მარჯვნივ ფრთხილად, აუჩქარებლად მოატრიალე, გახსენი ონკანი და დროის ეკონომია თუ გაინტერესებს, იმუშავე ოპერაციის შეთავსებით... მაგრამ, ეგაა რომ არც წყალი მოდის, არც ცხელი და საერთოდაც, არანაირი...

— როგორ არ მოდის, — მეკამათება მორიგე ქალი, რომელიც საწოლის თეთრეულს ცვლის, — ცივი დილაობით არის ხოლმე, ცხელზე კი რა მოგახსენოთ.

— მოხდა რამე? საგანგებო შემთხვევა?

— დილით გადაიხედეთ ეზოში და ნახეთ. რემონტია.

ჩემოდანი ამოვალაგე. პატარაზე გავხურდი (ან ცოტა გავცხარდი), თუნდაც კბილით გახსენი კარადა. გასალები რომ იყოს, პატარა ნახვრეტს მოვარგებდი. მუშტი დავარტყი და კარიც გაიღო.

— ავეჯს არა უშავს, თავისი საქმე სცოდნია.

— ახალია!

— საინტერესო ავეჯია, ეტყობა, ყველა ზორბა ხალხია, ამიტომ დაუწევია დაბლა, იატაკს ეზრდება? ჭერისა შურს? ამ მაგიდასთან რომ წერო, სამად უნდა მოიკაკვო, მასზე ჭამაც უგემური იქნება.

— სამაგიეროდ მოდურია!

თვალი ავაყოლე დიდი ხნის შეთეთრებულ პლაფონს. მდგმურთა ჯინაზე, თითქოს დაფიცებული მქონდა, შუქი არ შემარჩინა.

— მაგიდის ლამფა არა გაქვთ?

— შეიძლება იყოს, მაგრამ ღამით განა რამეს იპოვი? დილით ჩემს შემცვლელს მიაკითხეთ.

— გზად გაზეთები ვიყიდე, „იზვესტიის“ ჩამთავრება მინდოდა, სწორედ სასტუმროს ეხება ერთი სტატია.

— „პრავდა“ დილით და ცოტა ადრე... ღამით ძილია საჭირო, — თითქმის მეკეკლუცება მორიგე.

— უკაცრავად, პირსახოცი?

— ახლა საიდან მოვიტანო? ხვალ, ხვალ მიაკითხეთ მეკუჭნავეს.

რა აზრი აქვს „ხვალ“ მიკითხებას? ვიცი, როგორცაა. მახსენდება, „ზარია ვოსტოკამ“ არაერთხელ დაწერა სასტუმროების პირსახოცებზე, საქმიანად, დამაჯერებლად, მწვავედ... მთავარია, სულის სიმხნევე შეინარჩუნო. ჯერჯერობით ხომ დაიძლია საწოლის თეთრეულის დეფიციტი. ზეწრები ახლა ყველგან ყელამდეა, ნუთუ მსუბუქი მრეწველობა ადრე თუ გვიან თავს ვერ გაართმევს პირსახოცებს? ჯერ-ჯერობით კი რას ვიზამთ, როგორმე გავიტანთ თავს ზეწრების კიდეებით. აი, გრაფინიც პირთამდე სავსე დგას. ჩემმა წინამორბედმა გამოამჟღავნა მზრუნველობა, გულმოწყალება: გმადლობ, ძვირფასო, სამსახურის გაწევისათვის. ხომ შეეძლო, არ შეევსო და წყალი მარტო გრაფინის ფსკერზე შეეტოვებინა. ბედნიერი ფრენა და დაშვება გქონდეს, პრობლემები გაშოროს.

დილით, ჩვეულებისამებრ, პირის გაპარსვას ვაპირებ. ეს რა უბედურებაა? ნომერში სამი უსარგებლო როზეტია? დენი არაა? არა, არაა. ჭუჭყიანი პლაფონი მიდასტურებს ამას. ჩემი მშობლიური ბებრუხანა „„აგიდელი“ კი დუმს. მოსკოვში რომ გაკერპებულიყო, ვაპატიებდი, მაგრამ... მოსკოვში შეუფერხებლად იმუშაოს და პირველსავე გუდაუთურ დილას გაჯიუტდეს? — ეს, უსინდისობასთან ერთად, თავხედობაცაა. ზურგში დანის ჩარტყმას უდრის.

გამოვდივარ დერეფანში. კართან მარცხნივ მაცივარი დგას. აბა, აბა, ვახდენ ბოლო შემოწმებას. არა, მაცივარი ამუშავდა. დერეფნის ამომრთველი მამუნათებს: არა „გრცხვენია, ეჭვი როგორ შეგქონდა ერთგული საოჯახო „აგიდელის“ ვერაგობაში, სასტუმროს როზეტებს როგორ ენდე? ცოდვა ხომ არ იქნება და ეგებ ცხელ გულზე სასტუმროს დირექტორთან მებაასა ამის თაობაზე? საინტერესოა, რა აზრისა იქნება ის საკურორტო მომსახურების კულტურაზე? ჩემს წარმოსახვაში უკვე ვხატავდი დირექტორს: სქელუას, გაავებულს, პროგრესული კაცობრიობის მოძულეს, ისევე,

როგორც რევოლუციამდელი მხატვრები ხატავდნენ ხოლმე კლასობრივ მტერს, ბურჟუას ანტანტის ქვეყნებიდან. ტანადი, ნაცრისფერ ელეგანტურ კოსტუმში გამოწყობილი შესანიშნავად ჩობდენილი ხნიერი კაცი კითხვით შეაჩერდა სტუმარს. შემდეგ სრული კეთილმოსურნეობით გადააწყო გვერდზე დილის გაზეთები. ეს უკვე კარგია! მოუცლელობაზე, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეებზე, სასწრაფო გამოძახებებზე მთავრობაში და ასე შემდეგ, არ ჩამოუგდია საუბარი. დამთანხმდა, მსტუმრებოდა და ჩემთან ნომერში შემოეხედა. მთლად უკეთესი! მაგრამ, ვიდრე მეოთხე სართულზე ავდიოდით, სულმა აშკარად იწყო ჩაცხრომა: დერეფანში უკვე დამნაშავესავით დავიწყე თავის მართლება, რომ დიდხანს არ დავაყოვნებდი, სულ ხუთი წუთით შევაწუხებდი, მეტით არა.

ცხადია, მოვატყუე — თხუთმეტი წუთიც არ ეყო.

ივანე ტიმოთეს ძე ლაქერბაი. 1938 წლიდან, თითქმის ოდაცათი წელი, უმსახურია ავიაციაში, ამჟამად კადრში მყოფი, პენსიონერია. გადამდგარმა პოლკოვნიკმა ჯერ რაიონული კულტურის სახლის დირექტორად დაიწყო მუშაობა, სულ მალე კი სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის ხანდაზმულთა სახელგანთქმულ ანსამბლ „ნართაას“. მასთან ერთად მსოფლიო მოიარა, ამასწინათ იაპონიიდან დაბრუნდა... სხვათაშორის, უნდა ითქვას, რომ იქაც გაეცნო სასტუმროს მეურნეობას.

ახლა უკვე მე ვამშვიდებდი ივან ტიმოთეს ძეს:

— მიმიფურთხებია იაპონური როზეტებისათვის! თითქოს ძალიან მიჭირდეს მუშტის დაკვრით კარის შეღება!...

ხედავს ღმერთი, ავიაციის ვეტერანი იმსახურებს თანაგრძნობას. თავად განსაჯეთ: სასტუმროს პირადი მანქანა არ გააჩნია და სხვათაშორის, თეთრეული ხან ახალ ათონში და ხან ძველ სამრეცხაოში უნდა აწოწიალონ. ბედნიერება იქნება, მოტოროლერს რომ მაინც გამოუყოფდნენ. ყოველდღიურად ოთხი გზობის გაკეთება უხდებათ, თუ არა და, ატყდება ერთი ყაყანი, ჩხუბი და დავიდარაბა. ახლა ბენზინზე წარმოიდგინეთ დაკა-დაკა...

სასტუმროს გათბობისა და ცხელი წყლისათვის № 100 მაზუთი გამოუყვეს. მაგრამ საწვავი მეტად ჭირვეულია, კატეგორიულად მოითხოვს უწყვეტ წყალმომარაგებას. ახლა ისიც გაიხსენეთ, რომ წყალი სისტემიდან განუწყვეტელი შეფერხებებით მოედინება და მუშახელი მუდმივად არ ყოფნით საქვაბის შესაკეთებლად...

თბილისში სასტუმროების დირექტორების ერთ-ერთ დიდ თათბირზე, მავან პასუხისმგებელ მოღვაწეს ასეთი შეკითხვა დაუსვეს: „სად ვიშოვოთ პირსახოცები?“ მან უმწეოდ გაშალა ხელები: „ეგებ საკავშირო სამინისტროს საშუალებით მიაღწიოთ რაიმეს?“

ივანე ტიმოთეს ძემ მშვენივრად იცის, რა არის სამხედრო დისციპლინა. მომსახურე პერსონალმა კი, როგორც წესი, ეს არ იცის და მათი სასტუმროში შემოყვანა ადვილი საქმე როდია.

* * *

თბილისიდან მგზავრობისას ჩვენს ერთგულ „უაზს“ თავგადასავალი გადახდა, საქარე მინა გაუტეხეს. აღმოჩნდა, რომ დღისით-მზისით სანთლით რომ ეძებო, ვერ იშოვი.

— თუ სათადარიგო ნაწილები არა გაქვს, კეთილი ხალხი რამ გამოლია. მინის ძებნაში სასწრაფო დახმარების გარაჟს მივადექით. დახმარება აღგვითქვეს, მთელი რაიონი გადააბრუნეს, ამასობაში ერთ სუფრაზე მოვხვდით. თამადამ ივაჟკაცა და დაგვეხმარა. კიდევ კარგი, რომ გზად არ შევფერხდით და „ალაშარამდე“ მოვაღწიეთ. მადლობელი ვართ სტუმარმასპინძლობისათვის, საქმიანი საუბრისათვის.

რა იგულისხმება „საქმიანში“ ნარკვევზე მომუშავისათვის? ჯერ ერთი, იგი სადილობისას მენიუსაც სწავლობს, მაგიდასთან მშვენიერ ქალბატონს კი არ ესაუბრება, არამედ ეცნობა მომავალ... ეგებ გმირსაც? სალაროსთან მივედი, რა თქმა უნდა, შეგნებული მიზნით: საინტერესოა, რამდენს დაიანგარიშებენ? სანაძლეოს ჩამოვდივარ: ათ მაურზე მეტი არაფრით არ იქნება. აკი ამჟამად ცოტა ხალხია, ამასთან, ეს არც რესტორანია, არამედ საზკვების რიგითი წერტი, თანაც თვით მომსახურებაა, მაგრამ ოცდაათ კაპიკზე ნაკლები მაინც არ იქნება: როგორ, კურორტზე სოლიდური, სათვალეებიანი მამაკაცი ჩამოვიდა და პატიოსანი ხალხის თანდასწრებით თავს შეირცხვენს და კაპიკებზე აურზაურს ატეხავს? არამც და არამც.

საუზმის შემდეგ კედელზე გამოკრულ მენიუსთან მივედი. დავიანგარიშე და გაოცებულმა ვირწმუნე, რომ საკუთარ თავთან სანაძლეო წავაგე. მომდევნო დღეს სხვა საზრიანმა წარმოების ხელმძღვანელმა გამარკვია საზკვების მესვეურთა კომერციულ მექანიკაში.

— მოსახვევში სალაპარაკო კვანძია, ხალხი ბევრი არაა. მოსკოვის ავტომატთანაა რიგი, თბილისისაზე — არა.

— დამაკავშირეთ, გეთაყვა, ჯერ თბილისთან, შემდეგ — მოსკოვთან.

— სასწრაფო გინდათ?

— დიახ, ახლავე, უცებ.

ტელეფონისტი ქალი ეშვით შემომცქერის: წავუმატებ რაიმეს თუ მშრალზე დავტოვებ?

— უცებ არ ხდება.

კიდევ ერთი მოსახვევი კუთხესთან. ხუთ ნაბიჯზე ფეხსაცმელების მწმენდელის ჯიხურია, ღია, მაგრამ ცარიელი, რიგიც არ არის, იქვე

ახლოს შუახნის ჰალსტუხიანი, პიჯაკში გამოწყობილი მამაკაცი გადი-გამოდის.

— თქვენც ელოდებით?

— გუტალინი არა მაქვს.

— ჯაგრისი მაინც გექნებათ, მტვერს მოვაცლიდი.

— ყველას თუ ვათხოვე, კვირის თავზე უჯაგრისოდ დავრჩები.

— მართალი ხარ, ძვირფასო, მაგრამ მე ის მიკვირს, რომ ჯაგრისი ოჯახში ოც წელს მაინც მემსახურება, მაგრამ, ალბათ, გუდაუთის კლიმატია შეუფერებელი, არა?

— საიდან ხართ?

— მოსკოვიდან.

— შიგ მოსკოვიდან?

— კურსკის ვოგზალთან ვცხოვრობ... რიგითი კოლმეურნე ვარ...

პაუზა. გამომცდელი მზერა. კიდევ პაუზა. ვითომც არაფერი, მდგომარეობას ვიფერებ.

ჯენტლმენი ფეხსაცმელებს მითვალიერებს. მზერა დამცინავი უხდება: „შენნაირი კოლმეურნე ბევრი გვინახავსო!“ ეგებ დათმოს თავისი პოზიცია და ჯიბურში შევიდეს? შენც არ მომიკვდე!

ვხედავ, რაღაც უნდა მოვიმოქმედო გარემოების შესარბილებლად.

— თქვენ აფხაზი ხართ?

— თითქმის სომეხი — მიბრუნებს „ხურდას“. მაესტრო ხელთათმანს მესვრის. უკანდასახევი გზა მოჭრილია. აბორდაჟზე მივდივარ.

— „თითქმისო“, ეს როგორ გავიგოთ? კარგია თუ ცუდი? თითქმის ჩემპიონი, თითქმის ებრაელი, თითქმის საყვარელი...

კვლავ პაუზა. ხანგრძლივი. მეც სად მეჩქარება. კურორტია, სეზონის დასასრული. კვლავ გამომცდელი მზერა, ვატყობ, ჭოჭმანობს. ხუმრობად მიიღოს ჩემი ნათქვამი თუ შეურაცხყოფად?

სიტყვა — ქარია. მთავარი გამომეტყველება და ინტონაციაა და კიდევ ის, რაც სიტყვებს მიღმა იმალება. მზადება ბრძოლისათვის, მოწინააღმდეგის ზნეობრივი და ფიზიკური ძალა, მისი საზოგადოებრივი წონა...

უცებ მაესტრომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო: რის შეურაცხყოფა, ხუმარა ბიძიაა. ასეთ მზიან, წყნარ დილას სისულელეა რამეზე ცხარე კამათი და ისიც მეფური ჟესტით ამთავრებს:

— კარგი, როგორც სტუმარს გაგიწმენდავ, ისე გაგიკრიალებ, საუკუნე აღარ დაგავიწყდება.

უცებ ჯაგრისიც გამოინახა და მაუდის ნაჭერიც, ხავერდი, ნაირნაირი გუტალინი: შავ, ყვითელ, წითელი... შესრულების სტილს აღარ იტყვით? რიტმი საოცარი! მტრულად შეყრილნი ძველი მეგობრებივით მოყვრულად დავცილდით. საგულდაგულოდ გაპრიალებულ ფეხსაცმელებში სახე შიგა ჩანს. ცარიელი პარკი მშვენიერია, ზღვაც ალერსიანი. პლიაჟზე რამდენიმე პირსახოცშემოხვეული ჩასუქებული „წამებული“ შემორჩენილა. ესე იგი, არსებობს ხაოიანი პირსახოცები! [illegible] შრებიან შემოდგომის მზის სხივებს! შეგერგოთ, ძვირფასებო, გარუჯვა ჯერ კიდევ მოდაშია! ვიღაც პიონერმა, სამი წუთით გაუძლო შეგრილებულ წყალს, ფრუტუნებს და კივის გუდაუთელი ლომვეშაპი, ართობს მადლიერ მაყურებელს, ხმელეთიდან ხუთი მეტრის მანძილზე ცდის ვაჟკაცობას. გამოდი, პოლარელო!

სასურსათო მაღაზია. სამწუხაროდ, სიტუაცია კარგად ნაცნობია, გუდაუთურიც არაა გამონაკლისი, შესვლა მეხალისება: ხალხი მეტია, ვიდრე საქონელი, გუდაუთის წიგნის სახლში კი პირიქითაა: არავითარი რიგი, თაროები კი მთელ სიმაღლეზე წიგნებითაა გაჭედილი. მაგრამ, როგორითი? ვათვალიერებ განყოფილებებს, მაინტერესებს რამდენი წიგნია ქართული, აფხაზური, რუსული, რამდენი მხატვრული და ტექნიკური ლიტერატურა. თვალზომით პროპორციის დადგენა ჭირს. გამოკითხვას ვიწყებ.

— მოდით, რომ არ აგვერიოს, რუკაზე შევამოწმოთ. დავიწყოთ ბალტიისპირეთიდან: ავიჟიუსი, ბალტუშისი, ენი ვეტემა... ბელორუსია: ალეს ადამოვიჩი, ვასილ ბიკოვი... უკრაინა: გონჩარი, დრაჩი, ზაგრებელნი... მოლდავეთი: ბოცუ, დრუცე...

საუბარი თამაშივით დაიწყო სხვა ანგარიშიც არ მქონია, მაგრამ ჩემდაუნებურად და წიგნის გამყიდველი ქალის გასანაწყენებლად თანდათან მომქანცველი დაკითხვის სახე მიიღო.

— მე ხომ არ ვუშვებ წიგნებს, რასაც გვიგზავნიან, იმას ვყიდი, ასე არაა?

— საინტერესოა; იმას თუ გზავნიან, რაზედაც მოთხოვნაა?

— ათჯერ ნაკლებს, ვიდრე საჭიროა. მაშინვე რიგი დგება. ზოგჯერ იმისთანა ჩიხში ვექცევით, ლამის თავ-პირი წაგვჭამონ, თუ გინდა გუშაგი გამოიძახე — „არიქა, გვიშველეო!“

გუდაუთის წიგნის სახლი თუნდ ნაზუქივით დაამტვრიე, ძალა არ შესწევს წარმოადგინოს საბჭოთა და საზღვარგარეთული ლიტერატურა, სამამულო და მსოფლიო ხელოვნება, ვიდრე შეკვეთის რეალური უფლებით არ იქნება განმტკიცებული და მიიღებს იმდენს, რამდენიც სჭირდება, რათა დააცხროს მკითხველთა შიმშილი.

—წიგნის სახლი ვალდებულია დააკმაყოფილოს მოთხოვნილება სასკოლო სახელმძღვანელოებზე, რაიონის პროფილის საპასუხო აგრარულეკონომიკურ ლიტერატურაზე, ასე არ არის?

— ალბათ ასეა — მოწყენილად მეთანხმება ჩემი თანამოსაუბრე და განზე იყურება.

— რა ტვირთი აწევს მხრებზე წიგნის სახლს?

საკუთარი, ასევე გამომცემლობა „ალაშარას“ გრიფით სოხუმის მიერ გამოცემული ლიტერატურა. ადგილობრივი მწერლები აქ მწირად

როდი არიან წარმოდგენილი: შალოდია აჯინჯალი, პლატონ ბებია, ალექსი გოგუა, ალექსი ჯონუა, ივანე პაპასკირი, ივანე თარბა, ბაგრატ შინკუბა...

— შესანიშნავია... ლამის მთელი ანბანთრიგია წარმოდგენილი. — კარგად კი იყიდება?

— გუდაუთა საკურორტო ქალაქია. ზღვა. პლიაჟი. აქ ჩამოსულები აფხაზურად ვერ კითხულობენ, საკუთარი ურჩევნიათ. უფრო დეტექტივის მკითხველი გვეძალება. ქურდობაზე და მკვლელობაზე პირდაპირ ტაციობაა. სადილობამდე ნებისმიერ გეგმას გადააჭარბებ.

სხვათაშორის, სისხლსა და ხორცში გვაქვს გამჯდარი წარმოდგენა, რომ ყოველგვარი საქონელი „სადილობამდე" უნდა დაიტაცონ. ნასადილევს, ასევე თვისა და კვარტლის ბოლომდე კი კვლავ რაიკინისეული „დეფისიტი". ამ ფსიქოლოგიის საფუძველი, კერძოდ, „დეფისიტია", რომელიც ჩვევად და წესრიგად გადაგვექცა. ხომ არ დადგა დრო გადავხედოთ ამ ნორმას? პუშკინი, შოთა რუსთაველი, შექსპირი თაროებზე მუდმივად უნდა ეწყოს, მათზე მოთხოვნა სამარადჟამოა. მოდური რომანის ტირაჟი საჭიროა...

ბოლო ჩასვლაზე წიგნის სახლში კვლავ შევიხედე. ეგებ რაიმე სიახლეა-მეთქი. ახალი დირექტორი დამხვდა — ზიტა არღუნი.

— მზად ვარ ვუერთგულო აფხაზურ ტრადიციას, მაგრამ მაინც მეუხერხულება მოგმართოთ მამის სახელის გარეშე.

— ინებეთ: ნიკოლოზის ასული.

დირექტორი ახალია და მომხიბვლელი; წესრიგი კი კვლავ ძველებური, შეკვეთა ძველებურადვე სოხუმიდან „აფხაზ წიგნში" იგზავნება, იქიდან — თბილისში; საქართველოს დედაქალაქიდან მიდის მოსკოვში და ბოლოს უძლები შვილივით ნაწანწალები, დამქლევებული და ათას უბედურებაგამოვლილი ბრუნდება გუდაუთაში.

ადრიანად მოვფრინდი. ცოტა მოგვიანებით, ასე, ერთი თვის მერე დამთავრდება საკავშირო თათბირი, საამისოდ უკვე მიმდინარეობს სამზადისი. ადგენენ ანკეტებს და ცნობარებს, ამუშავებენ წინადადებებს. მე თანახმა ვარ: გარდაქმნა აუცილებელია, გარდუვალია.

წიგნის მაღაზიიდან მოშორებით პატარა ბაღია, ბაღში გამოუფენიათ სტენდი რაიონის ვალდებულებებით და შესრულებული გეგმის პროცენტებით. მაჩვენებლები არც თუ ისე ცუდია. სამომავლო ვალდებულებები კიდევ უკეთესი. ამას რა სჯობია! დროა შევწყვიტო გასეირნება და რაიკომს მივაშურო, წარვუდგე რაიონის ხელმძღვანელობას, მათზეა დამოკიდებული, რას მიჩვენებენ, ვინ და როგორ დაიწყებს ჩემთან ლაპარაკს.

თეთრად შეფეთქილმა ორსართულიანმა რაიკომის შენობამ თავისი სისადავით გამაოცა. დადგენილება ქვეყნის ყველა რაიკომისათვის ერთია: ზედმეტობის გარეშე, მაგრამ ადგილობრივი გარემოება გაგრასა და გალში, აბაშასა და თელავში ყველგან თავის ბეჭედს ადებს. რაიკომის შენობებიც კი ისე არ ჰგვანან ერთმანეთს, როგორც თვით მდივნები. ერთნი პრესტიჟზე, ფორმაზე ზრუნვით არიან მოცულნი, მეორენი გულგრილნი არიან ყველაფრისადმი, გარდა სამსახურებრივი საქმისა.

მისაღებში მდივანი ქალის მაგიდას შეფთან სიახლოვით გაბღენძილი ვინმე შავიზღვისპირელი პრინცესა კი არ უზის, არამედ საყვარელი, მოკრძალებული ადამიანი, სახელად — ვალია. გამიმართლა იმანაც, რომ სამივე მდივანი ადგილზე აღმოჩნდა.

— მირჩევნია პირველთან. თუ ვერ მიმიღებს, თვითონვე გვეტყვის ვინც თავისუფალია...

მიმიღო, დიდხანს არ მალოდინა. კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ოზგანი თავშეკავებული, ლაკონური, უბრალო ადამიანი აღმოჩნდა. ხუთ წუთზე მეტი დრო არ წაულია კორექტორული გაცნობის რიტუალს. საკითხები გადაწყვეტილია. ვიდრე გუდაუთის სტუმარი ვარ, ჩემი მრჩეველი და მოპასუხე პავლე ხაკეს ძე ცკინი იქნება. იგი ნახევარ სიტყვაზე მიხვდა, თუ რისთვის მოუხმეს მდივნის კაბინეტში. იულია ზაქარიას ასული პაპბა, მდივანი იდეოლოგიის ხაზით, მშვენიერი კონსულტანტი გამოდგა. საუბრის დროს კაბინეტში მაღალი, ქერათმიანი ვიკინგი შემოვიდა. მას მშვენივრად მოერგებოდა თავად რიურიკების როლი ძველ რუსეთზე შექმნილ ფილმებში. იგი გუდაუთის ალმასკომის თავმჯდომარე საიდ როდიონის ძე ტარკილი აღმოჩნდა, გვარ-ტომობით წმინდა სისხლის აფხაზი.

— კიდევ გადავრეკოთ კოლმეურნეობებში, — მეუბნება კიბეებზე ჩასვლისას პავლე ხაკეს ძე, — თავმჯდომარეებს ხომ ადგილზე ვერ მოიხელთებ, გარჯის ხალხია. ქალაქში გვაქვს მოწინავე საწარმო — ავტოსარემონტო ქარხანა. ურიგო არ იქნება თუ დაათვალიერებთ. შემოვლას სამუშაო დღის ბოლომდე მოასწრებთ, ხვალ კი დილიდანვე გავიდეთ კოლმეურნეობებში, შევთანხმდით?

— სიზუსტე არსად არ აგებს, — მადლობას ვუხდი მასპინძელს, — თქვენს გეგმას ვემორჩილები.

მოსკოვის მასშტაბებით ქარხანა იქვე, გვერდზეა. დირექტორი მიხეილ მელიტონის ძე ქინქლაძე ადგილზე დაგვხვდა; ადმინისტრაციული შენობის ჩვეულებრივ, პატარა კაბინეტში. როგორც ყველა მოწინავე საწარმოში — კედელზე სიგელებია, პატარა კარადაში მინისქვეშ სამახსოვრო საჩუქრები მოჩანს. ხმაურის ჩასახშობად კარი ორმხრივად დერმატინითაა დაფარული. ეს არსებითი დეტალია, თუმცა არც ესაა ახალი — მჭიდროდ დახურული კარი გულახდილი საუბრის საშუალებას იძლევა.

რაიმე მკაცრი პროგრამა არ გამაჩნია, არც ვაპირებ საკითხების თავსმოხვევას, მაგრამ გულახდილი საუბარი მწვავედ მესაჭიროება.

საუბარი ჩვეულებრივ „ავტობიოთი“ იწყება. მიხეილ მელიტონის ძე 1908 წელს დაიბადა იმავე სოფელში, სადაც დიდი სამამულო ომის ცნობილი გმირების — ძმების ლესელიძეების ოჯახი ცხოვრობდა. პარტიის წევრია 1921 წლიდან. იცნობდა მიხა ცხაკაიას, ფილიპე მახარაძეს, სერგო ორჯონიკიძეს. იყო ტანკისტი, მსახურობდა გენერალ ბატოვთან.

1948 წელს მძიმედ დაიჭრა, რის გამოც გადადგომა მოუწია, მაგრამ მარშალი ტოლბუხინი ვერ შეელია. აქეთ, გუდაუთაში გამოუშვა სამხედრო კომისრად სამუშაოდ და სამკურნალოდ.

— გუდაუთაში მეგობრებმა მითხრეს: რაკი ფრონტზე თავი შეგრჩა, ფეხზე დაყენება ჩვენზე იყოსო. და როგორც მიყურებთ — დამაყენეს, უკვე მეცხრე ათწლეულია, რაც ამ ქვეყნად დავდივარ და კიდევ ვაპირებ სიარულს. წავიდეთ ქარხნის დასათვალიერებლად?

ისე, გულახდილად რომ ითქვას, ავტოსარემონტო ქარხანამ, ამჟამად ნაკლებად დამაინტერესა, ვიდრე თვით მიხეილ ქინქლაძემ. მისი ცხოვრების მოთხრობის ბოლომდე მოსმენა, ჩანიშვნების გაკეთება ჩემთვის აქ, კაბინეტში უფრო მოხერხებული იყო, მაგრამ სტუმრისთვის თვითნებობა მიზანშეწონილი არ არის. გეტყვიან — წავიდეთო და უნდა დაჰყვე. გზად მიხეილ მელიტონის ძემ ხანდაზმულობის თემა გამაცნო.

— მამაჩემმა 120 წლამდე იცოცხლა.

— ადამიანს, როცა მშვიდად სძინავს, დიდხანსაც ცოცხლობს. „ობეხეს“-ის არ ეშინია. მაგრამ როცა სინდისი შელახულია, მთელ ღამეს აციებ-აბოდებს — „ვაიმე, არ ამიყვანონო“.

— მაინც, კადრის ოფიცერი როგორ გახდით ქარხნის დირექტორი? რითი დაიწყეთ?

— აი, აქ, სადაც ახლა ჩვენ ვდგევართ, ჭაობი იყო. როგორ დავიწყე ეს გრძელი ამბავია. საამქრო ავაშენე, დაზგები შემოვზიდე, თან ნაბიჯ-ნაბიჯ ბრძოლა მიხდებოდა. ვიდრე საქმე ადგილიდან დაიძვრებოდა, ზარალმა მილიონ მანეთს მიაღწია. მე თავადაც არ მჯერა, თავი როგორ შემრჩა მთელი. შემდეგ მუშათა კლასმა საქმე უკეთ აითვისა, უფრო გაგვიადვილდა ყველაფერი, ზარალი ამოვიგეთ. ლამის ყოველწლიურად ვღებულობთ პრემიებსა და დიპლომებს მასალის ეკონომიისათვის, გამოგონებებისათვის. ხუთწლედში 20 000 ძრავა და 200 000 საბურავი გავარემონტეთ. უკვე მთელი საქართველოს უზრუნველყოფა შეგვიძლია.

— მაშ, მდიდარი ხალხი იქნებით.

— მდიდარი! ხუთსართულიანი სახლი ავიშენეთ. დრო ბევრი გექნებათ, გიჩვენებთ.

— მაინც რა მიგაჩნიათ წარმატების მთავარ მიზეზად? კადრის ოფიცრისა და ქარხნის დირექტორის პროფესიები ხომ განსხვავებულია?

— ერთი პროფესიაა. „არმიაში „სტროლას“ ვსწავლობდი; მერმე ვსწავლობდი ჯავშანსატანკო აკადემიაში, გენერალური შტაბის აკადემიაში. აქაც პირველი დღიდანვე მერხს მივუჯექი. მუშებს ჯარისკაცებივით ვუყურებდი: მებრძოლი მაძღარი, ჩაცმულ-დახურული უნდა იყოს.

ნელა გავიარეთ საამქრო. აქ ძრავებს არემონტებენ, საბურავებს უბრუნებენ შრომისუნარიანობას. მოვიარეთ ეზო, საწყობი, შევედით საშხაპეში. დირექტორი სიამაყით მიჩვენებს მზარდ მეურნეობას, მაცნობს, მიმეღავნებს თავის გეგმებს, ზოგად ჩანაფიქრს, რის მიხედვითაც იგი შენდება. იხსენებს უკან მოტოვებულ დაბრკოლებებს, დეტალურად მიხსნის რაში მდგომარეობს ტექნიკური ნოვატორობა, ამ მონაცემების დატოვება მომიწევს უბის წიგნაკში: ამჟამად ქარხანაში, მე უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება საქმის სოციალურზნეობრივი წყობა. რატომ არაა კადრების ჩვეული დენადობა? რა იზიდავთ მშრომელებს ავტოსარემონტოში?

—ეკონომიის ანგარიშზე უფასო სადილი შემოვიღე. რძე და პური — შეუზღუდველად. პირველ კვირას გადავწყვიტე, რომ დავიღუპე, გავკოტრდი-მეთქი, მაგრამ, მალე მივხვდი, რომ გავიმარჯვე, მაჩვენებლები უკეთესი გახდა... რატომ უნდა მიატოვოს მუშამ ქარხანა? სწავლას მოისურვებს? გვაქვს სკოლა, ინსტიტუტში თუ ჩააბარებს, შეუძლია მოემზადოს, დასვენება უნდა და აგერ, ბატონო, ღამის პროფილაქტორიუმი კარს ღიას ტოვებს, გამომგონებლებსაც გამოუჩნდებათ საკეთებელი. მე იქ მოწყობილობა მოვიფიქრე ჩამდინარე წყლების გასასუფთავებლად, ამაზე „პრავდეში“ წერდნენ...

— ლებანიძე?

ვხვდები, რომ გუდაუთის ავტოსარემონტოს თავზე ცა არც თუ ისე მოცისკროვნებულია. არც არსებობს ცხოვრება უამინდობისა და მოქუფრული დღეების გარეშე. ხოლო იქ, სადაც ძრავები და საბურავებია, სადაც სათადარიგო ნაწილების დეფიციტი და რესპუბლიკასთან და მთელ ქვეყანასთან გიხდება საქმის დაჭერა, იქ გარდუვალია, ბრძოლა და ავარიული სიტუაციები, იქ ფარული რეზერვები და შეუსრულებელი გეგმებიცაა. სურათი, რა თქმა უნდა, უფრო მოცულობითი იქნებოდა, პატარა ხანს რომ წაიმუშავო ზეინკლად, მტვირთავად ანდა მიმტანად ქარხნის სასადილოში, მაგრამ სადაა დრო სინების სატარებლად და ბუღალტრული ანგარიშების ასაწევად. ეს სულ სხვადასხვა როლია პიესაში — მტვირთავის, მწერლისა და რევიზორისა.

პავლე ხაკეს ძემ ავტოსარემონტოს დათვალიერება იმიტომ კი არ შემომთავაზა, რომ ქარხანა ყურის ძირში იყო. მისი დირექტორი შედის გუდაუთის სამრეწველო გვარდიაში. პა-

რტიის, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ავტოსარემონტოს შეუცვლელი ხელმძღვანელი იმ თაობას, უფრო სწორედ მის იმ ნაწილს ეკუთვნის, რომელიც რევოლუციურ იდეებზე აღიზარდა, მიუზღო მას ოფლითა და სისხლით და შრომის გარეშე, სამსახურის გარეშე, საქმის გარეშე თავი ვერ წარმოუდგენია. მიხეილ ქინქლაძე ღლეხურ ფესვებზეა აღმოცენებული, მის პიროვნებაში ერთმანეთისაგან ვერ დააცალკევებთ საბრძოლო სკოლას მუშური უნივერსიტეტისაგან, ხოლო საკურორტო-სადღესასწაულო გუდაუთის, ავტოსარემონტოს დღევანდელი დღისა და მისი დირექტორის „გაყოფა“ ადვილია.

უმრავლესობას ისეთი წარმოდგენა გვაქვს, რომ შავი ზღვის ნაპირი შექმნილია, როგორც მაღალი ღმერთის სამოთხე და გამიზნულია უბრალო დასვენებისათვის. იმის გაგება კი არ გვაწუხებდა, თუ როგორია მთელი ზაფხულის განმავლობაში გაგანია სიცხეში კურორტის უზრუნველყოფა დასვენებით და ზეიმით.

მაშ ასე, საღამოს შედეგები დავაჯამე, პირველი სვლა უკვე გაკეთებულია?! როგორიღა იქნება შემდეგი?

როგორც ჯერ არს, დილა ბევრად ბრძენია საღამოზე, 9 საათია, პავლე ხაკეს ძეს, ჩანდა, რომ საქმეები რაღაც ვერ აეწყო: „ხომ იცით, ჩვენი ტელეფონების ამბავი, გაისეირნეთ ზღვისკენ, როგორი ამინდია, ჰა? ჩვენთან კი, ასე, ორიოდ საათში შემოიხედეთ. არა, უკეთესია, სამის შემდეგ, კარგი?“

რომელია უკეთესი — როცა რედაქციაში მკითხავენ, ნარკვევი სად არისო, ვუპასუხებ: „იცით, რა, მე ზღვისაკენ გავისეირნე და კიდევ ეს — გუდაუთის ტელეფონები!“ საერთოდ კი... მასა, დახვავებული საქმეების აუარებელი მასა... მაგრამ ის ახლა ვარ გულმკვდარი, თორემ მაშინ თავშეკავება ვამჯობინე. ბოლოს და ბოლოს რით იყო ჩემს წინაშე პავლე ხაკეს ძე ვალდებული? ან რა ვალი ჰქონდა რაიკომს რედაქციისა? გავივარაუდოთ. ჩემით რომ ავიდე მთებში, მოვძებნო თავმჯდომარე — გამონახავს კი დროს ჩემთან სასაუბროდ? მიჩვენებს მეურნეობას? მისი ტელეფონი მაშინვე ამეტყველდება, რაიკომში კი მხრებს აიჩეჩავენ: რაში დაჭირდა მწერალს ამგვარი პარტიზანული საქმის ჩადენა, ამაზე როდის შევთანხმდითო? ეგებ აჯობებს საზრუნავი გრილი და ჯანსაღი ზღვის წყლით ჩამოვირეცხო? აღმოჩნდა, რომ გვერდით კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა და კაბინეტია, სადაც პრესის გადათვალიერება შეიძლება. ასეთ ადგილებში არასოდეს მიგრძვნია თავი მოწვეულ სტუმრად.

— ინებეთ, გირაო ათი მანეთია!

— ცოტა ხომ არაა? აი, მოვხვეტავ ასობით წიგნს და შავი ზღვიდან თეთრზე გავფრინდები, თუმცა ვაჭრობას შავ ბაზარზე გავაჩაღებ.

ქალმა გადაიკისკისა; ახალგაზრდულმა ხმამ ვერცხლივით გაიწკრიალა.

— წაიღეთ, რამდენიც გენებოთ!

— ასე, არა? მიმნდობლობას სკოლიდან გამოგყვა?

არა, სკოლიდან, არა. ახალგაზრდა ქმნილებამ საბიბლიოთეკო ტექნიკუმი დაამთავრა. მოასწრო! ტექნიკუმი სწორედ იმ წელს დაიხურა, საბიბლიოთეკო კადრი მეტად აღარ გვესაჭიროებაო.

— მასწავლებლების, აღმზრდელების დეფიციტი არ იგრძნობა?

— მთებში — კი. ზღვისპირეთში — არა.

— მაშინ, თქვენც ეგებ მთებში წასულიყავით?

— რას ამბობთ, ვინ გამიშვებს შინიდან!

სკოლაში საგნებს აფხაზურად ასწავლიდნენ. შემდეგ — რუსულად. ტექნიკუმში — მხოლოდ რუსულ ენაზე, ლიტერატურა, უფრო მეტად სპეციალური, რუსულად გაცილებით მეტია.

— მაგრამ, საგანთა ლოგიკის მიხედვით, თქვენს ბიბლიოთეკეში წიგნები სამ ენაზე მაინც უნდა გქონდეთ — აფხაზურზე, ქართულზე და რუსულზე. საინტერესოა, ხდება თუ არა მოთხოვნების შესწავლა?

— რისთვის შევისწავლო, როცა ისედაც ნათელია. ჩვენი ძირითადი მკითხველი მაინც ჩამოსულია, დამსვენებელია.

ორი მძიმე შეკვრა რომ ჩამოვართვი, კვლავ ეჭვი დამეუფლა — სასტუმრომდე რომ არც მივიტანო, ანდა, ვთქვათ, ზღვაში დავიხრჩო? ეგებ სოხუმში მომიწიოს სასწრაფოდ წასვლამ, იქიდან კი მოსკოვში გავფრინდე. ჩემიდან თქვენ მხოლოდ თუმანი დაგრჩებათ. დაიტოვეთ ოცდახუთი მანეთი.

— არ არის საჭირო. დამსვენებელი ბოლო წუთამდე გარბის ზღვაზე, ბაზარზე, ემშვიდობება მეგობრებს. წიგნების ჩასაბარებლად იმ ბოლო წუთამდე ვერც იცლის, მაგრამ დატოვებული ფულის წასაღებად მაინც შემოირბენენ ხოლმე.

— შედით მათ მდგომარეობაში. თანხა ბოლო კაპიკამდე შემოეფცქვნათ, მშობლიურ ქალაქამდეც რომ ჩაფრინდეს ტაქს ვერ აიყვანს. ამ დროს კი ის თქვენი ათმანეთიანი თუ უშველის. თქვენთან ეს ფული ისე ენახებათ, როგორც ბანკში.

თაროებს შორის დარჩენილმა ვიწრო ტალანმა ბიბლიოთეკის დირექტორთან — მერი სამსონის ასულ გუბლიასთან მიმიყვანა. თუკი მიხეილ ქინქლაძე რაიონული მრეწველობის გვარდიელია, მერი სამსონის ასული ადგილობრივი კულტურის გვარდიელად უნდა მივიჩნიოთ.

ოდესღაც, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და გნებავთ საბედისწერო 1941 წლამდეც ბიბლიოთეკაში სამუშაოდ მიდიოდნენ ქალები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც წიგნს სულსა და გულს უძღვნიდნენ. დადიოდნენ სიჩუმეში, როგორც მონასტერში, აზრთა ტაძარში პოულობდნენ მოსვენებას წვრილმანი ამაოებისაგან, ასრულებდნენ თავის განმანათლებლურ მისიას.

მოკრძალებული ბიბლიოთეკების თანამშრომლებს პრესა იშვიათ შემთხვევაში სცემს პატივს. ცნებები „მამაცობა", „მიღწევა" — მეშახტეების, მეფოლადეების, მინდვრის მოწინავეების და ძალიან განსხვავებული პროფესიების მქონე ადამიანების რანგის კუთვნილებაა, ბიბლიოთეკარებზე კი ასეთი რამ არ ითქმის. ან კი რა არის აქ გასაკვირი, ანდა რა ბევრი მარჩიელობა უნდა, მიზეზების მიხვედრა ადვილია: პირველები ქვანახშირს, მეტალს ამზადებენ, მოჰყავთ ხორბალი, მათი პროდუქცია ტონობით აღირიცხება, იზომება ჰექტარობით, მილიონობით მანეთებში და მათ ფონზე, რანაირად გაიზომოს უკანასკნელთა ჭეშმარიტი ღვაწლი? ალბათ ამიტომ გამოიყურება ასე უსახურად კულტურის დამშრალი კერა, შეიძლება ნახევარი საუკუნის წინ თვალს არ სჭრიდა მისი დარღვეული მყუდროება, ამჟამად კი სჭრის. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, რა თქმა უნდა, საქმესთან დაკავშირებით შეივლი: ან სახელმძღვანელო დაგჭირდება გამოცდებისათვის, ან მოხსენება გექნება დავალებული... მაგრამ, ისე, უბრალოდ და უმიზეზოდ, მხოლოდ საკუთარი კმაყოფილებისათვის შეხვალ? გადაფურცლავ პრესას? გაშლი ჟურნალის ნომერს, რომელზედაც საუბარი გქონდათ? ჩამოჯდები აქ ან დღისით ან საღამოთი?

კიდევ კარგი, რომ წიგნებს თაროებზე მოთმინებით ცდა და მორჩილად დუმილი აქვთ მისჯილი; არ შეუძლიათ ჩივილი, საცოდავები, როგორ ნესტსა და სიმარტოვეში არიან.

მაგრამ რატომ „სიმარტოვეში"? უფრო სწორი არ იქნება თუ „სივიწროვეში" ვიხმარდით? უკეთესი არ იქნება, გავიმეოროთ ანდაზა „სივიწროვეში, მაგრამ უწყინრად?

სამწუხაროდ, სწორედ ასეა: სივიწროვეში, სიმარტოვეში და უწყინრად. ნამცეცა სენაკს, რომელსაც მერი სამსონის ასული შეკედლებია, ისევე ძნელია კაბინეტი უწოდო, როგორც კარადებით ჩახერგილ სივრცეს — „სამკითხველო დარბაზი". სენაკი სავსეა მშვენიერი, იმდენად კარგი წიგნებით, რომ მათი შინ გატანება არ შეიძლება, აქვე დარბაზში — კი, ბატონო.

ზოგიერთი წიგნისმოყვარული მკითხველი თავის მოვალეობად რაცხს „დაკარგოს" მიღებული დეფიციტური წიგნები და სანაცვლოდ სიამოვნებით სთავაზობს რომელიმე სხვა ტომეულს. ნაკლებ სიამოვნებით, მაგრამ გადაიხდის დაკარგულის ათმაგი ზომის ღირებულებასაც, ან დიდად არ დაგიდევთ და სანაცვლოს ძებნით მაინცდამაინც თავს არ შეიწუხებს. ამ ტიპის მკითხველმა წვრილმანებამდე იცის, რამდენი ქაღალდი და ფორმალური დაბრკოლება აღიმართება მერი სამსონის ასულის წინაშე, ვიდრე კანონი დამცველად მოევლინებოდეს. ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე კანონი სათნოების საზეიმოდ ბიწიერებას დასჯიდეს.

გუდაუთის ცენტრალური ბიბლიოთეკა თითქოს გადაძახილშია მოსკოვის ლენინის სახელობის და ისტორიულ ბიბლიოთეკებთან, მდგომარეობის მიხედვით იმდენად დიდი მსგავსებაა მათ შორის.

ხშირად უთქვამთ: „სალებავები არ უნდა გაამუქოო". სწორია. მახსენდება მძლავრ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კლუბებში, ასევე დიდი ქარხნების კულტურის სასახლეებში მოთავსებული ბიბლიოთეკების ნათელი და ვრცელი დარბაზები. კანტიკუნტად აქა-იქ „ქოხსამკითხველოებიც" გვხვდება. მათ გაუმართლდათ; გულუხვმა მასპინძლებმა ცოტაოდენი წყალობა მათთვისაც გაიმეტეს. სამწუხაროა, რომ გუდაუთის ცენტრალური ბიბლიოთეკა მოკლებულია ამ გულუხვობას. მისი მეურვეს, აფხაზეთის კულტურის სამინისტროს მხრიდან ასე უპატრონოდ მიგდება მწიგნობრის პროფესიისადმი და თავად წიგნისადმი უპატივცემულობას მეტყველებს.

დიპლომიანი ბიბლიოთეკარი პირველ ხანებში ოთხმოც მანეთ ჯამაგირს ღებულობს, სახელდობრ იმდენს, რამდენსაც სასტუმროს მოახლე, ანდა — კანტორის დამლაგებელი (შევნიშნავთ, რომ ისინი, როგორც წესი, უდიპლომოები არიან და ერთდროულად რამდენიმე ადგილზე აქვთ შეთავსება). მრავალი წლის მუშაობაა საჭირო, ვიდრე ბიბლიოთეკის თვიური სარგო ას მანეთს გადააჭარბებდეს, არავითარი სტაჟი არ აძლევს უფლებას ამოვიდეს მომსახურების სფეროს თანამშრომლის ხელფასამდე — სულ ერთია, მშენებლობა იქნება ეს თუ ტრანსპორტი. თუმცა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამორიცხულია მოცდენები და ავარიები. მასში 48 ათასი ტომი და 9992 მკითხველი ირიცხება. როგორც ჩანს, ღირს ხაზგასმა: ეს თვით მასში, ასე ვთქვათ, გუდაუთის წიგნის მინიმუმრიის სატახტო ქალაქში. მაგრამ „სატახტო ქალაქს" აქვს თავისი გარეუბნები, სააგარაკო დასახლებანი, რომლებიც აგრეთვე სისტემაში შედიან. 1986 წლის შემოდგომაზე მისი წიგნადი ფონდი შეადგენდა 606 800 ეგზემპლარს, მკითხველთა კორპუსი 25 329 კაცს ითვლიდა. ეს არც თუ ისე მცირეა, თუ გავითვალისწინებთ, რომ რაიონის მოსახლეობა, დაახლოებით 57 000 ადამიანს შეადგენს. 80-იან წლებში ეს ციფრი არ აღემატებოდა 17 000 კაცს, ხოლო სოფლად, დაახლოებით, ათას ორმოცი კაცი ცხოვრობდა.

ეს ციფრები არსებითია, მაგრამ, გამოგიტყდებით, ჩემთვის არც თუ მთლად გასაგებია. სკოლის ბიბლიოთეკებს თავისი სტატისტიკა აქვთ და ისინი განათლების სამინისტროს ეკუთვნის

და არა კულტურისას. დასასვენებელ სახლებთან და სანატორიუმებთან არსებულები სხვა უწყებას — საკურორტოსას ექვემდებარება. შედის თუ არა ყველა ერთიან სისტემაში, რომელშიც რაიონის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების შესახებ არსებული მოხსენების მონაცემით ირიცხება 56 ბიბლიოთეკა, თითოეულში თითქმის ათასი მკითხველით? პრინციპში მკითხველი შეიძლება მეტიც იყოს, ვიდრე მთლიანად მოსახლეობა, თუკი ჩავთვლით, რომ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ერთდროულად რამდენიმე ბიბლიოთეკაში გაერთიანდება. მაგრამ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში სტატისტიკის საიდუმლოებებში ღრმად ჩიჩქნა არ მოგვიწევს, ზედაპირულადაც თვალნათლივ მოჩანს. უმჯობესია, თუ სხვა ცნობებს ჩავუკვირდებით, საიდანაც ცხადად გამოიკვეთება წიგნიერი გუდაუთის კონტურები.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არსებული 48 000 წიგნიდან 42 114 ეგზემპლარი რუსულ ენაზეა, აფხაზურზე — 3 051, დანარჩენი 2.885 ქართულ ენაზეა...

ბიბლიოთეკას უფლება აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი გამოიწეროს „ზნამია“, „ზვეზდა“, „ნოვი მირი“, „ოქტიაბრი“, ერთი სიტყვით, სქელტანიანი მოსკოვურ-ლენინგრადული ჟურნალები და ეს 1986 წლის მიწურულში, როცა სახელდობრ დედაქალაქის პერიოდიკაზე ტაციობაა, როცა მკითხველი მწვავედ გრძნობს დროის ნერვს, დაძაბული უგდებს ყურს მის მაჯისცემას!

უდაოდ მომწიფებულია გარდაქმნის აუცილებლობა გუდაუთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

ეს სტრიქონები უკვე დაწერილი იყო, როცა გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში“ გაჩნდა სტატია „ვეძებთ ახლებურ მიდგომას“ (22. XI. 86). ძნელია თავი შეიკავო და არ დაასახელო მასში აღნიშნული ფაქტები: „კულტურის სფეროში განსაზღვრული გარდაქმნა იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების ხაზით მიმდინარეობს, იქნება ეს თეატრების რეპერტუარები, საკონცერტო პროგრამების განახლება, შემოქმედებითი კავშირების მოღვაწეობა თუ სხვა, მაგრამ იგი თითქმის ჯერ კიდევ არ შეხებია საქმის ფინანსურ-ეკონომიკურ და მატერიალურ მხარეებს...

ამჟამად საქართველოში 2820 საკლუბო დაწესებულებაა, მათგან 976 დიდი ხანია კაპიტალურ რემონტს საჭიროებს, 800 ბიბლიოთეკაზე მეტი და 259 კლუბი მთლიანად ავარიულ მდგომარეობაში იმყოფება. დაახლოებით 80 პროცენტი შენობა საიჯაროა, 7 რაიონულ ცენტრში და მრავალ სოფელში საერთოდ არ არის კულტურის სახლი, 845 სოფელში წითელი კუთხეც კი არა აქვთ, კულტურის ყველა დაწესებულების 80 პროცენტი ზამთრობით არ თბება“.

რომ შეგვეძლოს ამ ციფრებისათვის არ დაგვეჯერებინა! მაგრამ მას გვაცნობს საქ. სსრ კულტურის მინისტრი ვ. ასათიანი.

მინისტრი პირდაპირ აღნიშნავს: „უკანასკნელ წლებში კულტურის მუშაკის პროფესიის პრესტიჟი მკვეთრად დაეცა, გაძნელებულია ხელფასის დანამატის დამტკიცება, ბევრი შეცდომაა დაჯილდოების სისტემაში“.

მწერალს ისღა დარჩენია, ხაზი გაუსვას რომ მინისტრი სიძნელეებს თვალს უსწორებს, გვიჩვენებს არც თუ იოლ და ადვილად მისაღწევ, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთადერთ კონსტრუქციულ გამოსავალს. პრობლემის ნაწილობრივი გადაწყვეტა — წერს ვ. ასათიანი — რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების და კულტურულ-სპორტული კომპლექსების მჭიდრო თანამშრომლობაში, უწყებრივი ბარიერების დაძლევასა და კულტურის სფეროს მართვის კარგად მოფიქრებული, მოქნილი სისტემის შექმნაში მდგომარეობს...

მაგრამ ის ნაწილობრივ გადაწყვეტას ეძებდა. როგორია პერსპექტივები მთლიანზე?

რესპუბლიკაში შედგენილია და დამტკიცებულია კულტურის ობიექტების განვითარებისა და განლაგების გრძელვადიანი გეგმა. მასში გათვალისწინებულია კულტურული მომსახურების დონის ამაღლება სოფლად, დასახლებული პუნქტების კლუბებითა და რაიონული ცენტრების კულტურის სახლებით უზრუნველყოფა. „აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია 516 მილიონი მანეთი... კულტურასთან დაკავშირებით არ შეიძლება ეკონომიის გაწევა“...

თარგმნა მირონ ხერგიანმა

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია არჩვაძე

# რომანის სამყარო

„რომანი მთელი სამყაროა, უაღრესად რთული სამყარო საიმისოდ, რომ იგი ვინმემ ერთი შეტევით დაიპყროს“ — წერდა მარკესი. ო. ჭილაძის ახალი რომანი „მარტის მამალი“ თანამედროვე ქართული მწერლობის ღირსშესანიშნავი მოვლენაა. წერილი იმ ნაწარმოებზე, რომლის ბეჭდვაც ეს ესაა დამთავრდა, რა თქმა უნდა, ახალი და უშუალო შთაბეჭდილების შედეგია, და ამიტომაც, ვერ იქნება დაზღვეული ხარვეზებისგან, რადგან იგი მისი ავტორის ზოგიერთი პირადი შეხედულების გამზიარებელია.

ოთარ ჭილაძის „მარტის მამალი“ ის რომანია, სადაც ცხადლივ გამოიკვეთა ავტორის უპირველესი თვისება, — აზროვნების სიძლიერე და თავისებურება. „ოთარ ჭილაძე იმათთაგანია, ვინც ლიტერატურის პატივისცემას შინარჩუნებს, და უპირველეს ყოვლისა, მასშტაბებისათვის ზრუნვით იგი იმ ქართველ მწერალთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც ნათლად აქვთ შეგნებული, რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ქართული მოთხრობა და რომანი, რათა ფართო სარბიელზე გავიდეს და თავი დააღწიოს ამ გრძნეულ გარსს, რასაც ჩვეულებრივ პროვინციულს უწოდებენ“ — წერდა ო. პაჭკორია. „მარტის მამალმა“ არა მარტო განამტკიცა, არამედ დაამტკიცა შეხედულება, „რომ ო. ჭილაძის ნიჭი და შესაძლებლობა ამოუწურავია.

„ერთმან თქვენგანმა მიმცეს მე“, — თქვა ქრისტემ თავისი მოწაფეების წინაშე, მათ კი სახეზე მწუხარება და გაკვირვება ეხატებოდათ. ილიას მკვლელსაც უკვირდა „ვისლა უნდა გაეღო იმის მკვლელობისათვის გასამრჯელო, როცა მთელი ქვეყანა გლოვობდა“. აქ უკვე შეგნებული აზრობრივი ალოგიზმია მწერლის მიერ დაშვებული, თუ ყველა გლოვობდა, ვინ დაიქირავა მკვლელი, ვის უნდოდა ერის პატრიარქის მოკვდინება?... განა ილიამ არ გამოიყვანა ხალხი სულიერი სიცარიელიდან, აზიარა მაღალ აზრებსა და იდეალებს. დასკვნა შემდეგია: ერმა დაბადა ილიაც და მისი მკვლელიც, რადგან მკვლელის უკან გარკვეული ძალა იდგა, რომელიც მაშინდელმა სოციალურმა გარემომ წარმოშვა. ილიას მკვლელობა არაა უნებლიე ცოდვა. ცოდვა, რომელიც ჩადენილია, მთელს შენს ხალხს, მთელს შენს მოდგმას აწევს კისერზე, ასეთია მწერლის პოზიცია, რომელიც აშკარად უკომპრომისოა. რომანში მთავარი ისაა, რომ ამ ცოდვის ჩადენის შესაძლებლობა არსებობდა და ამიტომაც. „განა საინტერესოზე მეტი არ არის, თუნდაც იმის გარკვევა, რატომ, მაინცდამაინც, შენა ხარ, შენ და არა სხვა ვიღაც?!.. თუმცა, ამის გარკვევა იმიტომაცაა აუცილებელი, მთელს შენს ოჯახს, მთელს შენს ჯილაგს, მთელს შენს მოდგმას და მთელს შენს ხალხს, დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებით, ყველაფერი მეტი მოეთხოვება — მოთმენაც... ატანაც... ცოდნაც!“..

ოთარ ჭილაძის „მარტის მამალი“ წიგნია ადამიანის სიდიადესა და დაცემაზე. ამ რომანში ნათლადაა ჩამოყალიბებული მწერლის პოზიციები, უფრო მეტიც, რომანი ინვენქტივაა, მხილებასთან ერთად ბრალდებასაც წარმოადგენს იმათ მიმართ ვინც დაივიწყა, რომ „ადამიანი სინდისია. სინდისის გარდა, რაც არ უნდა წაართვა, მაინც ადამიანი იქნება, მაგრამ სინდისი რომ წაართვა და სხვა ყველაფერი დაუტოვო, ველარ იქნება ადამიანი. სიკვდილის მერეც ადამიანისაგან, მარტო სინდისი რჩება. სინდისი იგივე სულია ადამიანისა, ანუ, სული იგივე სინდისია“... თავად მკვლელობა რომანში ჯერ კიდევ „დაცემას“ არ ნიშნავს, „დაცემა“ მაშინ იწყება, როდესაც მკვლელი (მკვლელები: ილიას მკვლელი და მისი დისშვილი, გოგია „ყაჩაღის“ მკვლელი) იმას კი არ განიცდის „კაცი რომ მოკლა ოდესღაც,

კაცის მოკვლისათვის დაპირებული ჯილდო რომ არ მიეცათ, ის ულახავდა პატივმოყვარეობას". მკვლელი შორსაა ცნობილი თეზისისაგან „ყოველი, რომელმან ქმნა ცოდვა, მონა არს ამა ცოდვისა". ბოროტების არსებობის ფაქტი რომანში აშკარაა; ბოროტება არც ინიღბება. „კაცი რომ მოკლა ოცისაც არ იყო ჯერ, ხოლო მკვლელობისათვის პასუხი რომ მოსთხოვეს ნახევარი საუკუნე კარგახანია მოტოვებული ჰქონდა ზურგს უკან". მკვლელისათვის უცხოა კათარზისი. იგი ბუნებით მკვლელია. ო. ჭილაძემ უარყოფითი ფაქტი რთულ სოციალურ მოვლენებს დაუკავშირა. იგი იძლევა საზოგადოების სიღრმეში მიმდინარე პროცესების ფსიქოლოგიურ ანალიზს. ო. ჭილაძე გამოკვეთს პერსონაჟების სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფუნქციას. რომანში ყველა მოვლენა ზნეობრივ ასპექტში აღიქმება. ო. ჭილაძე ადამიანის ზნეობის მკვლევარია. ადამიანის ზნეობა ერის ზნეობის საფუძველია. „ხალხი თუ სიცოცხლეს ინახავს, როგორც ნაცარი — ნაღვერდალს, ადამიანი სიცოცხლის აზრს, ანუ, იმ ნაღვერდალში ჩაბუდებულ ცეცხლს განასახიერებს ალივით. ამიტომ, არაფერი არ უნდა დასთმოს, რაც მის ადამიანობას ადასტურებს და რისი შენარჩუნებაც, ენით აუწერელი ტანჯვის საფასურად შეუძლია მხოლოდ. „ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა განსაზღვრავს ადამიანის ზნეობას? ამ კითხვაზე რომანი გარკვეულ პასუხს იძლევა. მოვიყვანთ რამდენიმე ამონაწერს: „მთავარია სახელოვანი იყო, თორემ სულერთია, რით გაითქვამ სახელს, გიჟ კოლასავით მამის კუბოს ძებნით, თუ გოგიასავით კაცისკვლით: ბოდბელი ელიზო მაგალითად სირეგვენითაა ცნობილი, პანტის ზარბაზანი გამოეგონა, მაგრამ კაცია, უკვდავია, წიგნში წერია". „რაღა ეს ნასაყდრალი აირჩია უკანასკნელ სავანედ?! ვერაფერი ნახა უკეთესი?! ნახევრად საყდარი, ნახევრად ფეხსადგილი. ისიც და ისიც, ერთდროულად, გააჩნია, ვინ რისთვის შემოვა კედლის ძირში ვიღაცას თავის პირისთვის უქნია. კედელზე კი სანთლის დაკრუნჩხული ნამწვებია მიგლესილი. იქნებ, განგებ მოვიდა აქ?! იქნებ, სწორედ ასეთ ადგილს დაეძებდა და, ბოლოს და ბოლოს, მიაგნო კიდეც, რადგან ერთხელ და სამუდამოდ დაერწმუნებინა თავი, ალარაფერია ამ ცხოვრებაში გულდასაწყვეტიო, იქ, სადაც ერთმერქვეშაა წმინდა სინათლის ნამწვიცა და განავლის სიმყრალეც, არც ღირს სიცოცხლეო". „კი აუხსნეს, კაცი როგორ უნდა მოეკლა, მაგრამ აღარ აუხსნიათ, როგორ უნდა ეცხოვრა მერე. სხვათაშორის, მართლა არაფერი გაეგებოდა მაშინ ცხოვრების, ერთი ტლუ ბიჭი იყო, გზასაცდენილი, უპატრონოდ გაზრდილი, და ამიტომაც, უსამართლო, დაუსაბუთებელი სიძულვილით გაბრიყვებული, თავიდანვე თოფიც იმიტომ აიღო ხელში, ამხანაგებმა ტეტიობა არ დამწამონ, არ გამცინონო". გულგრილი წუთისოფელი და მოუწესრიგებელი ყოფა ნათლად აჩენს ადამიანის დაცემასაც და ადამიანის ამაღლებასაც. რა გამართლება შეიძლება ჰქონდეს მკვლელს, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ: მთლად იმის ბრალიც არ იყო ყველაფერი, ის „ცხონებული" ამათი კაციც აღმოჩნდა ბოლოს, ჯერ — ყველა თავადი მტერიაო, მერე კიდევ თავადი აღმოჩნდა ყველაზე დასაფასებელი, ჩაგრულთა მფარველი და გამკითხავი. მაგრამ იმის მკვლელზე უფრო ჩაგრული განა კიდევ დადიოდა ვინმე ქვეყანაზე". ზოგჯერ საზოგადოება სიკვდილამდე კლავს ადამიანს. „სიკვდილამდე არ უნდა ვიხოცებოდეთ, სიკვდილს რომ თავისი მიაქვს, ჩვენ მეტი არ უნდა გავატანოთ". ადამიანი კი წვალობს, ან იბრძვის, ან კიდევ ინიღბება დროის შესაფერისად. „ადამიანის ბუნება — წერს თ. ჩხაიძე — ის ყოვლისმომცველი მიზეზია, ის უმაღლესი ინტონაციაა, რის მეოხებითაც შეგვიძლია თითქმის ნებისმიერი მოვლენა ავხსნათ. ზნეობის არსებული მდგომარეობა ის ბარომეტრია, უტყუარად რომ გვიჩვენებს, რას მიაღწია სინამდვილეში ამა თუ იმ საზოგადოებამ სოციალური პროგრესის გზაზე". სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა იქნას შესწავლილი ო. ჭილაძის რომანები, დასკვნები და ანალიზი ბევრ სასიკეთოს მოგვიტანს, რადგან მწერალი იმ გზას ადგას, რომელიც უტყუარ ჭეშმარიტებამდე მიგვიყვანს.

უარყოფითის მხილება ო. ჭილაძისათვის იგივე ზნეობრივი პოზიციაა. რომანში უარყოფითი ჭარბობს. უარყოფითის ჩვენებით ავტორს სურს გვიჩვენოს გზა, რომელმაც არ შეიძლება ზნეობრივ სრულყოფამდე არ მიგვიყვანოს. ო. ჭილაძის პროზა სენტენციურია, — მწერალი ხედავს, აფასებს და ასკვნის: „თვალით ბრმა სჯობს გონებით ბრმას", „კაცი თუ მოკალით, ფული კი არ უნდა ითხოვოთ, უნდა მოინანიოთო". „დანაშაულია, როცა არ იცი და არც გაღელვებს შენი უვიცობა, კიდევ უფრო მძიმე დანაშაულია, როცა არ იცი და ჯიუტად იმეორებ, ვიციო", „არ მიითვისო რაც არ გეკუთვნის, რისი მითვისებაც არ შეიძლება". ო. ჭილაძის რომანებს აქვს საოცარი თვისება, გამოგონილი „რეალური ყოფიერების" დაბადებად აღიქმება. რაზედაც არ უნდა წერდეს ავტორი, თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ა, „მარტის მამალიც" თანამედროვეობის სულისკვეთებითაა დაწერილი. იგი დღევანდელობას ეხმაურება, რადგან მასში მოცემულია ადამიანის ბუნების ძიებისა და დამკვიდრების ისტორიულ-ფსიქოლოგიური სურათი. ავტორი რომანში არღვევს ცნობიერების დადგენილ ჩარჩოს და ანალიზით, განზოგადებით, წარმოსახვით იძლევა სამყაროს ზნეობრივ სურათს, რომელიც ობიექტური სინამდვილის ნათელი სურათია.

რომანში ორი ყოფაა: რეალური და წარმო-

სახული. ერთი რაც ხდება ნიკოს გარშემო, და მეორე, რაც მოხდა ნიკომდე, პაპის მონაყოლისა და არმონაყოლის საფუძველზე გაცნობიერებული და წარმოსახული. ნიკოს ბავშვობაში არაფერია ლამაზი და ეგზოტიკური, პირიქით, მისი ბავშვობის მოგონებები მტანჯველია. 15 წლისამ გადაიტანა ისეთი რამ, რამაც მასში ახალი, მანამდე არსებული ფიქრი გააჩინა.

„ბრმად მოვიდა და ბრმად მიდის; სიბნელიდან — სიბნელეში, ასე რომ, გულდასაწყვეტიც არაფერია. ვერ მოასწრო, ვერ დააგროვა ცოდნა; ისიც კი ვერ დაადგინა, სად ხარობს ცოდნის ხე". შიში, რომელიც ბიჭის მთელს არსებას მოიცავს, მემკვიდრეობით აქვს მიღებული, — „პაპის ასლი და კვალია, იქნებ კიდეც, პაპასაც გადააჭარბოს მშიშრობაში". „პაპის თავზე დარეკილი შიშის ზარი კიდევ უფრო მძლავრად გუგუნებს შვილიშვილის წარმოდგენაში".

ბავშვობის თემა არაა ახალი ქართული ლიტერატურისათვის, მაგრამ მისი იმ კუთხით ჩვენება, როგორადაც რომანშია მოცემული, ახალი აზრისა და შინაარსის შემცველია. „მარტის მამალში" ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები არაა მომხიბვლელი და პოეტური. სწორედ, ნაკლებად პოეტურ სულის მწარე ტკივილებთან ნასაზრდოებ ბუნებას აქვს უნარი ო. ჭილაძესთან თავის თავში გადაარჩინოს უბიწო და წმინდა, რადგან: „ადამიანი მოწაფეა, ტანჯვა კი მასწავლებელი". ნიკო საკუთარი ბავშვობიდან მოდის, სადაც არც ზღაპრული კოშკები ყოფილა და არც მზეთუნახავები და არც თავად წარმოუდგენია თავი უფლისწულად. „მაგრამ ნიკო მაინც ჯიუტად ჩასცქეროდა თავის ბავშვობის მატარებლის გამოცარიელებულ სარკმელს, რადგან არაფრით არ შეიძლება, თუნდაც გაუქმებული ბავშვობიდანაც არ გადარჩეს რამე მაინც". რომანში ორი საქართველო არსებობს, — ნიკოს პაპის და ნიკოსი. პაპის საქართველო დამთავრდა, ნიკოსი კი ახლა იწყება. „პაპის საქართველო რომ მთავრდება, ნიკოსი კი მხოლოდ იწყება. მამალიც იმიტომ ყივის ასე მჭახედ, ომახიანად, ორი სამყაროს გასაყართან, თუ შესაყართან, სადღაც შორს". ის მძიმე სულიერი და ხორციელი ტკივილი, რომელიც ნიკომ გადაიტანა, მის ზნეობრივ მრწამს განაპირობებს. ნიკო დაუსრულებლივ წარმოსახავს მომხდარს და საკმაოდ მკვეთრი, პლასტიკურად ცხადი სურათებით ჩვენს თვალწინ ცხადდება მისი ცხოვრება. „მაშინ კი ველარ მოითმინა ნიკომ — ჯაგებში ჩამალული, გაკაწრული, დაბლორტნილი, უცებ ფეხზე წამოხტა და იყვირა: „კაცის მკვლელო, გოგია, კაცის მკვლელო გოგიაო". მთელი რომანი ადამიანის სულის წიაღში დაფარული პიროვნების ნამდვილი ბუნების გამოაშკარავებას ემსახურება. ო. ჭილაძე ადამიანის სულის ბიოგრაფიაა. იგი ქმნის თავის გმირს, ქმნის მის ხასიათს, მის ბედს, (ამ რომანშიც ლაპარაკია ბედისწერის სიმუხთლეზე, მაგრამ, ამჯერად, იმდენად ბედი კი არ განაპირობებს ადამიანის ცხოვრებას, რამდენადაც თავად ადამიანის მოქმედება და ზნეობა).

„ნიკო კი ისევ აივანზე დგას და ისევ მზეს უჭუტავს თვალებს. მთელი არსებით იწოვს, ისრუტავს მათრობელა სიცოცხლეს, ერთთვიანი სიკვდილით დაძაბუნებული, დაკაცებული, მაგრამ დაკაცება ბავშვური გულუბრყვილობის, ბავშვური სისუფთავის შენარჩუნებასაც გულისხმობს — რასაც ბავშვობით მოვიპოვებთ, სიკვდილამდე ჩვენი საკუთრებაა".

მართალია, „მარტის მამალის" სამყარო, ერთი მხრივ, წარმოსახულია, მაგრამ მისი საფუძველთა-საფუძველი კონკრეტული მასალაა, „წარმოსახული რეალობაა". რამდენი რამის თქმა შეიძლება მის პერსონაჟებზე, ჯერ მარტო „გიუ კოლას" სახე იკმარებდა ფიქრისა და განსჯისათვის, მაგრამ ჩვენი მიზანი არაა მათი ცალ-ცალკე დახასიათება. მხოლოდ ვიტყვით, რომ სულიერი ინტენსივობისა და ზნეობრივ დატვირთვის მხრივ ყველა პერსონაჟი მეტად მნიშვნელოვანია, თითოეული მათგანი ჯაჭვის მნიშვნელოვან რგოლად წარმოგვიდგება და რომელიმეს გამოკლება ნაწარმოების ჰარმონიულ მთლიანობას დაარღვევდა.

ნიკოს და მისი ახლობლების ფიქრებსა და წარმოსახვაში, საუბრებსა და მონაყოლში ხშირად იხსენიება ღმერთი. ღმერთი, რომანის მიხედვით, ბიბლიურია, მაგრამ — ერთგვარად ირონიზებული და დაკნინებულიც. „ღმერთს შუბლი შეუკრავს, მოღუშულია. მართლაც, როგორი ამბავია, ტალახიდან კაცი შემქმნა, ის კი აგიხტეს, კრიჭაში ჩაგიდგეს, არ მომწონს, არ გეთანხმები, მეტი მინდა, უკეთესის ღირსი ვარო. მაგრამ ღმერთი კი არ გაბრაზებულა, შესცოდებია გაუმაძღარი ტალახი. აბა, რიღას ღმერთი იქნებოდა და რიღას შემქმნელი, თუ წინასწარ ვერ განჭვრეტდა, რა ბევრი დაუჯდებოდა ეს პირველი გაბრძოლება თიხის კაცუნას". რომანის სულისკვეთება ბიბლიიდან იღებს სათავეს, მხედველობაში მაქვს ბიბლიის ძირითადი მორალურ-ზნეობრივი მრწამსი და არა მასზე აგებული მისტიკურ-რელიგიური საბურველი. რომანში ადამიანის სულისა და სინდისის უკვდავებაზეა ლაპარაკი. ტანჯვის გზით ადამიანი ადამიანად გარდაიქმნება, რადგან: „რაც ღმერთს გაუჩენია, თავისებურად საყვარელიცაა და თავისებურად საცოდავიც". მართალია, რომანის არცერთი გმირი არ მიმართავს ღმერთს, როგორც სულიერი განწმენდის გზას და თავშესაფარს, მაგრამ რაც მათ აკლიათ და რისთვისაც ისინი ისჯებიან, სწორედ, რწმენა და სიმტკიცეა: „ჰიტლერი ხალხებს უპირებდა თურმე მოსპობას. რასაკვირველია, შეიძლება, ხალხის მოსპობა განიზრა-

ხო, მაგრამ შეუძლებელია, შესრულო კიდეც. მაშინ, ღმერთი არ ყოფილა. არც ადამიანი ყოფილა. არაფერი არ ყოფილა საერთოდ, რისთვისაც ღირს სიცოცხლე, რის გამოც სიკვდილიც კი გვიადვილდება ხანდახან. თუ ძალიან ბრიყვი, ან ძალიან მშიშარა არ არის კაცი, ცოცხალს კი არა, მკვდარს ვერ გაატარებ შენს მკუაზე. ნინო წმინდა ვერ ასწიეს, ვერ დასძრეს, მცხეთაში რომ წაესვენებინათ. აქ უნდოდა დამარხვა და იმიტომ. აქაური კვიპაროსები მოეწონა, შეუყვარდა და ვერაფრით ვერ ასწია ერთი ქალის კუბო, იმიტომ, რომ თავად ქალს, მიცვალებულს, არ უნდოდა. აბა, სხვანაირად მართლაც როგორ უნდა ახსნას კაცმა?" ასე რომ, ბიბლიისა და ქრისტესადმი მწერლის დამოკიდებულება ლიტერატურულია, ანდა, უმეტეს შემთხვევაში — ფილოსოფიური. ო. ჭილაძე აზრის და რწმენის მქადაგებელია, ადამიანი უკეთესი რომ გახდეს, საკუთარი თავი უნდა შეიცნოს.

დიდია „მარტის მამლის“ აზრობრივ-ფილოსოფიური და მხატვრული სფერო, რასაც ქმედითი და მძლავრი წარმოსახვა ერთგვარ დასრულებულ და მოწესრიგებულ სახეს აძლევს. „მარტის მამალი“ აზრის სამყაროა, სადაც ავტორი რთული სოციალური მოვლენებისა და საზოგადოების სიღრმეში მიმდინარე პროცესების ფსიქოლოგიურ სურათს აძლევს. სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემა რომანში ახალი ძალით წარმოჩინდება. ღირსეული სიცოცხლე და ღირსეული სიკვდილი — აი, რა უნდა დაისახოს ადამიანმა ცხოვრების მიზნად. რომანის პრობლემატიკა ღრმა და რთულია. წინა რომანებისაგან განსხვავებით ავტორმა ამ რომანში ნაკლებად გამოიყენა მითი და სიმბოლური სახეები. რომანის ერთ-ერთი მკვეთრი სიმბოლური სახე ლიმონის ხეა, რომელიც, ჩემის აზრით, მარადიული სიკეთის, პატიოსნებისა და სათნოების გამომხატველია. მწერალმა ამ რომანით ერთგვარად შეაჯამა მის მიერ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ცხოვრებასა და ადამიანების შესახებ და იგი ფილოსოფიური და ცხოვრებისეული განსჯის ახალ საფეხურზე აიყვანა.

„რაც გიყვარს, სიყვარულის გამო უნდა გიყვარდეს მხოლოდ და რაც გძულს, ისიც სიყვარულის გამო უნდა გძულდეს". „მარტის მამლის" სახით ჩვენს წინაშეა ხანგრძლივი ძიების შედეგი. ეს წერილი კი ამ შედეგით მოგვრილი სიხარულის გამომხატველია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულხან ჟორდანია

ცნობილ ქართველ პოეტს გივი ძნელაძეს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „მნათობის“ კოლექტივი და რედკოლეგია ულოცავს მწერალს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

# „მე გადმოვდივარ შენთან ალავერდს“

იმ განსაკუთრებული ინტერესისა თუ თანაგრძნობის მიზეზი, რომელსაც კრიტიკოსი იჩენს ხოლმე ცალკეული ლექსის მიმართ საკმაოდ ხშირად აიხსნება ლექსის შინაარსის, მისი განუმეორებელი ემოციონალური მუხტის შინაგანი ნათესაობითა და სიახლოვით კრიტიკოსის საკუთარ გონება-განწყობილებასთან, მსოფლმხედველობასთან, იდეურსა და ესთეტიკურ მრწამსთან. არ არის გამორიცხული ასეთ შემთხვევაში, რომ ცალკეულ ლექსზე და, შესაბამისად ამისა, პოეტის ნიჭზე, განვითარებულ თვალსაზრისს დააკლდეს კრიტიკული მიუდგომელობა და სიფხიზლე. საბედნიეროდ მკითხველი — არა მარტო მკითხველი ლიტერატორი, მკითხველი პოეტი თუ ლიტერატურისმცოდნე, არამედ არაპროფესიონალიც, ე. ი. ყველა, ვისაც ქართული პოეზია უყვარს და ვისაც, აქედან გამომდინარე, ქართული პოეზია ესმის — უმალ შენიშნავს კრიტიკოსის სიტყვებში გადაჭარბებულ, ზომაგადასულ აღტაცებასა და ქებას, უმალ დაინახავს, რომ კრიტიკოსის მსჯელობას აკლია პოეტური რეალობის ზუსტი, მიუკერძოებელი შეფასება, რომ არ არის მხატვრული ფაქტი გააზრებული და წარმოჩენილი ისე, როგორიც იგი სინამდვილეშია, ყველა სიკეთითა და სისუსტით, ყველა იმ ლოგიკური თანმიმდევრობითა თუ შეუსაბამობით, რომელთაც იგი ატარებს საკუთარ არსში. განსაკუთრებული სიფრთხილე ასეთ შემთხვევაში თანამედროვე ქართული ლექსის შემფასებელს მართებს, ვინაიდან ძნელად თუ მოიძებნება, ალბათ, დღეს ისეთი ერი, რომელსაც ერთდროულად ამდენი ნიჭიერი, მაძიებელი, მღელვარე პოეტი ჰყავდეს, რამდენიც ჩვენ. პოეტთა სიმრავლე კონკურენციას შობს, კონკურენცია კი — ნუ მოვერიდებით ამ დაუმსახურებლად გარისხულსა და სახელგადასულ სიტყვას — ხარისხსა და პროგრესს. განსაზღვრული თვალსაზრისით, ამიტომ კრიტიკოსი ჩვენთან თვითონ არის უმკაცრესი კრიტიკის ობიექტი, მისი შეხედულება, მისი ნააზრევი თავადაა პოეტთა დაუნდობელ, ხშირად სარკაზმულ, დაცინავ, მაგრამ სამართლიან ფოკუსში მოქცეული.

ამბობენ, ყველაზე კარგად საკუთარი პოეზიის შესახებ თვითონ პოეტები მსჯელობენ. ეს რომ ხშირად მართლაც ასეა, თუნდაც იმით მტკიცდება, რომ საკუთარი ლექსების კრებულს წამძღვარებულ წინასიტყვაობაში ზოგჯერ ისეთი სიღრმით, კონკრეტულობითა და ნიჭიერებით წარმოაჩენენ ხოლმე ისინი მთავარს, გადამწყვეტს თავიანთი შემოქმედებიდან, კრიტიკოსის შესაძლებლობათა მიღმა რომაა. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა გივი ძნელაძის ერთტომეულს გავეცანი, როცა გივი ძნელაძის მხატვრული სამყაროს შეცნობა ვცადე, მოვიწადინე...

სულ გვერდნახევრიან წინათქმაში შესძლო პოეტმა გამოეყო ის, რაც მისი პოეზიის წმიდათა წმიდას ეკუთვნის, რაც მან ჭეშმარიტად იცის და რასაც იგი ტყიურივით ფიზიკურად გრძნობს: „სამშობლო ვიცი სად იწყება...“, „სამშობლო დროში არ მთავრდება...“, „ადამიანი მზის წამიერი გამოსხივებაა, ადამიანი სახეა დროის...“. თუმცა აქვე, ამ ოსტატურად გამოძერწილ ავტოპორტრეტში პოეტმა დიდი ტაქტით მოარიდა თავი საკუთარი ხმის, ინდივიდუალური სტილის თაობაზე დეტალურსა და პროფესიულ ლაპარაკს და მთელი ყურადღება ისეთ მშვენიერსა და მარადიულ ფასეულობებზე გადაიტანა, როგორიცაა: „დედა. შვილი. მეგობარი. მზე. ბალახი. მიწა. წყალი. წარსული. აწმყო. მომავალი...“ ეს გასაგებიცაა. პროფესიული მსჯელობა საკუთარი სტილისა თუ ხმის შესახებ ყოველთვის შეიცავს სუბიექტივიზმში გადაზრდის რაღაც საშიშროებას, ყოველთვის არის მეტნაკლებად დაკავშირებული თავისქებისა და თვითკმაყოფილების ასოციაციებთან. ამიტომ მე იქიდან ვიწყებ გივი ძნე-

ლაძის პოეზიაზე საუბარს, სადაც პოეტი შეჩერდა, რაც თავისთავად გულისხმობს იმასაც, რომ მაქსიმალურად ვიყენებ ავტორის მიერ საკუთარი შემოქმედებიდან გამოკვეთილ კრედოს, ძირითად შტრიხებსა და მოტივებს.

გივი ძნელაძის „მე გადმოვდივარ შენთან ალავერდს“ სამშობლოს შესანიშნავი ჰიმნია. ესაა ავტორის პოეტური და მოქალაქეობრივი მრწამსის, მისი ესთეტიკური და ფილოსოფიური თვალსაზრისის ტიპიური განსახიერება მშობლიური ენის სუბსტანციაში. აქ მეორდება პოეტის მხატვრულ სამყაროში განვითარებული ძირითადი მოტივი სამშობლოს უანგარო სიყვარულისა და პოეტურ სახეში განვითარებული igea fixe ერისა და ინდივიდუუმის სულიერი სიცოცხლის მარადისობისა და სხეულისმიერი სიცოცხლის ეფემერულობის შესახებ. ტიპიურიაო, რომ ვამბობ, სულაც არ ვგულისხმობ იმას, თითქოს ეს ლექსი ზუსტად იმეორებდეს სხვა, თუნდაც გამორჩეულ ლექსთა, ყველა მთავარ მახასიათებელ მხატვრულსა და იდეურ ნიშანთვისებას. ტიპიური ჩემთვის ხელოვნების სფეროში ძირითადად შინაგანის, ორგანულის განსაკუთრებული მხატვრული ძალით გამოვლენის ფაქტია და არა ცხოვრების კოლექტიური ფოტოსურათი ან ერთი ლექსიდან მეორეში უფერულ-ულიმღამოდ გადმობარგული აზრი, სახე, რიტმი თუ ინტონაცია.

გივი ძნელაძის ლექსების ერთი ციკლის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს სამშობლოს სილამაზით, სიკეთითა და სიყვარულით აღტაცებულსა და დაბანგულ პოეტს მოულოდნელად ეახლა ძველთა-ძველი მეგობარი — სევდა, გაიტაცა თავის სამფლობელოში და მწარედ ჩააფიქრა ადამიანის სიცოცხლის წარმომავლობაზე. აქ, სევდის ამ ბურუსით მოცულ საუფლოში, შიში და უბედურება თრთის და ცახცახებს, იქ კი, იმ მზიანსა და გამჭვირვალე სივრცეში, სამშობლო რომ ჰქვია, სიხარული ჩქეფს. აი, ეს გულზე ანაზდად მოწოლილი კაეშანი უნდა იყოს გივი ძნელაძის მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული, ტიპიური ნიშანთვისება, მისი პოეზიის ერთგულესი მეგობარი:

თუ ვინმეს შვენის ახალი დღენი, —
შენ გშვენის, ჩემო სამშობლო მხარევ;
ჩაუქრობელად სულში მინთია
შენი ცხელი მზე და შენი მთვარე!
ვიდრე ჩამტკბარი და ჩათაფლული
შენი ჰაერით სავსე მაქვს ფილტვი, —
ვმღერი სიცოცხლის უკვდავებაზე,
მაგრამ ყოველთვის ვგულისხმობ სიკვდილს.
სიკვდილზე ვდარდობ არა იმიტომ,
რომ წყალს ვერ დავლევ,
ან თუნდაც ღვინოს,
არც იმიტომ, რომ არ შემეძლება
გზაზე სიმღერა წავიღიღინო,
არც იმიტომ, რომ არ მომეხვევა
სათუთი მკლავი საყვარელი ქალის,
არც იმიტომ, რომ მატარებლიდან
ვერ დავინახო მცხეთასთან მტკვარი, —
მე იმას ვდარდობ — შენს სადიდებლად
არ შემეძლება ლექსები ვწერო...

ცხოვრებაში ვხვდებით ხოლმე ადამიანებს, ვისი სურვილი და მისწრაფება თითქოს ყოველთვის დიამეტრულად საწინააღმდეგოში ვლინდება: სისხლით-ხორცამდე ათეისტს განსაკუთრებით უყვარს სერიოზული მსჯელობა რელიგიაზე, ღვინის მოყვარულს — სიფხიზლის, ალკოჰოლის დათმენის კეთილმყოფელ ეფექტზე, უწიგნურს — განსწავლულობაზე, იპოქონდრიკი საოცრად მგრძნობიარეა ხოლმე იუმორის მიმართ. იმასაც კი ამბობენ, წმინდანობა ცოდვით მოიპოვებაო. აი, მართლაც რომ თავისსამტვრევი რებუსი ფსიქოლოგიისთვის! მაგრამ ის, რაც ცხოვრებაში, რეალობაში ადამიანური ბუნების უცნაურ არასრულყოფილებად წარმოგვიდგება, ხელოვნებაში, პოეზიაში შეიძლება ორიგინალურ პირობითობად, ეფექტურ სიმბოლოდ განხორციელდეს. სიცოცხლისა და სიკვდილის უკომპრომისო დაპირისპირებამ, სევდიანი ნაკადის მოულოდნელმა შემოჭრამ სამშობლოს ჰიმნში შეიძლება შეგვახსენოს კიდეც რაღაც მომენტში ეპიკურიელის სკეპსისი, სიცოცხლის მოტრფიალე კაცის ალოგიკური განდგომილობა ყველაფერისაგან, რითაც სიცოცხლე ფასობს, მაგრამ მხოლოდ ერთ მომენტში, მხოლოდ ერთი წამით, რამეთუ ლექსში ჩაღვრილი მთავარი განწყობილება, ავტორის აღტაცება სამშობლოს მიწითა და ცით, მზითა და მთვარით, ჩამტკბარ-ჩათაფლული ჰაერით უკვე მიაქანებს ჩვენს ფანტაზიას სიცოცხლის სიხარულისკენ. დიახ, მე არა მჯერა, რომ პოეტს არ ადარდებს მცხეთასთან მტკვრის დანახვის შესაძლებლობის სამუდამოდ დაკარგვა: სამშობლო ხომ მისი აზრით სწორედ დეტალიდან იწყება, კაცის გულსა და სულში ღრმად ფესვგადგმული პეიზაჟიდან.

და მაინც წამიერი პარადოქსი, სიცოცხლის სიხარულის მომენტური უარყოფა სიცოცხლის მოტრფიალე კაცის მიერ თავისას აკეთებს. პოეტური ტექსტის ავტომატურთან მიახლოებული აღქმა ირღვევა. ერთხელ იელვებს და ისევ ქრება განსაკუთრებული, განუმეორებელი ესთეტიკური ინფორმაცია.

თუკი არ ვცდები, პლატონს უნდა ეკუთვნოდეს ღვთაებრივი აზრი იმის შესახებ, რომ ბუნება თვითონაა საიდუმლოებით მოცული პოეზია. იგი დაბინდულსა და დანისლულ სურათს ჰგავს, საიდანაც უსასრულო მაცთუნებელი ფერი ილვრება. ვის ხელეწიფება ბუნების ფერთა ამოცნობა, მათი სურნელისა და ხმების წაკითხვა, თუ არა პოეტს? პოეტის მიერ სიცოცხლის სიხარულის სტილისტურად გამიზ-

ნულ უარყოფას მაშინ აქვს ფასი, როცა იგი ისე ხატავს ცხოვრებას, მშობლიურ ბუნებას, რომ მის ნახატში თავისთავად გაისმის სიყვარულის სიმღერა, ფიცისა და დაპირების გარეშე გამოკრთის შემოქმედის აღტაცება არტისტული შთაგონების საგნით. გივი ძნელაძის ჯერ ერთი და ორი ლექსი განასახიერებს ასეთ ფერწერულ ტილოს:

მომცრო გორაკზე წამოდგმული ლამაზი ოდა,
დილ-დილაობით დანისლული პაწია ღელე,
მწვანე ეზოში მოკუნტრუშე მაძღარი ხბო და
ლორთქო ფოთლებზე მზის ჭიატი წვიმების
მერე.

კაშკაშა მთვარე,
შუკა-შუკა ჭრიალი ურმის,
ბუხარში — ცეცხლი,
ღვინო — ქვევრში
კედელზე — თოფი;
მზის წვენით სავსე მტევნები და ტკბილი
ნადური.
არყის ქვაბიდან ავარდნილი მხურვალე
ორთქლი.

ძნელია ასეთი სურათის მშვიდი, აუღელვებელთი ჭვრეტა. გივი ძნელაძის ის ლექსები, ცალკეული სტროფები და ბწკარები, განსაკუთრებულად რომ მომწონს, არ მაბრმავებს ჭრელი ფერების მკვეთრი კაშკაშით, არ მაყრუებს და არ მაოგნებს არაჩვეულებრივი ხმიერებით. მისი მუზა სადა და წყნარი შინაგანი ძალით ალსავსე სილამაზეს შეჰფოფინებს, ერიდება იგი ცხოვრების ეფექტურ, ხმაურიანსა და ბრჭყვიალა სცენებს.

სიტყვიერი ფერწერა, მხატვრულობა ყოველთვის იყო და იქნება პოეზიის, ლიტერატურის უდიდესი ღირსება. მაგრამ დღეს, საგანგაშო პრობლემათა, მღელვარე და მშფოთვარე აზრის ეპოქაში, როცა ყველაფერი გამსჭვალულია დიადი გარდატეხისა და გარდაქმნის სულით, მხატვრულობა როგორც ასეთი აღარ გვაკმაყოფილებს. დღეს მხატვრულად შედარებით უფრო სუსტი ნაწარმოები, თუკი იგი სტიმულს აძლევს საზოგადოებრივ ცნობიერებას, აყენებს საჭირბოროტო საკითხებს, გვთავაზობს ამ საკითხთა გადაჭრის გზებს, გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე მხატვრულობით გამორჩეული, მაგრამ თანადროულობის ძირითად თვისებას მოკლებული ლექსი, პოემა, მოთხრობა, ან რომანი. ამიტომ არის, რომ ჩემი არჩევანი იდილიისა და ბუნების განსაკუთრებულად გამორჩეულ მხატვრულ სურათზე კი არ შეჩერდა, არამედ იმ ლექსზე, სადაც ბუნება შეიძლება ნაკლებ მჭევრმეტყველია, მაგრამ სადაც იგი ორგანულად ერწყმის ავტორის მოქალაქეობრივ პათოსს, მის იდეურ მრწამსს, მის მოწოდებას:

აგერ მე ვარ და აგერ შენ — ცაო,
აგერ მე ვარ და აგერ შენ — მიწავ!
შენ, ჩემო ხატო და სალოცავო,
ჩემო სამშობლოვ,
შენ სახელს ვფიცავ, —
მე რომ წავალ და შენ რომ დარჩები —
ამაზე ოდნავ არ მწყდება გული,
არც მე ვთავდები,
არც მე არა მაქვს
არც დასაწყისი,
არც დასასრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისთავად მებადება კითხვა: რა აძლევს ამ ბავშვობიდან შეჩვეულ ფრაზას (ჩემო სამშობლოვ, შენ სახელს ვფიცავ), ამ ნაცნობ რითმას (მიწავ — ვფიცავ) პოეტურ მომხიბვლელობას? აზრის, დედაარსის მარადიული აქტუალობა, შეიძლება მითხრათ თქვენ. არც მე უარვყოფ ამას. სამშობლოს სიყვარულის თემა, რამდენჯერაც არ უნდა დაუბრუნდეს მას პოეტი არასოდეს გაიცვითება, არასოდეს დაკარგავს ორიგინალობას. მაგრამ ამას ისიც უნდა დავუმატო, რომ ამ იდეასა და მისი გამოხატვის ავტორისეულ ვარიანტს განსაკუთრებით ალამაზებს მეორე სტროფში ოსტატურად გამოკვეთილი აზრი ადამიანის უსასრულობისა, ადამიანის სულის სამშობლოსაგან განუყოფლობის პოეტური სახე. თუმცა აქაც შეიძლება შემომედავონ და მითხრან რომ ეს პოეტური სახე, ეს აზრი მეორე საუკუნის რომაელი ფილოსოფოსის თვალსაზრისის პერიფრაზია, რომლის მიხედვით ცალკეული ადამიანი მოკვდავია, ადამიანთა მთელი ერთობლიობა კი — უკვდავი. ან განა სამშობლოს ერთგულების წარმოდგენა უმაღლეს სიკეთედ არის ორიგინალური იდეა? სოკრატემ ხომ ჩვენზე უკეთ თუ არა, ჩვენზე ადრე იცოდა რომ სამშობლო ყველაფერზე მაღლა დგას, თავისი ქვეყნის კანონს, სუყველა უნდა ემორჩილებოდეს, სუყველა უნდა იყოს მისი ერთგული. ამბობენ ეს აზრი სოკრატეს ღმერთებმა შთააგონესო. ასეა თუ ისე, ერთი რამ ნათელია: შეუძლებელი უნდა იყოს პოეზიაში ისეთი სიბრძნის პოვნა, რომელიც ფილოსოფიაში არ თქმულა. მაგრამ ვინაიდან ეს სიბრძნე პოეტურ კონტექსტშია მიხვედრილი და, შესაბამისად, პოეტურად არის დამუშავებული, იგი ორიგინალური აზრის სინედლესა და მომხიბვლელობას იძენს.

ორიგინალობა გივი ძნელაძის ლექსში „მე გადმოვდივარ შენთან ალავერდს" მეტაფორის დონეზეც, ასოციაციური აზროვნების სფეროშიც იპყრობს ყურადღებას. მესამე სტროფის ბოლო ბწკარებში პოეტი საქართველოს საუკუნეთა მზეში დაყრილ გაუფანტავ კერის ნაცართან აიგივებს. გაბედული და შთამბეჭდავია ეს მეტაფორა, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი მაინც ლექსის ბოლო, მეშვიდე სტროფია:

და შენც, —
მომავლის დღეთა მფლობელო, —
ულერებული ზეცა გფარავდეს;
აჰა, მიიღე, —
ჩემი სიცოცხლის
მე გადმოვდივარ შენთან ალავერდს!..

კარგია აქ ეპითეტი „აულერებული“ ზეცასთან მიმართებით, მაგრამ ფინალში რეალიზებული სიმბოლო, ჩემი აზრით, გაცილებით უფრო მოულოდნელი და ეფექტურია. პირადად მე, არსად შემხვედრია სამშობლოსათვის თავდადების, სამშობლოსათვის საკუთარი სიცოცხლის შეთავაზებისა თუ შეწირვის ამგვარი პოეტური ფორმა. სანადიმო ტრადიციებიდან აღებული დეტალის ეს მეტაფორიზება რომ ლექსს მთლიანობაში განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს, თავისთავად ნათელია, მაგრამ თუკი ამ სახეს გივი ძნელაძის რომელიმე სხვა გამორჩეული ლექსის, ვთქვათ, „მრწამსის“ ფინალს შევადარებთ, მაშინ სიმბოლური ალავერდის ლოგიკურ-ემოციური მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენს თვალში. აი, როგორ მთავრდება „მრწამსი“, ლექსი, რომლის არა ერთი და ორი პასაჟი და პწკარი იმსახურებს მაღალ შეფასებას:

ახლა კი...
შენ ხარ სიცოცხლე ჩემი
და სიხარულიც შენა ხარ სრული:
მე შემიძლია შენი გულისთვის
დაუნანებლად დავლიო სული!..

დამეთანხმებით, ალბათ, რომ ლოგიკის საფუძველზე აგებული ფიცი ვერ შეედრება ფანტაზიის სიღრმიდან ბუნებრივად ამოზიდულ სიმბოლოს.

თომას მანის „მეფის უმაღლესობაში“ ერთი პოეტი, რომანის მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, ამბობს, რომ ცხოვრებისაგან განდგომა ნიჭიერების მასაზრდოებელი გარემოა, რომ იგია შთაგონების წყარო და კიდევ მეტიც — პოეტების მუზა. უცნაური ისაა, რომ ეს პოეტი, მიუხედავად იმისა, რომ თავად უარყოფს სიცოცხლის სიხარულს, თავად თვლის ცხოვრებას აკრძალულ ბაღად და ცდუნებად, თავად მიიჩნევს განდგომილობასა და განმარტოებას შემოქმედის ძალად, მგზნებარე, ექსპრესიულად აულაგმავსა და საოცრად ვნებიან ლექსებს წერს. მისი განმარტებით პოეტს ლექსებს ნამდვილი ცხოვრების წყურვილი აწერინებს. თომას მანის პოეტი აქ იმიტომ გავიხსენე, რომ რაღაც ამდაგვარი სხვაგანაც წამიკითხავს და გამიგონია. ყველაფერი ეს შეიძლება მაინტრიგებელიც იყოს, ორიგინალურადაც ჟღერდეს, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, შეუძლებელია თავის თავში ჩაკეტილმა ხელოვანმა ცხოვრების ჭეშმარიტად ღირებული სურათი დახატოს. სინამდვილეში მისი სიტყვების თავბრუდამხვევი ნაკადი დროის გამოცდას ვერ გაუძლებს, მისი სიმხნე-სიხალისე და ოპტიმიზმი, ენერგია და ჟინი მოჩვენებითი იქნება, მოცემულობაში სუბიექტური ჩაღრმავება — ზედაპირული. აზრში, იდეაში, ფოცხვერის თვალით დანახულ დეტალში ვხედავ მე ცხოვრების იდუმალ ფსიქეას, რომლის ღვთაებრივ გამოცხადებას ძირითადად პოეზიაში ვადასტურებ. ვის გამოჰყავს ფსიქოლოგიისა და ისტორიის სიღრმიდან ცხოვრებისეული წვრილმანი, ვინ აკავშირებს უმალ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტს ჩვენს გულში ეთიკის უდიდეს პრობლემებთან? მხოლოდ ის, ვინც არასოდეს წყვეტს კავშირს რეალობასთან, ვინც ხალხის ხორცი ხორცთაგანია, ვინც, ასე ვთქვათ, ხალხია თვითონ. შეუძლებელია, ალბათ, გურიის სოფლის კოლორიტისა და ბავშვის სულის უნაზესი სიმების ისეთი შეგრძნება, როგორსაც თუნდაც გივი ძნელაძის „გზაში“ ვხვდებით, თუკი შენ, პოეტს თვითონ არა გაქვს ყველაფერი ეს შენივე თვალით ნანახი, განცდილი და გააზრებული, თუკი ის ბავშვი, რომელზედაც შენ მესაუბრები, ისევე არ არის შენში, როგორც მზე ცაში, რომელსაც ვერ ვხედავთ ღრუბლების მიღმა:

კაკლის აკვანში ქლურტულებს ტკბილად,
უმანკო სხივი უბრწყინავს თვალში,
ჯერ ლაფაროში გაივლის ფრთხილად,
მერე ეზოში გამოვა ბავშვი.
დახედავს მიწას, ახედავს ზეცას,
მოეწონება ღიმილი მზისი,
თვალს გააყოლებს გულთეთრა მერცხალს,
აუმღერდება ძარღვებში სისხლი...
აგერ პეპელას ხითხითით მისდევს,
აგერ, ხელისგულს ულოკავს ძაღლი;
ერთხელ თვალს მოჰკრავს
ქათმის სისხლს ჯირკზე
და გულში უცებ ჩასწყდება ძარღვი...

გივი ძნელაძის მხატვრულ სამყაროში რეალობის ბევრი საგანი, ბევრი მოვლენა და თვისება გვხიბლავს ორიგინალობითა და ცხოვრებისეული საგრძნობობით. აი, როგორ გადმოგვცემს პოეტი შემოქმედებითი ალმაფრენის იშვიათ განცდას: „მქონია წუთი — დედამიწა მხრებზე შემიდგამს, მქონია წამი — მე გავმქრალვარ მიწიდან თვითონ, მომიწყვეტია მწიფე სიტყვა ლაჟვარდებიდან მიწის გულიდან მომხვედრია სახეში სითბო...“; აი, როგორ ჭვრეტს თავის უსასრულობას: „დღეთა მრავალთა, გარდასულთა და მომავალთა — ვეხმაურები და... სული შფოთავს... გარდავევლები ღრუბელივით თავზე მრავალ მთას და მერე ხევში ჩავიქცევი და ღრიალს მოვრთავ... მდინარედ წავალ... თქარათქურით ჩავივლი ხევებს, მზით განათებულ მინდორში გავალ...“: დაუვიწყარ შთაბეჭდილე-

ბას სტოვებს მისი თვალით დანახული სტიქია: „ზღვა გამოიქცა მიწისკენ უცებ — თეთრი მკლავები მოხვიოს უნდა, მაგრამ... ნაპირმა ხელი ჰკრა გულზე და ზღვა ტირილით გაბრუნდა უკან...“; განსაკუთრებული ხიბლი აქვს ჩემთვის ცის ასეთ პოეტიზირებასაც: „ნათელი ცა ჰგავს მარწყვის მინდორს... მთვარე კი თითქოს მარწყვის საკრეფად გამოსული გოგონა იყოს“.

გვიხატავს რა სამშობლო ქვეყნის უსასრულო მშვენიერებას, ცხოვრების სისავსესა და სიკეთეს, ადამიანების თანამშრომლობისა და თანაცხოვრების სიხარულს, გივი ძნელაძე ხშირად გადის სიკვდილის გარდუვალობის, სიცოცხლის წარმავლობის სევდისმომგვრელ თემაზე. კაეშნის უცხარი სტუმრობა, გულზე ანაზდად მოწოლილი სევდა, რეფლექსიები არყოფნაზე, იმქვეყნიურზე, არ არის ყოველთვის, ყველა ლექსსა და სტროფში, ყველა პწკარში ერთნაირი ეფექტის მომტანი. კაცმა შეიძლება იფიქროს, თუკი ერთ დროს, რაღაც მომენტში არყოფნაზე მსჯელობის, არყოფნის პოეტური შეგრძნებისა თუ გააზრების სურვილი და ჟინი მართლა იყო გივი ძნელაძისათვის შთაგონების თავანკარა წყარო, დროთა განმავლობაში იდეისა და სტილისტური ხერხის ხშირ გამეორებას არ შეიძლება არ გაეცვითა, არ გამოეფიტა პოეტური სახე, არ ექცია იგი ფუტურო რიტორიკად. ასეთი საშიშროება გივი ძნელაძის შემოქმედებაში მართლაც იგრძნობა, მართლაც გამოკრთის დრო და დრო, ალაგ-ალაგ. მაგრამ საბედნიეროდ მხოლოდ დრო და დრო, მხოლოდ ალაგ-ალაგ, მთლიანობაში, ძირითადად კი ისევ არის მისი შემოქმედების მამოძრავებელი ძალა. ამის დასტური უნდა იყოს ახლახან გამოქვეყნებულ წიგნში („ადამიანური სასწაულები“, „მერანი“, 1986) შესული არაერთი მომხიბლავი ლექსი.

პოეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი საკუთარი სულიერი არსის მხატვრულ სახეში ობიექტივიზირებაა, მეტაფორულად რომ ვთქვათ — საკუთარი რაობის მზის სინათლეზე გაყვანა არის. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილისა და განშორების სახე არც გივი ძნელაძესთან მოდის ხელოვნურად, ის რაც ბინდებისა და კაეშნის პოეტებთან მთელი მათი არსების ტანჯვა-წამებაა, რაც ბინდებისა და კაეშნის პოეტებს სწამთ სისხლითა და ხორცით, გულითა და გონებით გივი ძნელაძესთან უფრო ხშირად ღრმად გააზრებულსა და განჭვრეტილ რეალობას ჰგავს, ვიდრე აზრთა თუ განცდაგანწყობილებათა აქაფებულ, ალოგიკურსა და დამბანგავ ნაკადს. კიდევ მინდა გავუსვა ხაზი იმას, რომ გივი ძნელაძე, არსებითად, უტყუარად სწვდება და აღიქვამს ყოფნა-არყოფნის ანტინომიას. ხშირად მრჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მას სურს დაინახოს მომავალი, ამოიკვნოს წარსულის საიდუმლო, გაერკვეს აწმყოს რეალობაში. როცა მის საოცრად მიზანსწრაფულსა და თანმიმდევრულ შედარებას მიჰყვები სიცოცხლის დასასრულზე. მეჩვენება თითქოს პოეტს მთელი კაცობრიობის ბედი — მწერალთან უნდა დამეგობრება „მზე დღევანდელი გულს მიხარებს — შუქით მთოვილი: დღევანდელ დღეზე მე სიმღერა არ მომწყინდება... მაგრამ მერწმუნეთ: უფრო მიყვარს ის მზე, რომელიც ჩემი სიკვდილის მეორე დღეს ამობრწყინდება!.. ამბობს იგი ლექსში „დილა უჩემოდ“. სხვაგან, მაგალითად, „ჯერ მომკალი და... მერე მომკალში!“ ასე მიმართავს ჩვენი პოეტი უზენაესს: „ჯერ უნდა დამცე, დამანგრიო, უნდა დამშალო, ჯერ ფრთები უნდა შემაკვეცო, უნდა დამცალო, — სული — სხეულში ჩამწყვდეული უნდა ამომხდეს! — და მერე... გინდა — ჯოჯოხეთი! გინდა — სამოთხე!...“ ყურადსაღებია ჩვენი მსჯელობის კონტექსტში ვაჟა-ფშაველას პწკარებით (მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული...) შთაგონებული ლირიკაც: „ავად ვარ... სიცხე მაღლა ავარდა, — ბილიკზე ქარი გარბის ქილიკით... ვინ იცის: იქნებ — როცა ავად ვარ, — მაშინ ვარ კარგად... ანდა პირიქით!...“ „საწუთისოფლოში“ კი ვკითხულობთ: „მაგრამ ჰკუაში როცა ჩადგები, როცა ტკივილებს მიიტან გულთან, ერთ მშვენიერ დღეს როცა მიხვდები, რომ ამ ქვეყნიდან წასვიდე უნდა, — მაშინ რას იზამ, განა გაუძლებს განმეორებით წვალებას გული? განა ჯობია განაზლდეს დარდი — მივიწყებული, მიყუჩებული?! არა! — მეორედ ველარ გავუძლებ, — არ მინდა განვლა განვლილი გზების; კიდევ კარგი, რომ ალარასოდეს არ დაბრუნდება წარსული ჩემი!..“ გივი ძნელაძე კიდევ ბევრჯერ ჩავგაფიქრებს სიკვდილის არსზე ისეთ ლექსებში, როგორიცაა „მარადი მგზავრი“, „თუ მართლა გინდა, თუ გულით გინდა“, „მზის ჩასვლისას“, „ვაშლისხე თოვლში“, „მრწამსი“, „დედის საფლავზე პირველად ამოსული ბალახის პასუხი ჩემს პირველ კითხვაზე...“, „მართალი გითხრათ, — მთლად კმაყოფილი და ბედნიერი არ მიყვარს კაცი!..“, „ბალადა უკვდავებისა“, „მომენატრება შენი“... „ვედრება“, „მადლიერება“, „სიცოცხლე“, „ჩვენ ვიზრდებოდით ძმებივით ერთად...“, „წიწილასავით წამიყვანს ზეცა...“ და სხვა. მისი თვალსაზრისი სიცოცხლის დასასრულზე ერთ მკაცრად განსაზღვრულ ლოგიკურ ქარგაში ვერ თავსდება. ზოგჯერ იგი სწორედ ტკივილსა და წუხილში ხედავს სიცოცხლის არსს, ზოგჯერაც, თითქოს ამის საპირისპიროდ, ტკივილის, სულის წუხილის გამო არ სურს წარსულის დაბრუნება, სიცოცხლის გზის ხელმეორედ გავლა. მაგრამ ძირითადად პოეტის შეხედულება სიკვდილზე ერთ მთავარ, გადამწყვეტ მომენტში გარკვეულია და ზუსტი. აი, მისი მაქსიმი, უზენაესი მრწამსი და კრედო: „— მერე ეს მთები? მერე ეს წყარო? მერე

ეს ქალი? მერე ეს მთვარე? მერე ეს ბიჭი? — მერე ამ ბიჭის იქნება ჩემი სამშობლო მხარე!... მაშინ ამ ქვეყნად აშრიალდება ახალთ-ახალი ჭადრების ჩერო!... მე ვარ მოკვდავი, შენ კი — უკვდავი! — მე ეს მახარებს, სამშობლოვ ჩემო!..“

**Memento mori**. შესანიშნავ ესეში — „ზოგი რამ იმის თაობაზე, რომ ფილოსოფოსობა ადამიანის მომზადებაა სიკვდილთან შესახვედრად“ — მონტენი ამბობს: „ვინც ასწავლის ადამიანებს, თუ როგორ უნდა შეხვდნენ სიკვდილს, ასწავლის მათ იმასაც, თუ როგორ უნდა იცხოვრონ“. და კიდევ: „ისევე გადი ამ ქვეყნიდან, როგორც შემოხვედი. იგივე გადასვლა, რომელიც ოდესღაც უმტკივნეულოდ და აუღელვებლივ გააკეთე სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ, გააკეთე ეხლა სიცოცხლიდან სიკვდილისაკენ. შენი სიკვდილი იმ წესრიგის ერთ-ერთი რგოლია, სამყაროს რომ მართავს“. თუკი აქ, ამ სიტყვებში, არის რაიმე რაციონალური, გასაგები უნდა იყოს მაშინ, თუ რატომ არ იყო ქართული პოეტური გონი ისტორიული განვითარების არც ერთ ეტაპზე ისე გატაცებული საამქვეყნო სიამტკბილობით, ისე უზრუნველი და თვითკმაყოფილი, რომ მთლიანად დაეკარგა ყურადღების სფეროდან სიკვდილის ფენომენი. სიცოცხლის არსსა და დასასრულზე მეტნაკლები ინტენსივობითა და სიღრმით დღეს ყველა ქართველი პოეტი ფიქრობს. გივი ძნელაძეც ამ თემის დამუშავებისას მოაზროვნე უფროა, ვიდრე მხატვარი.

ვის არ განუცდია ის მელანქოლია, ის მსუბუქი სევდა, რომელსაც ადამიანს სასაფლაოს ვიწრო ქუჩებში ხეტიალი აღუძრავს ხოლმე. მე, მაგალითად, განსაკუთრებით მიყვარს ვერის სასაფლაოს მიყრუებული, უპატრონოდ მიგდებული ადგილები, მისი მაღალი, მტვრითა და დროით დამძიმებული კიპარისები, სუროშემოხვეული აკაციები, ჩრდილიანი ცაცხვები. გარდაცვლილთა სიმშვიდე და უდრტვინველობა გადამდებია. მკვდარი ფოთლების ხრაშუნი ფეხქვეშ, ნეშომპალის სუნით გაჯერებული თბილი სინესტე, შემოდგომის შთაბეჭდილება, დაღლილი მზე, ლოკოკინის მბზინავი ნაკვალევი საფლავის ქვებზე განსაკუთრებით მიმძაფრებს და მიპოეტურებს განმარტოვების, სიმშვიდისა და გარდაუვალი დასასრულის შეგრძნებას, ასე ნიშანდობლივი რომაა ძველი სასაფლაოსთვის, სადაც ლპობისა და ხრწნის სუნი ტრიალებს. არც მიკვირს ამიტომ, აგრე რიგად რომ უყვართ პოეტებს სევდისა და ნოსტალგიის მხატვრული ექსპლოატაციის ბრწყინვალე, ღრმად ფილოსოფიური იდეა. მაგრამ აქაც კი, ამ მჭიდროდ დასახლებულ უბნებშიც, მიხარია, როცა ვხედავ, თუ როგორ ამოდის საფლავის ქვიდან ცოცხალი, ქორფა ბალახი, როგორ იმარჯვებს სიცოცხლე მლევიარზე, ვინაიდან არ მინდა დავიჯერო, არ მინდა ვიფიქრო, თითქოს ჩემს უსასრულობაში უკვე შეიმჩნევა გამჭვირვალობა — დასასრულის მაცნე, თითქოს ჩემში უკვე გამოკრთის ის — რაც მე არა ვარ. გივი ძნელაძის პოეზიაში, მისი ლექსების იმ ციკლში, სიკვდილის თემას რომ ეძღვნება, იმ ცალკეულ სტროფებსა თუ პწკარებში არყოფნის, დასასრულის იდეას რომ ეხმაურება ან აგვიწერს უშუალოდ ცხოვრებისეული საგრძნობობის ილუზიას ისევ და ისევ ის მხატვრული საშუალებები, ის სიტყვები და ცნებები ქმნიან, სიცოცხლეზე რომ არიან მიმართულნი. მისი ლირიკის ზოგიერთი ადგილის კითხვისას ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს პოეტი საფლავს კი არ უყურებს ცოცხალის თვალით, არამედ სიცოცხლეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემხარის სამარიდან:

არავინ უწყის და ვერც მე ვიტყვი,
რა მაწერია შუბლზე...
გინდა, არ გინდა, იქითკენ ილტვი,
სადაც არ არი ზეცა...
მე მაინც მინდა სხივები ცხელი
უხვად მეყაროს გულზე,
ჩემი გამზრდელი ქართული მიწა
ტანზე მსუბუქად მეცვას!..
იქვე ტყე იყოს და ყურს ვუგდებდე
ჭრელი ჩიტების ჭიკჭიკს
მზიან საფლავზე პეპლებს დასდევდეს
გახარებული ბიჭი.
არ მეწყინება, ნურც თქვენ დაუშლით —
არ მეტკინება გული,
ბიჭის ფეხის ხმას ქვეყნის ხმაურში
მინდა დავუგდო ყური!..
საფლავი თუნდაც გადიქცეს რიყედ...

ისეთ ლექსსაც კი, როგორიცაა „დედის საფლავზე პირველად ამოსული ბალახის პასუხი ჩემს პირველ კითხვაზე...“, სადაც პოეტის მზერა საფლავსა და მის რამოდენიმე კონკრეტულ ატრიბუტებზეა მიმართული (ბალახი, ნამი, ცრემლი...) ერთგვარად აკლია სასაფლაოს, ნოსტალგიის, გულგატეხილობის, კაეშნისა და სკეპსისის გამომხატველი, გამამძაფრებელი დეტალების მრავალფეროვნება, სიმდიდრე, სიცხადე და პოეტური უნიკალობა, აკლია ის განუმეორებელი შეგრძნება და ხილვა საგნისა, რომელიც აქცევს მას ხელშესახებ, ცოცხალ პოეტურ სურათად. პოეტური სტილისტიკის თვალსაზრისით დეტალის ფარდობითი სიღარიბისა და უფერულობის შეგრძნებას ამ ლექსში გამეორების გაზვიადებული ექსპლოატაციაც უწყობს ხელს. ტრაგიკული ელემენტი ლირიკაში უნდა მსჭვალავდეს ყოველ პწკარს, ყოველ სიტყვასა და ცნებას. არავითარი თეატრალური ეფექტი, არავითარი მელოდრამა! ყველაფერი ისეთივე ჩვეულებრივი და სადა, ისეთივე ბუნებრივი უნდა იყოს, როგორიც ცხოვრებაა, რეალობაა, ჩვენს ირგვლივ რომ დუღს

და ფუთფუთებს დაბადებიდან სიკვდილამდე. ნებისმიერი შტრიხი, ნებისმიერი დეტალი, ისიც კი, რომელიც მხოლოდ იგულისხმება, ისიც კი, მხოლოდ წამიერად რომ იელვებს ლექსში, თვალწინ უნდა გვედგას, თითქოს უკვე შევხვედრილვართ მას სადღაც დიდი ხნის წინათ, თითქოს წინასწარ ვგრძნობდით მის აუცილებლობას, თითქოს ჩვენმა გულმა უკვე ისმინა მისი მელოდია, რაღაც ამდაგვარი თითქოს უკვე გვინახავს სიზმარში. კიდევ ვიმეორებ, საფლავის მონოლოგს აკლია მელანქოლიის აღმძვრელი, კაეშნის გამამძაფრებელი არტისტიზმი —

— ბალახო, — მითხარი, — დედას გაფიცებ...
ბალახო, — მითხარი, — ძმობას გაფიცებ...
ჩემო დაიკო — ქორფა ბალახო,
შენი ჭირიმე — ქორფა ბალახო,
გემუდარები — მითხარ ბალახო,
გემუდარები — მითხარ ბალახო, —
რა დაგაბარა,
რა დაგაბარა
ჩემმა საწყალმა დედამ!...
...ოდნავ შეიძრა ქორფა ბალახი,
უხმოდ შეირხა ქორფა ბალახი, —
და... დილის მზეზე მბრწყინავი ნამი —
ცრემლივით დასცდა, —
დედის საფლავზე,
დედის საფლავზე
საგაზაფხულოდ ამოსულ ბალახს,
მზეზე პირველად ამოსულ ბალახს
პასუხად
დასცდა...
ცრემლი...

დედის საფლავზე ამოსულ ბალახთან პოეტის საუბრის იდეა თავისთავადაა ეფექტური. შთამბეჭდავია შედარება ნამი-ცრემლი, ვინაიდან იგი ბალახის პასუხთანაა გაიგივებული. მაგრამ თუნდაც ბალახის თერთმეტჯერ ხსენება (სხვა სახის გამეორებებს რომ თავი დავანებოთ) ოცდაორსტრიქონიან ლექსში საგრძნობლად ზღუდავს სიტყვიერი ფერწერის, მოცემულობაში სუბიექტური ჩაღრმავების არტისტულ შესაძლებლობას. რაშია საქმე? ნუთუ ქართული პოეზია ვერ ეგუება საერთოდ საფლავის თემას? ან იქნებ სასაფლაოებს საქართველოში აკლიათ ტკივილისა და დარდის აღმძვრელი ძალა და კოლორიტი? არც ერთი, არც მეორე, რასაკვირველია, უბრალოდ გიგი ძნელაძის ტალანტი ამ თემის საზღვრებში მოკლებულია მისთვის ჩვეულ სილაღესა და მგრძნობიარობას, თუმცა აქაც კი გამოდის ხოლმე იგი ბრწყინვალედ არახელსაყრელი მდგომარეობიდან. მაგრამ შეხედეთ, როგორ იცვლება საფლავის ჩანახატებიდან მიღებული შთაბეჭდილება, როცა პოეტის ფანტაზიას მაგიური ხელისშეხებით ფერს უცვლის სიცოცხლის სიხარულის მომხიბვლელობა. ქარის მოულოდნელი, მძაფრი დაბერვა თითქოს ჰგლეჯს სევდიან პეიზაჟს ბუნდოვან ფარდას, და მის მიღმა ჩნდება, ციალებს ოქროსფერი სინათლით, სიკეთითა და უსასრულო სურვილებით სავსე ქვეყანა:

ნედლ მიწას თბილი ოხშივარი ასდის შიშინით...
წისქვილის ღარში ღელის წყალი გარბის თქრიშინით...
ღარია ძველი — ალაგ-ალაგ ამოღრუტნული, —
ნანინად მესმის სარეველას ამო გრუტუნი...
დოლაბის ქვასთან მახსენდება მიწის ტრიალი
და ბარბაც-ბარბაც მიმაქანებს ფიქრი ტიალი, —
საით? უკან თუ... წინ თუ... საით?.. რამ დამასიზმრა!.
სიზმარი იყოს — კი ჯობია, მაგრამ... რას იზამ, —
ირგვლივ ცხადია ყოველივე და მახლობელი:
— ჩემი სოფელი... საყვარელი ჩემი სოფელი!..
ქვის ცისფერ კოდში თეთრი წყალი ჩარბის თქრიშინით...
თენდება... დილამ ვულკანივით ამოიქშინა
და ამოიფრქვა დიდებულად კეთილი ცეცხლი —
თავზე საყრელი აქვს ქვეყანას ოქროც და ვერცხლიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ახვლედიანი

# ილია ჭავჭავაძე ხალხური ტრადიციების შესახებ

ილია ჭავჭავაძემ თავისი დროის კვალობაზე მრავალი ახალი მოსაზრება გამოთქვა საქართველოს ისტორიის მეტად აქტუალურ პრობლემებზე, რითაც წარუშლელი წვლილი შეიტანა ქართულ ეროვნულ ისტორიულ მეცნიერებაში. ილიამ დიდი დრო მოანდომა მშობლიური ქვეყნის ისტორიული წარსულის შესწავლას, პირუთვნელ გაშუქებას და მის უცილობელ ღირსებათა წარმოჩენას. მართებულად აღნიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი ილიასადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში: „ვინც მომავალში ქართული ისტორიოგრაფიის თავგადასავლის მე-19 ს. ამბების შესწავლას და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქნება ისიც აღნიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქნელიც კი არა, არამედ, რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი მქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთ ქართველს არა აქვს" (ი. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, თბ., 1938 წ., გვ. 16).

ილიას დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი ჩვენ მხოლოდ ქართული ხალხური ტრადიციების გამოვლენის ასპექტით გვაინტერესებს.

ილიას შეხედულებით, ხალხია ისტორიის შემოქმედი; დიდი ერისკაცი მონდომებით ეძებს ხალხს ისტორიაში და, კერძოდ, საქართველოს ისტორიულ წყაროებში. ამიტომ იყო, რომ 1872 წელს, როცა „აჩრდილის" საბოლოო რედაქცია მთავრდებოდა, პოეტი ერთ პირად წერილში დავით ერისთავს გულისტკივილით სწერდა: „ამ „აჩრდილმა" ტყავი გამაძრო, ისტორიულს ნაწილზედ გაქირვირსავით შევდეგ და ერთი ნაბიჯი წინ ველარ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ ამ „აჩრდილს" თავი დავანებო მეთქი... ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს, მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტვინავ. და განკითხვა არსაით არი" (ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. X, 1961, გვ. 84).

1880 წელს გაზ. „დროების" № 25-ში გამოქვეყნებულ მეთაურ წერილში „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ" ილია განმეორებით შეეხო ამ საკითხს და უფრო მკვეთრად გამოთქვა თავისი შეხედულება: ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები, და თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის-თავს, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთი სიტყვით, ჩვენის შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობია ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული... თვითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმეთა" (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, II, 1941, გვ. 483).

ილია ჭავჭავაძის ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება „ქართლის ცხოვრებისადმი" თუმცა მეტად მკაცრია, მაგრამ უეჭველად მართალია ილია, რომ „ქართლის ცხოვრების" ისტო-

რიკოსები მეფეთა და თავადთა შესახებ მოგვითხრობენ და ნაკლებად აინტერესებთ მატერიალური დოვლათის მწარმოებელი ხალხი, მათი ტკივილები და მისწრაფებანი.

ილიას აზრით, საქართველოს მეცნიერული ისტორია მეფეთა, საგარეო ურთიერთობათა და ომების ისტორია კი არაა, არამედ ჩვენი ქვეყნის „შიდა ცხოვრების“, ერის, მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა შემქმნელი ხალხის ისტორიაა. ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ნაკლი, რომ ხალხი ნაკლებად ჩანს ისტორიაში, უნდა გამოსწორდეს სხვა საისტორიო წყაროების მოშველიებით. ერთ-ერთ ასეთ ისტორიულ წყაროდ ილიას მიაჩნდა ხალხური შემოქმედება და მასთან დაკავშირებული ტრადიცია-წესჩვეულებები, სადაც „ხალხის შიდა ცხოვრება“ იქნებოდა მოცემული. ამის გამო იგი საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში აღიარებდა ფოლკლორის დიდ მნიშვნელობას და მოითხოვდა ხალხში გაბნეული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების (ისტორიული და საწესჩვეულებო პოეზია და სხვ.) შეგროვებასა და გამოშზეურებას. ილია თვითონვე ხელმძღვანელობდა ფოლკლორულ-შემკრებლობით საქმიანობას და განსაზღვრავდა მე-19 საუკუნეში ხალხურ შემოქმედებასთან საზოგადოების დამოკიდებულებას. პროფ. ავთ. იოსელიანის მართებული შენიშვნით, ილია „უშუალოდ თავოსნობდა ეროვნული მნიშვნელობის ყველა იმ სამეცნიერო წამოწყებას, რომელიც მოწოდებული იყო შეეკრიბა ხალხში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ისტორიული მნიშვნელობის სხვადასხვა მასალა ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის დარგებიდან“ (ავთ. იოსელიანი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1951 წ., გვ. 2).

ი. ჭავჭავაძე ქართული ფოლკლორის პირველი შემკრებ-გამომცემელი და თეორეტიკოსია.

1887 წელს დაწერილ სტატიაში „ხალხის ზნე-ჩვეულებების შესწავლის შესახებ“ ილიამ ჩამოაყალიბა ძირითადი ამოსავალი დებულებები, რომლის საფუძველზედაც ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებების, ადათებისა და სოციალურ-ეკონომიკური, იურიდიული და სხვა ყოფითი მოვლენების შესწავლა უნდა წარმართულიყო.

დიდი სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით უდგება ილია ხალხის ზნე-ჩვეულებების შესწავლას. მისი აზრით, ხალხურ პოეზიასთან ერთად, საჭიროა შევისწავლოთ „ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურსა და იურიდიულს ცხოვრებას“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 191).

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, „ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს, რომლითაც ხელმძღვანელობს, როცა საჭიროება ამას მოითხოვს. მამულის გაყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ერთურთ შორის ალებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულების გასამართლება და ათასი მსგავსი მოვლენა — სულ ხალხის ჩვევების ძალით სწარმოებს, ხალხის ადათზეა დაფუძნებული და ამ ადათს ემორჩილება“ (იქვე, გვ. 191-192).

მოტანილი ადგილებიდან ნათლად ჩანს ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ხალხური პოეზიის შესწავლისადმი და, გარდა ამისა, ხალხური ზნე-ჩვეულებებიდან იმგვარი ხასიათის მასალების საგანგებოდ შესწავლა-შეგროვების საჭიროება, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ხალხის იურიდიულ, ეკონომიკურ და ადათობრივ ჩვევებთან.

ილია ჭავჭავაძე გარკვევით მიუთითებს, რომ „სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზად არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს, ჯეროვან ყურადღებას აქცევენ და გამოურკვევლად არაფერს სტოვებენ. სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირი შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, მისი ავი და კარგი, იმისი წადილი და საჭიროება“ (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 192). ილია განაგრძობს: „ხშირად მდაბიო ხალხი, გატაცებული ფანტაზიის აღმაფრენით, დამღერის და დაჰხარის ისეთს საგანს და მოვლენას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ცხოვრების სიკეთეს და ცრუმორწმუნეობაზე არის აშენებული. რასაკვირველია, მარტო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საჭიროებაზედ და იმის მოთხოვნილებაზედ შეცდომა იქნა და ამ შეცდომას საზარალო შედეგი უნდა მოჰყვეს. თუ ამ შემთხვევაში შეცდომის თავიდან აცილება გვსურს, პოეტური შეხედულების გარდა ხალხის სხვა შეხედულებას და მსჯელობას ყური უნდა ვათხოვოთ, და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხის ყოველგვარი ნაწარმოები შესწავლილი გვექნება. ჩვენი დედააზრი ეს არის: ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ; იმისი ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 193).

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძეს ხალხური შემოქმედების ყველა დარგი აინტერესებს და მათ საფუძვლიან შესწავლას და ყოველმხრივ გამოვლინებას მოითხოვს.

ილია ჭავჭავაძის მოწოდება ხალხური პოეზიასთან ერთად ხალხურ წეს-ჩვეულებათა შესწავლის აუცილებლობის შესახებ სახელმძღვა-

ნელოს წარმოადგენდა მაშინდელი მოწინავე საზოგადოებისათვის. მართებულად აღნიშნავდა პროფ. მ. ჩიქოვანი: „ივერიის“ ირგვლივ დარაზმული ეთნოგრაფები, ისტორიკოსები, სიტყვიერების შემკრებნი და სხვა მეცნიერებათა წარმომადგენელნი ი. ჭავჭავაძისაგან იღებდნენ სამოქმედო პრინციპებს, გეზს“ (მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, თბ., 1975, გვ. 282).

ხალხის წეს-ჩვეულებებში, ხალხურ პოეზიაში, ზღაპრებსა და ლეგენდებში, თქმულებებსა და გადმოცემებში, ანდაზებსა, აფორიზმებსა და გამოცანებში ილია ხედავს ხალხურ ყოფით მოვლენებს, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ, დახვეწილ, ცხოვრებით შემოწმებულ ხალხურ სიბრძნეს. ილია „კაცია-ადამიანის“ შესავალში ერთი ანდაზის მოხმობით თავისი ერის ტრადიციულ შემოქმედებას ასე აფასებს: „სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავიმხნევებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. სადა ხარ ეხლა, ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ“.

ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებების, მისი ყოფა-ცხოვრების უკეთ შეცნობის მიზნით ილია დაინტერესებულია ქართული ხალხური მუსიკის საკითხებითაც და მოითხოვს მის საფუძვლიან შესწავლას. ილიას ბრწყინვალე მეცნიერული გამოკვლევა — „ქართული ხალხური მუსიკა“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, პ. ინგოროყვას რედაქციით; 1941, გვ. 180-184) ხალხური მუსიკის მნიშვნელობის, მისი შესწავლისა და რაობის კარდინალურ საკითხებს ეხება. ეს ნაშრომი ღრმა მეცნიერული დასკვნებით ფრიად აქტუალურია დღესაც.

მუსიკა, სიმღერა, გალობა ერის კულტურის ისტორიის განუყოფელი ნაწილია, ამასთან ისეთი, რომელშიც წარსულის უძველესი ნაშრევების ამოკითხვაა შესაძლებელი.

ილიას აზრით, ხალხური მუსიკა უკვდავია მის შემქმნელ და მატარებელ ხალხთან ერთად. „სიმღერას, რომელიც მარტო გულისთქმაა და სხვა არა-რა, ბოლო და დასასრული არ ექნება თავის დღეში, ვიდრე ეს დედამიწის ზურგი ატარებს და იშვენებს ადამიანსა“ (გვ. 181). წერილში ილია ხაზს უსვამს, რომ ქართული ხალხური სიმღერა წარმოშობიდან დღევანდლამდე „თვით-ნარჩენი, თვით-მყოფი სიმღერაა“. იგი არ ჰგავს არც ევროპულს, არც აღმოსავლურს, ქართულმა სიმღერამ ბოლომდე შეინარჩუნა ეს ძველი თვითმყოფადობა და დამოუკიდებლობა, რომელიც მას თავიდანვე ახასიათებდა. საეკლესიო სიმღერაში შემოჭრილმა ბერძნულმა გალობამ და ქალაქად გავრცელებულმა აღმოსავლურმა მარტოდ საოქმულმა ხმებმა ვერ სძლიეს ხალხის წიაღში შემუშავებული მრავალფეროვანი [illegible] ტომ დაასკვნის ილია: „მუსიკის [illegible] თა თვალში ქართული სიმღერები სრულს ახალს ამბავს უნდა წარმოადგენდეს მუსიკის ისტორიისა და თეორიისათვის“ (გვ. 183).

ილიას ნაშრომი ქართული ხალხური მუსიკის შესახებ პასუხობს დროის მიერ წამოჭრილ პრობლემას. ჭირსა და ლხინში შექმნილსა და გამოვლილს ხალხურ მუსიკას მე-19 საუკუნის მთელ სიგრძეზე საშიშროება ელოდა აღმოსავლური მუსიკის ჰანგების მოძალების გამო. უცხო, ერის ბუნებისა და ხასიათისათვის შეუფერებელი, უგვანო ჰანგების ზეგავლენით ქართული სიმღერა მახინჯდებოდა. სწორედ ამ დროს იყო საჭირო ქართული ხალხური მუსიკის უცხოურისა და ქალაქურ-პრიმიტიული მუსიკალური გავლენისაგან გათავისუფლება, საუკუნეებს გამოვლილი მშვენიერი ქართული კილოებისა და ჰანგების შენარჩუნება.

ილია ჭავჭავაძემ ხალხური შემოქმედების ბუნების გასაგებად მოსაზღვრე დისციპლინების გათვალისწინების საჭიროების საკითხი დააყენა სხვა წერილებშიც. წერილში „ერი და ისტორია“ (1888 წ. მიეძღვნა დ. ბაქრაძის „საქართველოს ისტორიის“ გამოქვეყნებას) შესანიშნავად არის დასაბუთებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიის საფუძვლიან ცოდნას ხალხური შემოქმედების ჭეშმარიტი რაობის შესაცნობად, მისი იდეურ-მხატვრული მხარის გასაგებად. ილიას აზრით, ყველა ერი უნდა ინახავდეს, უფრთხილდებოდეს და არ ივიწყებდეს თავის ისტორიას. თუ ერს დავიწყებული აქვს თავისი ისტორია, მას არ აქვს „მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ, იმიტომ, რომ, რა იყო — ის დავიწყებული აქვს და, მაშასადამე, რა არის — არც ის იცის“. ერის „ისტორიის დავიწყებასთან ერთად, ნელდება და თანდათან ჰქრება, იმიტომ რომ სამღერალსა და საგალობელში, ზღაპრებსა და მოთხრობებში ჩარჩენილნი სახსოვარნი, ისტორიის დავიწყების გამო, მართალს აღარა ჰგვანან და უაზრო და უსაგნო ზღაპრადღა გადაიქცევიან, როგორც მთქმელის, აგრეთვე გამგონის თვალშიაც. ამის გამო ამ სახსოვრებში ის ცეცხლმოსაკიდებელი ძალ-ღონე აღარ არის, რომელიც კაცს ააფეთქებს ხოლმე მოქმედებისა და გარჯისათვის, და რაკი ეს არ არის, ყოველი ეს განძი და საუნჯეც — კი, წარსულისაგან გადმოლოცვილი, ამაო და ფუჭია ერის გამხნევებისათვის, ერის დღეგრძელობისათვის“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1988, გვ. 609-610).

ერის დიდ მოამაგეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის ჩასანერგავად კი

არ უნდოდა მხოლოდ, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი, პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა. ძირძველ ქართულ ისტორიაში იგი წინაპართა მარტო გმირობასა და წარმატებას კი არ ხედავს, არამედ იმას, რომ მათ ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდვიათ იმ საძირკველში, რომელზედაც ჩვენი აწმყოა დამყარებული. ორივე მხარე ჩვენი წარსულისა სურს მას გამოარკვიოს და სწორედ ამ ამოცანას უსახავს მიზნად ისტორიის მეცნიერებას. ილია წერს: „რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რათ და როგორც შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით — რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის ბატონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას“ (იქვე, გვ. 610). „ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვით საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანობის სულის წირვა, ეგ თავის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვანდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი“ (იქვე, გვ. 611).

ილია მოითხოვს, რომ ერის კულტურის კვლევაში აუცილებელია სხვადასხვა დარგის მეცნიერების მონაცემთა გათვალისწინება, მათი საფუძვლიანი შესწავლა. ამ მიზნით ეცნობა იგი თავისი დროის ცნობილი მეცნიერების — ჯონ-სტიუარტ მილლის, ვიჰგოფის, ედუარდ ფრიმანის, ვებერის, კორშის, ტეილორის, სპენსერის და სხვათა ნაშრომებს და მათი შეხედულებების შესწავლის საფუძველზე საკუთარ შეხედულებებს ავითარებს. ეს ნათლად მოჩანს მის ისტორიულ გამოკვლევებში — „აი ისტორია“ (1889 წ.), „ხიზნების საქმე“ (1880-1888 წ.წ.) და სხვ.

„აი ისტორიაში“ ილია განიხილავს ქართველთა უძველეს წეს-ჩვეულებებს, კერძოდ, იგი მსჯელობს ტაბუს ერთ-ერთი კონკრეტული სახის შესახებ. ილია წერს: „ავიღოთ ჩვენი ჩვეულება, რომელიც გვიშლის, რომ მონაკვეთი ფრჩხილი, ან თმა არ გადავაგდოთ ცუდ-უბრალოდ და გვავალებს, — უსათუოდ ცეცხლში დავსწვათ, ან მიწაში ჩავფლათ. სად არის ამის მიზეზი, სათავე? რის მომასწავებელია ეს ჩვეულება? აშკარაა, აქ რაღაც მიზეზს დაუდგენია ეს ჩვეულება და რა მიზეზს — ეს კი აღარ დაგვხსომებია. რომ მოვჩხრიკოთ, ყოველ დროს, ყოველ ადგილს, ყოველს შემთხვევაში, სადაც კი დედამიწის ზურგზედ ამ ჩვეულებას თავი უჩენია, ვნახავთ, რომ ეგ ჩვეულება ერთნაირი რწმენებისაგან არის წარმომდგარი (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 34). მსგავს ჩვეულებას ილია პოულობს ერთმანეთისაგან ტერიტორიულად და რასობრივად დაშორებულ ხალხებში.

ილია ჭავჭავაძე ტეილორის, ლებბოკის, სპენსერის, კარიერის, ვებერის და სხვათა შრომებით საფუძვლიანად სწავლობს პირველყოფილ კულტურას და ქართველ მკითხველს აცნობს ველურების წეს-ჩვეულებებსა და რწმენებს. „ზოგი ერია დღესაც, რომ სუფრიდან ცალკე კერძს გადასდგამენ ხოლმე მიცვალებულის სულისათვის. ფიჯიელნი (ველური ხალხია) დღესაც ნაწილს ხორაგისას ცალკე გადაისვრიან, როცა ჭამა-სმაზედ სხედან; რომ მიცვალებულის სული უნაყროდ არ დარჩეს. სპენსერს მოჰყავს მალკოლმი იმის მოწმედ, რომ ბილახნი (ველური ხალხია) სასმელს ისე არავის არ უთავაზებენ, რომ თავი არ გადაუქციონ... არაუკანელნი (ველური ხალხია) ყოველთვის საჭმელს თავს გადაუქცევენ ხოლმე და ყოვლის საჭმლის ნაწილს ცალკე გადასდებენ მიცვალებულის სულისათვის უწინარეს იმისა, მინამ ჭამა-სმას დაიწყებდნენო“. ილია ამ ჩვეულებას ქართველებშიაც უძებნის პარალელს "განა შორს არის ყოველს ამაზედ ჩვენი საკუთარი ჩვეულება, რომ მკვდრის ხსენებაზედ ღვინოს თავს გადავუქცევთ და ხან პურზედ დავაწვეთებთ, ხან მიწაზედ, იმის და მიხედვით, ვდგევართ თუ ვსხედვართ და პური ხელთა გვაქვს თუ არა სმის დროსა. ეს ჩვენი ჩვეულება სწორედ ამ სათავიდანვე მომდინარეობს“ (იქვე, გვ. 126-127). ილია ჭავჭავაძე ქართულ წეს-ჩვეულებებსა და რწმენებს შეისწავლის შედარების გზით, სხვადასხვა ქვეყნის ყოფაცხოვრებისა და რწმენის მოვლენებთან და მათ დამოუკიდებელ წარმოშობას ალიარებს. ილია დიდად აფასებს ისტორიულკრიტიკულ და შედარებით მეთოდს, მიაჩნია ისინი ამ მეცნიერების განვითარების მძლავრ და აუცილებელ საშუალებად. ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს წარსულის შესასწავლად ამ ორი მეთოდის მარჯვედ და ნაყოფიერად გამოყენების რამდენიმე მაგალითიც აჩვენა“ (ი. ჯავახიშვილი). ილია სავსებით სწორად წერს: შედარებითი მეთოდით „ბევრს წყვდიადს და ბნელს ნათელი მოეფინა, ბევრი დაფარული გამომჟღავნდა“. ნარკვევში „ხიზნების საქმე“ ილია იმოწმებს ფრანგი მეცნიერის ტოკვილის შეხედულებას და დასძენს: „ფილოლოგიამ და მითოლოგიამ ამ ბოლო დროს ბევრი საკვირველი ჭეშმარიტება აღმოაჩინა მით, რომ სხვადასხვა ხალხის ისტორიები შეადარა და ამ შე-

დარებით გამოიკვლია ბევრი საგანი, რომელთა ჟამთა სიბნელეში არც თავი უჩანდათ, არც ბოლო“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1956, გვ. 119).

ი. ჭავჭავაძე იკვლევს მითის ჩასახვა-წარმოშობის მიზეზებს. მისი აზრით, მითოსური ცნობიერება ისტორიული კატეგორიაა, საზოგადოების დაბალ საფეხურთან დაკავშირებული. პირველყოფილი ადამიანი, პრიმიტიული გონების, ტექნიკური უძლურების გამო, ვერ წვდებოდა საგნებისა და მოვლენების ნამდვილ არსს. ამიტომ იგი ბუნებას აღმერთებდა, წინაპართა კულტს ქმნიდა. ისტორიული თუ ფსევდოისტორიული წინაპრები ზოგჯერ სხვადასხვა ღვთაების სახით წარმოგვიდგებიან. უზენაესი არსებანი, ღმერთად ქცეული პიროვნებანი ხალხის ფანტაზიის გამონაკრთომები არიან. „შედარებითმა მითოლოგიამ აღმოაჩინა, — წერს ილია, — მითად გადაქცევა მართლისა და მოგონილის წინაპრისა მთელს ქვეყნიერებაზედ შემჩნეულია. ტეილორი, ლიბბოკი, სპენსერი და სხვანი ბევრს მაგალითს გვიჩვენებენ ამისას და იქამდინაც მიდიან, რომ მოგვითხრობენ დიდის წინაპრის, ანუ გმირის და სხვა გამოჩენილის კაცის უმაღლეს ღმერთად გადაქცევასაც. ამ სახით, დღესაც მონგოლები ჩინგის-ყაენს ღმერთად ჰხადიან“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 118).

წინაპრების გაღმერთება ილიას ქართველებშიც შესაძლებლად მიაჩნია. ამის ნიმუშად იგი, თუმცა სიფრთხილით, ლურსმულ წარწერებში მოხსენიებულ „ქალდს“ ასახელებს. „ქალდი“ შესაძლებელია ქართლოსად გადაკეთდაო, „რომელიც ქართულმა მითოლოგიამ დაგვისახელა ქართველთა პირველყოფილ წინაპრად“ (იქვე).

ილია იკვლევს ქართულ ღვთაებათა პანთეონს, „ქართლის ცხოვრებაში“ დამოწმებული ღვთაებების ხასიათსა და მნიშვნელობას. იგი წერს: „მეტად საინტერესოა, გამოძიება იმისა, თუ რა მნიშვნელობის ღმერთნი არიან არმაზი, გაცი და გაიმი“. იგი უძველესი პანთეონის ღვთაებად მიიჩნევს აგრეთვე ბოჩს, ზადენს, აინინას და დანანას. ილიას აზრით, ქართული წარმართული პანთეონის ღვთაებანი: არმაზი, ზადენი, გაცი, გაიმ, აინინა, დანანა — ბუნების ძალების განსახიერებანი არიან, რომლებიც ჩაისახნენ და განვითარდნენ ბუნების შეუცნობელი ძალების წინაშე ადამიანის უძლურების, შიშის, უმეცრების მიზეზით. „...ბუნების დიდნი მოვლენანი უმეცნი კაცისათვის გაუგებარნი არიან, მაშ რა ჰქნას ახლად ფეხადგმულმა გონებამ კაცისამ, თუ მიზეზად ყოველ ამისთანა მოვლენისა არ იწამოს რაღაც ყოვლად შემძლებელი, უხილავი არსება და იმას არ მიაწეროს შექმნა და მოვლინება ყოველ იმისა, რაც მიზეზი და სათავე თვითონ ვერ გამოუცვნია და ვერ მიწვდომია. აქედან არის წარმოდგენილი ის, რომ უწინდელი დროების ერნი, და ეხლაც ველურნი, ყველა ამისთანა მოვლენის ასახსნელად ცალკე ღმერთსა ჰქმნიან და ღმერთი ხომ ყოვლად — შემძლებელია. მზე — ეს დიდებული მნათობი, ნათელის მომფენელი, სიცოცხლის მომნიჭებელი, მთვარე, ვარსკვლავი, ქარი, წვიმა, ჭექა-ქუხილი, ელვა, თითონ ხეც კი, რომელიც ერთი ბეწო თესლისაგან, რაღაც დაფარულისა და გონებამიუწვდომელის ძალით, მრავალ-შტოიან, უშველებელ საჩრდილობლად გადაიქცევა ხოლმე, — ყველა ეს განსაცვიფრებელი ამბავი უმეცნო კაცისათვის საიდუმლოებაა, დაფარული, უხილავი ყოვლადშემძლებლობაა, და აქედამ დიდი მანძილი არ არის ამ უხილავის ძალის გაღმერთებამდე. სხვადასხვა რჯულთა, სხვადასხვა ერთა შედარება გვიმტკიცებს, რომ ადამიანის გონებას ყველგან ამ გზით უვლია და ყველა მოვლენასა თუ საგანში ცალკე მიუწვდომელი ძალი უგულვებია და ცალკე ღმერთი შეუქმნია ამ ძალის მომასწავებლად, მიზეზად და ღასაბამად“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, IV, გვ. 116-117).

ილია სხვადასხვა ხალხში გავრცელებული მსგავსი წარმართული რელიგიური შეხედულებების წარმოშობას, „მსგავსი ბუნებითა და გარემოებით“ ხსნის. „გვანება, მსგავსება რჯულისა, ანუ ღმერთებისა, ყოველთვის არ ნიშნავს ერთის ერისაგან მეორის მიერ მიღებას. აქ შესაძლოა ერთმა ერმა თავისთავად ისეთივე რჯული შექმნას როგორც სხვა ერმა, მსგავს ბუნებასა და გარემოებაში მყოფმა“ (იქვე, გვ. 117).

აი ასეთი სწორი, მეცნიერული თვალსაზრისი აქვს შემუშავებული ილიას ქართულ წარმართულ მითოლოგიასა და რელიგიაზე.

ილია ჭავჭავაძემ ცოცხალი მაგალითებით, ისტორიისა და ფილოლოგიის მეცნიერებათა მაშინდელ მონაპოვარზე დაყრდნობით, წარმატებით გამოიყენა შედარებით-ისტორიული მეთოდი და ნიადაგი მოუმზადა საქართველოში ტრადიცია-წესჩვეულებების მეცნიერულ კვლევას. ამით ფართო გზა გაუხსნა ეთნოგრაფიისა და ფოლკლორისტიკის განვითარებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ტაბაღუა

# ფარნავაზ მეფემ „გააუმჯობესა დამწერლობა“

ვატიკანის არქივებში მუშაობისას, ერთ, საკმაოდ ვრცელ, დოკუმენტს მივაკვლიე. მასში საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხებია მიმოხილული. დოკუმენტი ხელმოუწერელია. არც ის ჩანს, თუ ვისი დავალებით შეუსრულებია ეს „მიმოხილვა“ დოკუმენტის ავტორს. მაგრამ რაკი თავისი ნამუშევარი ავტორს ვატიკანში ჩაუბარებია, მე მას პირობითად „მოხსენებითი ბარათი“ დავარქვი.

„მოხსენებითი ბარათი“ შედგენილია ფრანგულ და იტალიურ ენებზე. მისი სათაურია: „ქართლსა და მის გარშემო მდებარე მხარეებში ქრისტიანული სარწმუნოების (მდგომარეობის) შესახებ“. იტალიური ტექსტის ერთ-ერთ გვერდზე სხვა ხელით, გაკრულად მიწერილია ამ „მოხსენებითი ბარათის“ შედგენისა თუ ვატიკანში მისი ჩაბარების თარიღი: „1819“. სხვაგან შედგენის თარიღი არსადაა მითითებული, არც მისი შემდგენლის ვინაობაა გაცხადებული.

მაგრამ „მოხსენებითი ბარათის“ სათაურისა და მისი შინაარსის გათვალისწინების შედეგად, დავადგინე მისი ავტორის გვარი და ვინაობა: ეს არის 1811-1818 წ.წ. რუსეთის არმიის სამსახურში მყოფი ბელგიელი პოლკოვნიკი როტიე, რომელიც ერთხანს კავკასიის არმიაში მსახურობდა და საქართველოში ყოფნის დროს დაკავშირებული იყო ევროპელ კათოლიკე მისიონერებთან. მან, ალბათ, ამ დროს შეადგინა ეს „მოხსენებითი ბარათი“, ხოლო ევროპაში დაბრუნების შემდეგ იგი ვატიკანში ჩაიტანა.

პოლკოვნიკ როტიეს გვარი მოხსენიებული აქვთ უცხოელ და ქართველ ავტორებს (ა.-ჟ. სენ-მარტენი, ალ. ცაგარელი, ე. ტეცა, მ. პოლიევქტოვი, ნ. ორლოვსკაია, ლ. მაგაროტო, ი. ტაბაღუა), მაგრამ ჩემს მიერ აქ დასმულ საკითხს დღემდე არავინ შეხებია.

1827 წელს ეს „მოხსენებითი ბარათი“ პარიზის სააზიო საზოგადოების ორგანო „ჟურნალ აზიატიკ“-ში გამოაქვეყნა ცნობილმა ფრანგმა ორიენტალისტმა ა. ჟ. სენ-მარტენმა, საკუთარი კომენტარებით. აქ კი აღნიშნულია „მოხსენებითი ბარათის“ ავტორის გვარი — როტიე. მაგრამ „ჟურნალ აზიატიკ“-ში გამოქვეყნებული ტექსტი რამდენადმე განსხვავდება ვატიკანის არქივში ჩემს მიერ ნაპოვებული ავტორის ხელნაწერი ტექსტისაგან (ტექსტი გასწორებულია სტილისტურად გამომცემლის მიერ, ზოგიერთი სიტყვა შეცვლილია ან გამოტოვებულია და სხვ.). ამიტომ აქ არქივიდან ამოღებული ტექსტით ვსარგებლობ.

„მოხსენებითი ბარათის“ ავტორი არსად უთითებს წყაროს, თუ საიდან მოიპოვა მან ესა თუ ის ცნობა. მხოლოდ რამდენიმე ადგილას ასახელებს „ისტორიას“, „ხელნაწერ ისტორიას“, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისში დაიწერა. ავტორი, ალბათ, ვახტანგ VI დროს (1708 წ.) გადაწერილ „ქართლის ცხოვრებას“ გულისხმობს (ც. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროებიდან, I. ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954).

„მოხსენებითი ბარათი“ ასე იწყება: „ვიდრე უშუალოდ მივადგებოდეთ იმ ეპოქას, როდესაც იბერიელთა შორის ქრისტიანული სარწმუნოება გავრცელდა, აუცილებელია მოკლედ ვთქვათ განვლილ საუკუნეებში ამ ბარბაროსი ხალხების წარმოშობისა და ღვთისმსახურების შესახებ იმდენად, რამდენადაც ანტიკურობის ფარდა მასში ჩაწვდომის საშუალებას გვაძლევს“.

შემდეგ ავტორი გადადის ქართლის მეფეების ისტორიაზე და წერს, რომ „აზონს ეპყრა მთელი იბერია, სანამ ახალგაზრდა არმაზი (რომელიც შემდგომში ცნობილი გახდა ფარნავაზის სახელით), არ წამოიზრდებოდა... ამ ფარნავაზს „ისტორია" თვლის იბერთა პირველ მეფედ. ფარნავაზმა თავისი სახელი უკვდავჰყო კერპის შექმნით, რომელსაც მან მისცა თავისი პირვანდელი სახელი — არმაზი და დაადგმევინა ქართლოსის საფლავზე გაცხა და გაიმს შორის".

შედარებისათვის: ამ ამბებს ვახუშტი ბატონიშვილი შემდეგნაირად მოგვითხრობს: ფარნავაზმა „ქმნა კერპი დიდი სახელისა თვისისა არმაზ (რამეთუ პირველად არმაზ ეწოდებოდა ფარნაოზს), და აღმართა საფლავსა ზედა ქართლოსისასა გაცის და გაიმს კერპთა შორის" („ქართლის ცხოვრება", ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი — აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973 წ., გვ. 57, 58).

როგორც ვხედავთ, როტიე ქართული წერილობითი წყაროებით სარგებლობს და საქართველოს ისტორიის იმჟამინდელ ცოდნას გვაწვდის. ამიტომ მის მიერ მოწოდებულ ცნობებს უთუოდ გულისყურით უნდა მოვეკიდოთ.

„მოხსენებითი ბარათის" ავტორი შემდეგ განაგრძობს: „ეს ფარნავაზი, რომელიც ცნობილია როგორც იბერთა პირველი მეფე, გარდაიცვალა ძვ. წ. 299 წელს. მან თავის სამეფოში შემოიღო კარგი კანონები, დაჰყო თავისი ქვეშევრდომები ფენებად და გააუმჯობესა დამწერლობა (ხაზი ჩემია, ი. ტ.), რომელიც დღემდე ხმარებაშია ქართველ მღვდლებს შორის".

აქ ორმა რამ მიიქცია ჩემი ყურადღება: პირველი. აქ დასახელებულია ფარნავაზ მეფის გარდაცვალების წელი — ძვ. წ. 299 წ. როგორც ცნობილია, ფარნავაზის მეფობის წლები ზუსტად დადგენილი არ არის. ფრანგი ორიენტალისტის ა. ჟ. სენ-მარტენის აზრით, თარიღი ფარნავაზის გარდაცვალებისა დაზუსტებას მოითხოვს. იგი წერს: „მე მგონია, რომ ფარნავაზის მეფობა უნდა მოთავსდეს რამდენადმე უფრო ძველ პერიოდში".

ქართველი მეცნიერები სხვა აზრისა არიან. ვახუშტი ბატონიშვილის თვალსაზრისით ფარნავაზის გამეფების თარიღია ძვ. წ. 302 წელი. იგივე ძვ. წ. 302 წელი მიაჩნია ფარნავაზის გამეფების თარიღად თეიმურაზ ბატონიშვილს.

ბოლო ხანებში ვახუშტი ბატონიშვილის თვალსაზრისი მეტ მხარდამჭერას ჰპოულობს. ისტორიკოსი რამაზ პატარიძე წერს: „ქართლის ცხოვრების" ქრონოლოგიური მონაცემების საფუძველზე, ფარნავაზის გამეფების თარიღად ძვ. წ. 304-300 წლების ქრონოლოგიური პერიოდი უნდა მივიჩნიოთ" („ქართული ასომთავრული", გვ. 298). მეორე. ისტორიკოსი ვახტანგ გოილაძის აზრით, ფარნავაზის გამეფების თარიღია ძვ. წ. 301 (300 წ.) (ვ. გოილაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, „მნათობი", 1984, № 11, გვ. 161).

ხომ არ ვიფიქროთ, რომ როტიეს თარიღი „მოხსენებით ბარათში" — ძვ. წ. 299 წელი, ფარნავაზის არა გარდაცვალებისა, არამედ ფარნავაზის გამეფების თარიღია. უთუოდ, როტიე მის დროს არსებული რაღაც წერილობითი ცნობებით სარგებლობდა, თორემ ზეპირ გადმოცემებში ასეთი თარიღის არსებობა ყოვლად წარმოუდგენელია. ამიტომ, იქნებ როტიემ უნებური შეცდომა დაუშვა და წერილობით ძეგლში დადასტურებული ფარნავაზის გამეფების თარიღი გარდაცვალების თარიღად მიიჩნია.

ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ სულ ახლახან IV საუკუნის წერილობითი ძეგლი — დავათის სტელა აღმოჩნდა. სტელაზე ყი ქართული დამწერლობის შემოღების თარიღი — ძვ. წ. 284 წელი დადასტურდა. რაკი ქართული დამწერლობა ფარნავაზის შემოღებულია, ძვ. წ .284 წელი ფარნავაზის მეფობის ერთ-ერთი წელია.

ახლა, თუ ყოველივე ზემოთქმულის შემდგომ, როტიეს თარიღს — ძვ. წ. 299 წელს ყურადღებით მოვეკიდებით, ეს წელი ფარნავაზის არა გარდაცვალებისა, არამედ ფარნავაზის გამეფების ერთ-ერთ სავარაუდო თარიღად შეიძლება ვცნოთ.

მეორე, რამაც „მოხსენებით ბარათში" ჩემი ყურადღება მიიქცია, ეს გახლავთ სრულიად ახალი ცნობა ქართული დამწერლობის შესახებ. „მოხსენებით ბარათში" ნათქვამია: ფარნავაზმა „გააუმჯობესა დამწერლობა, რომელიც დღემდე ხმარებაშია ქართველ მღვდლებს შორის"-ო (ხაზი ჩემია, ი. ტ.).

ამ უნიკალური ცნობის თანახმად, ფარნავაზს ქართული დამწერლობა კი არ შეუქმნია, არამედ მან, მის დროს უკვე არსებული დამწერლობა გააუმჯობესა. საგულისხმო ის არის, რომ ეს ცნობა როტიემ ზუსტად განმარტა კიდეც. მკითხველთ ამცნო, რომ ფარნავაზმა გააუმჯობესა ის დამწერლობა, რომელსაც ქართული სამღვდელოება ხმარობსო. ასეთი განმარტების მეშვეობით მან ხუცური და მხედრული დამწერლობა ერთურთისაგან გამიჯნა და გარკვევით გვითხრა, რომ ფარნავაზის დამსახურება ხუცური დამწერლობის გაუმჯობესება ყოფილა.

რა თქმა უნდა, რუსეთის არმიის სამსახურში მყოფ ბელგიელ პოლკოვნიკ როტიეს რაიმე მიკერძოებას ვერ დავწამებთ. ქართული დამწერლობის შესახებ მან ის ცნობები მოგვაწოდა, რომლებიც საქართველოში ყოფნისას მოიპოვა. ცხადია, XIX საუკუნის დამდეგს საქარ-

თველოში ასეთი წერილობითი ცნობები არსებულა.

რაც შეეხება საკითხს ჩვ. წელთაღრიცხვამდე ქართველთა შორის დამწერლობის არსებობის შესახებ, დღეს ეს საკითხი გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ვინ შექმნა ქართული დამწერლობა, ან რა ღვაწლი მიუძღვის ფარნავაზ მეფეს ქართული დამწერლობის მიმართ, ამის თაობაზე ქართულ წერილობით ძეგლებში სხვადასხვა ცნობებია დაცული, ხოლო მეცნიერებს სხვადასხვა თვალსაზრისი აქვთ გამოთქმული. მეც, სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე დაინტერესებული მკითხველისათვის მიმეწოდებინა ეს ჩემს მიერ მოპოვებული ახალი ცნობა ქართული დამწერლობის შესახებ.

როგორც ცნობილია, უძველესი ქართული მატიანე „ცხოვრება ფარნავაზისი“ გვამცნობს: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართლისა... და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

რას უნდა გულისხმობდეს მემატიანე?!

რამაზ პატარიძის აზრით, მემატიანე ფარნავაზ მეფეს არა დამწერლობის, ანბანის შექმნას, არამედ ზოგადად ქართული მწიგნობრობის შემოღებას უნდა მიაწერდეს. ფარნავაზის დროიდან საქართველოში დაწყებულა მწიგნობრობა ქართულ ენაზე. თითქოს ამასვე უნდა ადასტურებს „ქართლის ცხოვრების“ მინაწერი XVII საუკუნის დამდეგისა: „აქა მწიგნობრობა დაიწყეს ქართველთა ქართული ძვ. წ. 284 წელს“ (ამ მნიშვნელოვან ქრონოლოგიურ ცნობას „ქართლის ცხოვრებაში“ რამაზ პატარიძემ მიაკვლია). სულ ახლახან, როგორც აღინიშნა, ქართული მწიგნობრობის შემოღების თარიღი — ძვ. წ .284 წელი IV საუკუნის წერილობით ძეგლზე — დავათის სტელაზე დადასტურდა. დავათის სტელამ კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ ფარნავაზ მეფე ქართული ენისა და მწიგნობრობის ერთ-ერთი მესვეურია და არა შემქმნელი ქართული დამწერლობისა (რ. პატარიძე, დავათის ქვა-ჯვრის ქართული ანბანი“, „მნათობი“, № 8, 1987 წ.).

ფარნავაზ მეფის ღვაწლის გამო, სულხან-საბა ორბელიანი XVII საუკუნეში წერდა: „ენა ქართული, შესრულებული და განვრცელებული და გარკვეული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ, ბრძნისა და გონიერისა, რომელი იყო ძეთაგან ქართლოსიანთა წარმართი“.

ხოლო ვახუშტი ბატონიშვილი XVIII საუკუნეში წერდა: „ეს ფარნაოზ იყო პირველი მეფე ქართლისა, მან აღაშენა და განავსნა ქუეყანა თვისი, მოზღუნდა ქალაქნი და ციხენი განამაგრნა, და შ ე ქ მ ნ ა წ ი გ ნ ი ქ ა რ თ უ ლ ი და გ ა ნ ა ვ რ ც ე ლ ა ე ნ ა ქ ა რ თ უ ლ ი“ (ხაზი ჩემია, ი. ტ.).

ორივე მეცნიერის თვალსაზრისით ენა ქართული და ქართული მწიგნობრობა ფარნავაზის დროიდან არსებობს. მათთვის ეს ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტებაა. ცხადია, ამ თვალსაზრისის წყარო ქართული მატიანე — „ცხოვრება ფარნავაზისი“. ისიც ცხადია, რომ ს.-ს. ორბელიანისა და ვახუშტი ბატონიშვილის თვალსაზრისით ფარნავაზ მეფე ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის შემომღებია და არა შემქმნელი ქართული ანბანისა.

როგორც ცნობილია, ქართულ მეცნიერებას ამჟამად მოეპოვება ტრადიციით ნაანდერძევი ცნობა ქართული ანბანის შექმნისა და ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ. ამ ცნობისთვის მიუკვლევია თეიმურაზ ბატონიშვილს. ცნობა დაცული ყოფილა ხელნაწერ წიგნში, რომელსაც „მატიანე შემეცნებათა“ რქმევია.

ეს მატიანე გვამცნობს: „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა. ესე იგი, ქურუმთა მათ, რომელთაცა უხუცესთა და ხევისბერთა უხმობენ, იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მეშხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩვენი... წერილნი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენი ხუცურნი“.

ამ ტრადიციული წერილობითი ცნობის თანახმად, ქართული დამწერლობა შექმნილია ქართველ ქურუმთა მიერ, ხოლო „ხ უ ც უ რ ი“ ქურუმთა დამწერლობას ნიშნავს.

ამჟამად ჩვენში ქართული დამწერლობის პრობლემაზე ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ისტორიკოსი რამაზ პატარიძე. მისი მეცნიერული კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ „ხუცური“ ანუ ქართული ასომთავრული დამწერლობა შეიქმნა ქართველ ქურუმთა წიაღში გაცილებით ადრე ფარნავაზამდე: არა ძვ. წ. III, არამედ ძვ. წ. V საუკუნეში.

გარდა ამისა, რ. პატარიძეს მიაჩნია, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია სემურ-ანბანურ და ბაბილონურ-ლურსმნულ დამწერლობათა საფუძველზე. ასეთი თვალსაზრისი არ ეწინააღმდეგება ტრადიციით ნაანდერძევ წერილობით ცნობას — „წერილნი ხუცესნი... ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა“, რაკი ებრაული სემურ-ანბანური დამწერლობაა, ხოლო ქალდეური ბაბილონურ-ლურსმული დამწერლობაა.

მაგრამ ტრადიციული წერილობითი ძეგლი „მატიანე შემეცნებათა“ სხვასაც გვაუწყებს. რაკი „ხუცური“ დამწერლობა, ტრადიციული ცნობის თანახმად, ფარნავაზამდე არსებულა — „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა, ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა...“ ამ ცნობის მქონე ცდილობს გაარკვიოს, თუ რა დამ-

სახურება მიუძღვის ფარნავაზ მეფეს ქართული დამწერლობის მიმართ. იგი ცდილობს მოხსნას ის წინააღმდეგობა, რომელიც, მისი აზრით, არსებობს ფარნავაზის მატიანეს ცნობასა — „ამან ფარნავაზ შექმნა მწიგნობრობა ქართული" და ტრადიციულ ცნობას შორის.

ამით უნდა აიხსნას, რომ „მატიანე შემეცნებათა" ის უპირველესი წერილობითი წყაროა, სადაც ფარნავაზ მეფეს მხედრული დამწერლობის შემოღება მიეწერება.

ზემოთ ითქვა, რომ „მატიანე შემეცნებათა"-ს თეიმურაზ ბატონიშვილმა მიაკვლია. თავის წიგნში „ისტორია დაწყებითგან ივერიისა" (სანკტ-პეტერბურგი, 1848 წ.). თეიმურაზ ბატონიშვილი ქართული დამწერლობის შესახებ წერს: „ამან ფარნავაზ მეფემან... განავრცო და შექმნა ანბანი მხედრული ქართულისა წერილისა..." და რომელნიმე მეისტორიენი ჩვენნი გულისმსიტყველობენ რომელ ხუცური იყო პირველ ფარნავაზისაცა..."

ცხადია, თეიმურაზ ბატონიშვილი „მატიანე შემეცნებათა"-ს ცნობებით სარგებლობს: „ხუცური" ფარნავაზამდე არსებობდა, ხოლო „მხედრული" ფარნავაზის დროინდელი ანბანია და ფარნავაზის შემოღებულია.

„მხედრული" დამწერლობის წარმოშობის მატიანესეული ვერსია მეცნიერული თვალსაზრისით მცდარია. ეს დამაჯერებლად ცხადყვეს ჯერ დიმიტრი ბაქრაძემ, ხოლო შემდეგ ივანე ჯავახიშვილმა. მიუხედავად ამისა, ეს მცდარი ვარაუდი კარგა ხანს დარჩა მეცნიერულ წრეებში. მხედრული დამწერლობის შემოღებას, თეიმურაზ ბატონიშვილის შემდეგ, ფარნავაზს მიაწერდნენ: მ. ბროსე, ს. ბარათაშვილი, ი. ოქრომჭედლიშვილი, ნ. მარი, მ. იუნკერი, ვ. ალენი და სხვ.

ივანე ჯავახიშვილის ქართულმა დამწერლობათმცოდნეობამ დიდი ხანია უარყო ასეთი ვარაუდი.

ლეონტი მროველის მიხედვით, ქართული ანბანი შემოღებულია ძვ. წ. IV-III საუკუნეებში. ამ აზრს იზიარებს აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი. იგი წერს: „ეხლაც უკვე საკმაოდ გამორკვეულია, მაგრამ შემდგომში ეს გარემოება უფრო მეტი სიცხადით გამოაშკარავდება, რომ ქართული ანბანის V საუკუნის დამდეგს შედგენაზე ლაპარაკი გულუბრყვილოდ უნდა ჩაითვალოს".

უკანასკნელ ხანებში დიდი არქეოლოგიური აღმოჩენის მომსწრენნი ვართ. დავათის სტელაზე ჩამოწერილია „ხუცური" (ქართული ასომთავრული) ანბანი და მისი შემოღების თარიღი — ძვ. წ. 284 წელი.

„ქართლის ცხოვრების" მიხედვით ცნობილია, რომ ფარნავაზის დროს ქართლი, კლარჯეთი და ეგრისი (სამეგრელო) ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა. ქართველი ტომების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას უთუოდ ხანგრძლივი პერიოდი უძღოდა წინ. იგივე უნდა ითქვას ქართული დამწერლობის შესახებაც: იგი არსებობდა უთუოდ მანამდე, ვიდრე მოხდებოდა ამ დამწერლობის საქვეყნოდ აღიარება, შემოღება.

ხომ არ ვიფიქროთ, რომ დავათის სტელაზე ჩამოწერილი ქართული ასომთავრული ანბანი, რომელიც შემოღებულია ფარნავაზ მეფის მიერ ძვ. წ. 284 წელს, მის მიერვე უკვე გაუმჯობესებული ქართული ანბანია. მომავალმა მეცნიერულმა კვლევამ უნდა გაარკვიოს ეს საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გადავწყვიტე მკითხველისათვის მიმეწოდებინა ახალი ცნობები ფარნავაზ მეფის გამეფებისა და ქართული დამწერლობის „გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ ი ს" შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით აბაშიძე

# ქართლის (იბერიის) პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი

თანახმად „ქართლის ცხოვრებისა", ქართლის მეათე მეფის — ადერკის შემდგომ სამეფო ორად გაიყო.

ლეონტი მროველი ადერკის ზეობის აღწერის დასასრულს მოგვითხრობს: „ხოლო ამას ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა ერქუა სახელად ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ. და ამათ განუყო ყოველი ქუეყანა თჳსი: მისცა ქალაქი მცხეთა და ქუეყანა მტკუარსა შიდა ქართლი, მუხნარით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, მერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა ესე ყოველი მისცა ბარტომს ძესა თჳსსა, ხოლო არმაზით კერძი ქალაქი მტკუარსა სამხრით ქართული, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკუარისა, და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს ძესა თჳსსა და მოკუდა ადერკი".[1]

„მოქცევაჲ ქართლისაჲ", ლეონტი მროველისაგან განსხვავებით, ქართლის პირველ მეფედ აზოს („აზოჲ ძჱ არიან ქართველთა მეფისა") ასახელებს, ხოლო ფარნავაზს მის მომდევნოდ. აქედან გამომდინარე, „მოქცევაჲ-ს მიხედვით სამეფო მეთერთმეტე მეფის როკის [ადე] როკის[2] ზეობისას გაიყო:

„და მეფობდა როკ, რომელმან რაჲთურთით მცხეთაჲ გაიშორა. და მეფობაჲ ორად გაიყო, ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ".[3]

„ქართლის ცხოვრება" და „მოქცევაჲ ქართლისაჲ ორმეფობის ხანის შემდეგ მეფეებს ასახელებენ არმაზსა და მცხეთაში:

| „ქართლის ცხოვრება" | „მოქცევაჲ ქართლისაჲ" |
|---|---|
| 1. ბარტომ მცხეთაში და ქართან არმაზში | 1. ბრატმან მცხეთაში და ქარძამ არმაზში |
| 2. კაოს მცხეთაში და ფარსმან ქველი არმაზში | 2. ფარსმან იმიერ და კაოზ ამიერ |
| 8. არმაზელ მცხეთაში და აზორკ არმაზში | 8 .არსოკ იმიერ და ამაზაერ ამიერ |
| 4. დეროკ მცხეთაში და ამაზასპ არმაზში | 4. ამაზასპ იმიერ და დერუკ ამიერ |
| 5. მირდატ მცხეთაში და ვარსმან ქველი არმაზში | 5. იმიერ ფარსმან ქველი და ამიერ ფარსმან ავაზ |
| | 6. „და მეფობდა იმიერ როკ და ამიერ მირდატ და ამისა ზე მოაკლდა არმაზი სამეუფოჲ და მცხეთას ოდენ იყო მეფობაჲ"[4] |

„ქართლის ცხოვრება" ადერკის ზეობის აღწერის დასაწყისშივე შემდეგ ქრონოლოგიურ ცნობებს გვაწვდის: „...ოცდაათის წლისა მეფე იქმნა და ორმეოც და ჩვიდმეტ წელ მეფობდა".[5] ამ ქრონოლოგიურ ცნობას უშუალოდ მოსდევს მეორე: „ხოლო პირველსავე წელსა მეფობასა მისისასა იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე, ბეთლემს ურიასტანისასა".[6]

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ადერკის ზეობა ახ. წ. 1-57 წლებში თავსდება.[7]

ადერკის მემკვიდრეთა შესახებ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ სიტყვასიტყვით შემდეგს მოგვითხრობს:

„და მეფობდა ქარძამ არმაზს და მცხეთას ბრატმან. და ამათთა ჟამთა ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს“.[8]

„ქართლის ცხოვრება“ ბარტამის (ბარტომის) და ქართამის მეფობათა აღწერისას „მოქცევაჲ“-ს ცნობას განავრცობს და ერთგვარ ქრონოლოგიურ მინიშნებასაც გვაწვდის:

„და მეფობდეს შემდგომად მისსა (ადერკისა, დ. ა.) ძენი მისნი. ხოლო ამათსა მეფობასა უესპასიანოს ჰრომთა კეისარმან წარმოტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძუელთავე ურიათათანა“...[9]

აშკარაა ლეონტი მროველს აქ მხედველობაში აქვს ახ. წ. 66-78 წლების ცნობილი ისტორიული ამბები.

როგორც ვიცით, 67 წელს, აჯანყებული იუდეის წინააღმდეგ გაგზავნილ იქნა ვესპასიანე ფლავიოსი. 68 წელს, ნერონის სიკვდილის შემდეგ, ვესპასიანეს იმპერატორად გამოცხადების შედეგად, რომაელთა ჯარს სათავეში ტიტე ფლავიოსი ჩაუდგა და 70 წელს იერუსალიმი დაანგრია.

თუ ადერკი მართლაც 57 წელს გარდაიცვალა, მაშინ არავითარ ქრონოლოგიურ შეუსაბამობას არ უნდა წარმოადგენდეს 70 წლის მახლობელ ხანაში მის მემკვიდრეთა მეფობა. მაგრამ ამ შემთხვევაში ნარატიულ წყაროს ჩვენებას წინ უდგას ისეთი ეპიგრაფიკული ძეგლი, როგორიცაა მცხეთის ცნობილი ბერძნული წარწერა.

წარწერა, რომელიც აღმოჩენილ იქნა 1867 წელს მცხეთასთან და რომელსაც ჩვეულებრივ ათარიღებენ 75 წლით, გვამცნობს, რომ სამივე ფლავიოსმა კეისარმა (ვესპასიანემ, ტიტემ და დომიციანემ) “...იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და იამასასპოის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს, და ხალხს, ეს კედლები განუმტკიცესო“.[10]

როგორც ჩანს, 70-იან წლებში ქართლს ერთადერთი მეფე მითრიდატე ფარსმანის ძე განაგებდა, რომელიც, გ. წერეთლის შენიშვნით, ტაციტუსისაგან კარგად ცნობილი ფარსმანისა და მისი მეუღლის ამაზასპუჰის შვილი უნდა ყოფილიყო.[11] ტაციტუსისაგან ვიცით, რომ ფარსმანი ისტორიულ ასპარეზზე 85 წლიდან თითქმის რომაელებსა და პართიას შორის 36 წელს დადებულ ზავამდე ჩანს.

ითვალისწინებდნენ რა წყაროსეული ქრონოლოგიის (1-57 წლები) აშკარა შეუსაბამობას ტაციტუსისა და დიონ კასიოსის ცნობებთან, ს. გორგაძემ, პ. ინგოროყვამ და გ. მელიქიშვილმა ადერკის ზეობის თავისებური დათარიღებები მოგვცეს.

ს. გორგაძე ეყრდნობა ტაციტუსის ცნობას, რომ 80-იანი წლებიდან ქართლში ფარსმანი მეფობდა და, აქედან გამომდინარე, ადერკის მეფობას 80 წელს, წყვეტს ისე, რომ მის მიხედვით, ადერკი 1-80 წლებში მეფობდა.[12]

პ. ინგოროყვაც, ხსენებული მიზეზის გამო, ადერკის ზეობას 80 წლის იქით აღარ დებს, მაგრამ იზიარებს წყაროს ჩვენებას იმის შესახებ, რომ ადერკი ორმოცდაჩვიდმეტი წლის განმავლობაში მეფობდა. პ. ინგოროყვას მიხედვით ადერკი ძვ. წ. 27 წელს გამეფდა, ხოლო მეფობა კი ახ. წ. 30 წელს დაასრულა.[13] როგორც შემდგომ დავინახავთ, პრინციპულად განსხვავება ს. გორგაძისაგან უმნიშვნელოა.

გ. მელიქიშვილი ერთდროულად ითვალისწინებს დიონ კასიოსისა და ტაციტუსის ცნობებს. ტაციტუსისაგან განსხვავებით, დიონ კასიოსი, მითრიდატესა და ფარსმანის მამას მითრიდატესაც მოიხსენიებს, რომელიც 85 წელსაც კი მეფობდა და, შეიძლება, იმავე წელს, იგი მითრიდატემ შვილმა შესცვალა. გ. მელიქიშვილის მიხედვით, დიონ კასიოსისა და ტაციტუსის წინააღმდეგობა გამოწვეული უნდა იყოს იმ დამატებითი ცნობებით, რომლებიც, ტაციტუსისაგან განსხვავებით, მოეპოვებოდა დიონ კასიოსს:

«Вероятно, Касий Дион, хорошо знакомый с сочинением Тацита, имел какие-то дополнительные источники на основании которых он вносил корректив в сообщения Тацита»[14]. გ. მელიქიშვილის მიხედვით ,დიონ კასიოსის მითრიდატე მამა იგივე ადერკია, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ მეათე მეფედ ასახელებს. გ. მელიქიშვილის მიერ აღდგენილი ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა ქრონოლოგიურ ნუსხაში მეათე მეფე კი ასე გამოიყურება:

«10 Митридат 1 (=Адерок, Адерни) { начало I в. н. э. до середины 30-ых годов»[15].

ადერკის ზეობის წლების შესახებ სრულებით განსხვავებული შეხედულება გამოთქვა ს. ს. კაკაბაძემ,[16] მაგრამ ვიდრე მის შეხედულებებს გავარჩევდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, ისევ „ქართლის ცხოვრებას“ დავუბრუნდეთ, კერძოდ, მესამე მეფის მირვანის ზეობის დასასრულს.

„ქართლის ცხოვრება“ მირვანის მეფობის აღწერას ასე ამთავრებს:

„იყო კაცი მიმნიჭებელი კეთილისა უხუად, და შეიყუარეს იგი ყოველთა მკჳდრთა ქართლისათა. და მსახურებდა იგი მეფესა ასურასტანელთასა.

ამის-ზე მიიცუალა ანტიოქისა მეფობა ბაბილონს. და მას ჟამსა შინა მეფე იქმნა სომხით რომელსა ერქუა არშაკ. ეზრახა მირვან არშაკს, და მისცა ასული თჳსი ძესა არშაკისსა,

არშაკს და მოკუდა მირვან, და მეფე იქმნა მისი წილ ძე მისი ფარნაჯომ".[17]

გ. მელიქიშვილი „ქართლის ცხოვრების" ზემოაღწერილ ამბებს უკავშირებს ანტიოქოს III-ის დამარცხებას მაგნესიასთან ბრძოლაში, როდესაც ის 190 წელს რომაელებმა დაამარცხეს და რის შედეგადაც სომხეთში არტაშეს I გამეფდა. სწორედ ამ არტაშესს უკავშირებს გ. მელიქიშვილი „ქართლის ცხოვრების" მიხედვით სომხეთში გამეფებულ არშაკს.

«Надо думать, что именно этого Арташеса и имеет в виду грузинская летопись, когда говорит об Аршаке, ставшем царем в Армении в то время, когда в «Вавилоне закончилось царствование Антиоха». Если это так, то мы имеем право заключить, что третьего царя династии Фарнавазианов—Мирвана Древнегрузинская хроника рассматривала современником царя «Великой Армении» Арташеса I (189-161)".[18] ასეთია გ. მელიქიშვილის შეხედულება ამ საკითხზე. წყაროს ჩვენებით, მირვანს ძვ. წ. 189 წლის შემდეგ მაინცდამაინც დიდი ხანი აღარ უნდა ეცოცხლა.[19]

ანტიოქოს II დიდის (228-187) შემდეგ სელევკიდების სამეფო („ასურასტანი") მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გარდაიქცა და ქართლისათვის მას უკვე ძველებური მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამის შემდეგ პირველი ფარნავაზიანების დროს არსებული პოლიტიკური წონასწორობა მახლობელ აღმოსავლეთში, რომელიც ხელსაყრელი იყო ქართლის სამეფოსათვის, დაირღვა. სომხეთის თანდათანობითს გაძლიერებას ქართლის პოლიტიკურ ვითარებაზეც უნდა მოეხდინა გავლენა და, როგორც დავინახავთ, მოახდინა კიდევაც.

„ქართლის ცხოვრების" მიხედვით, უკვე მეოთხე ფარნავაზიანი მეფის ფარნაჯომის დროს სომეხთა მეფე არშაკი (არტაშეს I) დიდი ჯარით შემოდის ქართლში, ამარცხებს ფარნაჯომს და ტახტზე აჰყავს თავისი ძე არშაკი. ფარნაჯომის ძე — ერთი წლის მირვანი მამამძუძეს მიჰყავს სპარსეთში.[20]

მეხუთე მეფის, არშაკის შესახებ „ქართლის ცხოვრება" საკმაოდ მწირ ცნობებს გვაწვდის: „დაჯდა მეფედ არშაკ, და დაიპყრა ყოველი ქართლი; და მეფობდა იგი ნებიერად, და უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა. და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ჯავახეთს, ქალაქსა წუნდას.

მოკუდა არშაკ და მეფე იქმნა ძე მისი არტაგ".[21] ერთადერთი რაც შეგვიძლია ჩვენის მხრით დავუმატოთ, წუნდისა და ჯავახეთის მოხსენიება, თითქოს შემთხვევითი არ უნდა იყოს, არტაშესიანთა სომხეთის მომძლავრების ხანაში ჯავახეთი და კერძოდ წუნდა არაერთგზის ყოფილა სომეხთა ექსპანსიის ობიექტად.[22]

მეექვსე მეფეს არტაგს, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, სულ ორი წელი უმეფია. მისი მეფობისას სპარსელები დიდი ჯარით შემოსულან ქართლში"... ძიებად სისხლისა ფარნაჯომისა და სპათა მათ სპარსთასა, რომელნი აწყუედილ იყვნეს ფარნაჯომის თანა". არტაგს მხოლოდ ციხეებისა და ქალაქების გამაგრება მოუხერხებია, სპარსელებს ქართლი აუოხრებიათ და წასულან.

ს. გორგაძე არტაგს რომაელი სარდლის პომპეუსის (106-48) თანამედროვე ქართლის მეფედ არტოკედ თვლის.[23] სპარსელები კი არა, რომაელები უნდა ყოფილიყვნენ, ქართლში რომ შემოვიდნენ და აოხრეს. რომაელების ნაცვლად სპარსელების მოხსენიებას ს. გორგაძე ლეონტი მროველის შეცდომას მიაწერს.

ანალოგიური აზრი, რომ არტაგი იგივე არტოკეა, რომელსაც დიონ კასიოსი ქართლში შემოსული პომპეუსის დამხვდურად იცნობს, პ. ინგოროყვამაც გაიზიარა.[24] პომპეუსი ქართლში 65 წელს მოვიდა, ამასთან, „ქართლის ცხოვრება" არტაგის შესახებ გვამცნობს „...ორ წელ ოდენ მეფობდაო" და პ. ინგოროყვამ, აქედან გამომდინარე, არტაგის ზეობა ძვ. წ. 66-65 წლებში მოათავსა.

პ. ინგოროყვაზე ბევრად უფრო გვიან კ. თუმანოვმა არტაგის შესახებ იგივე შეხედულება გამოთქვა, ოღონდ არტაგის ზეობა გაახანგრძლივა და ძვ. წ. 78-68 წლებში მოაქცია.[25]

გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ თუ არტაგს არტოკედ ჩავთვლით, რომელიც „ორ წელ ოდენ მეფობდა", მაშინ, გამოდის, მის წინამორბედ არშაკს 161-66 წლებში უმეფნიათ.

«Ясно, что здесь мы явно имеем дело с определенным проблемам в царских списках Иберии: 1) или неправильное указание на продолжительность правления Артага, 2) или не следует отождествлять Артага грузинских источников с Артагом греко-римских источников-современником Помпея, или же наконец, 3) возможно в царских списках пропущено имя одного или нескольких царей, правивших в Картли между Аршаком и Артагом»[26], გ. მელიქიშვილი მესამე მოსაზრებას ირჩევს, ხოლო არშაკიდან არტაგამდე არსებულ სიცარიელეს იმით ხსნის, რომ სომხეთის განსაკუთრებული მომძლავრების შედეგად, რომელიც სწორედ დაახ. 161-66 წლებზე მოდის, ქართლი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და ამან ასახვა ვერ პოვა „ქართლის ცხოვრებაშიო".[27]

როგორც დავინახეთ ყველა ზემოდასახელებული მკვლევარი ქართლის მეექვსე მეფეს არტაგს პომპეუსის თანამედროვე არტოკესთან აიგივებს, აქედან კი ბუნებრივი მხვლელობით მიდიან მეათე მეფესთან, ადერკისთან, როგორც ახ. წ. I საუკუნის პირველი ნახევრის მეფესთან.

ს. კაკაბაძემ არ გაიზიარა არტაგისა და არტოკეს იგივეობა. თავის წერილში «Некоторые вопросы хронологии древней Картли по грузинским источникам»[28]. ს. კაკაბაძე სპეციალურად შეეხო ფარნაჯომის დაღუპვის შედეგად შეწყვეტილ ფარნავაზიანთა დინასტიის შემდგომ გენიალოგიურ განვითარებასა და ადერკის რთულ ნათესაურ ხლართებს. გავადევნოთ თვალი ბარტომის შთამომავლობას „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით:

ბარტომ
|
ასული ბარტომის

ქართამ ძისწული ქუჯისი,
სიძე ბარტომისა
|
ადერკი[29]

ფარნავაზის თანამედროვის ქუჯის შვილიშვილის შვილის მოხსენიება ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ბუნებრივად ბადებს უცნაურობას, რის გამოც ს. ს. კაკაბაძე წერდა:

«Объяснить такие неувязки можно двояко: 1) либо правильны указанные родственные связи и в таком случае синхронные сведения в большинстве искусственны и неверны, а длительность царствования первых десяти царей надо сжать до второй четверти II в. до н. э.; 2) либо эти родственные связи являются поздним домыслом. Возможность последнего, как будто отпадает из-за невозможности объяснить, почему понадобилось выдумывать зачастую весьма сложные связи»[30].

საბოლოოდ ს. კაკაბაძე დაასკვნიდა, რომ ის თვრამეტი მეფე, რომელნიც მოიხსენიებიან „მოქცევაის“ 28 წარმართ მეფეთა შორის, რომელთაგან ზოგიერთის შესახებ თხრობა შენახულია „ქართლის ცხოვრებაში“, უნდა მოთავსდეს ძვ. წ. IV საუკუნის დამლევიდან ძვ. წ. II საუკუნის შუა ხანებს შორის.[31] ქართულ წყაროებში ს. კაკაბაძეს უმთავრესად ქართლის სამეფოს წარმოქმნის პირველი პერიოდის მეფეთა ნუსხა მიაჩნია შემონახულად.[32]

ჩვენი მხრივ ყურადღება მიიპყრო „ქართლის ცხოვრების“ ერთმა ცნობამ, რომელიც ადერკის შეეხება და რომელიც მოიპოვება მეცხრე მეფის არშაკ II[33] მეფობის აღწერაში:

„ხოლო ესე ადერკი, ძე ქართამისი, ასულის წული ბარტომ მეფისა, რომელიც ვაჴსენეთ ზემოთ, აღზარდეს სომხითს. და იყო კაცი ახაკით შუენიერი, ტანით დიდი და გოლიათი, მრავალგზის გამოცდილ იყო ბრძოლასა სომეხთა და ასურთასა, და მას მოეკლა მრავალი ბუმბერაზი, და სახელოვან ქმნილ იყო იგი“.[34]

ამ ცნობის საფუძველზე ყველაზე შეღავათიანი დაშვებაც კი იმის სასარგებლოდ, რომ ადერკი ახ. წ. I საუკუნის პირველ ნახევარში მეფობდა, უნიადაგოდ გვეჩვენება. დავუშვათ, ადერკი მართლაც, პ. ინგოროყვას მიხედვით, ძვ. წ. 27 წელს გამეფდა და ახ. წ. 30 წელს დაასრულა მეფობა, დავუშვათ ისიც, რომ ადერკი „ოცდაათის წლისა მეფე იქმნა“, მაინც ძვ. წ. 57-27 წლებში ის ასურელებს ვერ შეებრძოლებოდა. იმ ხანად არა თუ სელევკიდების სამეფო აღარ არსებობდა, თვით სომხეთი და ქართლიც რომაელებს ჰქონდათ დაპყრობილი. შესაძლებელია მემატიანეს ძვ. წ. 159 წლის მახლობელი ხანის ამბები ჰქონოდა მხედველობაში, როდესაც ანტიოქოს IV ეპიფანესმა პართია და სომხეთი დალაშქრა და არტაშეს I ტყვედ იგდო. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ტიგრან დიდის წინარე ხანაზე ვილაპარაკოთ.[35]

სომხეთში არტაშეს I გამეფებიდან მოყოლებული, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სომხები აქტიურად ერევიან ქართლის საქმეებში. პირველ ხანებში ეს ჩარევა უთუოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტებს შორის ატეხილ უთანხმოებაში სომხები ერთერთს უჭერდნენ მხარს, თვით ქართლის ერისთავებიდან ზოგი სომხებს ემხრობოდა, ზოგიც სომხების საწინააღმდეგო დაჯგუფებას. ამის მიზეზი უთუოდ ქართლის სამეფოს იერარქიულ სტრუქტურაში მდგომარეობდა.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ჯერ კიდევ მეორე მეფის საურმაგის მმართველობისას ქართლის ერისთავებმა — სეფეწულებმა „ზრახვა ყვეს და თქუეს: „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად და მოვკლათ ჩუენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე. რა მეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისუენებთ“.[36] ერისთავების ალაგმვა საურმაგს ჩრდილო კავკასიელ მომთაბარეთა საშუალებით მოუხერხებია.[37] ცხადია, ვიდრე ქართლის სამეფოსათვის ხელსაყრელი საგარეო პოლიტიკური ვითარება არსებობდა (სომხეთი სელევკიდების კონტროლქვეშ იმყოფებოდა) ქართლის ცენტრალისტურ ხელისუფლებას ზოგიერთ შიგა ძალებზე დაყრდნობით[38] და

თუნდაც ჩრდილოეთის მომთაბარეთა გადმოყვანით ცენტრალიზმის დაცვა მაინცდამაინც არ გაუძნელდებოდა.

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში რომაელების აქტიური გამოსვლის შედეგად სელევკიდებმა დასუსტება იწყეს და ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისში სომხეთში სამეფო ხელისუფლება აღდგა. ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტთა მისწრაფება ხელისუფლებისაკენ და სომეხთა მისწრაფება თავიანთი საზღვრები უზრუნველეყოთ ჩრდილო კავკასიელ მომთაბარეთაგან და შემდგომ ექსპანსიაც განეხორციელებინათ ჩრდილოეთით, საბოლოოდ უთუოდ არმაზის სამეფოს ჩამოყალიბებაში და იქ ერთ-ერთი ქართველი სეფეწულის გამეფებაში გამოიხატა.

ორმეფობის გასაუქმებლად შესაფერისი საგარეო პოლიტიკური ვითარება იყო საჭირო. სომხების დაპყრობა რომაელთა მიერ და განსაკუთრებით ახ. წ. I საუკუნის ოცდაათიან წლებში რომაელების აშკარა დაინტერესება ქართლის გაძლიერებით, საუკეთესო პირობებს ჰქმნიდა ქართლში ცენტრალისტური ხელისუფლების გაძლიერებისა და ერთმეფობის აღდგენისათვის.

თუ გამოვრიცხავთ რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებული მეექვსე მეფე არტაგი რომაელი სარდლის პომპეუსის (106-48 წწ.) თანამედროვე არ არის, რაც მხოლოდ სახელთა მსგავსებაზე შეიძლება იყოს დაფუძნებული, და აგრეთვე იმასაც, რომ ადერკი ახ. წ. I საუკუნის მეფე არ არის, რაც მხოლოდ ლეონტი მროველის წინააღმდეგობრივ ჩვენებათა ცალმხრივი ანალიზით შეიძლება იქნეს დაშვებული, მაშინ ლეონტი მროველის თხზულება ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის (ძვ. წ. IV ს. — ახ. წ. I ს.) საკმაოდ მწყობრ აღწერას წარმოადგენს.

ლეონტი მროველის მიერ მოთხრობილი ელინისტური და ადრეანტიკური ხანის ქართლის პოლიტიკური ისტორია კარგად უთავსდება ახლო აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და სომხეთში მომხდარ საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ ფაქტებს.

ლეონტი მროველის მიხედვით, ძვ. წ .IV საუკუნეში ფარნავაზი აარსებს ქართლის სამეფოს, რომელსაც მოკავშირედ ჰყავს სელევკიდები („ასურასტანი“). ფარნავაზიდან მესამე მეფის — მირვანის მეფობაში, „...მიიცუალა ანტიოქისა მეფობა ბაბილონს და მას ჟამსა შინა მეფე იქმნა სომხით რომელსა ერქუა არშაკ“.39 ე. ი. ძვ. წ. 190 წელს რომაელებთან სელევკიდების დამარცხების შედეგად ქართლი მათი გავლენის მიღმა რჩება, ხოლო სომხეთში არტაშეს I მეფდება და ქართლის მეზობლად ახალი ანგარიშგასაწევი ძალა ჩნდება.

მეოთხე მეფის ფარნაჯომის შესახებ ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ მან, ფარნაჯომმა „...შეიყუარა სჯული სპარსთასა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლისმსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქჳან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა ამისთჳს მოიძულეს იგი მკჳდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ. მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი, და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა და რქუეს: „მეფე ჩუენი გარდაჳდა სჯულსა მამათა ჩუენთასა, არღარა მსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა, შემოიღო სჯული მამული და დაუტევა სჯული დედული. აწ არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩუენდა. მოგუეც ძე შენი არშაკ, რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა, მეფეთა ჩუენთა“.40

განდგომილმა ერისთავებმა სომეხთ დახმარებით დაამარცხეს ფარნაჯომი, თავის შემწე სპარსელებით და მცირედი ქართველებით. სომეხი უფლისწული არშაკი ქართლში გამეფდა, ხოლო ბრძოლაში დაღუპული ფარნაჯომის შვილი მირიანი თავისმა ლტოლვილმა მამამძუძემ სპარსეთში წაიყვანა.

ფარნაჯომი ლეონტი მროველთან დინასტიურად ნებროთიანია (სპარსული ეპოსის ცნობილი გმირის ნიმროდის ჩამომავალი), მისი ნებროთიანობაც და ცეცხლთაყვანისმცემლობაც შეიძლება ლეონტი მროველის თხზულებაზე სპარსული ეპოსის ძლიერი ზეგავლენით აიხსნას,41 ან კიდევ შეიძლება იდეური საფუძველი ყოფილიყო სომეხთა მეფის ქართლის დინასტიურ საქმეებში ჩარევისა. ყოველ შემთხვევაში, სომეხთა ძალით ქართლში არშაკის გამეფება ქართლზე არტაშესიანთა სომხეთის ზეგავლენის შედეგი უნდა ყოფილიყო.

სომეხთა მიერ გამეფებული არშაკის შესახებ ლეონტი მროველი მწირ ცნობებს გვაწვდის: „...უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა. და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ჯავახეთს ქალაქსა წუნდას“.42 ჯავახეთის და წუნდის გამაგრებას ლეონტი მროველი შემთხვევით არ უნდა ახსენებდეს. უთუოდ ჯავახეთი იმთავითვე იქცა არტაშესიანთა სომხეთის ექსპანსიის საგნად, ხოლო შემდგომში სომეხთა სარდალმა სუმბატ ბივრითიანმა მეციხოვნე ჯარიც კი ჩააყენა წუნდაში.

შემდგომი მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე მეფეების, შესაბამისად არტაგის, ბარტომის, მირვანის, არშაკ IIდა ადერკის ზეობის აღწერისას თხრობა მწყობრად გრძელდება. ზოგან ლაპარაკია ტახტისათვის დინასტიურ ბრძოლებზე და ამ ბრძოლებში სომეხთა აქტიურ ჩარევაზე.

ადერკის შესახებ ზოგიერთ ქრონოლოგიურ შეუსაბამობაზე, როცა „ქართლის ცხოვრება“ მის მეფობას მსოფლიო ისტორიის ცნობილ მოვლენებს უკავშირებს, ჩვენ ზემოთ უკვე გვქონ-

და საუბარი. ამ ურთიერთ გამომრიცხავ ცნობებს კიდევ ერთი ცნობაც ემატება:

„ხოლო ამისვე ადერკის მეფობასა გამოჩნდა კუალად მეფობა სპარსეთისა. რამეთუ თარგან შესრულ იყო ალექსანდრე და განეყრუნა სპარსეთი, აქა ჟამადმდე არღარა დაჯდომილ იყო მეფე სპარსეთს, რამეთუ ადგილთა და ადგილთა იყვნეს ერისთავნი სპარსეთისა.

მაშინ შეკრბეს ერისთავნი სპარსეთისანი და დასუეს მეფედ აულალან ბრძენი".[43] როგორც სამართლიანად აღნიშნავს გ. მელიქიშვილი, „აქ ლაპარაკია პართიის სამეფოს დაარსებასა და არშაკიდების დინასტიის გამეფებაზე, რაც, როგორც ცნობილია, ძვ. წ. 250 წ. მოხდა".[44] ამ ცნობას კიდევ უფრო მეტი გაუგებრობა შეაქვს ადერკის ზეობის დათარიღებაში მსოფლიო ისტორიის ცნობილ ფაქტებთან მიმართებით.

ქართლის მეფეთა ქრონოლოგიისადმი მიძღვნილ თავის უკანასკნელ ნაშრომში გ. მელიქიშვილი ასეთ ქრონოლოგიურ შეუსაბამობათა შესახებ საგულისხმო დასკვნას გვთავაზობს:

„ძნელია დავეჭვდეთ იმაში, რომ მსოფლიო ისტორიის ეს მნიშვნელოვანი ამბები ქრონოლოგიურად ქართლის ამა თუ იმ მეფეს დაუკავშირდა გვიან, თხზულების ავტორის თუ რედაქტორთა ვარაუდების შესაბამისად. ამიტომაც მათი გამოყენება ქართლის ამა თუ იმ მეფის მმართველობის დროს დასათარიღებლად ჩვენ გაუმართლებლად გვეჩვენება".[45]

ადერკის მეფობის დასასრულს „ქართლის ცხოვრება" ქართლის სამეფოს ორად გაყოფის ამბავს გვამცნობს. თუ როგორ გაიყო სამეფო ტერიტორიულად ადერკის შვილებს ბარტომსა და ქართამს შორის ამაზე დასაწყისში უკვე გვქონდა მოყვანილი ნაწყვეტი ლეონტი მროველის თხზულებიდან. ფრიად საყურადღებოა ლეონტი მროველის ცნობა ბარტომისა და ქართამის შემდგომი ორი მეფის — ფარსმანისა (არმაზში) და კაოსის (მცხეთაში) მეფობის შესახებ.

„ხოლო ადერკისითგან ვიდრე ამათ (ფარსმანისა და კაოზის, დ. ა.) მეფობამდე იყვნეს მორჩილებასა შინა სომეხთა მეფისასა. და უმეტეს არმაზელნი მეფენი შეეწეოდეს სომეხთა ყოველთა მტერთა მათთა ზედა".[46] ფარსმანისა და კაოსის ზეობისას, ლეონტი მროველის მიხედვით, სომეხთა მეფეს იარვანდს არმაზელი მეფისთვის გარკვეული ტერიტორია ჩამოუჭრია: „...ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა, და მოუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკუარამდე. და დასხნა წუნდას შინა კაცნი, მჴეცნი, ნათესავნი დევთანი, და უწოდა წუნდას სახელად ქაჯატუნი, რომელი — ესე ითარგმნების დევთა სახლად".[47]

შემდგომი მეფეების—აზორკისა და არმაზელის მეფობას „ქართლის ცხოვრება" ვრცლად აღგვიწერს. ეს აღწერა ფრიად საინტერესო მასალას მოიცავს სომხეთისა და ქართლის ურთიერთობისათვის. აქ ვრცლად არის მოთხრობილი სომეხთა სარდლის სუმბატ ბივრიტიანის ლაშქრობები ქართლში, ქართლის მეფეების მიერ ჩრდილო კავკასიიდან ოვსთა მოწვევა და მათი ერთობლივი ბრძოლა სომეხთა წინაღმდეგ. ამ ბრძოლების დაწვრილებით მიმოხილვა ჩვენი სტატიის ფარგლებს სცილდება და აქ მხოლოდ „ქართლის ცხოვრების" ერთ საგულისხმო ცნობას მივაქცევთ ყურადღებას.

„ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ხან ქართლის მეფეები იბრუნებენ არმაზის სამეფოს საზღვრებს და სომხეთშიც აწყობენ ლაშქრობებს, ხან სომხები ამარცხებენ ქართლის მეფეებს და მცხეთის სამეფოს ტერიტორიაზეც მაგრდებიან. საბოლოოდ ქართლსა და სომხეთს შორის დაზავება ხდება. ქართლის მეფეები ტერიტორიებს იბრუნებენ, მაგრამ სომეხთ მოკავშირენი ხდებიან და მათი მეფის უზენაესობას აღიარებენ. „უკეთუ ვინ აღდგეს მტერი თქუენ ზედა და მოღმართ გებრძოდეს, ჩუენ ორნივე მეფენი თავითა ჩუენითა და სპითა ჩუენითა თანადაგიდგეთ და გიშუელოთ; და უკეთუ კუალად ვისმე მიღმართ ჰბრძოდით, ათას-ათასითა მჴედრითა ჰურვილითა შეგეწეოდით" და ესეცა აღუთქვეს ქართველთა, ვითარმედ: ქალაქსა ამას ჩუენსა დრამა არტაშან მეფისა ხატითა დავსცეთო".

„ხოლო ამისთჳს სომეხთა უკუმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტანი. და მიერითგან იქმნეს მოყუარე სომეხნი და ქართველნი და ოვსნი. და სამნივე ერთობით ბრძოდეს მტერთა".[48]

ანტიკური წყაროებიდან ცნობილი სომხეთის ექსპანსია ქართლის მიმართ დაახლოებით ძვ. წ. II-I საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება. თუ „ქართლის ცხოვრების" თხრობას არტაგის არტოკესთან გაიგივებით არ გავწყვეტთ, მაშინ ზემოთ აღწერილი სომეხთა ექსპანსიაც ქართლში იმავე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოთავსდება.

აზორკისა და არმაზელის შემდგომ, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, არმაზს მაზასპი და მცხეთაში დეროკ მეფდებიან. ეს ორი მეფე მხოლოდ ჩამოთვლით იხსენიება. ამათ შემდგომი ორი მეფე არმაზს ფარსმან ქველი და მცხეთაში მირდატ, უკანასკნელი წყვილი მეფეები არიან და მათ მეფობას ლეონტი მროველი საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს.

„ქართლის ცხოვრების" გადმოცემით, ფარსმან ქველისა და მირდატის გამეფებამდე „ესე მეფენი ყოველნი ორ-ორნი იყვნეს მოყუარებასა ზედა: ერთგან მოყუარენი ვისნიმე და ერთგან მტერნი ვისნიმე",[49] მაგრამ მირდატს და ფარსმან ქველს შორის მტრობა ჩამოვარდა. მირდატს სპარსელები, ხოლო ფარსმან ქველს სომხები უჭერდნენ მხარს.

ის, რომ ფარსმან ქველი და მისი ძმა მირდა-

ტი ერთმანეთს ებრძვიან და მათ შემდგომ სრულდება ქართლში ორმეფობა, გვაფიქრებინებს, რომ ტაციტუსთან აღწერილი ქართლის მეფის ფარსმანის ბრძოლა თავის სომხეთში გამეფებულ ძმასთან მითრიდატესთან,50 შეიძლება ანარეკლი იყოს ქართლში ერთმეფობისათვის ბრძოლისა ახ. წ. პირველ საუკუნეში, სწორედ ამიერკავკასიაში რომის აქტიურად გამოსვლის ხანაში. მოსაზრება, რომ ფარსმან ქველი „ქართლის ცხოვრებაში" დამახინჯებული ხსოვნაა ტაციტუსის ფარსმანისა, გამოთქმული ჰქონდა კ. თუმანოვს,51 მაგრამ აქ რაიმეს გადაჭრით თქმა ძნელია.

1978 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში გ. მელიქიშვილი საბოლოოდ უარყოფს არტაგისა და არტოკეს იგივეობას, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ახლებური ანალიზით და მისი შედარებით ლეონტი მროველთან, იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ქართლის მეფეთა ქრონოლოგიაში ხარვეზი სწორედ იქაა, როცა ე. წ. რომაული პერიოდა ვერ აისახა „ქართლის ცხოვრებაში".52

ანტიკურ ავტორთა უშუალო კვალი „ქართლის ცხოვრებაში" არა ჩანს, რადგან „ქართლის ცხოვრება" უცხოური წყაროებიდან ძირითადად სპარსული საგმირო ეპოსის უთუოდ სხვადასხვა ვერსიებს და სომხურ მწერლობას ეყრდნობა, მაგრამ, ალბათ, ადრინდელ ქართულ ნაწერებსაც უნდა იცნობდეს. სწორედ ეს გარემოება აძნელებს გადაჭრით ფარსმან ქველის და ტაციტუსის ფარსმანის იგივეობის მტკიცებას. ერთი რამ უთუოდ ცხადი უნდა იყოს, ქართლში ერთმეფობის აღდგენა ქართლის სამეფოს აღორძინებასთან არის დაკავშირებული ე. წ. რომაულ ხანაში, როცა, ანტიკურ ავტორთა ცნობით, ქართლის სამეფო თავის დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა და რამაც ასახვა ვერ პოვა „ქართლის ცხოვრებაში".

ამრიგად, „ქართლის ცხოვრება" თხზულება ქართლის სამეფოს დაარსებიდან, ვიდრე რომაელების ქართლში გამოჩენამდე, ძირითადად მწყობრ ისტორიულ თხრობას წარმოადგენს.

## შენიშვნები:

1 ქართლის ცხოვრება, I, სიმ. ყაუხჩიშვილის გამ., თბ., 1955, გვ. 43.

2 პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე", XI — B, თბ., 1941, გვ. 259-317.

3 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1963, გვ. 81-163.

4 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ.; 1963, გვ. 82. იმის შესახებ თუ როგორ უნდა გავიგოთ „იმიერ" და „ამიერ" იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, მუზეუმის მოამბე, XI — B, თბ., 1941, გვ. 304-314.

5 ქართლის ცხოვრება, I, სიმ. ყაუხჩიშვილის გამ., თბ., 1955, გვ. 35.

6 იქვე, გვ. 35.

7 ა. გუგუშვილი „ქართლის ცხოვრების მიხედვით ადერკის ზეობას ასე ათარიღებდა: ჩ. წ. აღ-მდე 2-55 ჩ. წ. აღ-ით; იხ. A. Gugushvili 'The Chronological-Genealogical Table of the Kings of Georgia, Georgica. I. 2-3 (1936), გვ. 109–153.

8 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1963, გვ. 83.

9 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 44.

10. გ წერეთელი, მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1952, გვ. 15.

11. იქვე, გვ. 20.

12 ს.გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, ძველი საქართველო I, 1909 წ., ნაწ. II, გვ. 66-68.

13 პ. ინგოროყვა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 315.

14 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 54.

15 იქვე, გვ. 58.

16 С. С. Какабадзе, Некоторые вопросы хронологии древней Картли по грузинским источникам, Палестинский сборник, 1965, 13 (76), გვ. 114—125.

17 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 28.

18 Г. А. Меликишвили, К истории..., გვ. 50.

19 ქართლის ცხოვრება I, გვ. 28-29.

20 იქვე, გვ. 30.

21 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 30.

22 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 44-50; გ. მამულია, გადმოცემები სუმბატ ბივრიტიანის შესახებ, როგორც ლეონტი მროველის წყარო, ძველი ისტორიის საკითხები, III, 1970, გვ. 148-163.

23 ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, ძვ. საქართველო I, 1909 წ., ნაწ. II, გვ. 66-68.

24 პ. ინგოროყვა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 315.

25 C. Toumanoff, Chronology of the early Kings of Iberia, Traditio, V–XXV, 1969, გვ. 11.

[26] Г. А. Меликишвили, К истории..., გვ. 51.

27 იქვე, გვ. 52.

[28] Палестинский сборник, 1965, 13 (76), გვ. 114-125.

29 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 32.

30 ს. ს. კაკაბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 124.

31 ს. ს. კაკაბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 124-125.

32 იქვე, გვ. 124-125.

33 არშაკი მეორე მეფეა თვით „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, იხ. „ქართლის ცხოვრება", I, გვ. 33.

34 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 33.

35. გ. მამულია, გადმოცემები სუმბატ ბივრიტიანის შესახებ, როგორც ლეონტი მროველის წყარო, ძვ. ისტორიის საკითხები, III, 1970, გვ. 148-163.

36 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 26.

37 იქვე, გვ. 26-27.

38 თანახმად „ქართლის ცხოვრებისა", როდესაც ერისთავებმა საურმაგის წინაალმდეგ შეთქმულება მოაწყვეს და საურმაგმა დურძუკეთს შეაფარა თავი, საერისთავოებში მსხდარი სამეფო ხელისუფლების აგენტები — „ჰრომნი იგი აზნაურნი მივიდეს დურძუკეთსავე და რქუეს საურმაგს: დიდი კეთილი დგას ჩუენ ზედა მამისა შენისა" (ფარნავაზისა, დ. ა.) იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 26; გ. მამულია, ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობა და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა, მნათობი, 2, 1971, გვ. 179-191.

39 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 28.

40 იქვე, გვ. 29.

41 მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 145-148.

42 ქართლის ცხოვრება, I. გვ. 30.

43 იქვე, გვ. 43.

44 გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზის შესახებ, „მაცნე", № 3, 1978, გვ. 57.

45 იქვე, გვ. 58.

46 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 44.

47 ქართლის ცხოვრება, გვ. 44.

48 იქვე, გვ. 49.

49 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 50.

[50] Корнелий Тацит, Сочинения в двух томах, Ленинград, 1969, т. 1, გვ. 169—171.

51. C. Toumanoff, Chronology of the early Kings of Iberia, Traditio V–XXV, 1969, გვ. 13.

52 გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზის შესახებ, „მაცნე", № 3, 1978, გვ. 55-63.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათე ციხესაშვილი

# საქართველოსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის პოლიტიკური ურთიერთობა X-XV სს.

ჩეჩნეთ-ინგუშეთი ცენტრალური კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. მას აღმოსავლეთით დიდოეთ-დაღესტანი ესაზღვრება, ჩრდილოეთით ყიზლარ-ასტრახანი, დასავლეთით ალან-ოსეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით — თუშ-ფშავ-ხევსურეთი. ეს მხარე, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ამ აბორიგენი[1] მოსახლეობის გამძლეობისა და გადარჩენის განმაპირობებელი იყო, ეს ტომები უძველესი დროიდან მოყოლებული მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ როლს ასრულებდნენ, როგორც საქართველოს, ასევე ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიაში. მათი განვითარება მიმდინარეობდა იმავე სოციალ-ეკონომიკური კანონების საფუძველზე, როგორც კავკასიის სხვა ხალხებისა. შემდეგში არახელსაყრელმა საგარეო პირობებმა, გარეშე მტრების ხშირმა შემოსევებმა გამოიწვია ამ ხალხის სოციალ-ეკონომიკური განვითარების შეფერხება, მათი მთებში შესვლა და გარესამყაროსაგან მოწყვეტა.

ახლა უშუალოდ გადავიდოდეთ საქართველოსთან ამ მთიელი ხალხის პოლიტიკური ურთიერთობის საკითხზე აღნიშნულ საუკუნეებში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ 1. ქართულ წერილობით წყაროებში არსებული ცნობების თანახმად, ვაინახები (ვაინახ ქართულად ნიშნავს ჩვენ ხალხს, ასე ეძახიან ჩეჩნები და ინგუშები თავიანთ თავს) დურძუკებადღლიღვებად, შემდეგში ქისტებად იხსენიებიან. შევნიშნავთ, რომ დღეს „დურძუკის" მაგიერ იხმარება ჩეჩენი, „ღლიღვის" მაგიერ ინგუში, ხოლო თვით ეთნონიმი „ქისტი" საქართველოში, კერძოდ ახმეტის რაიონში მცხოვრები ვაინახების მიმართ, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან არიან გადმოსახლებული. აქვე დავძენთ, ჩეჩენი-ინგუში-ქისტი, სხვადასხვა დიალექტების მიუხედავად, ეთნიკურად ერთი მოდგმის ხალხია.

2. ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ქართლის სამეფოს სახავს მისი წარმოქმნის ჟამს მეფე ფარნავაზის, დროიდან და აქედან მოყოლებული განსაკუთრებით მრავლდება ცნობები საქართველოსა და ვაინახებს შორის პოლიტიკური ურთიერთობისა.

ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის პირველი მეფე ფარნავაზი, რომელიც, ადგილობრივ პრივილეგირებულ წრეებზე დაყრდნობით, ხელთ იღებს ქართლის დამპყრობი ბერძნების წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივას, ითვალისწინებს, რომ მას ქართლის განთავისუფლებისათვის და იქ გაბატონებისათვის ჩრდ. კავკასიაში სჭირდება მაგარი ზურგის შექმნა, რომ აქაურ ძალებზე დაყრდნობით შეძლოს გარეშე მტრის დამარცხება. ფარნავაზი, ჩრდილო კავკასიის მთიელებთან სამხედრო კავშირის განმტკიცების მიზნით, ენათესავება დურძუკთა ზედაფენის მეთაურს (მეფეს), ამ შემთხვევაში ურთიერთობის განმტკიცების ღონისძიებად გამოიყურება ქორწინება, რომელიც ყველა ეპოქაში ნათესაური ურთიერთობის დამყარების ან, თუ ასეთი კავშირი არსებობდა, მისი შემდგომი განმტკიცების საშუალება იყო. ფარნავაზი დურძუკებისა და სხვა მთიელების დახმარებით ათავისუფლებს ქართლის სამეფოს დამპყრობლებისაგან: „მოიყვანა ქალი ძურძუკით და იქმნა მეფე ყოვლისა ქართლისა და

---

1 არსებული არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლინგვისტიკური და ეთნოგრაფიული მასალები ქართველებსა და ვაინახებს ერთი წარმოშობის აბორიგენ (ადგილობრივ) ხალხად მიიჩნევს. ამის შესახებ დაწვრილებითი მასალები იხ. ჩვენივე შრომაში — „ჩეჩნებისა და ინგუშების ეთნოგენეზის საკითხისათვის", იბეჭდება თ. ს. უ. შრომებში.

ეგურსა ზედა“ (1. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. I, 1955, გვ. 24).

ქართლის მეორე მეფე საურმაგი, რომელიც დედით დურძუკი იყო იძულებული შეიქნა, რაკი შინაურობაში მტკიცე მდგომარეობა არ ჰქონდა, დურძუკებს (ვაინახებს) დაყრდნობოდა. საურმაგს, როცა ქართლის ერისთავები განუდგნენ, თავი შეუფარებია „ქუეყანას დურძუკეთს დედის ძმათა მისთა თანა“ (1,26), მხოლოდ საგარეო ძალის — დედულებისა და სხვა კავკასიელი მთიელი ტომების დახმარებამ მისცა მას საშუალება განდგომილი ერისთავები დაემარცხებინა და სამეფო ტახტი ხელმეორედ ჩაეგდო ხელში.

მომდევნო საუკუნეებში საქართველოსა და ვაინახებს შორის არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობაზე ჩვენ ყურადღებას არ ვამახვილებთ, რადგან ჩვენი კვლევის მიზანი X-XV საუკუნეებია.

ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და საქართველოს შორის X საუკუნიდან უაღრესად საინტერესო პერიოდი იწყება. X-XI სს საქართველოში მიმდინარე ბრძოლა სამეფო-სამთავროების გაერთიანებისათვის წარმატებით დაგვირგვინდა. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნამ, მისი საერთაშორისო მნიშვნელობა საგრძნობლად განამტკიცა. იგივე ფაქტი განაპირობებდა საქართველოს მეზობელ ხალხებთან ურთიერთობაში ახალი ეტაპის დაწყებას. თუ გაერთიანებამდე საქართველოს ცალკეული ნაწილები (ქართლი, კახეთ-ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი) — თვითეული თავისი ვიწრო კუთხური ინტერესების შესაბამის ურიერთობას ამყარებდა მეზობელ ხალხებთან, მათ შორის ვაინახებთანაც, გაერთიანების დამთავრების დროიდან უკვე საერთო ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესები განსაზღვრავენ საქართველოს მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის ხასიათსა და მასშტაბს (2. გ. თოგოშვილი, საქართველოოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან „უძველესი დროიდან XIV ს-ნის დამლევამდე“ 1958, გვ. 126).

ახლად გაერთიანებული საქართველო თურქსელჩუკთა შემოსევების შედეგად (XI ს. 60-იან წლებში დაიწყეს) კატასტროფის პირამდე მივიდა. საგარეო გართულებას დაერთო კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამწვავება. არახელსაყრელი მდგომარეობა იყო საქართველოს ირგვლივაც. საჭირო იყო მის ძალთა სრული მობილიზაცია და გაერთიანებული ძალით ბრძოლა გარეშე მტრის წინააღმდეგ. ამ ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობა, სამეფო ტახტთან ერთად, მემკვიდრეობით მიიღო დავით IV, აღმაშენებლად წოდებულმა (1089-1125 წ.წ.), რომელმაც მტკიცედ აიღო ხელში სახელმწიფოს მართველობის სადავეები და საქართველოსა და კავკასიის გაერთიანების საქმე ბოლომდე მიიყვანა.

XI საუკუნეში მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური ვითარება დავითმა საქართველოს სასარგებლოდ შეცვალა და თავისი პოლიტიკური ღონისძიებანი ორი ძირითადი მიმართულებით წარმართა: 1. ქვეყნის საშინაო საქმეების მოწესრიგება და 2. თურქსელჩუკების განდევნა.

თურქების საქართველოდან და, საერთოდ ამიერკავკასიიდან, განდევნისა და დიდგვაროვან აზნაურთა სეპარატისტული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა, მან მოხერხებულად დაუკავშირა სიკვდილს მალიქ-შაჰისას (1092 წ.), რომელმაც დროებით შეაჩერა თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლის პროცესი, ამავე დროს გაძლიერდა ჯვაროსანთა ლაშქრობა აღმოსავლურ მაჰმადიანურ ქვეყნებზე. ეს საერთაშორისო ვითარება დავითმა ჯეროვნად შეაფასა და 1097 წ. ხარკი შეუწყვიტა სელჩუკებს, რაც დიპლომატიურ ენაზე ომის გამოცხადებას ნიშნავდა.

დავით აღმაშენებლისთვის, რომელსაც საქართველოს გაერთიანების პროცესი უნდა დაეგვირგვინებინა და უცხოელ დამპყრობელთა თარეშისაგან ეხსნა ქვეყანა, ცნობილი გახდა, რომ ხანგრძლივი ომიანობითა და შინაგანი არეულობით დასუსტებულ ქართველ ხალხს მარტოოდენ საკუთარი ძალებით არ შეეძლო ასეთი გრანდიოზული ამოცანის გადაჭრა. ამ მიზნისათვის არც დაქირავებული ჯარის გამოყენება იყო მისთვის ხელსაყრელი, რადგან მას დროებითი ხასიათი ჰქონდა და ყოველი ცალკეული ბრძოლის დამთავრების შემდეგ ძალას კარგავდა, არც ფეოდალური ლაშქრით შეიძლებოდა ამ ამოცანის გადაწყვეტა, რადგან მისი ხელმძღვანელები — მსხვილი ფეოდალები სამეფო ხელისუფლებას ხშირად ოპოზიციაში ედგნენ. საჭირო იყო მუდმივი ჯარის შექმნა, რომელიც ყოველთვის მზად იქნებოდა გარეშე, თუ შინაური მტრების წინააღმდეგ გამოსვლისათვის (2, 187). აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინების შემდეგ, დავითმა მნიშვნელოვანი სამხედრო რეფორმა გაატარა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი, როგორც გამოჩენილი პოლიტიკოსის ის დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი, რომელიც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, ჩრდილო კავკასიის ხალხებთან (მათ შორის ვაინახებთანაც) პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებას (დავითმა ყივჩაყეთში გაგზავნა „კაცნი სარწმუნონი“ და ისინი საქართველოს სამეფოს ლაშქარში მოიწვია), ხოლო, მეორე მხრივ, დარიალის გზაზე კონტროლის ხელში ჩაგდებას: „ჩამოართვა მეფემ ციხენი დარიალისანი და ყოველთა კართა ოვსეთისა და კავკასიის მთისანი და ასე შექმნა გზა მშვიდობისა“ (1, 336). გზა მშვიდობისა — ეს ერთი ეპოქალური ტეხილი იყო დარიალის გზის ისტორიაში, (ამიერიდან საქართველოს სამეფო კარის ხელში იქმნებოდა ჩრდილოეთის

ყველა კართა ციხენი), რომელიც სჭირდებოდა დავითს არა მხოლოდ ყივჩაყთა ლაშქრის გადმოსაყვანად, არამედ იმ მნიშვნელოვანი ურთიერთობისათვის, როგორიც საქართველოსა და ამიერკავკასიასა თუ „ჩრდილოის ქვეყნებს" შორის არსებობდა (3. ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთველის ეპოქისა საქართველოში, 1966, გვ. 56-62).

ისმის კითხვა — მონაწილეობას იღებენ თუ არა ვაინახებიც დიდგორის ომში (1121 წ.), რომელიც საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ფურცელია?

აღნიშნულის შესახებ მართალია ქართული წყაროები დუმან, მაგრამ ჩვენ ამ ომში ვაინახების მონაწილეობაც დასაშვებად მიგვაჩნია, რაც მტკიცდება შემდეგი ფაქტორებით: 1. ცნობილია, რომ საქართველოს უძველესი დროიდან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან და იქიდან სამხედრო დახმარებით ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო (4. ჯ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტექნიკური ურთიერთობა ჩრდ. კავკასიის ხალხებთან XIII ს-ში, 1974, გვ. 105); 2. ჩრდილო კავკასიის ხალხებში დავითი ხედავდა მნიშვნელოვან ძალას, რომელსაც თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლისა და ამიერკავკასიის ხალხთა კონსოლიდაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო (5. რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, 1986, გვ. 278); 3. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ყაზბეგს ჩრდილოეთით 10 კმ-ით იქით, სადაც მდ. კისტინკა მდ. თერგს მარჯვენა მხრიდან უერთდება, საიდანაც ძნელი და სახიფათო გზა გადადის ძურძუკეთში, ქისტეთში და გუდამაყრის ხეობაში იდგა ციხე აღმშენებლის აღშენებული" (6. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერაი სამეფოსაი საქართველოსაი", 1941, გვ. 67-68). ე. ი. დარიალის გზაზე კონტროლი მაკონტროლებელ სახელმწიფოს საშუალებას აძლევდა ჩრდ. კავკასიის მეომარ ტომთა მიერ გზის თვითნებური გადმოლახვისათვის ხელი შეეშალა, ხოლო გაჭირვების ჟამს ისინი მოეწვიათ თავისი პოლიტიკური ინტერესების გამოსაყენებლად (2, 27). აგრეთვე, დავით აღმაშენებელს კეთილი განწყობილება ჰქონდა კავკასიის მთიელებთან და მის ჯარში, საჭიროების შემთხვევაში, დაქირავებული ოსი, ლეკი, ქურთი და სხვა მოლაშქრენიც იყვნენ (7. საქ. ისტ. ნარკვ., ტ. III, 1979, გვ. 228). და, რაც მთავარია, როგორც აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, თურქების წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლად მოითხოვდა ძალთა უკიდურეს მობილიზაციას (8. ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966, გვ. 225). ისეთი დიდი მასშტაბის ბრძოლისათვის, როგორიც დიდგორის ომი იყო, დავითისთვის საჭირო იქნებოდა ჩრდილო კავკასიის მთიელების (მათ შორის ვაინახების, მ. ც.) დაქირავება და თავისი სამხედრო ძალის უზრუნველყოფა.

1177 წ. გიორგი III წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში, რომელსაც სათავეში დიდგვაროვანი ფეოდალები — ორბელები ედგნენ და დავით V შვილის — დემნას უფლების დაცვის საბაბით მოქმედებდნენ, გიორგის გაუგზავნია თავისი აღმზრდელი ქიაბერი ლეკთა და კავკასიელთა მოსახმარებლად. ქიაბერს დაუყოლიებია კავკასიის მთიელები (მათ შორის ვაინახებიც, მ. ც.) და მოსულა ლორეს ციხეს, სადაც დემნა უფლისწული და მისი მომხრენი ყოფილან გამაგრებულნი. ლორეს ბრძოლა გიორგის გამარჯვებით დამთავრდა (9. მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, 1894, გვ. 117).

1210 წ. საქართველოს ხელისუფლებას აუჯანყდნენ დიდოელები და ფხოველები, რაც ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლის მაგალითი იყო. აჯანყების ჩასაქრობად მისულ ივანე ათაბაგს დურძუკებიც შეუერთდნენ და აქტიური მონაწილეობა მიიღეს აჯანყების ჩაქრობაში (1. ტ. II, 1959, გვ. 111).

ვაინახები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის წარმოქმნაში. დურძუკთა ფეოდალური ზედაფენები, როგორც ითქვა, თავიდანვე მჭიდრო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობაში აღმოჩნდენ საქართველოსთან, ეზიარნენ ქართულ მაღალგანვითარებულ კულტურას. საქართველო ამ დროს ამიერკავკასიის უძლიერესი სახელმწიფო იყო, რომელთანაც არა მარტო ქართველური, არამედ არაქართველური წარმოშობის ხალხებიც მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ. ამის შესახებ აკად. ნ. ბერძენიშვილიც აღნიშნავდა — „კავკასიის მთიანეთსა და ამიერკავკასიის მთისძირობა ქვეყნებს უძველესი დროიდანვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ამიერკავკასიასთან ჩერქეზოსები, თუ დურძუკ-ღუნძები სულ უფრო და უფრო ორგანულად მონაწილეობდნენ კავკასიის ერთიანი დიდი ფეოდალური სამყაროს წარმოქმნაში და ბუნებრივია ისინი ვერ დარჩებოდნენ იმ სამყაროს გარეთ, რომელიც ხსენებული პროცესის შედეგად საქართველოს მოთავეობით წარმოიქმნა (10. საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 204-205).

XIV საუკუნის ისტორიკოსის ჟამთააღმწერლის ცნობით — რუსუდან მეფემ ჯალალედინის მეორე შემოსევის დროს (1226-1227 წ.წ) ჩრდილო კავკასიის მთიელები და მათ შორის დურძუკებიც მოიწვია. „განუხუნა კარნი დარიალისანი და გარდმოიყვანა ოსნი, დურძუკნი.., შეკრბეს ნაჭარმაგევს სიმრავლე ურიცხვი და წარავლინა მეფემან ბრძოლად ხუარაზმელთა" (1. ტ. II, გვ. 183).

საქართველოსა და ვაინახებს შორის არსებული კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის შემდგომი გაფართო-

ების საქმეს, მათ მყუდრო ცხოვრებას ბოლო მოუღო მონღოლთა გამანადგურებელმა შემოსევებმა. ეს ის დროა, როცა ვაინახები, როგორც არასოდეს, ამყარებენ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ კავშირს მეზობელ ხალხებთან, და ბოლო დროს ვაინახები ინტენსიურად სახლდებიან ვაკე ადგილას (11. Археол-Этнограф. Сборник, т. II. Грозный, 1968, с. 55).

XIII ს-ნის 20-იან წლებში ამიერკავკასიიდან ჩრდ. კავკასიაში გადასული მონღოლები დურძუკებს არ იპყრობენ. 1223 წ. მდ. კალკასთან ოსებისა და ყივჩაყების დამარცხების შემდეგ, ისინი უკან ბრუნდებიან (ცნობილია, რომ მათ დავალებული არ ჰქონდათ ტერიტორიების დაპყრობა, გარდა ამისა, უკვე იწურებოდა ჩინგის-ხანის მიერ მათთვის მიცემული ვადა — სამი წელი). ვაინახების დაპყრობა მონღოლთა მიერ დაკავშირებულია მანგუ-ყაენის სახელთან (1238-1239 წ.წ.). მონღოლთა უღელი მათთვის უფრო სამძიმო შეიქნა XIII ს-ის მეორე ნახევარში, როცა თერგისა და სუნჯის ბასეინები ულაგუიდნებისა (ილხანებისა) და ოქროს ურდოს ყაენების სისხლისმღვრელი ბრძოლების ასპარეზი გახდა. 1263 წ. ჰულაუსა და ბერქას შორის მდ. თერგზე გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რაც ჰულაუს დამარცხებით დამთავრდა, დამარცხების მავნე შედეგები არ შეიძლება ვაინახებზეც არ გამოვლენილიყო.

მონღოლთა შემოსევებმა, მათმა ხანგრძლივმა ბატონობამ მართალია მძიმე დაღი დაასვა საქართველოსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთს, მაგრამ ვერ მოშალა მათი კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა. XIV საუკუნის პირველი ნახევრიდან, კერძოდ გიორგი V ბრწყინვალის მეფობის დროს (1314-1346 წ.წ.), ვაინახებს საქართველოსთან კვლავ მჭიდრო კავშირი აქვთ და ეს მდგომარეობა გრძელდება თემურ-ლენგის შემოსევამდე.

საქართველოში თემურის პირველი შემოსევის მიზეზებს აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის არსებული კავშირურთიერთობით ხსნის, მისი აზრით, თოხთამიშს არ შეეძლო ჩრდილოეთიდან ირანში შეჭრილიყო საქართველოსთან წინასწარი შეთანხმებისა და მოკავშირეობის გარეშე. მანვე (იგულისხმება თემური, მ. ც.) ყურადღება იმ გარემოებასაც მიაქცია, რომ თოხთამიშ-ხანის ლაშქარში თავრიზის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს „ურწმუნოებიც ერივნენ (იგულისხმება ქართველები და ჩრდ. კავკასიელი მთიელები, მ. ც.), მომავალში ასეთი რამ რომ არ განმეორებულიყო, თემურს ჩრდილოეთით საზღვარი ოქროს ულუსის შემოსევის საშიშროებისაგან უზრუნველყოფილი უნდა ჰქონოდა. ამიტომ მას კავკასიონის ქედის ყველა თუ არა, აღმოსავლეთით მდებარე ორი უდიდესი გადმოსასვლელი ან თვითონ უნდა შეეკრა, ანდა მათი მფლობელები ისეთ მდგომარეობაში ჩაეყენებინა, რომ მის მოკავშირებად და ყმადნაფიცებად ქცეულიყვნენ (12. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, 1966, გვ. 410).

თემურ-ლენგისთვის ცხადი გახდა ისიც, რომ როგორც ამიერკავკასიაში, ისე სხვაგანაც თავის გეგმებს წარმატებით ვერ განახორციელებდა თოხთამიშის საბოლოოდ განადგურების გარეშე, რომელიც ჩრდ. კავკასიაში იმყოფებოდა. გარდა ამისა, თემურმა იცოდა, რომ ჩრდ. კავკასიის ხალხი (მათ შორის ვაინახებიც ,მ. ც.) სამხედრო დახმარებას უწევდა საქართველოს თემურის ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომაა რომ ის დაჟინებით ცდილობდა საქართველოსა და ჩრდ. კავკასიის განადგურებას დარიალის კარის ხელში ჩაგდებას, რაც გზას უხსნიდა თოხთამიშ-ხანის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, 1395 წ., მდ. თერგის პირას (ვაინახების მიწაწყალზე) დიდი ბრძოლა გაიმართა თოხთამიშ-ხანსა და თემურ-ლენგს შორის, რომელიც თემურის გამარჯვებით დამთავრდა. ამ ბრძოლამ ადგილობრივ ხალხზე უარყოფითად იმოქმედა. თემურმა გადალახა მოწინააღმდეგის მიერ განგებ გადამწვარი ყუბანის ველები, გაძარცვა და დაანგრია ურდოს დედაქალაქი სარაი ბერქე, აზოვი და ასტრახანი და წამოიყვანა მრავალი ტყვე. უკან დაბრუნების შემდეგ თემურმა საგანგებოდ დალაშქრა ჩრდ. კავკასიის მთიანეთი, განსაკუთრებით ის ქვეყნები და ხალხები, რომლებიც კავკასიონის მთის ჩრდ. კალთებზე ცხოვრობდნენ და კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან (7. 688). თემურის მიერ ჩრდ. კავკასიის მოსახლეობის სასტიკ აოხრებას ადასტურებს ვახუშტი ბაგრატიონიც. მისი ცნობით, ბარდავს მყოფმა თემურმა „წარავლინა სპანი, განვლეს სპათა მათ დარუბანდი, და მივიდნენ ოვსეთს. მოსწყვიდნეს ტყვე-ჰყვეს და მოიქცნენ წინაშე თემურისავე. ესე ჰყო თემურმან, რამეთუ უწყოდა, რამეთუ ძალს იცემს მუნიდამ, ხოლო კვალად იტყვიან, მირიდგან იწოდაო ჩერქეზი და იქნაო მაჰმედიანობა მათ შორის“ (6. საქართველოს ისტ., ნაწ. I, 1885, გვ. 298). თემურ-ლენგის სახელთან არის დაკავშირებული მაჰმადიანობის ჩანერგვა კავკასიის მთიელ ტომებში (ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებითი მასალები იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებ. ტ. III, 1982, გვ. 227-228).

ჯერ მონღოლთა, შემდეგ თემურ-ლენგის გამანადგურებელი თარეშების შედეგად ჩრდ. კავკასიის ცენტრალური ნაწილის აღმოსავლეთ ველებზე მოსახლე ვაინახებმა უდიდესი ზარალი განიცადეს. ასეთი მძიმე საგარეო პირობების გამო მათი დარჩენა ჩრდ. კავკასიის ველებზე შეუძლებელი გახდა. ადგილზე დარ-

ჩენა ნიშნავდა სრულ ფიზიკურ განადგურებას, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, გადაშენებას. აღნიშნული საფრთხის გამო იწყება ვაინახებისა და ჩრდ. კავკასიელი მთიელების თანდათანობით შემოსვლა საქართველოში, რომ ვაინახი ტომები თავშესაფარს პოულობენ მთაში (11, 62). ნ. ბერძენიშვილი აღნიშნულთან დაკავშირებით წერს: „XIII ს-ში ოქროს ურდოს მონღოლებმა იმიერკავკასიის ველები დაიჭირეს და თავის სამომთაბაროდ აქციეს. მთას შემოხიზნული ადგილობრივი მოსახლეობა აფხაზნი, ჩერქეზნი, ოსნი, ლუნძ-ლლილვნი თანდათან ამიერკავკასიისაკენ მოიწევდნენ და პირაქეთ კავკასიის ტომებს დევალებს, ფხოველებს ერეოდნენ (8. ნაწ. I, 1958, გვ. 245).

საქართველოსა და ჩრდ. კავკასიაში თემურლენგის ურდოთა სისხლიან თარეშს უაღრესად მძიმე შედეგი მოჰყვა, რაც საუკუნეთა მანძილზე იჩენდა თავს, როგორც საქართველოს, ასევე ჩრდ. კავკასიის ხალხთა ეკონომიკურ, სოციალურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი შედეგების ლიკვიდაცია შექმნილ ისტორიულ პირობებში კავკასიაში შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ ყველაზე მძიმე მაინც საქართველოსათვის, ისევე როგორც მთელი კავკასიისათვის, თემურის ლაშქრობათა პოლიტიკური შედეგი იყო. სამასწლოვანი ბრძოლა მომთაბარეთა წინააღმდეგ ბოლოს და ბოლოს საქართველოს დაშარცხებით დამთავრდა. მოძმე მეზობელი ქრისტიანული ქვეყნები (სომხეთი, ალბანეთი) საქართველომ საბოლოოდ დაკარგა და მოზღვავებულ მომთაბარეთა აგრესიის პირდაპირ მარტო აღმოჩნდა. მიწათმფლობელობისათვის მებრძოლმა მომთაბარეებმა მაჰმადიანობა თავის ალმად აღიარეს და ქრისტიან მიწათმფლობელთა წინააღმდეგ ბრძოლა სალვთო საქმედ გამოაცხადეს“ (10, 255).

ამრიგად, X-XV ს.ს. ჩეჩნები და ინგუშები (ვაიმახები) საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ, ერთად იბრძვიან გარეშე, თუ შინაური მტრის წინააღმდეგ. ჩრდ. კავკასიის ეს მთიელი მოსახლეობა თანამოზიარეა იმ დიდი კულტურული და ეკონომიკური აღორძინებისა, რაც საქართველოში ხდებოდა აღნიშნულ საუკუნეებში. გარეშე მტრების ხშირმა შემოსევებმა ამ კულტურულ წინსვლას ხელი შეუშალა, ხოლო ერთიანი საქართველოს პოლიტიკურად დაშლის შემდეგ, ვაინახების ურთიერთობა იმ სამეფოსთან ვლინდება, რომელიც ტერიტორიულად მასთან ახლოსაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგი დურმიშიძე

# ძმები

(ევგენი ხარაძის დაბადების 80 წლისთავის გამო)

1927 წელს ჩემი მათემატიკის მასწავლებლის ტერენტი ტყემალაძის რჩევით შევიძინე არჩილ ხარაძის „უმაღლესი მათემატიკის შესავალი“ და მისივე ხელმძღვანელობით შევუდექი მის შესწავლას. 1928 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი და უმაღლესი მათემატიკის შესავალი ჩავაბარე. უნივერსიტეტში სწავლისას არჩილ ხარაძე ჩემს ახალგაზრდულ ცნობიერებაში მტკიცედ ჩაჯდა, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი და შესანიშნავი პედაგოგი. გავიდა დრო და ბედმა მარგუნა მის უმცროს ძმასთან, ევგენი ხარაძესთან ერთად მემუშავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. ამ დროს ბატონ არჩილსაც პირადად ვიცნობდი.

აშკარად ჩანდა, რომ ძმები ხარაძეები არავის ჰგავანდნენ: მაღალი კულტურით, დახვეწილი მეტყველებით, ადამიანებისადმი ფაქიზი დამოკიდებულებით, ფართო ეროვნული ინტერესებით, საზოგადოებრივი მოთხოვნილებით ყველასაგან გამოირჩეოდნენ. ხშირად მიფიქრია: ნეტავ გამაცნო მათი მშობლები, მაჩვენა მათი სახლ-კარი, გამაგებინა ვისთან და როგორ იზრდებოდნენ ისინი...

ერთხელ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ილია ვეკუამ მთხოვა აბასთუმანს წავყოლოდი; — „მოდი გენოს ვესტუმროთ ყანობილზე, ობსერვატორია დავათვალიეროთო“.

ობსერვატორიის დირექტორის მსგავსად, დაწესებულებაც მეტად საინტერესო და უჩვეულო აღმოჩნდა. მწვანე სამეფოში თეთრი ქალაქი ისე იდგა, თითქოს მისთვის ხელი არც ადამიანს ეხლოს და არც ბუნებას. სოკოებივით მომრავლებულ შენობებში ყველაფერი ისე სუფთა და სპეტაკი იყო, როგორც აქაური ჰაერი! გულუხვი მასპინძელი თან გადაგვყვა, ავივსეთ კიდეც მისი შეუნელებელი ყურადღებით, მაგრამ „მანძილი“ მე და ბატონ ევგენის შორის ამით არ შემცირებულა, ხარაძეების „ურთიერთობის ნორმა“ ხელუხლებლად დარჩა! მასპინძელმა შრომაშიაც დაუზოგავად ჩაგვრთო; დაწვრილებით გაგვაცნო მეცნიერული კვლევის აზრი, მასშტაბი და შედეგები, შეგვახვედრა თანამშრომლებთან და „გაგვასაუბრა“ ცის მნათობებთანაც. როდესაც აბასთუმნიდან თბილისისაკენ გამოვემგზავრეთ, პრეზიდენტი შემეკითხა: — როგორია შენი შთაბეჭდილებაო. ამ კითხვაზე მას შემდეგაც ხშირად მიფიქრია; რა დიდი სულიერი ენერგია და უსაზღვრო მიზანსწრაფვა უნდა გქონდეს, რომ ამ „უსიერ“ ტყეში ააგო მეცნიერების უბრწყინვალესი სასახლეები, აღჭურვო და აამუშაო ისინი, უჯაჭვოდ დააბა ადგილზე ახალგაზრდობა და მათი მოქმედებაც ცამდე აამაღლო!

1976 წლის ზაფხულში ცდუნებებს ვეღარ გავუძელი და ბატონი ევგენის სოფელ ფარცხნალს დაუპატიჟებლად ვესტუმრე. მე და ჩემი ახლობლები (ალექსანდრე ღუღუნიშვილი, ბორის საყვარელიძე, აკაკი შაყულაშვილი, ნუგზარ დურმიშიძე) საგონებელში ჩავვარდით: მასპინძლები სახლში არ აღმოჩნდნენ, კარმიდამო ისე იყო შემოღობილი, რომ შიგ შესვლა ძნელი ჩანდა.

— ახლა ეზოში გადასვლა უხერხულიც კი არისო, მიმტკიცებდნენ თანამგზავრები. ჩვენს გარშემო ადგილობრივი მცხოვრებლები მოგროვდნენ.

— ბატონებო, რაშია საქმე, რა გნებავთ, კარმიდამოს ხარაძეები თვითონ ამუშავებენ, გადასახადებიც თავის დროზე შეაქვთ საბჭოში, ჩვენი სოფლის თვალია მათი ოჯახი. თუ რაიმე

ცნობები გინდათ, ჩვენ მოგაწოდებთო. — ალეპლეპული გვესაუბრებოდნენ დამხვდურები. მივხვდით: საკონტროლო ორგანოების წარმომადგენლებად მიგვიღეს. ალაყაფის კარების გასაღებიც ალბათ მათთან ინახებოდა, მაგრამ ჩვენ, უცნობ ხალხს რატომ მოგვცემდნენ!

ბატონი ევგენის მეზობლები დაამწუხრა, მოვუთხრე თუ საიდან ვიცნობდი მას და მათთვის სრულიად მოულოდნელად ორნახევარი მეტრის სიმაღლის კარებს თავს მოვევლე და ეზოში მიწაზე დავეცი. „ექსპედიციის" დანარჩენი წევრებიც დაუყოვნებლივ მომყვნენ და კარ-მიდამო უცხო ხალხით აივსო. ახლა უბნელები რკინის ბადის ღობეს კიდევ უფრო ახლოს მოადგნენ და გაოცებით გვადევნებდნენ თვალყურს. ეზო სასწრაფოდ შემოვირბინე და კაკლის ხის მახლობლად მოლზე გულაღმა დავწექი; ცაში არც ერთი ვარსკვლავი არ ჩანდა! რატომღაც მეგონა, რომ ხარაძეების ეზოდან ცის მნათობები უმეტესად უნდა გამოჩენილიყვნენ... სახლის კედელზე გრაფიტის ფანქრით წავაწერე, რომ აქ ვიყავით და გამოსასვლელი ადგილის მოსაძებნად გავემართე. უკანვე ალაყაფის კარებზე გადმოსვლა სახიფათოდ მომეჩვენა. ჯერ კიდევ არ მქონდა გადაწყვეტილი რომელი მხარისათვის მიმემართა, რომ ეზოს ერთ კუთხეში პატარა კარები გაიღო და მეზობელი, გადამდგარი პოლკოვნიკი გიორგი ხარაძე შემოვიდა, ყველანი სახლში მიგვიპატიჟა... რამდენიმე წუთში ქართული სუფრა გაიშალა... ერთი საათის შემდეგ ფარცხნალელებმა დიდი პატივისცემით გამოგვაცილეს.

ამ მოგზაურობის შესახებ ბატონი ევგენისათვის არაფერი მითქვამს. ვფიქრობდი: ჯერ წარწერას ნახავენ და შემდეგ ყველაფერს მოვუყვები-მეთქი. გადიოდა კვირეები და ჩემ წარწერას არავინ ნახულობდა.

ერთ დღეს ტელეფონმა ლელით ჩვეულებრივზე ადრე დარეკა. მილი ავიღე თუ არა, შემომესმა ომახიანი შეძახილი: — შე ავაზაკო, ვინ მოგცა უფლება რომ ფარცხნალში ჩემს მამულს თავს დაესხი. მე შენ გიჩვენებ როგორ უნდა კირილე ხარაძის ეზოს დარბევა! — მუქარას უეცრად სიცილი მოჰყვა: ბატონი არჩილ ხარაძე მომეფერა, მომეალერსა, დიდი მადლობა მითხრა, რომ მისი და ევგენის ბავშვობის სავანეს მივაკითხე. უკვირდა: რამ მოგაფიქრებინაო! ნეტავ იქ მეც ვყოფილიყავიო. ესიამოვნა როდესაც გაიგო, რომ ხარაძეებმა თბილად მიგვიღეს და ტკბილად გამოგვაცილეს...

ფარცხნალში ყოფნის შემდეგ კიდევ უფრო გამიძლიერდა სურვილი ზოგი რამ მაინც შემეტყო არჩილ და ევგენი ხარაძეების ბავშვობის შესახებ...

იმერეთის სოფელ ფარცხნალში, კახორის მთის ძირას, დგას კირილე ბეჟანის ძე ხარაძის ერთსართულიანი სახლი, ას წელზე მეტი იქნება მას შემდეგ, რაც ხარაძეების უბანში ეს ოდა აშენდა. აქ ატარებდა ყოველ ზაფხულს კირილე ხარაძისა და მარინე ბარბაქაძის ხუთი შვილი: ქეთევანი, არჩილი, ნინო, თამარი და ევგენი. დედ-მამამ ყოველ მათგანს სოფლისადმი დიდი სიყვარული გაუღვივა. მდიდარი ბიბლიოთეკა, ულამაზესი ბუნება, კეთილი მეზობლები, კირილე ბაბუკოს (ასე ეძახდა მოფერებით არჩილი მამას) ტკბილი საუბრები ჰქმნიდა ახალგაზრდობის აღზრდის სამაგალითო ჰარმონიას ხარაძეების ოჯახში. კირილეს ხანდაზმულობის ასაკში შესვლის შემდეგ ოჯახურ საქმიანობაში მშობლებს უფროსი ქალ-ვაჟი წამოეშველა. ასრულდა კირილესა და მარინეს უდიდესი ოცნება და ხუთივე შვილმა უმაღლესი განათლება მიიღო. უმაღლესი სკოლის დამთავრებისთანავე ყველამ დაიკავა თავთავის შესაფერი ადგილი სამშობლოს სამსახურში.[1]

ბატონ ევგენის რამდენჯერმე ვთხოვე მოეთხრო თავისი ბავშვობის შესახებ, ფარცხნალში გატარებული საღამოების თაობაზე. ძუნწად, მაგრამ მაინც მოიგონა ბატონმა ევგენიმ ფარცხნალის ზაფხულის თვეები...

**1921-22-23** წლებში ზაფხულობით ძმები თურმე საღამოებს სახლის სახურავზე ატარებდნენ. სახლი ყავრით იყო დახურული და მასზე გულაღმა წამოწოლილნი შესცქეროდნენ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული არჩილი გატაცებით უამბობდა საშუალო სკოლის მოსწავლე ევგენის ცის მოვლენებზე; არჩილი 12 წლით უფროსი იყო უმცროს ძმაზე.

„ასტრონომია არჩილმა შემაყვარა, სამყაროს საიდუმლოებებში პირველად მან ჩამახედაო" — ახლაც იგონებს ხოლმე ბატონი ევგენი.

არჩილს ზრუნვა უმცროსი ძმის საქმიანობისადმი არც შემდეგ შეუწყვეტია. მოვუსმინოთ თვით ბატონ ევგენის:

„საშუალო სკოლა დავამთავრე 1924 წელს. არჩილმა არ მირჩია იმავე წელს შესვლა უნივერსიტეტში, ჯერ „მოუმწიფებლობის" გამო (თითქოს!). მისი რჩევით შევედი უცხო ენათა უმაღლეს კურსებზე და შევისწავლე ინგლისური ენა. თვითონ არჩილი გერმანულით და ფრანგულით იყო შეიარაღებული. ინგლისური ცოტა მეუცხოვა, საქართველოში იმ დროს გერმანული იყო პოპულარული. სკოლაში ყოფნისას გატაცებით ვსწავლობდი გერმანულს (სკოლაში ერ. ტატიშვილი გვასწავლიდა). ერთ ხანს არტურ ლეისტთან ვღებულობდი გაკვეთილებს. ეს ქუჯი ძიძიშვილის რჩევა იყო, მასთან სწავლობდა, მოსწონდა. ჩვენ ერთ კლასში ვიყავით. გერმანული მიყვარდა. დავიწყე ინგლისური. შემდგომში არაერთხელ დამიდასტურებია ჩემთვის — როგორი სწორი რჩევა იყო! როგორ

[1] ი. ქარციეაძე, ბ. ხვედელიძე, არჩილ ხარაძე. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1985 წ.

გამომადგა ჩემს მოღვაწეობაში! თავიდანვე! დღემდე! კურსების უკანასკნელი წელი, რომელიც სწავლების (მასწავლებლობის) უფლებას იძლეოდა, აღარ დავამთავრე. დავამთავრე ერთი წლით მოკლე გეგმით, მივიღე კორესპონდენტის ცენზი.

1927 წელს მუშაობა დავიწყე გეოფიზიკურ ობსერვატორიაში, ესეც არჩილის თაოსნობით. ამან გადაწყვიტა ჩემი ბედი, ცოტა არაპირდაპირი გზით. გეოფიზიკა არ მისწავლია, მაგრამ იქ, ობსერვატორიაში, შევხვდი პროფ. ნუმეროვს (ლენინგრადის ასტრ. ინსტიტუტის დირექტორს, სსრკ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტს), რომელმაც ასპირანტურაში „წამიყვანა 1931 წ. ლენინგრადში. 1930, 1931 წწ. ნუმეროვთან და უფრო მის თანამშრომელთან ექსპედიციაში ვეძებდი ახალი ობსერვატორიის შესაფერ ადგილს.

მე სრულიად არ მქონდა რაიმე საუნივერსიტეტო ასტრონომიული მომზადება. ერთადერთი სპეციალური ასტრონომიული საგანი — სფერული ასტრონომია — მოვისმინე და ჩავაბარე პროფ. ა. ბენაშვილს მე-4 კურსზე. ცოტა რამ პრაქტიკული (ელემენტარული) შევისწავლე მის ასისტენტთან (შემდგომში პროფესორი) ე. ბიუსთან. მაგრამ ბ. ნუმეროვმა ლენინგრადში მაშინ ჩამრთო სამეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობაში. იმავე წელს მოიწვია საკავშირო თათბირი სამხრეთში ახალი ობსერვატორიის ორგანიზაციაზე. მე იმ თათბირის მდივნობა დამავალა. როგორ გაბედა? ან როგორ ვიკისრე მე? ალბათ ხანდახან დიდი ნდობის გამოცხადება ახალგაზრდა და გამოუცდელისადმი საქმეს უხდება?! 1932 წ. თებერვალში მისი წარდგინებით დამნიშნეს საქართველოში ჯერ არარსებული ობსერვატორიის დირექტორად. იმავე წლის ნოემბერში ფაქტიურად დაიწყო მუშაობა „მინიობსერვატორიამ“.

დავუბრუნდები ისევ არჩილს. როცა ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვედი (1952, უნივერსიტეტის რექტორი), ჩემი საზოგადოებრივი გამოსვლების ტექსტებს წინასწარ არჩილს ვუჩვენებდი ხოლმე. არ მახსოვს შემთხვევა, მას რომ არ დაეწუნოს, ყოველთვის მკაცრი კრიტიკით ეკიდებოდა, ყოველთვის შიგადაშიგ მისწორებდა. მე ახლაც ძალიან მადლობელი ვარ ამისთვის ესეც ძალიან გამომადგა ცხოვრებაში. როცა პირველად ლექციები დამავალეს უნივერსიტეტში, არ მახსოვს 1930-იანი წლები იყო, ჩემს ერთ-ერთ ლექციას დაესწრო და დამიწუნა. ესეც ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა ჩემთვის. გავითვალისწინე. საერთოდ, ძალიან სრულად და მკაცრად იცოდა თავისი კორექტივების და შენიშვნების მოცემა. ზოგჯერ ეგებ მძიმეც იყო ჩემთვის მათი მოსმენა, მაგრამ უთუოდ სასარგებლო! ერთხელ საზეიმო სხდომაზე სხვისი (კვალიფიციური ადამიანის — პროფესორის) შედგენილი მოხსენება წავიკითხე. მე თავიდან მივხვდი, რომ მოხსენება ჩამეშალა: ვერც ინტონაცია შევუწყვე, ვერც მახვილები. არჩილმა კატეგორიულად მირჩია — ჩემი მოხსენება თავად მე მომემზადებინა შემდგომში და დამეწერა. ამის შემდეგ დღემდე მე თითქმის ასეც ვიქცეოდი, გამონაკლისის გარეშე. ხშირად მომისმენია ჩემი გამოსვლის შექება. ყოველთვის გამხსენებია არჩილის რჩევა, ძალიან გამომდგომია“.[1]

ყოველმხრივ სამაგალითოა არჩილ და ევგენი ხარაძეების ძმობა!

ძმობა! კიდევ ერთი დიდი ეროვნული ტრადიციაა, რაც ასე ღრმა აზრად სახექმნილი ბრწყინავდა კირილე ხარაძის ოჯახში.

* * *

ვხუჭავ თვალებს და ვხედავ ფარცხნალის საღამოებს: ღამეა, ეზოში ელდანაცემებივით ანათებენ ციცინათელები, ირგვლივ დაკოდილებივით კვნესიან ჭრიჭინობელები, ჰაერი გაჟღენთილია მინდვრის ყვავილებისა და ტყის სურნელებით, ზოგჯერ ხიდან ნაადრევად ჩამოვარდნილი ნაყოფი მიწას ამცნობს, რომ მოდის შემოდგომის დოვლათი და ბარაქა. სახლის სახურავიდან ისმის დედის ძუძუსავით ტკბილი ქართული, უფროსი ძმა უმცროსს ეჩურჩულება სამყაროს აგებულებაზე... ჰაერი ისე გაიშვიათებულა და გაწმენდილა, რომ ისინი ხელით ეხებიან ვარსკვლავებს... 14 წლის ევგენის ოცნების მერანი თავის ნებაზე მიუშვია და მასთან ერთად უსასრულო სივრცეში მიფრინავს...

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური არქივი, აკად. ე. ხარაძის პირადი ფონდი 43, აღწ. I, შ. ე. 4. 1986.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საყურადღებო ნაშრომი დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხებზე

ბოლო ათეული წლების მანძილზე ჰუმანიტარულ მეცნიერებაში სულ უფრო მკვიდრად იკიდებს ფეხს არეალური კვლევა, რომლის მიზანია მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურის სივრცობრივი განვითარებისა და ფუნქციონირების ძირითადი კანონზომიერების გამოვლინება. კვლევის ამ მიმართულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ეთნოგრაფიისათვის, რამდენადაც საქმე კულტურის ეთნოსპეციფიკურ ნიშნებსა და შიდაეთნიკური სტრუქტურების თავისებურებებს ეხება.

ბუნებრივია, რომ ზემოთ აღნიშნული მიმართულებით კვლევისას ძირითადი ყურადღება სვანებს მიექცა — სვანები, ქართები და ზანები წარმოადგენდა იმ ძირითად ტომობრივ ბირთვს, რომელიც საფუძვლად დაედო ქართული ეთნოსის ჩასახვა-განვითარებას. თანამედროვე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არა ერთხელ არის აღნიშნული, რომ საკუთრივ სვანებმა შემოგვინახეს ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალური ძეგლები, ხოლო სვანეთმა, როგორც საქართველოს მენაპირე კუთხემ თავისი ამაგი დასდო საქართველოს ზურგის სიმტკიცეს. სვანური საერო თუ საკულტო არქიტექტურა, ოქრომჭედლობა, მხატვრობა, ეპოსი ძირძველი ქართული ხალხური კულტურის ბრწყინვალე ნიმუშებია, რომელთაგან არა ერთი და ორი მსოფლიოს ნებისმიერი მუზეუმის საგანძურს დაამშვენებდა.

ცალკე აღსანიშნავია სვანეთში შემონახული სხვადასხვა სახის ძეგლებისა და კულტურის ტრადიციული ფორმების მნიშვნელობა ქართველი ხალხის ისტორიის შესასწავლად. საცხოვრებელი ნაგებობანი, საოჯახო ყოფა, ნათესაობის სისტემა, წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები და სხვა მრავალი მათი ჯეროვანი კრიტიკული გამოყენების პირობებში ავსებს წერილობითი წყაროების სიმცირეს, კონკრეტულ შინაარსს აძლევს მათ. ამ რიგის წყაროების მოშველიებით შეიძლება ახალი შუქი მოეფინოს საქართველოსა და მისი ამ კუთხის ისტორიის ზოგიერთ სადავო საკითხს.

ზემოთ აღნიშნულ საკითხთა შორის ერთ-ერთი მთავარია სვანთა სოციალური წყობის თავისებურებათა საკითხი, რაც ბუნებრივია, მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაწყდება სწორად, თუ იგი განიხილება საერთოდ ქართველი ხალხის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში და არა იზოლირებულად მისგან, შეისწავლება როგორც განუყოფელი მთლიანობის ნაწილი და არა დამოუკიდებელი რამ ამ მთლიანობასთან დაპირისპირებაში.

გელა გულბანის წიგნი ქართველი ხალხის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თარიღს — რუსეთთან საქართველოს შეერთებას — მიეძღვნა, მაგრამ მასში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს სვანეთის სოციალური წყობის საკითხს რუსეთთან საქართველოს შეერთების წინა პერიოდში, რომელსაც იგი 1830-1860 წლებით განსაზღვრავს. გ. გულბანის ნაშრომში მრავალი საკითხია აღძრული და ბუნებრივია, ყველაფერს ერთი რეცენზია ვერ დაიტევს. ჩვენ აქ მხოლოდ დასახელებული ნაშრომის იმ ნაწილს შევეხებით, რომელშიაც სვანთა ეკონომიკური წყობისა და სოციალური სტრუქტურის საკითხებია განხილული.

სასიკეთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სვანთა მეურნეობრივი ყოფის აღწერისას ავტორი, წერილობით წყაროებთან ერთად, უხვად იყენებს დღემდე გამოუყენებელ საარქივო მასალას, უკვე გამოყენებულს. ახალ ინტერპრეტაციას აძლევს, ფართოდ შემოჰყავს კვლევის სფეროში ეთნოგრაფიული მონაცემები, რომელთა მიმართ სვანეთის ზოგიერთი ისტორიკოსი-მკვლევარი რატომღაც გაუმართლებელ უნდობლობას იჩენს.

იმის გამო, რომ მეურნეობის საკითხისადმი მიძღვნილი ნაკვეთი მეტად მცირეა ავტორმა მეტ-ნაკლები სისრულით ვერ მოიტანა საკითხზე არსებული არც თუ ისე მცირე ლიტერა-

---

გელა გულბანი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიიდან. 1985 წ.

ტურა და იმ დასკვნამდე მივიდა თითქოს სვანეთში XVIII ს-ის 30-60-იან წლებში „სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს იემინდვრეობა, კერძოდ მარცვლეული კულტურები წარმოადგენდა, მაგრამ ისეთი სოფლებიც იყო, სადაც მეცხოველეობა იდგა წინა პლანზე“ (გვ. 20). ჩვენის მხრივ შევნიშნავდით, რომ მთლიანად სვანეთში და განსაკუთრებით კი მის ზემო ნაწილში მეურნეობის წამყვან დარგს, როგორც ამაზე თანამედროვე ეკონომ-გეოგრაფიული, ბოტანიკური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევების უმეტესობა მიუთითებს, მეცხოველეობა წარმოადგენდა (გ. გველესიანი, ნ. იაშვილი, ნ. კეცხოველი). მემინდვრეობა განვითარებული იყო უპირატესად დაბლობებში და, მიუხედავად საკმაოდ ინტენსიური ხასიათისა, ტრადიციულად ძველთაგან მომდინარეობისა და აგროტექნიკურად მაღალი დონისა, მეორე ადგილზე იდგა. სწორედ მეცხოველეობის ინტერესების წყალობით სვანეთში უმაღლეს დონეს მიაღწია სარწყავი სათიბების განვითარებამ, რაც არა ერთი მკვლევარის მიერ სვანთა სამეურნეო ყოფის მაღალგანვითარებული კულტურის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშან-თვისებად არის მიჩნეული. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ავტორს უფრო ღრმად უნდა ჩაეხედა მის მიერ აქვე მოტანილ ნ. ბერძენიშვილის სიტყვებში, რომლის აზრით „სწორედ მეცხოველეობის ინტერესებით უნდა აიხსნას სვანთა ამ მხარეში დასახლება“.

სვანთა მეურნეობრივი ყოფის თავისებურებასთან კავშირში ყურადღებას იქცევს მოკლედ, მაგრამ საქმის ყოველმხრივი ცოდნით დაწერილი პარაგრაფი, რომელიც მიეძღვნა საოჯახო მრეწველობას და რომელშიაც კარგად ჩანს, რომ სვანის მეურნეობრივი ცხოვრების ამ სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ტყავის დამუშავებას ეჭირა. აქ მკითხველს უნებურად გაახსენდება ანტიკური ხანის მწერლების ცნობები ტყავეულის ადგილის შესახებ ძველი კოლხეთის მთიანეთიდან და საკუთრივ სვანეთიდან დასავლეთ საქართველოს ბარში ექსპორტირებულ საქონელთა შორის... ავტორი სავსებით სამართლიანად ასკვნის: „ტყავის ნაწარმიდან სპეციალისტების ყურადღებას იპყრობს ე. წ. „წემეშ“ (ჭაპანი) და მისი ტექნოლოგია... მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გატყავებისას „წემეშის“ ამოღება და შემდეგ მისი დამუშავება უაღრესად თავისებურია. ამიტომ ამ ფაქტს აქ მეცხოველეობის განვითარების უტყუარ ფაქტად მიიჩნევენ (გვ. 28), რაც, ბუნებრივია, სამიწათმოქმედო კულტურის ტრადიციულობაზე და მაღალგანვითარებულობაზე მიუთითებს.

სვანთა სოციალური სტრუქტურის თავისებურებათა საკითხის გარშემო აზრთა სხვადასხვაობა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დღესაც არსებობს და ამას თავისი ისტორია აქვს. ცნობილია, რომ თავის დროზე არა მარტო სვანეთისა და საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეების, არამედ მთლიანად ისტორიული ქართლის სოციალური წყობა გვაროვნული საზოგადოების საფუძველზე დამყარებულად მიაჩნდათ. შეხედულებამ გვაროვნული წყობილების გადმონაშთების ხანგრძლივი შემონახულობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვიდრად მოიკიდა ფეხი — დიდი ხნის მანძილზე ყველაფერს ძველსა და ძნელად ასახსნელს გვაროვნული წყობის გადმონაშთებს მიაწერდნენ.

არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალებისა და როგორც ძველად არსებული, ასევე დღეს მიკვლეული წერილობითი წყაროების ახლებურად გააზრების შედეგად, ძირითადად ორმოციანი წლებიდან, ეს თვალსაზრისი ცვლილებას განიცდის. ყალიბდება აზრი, რომ საქართველოს მთიელთა სოციალურ სტრუქტურას განსაზღვრავდა არა გვაროვნული წყობილების, არამედ ადრეკლასობრივი საზოგადოებრივი წყობა. შემდგომი დაზუსტებით დადგინდა, რომ ეს „ადრეკლასობრივი“ ფეოდალურს ნიშნავს, მაგრამ გასარკვევი დარჩა — მისი განვითარების რომელ საფეხურს. შესაბამისად იმისა თუ ფეოდალურ ურთიერთობათა რომელ სტადიას გულისხმობენ, მას ზოგი ადრეფეოდალურს უწოდებს, ზოგი წინაფეოდალურს, ზოგი პროტოფეოდალურს, ზოგი მთიურ-ფეოდალურს. ზოგიც კვლავ იმას ფიქრობს, რომ ბალს ზემო სვანეთში ფეოდალურმა ურთიერთობამ საერთოდ ვერ მიაღწია.

სვანეთის შესახებ წერილობითი წყაროების სიმცირე და ამ მხარის არქეოლოგიური შესწავლის აწინდელი მდგომარეობა ჯერ კიდევ სტოვებს საერთოდ სვანეთის ისტორიისა და კერძოდ სვანთა საზოგადოებრივი წყობის თავისებურებათა საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობის არსებობის შესაძლებლობას.

სვანთა სოციალური სტრუქტურის საკითხს გ. გულბანი იხილავს სვანეთის იმ სამი ძირითადი რეგიონის მიხედვით — სადადიანო სვანეთი, სადადეშქელიანო სვანეთი და თავისუფალი სვანეთი —, რომლებიც ისტორიულად ჩამოყალიბდა და რიგი ნიშნით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ზოგი მკვლევარი არ იზიარებს სვანეთის ამგვარ დაყოფას და ამიტომაა, რომ ძალაუნებურად ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ სვანეთის ამ სამ კუთხეს აიგივებს. გ. გულბანი მეთოდოლოგიურად სწორად იქცევა და ამიტომ თავისი დასკვნებითაც ახლო დგას ოპტიმალურ პოზიციასთან. მისი სიტყვით „ლენტეხის საზოგადოება დადიანის უშუალო საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო ჩოლურ-ლაშხეთის საზოგადოებანი თავიანთი ვარგებით — გარდაფხაძეებითა და გელოვანებით —, აღიარებდნენ დადიანის ხელისუფლებას და თავს მის ვასალებად მიიჩნევდ-

ნენ" (32), თუმცა ეს დებულება რამდენადმე ეწინააღმდეგება მის მიერვე მოყვანილ მ. დუმბაძის აზრს, რომელიც სამართლიანად მიიჩნევს, რომ ეს მორჩილება ნომინალურ ხასიათს ატარებდა. ამასთან კავშირში ავტორს მოჰყავს საარქივო მასალა, რომელიც ასახავს ქვემო (სადადიანო) სვანეთის მოსახლეობის, ძირითადად საბატონო გლეხობის სოციალურ შემადგენლობას (მებეგრე, აზატი, მოჯალაბე, შინაყმა). ნაჩვენებია გლეხთა საადგილმამულო ვალდებულებანი, მაგრამ ამასთან ერთად ხაზს უსვამს ქვემო სვანეთში თემური წყობის ელემენტების არსებობას ლანყავის სახით, რომელიც თემის შესაკრებ ადგილს წარმოადგენდა, თუმცა, ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ეს მმართველობა იგივე არ იყო რაც გვაროვნული წყობილების დროს. მისი საბოლოო სიტყვით სადადიანო სვანეთში „ფეოდალური მმართველობის გვერდით არსებობას განაგრძობს ხალხური მმართველობა, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებდა XIX საუკუნეშიც კი" (44).

სადადეშქელიანო სვანეთის დახასიათებისას, ვფიქრობთ, რამდენადმე გადაჭარბებულია გლეხობის მდგომარეობის სიმძიმე. ე. გაბლიანის შრომაზე დაყრდნობით ავტორი წერს, რომ „ამ ქვეყნის გლეხკაცობა მთელი თავიანთი სარჩო-საბადებლით, მიწა-წყლით, სულითა და ხორცით ბატონის საკუთარ სახმარ ნივთად იქცა, რომელსაც ბატონი ისე განაგებდა, როგორც მისი სურვილი და ნება იყო" (45). ამ რიგის ცნობები ლიტერატურაშიაც მოიძებნება და საარქივო მასალებშიაც, მაგრამ ეთნოგრაფიის მონაცემებში ისინი არ დასტურდება. იმ გადმოცემებით, რომლებიც შეეხება სვიფს (სასოფლო მოედანს) და მის ადგილს სოფლის მმართველობაში, პირველყოვლისა. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციაში, ასეთი რამ არ ჩანს. პირიქით, ს. ბარშის სვიფში ბოლო დრომდე იყო შემონახული ქვის საჯდომები, სადაც იკრიბებოდნენ სოფლის თავკაცები. დასაჯდომ ქვებს შორის გამოირჩეოდა ერთი ქვის ზურგიანი „სკამი", რომელზედაც დადეშქელიანი ჯდებოდა — დანარჩენებზე გლეხობა იჯდა და მთავართან ერთად მსჯელობდა სასოფლო საკითხებზე. ფოლკლორული მასალა, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით მოჰყავს გ. გულბანს, საკუთრივ ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „საუკეთესო ხარებიც ბატონებისაა, კარგი ქალიშვილები ეკუთვნით მათ" (52) პრიეტური გადაჭარბებებია მსგავსად მოხევური ლექსისა შიოლა ღუდუშაურის შესახებ, რომელიც თითქოს „ტახტს იჯდა ხელმწიფისასა"...

უთუოდ საინტერესოა ავტორისეული მასალა თავისუფალი სვანეთის შესახებ, რომლის სახელწოდებას იგი, განსხვავებით სხვა მკვლევარებისაგან, არც წინწკლებში სვამს და არც ე. წ.-ს ურთავს წინ.

შესატყვის პარაგრაფში ავტორი განიხილავს რიგი მკვლევარის შეხედულებას თავისუფალი სვანეთის სოციალური სტრუქტურის შესახებ — ყველა შეხედულებისათვის, როგორც ჩანს, ადგილი არ დარჩა. მისი აზრით ნაშრომის ქრონოლოგიის ფარგლებში თავისუფალი სვანეთის გლეხობა „...ძირითადად ერთპიროვნული წვრილი მესაკუთრე გლეხები არიან და არა თავისუფალი მეთემეები" (57), მაგრამ ვისი გლეხები არიან — ნაშრომიდან არ ჩანს. ავტორი ვრცლად იხილავს სათემო საკუთრების საკითხს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და ბოლოს სვანეთის შესახებ ასკვნის: „მართალია, მთის სათიბები, აგრეთვე მთისა და ბარის საძოვარი ადგილები იყო თემის საერთო სარგებლობაში, მაგრამ ძირითადად, რაც სოფლის (თემის) ეკონომიკას განსაზღვრავდა, დანაწილებული იყო ცალკეულ კომლებს შორის უვადოდ და მემკვიდრეობის უფლებით. მასზე გლეხი არ იხდიდა არავითარ გადასახადს. ამდენად იგი გვევლინება კერძო მესაკუთრე გლეხად" (61). ციტირებული აბზაცის პირველი ნაწილი, მხედველობაში თუ მივიღებთ მესაქონლეობის თუნდაც იმ როლს, რომელსაც მას ავტორი მიუჩენს, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ აქ ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში და განსაკუთრებით მის მთიანეთში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მიწით სარგებლობის თემურ ფორმას. იგი თანაარსებობდა საკუთრების იმ ფორმასთან, რომელსაც ლიტერატურაში საკომლო ეწოდება, მაგრამ სვანეთის ამ ნაწილში რეფორმამდელ ხანაში მას თავისებური ხასიათი უნდა ჰქონოდა. ამ მხრივ გასათვალისწინებელია საყოველთაოდ ცნობილი ადათობრივი ნორმა, რომლის მიხედვით საოჯახო ქონების (და მათ შორის მიწის) მესაკუთრედ გამოდიოდა არა მხოლოდ ოჯახის უფროსი, არამედ მთლიანად მამის ხაზით მომდინარე პირველი თაობის ვაჟები — პირდაპირი მემკვიდრენი. ოჯახის უფროსს არ შეეძლო უწილოდ დაეტოვებინა მოწილე — მემკვიდრე, ე. ი. კერძო საკუთრება, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, აქ შეზღუდული იყო. ეს ის თვისებაა, რომელსაც ადრეფეოდალური საზოგადოების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევენ.

ამას გარდა, გასათვალისწინებელია ისიც, თუ რას წარმოადგენდა გლეხი იმ საზოგადოებაში, სადაც ფეოდალი არ არსებობდა.

როგორც ჩანს, საქმე გვაქვს საკუთრების საოჯახო ფორმასთან, რომელიც, რა თქმა უნდა, გვაროვნულ-თემური არ არის, მაგრამ არც წმინდა კერძო საკუთრებას წარმოადგენს, რადგან იგი შეზღუდულია არა მარტო ოჯახის მოწილე-მემკვიდრეთა უფლებით, არამედ ლამხუბის (პატრონიმიის) წევრთა უპირატესობითაც, როდესაც საქმე საოჯახო ქონების გასხვისებას ეხება. უდავოა, რომ საოჯახო საკუთრე-

ბის ეს ფორმა გარდამავალი საფეხურის ნიშნებს ატარებს და თავისი ბუნებით, რომელიც ჯერ კიდევ ბოლომდე შესწავლილი არ არის, სტადიალურად ადრინდელი, ტიპოლოგიურად მთური ფეოდალიზმის შესატყვის მოვლენას წარმოადგენს.

ამ მხრივაც ეთნოგრაფიულ მასალას შეუძლია გარკვეული სამსახური გაუწიოს საკითხის გაშუქებას. სამწუხაროდ, ზოგიერთი ისტორიკოსი ეთნოგრაფიულ მასალად მხოლოდ ზეპირ გადმოცემას მიიჩნევს და ამის გამო მის მიმართ უნდობლობას იჩენს. ეთნოგრაფიული წყარო, გადმოცემებთან ერთად, მატერიალური კულტურის ძეგლებსაც მოიცავს. განსაკუთრებით ეს ითქმის მატერიალური კულტურის იმ ტრადიციული ფორმების შესახებ, რომელთაც თავისი ძირითადი ნიშნები ახლო წარსულამდე შემოინახეს. ეს ძეგლები მათი ფუნქციონირების ცოცხალ მოწმეებს, ზეპირ გადმოცემებს საფუძველს უმტკიცებენ და ინფორმაციულობით არქეოლოგიურ ძეგლზე მაღლა აყენებენ. საცხოვრებელი, მატერიალური კულტურის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტი თან ახლავს საზოგადოებას მისი არსებობის მთელ მანძილზე. იგი ცხადად წარმოაჩენს როგორც ტრადიციული სამშენებლო ხელოვნების განვითარების საფეხურებსა და დონეს, ისე მასში მცხოვრები საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპებს. ამ თვალსაზრისით მატერიალური კულტურის ძეგლები საიმედო და მნიშვნელოვანი წყაროა სოციალური კულტურის შესწავლისათვის, რაც იმთავითვე სათანადოდ იყო აქცენტირებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, ხოლო ეთნოგრაფიაში ამ დებულების საპროგრამო ხასიათი მკვეთრად გამოისახა კავკასიის, მათ შორის ქართველ მთიელთა მატერიალური კულტურის კვლევის პროცესში. აღნიშნული ძეგლების უპირატესობა სხვა მასალასთან შედარებით ამ მხრივაც მნიშვნელოვანია.

ამ რიგის ძეგლთა შორის, პირველყოვლისა, აღსანიშნავია სვანური საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც მსოფლიო კოშკური კულტურის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს, ამასთან სვანეთი ამ კულტურის ერთ-ერთ ცნობილსა და აღიარებულ მნიშვნელოვან კერად გვევლინება. კომპლექსი, რომელშიც აკუმილირებულია მაცხოვრებელის მატერიალური მოთხოვნილებანი თუ სულიერი სამყარო, ბევრად უფრო მეტი ობიექტური მონაცემის შემცველია, ვიდრე ზოგი წერილობითი წყარო, რომელიც მრავალმხრივ შეჯერებასა და შემოწმებას მოითხოვს. სვანური საცხოვრებლების ქრონოლოგიური კლასიფიკაციაა შესაძლებელი, რასაც ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია. აღნიშნულ გარემოებათა გამო მატერიალური კულტურის ძეგლებს სარწმუნო ეთნოგრაფიული წყაროს მნიშვნელობა გააჩნიათ.

მთურ საცხოვრებელ ნაგებობებსა და კომპლექსებში მკაფიოდაა ასახული — სამეურნეო ყოფის თავისებურებანი, სადაც ალპურ მესაქონლეობას წამყვანი ადგილი ეჭირა მთურ მიწათმოქმედებასთან ორგანულ კავშირში; ამავე დროს თვითონ ფართის განაწილება მიუთითებს ოჯახის სოლიდარულ ფორმაზე, ხოლო ინტერიერის ისეთი ელემენტები, როგორებიცაა კერა, ნაჭა, სალოცავი სარკმელი თუ ნიშები და სხვა შუქს ჰფენს ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიას. აღნიშნული კომპონენტები ტრადიციული სამშენებლო ხელოვნების მაღალგანვითარებულ ნიმუშებს წარმოადგენდნენ, რომლებიც იდეალურად იყვნენ შეხამებული გეოგრაფიულ და სოციალურ გარემოსთან.

გ. გულბანს კარგად შეუნიშნავს ის ფაქტი, რომ ბალს ზემო და ბალს ქვემო სვანეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის თავისებურებას თავისი კორექტივები შეუტანია საცხოვრებელ კომპლექსებში. მისი სამართლიანი მტკიცებით „თავისუფალ სვანეთს ამშვენებს სახელგანთქმული სვანური კოშკები, ხოლო სადადაშქელიანო სვანეთში მხოლოდ მთავრების საგვარეულო ციხეები დგას. ყმათა კოშკები აქ დანგრეულია მათი დამონების მიზნით“ (87). მართლაც, ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მთური საცხოვრებელი კომპლექსების ანალიზის საფუძველზე აქცენტირებულია ის სტრუქტურული თავისებურებანი, რომლებიც დასახლების ფორმებს განასხვავებენ ერთმანეთისაგან. მაგალითად, ჩაჟაში — ბალს ზემო სვანეთში, შატილი—ხევსურეთში, ჰელო — თუშეთში და ა. შ. შედგებიან ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული ნაგებობებისაგან და ასეთი დასახლებები ერთიანი ციხე-სიმაგრის იერს ატარებენ. საცხოვრებელი, დაცვითი და სამეურნეო ნაგებობების მსგავსი სტრუქტურა კოლექტიურ თავდაცვაზე უფრო იყო გამიზნული და შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოებაც რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ამ ტიპის დასახლებული პუნქტის ძველ სახელწოდებად ტერმინი „ციხე“ ჩანს.

განსხვავებული ვითარებაა ბალს ქვემო სვანეთის სოფ. ბარშში, სადაც სოფლის განაპირას, ოდნავ შემაღლებულ ადგილას აგებული დადეშქელიანებისეული ციხე-დარბაზი ინდივიდუალურ დაცვაზეა გამიზნული, ამასთან თანასოფლელთა დაცვითი ნაგებობების განლაგება მიგვანიშნებს, რომ მათი ძირითადი ფუნქცია დადეშქელიანების საცხოვრებლის დაცვის გაძლიერება იყო.

მთიელთა სოციალური კულტურის კვლევის საქმეში დიდი როლი შეასრულა კოშკური კულტურის ტიპოლოგიურმა კლასიფიკაციამ. კერძოდ, ამ რიგის სვანური ნაგებობების კლა-

სიფიკაციის პროცესში ბალს ქვემოთ გამოვლინ-და ახალი სოციალური პირობების ზეგავლენით შექმნილი მისი მოდიფიცირებული ფორმები. რაც შეეხება ბალს ზემო სვანეთს, აქაც შეიმჩ-ნევა დასახლების სტრუქტურისა და საცხოვ-რებელი კომპლექსების ფორმების ცვლილება, რაც გამოხატულია ცალკეული დაწინაურებული ოჯახების სოფლიდან განცალკევებითა და ალ-ზევების მცდელობით, თუმცა ეს პროცესი მეტწილად გაბატონების მოსურნე ოჯახის ამო-წყვეტითა და მისი სახლ-კარის დაქცევით მთავრდებოდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თე-მი ჯერ კიდევ ძლიერია და იბრძვის ერთიანო-ბის შენარჩუნებისათვის.

კოშკური კულტურის ძეგლების ანალიზმა და მისმა შეჯერებამ ფოლკლორულ მასალასთან ცხადყო მისი საწყისი ფორმის გენეტიკური კავშირი სამხედრო-დემოკრატიულ წყობასთან რაც მტრული გარემოცვის პირობებში აუცი-ლებელი იყო თემის ერთიანობის შესანარჩუ-ნებლად. საწყისი ფორმის შემდგომი განვითა-რების პროცესში ყალიბდება მთური საცხოვ-რებელი კომპლექსების ვარიანტები, რომლებ-შიც საკმაოდ შორს წასული სოციალური დი-ფერენციაციაა ასახული; თუმცა აკად. ნ. ბერ-ძენიშვილის ცნობილი კონცეფცია იმის თაო-ბაზე, რომ საქართველოს ყოველი კუთხე სო-ციალური განვითარების თვალსაზრისით სხვა-დასხვა საფეხურზე დგას და ლოკალური თვალ-საზრისით უნდა იქნას შესწავლილი, გასათვა-ლისწინებელია საქართველოს მთიანეთის ცალ-კეული მხარეებისათვისაც.

ალექსი რობაქიძე, ანზორ ქალდანი.

# სიმართლის ხმა—ლექსად გამხელილი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ახ-ლახან დასტამბა ელდარ კერძევაძის ლექსების კრებული. ამ ლექსების თემატიკა მდიდარი და მრავალფეროვანია: კრებული იხსნება პატრიო-ტულ თემაზე დაწერილი ლექსით — „მამულს“, რომელიც ჩვენის აზრით ერთ-ერთი საუკეთე-სო ლირიკული ნაწარმოებია:

ფიქრით,
აზრით,
ოცნებით,
შეუცვლელ იმედებით,
შრომით,
ღვაწლით,
სახელით,
იზრდები და ბევრდები,
მზე იქიდან ამოდის
საითაც იხედები,
საქართველოვ, ოდითგან
ღვთის ღიმილში თენდები.

ამ ლექსში პოეტი თავის პატრიოტულ გრძნო-ბებს გადმოსცემს ნაზი და ელეგანტური პლას-ტიკით, ამასთან ხატოვნად, პათეტიკურად; აქ გამორიცხულია ყოველგვარი თვითმიზნური ტრაფარეტი თუ სტილიზაცია. ასევე პატრიო-ტულ თემას ეძღვნება ლექსები: „დედას“, „თქვენი გაჩენის ლამაზ დღეს ვლოცავ“, „დღე-ები ყრმობის“, „თქვენი მადლია“, „მცხეთა“, „ფშავის მონატრება“ და სხვა.

ლექსს „თქვენი მადლია“ ავტორი უძღვნის პოეტებს, რომლებიც სამშობლოს თავისუფლე-ბასა და კაცობრიობის უკეთესი მომავლისათ-ვის ბრძოლას შეეწირნენ. ეს ლექსი ბრწყინავს არა მარტო ფორმით, არამედ თავისი პოეტური ინტერიერით, ჰეროიკული გზნებითა და სარო-ცარი პლასტიკით. ამ ლექსის ყველა სტრიქონი გულისტკივილითა და ხალასი განცდით არის დაწერილი. პოეტს აღაფრთოვანებს, რომ მათ გმირულად, წარბშეუხრელად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე სამკვდრო-სასიცოცხლო ომ-ში და ამავე დროს მწარედ განიცდის, რომ „დასაკითხავად თუ გაჰყავდათ სხვები ჯალა-თებს, — დაუკითხავად ხვრეტდნენ პოეტებს“.

პოეტი ამაყობს კოლეგების გმირობით და მიმართავს მათ:

არ გაგიცვლიათ
არც სამშობლო
და არც სახელი...
ეს გაუმარჯოს —
ბრძოლის ცეცხლში
ნაწრთობ სტრიქონებს,
ეს გაუმარჯოს —
სიმართლის ხმას,
ლექსად გამხელილს,
ეს გაუმარჯოს —
თქვენს სულს,
ამაყს და ომახიანს,
სისხლისფერ ყდებში
ჩაბუდებულ
ლექსთა გრიგალებს...
რწმენა, ოცნება, სიყვარული
რაც გამაჩნია, —
თქვენი მადლია,
ყველაფერი
თქვენგან ვისწავლე.

ლექსებში — „მთებში“, „სურათი“, „შუაღა-მისას“, „ბაღში“, „ნოემბერი“, „პატარა ტბა“,

---

**ელდარ კერძევაძე. თუ კი ერთმანეთს გავუფრთხილდებით. „საბჭოთა საქართველო“, 1987 წ.**

„შემოდგომა“, „წუხელ“, „ოქტომბრის ბოლოს“, „სოფლის შუადღე“, „ცაო“, „ზამთარი““, „პატარა წყარო“, „თეთრი ლექსივით თეთრი ღრუბელი“ და სხვა ლექსებში სოფლის წარმტაცი პეიზაჟები ცოცხალი სადებავებით არის დახატული, გასულდგმულებულია ბუნების მოვლენები; ამ ქმნილებებში ბუნების მრავალფეროვან სიმშვენიერეთა საერთო გამაში ეგზოტიკურად გამოიყურება პოეტის მშობლიური მთისა და ბარის კოლორიტული პანორამა. კითხულობ ამ ლექსებს და გიტაცებს ლამაზი ოცნება, პეიზაჟებში უშუალოდ ჩართული და შონაწილე ხდები. ლექსში „სოფლის შუადღე“ პოეტი ამბობს:

სპილოებივით დგანან ლელვები,
გაბრუებულნი ზაფხულის სიცხით.
ფართო ყურები ჩამოუყრიათ
და რას ფიქრობენ, არავინ იცის.
და მწიფობისთვის დღეა თაკარა,
მოგონებებში ჩაფლულან მთები,
და ყველაფერი მოჩანს სხვაგვარად —
განვლილი გზა და მომავლის გზები.

რამდენიმე ლექსი მიძღვნილია „სიტყვის სარდლებისადმი“ — ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ა. პუშკინის, ვ. მაიაკოვსკის, ა. ბლოკისა, და დიდი მოაზროვნის სოლომონ დოდაშვილისადმი. ამ ლექსებში პოეტი ხატოვნად წარმოგვიდგენს მათ ნათელ სახეებს, რომელთა სახელებიც ბრწყინავენ და იბრწყინებენ სამარადისოდ.

ლექსებში „ღვივა“, „კაცობის მადლი“, „პოეტი“ და სხვა, რომლებიც მორალურ-ეთიკურ თემას ეძღვნება, მხატვრული დამაჯერებლობით არის წარმოჩენილი ისტორიულად განმტკიცებული ჩვენი ხალხის მაღალადამიანური ზნეობრივი ჩვევები.

კრებულში შეტანილია აგრეთვე მახვილგონივრული სატირულ-იუმორისტული ლექსები, რომლებშიც გამოყენებული მეტაფორული ხერხი მიგვანიშნებს სოციალურ პრობლემატიკაზე. ასეთი ლექსებია: „რატომ?“, „ისე თქვენ პირს შაქარი“, „სადღეგრძელო, რომელიც ვერ ვუთხარი ერთ კაცს და ეხლა ვეუბნები“, „ერთ წვეულებაში“, „ვერაფერი გავიგე“, „შენგან სიკეთეს არასდროს ველი“, „რამდენი ყალბი“, „მოდერნიზებული ბალადა“, „შეკითხვა კარგა ხნის შემდეგ“, „ერთ ოჯახში ქეიფის გამო თქმული“ და სხვა. დასახელებულ ლექსებში პოეტი დელიკატურად, ამავე დროს დაუნდობლად ააშკარავებს ჯერ კიდევ შემორჩენილ მავნე გადმონაშთებს, ჩვენი სინამდვილისათვის შეუფერებელ ადამიანებს — ფლიდებს, ორპირებს, გამომძალველებს...

ამ ლექსებში გახსნილი სენტენციები, მათი ინტონაცია კიდევ უფრო ქღერადი და პათეტიკურია დღეს, როცა პარტია და მთავრობა ღრმა და დაჩქარებულ გარდაქმნებს ახორციელებს, ლექსში — „რატომ?“ მკაცრი სარკაზმით უსწორდება ორპირსა და კარიერისტს პოეტი ამბობს:

კაცი ორპირი, საზიზღარია
სილაჩრეს თვისას
რომ მალავს, წლობით,
და იმოსება
მეფის პორფირით
უაზრო სულით,
აზრით და გრძნობით
ო, ღმერთო,
რად არ გაგეცინება, —
ჰკუის კოლოფად იქცა კრეტინი,
რაინდის სახელს ეპოტინება
ლაჩარი მჭლე და გულდაწრეტილი.

დღეს მშვიდობის საკითხი პირველი საკითხია მთელ პლანეტაზე. მსოფლიოს ყველა ხალხის გულისყური აქეთკენ არის მოპყრობილი. ერთის მხრივ ტექნიკის საოცრად სწრაფმა განვითარებამ, მეორეს მხრივ, ორ სისტემას შორის კლასობრივი წინააღმდეგობის კიდევ უფრო გამწვავებამ, მით უმეტეს ისეთ ვითარებაში, როცა ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში სოციალიზმის სასარგებლოდ შეიცვალა, კიდევ უფრო საშიშმა ისტერიამ მოიცვა კაპიტალისტური სამყარო. იმპერიალისტური სახელმწიფოები სულ უფრო და უფრო მეტად იარაღდებიან სიცოცხლის მომსპობი ატომურ-რაკეტული იარაღით. პოეტი გრძნობს და განიცდის ამ მოსალოდნელ საყოველთაო საშიშროებას და თავის მხატვრულ სიტყვას უერთებს საერთოსახალხო სამშვიდობო მოწოდებას. ლექსებში — „გაფრთხილება“, „ნატვრა-ანაქრონიზმი“, „სინათლე არის“ და სხვ. პოეტი გამოხატავს ღრმა რწმენას მშვიდობის საქმის უძლეველობაზე და ხატოვნად ამბობს: „იცვლება ყველა და ყველაფერი, მაგრამ სინათლეს ვერავინ შეცვლის, რადგან სინათლე, რადგან სიმართლე, — ეს ორი ფრთაა საწყისი ყოვლის“ („სინათლე არის“).

როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიაში, კერძოდ, ლირიკაში, პროფესიული პოეტური შემოქმედების გვერდით გვხვდება ღრმად სუბიექტური ტენდენციებიც. როგორც სარეცენზიო კრებულის ანალიზი გვიჩვენებს, არც ნიჭიერი პოეტი ელდარ კერძევაძე დარჩენილა ამ მოდური მიმდინარეობის ვალში; ზემოთ განხილულ მაღალმხატვრულ ქმნილებებთან ერთად კრებულში შეტანილია გაუგებარი, მხატვრულად უგემოვნო ლექსებიც, ასეთ ლექსებად მიგვაჩნია: „გუშინ ექვს საათზე“, „აგვისტოს ბოლოს“, „არავითარი გართობა...“, „წვიმა“, „მემატება ვალზე ვალი...“, „ქვები“, „ორი სურათი“, „ვედრება“, „ალარ

მიწვავს...“, „ჩიტი გალიაში“, „სოფელი, გვიან შემოდგომა, წვიმა. ვკითხულობთ წიგნებს“.

ამ ლექსების წუნი, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ აქ არ ჩანს არც იდეა, არც განცდა, არავითარი ეფექტი და არც თვით ავტორის კონცეფცია, დაბალია მათი მხატვრული დონე. პოეტიზაცია პრიმიტივიზმამდეა დაყვანილი.

კრებულში შეტანილი ლექსების ამ ორი განსხვავებული მხატვრული ტენდენციის დემარკაცია ისე მკვეთრია, რომ მკითხველს ებადება კითხვა: ნუთუ შეიძლება ერთმა კალამმა წეროს მხატვრულ-იდეური დონის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან ასე დიამეტრალურად განსხვავებული ნაწარმოებები?

ურითმო ლექსში — „გუშინ ექვს საათზე“ პოეტი ყვება, რომ გუშინ ექვს საათზე სამსახურიდან გამოსულა და დაუნახავს „უზარმაზარი ქუჩა, მანქანებით სავსე, მდორედ მოედინებოდა, ადამიანები მანქანაში შეყუჟულიყვნენ და ჩვენ, შემკრთალნი, ვუცქერდით ერთიმეორეს“-ო. აი, ლექსის მთელი შინაარსი და მთელი მისი ავლადიდება. ლექსს როგორიც შინაარსი აქვს, რა თქმა უნდა, ფორმაც ისეთივე აქვს „შერჩეული“.

ანალოგიურია აგრეთვე ურითმო ლექსი „ქვები“. იგი ძალიან მცირეა. სულ ექვსი სტრიქონისა და 12 სიტყვისაგან შედგება! მთლიანად მოვიტანოთ:

ქვები
დუმილის ყვავილებია
და ვტკბები მუდამ
მათი ცქერით...
სურნელი მათი
დუმილით მათრობს.

განა აქ ჩანს რაიმე რეალური განცდა, აზრი, იდეა?

ელდარ კერძევაძე ნიჭიერი პოეტია. ამიტომ მას კიდევ უფრო მოეთხოვება ყველა ლექსის მხატვრულ-იდეური სრულყოფა. ჩემი შენიშვნები მეგობრული შენიშვნებია. მიზეზი კი მისი შემოქმედებისადმი პატივისცემა და სიყვარულია. სრულებით არ არის საეჭვო, რომ ელდარ კერძევაძის პოეტური ენერგია ნათელი და საიმედო გზით მოედინება.

ილია ფეიქრიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17. 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 16. 07. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1. 09. 87 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 110074. ტირაჟი 32.000. შეკვ. 1170. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

637/158

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ